სვეტიცხოველი

სამეცნიერო ისტორიული ჟურნალი

Svetitskhoveli

Scientific Historical Journal

ISSN: 1987 - 6874

№2, 2012

**საქართველოს საპატრიარქოს,
საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
თეოლოგიის სასწავლო - სამეცნიერო ცენტრის**

სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი

ეძღვნება უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს

მთავარი რედაქტორი: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: ვლადიმერ დოლიძე
მამუკა მაცაბერიძე

სარედაქციო საბჭო: ზურაბ გასიტაშვილი
ივანე გორგიძე
ვახტანგ გურული
შალვა ნაჭყებია
გივი ღამბაშიძე
არჩილ ფრანგიშვილი
ტარიელ ფუტკარაძე
გურამ ჯავახაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ჯიშკარიანი
ქეთევან მახაშვილი
ლელა ბოქოლიშვილი

ჟურნალის ინტერნეტ მისამართი: http://sveticxovelijournal.ge

© სვეტიცხოველი
სამეცნიერო სტატიები რეცენზირდება სარედაქციო საბჭოს მიერ.
მასალის გადაბეჭდვა რედაქციის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.
ISSN 1987-6874
გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2012.

„სვეტიცხოვლის“ ეს ნომერი ეძღვნება თეოლოგის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დაარსებიდან 10 წლისთავს

ჟურნალში დაბეჭდილია ცენტრის

პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა

სამეცნიერო შრომები

ჟურნალი ეძღვნება უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია II

ფოტოს ინტერნეტმისამართი: http://forum.archangels.ge/lofiversion/index.php/t14.html

პატრიარქმა თანადგომის დღედ 1 ივლისი დააწესა: უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან სულთმოფენობის დღესასწაულზე, ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი, 2008 წლის ივლისი

"მოწყალეების საქმე გადაარჩენს სრულიად საქართველოს" (თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწესდა)

არიან ადამიანები, რომელთა ზრუნვაც მარტოოდენ საკუთარი თავით, ეგოისტური სურვილებით შემოიფარგლება; მაგრამ, საბედნიეროდ, ასევე არიან ადამიანები, რომლებიც სხვებისათვის ცხოვრობენ, საკუთარ თავს სხვებს უძღვნიან. ქართველი ადამიანი ბუნებით სწორედ ამით გამოირჩევა: თუკი იგი ხედავს სხვა ადამიანის გაჭირვებას, აუცილებლად მიდის და ეხმარება მას. პავლე მოციქული ამბობს: "ურთიერთ სიმძიმე იტვირთეთ და ესრედ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი".

როგორ შეიძლება, ვიტვირთოთ სხვისი სიმძიმე, რით შეიძლება შევეწიოთ სხვა ადამიანებს? ზოგიერთი ფიქრობს, რომ არ შეუძლია სხვისი დახმარება, რადგან თვითონაც ხელმოკლედ ცხოვრობს. ყველა ადამიანს შეუძლია დაეხმაროს სხვას, თუნდაც არაფერი ებადოს გასაცემი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ დახმარება მრავალი სახისა არსებობს: არსებობს სულიერი დახმარება, არსებობს სიტყვიერი დახმარება და, რაღა თქმა უნდა, მატერიალურიც.

***

დღეს ჩვენთან ბრძანდებიან **საქართველოს საინჟინრო აკადემიისა** და კომპანია **"მედინსერვის"** წარმომადგენლები, რომლებმაც შემოგვთავაზეს, დაწესდეს **"თანადგომის დღე"**. თანადგომა ეს იგივე დახმარებაა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს მოსახლეობას გაჭირვებული ადამიანების თანადგომის სურვილი აქვს. **თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწესდა**. სწორედ ამან გადაგვატანინა ის პრობლემები, რომლებიც ბოლო 18 წლის მანძილზე გვქონდა.

ღმერთმა დალოცოს ისინი, რადგან ზრუნავენ გლახაკებზე და ფიქრობენ, თუ რით შეეწიონ მათ. მინდა ყველას გისურვოთ: ამაზე ფიქრი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანის საზრუნავი.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან
სულთმოფენობის დღესასწაულზე

ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი
ივლისი 2008 წელი

სარჩევი:

საქართველოს წმიდა სამოციქულო, მართლმადიდებელი ეკლესია
საქართველოს საპატრიარქო 05.07.2012
წმიდა სინოდის განჩინება 11

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
უწმიდესი ილია II და წმ. სინოდი
არასწორი ისტორიოგრაფიული თეორიების შესახებ 13

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
აბაზგიის ეპარქია 20

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
აფხაზეთის საკათალიკოსო 29

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
ანალიზი 2012 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიის ოთხტომეულისა 44

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
ფლავიუს არიანე ლაზებისა და ძიდრიტების შესახებ 66

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
პეტრე იბერი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი 83

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
რჩევები უცხოეთში წამსვლელ ქართველებს
საეკლესიო ცხოვრების მოწყობის შესახებ 95

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს წმიდა სამოციქულო და მართლმადიდებელი ეკლესიის
იურისდიქციის საზღვრები 108

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
უცხოური (ბერძნულ-ლათინური), სომხური
და ქართული წყაროები წმიდა ნინოს შესახებ 123

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია 154

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის (იოანე ლაზი) 167

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
შობა, ჯვარცმა, აღდგომა და ამაღლება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 179

ARCHBISHOP ANANIA JAFARIDZE
Lazeti-Trialeti
Georgians' Hellenization 241

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
დიპტიხის საკითხები 255
- დიპტიხის შესახებ 255
- საქართველოს საპატრიარქოს ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიხში 258
- საქართველოს ეკლესიის ადგილი მსოფლიო დიპტიხში 260
- ქართული ეკლესიის VI ადგილი ფერარა-ფლორენციის ე.წ. საეკლესიო კრებაზე 264
- ქართველი ეპისკოპოსები ფერარა-ფლორენციის კრებაზე (1438) 268
- საქართველო ფერარა-ფლორენციის კრების ეპოქაში 271
- მსჯელობანი დიპტიხის საკითხზე 272
- ქართული ეკლესიის შინაგანი დიპტიხი 274
- დოკუმენტური მასალები დიპტიხში VI ადგილის შესახებ (უცხოური წყაროები) 280
- ნაწყვეტი ფლორენციის წმინდა მსოფლიო საეკლესიო კრების ოქმიდან 281

დეკანოზი ლევან მათეშვილი
საჯარო სკოლებში რელიგიური განათლების საკითხისთვის 284

დეკანოზი კახაბერ შურღაია
მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნის "საეპისკოპოსოები ლაზიკაში" აქტუალობისათვის 287

ლაშა ცაიშვილი
ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელი" 290

ლელა ბოქოლიშვილი
წმიდა ეპისკოპოსის, გაბრიელ ქიქოძის ქადაგების მიხედვით შექმნილი ღვთისმშობლის ხატის სიმბოლური გააზრებისათვის 292

გიორგი გრძელიძე
სოფელი სოღანლუღი 300

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II 76-ე ბრძანებით საქართველოს საპატრიარქოსთან შექმნილი, საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიის უმნიშვნელოვანეს გამოკვლევათა მაცნე

№1

10
სამეცნიერო-ისტორიული კრებული
Scientific-Historical Journal
სვეტიცხოველი
SVETITSKHOVELI

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

CATHOLICOS PATRIARCH
OF ALL GEORGIA

380005, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედ. №1
ტელ: 99 03 78, 98 95 41 ფაქსი: (995 32) 98 71 14

1 King Erekle II sq., Tbilisi 380005, Georgia.
Tel.: 99 03 78, 98 95 41 FAX: (995 32) 98 71 14

ბრძანება № 76

სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი

10 ივლისი, 2009 წელი

XIX - XX საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების პერიოდში მიზანმიმართულად ყალბდებოდა საქართველოს ისტორია და ენათმეცნიერების საფუძვლები.

ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ:

I. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძის) ხელმძღვანელობით;

II. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია პროფესორ მანანა ტაბიძის ხელმძღვანელობით.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

საქართველოს წმიდა სამოციქულო, მართლმადიდებელი ეკლესია

საქართველოს საპატრიარქო 05.07.2012

წმიდა სინოდის განჩინება

2012 წლის 5 ივლისს საქართველოს საპატრიარქოში შედგა წმინდა სინოდის მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II.

იმსჯელეს შემდეგ საკითხებზე:

1. მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ მოკლედ მიმოიხილა დღევანდელი საერთო ვითარება, ის პრობლემები, რაც მცირე ერებს ემუქრებათ გლობალიზაციის პირობებში; ხაზი გაუსვა სკოლებში მომავალი თაობის სწორად აღზრდის მნიშვნელობასა და ამ პროცესში ეკლესიისა და ოჯახის ჩართვის აუცილებლობას, ახალგაზრდების დასაქმების საკითხს და მათთვის გარკვეული პროფესიული უნარ-ჩვევების სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში დაუფლების საჭიროებას;
2. წმინდა სინოდზე აღინიშნა, რომ ეკლესია ყოველთვის იყო ქვეყნის გამაერთიანებელი ძალა და მისი ეს ფუნქცია დღეს, - არჩევნების წინაპერიოდში, - განსაკუთრებით სჭირდება საქართველოს.
ამიტომაც კატეგორიულად მიუღებელია ღვთისმსახურთა მონაწილეობა რომელიმე პარტიის პოლიტიკურ აქციაში. ეკლესია არის ნეიტრალური, საყოველთაო და მისი წევრია ნებისმიერი პოლიტიკური შეხედულების ადამიანი.
3. წმინდა სინოდმა იმსჯელა ბაგრატის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებითაც და განაჩინა: ეკლესია მომხრეა ბაგრატის ტაძრის პირვანდელი სახით აღდგენისა, მაგრამ, ვინაიდან დასავლეთ მკლავის რესტავრაციასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები შეიქმნა, აუცილებელია, აქ სამუშაოები გაგრძელდეს საქართველოს საპატრიარქოს, კულტურის სამინისტროსა და იუნესკოს წარმომადგენლებთან შეთანხმებული პროექტით.
4. განხილული იყო საკითხი ახალი ტიპის პირადობის მოწმობებთან დაკავშირებით. წმინდა სინოდი აცხადებს: სადღეისოდ წარმოდგენილი I ბარათის ვერსია, საღვთისმეტყველო და საეკლესიო სწავლების მიხედვით, არ არის ანტიქრისტეს ბეჭედი და აქედან გამომდინარე, ამ ბარათით სარგებლობა შესაძლებელია, მაგრამ, რადგანაც ეს საკითხი იწვევს საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას, ეთხოვოს საქართველოს მთავრობას, თუ არის შესაძლებელი, დაშვებულ იქნას ალტერნატიული პირადობის დამადასტურებელი საშუალებები.
5. სხდომაზე ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოს მელქისედეკის (ხაჩიძე) წარდგინებით, წმინდანად შეირაცხა საინგილოში მოღვაწე, რწმენისთვის თავდადებული მღვდელი, მიხეილ-მიქაელ ყულოშვილი (1842-1918 წ.წ.). მისი ხსენების დღედ დადგინდა 5 ივლისი.

6. წმინდა სინოდმა მოისმინა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) მოხსენება საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემატიკასთან დაკავშირებით და განაჩინა: ვინაიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში და განსაკუთრებით, XX ს-ში, - კომუნისტების მმართველობის ხანაში, მიზანმიმართულად შეიცვალა და გაყალბდა შეხედულება საქართველოს ეკლესიის საზღვრების შესახებ, მკვიდრდებოდა რა აზრი, თითქოს დასავლეთ

საქართველო IV-X საუკუნეებში, ანუ 600 წლის მანძილზე, არ იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, ამასთან, თითქოს, ჩრდილო, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში ასევე არ შედიოდა ჩვენი ზოგიერთი ისტორიული რეგიონი, დაევალოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტს, გადადგას რეალური, დროული და ქმედითი ნაბიჯები ათეისტურ პერიოდში შემუშავებული იდეოლოგიის ნაცვლად საქართველოს ეკლესიის ნამდვილი ისტორიის წარმოჩენისა და პოპულარიზაციისათვის.

ხელი შეეწყოს მეუფე ანანიას (ჯაფარიძე) მიერ წარმოდგენილი მასალების დაბეჭდვას და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობილი იმ ჭეშმარიტი აზრის განმტკიცებას, რომ "წმინდა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა," ხოლო წმინდა ნინომ "განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა." (დიდი სჯულის კანონი, 1974, გვ.545-546) და რომ ამას მოწმობენ უცხოური წყაროებიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ აზრს სრულად იზიარებს ბატონი ივანე ჯავახიშვილი. იგი წერს: "ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ." (ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ.47.)

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

უწმიდესი ილია II და წმ. სინოდი არასწორი ისტორიოგრაფიული თეორიების შესახებ

უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ თავის რამდენიმე ეპისტოლესა და ქადაგებაში დასვა და განიხილა ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემატიკური საკითხები, რომლებიც მის უწმიდესობას მიაჩნია პრიორიტეტულად საზოგადოების სულიერი შემობრუნების გზაზე.

2011 წლის საშობაო ეპისტოლეში უწმიდესი პატრიარქი აღნიშნავს: "**ჩვენი უძველესი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხი, რაც ქართველთა წარმომავლობასა და ერის ერთიანობას უკავშირდება, რეალური სახით თანამედროვე საზოგადოებამ ნაკლებად იცის. ამის მიზეზი არის ის, რომ ცარიზმი და საბჭოთა იმპერია ყოველთვის ცდილობდნენ იგი არაობიექტურად წარმოეჩინათ. მათ არ სურდათ, ჩვენს ხალხში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება, რადგან იგი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნის საშიშროებას შეიცავდა. არაობიექტურად მიწოდებული ისტორიის საფუძველზე, სრულიად უკანონოდ და უსამართლოდ შეიქმნა, მაგალითად, ავტონომიები XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში. ადრეც მითქვამს, რომ სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულ ცენზურას განიცდიდა ქართული ისტორიოგრაფია, ენათმეცნიერება და სხვა ისეთი მიმართულებები, რომელნიც მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ დარგებად მიიჩნეოდა. ჩვენს ცნობილ მკვლევარებს დიდი ძალისხმევა და თავდადება დასჭირდათ, რათა ნაწილობრივ მაინც გადაერჩინათ და დღემდე მოეტანათ ჩვენი ერის ისტორიული სიმართლე. ახლა კი, როდესაც აღსდგა საქართველოს თავისუფლება, აუცილებელია, შეგნებულად დაფარული წარსულის წარმოჩენა და საქართველოს ობიექტური მატიანის დაწერა უხსოვარი დროიდან დღემდე (აღნიშნულ საკითხზე ბოლო სხდომაზე იმსჯელა წმ. სინოდმა და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება). ამას ჯერ კიდევ XIX ს-ში და XX ს-ის დასაწყისში ცდილობდნენ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილნი, მაგრამ მათი ნააზრევი მაშინდელი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საპირწონედ, ბუნებრივია, ვერ იქცა**".

ქართული თანამედროვე ისტორიოგრაფიის პრობლემატიკური საკითხების რკვევას მისმა უწმიდესობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია 2006 წლიდან. ამ წლის საშობაო ეპისტოლეში მან აღნიშნა, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია სამწუხაროდ ვერ აცდა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ საისტორიო მეცნიერებაში დანერგილ თეორიას, რომლის მიხედვითაც ქართველი ერის მთლიანობა და მისი უფლებები საქართველოს მიწა-წყალზე საეჭვოდ ჩანდა. ამასთან დაკავშირებით ილია II წერს: "**წმინდა ილია მართალი თავის პუბლიცისტურ წერილებში ებრძოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნილ ანტიქართულ ისტორიოგრაფიულ თეორიას, რომლის მიხედვითაც ერთიანი ქართველი ერი წარმოდგენილი იყო განსხვავებული ტომების ხელოვნურ გაერთიანებად. აღნიშნული კამპანიის გაგრძელება იყო ის, რომ იმპერიულმა ძალებმა დაიწყეს მეგრულად და სვანურად საღვთისმსახურო წიგნების თარგმნა და სცადეს წირვა-ლოცვის ჩატარებაც, მაგრამ ამ კუთხის შვილებმა და მთელმა ქართულმა საზოგადოებამ მათ საკადრისი პასუხი გასცა. ეს იყო ნელი მოქმედების იდეოლოგიური ნაღმი; ამ ნაღმმა ჩვენ დღევანდელ მდგომარეობამდე მიგვიყვანა და ძმობა და ერთობა დაგვარღვევინა**"- წერს უწმიდესი პატრიარქი 2006 წლის საშობაო ეპისტოლეში.

საქმე ისაა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამჟამად მკვიდრად დანერგილი თეორიით დასავლეთ საქართველო 600 წლის მანძილზე იმყოფებოდა არა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, არამედ უცხო (კონსტანტინეპოლის) საპატრიარქოში. ამ თეორიის თანახმად, რომელიც ასახულია ყველა ცნობარსა,

სასკოლო სახელმძღვანელოსა და საენციკლოპედიო სტატიაში თითქოს ქართლის (მცხეთის) საკათალიკოსო IX-X ს.-ში "შეიჭრა" დასავლეთ საქართველოს (კონსტანტინეპოლის) საპატრიარქოს იურისდიქციაში და ბერძნული ეპარქიების გაუქმების შემდგომ დასავლეთ საქართველოში თვითონ გაბატონდა- „IX საუკუნიდან მთელ დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესია გაბატონდა" (ქსე, ტ. 10, გვ. 460). საბჭოთა ეპოქაში გავრცელდა ასეთი უმართებულო თვალსაზრისი – „დასავლეთ საქართველოში ბერძნული კათედრების მოშლა და მათ საპირისპიროდ ქართული საეპისკოპოსო ცენტრების დაარსება საბოლოოდ X საუკუნეში სრულდება" (ნარკვევები, ტ. II, 1973, გვ. 427). თუ როგორი „რეაქციული იყო ქართული ეკლესიის პროზელიტიზმი – კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შეჭრა" - ამის შესახებ ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფია წერს: „ქართველები დასავლეთ საქართველოდან სდევნიან ბერძნულ ენას, ბერძნულ ვიწრო ეროვნულ კულტურას, შემოაქვთ და ავრცელებენ საკუთარ, ქართულ ენას, ქართულ ღვთისმსახურებას და ქართულ საეკლესიო-სამონასტრო წესებს. ქართულ კულტურას თან მოჰქონდა ქართული პოლიტიკური შეგნება და იდეალი, ასე რომ „მცხეთა ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ელემენტზე დაყრდნობით) შეიჭრა ლიხთ-იმერეთში, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, ფორმულა წამოაყენა თავისი ორგანიზაციული გაბატონების დასასაფუძვლებლად - ცხადია, მცხეთის საკათალიკოსოს მხრივ, ეს არის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით" (იქვე, ნარკვ. II. 1973, გვ. 586).

ქართველ ავტორებზე დაყრდნობით საეკლესიო სეპარატისტი დ. დბარი ეჭვმიუტანელ ფაქტად მიიჩნევს თვალსაზრისს, რომ დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა და იქ ღვთისმსახურებისათვის ეკლესიებში არამხოლოდ ბერძნული, არამედ აფხაზური ენაც გამოიყენებოდა, ხოლო შემდეგ თითქოსდა დასავლეთ საქართველოს ეკლესია და აფხაზური სახელმწიფო ქართველმა აგრესორებმა ქართული ეკლესიის წინამძღოლობით დაიპყრეს და აფხაზური ეკლესია ჩაკლეს (იხ. წიგნში Иермонах Дорофей "Дбар" (Краткий очерк истории Абхаской Православной Церкви) Новий Афон).

ამ თეორიით არა მხოლოდ დასავლეთ საქართველო, თითქოს კახეთის დიდი ნაწილიც კი უცხო ეკლესიის იურისდიქციაში იყო. თანამედროვე ისტორიოგრაფიის მიერ მიჩნეულია, რომ ბოდბე, დავით გარეჯას მიმდებარე ტერიტორიები თითქოს შედიოდა ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში და მხოლოდ შემდგომ გაბატონდა იქ ქართული ეკლესია (Православная энциклопедия, т.1, სტატია "ალბანეთის საკათალიკოსო").

„პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" ტომეულებში, დასავლეთ საქართველოს მსგავსად, სამხრეთ საქართველოც არაქართულ ქვეყნადაა გამოცხადებული, სადაც, თითქოსდა, ქართული ეკლესიის გაბატონების შემდეგ მოხდა მკვიდრი „სომხების" გაქართველება. „სომხების" გაქართველების „თვალსაზრისი" იმდენადაა გავრცელებული, რომ მან უკვე ქართულ საეკლესიო გამოცემებშიც შეაღწია. მაგალითად, კირიონ I კათალიკოსმა თითქოსდა ქვემო ქართლში „არაქართული მოსახლეობის გასაქართველებლად მარჯვედ გამოიყენა პოლიტიკური ვითარება" მიიჩნევა, რომ ტაო-კლარჯეთი, ბასიანი და მიმდებარე რეგიონები თავდაპირველად იყო სომხური ეთნიკური რეგიონი. შესაბამისად ბანას, ხახულის, ოშკის და სხვა ეკლესიები მიიჩნევა სომხური არქიტექტურის ძეგლებად და ისინი მხოლოდ იმიტომ აღმოჩნდნენ ქართული ეკლესიის წიაღში, რომ მკვიდრი სომხური მოსახლეობა გაქართველდა "ქართიზაციის" შედეგად (Православная энциклопедия, т.1, სტატია „სომხური ეკლესია")

ასევე სადავოდაა ქცეული ქართველთა უფლება საქართველოს სხვა ისტორიულ რეგიონებზე.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში დანერგილი ამ თვალსაზრისის გამო ქართველ ავტორებს ძალზე ხშირად უთითებენ სეპარატისტები თავიანთ შრომებში. ამ ნაშრომებით მათ საერთაშორისო საეკლესიო წრეებიც კი დააინტერესეს. ამის გამო საგანგებოდ იმსჯელა წმ. სინოდმა 2012 წ. 5 ივლისს და მიიღო განჩინება: **„ვინაიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში და, განსაკუთრებით, XX ს-ში, - კომუნისტების მმართველობის ხანაში, მიზანმიმართულად შეიცვალა და გაყალბდა შეხედულება საქართველოს ეკლესიის საზღვრების შესახებ, მკვიდრდებოდა რა აზრი, თითქოს დასავლეთ საქართველო**

IV-X საუკუნეებში, ანუ 600 წლის მანძილზე, არ იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, ამასთან, თითქოს, ჩრდილო, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში ასევე არ შედიოდა ჩვენი ზოგიერთი ისტორიული რეგიონი, დაევალოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტს, გადადგას რეალური, დროული და ქმედითი ნაბიჯები ათეისტურ პერიოდში შემუშავებული იდეოლოგიის ნაცვლად საქართველოს ეკლესიის ნამდვილი ისტორიის წარმოჩენისა და პოპულარიზაციისათვის. ხელი შეეწყოს მეუფე ანანიას (ჯაფარიძე) მიერ წარმოდგენილი მასალების დაბეჭდვას და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობილი იმ ჭეშმარიტი აზრის განმტკიცებას, რომ „წმინდა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა," ხოლო წმინდა ნინომ „განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა." (დიდი სჯულის კანონი, 1974, გვ. 545-546) და რომ ამას მოწმობენ უცხოური წყაროებიც. აღსანიშნავია ისიც რომ ამ აზრს სრულად იზიარებს ბატონი ივანე ჯავახიშვილი. იგი წერს: „ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ". (ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 47) - აღნიშნავს წმ. სინოდი.

საზოგადოდ, როგორც მეფის რუსეთის იმპერიაში ისე საბჭოთა კავშირში ისტორია იყო ის სამეცნიერო დარგი, რომელიც რუსეთის იმპერიის მიერ გამოიყენებოდა როგორც იდეოლოგია დაპყრობილი ერების დაშლა-დანაწევრების მიზნით. ამიტომაც, როგორც წესი ყოველთვის ძალზე ყალბდებოდა ის.

ამ ფაქტს მიუთითებს კიდევაც უწმიდესი პატრიარქი ილია II.

ყოველ შემთხვევაში, როგორც ითქვა საქართველოს ეკლესიის ინტერესებს შემაშფოთებლად აზარალებს ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში შექმნილი და ამჟამად გაბატონებული საისტორიო თეორიები.

ამ საკითხს ეძღვნება მრავალი გამოკვლევა, წმიდა სინოდის დადგენილებები და პატრიარქის ეპისტოლეები.

წმ. სინოდმა სხვადასხვა წლებში ორჯერ მიიღო დადგენილება ისტორიის პრობლემატიკასთან დაკავშირებით.

კერძოდ, **2011 წლის 20 დეკემბერს** წმ. სინოდმა თავის სხდომაზე მიიღო შემდეგი დადგენილება **„საბჭოთა პერიოდში ხდებოდა საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის გაყალბება. შეცდომების გამოსასწორებლად შეიქმნას ისტორიკოსთა ჯგუფი მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ხელმძღვანელობით"**.

ხოლო წმ. სინოდის მეორე სხდომა, რომელმაც მიიღო საგანგებო დადგენილება საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემატიკასთან დაკავშირებით შედგა 2012 წლის 5 ივლისს.

წმ. სინოდის 2012 წლის 5 ივლისის დადგენილებაში ნათქვამია –**„XIX ს. მეორე ნახევარში და განსაკუთრებით XX ს. კომუნისტების მმართველობის ხანაში მიზანმიმართულად შეიცვალა და გაყალბდა შეხედულება საქართველოს ეკლესიის საზღვრების შესახებ ..."**

წმიდა სინოდმა საგანგებოდ დაავალა ანდრია პირველწოდებულის საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტს გადადგას რეალური, დროული და ქმედითი ნაბიჯები ათეისტურ პერიოდში შემუშავებული იდეოლოგიის ნაცვლად საქართველოს ეკლესიის ნამდვილი ისტორიის პოპულალიზაციისა და წარმოჩენისათვის. წმ. სინოდმა მიუთითა კიდეც გზები ამ პრობლემის გადასაწყვეტად. ცხადია წმინდა სინოდის დადგენილება ეხება საპატრიარქოს ყველა სასწავლო დაწესებულებას.

საერთოდ კი აღნიშნული პრობლემატიკური საკითხები ამჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიისა იმდენად მნიშვნელოვანი არის საქართველოს სახელმწიფოებრივი განმტკიცებისა და ქართველი ერის მთლიანობისათვის, რომ უწმიდესმა პატრიარქმა 2009 წლის 10 ივლისს თავის 76-ე ბრძანებით შექმნა საპატრიარქოსთან არსებული კომისია, რომელსაც ევალება საქართველოს რეალური ისტორიის დადგენა.

უწმიდესი პატრიარქის 2009 წლის ბრძანებაში ნათქვამია – **"საქართველოს საპატრიარქოსთან**

შეიქმნას საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ხელმძღვანელობით“

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო დაწესებულებებმა, კერძოდ კი საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინონ საქართველოს ეკლესიის მეთაურის, უწმიდესი პატრიარქის მითითებები და ასევე წმ. სინოდის დადგენილებები საქართველოს ამჟამინდელი ისტორიოგრაფიასთან დაკავშირებით და **გადადგას რეალური, დროული და ქმედითი ნაბიჯები ათეისტურ ეპოქაში შემუშავებული იდეოლოგიის ნაცვლად საქართველოს ეკლესიის ნამდვილი ისტორიის წარმოჩენისა და პოპულარიზაციისათვის.**

საქართველოს საპატრიარქოს რეალური ისტორიის დამდგენი კომისიის
თავმჯდომარე, წმიდა სინოდის წევრი, მანგლელ-წალკელი მიტროპოლიტი ანანია

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს 2012 წლის საშობაო ეპისტოლე

(ამონარიდი)

,,უნდა შევქმნათ კონკურენტუნარიანი საინფორმაციო გარემო, რომელიც ფასეულობებს დაეფუძნება და მათ თანამედროვეობასთან შეაზავებს. ეს დაეხმარება ახალგაზრდებს დამოუკიდებლად გასცენ პასუხი დროის გამოწვევებს. ამაშია საქართველოს გადარჩენა.

თქვენს ყურადღებას საქართველოს ისტორიაზე შევაჩერებ.

სამწუხაროდ, **ჩვენი უძველესი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხი, რაც ქართველთა წარმომავლობასა და ერის ერთიანობას უკავშირდება, რეალური სახით თანამედროვე საზოგადოებამ ნაკლებად იცის. ამის მიზეზი არის ის, რომ ცარიზმი და საბჭოთა იმპერია ყოველთვის ცდილობდნენ, იგი არაობიექტურად წარმოეჩინათ. მათ არ სურდათ, ჩვენს ხალხში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება, რადგან იგი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნის საშიშროებას შეიცავდა. არაობიექტურად მიწოდებული ისტორიის საფუძველზე, სრულიად უკანონოდ და უსამართლოდ შეიქმნა, მაგალითად, ავტონომიები, XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში. ადრეც მითქვამს, რომ სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულ ცენზურას განიცდიდა ქართული ისტორიოგრაფია,** ენათმეცნიერება და სხვა ისეთი მიმართულებები, რომელნიც მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ დარგებად მიიჩნეოდა. ჩვენს ცნობილ მკვლევარებს დიდი ძალისხმევა და თავდადება დასჭირდათ, რათა ნაწილობრივ მაინც გადაერჩინათ და დღემდე მოეტანათ ჩვენი ერის ისტორიული სიმართლე. **ახლა კი, როდესაც აღსდგა საქართველოს თავისუფლება, აუცილებელია, შეგნებულად დაფარული წარსულის წარმოჩენა და საქართველოს ობიექტური მატიანის დაწერა უხსოვარი დროიდან დღემდე** (აღნიშნულ საკითხზე ბოლო სხდომაზე იმსჯელა წმ. სინოდმა და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება). **ამას ჯერ კიდევ XIX ს-ში და XX ს-ის დასაწყისში ცდილობდნენ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილნი, მაგრამ მათი ნააზრევი მაშინდელი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საპირწონედ, ბუნებრივია, ვერ იქცა“.**

თქვენთვის მლოცველი

ამონარიდი 2006 წ. საშობაო ეპისტოლედან

„მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის მთლიანობის აღდგენის საკითხი. საქართველოსთვის გარეშე ძალების მიერ თავსმოხვეული შიდა კონფლიქტები, რომელსაც არასწორად ეთნოკონფლიქტებსაც უწოდებენ, ორასი წლის მანძილზე მტრული ძალების მიერ წარმოებული ინფორმაციული ომის შედეგიცაა.

მავანნი დღესაც ცდილობენ შეუქმნან საერთაშორისო საზოგადოებას არასწორი წარმოდგენა იმის შესახებ, თითქოს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ისტორიულად არაქართული ტერიტორიებია.

ისტორიოგრაფია, ენათმეცნიერება, არქეოლოგია... ნაწილობრივ პოლიტიზირებული მეცნიერებებია და, ბუნებრივია, ყოველი ქვეყანა, თავის ინტერესებიდან გამომდინარე, იყენებს მათ. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია იმპერიებისათვის, რომელნიც ამ მეთოდით ცდილობენ გაიმყარონ თავისი პოზიციები (გათიშე და იბატონეს პრინციპი).

ჯერ კიდევ წმინდა ილია მართალი თავის პუბლიცისტურ წერილებში ებრძოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნილ ანტიქართულ ისტორიოგრაფიულ თეორიას, რომლის მიხედვითაც ერთიანი ქართველი ერი წარმოდგენილი იყო განსხვავებული ტომების ხელოვნურ გაერთიანებად. აღნიშნული კამპანიის გაგრძელება იყო ის, რომ იმპერიულმა ძალებმა დაიწყეს მეგრულად და სვანურად საღვთისმსახურო წიგნების თარგმნა და სცადეს წირვა-ლოცვის ჩატარებაც, მაგრამ ამ კუთხის შვილებმა და მთელმა ქართულმა საზოგადოებამ მათ საკადრისი პასუხი გასცა.

ეს იყო ნელი მოქმედების იდეოლოგიური ნაღმი; ამ ნაღმმა ჩვენ დღევანდელ მდგომარეობამდე მიგვიყვანა და ძმობა და ერთობა დაგვარღვევინა“.

ამონაწერი სინოდის სხდომისა
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
წმინდა სინოდის სხდომის ოქმი
20 დეკემბერი 2011 წელი

2011 წლის 20 დეკემბერს შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომა. წმინდა სინოდმა განიხილა სხვადასხვა საკითხები და მიიღო შესაბამისი დადგენილებები:

სინოდმა განაჩინა:

„დ) საბჭოთა პერიოდში ხდებოდა საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის გაყალბება. შეცდომების გამოსასწორებლად შეიქმნას ისტორიკოსთა ჯგუფი მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ხელმძღვანელობით“.

სამეცნიერო-ისტორიული კრებული სვეტიცხოველი
Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
380005, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედ. №1
ტელ: 99 03 78, 98 95 41 ფაქსი: (995 32) 98 71 14

CATHOLICOS PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1 King Erekle II sq., Tbilisi 380005, Georgia.
Tel.: 99 03 78, 98 95 41 FAX: (995 32) 98 71 14

ბრძანება № 76

სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი

10 ივლისი, 2009 წელი

XIX - XX საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების პერიოდში მიზანმიმართულად ყალბდებოდა საქართველოს ისტორია და ენათმეცნიერების საფუძვლები.

ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ:

I. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძის) ხელმძღვანელობით;

II. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია პროფესორ მანანა ტაბიძის ხელმძღვანელობით.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

2012 წლის 5 ივლისის წმინდა სინოდის სხდომის ოქმი

(მოკლე ვარიანტი)

2012 წლის 5 ივლისს საქართველოს საპატრიარქოში შედგა წმინდა სინოდის მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II.

6. წმინდა სინოდმა მოისმინა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) მოხსენება საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემატიკასთან დაკავშირებით და განაჩინა: ვინაიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში და, განსაკუთრებით, XX ს-ში, - კომუნისტების მმართველობის ხანაში, მიზანმიმართულად შეიცვალა და გაყალბდა შეხედულება საქართველოს ეკლესიის საზღვრების შესახებ, მკვიდრდებოდა რა აზრი, თითქოს დასავლეთ საქართველო IV-X საუკუნეებში, ანუ 600 წლის მანძილზე, არ იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, ამასთან, თითქოს, ჩრდილო, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში ასევე არ შედიოდა ჩვენი ზოგიერთი ისტორიული რეგიონი, დაევალოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტს, გადადგას რეალური, დროული და ქმედითი ნაბიჯები ათეისტურ პერიოდში შემუშავებული იდეოლოგიის ნაცვლად საქართველოს ეკლესიის ნამდვილი ისტორიის წარმოჩენისა და პოპულარიზაციისათვის.

ხელი შეეწყოს მეუფე ანანიას (ჯაფარიძე) მიერ წარმოდგენილი მასალების დაბეჭდვას და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობილი იმ ჭეშმარიტი აზრის განმტკიცებას, რომ "წმინდა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა," ხოლო წმინდა ნინომ "განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა." (დიდი სჯულის კანონი, 1974, გვ. 545-546) და რომ ამას მოწმობენ უცხოური წყაროებიც.

აღსანიშნავია ისიც რომ ამ აზრს სრულად იზიარებს ბატონი ივანე ჯავახიშვილი. იგი წერს: "ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ." (ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ.47.).

საპატრიარქოს უწყებანი №27, 12-20 ივლისი, 2012 წ.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

აბაზგიის ეპარქია

XX ს.-ში ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბდა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის საკათალიკოსი ჩამოყალიბდა არა ქართული ეკლესიის წიაღში, არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს - აბაზგიისა და ლაზიკის ეპარქიების გაერთიანების შედეგად.

ეს დასკვნა ეწინააღმდეგება ძველქართულ საეკლესიო წყაროებს ამ საკითხთან დაკავშირებით (მაგალითად, ცნობას -„ამან ბაგრატ (ქართველთა მეფემ) განაჩინა კათალიკოსი აფხაზეთს“, ასევე რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მიერ გამოცემული „ძეგლისწერის“ ცნობებს და სხვ.). ამ მიზეზის გამო აღნიშნული მკვლევარები უნდობლობას უცხადებენ ქართულ წყაროებს და, როგორც ისინი აცხადებენ, თავიანთ მოსაზრებას ამყარებენ ბიზანტიურ წყაროებზე.

განვიხილოთ შესაბამისი ბიზანტიური წყაროები, კერძოდ კი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხები (ნოტიციები) და პროკოფი კესარიელის ცნობები (რადგანაც, როგორც ითქვა, ქართველი მკვლევარები მათ ასახელებენ წყაროებად აბაზგიის ეპარქიის შესახებ მსჯელობისას).

ჩვენამდე მოღწეულ ყველა ნოტიციაში „აბაზგიის ეპარქიის“ საკითხი დაკავშირებულია „სებასტოპოლის ავტოკეფალიასთან“.

სებასტოპოლის (სებასტოპოლისის, სებასტუპოლის) ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო ნახსენებია სულ ოთხ ნოტიციაში.

ამ ოთხი ნოტიციიდან 2 ნოტიციაში (VI-სა და VIII-ში) სებასტოპოლის ავტოკეფალია შედის „ამასიის ეპარქიაში“, ხოლო დარჩენილ 2 ნოტიციაში (I-სა და VII-ში) სებასტოპოლის ავტოკეფალია შედის „აბაზგიის ეპარქიაში“ (გეორგიკა, IV, ნაწ. II, გვ. 120-141).

ამ შეუსაბამობის გამო მეცნიერთა წინაშე დაისვა საკითხი, სინამდვილეში რომელ ეპარქიაში შედიოდა სებასტოპოლისის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო - აბაზგიის ეპარქიაში თუ ამასიის ეპარქიაში?

თავისთავად სებასტოპოლისი იყო საკმაოდ ცნობილი ციხე-სიმაგრე, სადაც ბიზანტიური სამხედრო დანაყოფი იდგა, ამიტომაც ის ნახსენებია ასევე სხვა წყაროში, კერძოდ, V ს-ის სამოხელეო ჩამონათვალის სიაში (Notitia dignitaum).

Notitia dignitaum-ში აღნიშნულია, რომ **სებასტოპოლსა და პიტიუნტში თავისი ჯარები განლაგებული ჰყავდა არმენიის დუკას.**

ბიზანტიის იმპერიამ თავის მიერ დაპყრობილ არმენიასა და პონტოსპირეთში ჩამოაყალიბა სამხედრო ოლქი, რომლის მეთაურსაც მიენიჭა ტიტული „არმენიის დუკა“ (Dux).

Notitia dignitaum-ის სიაში ჩამოთვლილია, რომ **არმენიის დუკას თავისი სამხედრო დანაყოფები ჰყავდა - „ტრაპეზუნტში, რიზეში, კენეპარამბოლეში, ზიგანასთან, მოხორაში, უსიპორტში, პიტიაში (პიტიუნტსა) და სებასტოპოლისში“** (გეორგიკა I, 1961, გვ. 175).

ამ პუნქტების ადგილსამყოფელის შესახებ ნ. ადონციმ თავის ცნობილ ნაშრომში „არმენია იუსტინიანეს ეპოქაში“ (1908) დაასკვნა:

„არმენიის დუკა თავის ძალაუფლებას ვერ ავრცელებდა ისეთ დაშორებულ რეგიონში, როგორიცაა აფხაზეთი, ამიტომაც ნოტიციებსა და აღნიშნულ სამოხელეო ჩამონათვალში სებასტოპოლისი უნდა ვეძებოთ არა აფხაზეთში, არამედ პონტოსპირეთში“ (ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ. გვ. 206).

ნ. ადონციმ (და შემდეგ პ. ინგოროყვამ) დაადგინეს, რომ პიტიუნტი მდებარეობდა რიზე-ათინას

რეგიონში, სებასტოპოლისი კი პიტიუნტის სიახლოვეს, ნ. ადონცის აზრით სებასტოპოლისი ათინას რეგიონში მდებარეობდა, რადგანაც, მისი აზრით, აქამდე აღწევდა არმენიის დუკას სამხედრო ოლქის საზღვარი.

ამასთანავე, ის აღნიშნავდა, რომ „სებასტოპოლისის" სახელი ასევე პონტოს რეგიონში ერქვა მის მეორე კუთხეში მდებარე ქალაქს, რომელიც ამასიასთან ახლოს მდებარეობდა.

შემდეგში **ს. ყაუხჩიშვილმა სებასტოპოლისის საკითხი დაუკავშირა აღნიშნულ ქალაქ ამასიას**. ისაა ნახსენები ნოტიციებში.

როგორც აღინიშნა, ორ ნოტიციაში სებასტოპოლისის საარქიეპისკოპოსო შედის ამასიის ეპარქიაში, ეს ფაქტი აღძრავდა მრავალ კითხვას.

ს. ყაუხჩიშვილმა ასე გადაჭრა ეს საკითხი - მან მიიჩნია, რომ ეს ფაქტი არის ნოტიციების შეცდომა, რომ ნოტიციებში უნდა ეწეროს არა სიტყვა „ამასია" არამედ სიტყვა „აბასგია".

შემდგომში თავისი მოსაზრების შესაბამისად, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხების გამოქვეყნების დროს, **ს. ყაუხჩიშვილმა ბერძნულ ნუსხებში შეცვალა სიტყვა „ამასია" სიტყვა „აბაზგიით"**.

კერძოდ, ნოტიცია VI-ში მას შეხვდა ასეთი წინადადება - **„35, ეპარქია ამასიისა „ სებასტოპოლის არქიეპისკოპოსი" (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, ტომი IV, ნაწილი მეორე, 1952, გვ. 139)**.

მან ამ წინადადებას დაურთო შემდეგი შენიშვნა - **„აშკარა შეცდომაა, უნდა იყოს Abasgias (Abasgias→Amasgias→Amasias) (გეორგიკა, IV, ნაწ. II, გვ. 139, შენიშვნა 2)**.

შემდეგ კი მან მის მიერ გამოქვეყნებულ კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსოთა ნოტიციების საგანგებო ცხრილში სიტყვა **„ამასიის"** მაგიერ დაწერა სიტყვა **„აბასგია"**, ოღონდ არა ქართული შრიფტით, არამედ ბერძნულით, ამით კი მკითხველს შეექმნა მყარი შთაბეჭდილება, რომ ბერძნულ დედანში თითქოსდა ნამდვილად ეწერა სატყვა „აბაზგია", მაშინ, როცა ნოტიციების დედანში ეწერა „ამასია".

კერძოდ, აღნიშნულ ნოტიციათა ნუსხაში **ნოტიცია VI-ში მან დაწერა Abasgias, Sebastopouleos ბერძნული შრიფტით** (იხ. ნუსხა ნოტიციებისა გეორგიკა, IV, ნაწ. II, 1952, გვ. 192-სა და გვ. 193-ს შუა ფურცელი), მაშინ როცა ბერძნულ დედანში ეწერა „**Amasias, Sebastopouleos**".

იგივე ქმედება გამეორდა მეორეჯერაც, კერძოდ, მან ნოტიცია VI-ის გარდა ასევე ნოტიცია VIII-შიც შეცვალა სიტყვა „ამასია" სიტყვა "აბაზგიით".

კერძოდ, 141-ე გვერდზე ნოტიცია VIII -ში მან სიტყვა „ამასიას" დაურთო შენიშვნა - **„უნდა იყოს Abasgias -„აბასგიისა" (იქვე, გვ. 139)**.

შემდეგ კი მან ნუსხებში ნოტიცია VIII-შიც „ამასიას" მაგივრად დაბეჭდა სიტყვა „აბაზგია" ბერძნული შრიფტით (იხ. ნოტიციათა ცხრილი, ფურცელი მოთავსებული გვ. 192-სა და გვ. 193-ს შუა, გეორგიკა, IV, ნაწ. II).

ს. ყაუხჩიშვილის შესწორებათა შედეგად მკითხველს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ „სებასტოპოლისი" იყო არა პონტოს რეგიონში არამედ აფხაზეთში, რადგანაც როგორც ითქვა მან ორ - **ნოტიცია VI-სა და VIII-ში დაწერა - „Abasgias Sebastopouleos", მაშინ როცა უნდა დაეწერა - „Amasias Sebastopouleos" (იხ. გეორგიკა, IV, ნაწ. II, ფურცელი 192 გვერდსა და 193-ე გვერდს შორის)**, ისევე როგორცაა აღნიშნულ ნოტიციებში და მისი შეცვლა-სწორება არ იყო საჭირო.

ნოტიციათა დედნებში ამ ჩასწორებას, მათ ამ ცვლილებას ცხადია მოჰყვა თავისი თეორიული მსჯელობაც.

კერძოდ, შესაბამის სამეცნიერო წრეებში შეიქმნა შთაბეჭდილება თითქოსდა აფხაზეთში ნიკოლოზ მისტიკოსის დროს არსებობდა სებასტოპოლისის ბერძნული კათედრა კონსტანტინოპოლის დაქვემდებარების ქვეშ. ამიტომაც დაწერა კიდევაც ს. ყაუხჩიშვილმა:

„ნიკოლოზ მისტიკოსს ახალ საეკლესიო ეკთესისში, რომელიც მან 901-907 წლებში შეადგინა

ლეონ კეისართან ერთად კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ კათედრათა შორის შეაქვს (ძველი ტრადიციით) „სებასტოპოლის (ცხუმის) საარქიეპისკოპოსო აფხაზეთში“, თუმცა ეს უკანასკნელი კათედრა ფაზისის მიტროპოლიასთან და ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსო კათედრასთან ერთად უკვე მცხეთის საკათალიკოსოს განმგებლობაშია (იხ. ზემოთ გვ. 194-196 და განსაკუთრებით გვ. 201)“ - წერს ის.

ყოველივეს შეჯამების შემდეგ ს. ყაუხჩიშვილი ნიკოლოზ მისტიკოსის მიერ შედგენილ X ბ ნოტიციის განხილვის დროს წერს:

„ამ ნოტიციაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება: საარქიეპისკოპოსოთა ნუსხაში 47-ე წერია სებასტოპოლი, ხოლო კონსტანტინე პორფიროგენეტის დროინდელ რედაქციაში სებასტოპოლის (ე.ი. აფხაზეთის) საარქიეპისკოპოსო აკლია“ (გეორგიკა, IV, ნაწ. II გვ.196).

ამის მიზეზად მას მიაჩნია შემდეგი:

„კონსტანტინე პორფიროგენეტის მეფობის წინა ხანებში აფხაზეთის საარქიეპისკოპოსო ჩამოშორდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და დაუკავშირდა მცხეთის საკათალიკოზოს“, - წერს ის, თუმცა კი მიიჩნევს, რომ, როგორც ითქვა, ნიკოლოზ მისტიკოსმა (კონსტანტინოპოლის პატრიარქმა), თითქოსდა **„ძველი ტრადიციით სევასტოპოლის (ცხუმის) საარქიეპისკოპოსო შეიტანა კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ კათედრათა შორის“ (იქვე, გვ. 216).**

ისმის კითხვა, თუკი ეს სებასტოპოლისი აფხაზეთის ცხუმია და ის ნიკოლოზ მისტიკოსს მიაჩნდა თავის კათედრად, და თუ ეს კათედრა აფხაზთა მეფეებმა გააუქმეს და მცხეთას დაუქვემდებარეს, რატომ არ გამოთქვამს ამ მტაცებლობის გამო თავის პროტესტს ნიკოლოზ მისტიკოსი სწორედ ამ აფხაზთა მეფეებისადმი გაგზავნილ ცნობილ წერილებში?

სინამდვილეში ნოტიციებში ნახსენები სებასტოპოლისი (და შესაბამისად სებასტოპოლისის საარქიეპისკოპოსო) მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ ამასიას რეგიონში, ქართული ეკლესიის იურისდიქციის ფარგლებს გარეთ, ძვეთაგანვე კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებაში.

ამ სებასტოპოლისს არაფერი აკავშირებდა არც აფხაზეთთან და არც ცხუმთან, ის არსებობდა ზემოთ აღნიშნულ X საუკუნის დასაწყისშიც და ამიტომ შეიყვანა ის ნიკოლოზ მისტიკოსმა თავის მიერ შედგენილ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხებში 901-907 **წლებში.**

ნოტიციებში ნახსენები „სებასტოპოლისი“ მდებარეობდა ამასიასთან ახლოს და ის იყო მნიშვნელოვანი ქალაქი ეკონომიკურად განვითარებული ამასიას ბიზანტიური რეგიონისა.

მაშასადამე უნდა დავასკვნათ, რომ აბასგიის ეპარქია ნახსენებია არა ოთხ ნოტიციაში, არამედ მხოლოდ ორში.

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა, თუ კი სებასტოპოლისის ავტოკეფალური კათედრა მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ ამასიას რეგიონში, რატომაა ორ ნოტიციაში (I-სა და VII-ში) ნახსენები სიტყვა აბასგია?

მიზეზი ამისა უნდა იყოს შემდეგი გარემოება- აღნიშნული VII-X საუკუნეების **ნოტიციები გადაწერილია ძალზე გვიან XVII-XVIII საუკუნეებში.**

ნოტიციათა გადაწერის ეპოქაში ამასია და პონტოს რეგიონი უკვე დიდი ხნის გამუსლიმანებული იყო, ხოლო ამასიის ძველი ქრისტიანული დიდება დავიწყებული, მაშინ, როცა გადაწერის დროს, XVII-XVIII საუკუნეებში, აფხაზეთის საკათალიკოსო ქრისტიანულად გაძლიერებული იყო და ამით სახელგანთქმული. ამ ფაქტმა ჩანს გავლენა იქონია გადაწერისას.

დედანში თავდაპირველად, ჩანს, ეწერა „ეპარქია ამასიისა - სებასტოპოლის ავტოკეფალი“, ხოლო შემდეგ ორ ნოტიციაში სიტყვა „ამასია“ ხელნაწერის გადამწერის შეცდომის შედეგად, შეიცვალა სიტყვა „აბაზგიით“ (აბასგიით).

ამ შეცდომიის მიზეზს გვიხსნის ს. ყაუხჩიშვილი.

ჩვენი ერის სახელოვანმა მეცნიერმა ბატონმა სიმონ ყაუხჩიშვილმა დაადგინა, რომ ეს ორი სიტყვა („ამასია“ და „აბასგია“) ხელნაწერთა გადამწერს შესაძლოა ერთმანეთში არეოდა, რადგანაც ყაუხჩიშვილის მიერ ჩატარებული ეტიმოლოგიური კვლევით, ისინი მსგავსადვე იწერება: „**Abasgias→Amasgias→Amasias**“ (გეორგიკა IV,ნაწ. II,გვ. 139). ამის გამო,მისი დასკვნით,შესაძლოა ასეთი გადასვლა - **Amasias→Abasgias**. ამ მსგავსებამ გადამწერი შეაცდინა და მან სიტყვა „ამასია“ უნებლიეთ შეცვალა მისთვის უფრო ცნობილი სიტყვით - „აბასგიით“.

ჩვენმა საზოგადოებამ უკრიტიკოდ მიიღო ს. ყაუხჩიშვილის შესწორება ნოტიციისა, როცა მან ამასიის ნაცვლად „აბასგია“ დაწერა. ჩვენც გამოვიყენოთ ყაუხჩიშვილის მიერ ჩატარებული ეტიმოლოგიური კვლევა - „**Abasgias→Amasgias→Amasias**“ (გეორგიკა IV, ნაწ. II, გვ. 139). დავეთანხმოთ მას და აღვადგინოთ I და VII ნოტიციების თავდაპირველი სახე, როგორც ითქვა, არსებობს ასეთი გადასვლა - **Amasias→Abasgias**.

მაშასადამე, ჩვენი აზრით თავდაპირველად, დედანში, ეწერა „ეპარქია ამასიისა - სებასტოპოლის ავტოკეფალი“ და არა „ეპარქია აბასგიისა“.

საერთოდ, როგორც ითქვა, **კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსოთა ნუსხებმა (ნოტიციებმა) ჩვენამდე მოაღწია გვიანდელი XVII-XVIII საუკუნეების ხელნაწერების სახით (იქვე, გვ. 140),** ამ დროს უკვე კარგა ხნის გაუქმებული იყო ამასიის ეპარქია, რომელიც ნოტიციათა I წყების შედგენისას ბიზანტიურ პროვინცია „არმენია I-ში“ მდებარეობდა.

იმდენად დაშორებული იყო ნოტიციების გადამწერი (XVII-XVIII სს-ში) ძველ ბიზანტიურ ხანას (VI-VIII სს.), რომ **მას ერთმანეთშიც კი ერევა არა მხოლოდ ამასია და აბასგია, არამედ არმენია I და არმენია II, რასაც ს. ყაუხჩიშვილიც აღნიშნავს.**

ნოტიცია I-ში და ნოტიცია VII-ში მწერალმა მისთვის უცნობი „ამასიის ეპარქიის“ ნაცვლად უნებლიეთ ჩაწერა „აბაზგიის ეპარქია“ და ეს უნებლიე შეცდომა უნდა ყოფილიყო.

დასკვნა: ამჟამად მიღებული თვალსაზრისით აბაზგიის ეპარქია ნახსენებია ოთხ ნოტიციაში, ჩვენ დავადგინეთ, რომ აბაზგიის ეპარქია ნახსენებია არა ოთხ, არამედ მხოლოდ ორ ნოტიციაში- I-სა და VII-ში.

ამ ორ ნოტიციასთან დაკავშირებით ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ თავდაპირველად, I და VII ნოტიციებში ეწერა „ამასიის ეპარქია, სებასტოპოლის (სებასტუპოლის) არქიეპისკოპოსი“ და შემდეგ კი მათში ხელნაწერის გადამწერის მიერ უნებლიედ სიტყვა ამასიის ნაცვლად დაიწერა სიტყვა - აბაზგია და მიღებული იქნა ასე - „აბაზგიის ეპარქია, სებასტოპოლის არქიეპისკოპოსი“.

ამ მოსაზრებას ადასტურებს ის, რომ ამჟამადაც VI და VIII ნოტიციებში სისწორით წერია - **„ამასიის ეპარქია, სებასტოპოლის არქიეპისკოპოსი“**.

ეს სისწორით შედგენილი VI და VIII ნოტიციები, როგორც ითქვა, XX ს-ში თავისი მოსაზრების შესაბამისად შეასწორა ს. ყაუხჩიშვილმა.

VI და VIII ნოტიციებში ს. ყაუხჩიშვილმა სიტყვა ამასიის მაგიერ დაწერა სიტყვა აბასგია.

ამის შედეგად მიღებულმა საერთო სურათმა, რომ თითქოსდა ოთხი ნოტიცია მიუთითებდა „აბაზგიის ეპარქიის“ არსებობას შეცდომა წარმოშვა.

მაშასადამე, აბაზგიის ეპარქიის არსებობა ნოტიციების მიხედვით ძალზე საეჭვოა, უფრო მეტიც, სხვა წყაროები არ ადასტურებენ მის არსებობას, მაგალითად ბ.ხორავა მიუთითებს, თითქოსდა პროკოფი კესარიელი ახსენებდეს აბასგიის ეპარქიას.

სინამდვილეში, პროკოფი კესარიელი არ ახსენებს „აბაზგიის ეპარქიას“, ამიტომაც **ამ საკითხის რკვევისას მას წყაროდ ვერ გამოვიყენებთ.**

პროკოფი კესარიელი ახსენებს არა „აბაზგიის ეპარქიას“, არამედ მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ მის ეპოქაში იუსტინიანემ გასაქრისტიანებლად იქამდე წარმართ აბაზგებს ევნუქი გაუგზავნა. სხვა ზღვისპირა ქართული ტომები იქამდე უკვე ქრისტიანები იყვნენ, კერძოდ ლაზები, აფსილები, მისიმიელები

და სვანები (იხ. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „პროკოფი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი, მენანდრე, თეოფილაქტე სიმოკატა, თეოფანე, ეპიფანე კონსტანტინოპოლელი და იმპერატორი იუსტინიანე ლაზიკის შესახებ“, 2011).

ძველი ავტორისაგან მხოლოდ პროკოფი კესარიელი გვაძლევს აბაზგების გაქრისტიანების შესახებ მწირ ინფორმაციას. სხვა ყველა ავტორი (ევაგრი სქოლასტიკოსი VI ს.) და იოანე ზონარა (XI-XII სს.) დასავლეთ საქართველოზე საუბრისას იყენებენ პროკოფი კესარიელიდან გამომდინარე ცნობებს აბასგებთან დაკავშირებით, მსგავსადვე ნიკიფორე ქსანთოპულოსი და ფილოთეოს კოკინოსი ასევე იყენებს პროკოფის აღნიშნულ ცნობას (გ. ალიბეგაშვილი, წმ. ეფრემ მცირე და ქრისტიანული კულტურის საკითხები, 2010, გვ. 33).

პროკოფის ცნობა კი ძალზე ძუნწია - აბაზგებმა **„მიიღეს საქრისტიანო რწმენა და იუსტინიანე მეფემ მათ პალატის ერთი ევნუქთაგანი გაუგზავნა“** (იქვე, გვ. 33).

გ. ალიბეგაშვილი ფიქრობს, რომ აბაზგებმა არა იუსტინიანეს მიერ მიიღეს ქრისტიანობა, არამედ უკვე ქრისტიან აბაზგებს გუგზავნა ევნუქი (იქვე, გვ. 33) მისი აზრით დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა უკვე IV ს-დან არსებობდა (იქვე, გვ. 32).

რუის-ურბნისის კრება მართლაც, დასავლეთ საქართველოს (საერთოდ ერთიან საქართველოს) მიიჩნევდა წმიდა ნინოს ამიერ მოქცეულად, ამიტომაც წერდა, - წმიდა ნინოს მიერ ქრისტიანობა მიიღო **„ყოველმა სავსებამ ყოველთა ქართველთა ნათესავისა“ (უფრო ადრე კი ანდრიას ასევე საქართველოს მთლიან ქვეყანაში უქადაგნია - „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“).**

ქართული წყაროების ამ ცნობებს ამტკიცებენ გელასი კესარიელის, გელასი კვიზიკელისა და სხვათა ცნობები, მაგალითად გელასი კესარიელი მიიჩნევდა, რომ წმიდა ნინომ მოაქცია „იბერები და ლაზები“ (გეორგიკა, I, გვ. 180).

საბოლოო დასკვნა: პროკოფი არ იძლევა ცნობას „აბაზგიის ეპარქიის“ შესახებ, ამ საკითხისათვის მისი წყაროდ მოხმობა არ შეიძლება.

მსგავსადვე, ნოტიციები არ შეიძლება გამოყენებული იქნას წყაროდ „აბაზგიის ეპარქიის“ შესახებ მსჯელობისას, მისი ძალზე კრიტიკული შესწავლის გარეშე, რაც ჯერჯერობით არ ჩატარებულა, უფრო მეტიც, მოღწეული ნოტიციები უფლებას იძლევა ითქვას, რომ „აბაზგიის ეპარქია“ ისტორიულად არც არსებულა.

მხოლოდ XX საუკუნის სამეცნიერო წრეებში წყაროთა არა სათანადო ინტერპრეტირებით წარმოიშვა თვალსაზრისი ამ ეპარქიის სავარაუდო არსებობის შესახებ, შემდგომ კი ეს თვალსაზრისი რეალობად იქნა მიჩნეული.

ასეთ საორჭოფო შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს არა უცხოურ, არამედ ადგილობრივ, განსაკუთრებით კი თვით აფხაზეთის საკათალიკოსოში შექმნილ უამრავ წყაროს, მათში აფხაზეთის საკათალიკოსო მისი ჩამოყალიბების დღიდანვე ქართული ეკლესიის წიაღს უკავშირება და არა კონსტანტინოპოლისას.

კონსტანტინოპოლური წარმოშობისად რომ მიეჩნიათ აფხაზეთის საკათალიკოსო, საეკლესიო სეპარატისტები იმერეთის მეფე გიორგი VI და სხვანი თავიანთი სეპარატისტული მიზნების განსახორციელებლად დასავლეთ საქართველოში მიიწვევდნენ კონსტანტინოპოლელ იერარქებს და არა ანტიოქიის პატრიარქს.

ანტიოქიის პატრიარქი მიწვეული იქნა, რადგანაც მიიჩნეოდა რომ ივერიის ეკლესიები თავდაპირველად ანტიოქიას ემორჩილებოდა.

აფხაზეთის საკათალიკოსოს უცხოელები „ქვემო ივერიის“ ეკლესიას უწოდებდნენ.

ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქები დოსითეოსი და ქრისანფი, რომლებმაც პირადად მოიხილეს აფხაზეთის საკათალიკოსო, მას „ქვემო ივერიის“ ეკლესიას უწოდებენ.

ქვემო და ზემო ივერიის ეკლესიებზე კი (ე.ი. ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებზე) თავის თავდაპირველ უფლებამოსილებაზე ანტიოქია აცხადებდა პრეტენზიას და არა კონსტანტინოპოლი.

მხოლოდ XX ს. სამეცნიერო წრეებში დაუკავშირეს აფხაზეთის საკათალიკოსო კონსტანტინოპოლს, რაც წყაროებს ეწინააღმდეგება.

მაგალითად თ. ქორიძის აზრით „აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმოქმნამდე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოზე დაქვემდებარებული სამი საეკლესიო კათედრა არსებობდა: აბაზგიის იგივე სებასტოპოლისის (ცხუმის სოხუმის), სამთავარეპისკოპოსო, ნიკოფსიის სამთავარეპისკოპოსო და ფაზისის (ლაზიკის) სამიტროპოლიტო მასში შემავალი ოთხი „როდოპოლისის (დღ. ვარციხე), ცაიშის, პეტრას (დღ. ციხისძირი), ძილიანევის (დღ. გუდაყვა) საეპისკოპოსო. აფხაზეთის საკათალიკოსო ამ საეკლესიო კათედრათაგან შეიქმნა, რაც დაახლოებით IX ს-ის 80-90-იან წწ.-ში უნდა მომხდარიყო“.

ის წერს „ძველი ბიზანტიური საეპისკოპოსოების მოშლა და მათ ნაცვლად ახალი ქართული ეპარქიის დაარსება“ - „ IX-X სს-ში დასავლეთ საქართველოში ბერძნულენოვანი ღვთისმსახურება ქართულით შეიცვალა“.

სინამდვილეში კი, როგორც აღინიშნა, „აბაზგიის ეპარქიის“ არსებობა წყაროებით არ დასტურდება, ასევე საეჭვოა „ლაზიკის სამიტროპოლიტოს“ არსებობა დასავლეთ საქართველოში.

ნ. ადონცის სახელგანთქმული გამოკვლევების („არმენია იუსტინიანეს ეპოქაში“) თანახმად ლაზიკის კათედრები (ზიგანა - და არა ზიგანევი), საისინი (და არა ცაიში!), როდოპოლისი (და არა ვარციხე) და პეტრა მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველებით დასახლებულ პონტო-ქალდეას რეგიონში, რომელსაც ბერძნული წყაროები ლაზიკას უწოდებენ.

რუის-ურბნისის კრებისა და სხვა ქართული თუ სომხური წყაროების თანახმად დასავლეთ საქართველოზე თავიდანვე ვრცელდებოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია.

წმიდა ნინო იყო იბერების და ლაზების განმანათლებელი გელასი კესარიელის ცნობით, რუის-ურბნისის ძეგლისწერით წმიდა ნინოს დროს დასავლეთ საქართველო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, რადგანაც წმ. ნინომ განანათლა „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“, იოანე სომეხთა კათალიკოსის ცნობით VI ს. ბოლოსა და VII ს. დასაწყისში კირიონ მცხეთის კათალიკოსი იმავდროულად ეგრისის არქიეპისკოპოსიც იყო, ვახუშტის ცნობით დასავლეთ საქართველოში „სამოქალაქოს“ რეგიონი მცხეთის სამთავროს ტაძარში მჯდომ მთავარეპისკოპოსს ემორჩილებოდა, ხოლო რაჭა-იმერეთის მთიანი რეგიონი ნიქოზის ეპისკოპოსს. დასავლეთ საქართველოში იმთავითვე იყო ქართულენოვანი მსახურება, ამიტომაც ცილისწამებაა, თითქოსდა იქ მოიშალა ბერძნულენოვანი კათედრები IX-X ს-ში და მათ ნაცვლად ქართულენოვანები დაარსდნენ.

აფხაზეთის საკათალიკოსო VIII - IX სს-ში ჩამოყალიბდა ქართული ეკლესიის წიაღში (და არა კონსტანტინოპოლისა), საქმე ისაა, რომ ამ საუკუნეებში მკვეთრად გაიზარდა მრევლის რიცხოვნობა, რასაც თან დაერთო აფხაზეთის ქართული სახელმწიფოს შექმნა.

ამ გარემოებამ მოითხოვა დასავლეთ საქართველოში ზოგად ქართული ეკლესიის წიაღშივე არსებული საეკლესიო სტრუქტურის ადგილობრივ სამიტროპოლიტო ოლქად გარდაქმნა ისევე, როგორც ეს მიღებულია სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებში.

ამის შედეგად უკვე IX ს.-დან ქართული ეკლესიის წიაღში ორი სამიტროპოლიტო ოლქი ანუ, როგორც ქართველები უწოდებდნენ, საკათალიკოსო არსებობდა.

ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები იყვნენ ზოგად-ქართული ერთიანი ეკლესიის ადმინისტრაციული ერთეულები, მათი ეკლესიური ერთიანობა კი მიიღწეოდა საერთო სჯულისკანონით, საერთო საეკლესიო სამართლით, საერთო საეკლესიო კრებების მიერ გამოცემული დადგენილებების

აღსრულებით, რაც სავალდებულო იყო ორივე ადმინისტრაციულ საეკლესიო ერთეულში, საერთო საეკლესიო ტრადიციებით, საერთო საღვთისმსახურო ენითა და კულტურით. ეკლესიის ასეთი მოწყობის წესი დღესაც გააჩნია სხვა ძველ ეკლესიებს.

მაგალითად, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აქვს მრავალი სამიტროპოლიტო ოლქი, რომელთა ეკლესიური ერთიანობა მიიღწევა მსგავსადვე.

საქართველოს ეკლესიაში, როგორც ითქვა, VIII-IX სს.-ში ფორმირებულ იქნა ახალი სამიტროპოლიტო ოლქი, რომელსაც ეწოდა „აფხაზეთის საკათალიკოსო" და მას მცხეთამ იურისდიქციაში გადასცა დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალი, ხოლო ქართველთა კურაპალატმა მეფე ბაგრატმა IX ს-ში დაადასტურა აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩამოყალიბება - „ამან ბაგრატ განაჩინა კათალიკოსი აფხაზეთს", ესაა ქართულ წყაროებში ასახული რეალობა, ხოლო „აბაზგიის ეპარქია" მეცნიერული შენათხზია.

ასე, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო იყო ქართული ეკლესიის წიაღში არსებული ერთ-ერთი სამიტროპოლიტო ოლქი, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ზოგად ეკლესიური სამართლისათვის.

რაც შეეხება XV-XVII საუკუნეებს, არაა მართალი თითქოსდა ამ დროს **„დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო გამოვიდა მცხეთის საპატრიარქოს იურისდიქციიდან"** - ასეთი ფორმულირებაც უცნაურია.

საქმე ისაა, რომ აფხაზეთისა და მცხეთის საკათალიკოსოები არსებობდნენ ძველთაგანვე და ისინი ორივენი ქმნიდნენ ერთ ქართულ ეკლესიას საერთო სჯულისკანონითა და საერთო საეკლესიო კრებებით, სწორედ საერთო საეკლესიო კანონები იყო უმაღლესი საეკლესიო მმართველობა, ხოლო კათალიკოსები იყვნენ ადმინისტრაციული უზენაესი აღმასრულებლები საეკლესიო კრებათა დადგენილებებისა.

აფხაზეთის საკათალიკოსო თვითვე წარმოადგენდა ქართულ ეკლესიას, მისი სარწმუნოებრივი სიწმინდის მცველს, ამიტომაც მისმა მეთაურებმა იმ საუკუნეებში როცა მცხეთა-თბილისი და აღმოსავლეთ საქართველო მუსულმან მეფეთა მიერ იმართებოდა, რამაც დაამცირა აღმოსავლეთ საქართველოს სარწმუნოებრივი ავტორიტეტი - თვითვე წარმოაჩინეს თავიანთი თავი ვითარცა სრულიად საქართველოს ანუ „ყოვლისა საქართველოისა მწყემსებად". რაც საბუთებშიცაა ასახული. ასე, რომ **„დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო კი არ გამოვიდა მცხეთის საპატრიარქოს იურისდიქციიდან",** მას კი არ გამოეყო, არამედ ზოგადქართული ეკლესიის მმართველის ფუნქციაც მიენიჭა რაც აფსუებისა და ჩერქეზების შემოსევა-გაბატონებამდე ე.ი. XVIII ს. დასაწყისამდე გაგრძელდა, რასაც უცხოელი პატრიარქებიც (დოსითეოსი და ქრისანფი) აღნიშნავენ. XVIII ს. II ნახევარში, მის შემდეგ რაც აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიან მეფეთა მმართველობა „აღსდგა მცხეთამ კვლავ დაიბრუნა მუსულმან მეფეთა 150 წლიანი მმართველობისას შელახული ძლიერება და უზენაესობა სრულიად საქართველოს ეკლესიაში (იხ. ამ საკითხის შესახებ მიტრ. ანანია ჯაფარიძის გამოწვლილვითი გამოკვლევები). ე.ი. ზოგადი წესი, რომლის თანახმადაც ერთიან ქართულ ეკლესიაში ქართლის კათალიკოსი უხუცესად იწოდებოდა და აფხაზეთის კათალიკოსი უმრწემესად, დროებით შეიცვალა ქართლ-კახეთში მუსულმან მეფეთა 150 წლოვანი ბატონობისას, მათ დაამცრეს ქართლის კათალიკოსობა, ამ დროს ზოგადქართული ეკლესიის ლიდერობა თავიანთ ხელში აიღეს აფხაზეთის კათალიკოსებმა, რაც მათ ტიტულატურასა (ამ დროს ისინი თავიანთ თავს „ყოვლისა საქართველოისა პატრიარქს უწოდებდნენ") და უცხოურ წყაროებშიც აისახა (ანტიოქია - იერუსალიმელი პატრიარქების დოსითეოსისა და ქრისანტის ცნობით ივერიაში არის ორი არქიეპისკოპოსი, რომელთაც ქართველები კათალიკოსებს უწოდებენ. მათგან უფროსი არის ქვემო ივერიის (აფხაზეთის) კათალიკოსი), ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა XVIII ს. 50-იან წლებამდე. ქართლ-კახეთში ქრისტიან მეფეთა ტახტის აღდგენამ კვლავ აღამაღლა ქართლის საკათალიკოსო, და პირიქით, ჩრდილო კავკასიიდან შემოსეული ადიღე-ჩერქეზ-აფსუა წარმართების აფხაზეთში გაბატონებამ დაამცრო აფხაზეთის საკათალიკოსო (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „აფხაზეთის საკათალიკოსო", თბილისი 2012).

მაშასადამე, აფხაზეთის საკათალიკოსო მისი ჩამოყალიბების თანავე ზოგადქართული ეკლესიის ნაწილს წარმოადგენდა და არა კონსტანტინოპოლის ეკლესიისა.

ბიჭვინთა

არქეოლოგიური ნაშთები და მონაცემები ერთმნიშვნელოვნად არ მიუთითებენ, რომ ცნობილი ბიჭვინთა ანტიკურ ეპოქაში იყო ქალაქი, ამიტომაც თვით ბიჭვინთის გამთხრელ-არქეოლოგი გ. ლორთქიფანიძე არა არქეოლოგიური მონაცემებით ამტკიცებს მის ქალაქობას, არამედ წერილობითი წყაროებით.

ის წერს - რომ ბიჭვინთა ქალაქი იყო, რადგანაც აქ კათედრა ჰქონდა პიტიუნტის ეპისკოპოსს. „საეპისკოპოსოები ამ დროს მხოლოდ ქალაქებში არსებობდა“ (იქვე, გვ.173).

მაშასადამე, არა არქეოლოგიური მონაცემები ამტკიცებენ აქ ქალაქის არსებობას, არამედ მხოლოდ თეორიული მსჯელობით მიდის მეცნიერი ამ დასკვნამდე.

მაგრამ პიტიუნტის საეპისკოპოსო კათედრას ნ. ადონცი და პ. ინგოროყვა მიუთითებდნენ არა ბიჭვინთაში, არამედ რიზე-ათენის რეგიონში. მათ აქ ეგულებოდათ ცნობილი ქალაქი პიტიუნტი.

მაშასადამე, ბიჭვინთა არაა პიტიუნტი, ბიჭვინთა ქართული პუნქტი იყო, პიტიუნტი კი ანტიკური ქალაქი და საეპისკოპოსო ცენტრი. ისინი სხვადასხვა რეგიონებში მდებარეობდნენ.

მაშასადამე, საეჭვოა ბიჭვინთის აბაზგიის ეპარქიის ერთ-ერთ ცენტრალურ კათედრად გამოცხადება.

პიტიუნტი და ბიჭვინთა სხვადასხვა ერთმანეთისაგან ძალზე დაშორებული პუნქტები ყოფილა, კერძოდ, პიტიუნტი რიზე-ათინას რეგიონში მდებარეობდა და ბერძნულ-რომაულ ქალაქს წარმოადგენდა, რომელსაც იმპერიის ჯარი იცავდა, ხოლო ბიჭვინთა აფხაზეთის საკათალიკოსოს დაფუძნების შემდეგ აფხაზეთის ქართული კათედრა იყო.

მართლაც, ათენა ანუ ათინა (ათენი) ახლოს მდებარეობდა პიტიუნტთან, მათ ერთად ახსენებს სტრაბონი (VII,5,7).

თავის მხრივ პიტიუნტი ანუ პიტიუნტ I ახლოს მდებარეობდა მდ. ფაზისთან.

მაგალითად, ზოსიმეს ცნობიდან, ჩანს, რომ ჯერ მდებარეობდნენ, „ფაზისის სიმაგრეები“ ე.ი. პიტიუნტი და სებასტოპოლისი შემდეგ კი იყო ბიზანტიის იმპერიის საზღვარი, რომელიც მდ. ფაზისზე იყო დადებული.

ამასვე ადასტურებს ზოსიმე სხვაგანაც, კერძოდ სკვითებმა, როცა მათ პიტიუნტის სიმაგრე ვერ აიღეს, იქვე, იმავე რეგიონში მდ. ფაზისზე ჩაუშვეს ღუზა და შემდეგ გაცურეს ტრაპეზუნტისაკენ (ანტიკური კავკასია, 2010, გვ.425-426).

იდგა თუ არა აფხაზეთის ბიჭვინთაში რომაულ-ბიზანტიური ლეგიონი, ჯარის ნაწილი? რით მტკიცდება, რომ იქ ლეგიონი იყო დაბანკებული? ამის დამტკიცებას ცდილობენ ძალზე სუსტი დასაბუთებით.

მაგალითად, მიიჩნევა, რომ კიღურაძის აღმოჩენილი „ლათინური დამღიანი კერამიკული ფილები და კრამიტები, დოკუმენტურად ადასტურებენ რომის XV ლეგიონის საქმიანობას ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ახ.წ. II ს. დასასრულსა და III ს. დასაწყისში“ (Кигурадзе Н., Лорткипанидзе Г. Клеима XV легиона. Вестник древней истории, №2, 1987, с.87-96).

მაგრამ რა მდგომარეობა იყო VI-VIII სს-ში, ბერძნული კათედრების მოქმედების პერიოდში კვლავ იდგა აქ ბიზანტიური ჯარი?

მ. მშვილდაძე, მაგალითად მიიჩნევს, რომ ამ ჯარის აქ დგომას ადასტურებს იქ აღმოჩენილი გლიპტიკური მასალა. კერძოდ კი გემა ლომის, დაფნის გვირგვინის და თუთიყუშის გამოსახულებით, რომლებიც საფლავებში აღმოჩნდა. ეს ასტროლოგიური და საყოფაცხოვრებო ნიშნების მქონე გემები შესაძლოა ნებისმიერი არასამხედრო პირის საკუთრებაც ყოფილიყო.

მ. მშვილდაძე იმოწმებს ო. ნევეროვის კვლევას, რომლის მიხედვითაც „ლომი რომის ლეგიონის სიმბოლო გახდა“, ამიტომაც აღმოჩენილი გემა მ. მშვილდაძემ დაუკავშირა რომის ლეგიონს (მ. მშვილდაძე, რომის ლეგიონები პიტიუნტის ტერიტორიაზე, კრებულში „ჩვენი სულიერების ბალავარი“, IV, 2012, გვ. 192).

ეს დაკავშირება საეჭვოა, ასევე დაფნის ფოთოლი და თუთიყუში მან რატომღაც რომის ლეგიონს დაუკავშირა. ამის შემდეგ კი დაასკვნა თითქოსდა ბიჭვინთაში ნამდვილად იდგა რომაული ლეგიონები, და წერს - **„პიტიუნტი-ბიჭვინთა შავიზღვისპირეთის ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა“ (იქვე, გვ. 192). თავისი რომაული ჯარითა და ბერძნული კათედრით.**

რომაული ჯარი და საეპისკოპოსო კათედრა რიზე-ათინას გვერდით მდებარე პიტიუნტში იდგა და არა ბიჭვინთაში, ნ. ადონცისა და პ. ინგოროყვას კვლევით, ხოლო ბიჭვინთა იმთავითვე მხოლოდ ქართული ეკლესიის აფხაზეთის საკათალიკოსოსთან იყო დაკავშირებული.

ბიჭვინთის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი

ი.კვაშილავა წერს - **„ბიჭვინთაში ძლიერი ქრისტიანული ცენტრი არსებობდა. IV ს-ში იქ იდგა ბაზილიკური ეკლესია, მდიდრულად მორთული. V ს-ში ამ ბაზილიკის ნანგრევებზე აუგიათ დიდი სამნავიანი ბაზილიკა. X ს-ში აღმართეს დიდი დღემდე შემორჩენილი ტაძარი, რომლის აგებას უკავშირებენ ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს (527-565). მართლაც, მისი ბრძანებით 536 წ. აშენებულა ღვთისმშობლის ტაძარი მაგრამ სად ბიჭვინთაში თუ ანაკოფიაში? (ახალ ათონში)“.**

ისმის კითხვა: ვის დავუჯეროთ, ბიჭვინთის გამთხრელ-არქეოლოგ ცნობილ მეცნიერს თუ ამ მეცნიერს?

ბიჭვინთის გამთხრელ-არქეოლოგის გ. ლორთქიფანიძის დასკვნით - „არქეოლოგიური მონაცემების თანახმად V ს. 70-იან წლებში ქალაქი პიტიუნტი დანგრეული და გადამწვარია ჰუნების მიერ. დანგრეულია კანაბეში განლაგებული საეკლესიო ნაგებობები. საეკლესიო ცხოვრების აღორძინება შეინიშნება VI-VII სს.“ (ნ. კიღურაძე, გ. ლორთქიფანიძე, ადრექრისტიანული (III-IV სს.) სამარხები ბიჭვინთაში, კრებულში „ჩვენი სულიერების ბალავარი“, IV, 2012, გვ. 175)

აქედან გამომდინარე, **ბიჭვინთის დღევანდელი ტაძრის აგება არ უნდა დაუკავშირდეს იუსტინიანეს. X ს-ში აგებული ეს ტაძარი მთლიანად ქართული ნაგებობაა, ბერძნული წარსულის გარეშე.**

საერთოდ ბიჭვინთის IV ს. ნაგებობის ეკლესიად მიჩნევა საეჭვოა. გ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ **„ბიჭვინთის კანაბეში აგებული მოზაიკურ იატაკიანი ბაზილიკა“ ზოგიერთ ცნობილ მკვლევარს მიაჩნია არა ეკლესიად, არამედ მორტარიუმად** (Леквинадзе В. О древнейшей базилике Питиунта, Вестник древней истории, М., 1976, №2, с. 189).

დასაშვებია ისიც, რომ ეს ბაზილიკა არც ეკლესია იყო და არც მორტარიუმი, რადგანაც „მის გარშემო და მის შიგნით სამარხები არ არის მიკვლეული“ (გ. ლორთქიფანიძე, იქვე, გვ. 174).

სამარხები კი ეკლესიასა და ეკლესიის გარშემო უნდა ყოფილიყო. მაგრამ საფლავები აღმოჩენილია სხვაგან ე.წ. „ბიჭვინთის კონცხზე“ (იქვე, გვ. 174).

უნდა დავასკვნათ, რომ ბიჭვინთის ტაძარი არაა იუსტინიანეს მიერ აგებული, არამედ წარმოადგენა ქართული საეკლესიო არქიტექტურის ნაყოფს.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

აფხაზეთის საკათალიკოსო

ისტორია

წყაროთა ცნობებით, აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩამოყალიბების ისტორია ასეთია – ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა არა ერთ რომელიმე კუთხეში, არამედ **,,ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა**" (,,დიდი სჯულისკანონი", 1975, გვ. 545), ასევე წმიდა ნინომ მოაქცია არა ერთი რომელიმე კუთხის მოსახლეობა, არამედ **,,ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა**" (იქვე, გვ, 546). მაშასადამე, მათ სრულიად საქართველოში იქადაგეს და მთელი ქართველი ერი განანათლეს.

ძველი ქართული საეკლესიო წყაროების ამ ცნობებს მთლიანად ეთანხმებიან IV ს. პალესტინელი ეპისკოპოსის გელასი კესარიელისა და V ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის გელასი კვიზიკელის ცნობები, მათი სიტყვით წმიდა ნინომ მოაქცია იბერებიცა და ლაზებიც, მაშასადამე მოაქცია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა.

IV ს-ში ჩამოყალიბდა მთელი ქვეყნის მომცველი ერთიანი ქართული ეკლესია ცენტრით მცხეთაში. მის პირველივე მეთაურს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერით - ,,ეპისკოპოს-კათალიკოსი" ანუ საყოველთაო, ზემდგომ ეპისკოპოსი ეწოდებოდა (იქვე, გვ. 546).

ქადაგებათა შემდგომ დასავლეთ საქართველოში ისევე, როგორც საქართველოს ყოველ ნაწილში ჩამოყალიბდა ათეულობით ეპარქია და საეპისკოპოსო. მათი რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა VIII-X სს-ში, ამის გამო, წარმოიქმნა საჭიროება, რათა საქართველოს საპატრიარქოში ეპარქიათა მართვის გაადვილების მიზნით ჩამოყალიბულიყო რამდენიმე საეკლესიო ადმინისტრაციული ოლქი ანუ სამიტროპოლიტო ოლქი. მის მმართველს ,,უმრწემესი კათალიკოსის" ტიტული უნდა მინიჭებოდა, რადგანაც ,,უხუცესი კათალიკოსი" მცხეთის პირველიერარქს ერქვა.

ძველ საქართველოში საეპარქიო ადმინისტრაციული ერთეულის დაარსების უფლება ეკუთვნოდა მეფეს, ამიტომაც აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებას ესაჭიროებოდა დასტური სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან და მართლაც, საქართველოს მეფე ბაგრატ ბაგრატიონმა გასცა ამის დასტური. ამიტომაც წერს მემატიანე შემდეგს: **,,ამან ბაგრატ განაწესა კათალიკოზი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ 830 წელს"** (ქც. 1955, I, გვ. 255).

შენიშვნა: საქართველოს ეკლესიაში ტიტული ,,საქართველოს პატრიარქი" ეწოდებოდა სრულიად საქართველოს ეკლესიის მეთაურს, ხოლო ,,კათალიკოზის" ტიტული ენიჭებოდა სამიტროპოლიტო ერთეულის მეთაურს. კ.კეკელიძის კვლევით ,,კათალიკოზი" იგივე იყო, რაც ბიზანტიურ ეკლესიაში არქიეპისკოპოსი ან მიტროპოლიტი. მაგ., წყაროს ცნობით, ექვთიმე მთაწმინდელი მიიწვიეს ,,კვიპროსის კათალიკოზად", ანუ კვიპროსის ეკლესიის არქიეპისკოპოსად.

1. წყაროების მიმოხილვა

ა. ბერძნულ-ლათინური წყაროები –

გელასი კესარიელი წერს – **,,იმავე ხანაში ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არა სწამდათ. ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ"** (გეორგიკა, I, 1961, გვ. 186).

გელასი კვიზიკელიც ამასვე წერს – „**ამავე დროს პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა ღმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე არ სწამდათ შეიწყნარეს**“ (მიმომხილველი, I, 1926, გვ. 55).

გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებს, რომ წმიდა ნინომ მოაქცია ლაზებიც იბერებთან ერთად, ეთანხმება (მართალია მოგვიანო პერიოდის, მაგრამ ეკლესიისათვის ძალზე კომპეტენტური) ლაზიკის მიტროპოლიტ გერმანეს ცნობა, რომ ლაზიკაში მდებარე ოფის (ჰოფის) საეპისკოპოსო კათედრა დააარსა წმიდა ნინომ IV ს-ში, იქამდე, სანამ ის (წმიდა ნინო) ფარავნის გზით იბერიის დედაქალაქ მცხეთაში გადავიდოდა და იქ დააარსებდა საეპისკოპოსოს.

კერძოდ, „**მოხსენებაში, რომელიც ლაზიკის მიტროპოლიტმა გერმანემ 1651 წელს წარუდგინა რუსეთის მეფეს ალექსი მიხეილის ძეს აღნიშნულია, რომ ტაძარი ოფისა, (ჰოფის სამიტროპოლიტო კათედრა) - ითვლებოდა დაარსებულად წმიდა ნინოს მიერ. მის შესახებ მიტროპოლიტი გერმანე მრავალგზის აღნიშნავდა – ივერიის მიწა მან განანათლა**“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 227). მიტროპოლიტ გერმანეს ცნობით, ლაზიკის საეპისკოპოსო კათედრა დააარსა მან ვინც ივერიის მიწა განანათლა, ე.ი. წმიდა ნინომ, რადგანაც ლაზიკა და იბერია მეფე მირიანის დროს იყო ერთი ქვეყანა და მიტროპოლიტი გერმანე თავის ცნობაში მიუთითებდა: „**ლაზია – საქართველოს ძველი ქვეყანაა**“, „**ძველი ქართული მიწაა**“, „**ივერიის მიწაა**“ (იქვე, გვ. 263).

ბიზანტიურ და სხვა ძველ წყაროებში ისტორიულ საქართველოს ივერიას უწოდებდნენ და მიიჩნეოდა, რომ ის შედგებოდა ორი გეოგრაფიული ნაწილისაგან ქვემო ივერიისაგან (დასავლეთ საქართველოსაგან) და ზემო ივერიისაგან (აღმოსავლეთ საქართველო).

ზემოთ აღნიშნულმა ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქებმა – დოსითეოსმა და ხრისანფიმ XVII ს-ში მოილოცეს ივერიის მიწა-წყალი და აღწერეს ის. მათ ეპოქაში აღმოსავლეთ საქართველო დაპყრობილი იყო სპარსელების მიერ (საქართველოს პატრიარქი ევდემოზი აღმოსავლეთ საქართველოს მუსულმანმა მმართველმა სასტიკი წამებით მოკლა), ამის გამო აღმოსავლეთ საქართველოში ეკლესია დაემცრო, ამიტომაც სუვერენული დასავლეთ საქართველოს ქრისტიან მეფეებს იმჟამად, სრულიად საქართველოს მეფეებად წარმოედგინათ თავიანთი თავი, ასევე აფხაზეთის კათალიკოსები თავიანთ თავს (მუსულმანთა ბატონობის ეპოქაში) სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქებს უწოდებდნენ, რაც იყო დროებითი მოვლენა აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიან ხელმწიფეთა ტახტის აღდგენამდე. შემდგომ მცხეთის კათალიკოსს კვლავ „უხუცესს პატრიარქს“, ხოლო აფხაზეთისას „უმრწმესს“ უწოდებდნენ. აღნიშნული გარემოების გამო ანტიოქია იერუსალიმელი პატრიარქი წერს: „**იბერიაში ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერიას, რომელსაც ძველად კოლხეთს და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში. ზემო და ქვემო იბერიას შორის საზღვარი არის ქედი, რომელიც კავკასიის მთებში იწყება, ქართულად ქულფარგი ეწოდება, ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე,... იბერები ქვემო იბერიის კათალიკოსს მიიჩნევენ უფროს კათალიკოსად, რადგანაც მეფე, ე.ი. იმერეთის თავი, მათთან იწოდება მთელი იბერიის მეფეთა-მეფედ**“ (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: „სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია. თეოლოგია, ათენი, 1966 წ.).

ხოლო მეორე პატრიაქი ხრისანფი ამბობს: „**...საქართველოში, რომელსაც ადრე იბერია ერქვა, იყო ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი, რომელთაც ჩვეულების თანახმად უწოდებენ კათალიკოსებს და არა არქიეპისკოპოსებს. ასე მათ მარტო ქართველები უწოდებენ. ამათგან ერთი, ე.ი. არქიეპისკოპოსი ქვემო იბერიისა, იწოდება იმერეთის, ოსეთის, გურიის და სრულიად ქვემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, ანუ მარტივად, სრულიად იბერიის**

უნეტარეს კათალიკოსად, როგორც უფროსი ზემო იბერიის კათალიკოსზე. ხოლო მეორე, ე.ი. ზემო იბერიისა, იწოდება ქართლის, კახეთის, ალვანეთის და სრულიად ზემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად... რომელი იმპერატორის დროს, ან რომელ კრებაზე გახდა ის საარქიეპისკოპოსო, ჩვენ ზუსტად ვერ დავადგინეთ, მაგრამ 26 ივნისის სვინაქსარში ვპოულობთ, რომ იოანე, გოთეთის ეპისკოპოსი, ხელდასხმული იქნა იბერიის კათალიკოსის მიერ, რადგანაც რომაულ ქვეყნებში ბატონობდა ხატმებრძოლთა ერესი, ასე რომ, როგორც ჩანს, ერეკლეს შემდეგ ისავრამდე ქვემო იბერია საარქიეპისკოპოსო გახდა..." (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: „სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია. თეოლოგია, ათენი, 1966 წ.).

ბერძნულ-ლათინური და ბიზანტიური წყაროების ზემოთ აღნიშნული მითითებებიდან ნათლად ჩანს, რომ წმიდა ნინოს ეპოქიდან ლაზიკა, დასავლეთ საქართველო აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად ქმნიდა ერთიან ეკლესიას და არა ორ ეკლესიას, როგორც ეს წარმოუდგენია ზოგიერთ მეცნიერს, რომელთა შეხედულებასაც აკრიტიკებდა ივ. ჯავახიშვილი.

ბ. ქართული წყაროები –

საკითხი, იმის შესახებ, რომ ძველი ქართული წყაროების თანახმად, დასავლეთ საქართველო გაქრისტიანების თანავე შედიოდა ზოგადქართული ეკლესიის წიაღში, მიმოიხილა ივ, ჯავახიშვილმა, ის წერს: **„გიორგი მთაწმიდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელი ამტკიცებენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა" ხოლო შემდეგ ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმიდა ნინომ, რომლის სასწაულმოქმედებამ და ქადაგებამ „მიიზიდა ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა". ნიკოლოზ კათალიკოსიც წმიდა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად სთვლიდა „ჩვენ ქართველთაისა", ერთი სიტყვით, ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღწვოდნენ"** (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 47).

ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, საქართველოს ეკლესიაში ერთადერთი თვალსაზრისი იყო დაცული, რომ ჩამოყალიბებისთანავე საქართველოს წმიდა ეკლესია თავის იურისდიქციას ავრცელებდა მთელი ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის ცხადია აფხაზეთზეც, ვითარცა მის განუყოფელ და ძირითად ნაწილზე.

მას შემდეგ რაც რუსეთის იმპერიამ XIX ს-ში გააუქმა ეკლესიის ავტოკეფალია, ფართო გასაქანი მიეცა თეორიებს ქართული ეკლესიის კიდევ უფრო დასაკნინებლად, განსაკუთრებით XX ს-ში ათეისტების ბატონობისას. ამ დროს ჩამოყალიბდა მტკიცება, თითქოსდა დასავლეთ საქართველო IV საუკუნიდან X საუკუნემდე 500-600 წლის განმავლობაში იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში და მხოლოდ X ს-ის შემდგომ ის დაექვემდებარა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას. თითქოსდა იქამდე დასავლეთ საქართველოში არსებობდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციის ქვეშ ფაზისის (ფოთის) სამიტროპოლიტოში შემავალი როდოპოლისის (ვარციხის), საისინის (ცაიშის), პეტრას (ციხისძირის), ზიგანევის (გუდაყვა) ბერძნულენოვანი საეპისკოპოსოები, ასევე აფხაზეთის (აბაზგიის) ავტოკეფალური ეკლესია და თითქოსდა ისინა გააუქმა ქართულმა ეკლესიამ და მათ ნაცვლად იქ დაარსა თავისი საეპისკოპოსოები. ასეთია ამჟამინდელი ისტორიოგრაფიის ზოგიერთი წარმომადგენლის მტკიცება, რასაც იმეორებენ აფხაზეთში მოკალათებული საეკლესიო სეპარტისტებიც.

ივანე ჯავახიშვილი ასეთი თეორიის მომხრეებს შემდეგ შეფასებას აძლევდა - **„ეს არის ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილისა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებული შემეცნების მოსპობა“** (იქვე, გვ. 97). „სახელოვან მეცნიერებს“ კი ის უწოდებდა ზემოთ აღნიშნულ გიორგი მთაწმიდელს, ეფრემ მცირეს, რუის-ურბნისის კრების წმიდა მამებსა და ნიკოლოზ კათალიკოსს სხვა უძველეს მოღვაწეებთან ერთად.

მტკიცება იმისა, რომ დასავლეთ საქართველო 500-600 წლის მანძილზე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა ეწინააღმდეგება ქართულ საეკლესიო ისტორიოგრაფიაში მიღებულ დებულებებს, საეკლესიო კრებათა დადგენილებებს, საერთოდ კი ქართველ წმიდა მამათა, ისტორიკოსთა და მემატიანეთა ტრადიციულ თვალსაზრისს ამ საკითხზე.

აფხაზეთის საკათალიკოსო აღმოცენდა ქართული ეკლესიის წიაღში, ქართველ მეფეთა და პირველიერარქთა ნებით ეკლესიის ადმინისტრაციული მმართველობის გასაადვილებლად, და ის ყოველთვის იყო ერთ-ერთი ადმინისტრაციულ - საეკლესიო ოლქი ზოგადქართული ეკლესიისა.

გ. სომხური წყაროები –

იოანე სომეხთა კათალიკოსის ცნობის თაანხმად, კირიონ I საქართველოს ეკლესიის მამათავარი-კათალიკოსი, ამასთანავე, იყო ეგრისის არქიეპისკოპოსი.

899 წლიდან სომხეთის კათალიკოსად დადგენილი იოანე წერდა ქართლის კათალიკოს კირიონ I-ის შესახებ, რომ ის იყო მამამთავარი **„იბერიელთა, გუგარელთა და ეგრისელთა ადრინდელი წესის შესაბამისად“** (იოანე კათალიკოსის მატიანე, 1912, გვ. 65, წიგნიდან პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე, გვ. 243).

დასავლეთ საქართველოს, როგორც ცნობილია, კირიონ I კათალიკოსის დროს, ე.ი VI ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დასაწყისში, ეგრისი ეწოდებოდა. ამ ეპოქაში ეგრისი ე.ი. დასავლეთ საქართველო, იოანე სომეხთა კათალიკოსის ამ ცნობით, შედიოდა მცხეთის იურისდიქციაში, რადგანაც კირიონი – მისი მამამთავარი იყო და თანაც „ადრინდელი წესის შესაბამისად“. კირიონის წინა „ადრინდელი“ ხანა, ცხადია უნდა იყოს V ს. და VI ს-ის პირველი ნახევარი. მაშასადამე, V, VI და VII სს-ში იოანე კათალიკოსის ცნობის ანალიზი აჩვენებს, რომ დასავლეთ საქართველო არა კონსტანტინოპოლის არამედ მცხეთის იურისდიქციაში შედიოდა.

დასავლეთ საქართველოსთან ერთად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოც (ლაზიკა) გაქრისტიანებისთანავე ზოგადქართულ იურისდიქციაში რომ შედიოდა მიუთითებს მოვსეს ხორენაცი (V ს-ის ავტორი). ის წერს, რომ კლარჯეთი (ანუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო), მოაქცია წმიდა ნინომ, რომელმაც იქადაგა აქედან ვიდრე კასპიის ზღვისპირეთამდე – **„სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა... გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა, მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“** (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

მაშასადამე, არა მარტო მოვსეს ხორენაცის, არამედ აგათანგელოზის ცნობითაც წმიდა ნინოს უქადაგნია შავი ზღვიდან (კლარჯეთიდან), ვიდრე კასპიის ზღვამდე (მასქუთებამდე).

აღნიშნულ იოანე კათალიკოსის, მოვსეს ხორენაცისა და აგათანგელოზის ცნობებს კიდევ უფრო ამტკიცებს უხტანესი.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობილი სომეხი ისტორიკოსის უხტანესის ცნობები, რომელიც აღწერდა კავკასიის ეკლესიის ისტორიას VIII-X სს. უხტანესი თანამედროვე იყო მის მიერ აღწერილი ამბებისა.

უხტანესი ეხება და აღწერს აფხაზეთის ეთნიკურ სახეს, ამიტომაც მის ცნობას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთ საქართველოს ისტორიის კვლევისას.

კერძოდ, უხტანესი წმიდა შუშანიკის ღვაწლის აღწერის დროს ამბობს – **„მსგავსი გახდა ნუნე მოციქულისა, როცა მოეფინა მისი ქადაგება მთელს ქართველთა ქვეყანას“** (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, 1975, გვ. 201).

უხტანესი „ქართველთა ქვეყნის“ არეალში დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კი აფხაზეთს რომ გულისხმობდა, ამის შესახებ თვითონვე წერს. კერძოდ, მისი თვალსაზრისით შავი ზღვის სანაპიროზე იბერები ნაბუქოდონოსორმა დაასახლა, სადაც იბერიელები გამრავლდნენ, იქცნენ დიდ ხალხად და მათ ქვეყანას ამჟამად „აფხაზეთი“ ეწოდებაო – წერს უხტანესი. მაშასადამე, მისი აღწერით – აფხაზეთი – ივერიელი ხალხით იყო დასახლებული ნაბუქოდონოსორის ეპოქიდან ვიდრე უხტანესამდე. კერძოდ, უხტანესი ასე აღწერს ამ ამბავს „ძველი ისტორიკოსების“ ცნობაზე დაყრდნობით:

– **„ივერიელთა ტომების ნაწილი ნაბუქოდონოსორმა დაასახლა პონტოს ზღვის მარჯვენა სანაპიროზე – „ტომი აღორძინდა, გამრავლდა, ზღვის პირას აქეთ-იქით, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე, შეიქმნა ფრიად მრავალი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება. ურიცხვია სახელი თვითოეული გავარისა, ... ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ივერიას უწოდებდნენ, აქ კი ქართველნი ეწოდებათ. ტომითაც, ენითაც, დამწერლობითაც, მამამთავრობითაც და მეფობითაც განმტკიცდნენ, ხოლო გამოჰყო, გამოაცალკევა და განაშორა ჩვენგან კირიონ სკუტრელმა“** (უხტანესი, გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, 1975, გვ. 67).

მაშასადამე, უხტანესი, IX-X სს-თა ავტორი, აღწერდა თუ რომელ ქვეყანას ეწოდებოდა აფხაზეთი, რომელი ხალხითა იყო ის დასახლებული და თუ ვინ იყო მათი ყველაზე გამორჩეული კათალიკოსი, რომელმაც ეს ხალხი განაშორა სომხურ ეკლესიას. კერძოდ, აფხაზეთი, მისი თქმით, ქართველებით იყო დასახლებული, და ისინი კირიონმა განაშორა სომხური ეკლესიისაგან. ამ პირველხარისხოვანი წყაროს მითითებითაც კირიონი იყო დასავლეთ საქართველოს მამამთავარი.

შესახებ საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსებმა XX ს-ის სეპარატისტების მიერ აღძრული კონფლიქტების დროს.

2. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია საეკლესიო სამართლის მიხედვით

აფხაზეთის საკათალიკოსო, ისტორიულად ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, რომლის მეორე ნაწილი იყო ქართლის საკათალიკოსო.

ზოგად ქართული ეკლესიის მთლიანობა მიიღწეოდა საერთო საეკლესიო სამართლით, საერთო სჯულისკანონით, საერთო ქართული საღვთისმსახურო ენით, საერთო ტრადიციებითა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთო მეთაურობით.

აფხაზეთისა და ქართლის პირველიერარქთა შორის ერთს უხუცესი, ხოლო მეორეს უმრწემესი ეწოდებოდა.

ერთიან ქართულ ეკლესიაში წოდება „კათალიკოსი“ შეესაბამებოდა ბერძნული საპატრიარქოების „მიტროპოლიტის“ წოდებას. როგორც ბერძნული საპატრიარქოს მიტროპოლიტს უშუალოდ ექვემდებარებოდნენ თავისი ეპისკოპოსები, ასევე ქართლის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსს დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ორივე ეს საკათალიკოსო ერთიანი ქართული ეკლესიის მხოლოდ საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულები (სამიტროპოლიტო ოლქები) იყვნენ. როგორც ითქვა, მათი ზემდგომი საეკლესიო ინსტიტუტი იყო საერთო სჯულისკანონის და საეკლესიო სამართლის შემმუშავებელი ადგილობრივი საეკლესიო კრებები. პატრიარქის მოვალეობა იყო უზრუნველეყო სრულიად საქართველოს ეკლესიაში (ე.ი. ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში) საერთო სჯულისკანონის დაცვა.

აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსთა მონაწილეობით საეკლესიო კრებების მიერ გამოცემულ კანონებს მთელს საქართველოში (ცხადია აფხაზეთშიც) სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა (მათ შორის სამოქალაქო სამართლის სფეროშიც). მაგ., XVI ს-ის საეკლესიო სამართლის ძეგლში, რომელსაც „სამართალი კათალიკოსთა“ ეწოდება, ნათქვამია: „ქ. სახელითა და ღვთისათა: - მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოისა კათალიკოზმან-პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამათმთავარმან ევდემონ, დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ებისკოპოზნი აფხაზეთისანი ....დავიდევით სჯულისკანონი და ჩვენცა იმისგან გამოვიღევით.... და სჯულისკანონიცა ასრე ბრძანებს“.... (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I. 1963, გვ. 393-397).

აფხაზეთის საკათალიკოსოს ამ საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მეთაურობით გამოსცა 15 კანონი. ამ კრების კანონები სავალდებულოდ აღსასრულებელი იყო მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა ის აფხაზეთში იქნა მიღებული და ისინი აფხაზეთის საკათალიკოსოს ეპისკოპოსებმა დაამტკიცეს, ესენი იყვნენ ქუთათელი, გენათელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი, ცაგერელი, ხონელი, ნიკორწმიდელი, ცაიშელი (ჩიშელი) ეპისკოპოსები.

„უხუცეს“ პირველიერარქად ანუ „საქართველოს პატრიარქად“, როგორც წესი, ირჩევდნენ მცხეთელ კათალიკოსს, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში ბიჭვინთელ ანუ აფხაზთა კათალიკოსს გადაეცემოდა ეს ტიტული („საქართველოს პარტრიარქი“).

3. ათეისტური ეპოქის შეხედულებანი აფხაზეთის საკათალიკოსოს შესახებ

ათეისტურ ეპოქაში, გაუქმებული იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობა და ის შეადგენდა ერთ-ერთ ნაწილს ჯერ რუსეთის შემდგომ კი, საბჭოთა იმპერიებისა. ამ დროს რუსეთის საიმპერატორო კარმა უკანონოდ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ქართველი ხალხი თითქმის ერთი საუკუნე იბრძოდა ავტოკეფალიის დაბრუნებისათვის, რაც მართლაც, მოპოვებული იქნა, მაგრამ ხალხზე მისი გავლენის შესამცირებლად მიზანმიმართულად აყალბებდნენ ეკლესიის ისტორიას, რათა ის ცალკეულ ნაწილებად დაეშალათ.

შესაბამისად საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფია ყოველმხრივ უკეთებდა იგნორირებას ზემოთ აღნიშნულ ბერძნულ-ლათინურ, ქართულ-სომხურ და სხვა წყაროებს, რომლებიდანაც ნათლად ჩანს, რომ დასავლეთ საქართველო გაქრისტიანებისთანავე ერთიანი ქართული ეკლესიის ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა კი, საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიამ წარმოადგინა დასავლეთ საქართველოში ეკლესიის ისტორიის თავისებური სქემა.

❖ აღნიშნული ისტორიოგრაფიის მიხედვით, თითქოსდა, X ს-მდე დასავლეთ საქართველო შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში, თითქოსდა, ქუთაისში, ფოთსა და დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში არსებობდა ბერძნულენოვანი საეკლესიო კათედრები 500-600 წლის მანძილზე, IX-X სს-მდე.

❖ საქართველოს ეკლესია „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" თანახმად, არღვევდა უმთავრეს საეკლესიო კანონებს და კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იჭრებოდა: -

ენციკლოპედია წერს - „დასავლეთ საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დასავლეთ საქართველოში „ქართიზაციის" პროცესს" [10. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. „საქ. სსრ", 1981 წ. გვ. 61.].

❖ „ქართული" ეკლესიის "გაბატონებამდე" დასავლეთ საქართველოში, ჩვენი ისტორიკოსების მტკიცებით, თურმე არსებობდა ეგრისისა და აფხაზეთის ეკლესიები, რომლებიც იმყოფებოდნენ

კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, ისინი შემდგომ გაერთიანებულან კონსტანტინოპოლის იურისდიქციაშივე, IX ს-ში მცხეთის საკათალიკოსოს "გაბატონების" შედეგად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაუკარგავს მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი ეს მნიშვნელოვანი სამიტროპოლიტოები და საეპისკოპოსოები. საბჭოთა ისტორიკოსი წერს:

❖ თუ როგორი რეაქციული იყო "ქართული ეკლესიის" ეს "პროზელიტიზმი" ანუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შეჭრა – ამის შესახებ ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფია წერს:

❖ "ქართველები აქედან სდევნიან ბერძნულ ენას, ბერძნულ ვიწრო ეროვნულ კულტურას, შემოაქვთ და ავრცელებენ საკუთარ, ქართულ ენას, ქართულ ღვთისმსახურებას და ქართულ საეკლესიო-სამონასტრო წესებს. ქართულ კულტურას თან მოჰქონდა ქართული პოლიტიკური შეგნება და იდეალი, ასე რომ მცხეთა ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ელემენტებზე დაყრდნობით) შეიჭრა ლიხთ-იმერეთში, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, ეს საინტერესო ფორმულა წამოაყენა თავისი ორგანიზაციული გაბატონების დასაფუძნებლად - "ქართლია" იქ, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზეა (მხოლოდ "კვირიელეისონი" შეიძლება ბერძნულად). მირონის კურთხევა "ქართლს" განეწესება. მაშასადამე, ქართლს ნაკურთხი მირონი სავალდებულოა ყველა იმ ეკლესიისათვის, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზეა.

❖ ცხადია, მცხეთის საკათალიკოსოს მხრივ ეს არის კანონიკური საფუძვლების დაცვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით" [თ. პაპუაშვილი. ადრეფეოდალური ხანის ქართული ლიტერატურა და საისტორიო მწერლობა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, თბილისი, 1973, გვ. 574-601.].

❖ „ეს საეკლესიო რეფორმა, ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, საბოლოოდ X ს-ში სრულდება [საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბილისი 1973, გვ. 427.].

საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის ოც საუკუნეს ეძღვნებოდა, ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი დ. მუსხელიშვილი წარდგა მოხსენებით, „ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში“, სადაც ბრძანა: **„ქართული ეკლესიის კულტურულ-იდეოლოგიური პროზელიტიზმი წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის“** (დ. მუსხელიშვილი, 2005, გვ. 33).

საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსები დასავლეთ საქართველოს იურისდიქციასთან დაკავშირებით ეყრდნობიან მხოლოდ ე.წ. „ნოტიციებს“ (კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხებს). რაც საკმარისი არ არის, რადგანაც ნოტიციებში მართალია ჩამოთვლილია ლაზიკის საეპისკოპოსოები, მაგრამ არ არის მითითებული მათი ადგილმდებარეობა.

მაგალითად, მითითებულია ფასიდის სამიტროპოლიტოს როდოპოლისის, საისინის, პეტრასა და ზიგანას კათედრების შესახებ, მაგრამ არ არის მითითებული კონკრეტულად სად მდებარეობდნენ ეს საეპისკოპოსო ქალაქები.

ეს კათედრები სად მდებარეობდნენ ტრაპეზუნტის რეგიონში თუ სხვაგან სადავოა ბოლო ორი საუკუნის მანძილზე.

კერძოდ, საერთაშორისოდ აღიარებული მეცნიერი – პროფესორი ნ. ადონცი, თავის მრავალრიცხოვან შრომებში ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდა, რომ ლაზიკის კათედრები მდებარეობდნენ ტრაპეზუნტ – არზრუმ – ზიგანას რეგიონში, რომელსაც ლაზიკა ერქვა. მიუხედავად ამისა, ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში წყაროს პირდაპირი მითითების გარეშე დამკვიდრდა თვალსაზრისი, რომ აღნიშნული კათედრები მდებარეობდნენ დასავლეთ საქართველოში. ეს მოსაზრება ამჟამად კვებავს სხვადასხვა სეპარატისტულ დაჯგუფებებს.

მაშინ, როცა ქართული, სომხური, ბერძნულ-ლათინური და ბიზანტიური წყაროები სხვას მიუთითებენ ისევე, როგორც მონაცემები კულტურის სფეროდან.

4. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კულტურა I ათასწლეულში

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კულტურა I ათასწლეულში ქართულია და არა ბიზანტიური.

ცნობილი ისტორიკოსი ნ. ლომოური დარწმუნებულია, რომ დასავლეთ საქართველო „ყველა არსებულ წყაროთა მოწმობით, ვიდრე IX ს.-მდე რჩებოდა ეკლესიურად კონსტანტინოპოლის პატრიარქზე დაქვემდებარებულად“. (ნ. ლომოური, საქართველოსა და ბიზანტიის კულტურულ ურთიერთობათა ზოგიერთი ასპექტი, კავკასიურ-აღლოაღმოსავლური კრებული, XIV, 2011, გვ. 124).

მიუხედავად ასეთი შეხედულებისა, ის ვერ გაექცა ფაქტებს და აღიარებს, რომ დასავლეთ საქართველოში ამ პერიოდის ქრისტიანული კულტურა ქართულია და არა ბიზანტიური.

თუ დასავლეთ საქართველო IV საუკუნიდან IX საუკუნემდე თითქმის 500 წლის მანძილზე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა ეს ფაქტი უნდა აესახა საეკლესიო არქიტექტურასა და კულტურას.

საბედნიეროდ, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო არქიტექტურა და ქრისტიანული კულტურა მიუთითებს არა ამ რეგიონის ბიზანტიური ეკლესიის წიაღში ყოფნის შესახებ არამედ ქართულისა.

დამახასიათებელი არქიტექტურული ელემენტებით დასავლეთ საქართველოს ბაზილიკები (**ბიჭვინთა, ციხისძირი, ნოქალაქევი, სეფიეთი**) ეთანადებიან ზოგადქართულ საეკლესიო სტილს და არა ბიზანტიურს. კერძოდ ნ. ლომოური ამის შესახებ წერს –

1) სამნავიანი ბაზილიკები საქართველოში განსხვავდებიან ბიზანტიურისაგან, რადგანაც მათ არქიტექტურულ სახეს აქვთ ბიზანტიურისაგან განსხვავებული მკვეთრად გამოხატული თავისებურება და განსხვავდებიან ამ ტიპის საყდრების კლასიკური ნიმუშისაგან (მაგ. შუა ნავი შედარებით მოკლეა, არა აქვს სვეტების რიგი, გვერდითი ნავები ვიწროა და სხვა). „ნიშანდობლივია, რომ ჩამოთვლილი ელემენტები მჟღავნდება დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებზეც (**ბიჭვინთა, ციხისძირი, ნოქალაქევი, სეფიეთი**)... უფრო მეტიც, სამნავიანი ბაზილიკის ასეთი თავისებურებები ახასიათებს ციხისძირში (ანუ ძველ პეტრაში) გამოვლენილ ეკლესიებსაც“ (იქვე, გვ. 124)

2) სამნავიანი ბაზილიკების გარდა საქართველოში ჩამოყალიბდა უგუმბათო ტაძრის სრულიად განსხვავებული სახეობა ე.წ. „სამეკლესიანი ბაზილიკები“ (ერთ ბაზილიკაში მოქცეულია სამი ნავი, რომელიც ერთმანეთისაგან გაყოფილია კედლებით, სამივე ნავს აქვს საკუთარი საკურთხეველი და აქვს სხვა ორიგინალური ნიშნები, უცნობი ბიზანტიური არქიტექტურისათვის. „ასეთი „სამეკლესიანი ბაზილიკები“ ერთდროულად გამოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოში და ძველი აფხაზეთის ტერიტორიაზედაც – **ძველი გაგრის** ეკლესია“ (იქვე, გვ. 125).

3) „თითქმის სრულ დამოუკიდებლობას ბიზანტიური საეკლესიო ხუროთმოძღვრებისაგან ამჟღავნებენ ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრები, რომელთაც ვ. ბერიძის სიტყვით განვლეს განვითარების თავისებური გზა, მარტვილიდან რთულისაკენ, ძველი გავაზისა და თბილისის ქვაშვეთის უბრალო ტეტრაკონქიდან მცხეთის ჯვრისა და მისი ტიპის რთული აღნაგობას ძეგლებამდე. ეს ტიპი არის ქართული ხუროთმოძღვრების ორიგინალური ქმნილება, რომელიც შემდგომ სომხეთშიც გავრცელდა, მაგრამ ბიზანტიის სხვა პროვინციებში მას არ ეძებნება პარალელები. მათ წინამორბედს საქართველოში წარმოადგენს საცხოვრებელი ნაგებობების დარბაზული ფორმა. ამ ტიპის ნაგებობებია – ატენის სიონი – ქართლში, ძველი შუამთა კახეთში, მარტვილის ღვთისმშობლის ტაძარი – ოდიშში, ჩამუსი ტაოში“ (იქვე, გვ. 125) ე.ი. **მარტვილის ტაძარი ქართული და არა ბიზანტიური სტილისაა**.

4) „დამოუკიდებელი არქიტექტურული მიმართულება“ დამახასიათებელი ისეთი ტაძრებისთვის, როგორიცაა სვეტიცხოველი, **ბაგრატი**, ალავერდი, იშხანი, ბანა, ხახული და ა.შ. ყველა ამათი საფუძველი

იყო, ადგილობრივი, საუკუნეთა განმავლობაში თანდათან შემუშავებული ეროვნული წარმომავლობის თავისებურებანი. ეს დასკვნა ვრცელდება აფხაზეთში აგებულ ისეთ ეკლესიებზე, როგორიცაა **ბზიფის, ანაკოფიის, ლიხნის, მოქვის, გაგრის** ეკლესიები" (იქვე, გვ. 125).

ე.ი. ბაგრატის, ბზიფის, ანაკოფიის და სხვა დასავლეთ საქართველოს ტაძრები „საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული ეროვნული არქიტექტურული თავისებურებანი" ყოფილა. ამით ისინი განსხვავდებიან ბიზანტიურისაგან.

არქიტექტურულად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო ხელოვნება ერთ მთლიანობას წარმოადგენდა, რაც შედეგი იყო ერთიანი ქართული საეკლესიო იურისდიქციისა.

მაშასადამე, არქიტექტურული ფაქტებით დასტურდება ძველ ქართველ მემატიანეთა ცნობები, რომ დასავლეთ საქართველო არ ყოფილა ბიზანტიურ საეკლესიო იურისდიქციაში. ამას მიუთითებს **ბიჭვინთის, ციხისძირის, ნოქალაქევის, სეფიეთის, გაგრის, მარტვილის, ბაგრატის, ბზიფის, ლიხნის, მოქვის და სხვა საეკლესიო არქიტექტურა.**

ბიჭვინთის მოზაიკის შესახებ იგივე შეიძლება ითქვას. ის „არ ნახულობს არსად ანალოგს გარდა საქართველოსი, რაც აძლევს მკვლევარებს საფუძველს ეს მოზაიკა მიაკუთვნონ ამ დარგის ადგილობრივ სკოლას" (იქვე, გვ. 123).

ეს საეკლესიო ხელოვნება არ ადასტურებს იმ თვალსაზრისს თითქოსდა აფხაზეთის ბიჭვინთაში იყო ბიზანტიელი ეპისკოპოსის რეზიდენცია. ადგილობრივი კულტურის ელემენტები დადასტურდა **ბიჭვინთის** ეკლესიის ნანგრევებში" (IV–VI სს.) მხედველობაშია მოზაიკები, რომელნიც ავლენენ ადგილობრივ ხელოვნებასთან მჭიდრო კავშირს" (იქვე, გვ. 123)

სინამდვილეში ბიზანტიური საეპისკოპოსო კათედრა და რომაული გარნიზონები იდგა ტრაპეზუნტის რეგიონში მდებარე პიტია-პიტიუნტში, ხოლო **აფხაზეთის ბიჭვინთა – თავიდანვე ქართული პოლიტიკური და კულტურული სივრცის ნაწილი იყო.**

მაშასადამე, დასავლეთ საქართველო ბერძნულ-ლათინური, ქართული და სომხური წყაროების მიხედვით საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალ ერთ-ერთ ოლქს შეადგენდა მისი გაქრისტიანებისთანავე, როგორც ითქვა, ამას მიუთითებს:

ბერძნულ-ლათინური და ბიზანტიური წყაროებიდან –

გელასი კესარიელის, გელასი კვიზიკელის, ლაზიკის მიტროპოლიტ გერმანეს, ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქების დოსითეოსისა (Досифей) და ქრისანთოს (Хрисанф) ცნობები და სხვა. **ქართული წყაროებიდან –** რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილება, ქართლის ცხოვრება, სხვა ქართული მატიანეები, გიორგი მთაწმიდელის, ეფრემ მცირის, ნიკოლოზ კათალიკოსისა და სხვათა ცნობები. **სომხური წყაროებიდან –**

აგათანგელოზის, მოვსეს ხორენაცის, უხტანესისა და იოანე კათალიკოსის ცნობები. საბოლოოდ, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ქართული, ბერძნულ-რომაული და სომხური წყაროები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესიის იურისდიქციის შესახებ.

სამწუხაროდ, არცერთ ამ წყაროს, ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი ყურადღებას არ აქცევს და ინტერესის სფერო მხოლოდ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხებით ე.წ. ნოტიციებით ამოიწურება, რომელებშიც დასახელებული ლაზეთის ეპარქიის საეპისკოპოსოებს რატომღაც დასავლეთ საქართველოში ათავსებენ. ნოტიციებში, ცხადია, არ არის არავითარი მითითება მათი ადგილმდებარეობის შესახებ. მაგ., სად მდებარეობდა როდოპოლისი? ტრაპეზუნტის რეგიონში თუ ვარციხესთან? ამ საკითხის შესახებ საუკუნოვანი კვლევა-ძიება გრძელდება. მაგ., როგორც ითქვა, ისეთი ცნობილი ისტორიკოსი როგორიც იყო ნ. ადონცი ამ საეპისკოპოსოსა (და ასევე, ფაზისის სამიტროპოლიტოს სხვა საეპისკოპოსოებს) ათავსებდა ტრაპეზუნტის რეგიონში. ის მიიჩნევდა, რომ ყოველთვის აქ მდებარეობდა ისტორიული ლაზიკა. და ის შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში.

ამასვე, რომ ფიქრობდნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში ეს ჩანს, XX ს-ის პირველი ნახევრის

ათენში დაბეჭდილი ბერძნული რუკიდან, რომელიც თან ერთვის ამას.

ამ რუკაზე ნათლად ჩანს, რომ მგალითად, როდოპოლისის ცნობილი ეპარქია მდებარეობდა ტრაპეზუნტის რეგიონში და მოიცავდა მთიან რეგიონს რიზეს სამხრეთიდან ვიდრე ზიგანას (გუმუშხანეს) ულელტეხილამდე.

სამწუხაროდ, საბჭოთა საისტორიო სკოლის გავლენით, ბოლო წლებში, თავის ბოლო ნაკვლევებში, ისეთ ცნობილ მკვლევარს, როგორიც არის დარუზესი, მიუჩნევია, რომ თითქოსდა, კონსტანტინოპოლი თავის იურისდიქციას დასავლეთ საქართველოში ახორციელებდა X ს-ის დასაწყისამდე (879-907 წლამდე), მაგრამ ეს ასე რომ არ იყო თუნდაც გიორგი მერჩულის ცნობიდანაც ჩანს, რომლის მიხედვითაც წმიდა გრიგოლ ხანძთელი აფხაზეთში დაახლ. 826 წელს ჩავიდა და მას იქ არავითარი ბერძნული კათედრა არ დახვედრია, პირიქით, ეს მიწა-წყალი იყო ქართული ეკლესიის ზრუნვის არეალი.

ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ:

აფხაზეთის საკათალიკოსო, ისტორიულად ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, რომლის მეორე ნაწილი იყო ქართლის საკათალიკოსო.

5. არასწორი შეხედულება საქართველოს ეკლესიიდან აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოყოფის შესახებ XVI ს.-ის შემდეგ

საბჭოთა ეპოქის სამეცნიერო წრეების გავლენით ამჟამადაც დანერგილია თვალსაზრისი, თითქოსდა შუა საუკუნეებში აფხაზეთის საკათალიკოსო გამოეყო საქართველოს ეკლესიას და ამის შედეგად მოიპოვა მისმა კათალიკოსმა საკუთარი ეპისკოპოსების კურთხევისა და დადგენის უფლება, მაგალითად, მკვლევარი გ.კალანდია წერს თავისი ნაშრომის რუსულ რეზიუმეში: - **„Абхазский католикосат отделился от Церкви Грузии“** (გ.კალანდია, ოდიშის საეპისკოპოსოები, 2004, გვ. 272).

პრინციპულად არასწორი შეხედულებაა.

საქმე ისაა, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს არ შეეძლო გამოყოფა საქართველოს ეკლესიისაგან, იმ მიზეზის გამო, რომ თვითონვე წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიას, ქართულ ეკლესიას.

როგორც ადამიანის რომელიმე ორგანოს არ შეუძლია ადამიანისაგან გამოყოფა და დამოუკიდებელი არსებობა, ასევე არ შეეძლო შუა საუკუნეებში აფხაზეთის ეკლესიას საქართველოს ეკლესიისაგან გამოყოფა, რადგანაც თვითონვე წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიას - აღმოსავლეთ საქართველოს მუსულმანთაგან დაპყრობის შემდეგ, XVII საუკუნიდან, აფხაზეთის საკათალიკოსომ თავის თავზე აიღო საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელობის ფუნქცია. ეს იყო რთული პროცესი, რომელიც აღწერილია ქვემოთ.

როგორც ითქვა, აფხაზეთის საკათალიკოსო, ისტორიულად ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, ზოგად ქართული ეკლესიის მთლიანობა მიიღწეოდა საერთო საეკლესიო სამართლით, საერთო სჯულისკანონით, საერთო ქართული საღვთისმსახურო ენით, საერთო ტრადიციებითა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთო მეთაურობით.

აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოების პირველიერარქთა შორის ერთს უხუცესი, ხოლო მეორეს უმრწემესი ეწოდებოდა.

ერთიან ქართულ ეკლესიაში წოდება „კათალიკოსი“ შეესაბამებოდა ბერძნული საპატრიარქოების „მიტროპოლიტის“ წოდებას. როგორც ბერძნული საპატრიარქოს მიტროპოლიტს უშუალოდ ექვემდებარებოდნენ თავისი ეპისკოპოსები, ასევე ქართლის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსს დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, **ორივე ეს საკათალიკოსო ერთიანი ქართული ეკლესიის მხოლოდ საეკლესიო**

ადმინისტრაციული ერთეულები (სამიტროპოლიტო ოლქები) იყვნენ. როგორც ითქვა, მათი ზემდგომი საეკლესიო ინსტიტუტი იყო საერთო სჯულისკანონის და საეკლესიო სამართლის შემმუშავებელი ადგილობრივი საეკლესიო კრებები. პატრიარქის მოვალეობა იყო უზრუნველეყო სრულიად საქართველოს ეკლესიაში (ე.ი. ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში) საერთო სჯულისკანონის დაცვა.

აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსთა მონაწილეობით საეკლესიო კრებების მიერ გამოცემულ კანონებს მთელს საქართველოში (ცხადია აფხაზეთშიც) სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა (მათ შორის სამოქალაქო სამართლის სფეროშიც).

მაგ. XVI საუკუნის საეკლესიო სამართლის ძეგლში, რომელსაც „სამართალი კათალიკოსთა“ეწოდება, ნათქვამია: „ქ.სახელითა და ღვთისათა:-მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოისა კათალიკოზმან-პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამათმთავარმან ევდემონ, - დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ებისკოპოზნი აფხაზეთისანი .....დავიდევით სჯულისკანონი და ჩვენცა იმისგან გამოვიღევით.... და სჯულისკანონიცა ასრე ბრძანებს....“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I. 1963, გვ. 393-397).

აფხაზეთის საკათალიკოსოს ამ საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მეთაურობით გამოსცა 15 კანონი. ამ კრების კანონები სავალდებულოდ აღსასრულებელი იყო მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა ის აფხაზეთში იქნა მიღებული და ისინი აფხაზეთის საკათალიკოსოს ეპისკოპოსებმა დაამტკიცეს, ესენი იყვნენ ქუთათელი, გენათელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი, ცაგერელი, ხონელი, ნიკორწმიდელი, ცაიშელი (ჩიშელი) ეპისკოპოსები.

„უხუცეს“ პირველიერარქად ანუ „საქართველოს პატრიარქად“, როგორც წესი, ირჩევდნენ მცხეთელ კათალიკოსს, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში ბიჭვინთელ ანუ აფხაზთა კათალიკოსს გადაეცემოდა ეს ტიტული („საქართველოს პარტიარქი“).

მაგალითად შაჰ-აბასის შემოსევების შემდეგ (XVII საუკუნესა და XVIII ს. I ნახევარში) აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოებმა დაკარგეს სუვერენიტეტი (მუსულმანური მმართველობის ქვეშ მოექცნენ), ხოლო დასავლეთ საქართველო ძველებურად მართლმადიდებელ მეფე-მთავართა მიერ იმართებოდა.

ამ ფაქტმა გაზარდა დასავლეთ საქართველოს მმართველთა (მეფეთა და კათალიკოსთა) ავტორიტეტი, რაც მათ ტიტულატურაზეც აისახა - აფხაზეთის კათალიკოსთა ტიტულატურაში გამოჩნდა ტიტული „საქართველოს პატრიარქი“, მაგალითად, XVIII ს-ის აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლი თავის მიერ გამოცემული დოკუმენტებს ხელს აწერს ასე – „გრიგოლ მწყემსი ქრიტეს მიერ ყოვლისა საქართველოისა კათალიკოსი“ („ქართული სამართლის ძეგლები“, III, გვ. 675);

ასევე ზოგიერთი სხვა აფხაზეთის კათალიკოსიც თავის თავს საქართველოს პატრიარქს უწოდებდა XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის დასაწყისში, ანუ ის არა მხოლოდ აფხაზეთის არამედ სრულიად საქართველოს უხუცესს პირველიერარქად თვლიდა თავის თავს.

ეს ფაქტი ასახულია უცხოურ წყაროებშიც. უცხოური წყაროების თანახმად ამ ეპოქაში აფხაზეთის კათალიკოსი სრულიად საქართველოს (იბერიის) უხუცეს (უპირატეს) პირველიარარქად ითვლებოდა, მაგალითად ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (XVII ს.) ამის შესახებ წერდა – „იბერიაში ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერია, რომელსაც ძველად კოლხეთს და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში. ზემო და ქვემო იბერიას შორის საზღვარი არის ქედი, რომელიც კავკასიის მთებში იწყება, ქართულად ქულფარგი ეწოდება, ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე, რადგანაც ის უკვე ისავროსის დროს, 720 წელს, კათალიკოსი იყო ქვემო იბერიისა ... იბერები ქვემო

იბერიის კათალიკოსს მიიჩნევენ უფროს კათალიკოსად, რადგანაც მეფე, ე.ი. იმერეთის თავი, მათთან იწოდება მთელი იბერიის მეფეთა-მეფედ“ (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: „სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია. თეოლოგია, ათენი, 1966 წ.).

დას. საქართველოს ეკლესიას უცხოელები უწოდებდნენ „ქვემო იბერიის ეკლესიას“. იხ. სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია „თეოლოგია“, ათენი, 1966

საქართველოს ანუ იბერიის სამეფოს მთლიანობა დაარღვია თავდაპირველად VI ს.-ში სპარსთა, ხოლო VII ს.-ში არაბთა შემოსევება, ამის შედეგად VIII ს-დან საქართველოს კუთხეებში ჩამოყალიბდა რეგიონალური ქართული სახელმწიფოები. ერთერთი ასეთი იყო აფხაზთა სამეფო.

VIII საუკუნის II ნახევარში შექმნილ „აფხაზთა სამეფოში“ შევიდა და მისი ძირითადი ნაწილი გახდა იბერიის სამეფოს ყოფილი ტერიტორიები დასავლეთ საქართველოში – ეგრისი, გურია, თაკვერი, არგვეთი, სვანეთი, **ამიტომაც აფხაზთა სამეფოს VIII-X საუკუნეებში „ქვემო იბერიას“ უწოდებდნენ.**

არსებობდა ორი იბერია: ზემო იბერია – ანუ აღმოსავლეთი საქართველო და „ქვემო იბერია“ – ანუ დასავლეთი საქართველო.

საერთოდ, IV ს-დანვე დასავლეთ საქართველო (ქვემო იბერია) მცხეთის ანუ ერთიანი იბერიის ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა IV ს-დანვე. ამის შესახებ წერს რუის-ურბნისის კრება: **(წმიდა ნინომ მოაქცია ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა მცხოვრებნი როგორც აღმოსავლეთში ისე დასავლეთში, ამავე კრების განსაზღვრებით ანდრია მოციქულმა სახარება იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა,** სომხური საეკლესიო წყაროებიც აღნიშნავენ, რომ დასავლეთ საქართველო იმყოფებოდა მცხეთის საეკლესიო იურისდიქციაში. მაგალითად, ამ წყაროებში აღინიშნება რომ **კირიონი ქართლის კათალიკოსი VI ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დასაწყისში მართავდა დასავლეთ საქართველოს ეპარქიებსაც. კირიონი, „ეგრისის, გუგარქისა და ქართლის არქიეპისკოპოსად ანუ კათალიკოსად იყო ნაკურთხი „წინანდელ წესთა თანახმად“** (იოანე დრასხანაკერტელი, „სომხეთის ისტორია“, გვ. 10).

მეორე იერუსალიმელი პატრიარქი ხრისანფი ამბობს: „...საქართველოში, რომელსაც ადრე იბერია ერქვა, იყო ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი, რომელთაც ჩვეულების თანახმად უწოდებენ კათალიკოსებს და არა არქიეპისკოპოსებს. ასე მათ მარტო ქართველები უწოდებენ. ამათგან ერთი, ე.ი. არქიეპისკოპოსი ქვემო იბერიისა, იწოდება იმერეთის, ოსეთის, გურიის და სრულიად ქვემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, ანუ მარტივად, სრულიად იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, როგორც უფროსი ზემო იბერიის კათალიკოსზე. ხოლო მეორე, ე.ი. ზემო იბერიისა, იწოდება ქართლის, კახეთის, ალვანეთის და სრულიად ზემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად... რომელი იმპერატორის დროს, ან რომელ კრებაზე გახდა ის საარქიეპისკოპოსო, ჩვენ ზუსტად ვერ დავადგინეთ, მაგრამ **26 ივნისის სვინაქსარში ვპოულობთ, რომ იოანე, გოთეთის ეპისკოპოსი, ხელდასხმული იქნა იბერიის კათალიკოსის მიერ, რადგანაც რომაულ ქვეყნებში ბატონობდა ხატმებრძოლთა ერესი, ასე რომ, როგორც ჩანს, ერეკლეს შემდეგ ისავრამდე ქვემო იბერია საარქიეპისკოპოსო გახდა...“** (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: „სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია. თეოლოგია, ათენი, 1966 წ.).

ეს იერუსალიმელი პატრიარქები XVII საუკუნეში ცხოვრობდნენ.

XVIII საუკუნის II ნახევარში აღსდგა აღმოსავლეთ საქართველოში სახელწიფოებრივი სუვერენიტეტი და სამეფო ტახტი კვლავ მართლმადიდებელმა ხელმწიფეებმა დაიჭირეს, ამ ფაქტმა ძველი ავტორიტეტი დაუბრუნა მცხეთელ კათალიკოსს, და ის ძველებურად „უხუცეს“, პირველპატრიარქად იქცა ქართულ საეკლესიო სამყაროში.

ეს ფაქტი საეკლესიო სამართლის სფეროშიც აისახა, მაგალითად აფხაზ კათალიკოსთა

ტახტზე მჯდომი წმ. დოსითეოს ქუთათელის დროს ანტონ კათალიკოსის დიკასტერიის (საეკლესიო სასამართლოს) სამართალის სფეროში შედიოდა აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველოც (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, 2003, ტ. III. გვ. 7-9). სამართლებრივად და ადმინისტრაციულად XVIII ს-ის ბოლოს დოსითეოს ქუთათელის დროს ისევე, როგორც ყოველთვის IV ს-დან საქართველოს ეკლესია ერთიანი იყო.

XIX ს.-ში მთელი ეს სისტემა მოიშალა, რადგანაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ.

1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის მთავრობამ (1917 წლის 25 ივლისს მინისტრთა თავმჯდომარე ა. კერენსკისა და უწმიდესი სინოდის ობერპროკურორის ა. კარტაშევის ხელისმოწერით) დაუბრუნა საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია, რომელიც იქამდე 1917 წლის (12) 25 მარტის აქტის საფუძველზე აღდგენილად გამოაცხადეს საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებმა და მრევლმა (იქვე, ტ. III, გვ. 121).

ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ საეკლესიო კრებამ ეკლესიის პირველიერარქს აღუდგინა სრულიად საქართველოს კათალიკოს პარტიარქის ტიტული, მაშასადამე, ის აერთიანებდა საუკუნის მანძილზე უკვე არ არსებული (გაუქმებული) ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებს და მას უკვე უშუალოდ ექვემდებარებოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები.

ამის შემდეგ ტიტული მიტროპოლიტი აღნიშავდა მხოლოდ პატივს ეპისკოპოსისა და არა იერარქიულ თანამდებობას. ამჟამად ეს ტიტული მხოლოდ საეპისკოპოსო ჯილდოს წარმოადგენს. შესაბამისად ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველის თანამდებობრივი ტიტული არის ეპისკოპოსი და მას ღვაწლისათვის შესაძლოა ჯილდოს სახით ებოძოს მთავარეპისკოპოსის ანდა მიტროპოლიტის წოდება.

1917 წლის საეკლესიო კრების მიერ საქართველოს პატრიარქს მიენიჭა უფლება მუდმივად ან დროებით მართავდეს რომელიმე ეპარქიასაც. 1917-18 წლების კრებებმა მას სამართავად გადასცა მცხეთა-თბილისის ეპარქია, ხოლო 2010 წლის კრებამ (წმ.სინოდმა) სამართავად გადასცა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია(ამასთანავე ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას უწოდა ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია).

(სხვადასხვა წლებში საქართველოს პატრიარქები სხვა ეპარქიებსაც მართავდნენ, მაგ. მანგლისისა, ქუთაისისა და სხვა).

შესაბამისად ამჟამად საქართველოს პატრიარქი ასე იწოდება - „უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, დიდი მეუფე მამაი ჩვენი ილია“.

6. აფხაზეთის საკათალიკოსო – საქართველოს საპატრიარქოს ერთ-ერთი სტრუქტურული ნაწილი

წყაროთა ცნობით, საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა:

ა. აღმოსავლეთ საქართველო;

ბ. დასავლეთ საქართველო;

გ. სამხრეთ საქართველო და მართლმადიდებლური სომხეთი;

დ. ჩრდილო კავკასია და ჰერეთ-ალბანეთი.

ა. აღმოსავლეთ საქართველოს ეპარქიები იმართებოდა ქართლის კათალიკოსის მიერ, რომელსაც როგორც წესი, ენიჭებოდა ტიტული „სრულიად საქართველოს პატრიარქი“, ის იყო სრულიად საქართველოს ეკლესიის უზენაესი მმართველი.

ბ. დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოების სამართავად, როგორც ითქვა, ჩამოყალიბდა აფხაზეთის საკათალიკოსო, რომელშიც შედიოდა ბიჭვინთის, მოქვის, დრანდის, ბედიის, ჭყონდიდის, ქუთაისისა და სხვა საეპისკოპოსოები.

გ. სამხრეთ საქართველოსა და სომხეთში საქართველოს საპატრიარქოს მრავალი ეპარქია და საეპისკოპოსო გააჩნდა - აწყურის, კუმურდოს, ბანას, იშხანის, არზრუმის, ანისის, ყარსის, ვალაშკერტისა და სხვა საეპისკოპოსოები. მათ დაემატა და თანდათან ჩამოყალიბდა ასევე „სომხითის სამიტროპოლიტო“.

დ. ჩრდილო კავკასიისა და ჰერეთ-ალბანეთის ეპარქიების მართვისათვის საქართველოში ჩამოყალიბდა სამიტროპოლიტო ერთეული, რომელსაც ხუნძეთის საკათალიკოსო ეწოდებოდა, ხუნძეთის კათალიკოსის ოქროპირის სახელი შემოგვინახა სინას მთის ქართული მონასტრის აღაპებმა (როგორც ითქვა, წოდება კათალიკოსი იგივეა, რაც არქიეპისკოპოსი და მიტროპოლიტი ბიზანტიური ეკლესიისა. ამიტომაც ეწოდებოდა ქართულ წყაროებში მაგალითად, კვიპროსის არქიეპისკოპოსს - „კვიპროსის კათალიკოსი“).

საქართველოს საპატრიარქოს ერთ-ერთი სტრუქტურული ნაწილის - ხუნძეთის საკათალიკოსის იურისდიქცია მოიცავდა ჩრდილო კავკასიას, დაღესტანსა და ასევე ჰერეთ-ალბანეთის ერთ ნაწილს (იხ. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, II, 1998, გვ. 214).

მასში შედიოდა ანწუხის, წახურის, ხუნძეთისა და სხვა საეპისკოპოსოები.

მაშასადამე, საქართველოს საპატრიარქოში შედიოდა მისი სტრუქტურული ერთეულები - ქართლის, აფხაზეთისა და ხუნძეთის საკათალიკოსოები და ასევე სომხითის სამიტროპოლიტო.

შესაბამისად, **საქართველოს საპატრიარქოში იურისდიქციაში შედიოდა ვრცელი ტერიტორია ჩრდილო კავკასია კაფადან (თეოდოსიოპოლ ყირიმის ნახევარკუნძულიდან) – ალბანეთამდე, ვანის ტბიდან (ვალაშკერტიდან) არზრუმამდე** (იქვე, გვ. 215-228).

როგორც ვთქვით, საქართველოს პატრიარქი იმავე დროს ატარებდა ქართლის კათალიკოსის ტიტულს, რადგანაც ის ერთდროულად ორი საეკლესიო ტახტის მფლობელი იყო, წარმოადგენდა სრულიად საქართველოს ეკლესიის მეთაურსა და ასევე მისი ერთერთი ნაწილის - ქართლის საკათალიკოსოს მეთაურს, ამის გამო მას „უხუცესი“, ხოლო საქართველოს საპატრიარქოს მეორე ნაწილის - აფხაზეთის საკათალიკოსოს მეთაურს „უმრწემესი“ ანუ უმცროსი ეწოდებოდა.

საქართველოს საპატრიარქოში, როგორც ადრე აღვნიშნეთ, შედიოდა აგრეთვე სომხითის სამიტროპოლიტო. სომხითის მიტროპოლიტი უშუალოდ ექვემდებარებოდა ქართლის კათალიკოსს. ხოლო საპატრიარქოში ასევე შემავალი ჩრდილო კავკასიის ქრისტიანები და ჩრდილო კავკასიაშივე მდებარე ხუნძეთის კათალიკოსი უშუალოდ საქართველოს პატრიარქს ექვემდებარებოდა. აღნიშნულთა გამო საქართველოს საპატრიარქოს სტრუქტურას გრაფიკულად ასეთი სახე ექნება:


საქართველოს საპატრიარქო
საქართველოს პატრიარქი, ანუ მამათმთავარი
აფხაზეთის საკათალიკოსო
ქართლის საკათალიკოსო
ჩრდილო კავკასიის ქრისტიანები
ხუნძეთის საკათალიკოსო
სომხითის სამიტროპოლიტო

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ანალიზი 2012 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიის ოთხტომეულისა

(საქართველოს ეკლესიის ისტორიის არასწორი ასახვა 2012 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის ოთხტომეულში დასავლეთ საქართველოსთან და კახეთთან დაკავშირებით)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და რელიგიის შესწავლის სამეცნიერო ცენტრმა, გამოსცა საქართველოს ისტორიის ოთხტომეული (სარედაქციო კოლეგია: მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, რ. მეტრეველი, თბილისი 2012).

მასში მოცემული მტკიცებებით დასავლეთ საქართველო და ასევე კახეთის დიდი ნაწილი IX-X საუკუნემდე (ე.ი. გაქრისტიანების დროიდან, თითქმის 600 წლის მანძილზე) შედიოდა არა საქართველოს წმიდა ეკლესიის იურისდიქციაში, არამედ კონსტანტინოპოლის ბერძნული საპატრიარქოსა და ასევე ალბანეთის იურისდიქციაში.

I. 2012 წ. გამოცემული საქართველოს ისტორიის II ტომი კახეთთან დაკავშირებით

საქართველოს ისტორიის II ტომში კახეთის დიდი ნაწილი მიკუთნებული აქვს ალბანეთს.

საქართველოს ისტორიის II ტომში აღნიშნულია რომ ცნობილი მეცნიერების აზრით ჰერები იყვნენ არა ქართველები, არამედ ალბანელები, კერძოდ იქ (II ტომში) ნათქვამია: **„ჰერებს ქართველთა მეზობლად მოსახლე ერთ-ერთ ალბანურ ტომად მიიჩნევენ, რომელმაც იბერიის გავლენის შედეგად განიცადა ქართიზაცია“** (საქართველოს ისტორია, 2012, ტ. II, გვ. 180).

ამასთანავე მიიჩნევა, თითქოსდა ისტორიულად ჰერეთს ეკუთვნოდა ამჟამინდელი კახეთის მიწა-წყალის დიდი ნაწილი – ბოდბე, დავითგარეჯის მონასტრების ტერიტორია და იქვე აღნიშნულია, თითქოსდა **იბერიის გავლენის შედეგად ქართიზებულ ანუ ისტორიულად არაქართულ** ჰერეთში მოღვაწეობდნენ სირიელი მამები: **„ჰერეთში მოღვაწეობდნენ ცნობილი სირიელი მამები: დავით გარეჯელი, იოსებ ალავერდელი, აბიბოს ნეკრესელი, სტეფანე ხირსელი“** (იქვე გვ. 181) - წერს II ტომის ავტორი.

მაშასადამე, ამ II ტომის ავტორის წარმოდგენით გარეჯა, ალავერდი, ნეკრესი და ხირსა ჰერეთში შედიოდა, სადაც სირიელი მამები დავითი, იოსები, აბიბოსი და სტეფანე მოღვაწეობდნენ, თუკი **„ჰერები ქართველთა მეზობლად მოსახლე ერთ-ერთი ალბანური ტომი იყო“** (როგორც ის წერს), მაშინ გარეჯა, ალავერდი, ნეკრესი და ხირსა (აღნიშნული ავტორის ლოგიკით) ალბანელების ისტორიული მიწა-წყალი ყოფილა (ამჟამად ალბანელების სახელით ალბათ ამიტომაც გვედავებიან დავითგარეჯას აზერბაიჯანელთა დაინტერესებული წრეები).

- აღნიშნული ავტორის მოსაზრება არაა ორიგინალური, რადგანაც 2012 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიაში გამეორებულია საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შემუშავებული თეორია კახეთის დიდი ნაწილის ე.წ. ქართიზაციის შესახებ.

2005 წელს, საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის ოც საუკუნეს ეძღვნებოდა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სახელით წარდგენილი იქნა მოხსენება - “ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში,სადაც ნათქვამია: **“ქართული ეკლესიის კულტურულ-იდეოლოგიური პროზელიტიზმი წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის“** *[დ. მუსხელიშვილი. ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, II საერთაშორისო სიმპოზიუმი, 24-26 ნოემბერი, 2005.]*.?

ე.წ. "ქართიზაციის" თეორია, ოფიციალური ისტორიოგრაფიისათვის უეჭველ დოგმად იქცა. სამწუხაროდ მას კვლავინდებურად აღიარებენ 2012 წლის გამოცემის ავტორები.

ამ თეორიით მცხეთა-თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რეგიონები, ე.ი. ისტორიული კახეთი და ქვემო ქართლი, თითქოსდა, თავდაპირველად დასახლებული იყო ალბანელი ხალხით, რომელიც ქართული ეკლესიის მეშვეობით გაქართველდა.

ეს თეორია უნდა ექვემდებარებოდეს გადახედვას, რადგანაც ძველი საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად, ჰერეთ-ალბანეთი მოიცავდა სულ სხვა ტერიტორიას. კერძოდ, შემდეგდროინდელი რანისა და შაქის მიწა-წყალს, ამიტომაც უწოდებდნენ შემდგომ საუკუნეებში ჰერეტიც დედოფალს შუშანიკს საეკლესიო წყაროებში რანის დედოფალს, ხოლო მეფეთა ტიტულატურაში იხსენებოდა რანთა მეფე, რომელიც გულისხმობდა ჰერეთის ყოფილი სამეფოს მფლობელობას. ალბანეთის კულტურულ მემკვიდრეობაზე ამჯამად პრეტენზიას აცხადებენ აზერბაიჯანელები, ამიტომაც თუკი ალბანეთი უშუალოდ ემიჯნებოდა მცხეთა-თბილისს – აღნიშნული თეორიით მათ გარკვეული უფლებამოსილება ენიჭებათ მცხეთის აღმოსავლეთითა და თბილისის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალსა და მასზე მდებარე კულტურის ძეგლებზეც.

- ზოგი ქართველი ისტორიკოსის თვალსაზრისით, თვით წმიდა ნინოს საქმიანობა თითქოსდა მიმართული იყო იქითკენ, რომ ჰერეთში მცხოვრები არაქართული მოსახლეობა (ალბანელები) გაექართველებინა. ჩვენი აზრით, ასეთი წარმოდგენა წმიდა ნინოსი ძალზე უცნაურია.
- **ეს ქართველი მეცნიერი წერს: მეფე მირიანის დროს ბოდბე ახლადშემოერთებული იყო, აქ "ალბანელებიც (ჰერები) ცხოვრობდნენ ... მათი საბოლოო ასიმილაცია დროის ამბავი იყო"- წერს ის და განაგრძობს- "ჩანს, მირიან მეფის და წმიდა ნინოს ინტენსიური კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მიმართული იყო ჰერეთში ქართული ქრისტიანობის გავრცელებისაკენ... რომელიც წინააღმდეგობას აწყდებოდა არა მხოლოდ ალბანელთაგან, არამედ სომხებისგანაც"**(დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, 2003, გვ.38).
- **სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წმიდა ნინო "აქართველებდა" არა მარტო ჰერ-ალბანელებს, არამედ, სომხებსაც; ჩვენი მეცნიერის ამ მოსაზრების საპირისპიროდ, მოვსეს ხორენაცს მთელი მოსახლეობა "კლარჯეთიდან მასქუთებამდე" (ანუ კასპიის ზღვისპირეთში მცხოვრებ ტომ მასქუთებამდე) - ეთნიკურ ქართველებად მიაჩნია (სადაც იქადაგა წმიდა ნინომ) და არა სომხებად, ანდა ალბანელებად (ჰერებად), როგორც წარმოადგინა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. სომხური საისტორიო მწერლობის მამა, სომეხთა ჰეროდოტედ წოდებული, მოვსეს ხორენაცი წერს: "სანატრელი ნუნე წავიდა იქედან (ე.ი. მცხეთიდან), რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა. გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა. მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გვაუწყებს"** (მოვსეს ხორენაცი. "სომხეთის ისტორია"; 1984; გვ. 172).
- წმიდა ნინოს სომხები, ანდა თუნდაც ალბანელები (ჩვენი მეცნიერის აზრით - იგივე ჰერები) რომ გაექართველებინა, როგორმე ხორენაცი მიუთითებდა ამის შესახებ, მაგრამ ის სულ სხვა რაიმეს გვაუწყებს, კერძოდ, საზღვრავს ქართველების ეთნიკურ განსახლებას - ესაა კლარჯეთი, ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე (ე.ი. დარიალამდე) და ვიდრე მასქუთთა საზღვრამდე - **ამ საზღვრებში ქართველები სახლობენ, მათ უქადაგა წმიდა ნინომ;**
- ასე რომ, ხორენაცის აზრით, დარიალამდე მცხოვრები დვალები გაქართველებული ვაინახები კი არ იყვნენ, როგორც წარმოუდგენია საბჭოური ეპოქის ისტორიოგრაფიას, არამედ - ქართველები,
- ასევე ხორენაცის აზრით, მასქუთების ქვეყნამდე, ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე მცხოვრები ჰერები მ. ხორენაცს ეთნიკურ ქართველებად მიაჩნია და არა ალბანელებად.
- მისგან განსხვავებით, ქართველი მეცნიერი ფიქრობს, რომ წმიდა ნინოს "**პროზელიტიზმის სიმბოლო**"

აღუმართავს ახლადშემოერთებულ ალბანურ ქალაქ ბოდისში (ე.ი. სადღაც უჯარმა - ბოდბეში) და წერს - **"მგონია ასე უნდა გავიგოთ წმიდა ნინოს გადაწყვეტილება, რომ ჯვარი - ქრისტიანული პროზელიტიზმის სიმბოლო - დროებით "აღიმართოს იგი უჯარმას ქალაქსა და დაბა ბოდისი არა წინ აღუდგეს ქალაქსა მას მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მუნ"** (დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, 2003, გვ. 38).

- **ასე იქცა ჩვენი მეცნიერის სიტყვით, "ორი ფაქტობრივად ეთნიკურად ერთმანეთისაგან განსხვავებული ქვეყანა ერთ კულტურულ ერთეულად"** (დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, 2003, გვ. 38).
- აქედან ჩანს, რომ საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსების აზრით, წმიდა ნინო ქართლის გარდა, ალბანეთშიც მოღვაწეობდა და მან ალბანეთის ქვეყნის ერთი ნაწილი ქართულ ეკლესიას შემოუერთა.
- მათ მიერ ბოდბის მიჩნევა არა ქართლის, არამედ ალბანეთის ქალაქად, ქართულ წყაროებს ეწინააღმდეგება;
- წმიდა ნინო ქართველთა განმანათლებელია და არა ალბანელებისა. ჯვარი არ არის პროზელიტიზმის სიმბოლო, როგორც ისტორიკოსი წერს. საქართველოს ეკლესიას ჯვარი პროზელიტური მიზნით არასოდეს გამოუყენებია, მით უმეტეს, არაქართული ტომების "ასიმილაცია - გაქართველების" მიზნით; ასეთი მოსაზრება უსაფუძვლოა, იგი არ ეყრდნობა წყაროებს.
- ეს არაა ერთეული ისტორიკოსების კერძო მოსაზრება, არამედ არის საბჭოური ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრესი თვალსაზრისი, რომელიც აისახა კიდეც ეპოქის ოფიციალურ ორგანოში ("ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის").
- "ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" თანახმად, საქართველოს ეკლესია თურმე არღვევდა უმთავრეს საეკლესიო კანონებს და სხვის იურისდიქციაში იჭრებოდა - იქ ნათქვამია -
- **"დასავლეთ საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დასავლეთ საქართველოში "ქართიზაციის" პროცესს"** *[ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. "საქ. სსრ", 1981 წ. გვ. 61.].*

,,ქართული" ეკლესიის "გაბატონებამდე" დასავლეთ საქართველოში, ჩვენი ისტორიკოსების მტკიცებით, თურმე არსებობდა ეგრისისა და აფხაზეთის ეკლესიები, რომლებიც იმყოფებოდნენ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, ისინი შემდგომ გაერთიანებულან კონსტანტინოპოლის იურისდიქციაშივე, მაგრამ IX ს-ში მცხეთის საკათალიკოსოს თითქოსდა "გაბატონების" შედეგად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაუკარგავს მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი ეს მნიშვნელოვანი სამიტროპოლიტოები და საეპისკოპოსოები *[საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბილისი 1973, გვ. 427], იმავეს იმეორებს 2012 წლის ისტორიაც, საბჭოთა იმპერიის დამსხვრევის მიუხედავად მისი საისტორიო იდეოლოგია ჩვენში შეუცვლელია. ეკლესიის ისტორია კვლავ იწერება უცვლელი საბჭოური დოგმებით.*

- თუ როგორი რეაქციული იყო "ქართული ეკლესიის" ეს "პროზელიტიზმი" ანუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შეჭრა – ამის შესახებ ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფია წერს:
- **"ქართველები აქედან (დასავლეთ საქართველოდან) სდევნიან ბერძნულ ენას, ბერძნულ ვიწრო ეროვნულ კულტურას, შემოაქვთ და ავრცელებენ საკუთარ, ქართულ ენას, ქართულ ღვთისმსახურებას და ქართულ საეკლესიო-სამონასტრო წესებს. ქართულ კულტურას თან მოჰქონდა ქართული პოლიტიკური შეგნება და იდეალი, ასე რომ მცხეთა ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ელემენტებზე დაყრდნობით) შეიჭრა ლიხთ-იმერეთში,** ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, ეს საინტერესო ფორმულა წამოაყენა თავისი ორგანიზაციული გაბატონების დასაფუძნებლად - "ქართლია" იქ, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზეა (მხოლოდ "კვირიელეისონი" შეიძლება ბერძნულად). მირონის კურთხევა "ქართლს" განეწესება. მაშასადამე, ქართლს ნაკურთხი მირონი

სავალდებულოა ყველა იმ ეკლესიისათვის, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზეა.

• ცხადია, **მცხეთის საკათალიკოსოს მხრივ ეს არის კანონიკური საფუძვლების დაცვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით"** *[თ. პაპუაშვილი. ადრეფეოდალური ხანის ქართული ლიტერატურა და საისტორიო მწერლობა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, თბილისი, 1973, გვ. 574-601.].*

• **XIX-XX საუკუნეებამდე ქართული საისტორიო სკოლა, როგორც აღნიშნული იყო, მიიჩნევდა რომ დასავლეთ საქართველო გაქრისტიანების თანავე საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, მაგრამ XX საუკუნის ისტორიოგრაფია მისგან განსხვავებით ამტკიცებს, რომ დასავლეთ საქართთველო IX-X საუკუნეებამდე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იყო და მხოლოდ შემდეგ მიიერთა ის ქართულმა ეკლესიამ.**

• **მაშასადამე გვაქვს ორი თეორია – ერთი ძველი, ეკლესიისათვის ტრადიციული, მეორე კი ჩვენი თანამედროვე ისტორიოგრაფიის მიერ აღიარებული.**

• ივ. ჯავახიშვილი იხილავდა ორივე თვალსაზრისს და გულმხურვალედ უჭერდა მხარს ეკლესიისათვის ტრადიციულს.

• ივ. ჯავახიშვილის სიდიადე ჩანს იქიდანაც, რომ მან ეკლესიის წიაღში ძველთაგანვე დანერგილ თეორიას - წმიდა ნინოს დროიდან ქართული ეკლესიის ერთიანობის შესახებ – უპირობოდ დაუჭირა მხარი, უფრო მეტიც, ის მის ერთგულ მცველად იქცა, ამ თეორიას მისცა დიდი შეფასება, მიიჩნია მთელი ქართველი ხალხისა და მის საუკეთესო შვილთა ნაღვაწად, საუკუნეთა ბრძოლით მიღწეულ მონაპოვრად.

• ამავე დროს, მისთვის კარგად იყო ცნობილი სხვა თეორიებიც ამ სფეროში. მაგალითად, მისი მოღვაწეობის პერიოდში ზოგიერთი მეცნიერი აყალიბებდა თეორიას, თითქოსდა, თავდაპირველად დასავლეთი საქართველო იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ. ივ. ჯავახიშვილმა ეს ახალი თეორია მიიღო როგორც ერთ-ერთი მიმდინარე მუშა თეორია, რომელიც ემსგავსებოდა თეორიას - დასავლეთ საქართველოს ანტიოქიის იურისდიქციის ქვეშ ყოფნის შესახებ.

• როგორც ითქვა, მისთვის ზოგადად, როგორც მეცნიერისათვის მისაღები იყო მხოლოდ თეორია ქართული ეკლესიის თავდაპირველი ერთიანობის შესახებ, რადგანაც ის მიაჩნდა „მთელი ქართველი ერის მიერ შესისხლხორცებულ შემეცნებად", რომლის მოსპობის უფლება, მისი აზრით, არავის ჰქონდა, არც მათ ვინც დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლურ იურისდიქციას უჭერდა მხარს და არც ანტიოქიურის მომხრეთ.ივ. ჯავახიშვილი ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ეკლესიის მთლიანობასა და მის დამოუკიდებლობას. ამ მომენტს ის აფასებდა განსაკუთრებული სიტყვებით, რომლებიც ალბათ, უნდა დაიმახსოვრონ მომავალმა თაობებმა. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით ჩვენი ეკლესიის თავისუფლება და მთლიანობა წარმოადგენდა **ქართველი ერის საუკეთესო შვილთა და მთელი ხალხის მიერ საუკუნეთა ბრძოლით მიღწეულ მონაპოვარს**". ამიტომაც იყო, რომ იგი უარყოფითად აფასებდა კიდეც წარსულში საქართველოს ეკლესიის ერთიანობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს. კერძოდ, მან გამოწვლილვით განიხილა იმ ანტიოქიელი და იერუსალიმელი პატრიარქების ქმედებები, რომლებიც ქართველი სეპარატისტების მხარდაჭერით აქუცმაცებდნენ და ანაწევრებდნენ საქართველოს ეკლესიას.

• ივ. ჯავახიშვილმა განიხილა საქართველოს ეკლესიის მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, კერძოდ, ის წერს: "XV საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი ჩამოვიდა... რასაკვირველია, უმთავრესად შეწირულებისა და ფულის შესაგროვებლად იყო

გარჯილი“ (ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 447). მას დაუწერია „მცნება სასჯულო“, სადაც აღნიშნული აქვს, რომ წინათ ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსნი ანტიოქიის პატრიარქისაგან იყვნენ დამოკიდებული და მათგან ჰქონდათ მიღებული ხელდასხმა. ქართული ეკლესიის მერმინდელი თვითმწყსობა და საეკლესიო თვითმმართველობა ანტიოქიელ-იერუსალიმელ პატრიარქს უკანონო მოვლენად ჰქონდა გამოცხადებული“ (იქვე, გვ. 447).

- ეს ყოველივე მას სჭირდებოდა, რათა თვითონ ეკურთხებინა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ახალი მეთაური, ამით კი დასავლეთ საქართველოს ეკლესია ჩამოეშორებინა საქართველოს ერთიანი დედაეკლესიისაგან. თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო დამოუკიდებლობა სურდა იმ დროს იმერეთის მეფეს, ბაგრატს. ამიტომაც, ანტიოქიელის საეკლესიო თეორია გამოთქმული იყო ქართველი სეპარატისტების გულის მოგების მიზნით. „მან, რასაკვირველია, ბაგრატ მეფესთან შეთანხმებით და სათანადო ჯილდოს მიღების შემდეგ აფხაზეთის კათალიკოსად აკურთხა იოვაკიმე, რომელიც საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქისაგან სრულიად დამოუკიდებლად გამოაცხადდა. აღსანიშნავია, რომ ანტიოქიელ-იერუსალიმელმა პატრიარქმა აფხაზეთის „კათალიკოსი საყდარსა ზედა ანდრია მოციქულისა“ დასმულად აღიარა. ამავე დროს „სასჯულო მცნებაში ნათქვამია, რომ ნინო ქართველთა განმანათლებელმა მხოლოდ ქართლი მოაქცია, ანდრია მოციქულმა კი დასავლეთ საქართველო გააქრისტიანა. ამით ანტიოქიელ-იერუსალიმელ პატრიარქს მიხეილს საქართველოს საეკლესიო მთლიანობის მოშლა (რაც ბაგრატ მეფეს იმ დროს პოლიტიკური მიზნით სწადდა) უნდოდა, რომ ეს ისტორიული საბუთებით დაემტკიცებინა.
- რაკი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქრისტიანობის სხვადასხვა მქადაგებლები ჰყავდა, ამით მას უნდოდა დაესაბუთებინა, რომ, მაშასადამე, აფხაზეთის კათალიკოსს დამოუკიდებლად არსებობისა და თვითმწყსობის უფლება ჰქონდა. ის მცხეთის კათალიკოსისაგან არ უნდა ყოფილიყო ხელდასხმული“ (ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 447).
- რა ხერხებით უნდა დაემტკიცებინა უცხოელ პატრიარქს ქართული ეკლესიის ანტიოქიაზე დამოკიდებულება უძველეს დროში?
- უცხოელმა პატრიარქმა ისე წარმოადგინა საქმე, თითქოსდა საქართველოს სივრცეში თავდაპირველად ჩამოყალიბდა ორი სხვადასხვა ეკლესია – ქართლისა და აფხაზეთისა, რომ თითქოსდა ისინი ორივენი თავდაპირველად იმყოფებოდნენ ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში. შესაბამისად, მათზე უფლებამოსილება გააჩნდა ანტიოქიას, მაგრამ მან აღმოაჩინა, რომ დასავლეთ საქართველოზე თავის უფლებამოსილებას ახორციელებდა აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო ხელისუფალი. ეს მან მიიჩნია საეკლესიო კანონების დარღვევად. მართლაც, თავდაპირველად თუ სხვა ეკლესია იყო აფხაზეთის ეკლესია, რა უფლება ჰქონდა ქართლის ეკლესიას აფხაზეთში? ანტიოქიელი პატრიარქის აზრით საეკლესიო სამართლებრივი საფუძველი ამისთვის არ არსებობდა, ხოლო ანტიოქიის ეკლესიას კი გააჩნდა ძველი სამართლებრივი უფლება აფხაზეთის საკათალიკოსოზე. მაშასადამე, ქართლის ეკლესიამ საეკლესიო წესების დარღვევით თავისი უფლებამოსილება გაავრცელა დასავლეთ საქართველოში. ეს იყო დადანაშაულება პროზელიტიზმში, ანუ ეს იყო ერთი ეკლესიის შეჭრა მეორე ეკლესიის იურისდიქციაში – დარღვევა III მსოფლიო კრების მე-8 კანონისა. ეს კანონი გმობდა ასეთ ქმედებას და ამასთანავე მოითხოვდა აღდგენას ძველი თავდაპირველი მდგომარეობისას. მართლაც, ანტიოქიის პატრიარქმა თავის აზრით აღასრულა ეს კანონი და გამოსცა სამართლებრივი დოკუმენტი „მცნებაი სასჯულოი“, რომელშიც განაცხადა, რომ აფხაზეთის ეკლესია ანტიოქიამ უკან დაიბრუნდა თავის საეკლესიო წიაღში და აღადგინა თავისი ძველი იურისდიქცია აფხაზეთზე, რის შემდეგაც მას უფლება ჰქონდა ეპატრონა ამ საეკლესიო ერთეულისათვის და დაენიშნა მისი სასულიერო მეთაური. ეს უცხო ეკლესიის მეთაური მართლაც ასე მოიქცა და ცაიშელ-ბედიელი მიტროპოლიტი იოაკიმე დანიშნა აფხაზეთის კათალიკოსად.
- ასეთი ქმედება აღაშფოთებს ივ. ჯავახიშვილს, მას მიაჩნია, რომ ანტიოქიელს არავითარი სამართლებრივი

უფლება არ გააჩნდა აფხაზეთის საკათალიკოსოს მიმართ. თავისი მსჯელობის საყრდენად მიიჩნევს ქართული ეკლესიის წიაღში ძველთაგან არსებულ სამართლებრივ დოკუმენტს, გამოცემულს რუის-ურბნისის კრების მამების მიერ, რომ თავდაპირველად ანუ I-IV სს-ში, ანდრია მოციქულისა და წმიდა ნინოს ეპოქაში, ჩამოყალიბდა არა ორი სხვადასხვა ეკლესია, არამედ ერთი, სრულიად საქართველოს მომცველი ეკლესია, რომ ორივე განმანათლებელმა, როგორც ანდრიამ, ისე წმიდა ნინომ, მხოლოდ ერთი ეკლესია ჩამოაყალიბეს, რომ ისინი მოღვაწეობდნენ არა სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალზე, არამედ ერთ გეოპოლიტიკურ სივრცეში, რომ ანდრიამ სახარება იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“, ხოლო წმიდა ნინომ კი განანათლა „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“. მაშასადამე, მათ ერთი ეკლესია ჩამოაყალიბეს და ამ ეკლესიამ ავტოკეფალია ძველთაგანვე მოიპოვა, რომ მხოლოდ შემდეგ ამ ერთიანი ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდა ორი საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეული – ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები, რომ ისინი, მართალია, ადმინისტრაციულად თავისთავადი საეკლესიო ერთეულები იყვნენ, მაგრამ ქმნიდნენ ერთ ქართულ საეკლესიო მთლიანობას, რადგანაც გააჩნდათ საერთო საეკლესიო სამართალი, საერთო სჯულისკანონი, საერთო საეკლესიო ტრადიციები და ლიტურგიის საერთო ქართული ენა. ადმინისტრაციული თავისთავადობა აფხაზეთის საკათალიკოსოს მიუღია ქართლის საპატრიარქოსაგან, როდესაც IX ს-ში ქართველთა მეფე ბაგრატმა „განაჩინა კათალიკოსი აფხაზეთს“.

- ანტიოქიის პატრიარქის ჩამოსვლის დროს კი, XV ს-ში, რეალური ვითარება ასეთი იყო. როგორც ვთქვით, ანტიოქიელმა პატრიარქმა გაიხსენა III მსოფლიო კრების მე-8 კანონი, რომელიც კრძალავს ერთი ეკლესიის შეჭრას მეორე ეკლესიის იურისდიქციაში და მოითხოვს წინანდელი, ანუ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენას. ანტიოქიელმა მცხეთა დაადანაშაულა, რომ ის შეიჭრა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, ამიტომაც მან სცადა გაეუქმებინა მცხეთის ყოველგვარი უფლებამოსილება იქ და თვითონ აკურთხა აფხაზეთის ახალი კათალიკოსი.
- აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენთვის ისტორიულ მაგალითს უნდა წარმოადგენდეს ეს საქმე.
- როგორც ცნობილია, ამჟამად ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფიის მიერ მიიჩნევა, რომ თავდაპირველად დასავლეთ საქართველო IV-IX სს-ში 500 წლის მანძილზე, თითქოსდა, იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში. ეს თეორია ძალზე საშიშია სამომავლოდ, რადგანაც ისეთივე სამართლებრივ უფლებამოსილებას ანიჭებს კონსტანტინოლის საპატრიარქოს, როგორიც თავისთავზე მიიწერა ანტიოქიელმა პატრიარქმა მიხეილმა.
- ამიტომაც დაიხვია ხელზე ეს საბჭოური საისტოტიო თეორია აფსუა სეპარატისტმა დოროთე დბარმა და ე.წ. „აფხაზეთის ავტოკეფალური ეკლესიის“ სახელით მიმართვის წერილები დაუგზავნა მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს, რის საფუძველზეც კონსტანტინოპოლის საპარტიარქოდან მართლაც ჩამობრძანდა ამ დღეებში უმაღლესი იერარქი საქმის შესასწავლად.
- როგორც ითქვა, III მსოფლიო კრების მე-8, ასევე მოციქულთა 35-ე და II მსოფლიო კრების მე-2 კანონის ძალით, სხვის ეკლესიაში შეჭრილი მეორე ეკლესია ვალდებულია აღადგინოს თავდაპირველი მდგომარეობა და ამ კანონებიდან გამომდინარე, თუკი დასავლეთ საქართველოზე თავის უფლებამოსილებას თავდაპირველად ახორციელებდა კონსტანტინოპოლი, მას უნდა დაუბრუნდეს კიდეც ეს საეკლესიო ერთეული.
- ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ ივ. ჯავახიშვილი მხარს არ დაუჭერდა ჩვენს ისტორიოგრაფიაში ამჟამად გაბატონებულ თეორიას დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში 500-წლოვანი ყოფნის შესახებ. პირიქით, ის ამ თეორიას მიიჩნევდა „მთელი ქართველი ხალხის ბრძოლით მონაპოვრის“ უარყოფად და ის უთუოდ ამჟამადაც მხარს დაუჭერდა რუის-ურბნისის კრების სამართლებრივ აქტს, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში I-IV სს-ში ჩამოყალიბდა ერთიანი ეკლესია, რომ თავდაპირველად წმიდა ანდრიასა და წმიდა ნინოს ღვაწლით

დაფუძნებული ქართული ეკლესია თავიდანვე ერთიანი იყო, თუმცა მისთვის სხვა სამეცნიერო თეორიებიც აღნიშნულ საკითხზე ცნობილი იყო.

- **ივ. ჯავახიშვილი წერდა: „გიორგი მთაწმიდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელი და ნიკოლოზ კათალიკოსი ამტკიცებენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“, ხოლო შემდგომ ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმიდა ნინომ, რომლის სასწაულთმოქმედებამ და ქადაგებამ „მიიზიდა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“, ნიკოლოზ კათალიკოსიც, წმიდა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად თვლიდა „ჩვენ ქართველთაისა“ („სასწაულნი სვეტიცხოვლისა“). ერთი სიტყვით, ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი. საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ. ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი, სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულ შემეცნებას სპობდა“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. III, გვ. 340).**
- **სამწუხაროა, რომ ძველ ქართველ სახელოვან მეცნიერთა (ივ. ჯავახიშვილის შეფასება) მიერ ბოძებულ შემეცნებას სპობს ზოგიერთი ახალი ქართველი მეცნიერი, თანაც ისეთი უმაღლესი საერთაშორისო საეკლესიო ორგანოდან, როგორიცაა „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“.**
- მაგალითად, ძველი ქართული წყაროების საწინააღმდეგოდ „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“-ს მე-13 ტომის ავტორები (გვ. 200) ნოტიციებზე – ბიზანტიურ კათედრათა ნუსხებზე – დაყრდნობით მიიჩნევენ, რომ დასავლეთ საქართველოში IX ს-მდე არსებული საეპისკოპოსოები კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდნენ. თითქოსდა, **„ეგრისის სამეფოში, I ნოტიციის მიხედვით, არსებობდა ლაზიკის ეპარქია, რომლის ცენტრი იყო ფაზისის (ფოთის) სამიტროპოლიტო ოთხი საეპისკოპოსო კათედრით – როდოპოლისი (ვარციხე), საისინი (ცაიში), პეტრა (ციხისძირი), ზიგანა (ზიგანისი, გუდავა)** („პრავოსლავნაია ენციკლოპედია“, ტ. XIII, გვ. 200, რუს. ენაზე). თითქოსდა, შემდგომ ისინი ქართულმა ეკლესიამ კონსტანტინოპოლს ჩამოაშორა.
- ვშიშობთ, რომ ეს არასწორი თეორია, გავრცელებული მთელ მსოფლიოში „პრავოსლავნაია ენციკლოპედიის“ მიერ, დიდ საფრთხეს შეუქმნის სამომავლოდ საქართველოს ტერიტორიულ და საეკლესიო მთლიანობას.
- სინამდვილეში ლაზიკის აღნიშნული საეპისკოპოსოები მდებარეობდნენ ტრაპეზუნტის ოლქში – ქალაქ ზიგანას რეგიონში, იქვე იყო როდოპოლისის კათედრაც. ამის შესახებ მიუთითებს არა მხოლოდ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი ნ. ადონცი, არამედ ამჟამად საბერძნეთში დაბეჭდილი ზოგიერთი საეკლესიო რუკაც.
- ქართული წყაროების დაბეჯითებული მტკიცებით, მუდამ, ფარნავაზ მეფის დროიდანაც, დასავლეთ საქართველო ყოველთვის შედიოდა ქართლის სამეფოს საზღვრებში ვიდრე მდ. ეგრისწყლამდე და ვახტანგ გორგასლის შემდეგ ვიდრე მდ. კლისურამდე. ამიტომაც მიიჩნეოდა, რომ ამ სასაზღვრო მდინარეების აქეთ, დასავლეთ საქართველოში, კონსტანტინოპოლს არასოდეს იურისდიქცია არ გააჩნდა, მხოლოდ ამ მდინარეების იქით მდებარე ტერიტორია შედიოდა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში, VIII ს-მდე. ამიტომაც, როდესაც ჩვენ ვამტკიცებთ, რომ დასავლეთ საქართველოში კონსტანტინოპოლს არ გააჩნდა თავისი იურისდიქცია, ცხადია, იგულისხმება ამ სასაზღვრო მდინარეების აქეთ მდებარე დასავლეთ საქართველოს ტერიტორია. როგორც ცნობილია, მდ. ეგრისწყლად მიიჩნევა მდ. ღალიძგა (ოჩამჩირის რაიონში), ხოლო მდ. კლისურად – მდ. კელასური (სოხუმთან).

- რუსულ „პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში“, დასავლეთ საქართველოს მსგავსად, სამხრეთ საქართველოც არაქართულ ქვეყნადაა გამოცხადებული, სადაც, თითქოსდა, ქართული ეკლესიის გაბატონების შემდეგ მოხდა მკვიდრი „სომხების“ გაქართველება.
- „სომხების“ გაქართველების „თვალსაზრისი“ იმდენადაა გავრცელებული, რომ მან უკვე ქართულ საეკლესიო გამოცემებშიც შეაღწია. მაგალითად, ცნობილი ავტორი წერს: **კირიონ I კათალიკოსმა,** ქვემო ქართლში **„არაქართული მოსახლეობის გასაქართველებლად** მარჯვედ გამოიყენა პოლიტიკური ვითარება“ (საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, თბ., 2000, გვ. 28)
- **სომეხი ავტორები, და არა მხოლოდ ისინი, ასეთ სტატიებს საფუძვლად უდებენ თეორიას, რომ ქვემო ქართლი და, საერთოდ, სამხრეთ საქართველო სომხური ქვეყანა იყო, რომელიც ეკლესიის მიერ „გაქართველდა“. ესაა ე.წ. „ქართიზაციის“ თეორია, რომელიც ოფიციალური ისტორიოგრაფიისათვის უეჭველ დოგმად იქცა.**
- ამ თეორიის მსგავსია ამჟამად გავრცელებული თვალსაზრისი, რომ მცხეთა-თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რეგიონები, ე.ი. **ისტორიული კახეთი და ქვემო ქართლი, თითქოსდა, თავდაპირველად დასახლებული იყო ალბანელი ხალხით, რომელიც ქართული ეკლესიის მეშვეობით გაქართველდა.** ეს თეორიაც უნდა ექვემდებარებოდეს გადახედვას, რადგანაც ძველი ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიის თანახმად, **ჰერეთ-ალბანეთი მოიცავდა სულ სხვა ტერიტორიას. კერძოდ, შემდეგდროინდელი რანისა და შაქის მიწა-წყალს, ამიტომაც უწოდებდნენ შემდგომ საუკუნეებში ჰერეთის დედოფალს შუშანიკს საეკლესიო წყაროებში რანის დედოფალს, ხოლო მეფეთა ტიტულატურაში იხსენებოდა რანთა მეფე, რომელიც გულისხმობდა ჰერეთის ყოფილი სამეფოს მფლობელობას. ალბანეთის კულტურულ მემკვიდრეობაზე ამჟამად პრეტენზიას აცხადებენ აზერბაიჯანელები,** ამიტომაც თუკი ალბანეთი უშუალოდ ემიჯნებოდა მცხეთა-თბილისს – აღნიშნული თეორიით მათ გარკვეული უფლებამოსილება ენიჭებათ მცხეთის აღმოსავლეთითა და თბილისის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალსა და მასზე მდებარე კულტურის ძეგლებზეც.
- **დიდი ივ. ჯავახიშვილი არ განიხილავდა საისტორიო მეცნიერებას როგორც დოგმას, არამედ მიიჩნევდა, რომ ის უნდა განვითარებულიყო, რომ ერთხელ მიღებული თვალსაზრისი არ უნდა ჩათვლილიყო შეუცვლელ ჭეშმარიტებად, რომლის კორექტირება ანდა უარყოფა შეუძლებელი იქნებოდა.** მის მიერ რუის-ურბნისის კრების სამართლებრივი აქტის მხარდაჭერა მიუთითებს იმის შესახებაც, რომ ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის ზოგჯერ საჭირო არის ახალი იდეების ჩამოყალიბება, ანდა ძველი ეროვნული საისტორიო იდეების აღორძინება-განახლება ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად.
- მართლაც, თუ არ განვითარდა ისტორიული მეცნიერება, ის ჩამორჩება და ერთ ადგილას გაიყინება, ამით კი ვერ შეძლებს თავისი ფუნქციის სრულყოფილად აღსრულებას.
- ივანე ჯავახიშვილი ჩვენთვის ყოველთვის თვალსაჩინო ეტალონი და მაგალითი არის თავისი მოღვაწეობის ყოველი წახნაგით.
- „პრავოსლავნაია ენციკლოპედიას“ მიხედვით წმიდა ნინომ გააქრისტიანა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა, რადგანაც წმიდა ნინო ქართლის განმანათლებელი იყო, ქართლი ანუ იბერია კი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ერქვა („პრავოსლავნაია ენციკლოპედია“, მოსკოვი, 2006, ტ.13, გვ. 193. რუს. ენაზე)
- აქედან გამომდინარე წმ. ნინოს მიერ ფუძეჩაყრილი ეკლესია, „პრავოსლავნაია ენციკლოპედიას“ მიხედვით, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში, იმავე ენციკლოპედიის თანახმად, ქრისტიანობის მომძლავრების შემდეგ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ VI ს.შუა წლებში დაარსა საეკლესიო კათედრები.
- **შეუძლებელია აღნიშნულ მტკიცებას ეკლესია დაეთანხმოს რადგანაც ეწინააღმდეგება**

არა მხოლოდ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების განსაზღვრებას საგანგებოდ ამ საკითხისადმი მიძღვნილს, არამედ ძველქართულ შემეცნებას, რომელიც ასახულია წმიდათა ლოცვებშიც კი, მაგალითად წმ.ნინოს თავის ტროპარში ეწოდება „ქართველთა განმანათლებელი“, ხოლო კონდაკში „ქართველთა ერის წინამძღოლი“.

- სად ცხოვრობდა ქართველი ერი, რომელიც განანათლა წმიდა ნინომ? როგორც არინიშნა, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში ამის შესახებ ნათქვამია - წმიდა ნინომ მოაქცია „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“ („დიდი სჯულისკანონი“ 1975, გვ. 546). დავუსვათ კითხვა ამ ისტორიკოსებს: „ყოველთა ქართველთა ნათესავი“ არ ცხოვრობდა დასავლეთ საქართველოში? და თუ ცხოვრობდა, მაშინ მათი განმანათლებლის მიერ დაარსებული ქართლის ეკლესიის მრევლსაც წარმოადგენდა. როგორც ითქვა, იგივეს წერდა გელასი კესარიელიც, მსოფლიო ეკლესიის ერთერთი პირველი ისტორიკოსი - „ტყვე ქალის“ (ე.ი. წმიდა ნინოს) მიერ ერთდროულად მიიღეს ქრისტიანობა ექვსინის პონტოს მახლობლად მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა (გეორგიკა, ტ.I. გვ. 189). წმ. ნინოს მიერ გაქრისტიანებული ერი დასავლეთ საქართველოშიც რომ ცხოვრობდა მიუითებს ნოქალაქევის IV ს. ეკლესია და მის მახლობლად აღმოჩენილი I ათასწლეულის ქართული ასომთავრული საეკლესიო წარწერები.
- XIX საუკუნედან იძირკვებოდა ქართველთა გონებიდან საერთო ენისა და საერთო ისტორიის შემეცნება.
- XX ს.-დან ინერგება თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ საქართველოს თითოეული კუთხის მოსახლეობას გააჩნია საკუთარი წარმომავლობა და საკუთარი ისტორია.
- ქართული სახელმწიფოებრივი ცნობიერების დანგრევის მიზნით, როგორც ითქვა, შეიქმნა ე.წ. "ქართიზაციის" თეორია.
- XX ს-ის 20–30-იან წლებში რუსულ-ბოლშევიკური სახელმწიფოს მიერ, ჩვენი ხალხის ძველი, ჭეშმარიტი ისტორია "რეაქციულ თეორიად" გამოცხადდა, დაიწყო მის წინააღმდეგ "გადამწყვეტი ბრძოლა" უკვე "გამარქსისტებული" მეცნიერების მხრიდან. "ქართიზაციის" თეორია ბოლშევიკების ხელში გადაიქცა არა მხოლოდ ბერკეტად საქართველოს ძველი ისტორიის დასანგრევად, არამედ მის ჩასანაცვლებლადაც საქართველოს ახალი, მათ მიერ მოგონილ-მიწონებულიი ისტორიოგრაფიით..

ამჟამად "ქართიზაციის" თეორია ერთადერთ და უტყუარ სამეცნიერო მიმართულებადაა აღიარებული. ის აბსოლუტურადაა გაბატონებული XX და XXI საუკუნის დასაწყისის ქართულ ისტორიოგრაფიასა და ფილოლოგიაში.

“ქართიზაციის“ თეორიის გაცნობის შემდეგ უცხოელთ ექმნებათ შთაბეჭდილება ქართველთა “იმპერიალიზმის“ შესახებ, რომ, თითქოს, მათ პატარა “ერები“ ჰყავთ დაპყრობილი;

ამგვარ შთაბეჭდილებას მხარს უმაგრებს ენათმეცნიერთა ნაწილის თეორიაც ქართველთა ე.წ. სამი-ოთხი ენის შესახებ, რომელთაგან ერთის - ქართულის “აღზევებით“ იჩაგრება სხვა ქართველური “ენები“;

აღსანიშნავია, რომ ჩვენი სახელმწიფოსა და ეკლესიის არაკეთილისმსურველებმა, განსაკუთრებით კი სეპარატისტმა იდეოლოგებმა იმთავითვე აიტაცეს ჩვენი ისტორიოგრაფიის მიერ ლეგალიზებული “ქართიზაციის“ თეორიის დასკვნები ჩვენი ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ თავიანთ სასარგებლოდ.

ისინი ვრცელ სამეცნიერო ნაშრომებში (მათ შორის, რუსული "პრავოსლავნაია ენციკლოპედია“-ს სტატიებში) ამტკიცებენ, რომ საქართველოს ესა თუ ის კუთხე ისტორიულად არაქართული რეგიონია და, შესაბამისად, ქართველებს ისტორიული უფლება არა აქვთ ამ კუთხეებზე.

II. საქართველოს ისტორიის 2012 წლის გამოცემა დასავლეთ საქართველოსთან დაკავშირებით

საქართველოს ისტორიის 2012 წლის გამოცემაში მიიჩნევა, რომ დასავლეთ საქართველო IV საუკუნიდან X საუკუნემდე, 600 წლის მანძილზე შედიოდა არა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში, არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში.

საქართველოს ისტორიის 2012 წლის გამოცემაში აღნიშნულია:

„კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში დასავლეთ საქართველოს ოთხი დიდი ეპარქია შედიოდა:

1. ფაზისის სამიტროპოლიტო, საკუთრივ ეგრისი, ოთხი საეპისკოპოსო კათედრით, ძიგანევის (გუდავის), პეტრას, როდოპოლისის (ვარციხე), საისენის (ცაიშის).

2. ბიჭვინთის საარქიეპისკოპოსო, რომელიც მოიცავდა საკუთრივ აფხაზეთს (აბაზგიას).

3. ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსო, რომელშიც შედიოდა ჯიქეთი და

4. სებასტოპოლის (ცხუმის) კათედრა“ (, გვ. 199).

ავტორი წერს თითქოსდა - კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შემავალი საეპისკოპოსო კათედრები მცხეთამ გააუქმა თანდათანობით:

„თანდათან გაუქმდა ფაზისის სამიტროპოლიტო და მასში შემავალი საეპისკოპოსოები, მათ მაგიერ დაარსდა ახალი საეპისკოპოსოები: მოქვი, დრანდა, ბედია, ქუთაისი და სხვა“ (საქართველოს ისტორია, 2012, ტ. II, გვ. 201).

რაც შეეხება საეკლესიო კულტურასა და ენას, ამ წიგნში მიიჩნევა, რომ დასავლეთ საქართველოში საეკლესიო ენა X საუკუნემდე იყო ბერძნული ენა და მხოლოდ ამის შემდგომ გავრცელდა ქართული ენა, და იქ ნათქვამია:

„IX საუკუნის დასაწყისიდან, ის ეპარქიები უკვე აღარ შედიოდნენ კონსტანტინოპოლის სამწყსოში, სადაც წირვა-ლოცვა ბერძნულად მიმდინარეობდა, ახლა კი დანარჩენი დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დარად აქ საეკლესიო მსახურება უკვე ქართულად ტარდებოდა“ (იქვე გვ. 200).

მაშასადამე, საქართველოს ისტორიის 2012 წლის გამოცემაში გამეორებულია საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი, რომელიც მთლიანად ეწინააღმდეგება ძველ ქართულ წყაროებსა და რუის-ურბნისის ძეგლისწერას, რომ ანდრია პირველწოდებულისა და წმიდა ნინოს მიერ დაფუძნებული საქართველოს წმიდა ეკლესია იმთავითვე მოიცავდა სრულიად საქართველოს მიწა-წყალს და ის მწყსიდა მთელ ქართველ ერს (ამიტომაც მიუთითებდა რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა-წმიდა ნინომ მოაქცია „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“, ხოლო ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა.

„პირველწოდებული ანდრია, ძმა თავისა მოციქულთასა პეტრესი, ვიდრე ჩუენდამდეცა მოიწია და ქადაგა საცხორებელი ქადაგება სახარებისა ყოველსა ქუეყანასა საქართველოისასა და ურიცხუნი სიმრავლენი ერთანი განაშორა საცთურისაგან....“ (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 545);

აქედან ნათლად ჩანს, რომ რუის-ურბნისის კრების დადგენილების შესაბამისად ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, არამედ **„ყოველსა ქვეყანასა საქართველო სასა“**, ე.ი. სრულიად საქართველოში, მსგავსადვე წმიდა ნინომ რუის-ურბნისის კრების თანახმად **„სარწმუნოებასა მიმართ თვისისა მიიზიდა ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა.**(იქვე, გვ. 546). ე.ი. ამ კრებას მიაჩნია, რომ წმიდა ნინომ მთელი ქართველი ერი („ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა“) გააქრისტიანა.

ყველა ძველი ქართული წყარო (მოქცევაი ქართლისაი, ქართლის ცხოვრება, ძეგლისწერა და სხვა) მიიჩნევს რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო გაქრისტიანებისთანავე ერთ პოლიტიკურ

და ეკლესიურ მთლიანობას წარმოადგენდა გაქრისტიანებისთანავე. ქართულ წყაროთა ეს მტკიცებანი საქართველოს ისტორიის 2012 წლის გამოცემაში უგულებელყოფილია.

საქართველოს ისტორიის 2012 წლის გამოცემაში ასევე უგულებელყოფილია ბერძნული და სომხური წყაროები იმის შესახებ, რომ, ანდრია პირველწოდებულისა და წმიდა ნინოს მიერ დაფუძნებული საქართველოს წმიდა ეკლესია იმთავითვე მოიცავდა სრულიად საქართველოს მიწა-წყალს და ის მწყსიდა მთელ ქართველ ერს.

კერძოდ კი უგულებელყოფილია IV საუკუნის ავტორის გელასი კესარიელის ცნობა, რომ წმიდა ნინომ მოაქცია „იბერები და ლაზები“,

ეს ძვირფასი ცნობა მთლიანად ეთანადება ძველ ქართულ წყაროებს, რომ წმიდა ნინომ მოაქცია „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“, ე.ი. იბერები და ლაზები.

ამასვე იმეორებს V საუკუნის ავტორი ეპისკოპოსი გელასი კვიზიკელი.

❖ ასევე უგულებელყოფილის შესაბამისი სომხური წყაროებიც იმის შესახებ, რომ ანდრია პირველწოდებულისა და წმიდა ნინოს მიერ დაფუძნებული საქართველოს წმიდა ეკლესია იმთავითვე მოიცავდა სრულიად საქართველოს მიწა-წყალს და ის მწყსიდა მთელ ქართველ ერს, ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ სომეხთა კათალიკოს იოანეს ცნობს, რომ VI საუკუნის ბოლოს და VII საუკუნის დასაწყისში მცხეთის კათალიკოსი კირიონი იმავდროულად იყო ეგრისის არქიეპისკოპოსი, ანუ ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქციაში კირიონის ეპოქაში სრულიად საქართველო შედიოდა. ამასვე მიუთითებს ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები. მაგალითად I ათასწლეულის სომეხი პატრიარქისა და ისტორიკოსის ცნობა, რომ VI ს. ბოლოს მოღვაწე კირიონ ქართლის კათალიკოსი „წინანდელი დროის წესების შესაბამისად იყო არქიეპისკოპოსი ეგრისისა და გუჯარეთისა, ქართლის ეკლესიის მრევლისა“ (იოანე დრასხანაკერტცი. 1937. გვ.9. რუს. ენაზე). VI საუკუნის „წინანდელი დრო“, ცხადია, IV და V საუკუნეებია.

❖ ამასვე მიუთითებს საეკლესიო ხელოვნება-არქიტექტურა. მაგალითად ჭყონდიდში VII ს.-ში აგებულ მცხეთის ჯვრის ტიპის ტაძარი, რაც არ იყო შემთხვევითობა და პირიქით წარმოადგენდა მცხეთისა და ჭყონდიდის საეკლესიო-ლიტურგიკული მთლიანობისა და ერთობის ნიშანსვეტს.

❖ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო მთლიანობის შესახებ მიუთითებდა რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, რომ ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა „**ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა**“ („დიდი სჯულისკანონი“ 1975, გვ. 545), ამ წინადადებით კრებამ ხაზგასმით მიუთითა, რომ დაარსების თანავე ქართული ეკლესია თავის იურისდიქციაში მოიცავდა სრულიად ისტორიულ საქართველოს და არა მის რომელიმე ერთ კუთხეს.

❖ ასეთია ძველ ქართველ წმიდა მამათა მტკიცებანი.

❖ მათთგან განსხვავებით, როგორც აღინიშნა, თანამედროვე საერო საისტორიო სკოლა მიიჩნევს, რომ 500-600 წლის განმავლობაში, ვიდრე IX–X სს.-მდე დასავლეთ საქართველო შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში და იქ არსებობდნენ ლაზიკის ეპარქიის ბერძნული საეპისკოპოსოები, ხოლო ეკლესიებში წირვა-ლოცვა ბერძნულ ენაზე აღესრულებოდა, ვიდრე ის არ გააუქმა მცხეთის ეკლესიამ.

❖ ამჟამად საყოველთაოდ აღიარებული ამ თეორიის მიხედვით, რომელიც არავითარი წერილობითი წყარო არ ადასტურებს, თითქოსდა IX–X საუკუნეებში ქართული ეკლესია შეიჭრა დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, გააუქმა იქ ბერძნული კათედრები და ბერძნულენოვნის ნაცვლად შემოიღო ქართულენოვანი მსახურება და ამით კი მოახდინა „**ქართიზაცია**-გაქართველება“ იქაური მოსახლეობისა.

❖ „სამეცნიერო ლიტერატურაში ე.წ. „**ქართიზაცია**“ განიმარტება ასე:

❖ **„ქართიზაცია“ - „ქართის ტომების შეღწევა – ინფილტრაცია – არაქართულ ან არაქართველურ ტომებში...სადაც შეაღწევდა ქართლის ელემენტი, ვრცელდებოდა ქართული**

ენა და აღმ. ქართული კულტურა. ასეთი ვითარება შეიქმნა არა მარტო აღმოსავლეთით ჰერეთის (ალბანეთი) ტერიტორიაზე, არამედ დასავლეთ საქართველოშიც“ (ქსე, ტ. X, გვ. 459-160. სტატია „ქართველები“),

❖ **ოფიციალური ისტორიოგრაფიის ამ განსაზღვრებით თითქოსდა დასავლეთ საქართველო დასახლებული იყო „არაქართული და არაქართველური ტომებით“ და „ქართიზაციის შედეგად“ მათში „შეაღწია ქართულმა ენამ“ და კულტურამ, ამით თითქოსდა დასავლეთ საქართველოში ბიზანტიური ეკლესიის სამწყსოს, მცხეთა დაეპატრონა** – გააუქმა იქ არსებული ძველთაგანვე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ფასისის (ფოთის), როდოპოლისის (ვარციხის), ზიგანას („ზიგინევი – გუდაყვას“), საისინისა (ცაიშის) და პეტრას (ციხისძირის) საეპისკოპოსო კათედრები.

❖ მეცნიერულად დადგენილ ფაქტად მიაჩნიათ რომ ლაზიკის ცენტრები მდებარეობდნენ რიონის დაბლობში.

❖ ზემოაღნიშნულის ერთი თვალნათელი მაგალითია ახლახან (2001 წლის დასაწყისში) ნ. ლომოურის მიერ გამოქვეყნებული შრომები, ესენია „ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება“ და „საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია“. ავტორი წერს: **„როდესაც მოხდა ქრისტიანობის დამკვიდრება საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში, საქართველო წარმოდგენილი იყო ორი პოლიტიკური ერთეულით: აღმოსავლეთ საქართველო, ე.ი. ქართლის ანუ იბერიის სამეფო და დასავლეთ საქართველო, ე.ი. ეგრისის ანუ ლაზიკის სამეფო. ამ ორ სახელმწიფოებრივ ერთეულში პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ვითარება საკმაოდ განსხვავებული იყო და, შესაბამისად, ქრისტიანობის გავრცელება და საბოლოო დამკვიდრება სხვადასხვა გზით და სხვადასხვა სიტუაციაში ხდებოდა“** (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2001, გვ. 113).

❖ აქედან ჩანს, რომ ნ. ლომოურს წმ. ნინო დასავლეთ საქართველოს განმანათლებლად არ მიაჩნია, რადგან, მისი სიტყვით, „დასავლეთ საქართველოში სხვა გზით შევიდა ქრისტიანობა“.

❖ ეს დასკვნა ეწინააღმდეგება ქართულ საეკლესიო ისტრიოგრაფიაში მიღებულ საეკლესიო კრებათა, კერძოდ კი რუის-ურბნისის კრების მიერ დადგენილ დებულებას აღნიშნულ საკითხზე და აგრეთვე, საერთოდ ქართველ წმიდა მამათა, ისტორიოგრაფთა და მემატიანეთა მიერ ტრადიციულად განსაზღვრულ თვალსაზრისს.

❖ რუის-ურბნისის კრების ღვთივგანბრძნობილ და წმიდა მამათა თქმით, საქართველო ერთიანი, მთლიანი ქვეყანა იყო, როგორც ანდრია პირველწოდებული მოციქულის, ისე წმიდა ნინოს ქადაგებათა დროს, ამიტომაც, როგორც წმ. ანდრია, ისე წმ. ნინო არიან სრულიად საქართველოს და მთელი ქართველი ერის განმანათლებელნი, აი, აქვე მოვიყვანთ შესაბამის ამონარიდს რუის-ურბნისის ძეგლისწერიდან ჯერ ძველ ქართულ, შემდეგ კი ახალ ქართულ ენაზე, რათა მკითხველი თვითონ დარწმუნდეს:

❖ **„პირველწოდებული ანდრია, ძმაი თავისა მოციქულთაისა პეტრესი, ვიდრე ჩუენდამდეცა მოიწია და ქადაგა საცხორებელი ქადაგებაი სახარებისაი ყოველსა ქუეყანასა საქართველოისასა და ურიცხუნი სიმრავლენი ერთანი განაშორა საცთურისაგან....“** (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 545);

❖ აქედან ნათლად ჩანს, რომ რუის-ურბნისის კრების დადგენილების შესაბამისად ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, არამედ **„ყოველსა ქვეყანასა საქართველო სასა“**, ე.ი. სრულიად საქართველოში, მსგავსადვე წმიდა ნინომ რუის-ურბნისის კრების თანახმად **„სარწმუნოებასა მიმართ თვისისა მიიზიდა ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა**. (იქვე, გვ. 546). ე.ი. ამ კრებას მიაჩნია, რომ წმიდა ნინომ მთელი ქართველი ერი („ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა“) გააქრისტიანა. შეიძლება ვინმემ თქვას, ამ „ყოველთა

ქართველთაში“ დასავლეთ საქართველო არ იგულისხმება, და ამ კრების მამები სწორედ ვერ საზღვრავდნენ ქართველთა ვინაობასო, რასაც ვერ დავეთანხმებით, რადგანაც ამ კრების ძეგლისწერის ერთ-ერთი მთავარი ხელისმომწერია გიორგი ჭყონდიდელი ეპისკოპოსი და კრება, ცხადია, „ყოველთა ქართველთაში“ სამეგრელოს და სრულიად საქართველოს მოსახლეობას გულისხმობდა, სადაც იქადაგა კიდეც ბერძნული წყაროების მიხედვითაც წმიდა ნინომ, რომელსაც ქვემოთ შევეხებით. იგივე რუის-ურბნისის კრება მეფე მირიანთან დაკავშირებით წერს: „ნათელ იღო მან და ყოველმან ერმან ქართლისამან“ (იქვე, გვ. 546). „ქართლის ცხოვრების“, კერძოდ კი, ჩვენი უდიდესი საეკლესიო ისტორიკოსის ლეონტი მროველი ეპისკოპოსის თანახმად, მეფე მირიანის სამეფოში აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველოც „ეგრისიც“ შედიოდა: „მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს“ (ქ.ც.,1955, I, გვ. 65).

❖ რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის ახალი ქართული შესაბამისი ტექსტი ასეთია: „მოციქულთაგან ერთი - პირველწოდებული ანდრია, მოციქულთა თავის, პეტრეს ძმა ჩვენამდე მოვიდა, სახარების საცხონებელი ქადაგება მთელ საქართველოში იქადაგა“(საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ. 464); ამ კრების განსაზღვრებით, წმიდა ნინომ „თავისი სარწმუნოების მიმართ მიიზიდა ქართველთა სრული მოდგმა“ (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ. 464); წმიდა მეფე მირიანის დროს „ნათელი იღო მან და მთელმა ქართველმა ერმა“ (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ. 464);

❖ აი, ესაა საეკლესიო ისტორიოგრაფიის მტკიცება, რომ როგორც ანდრია პირველწოდებულის, ისე წმიდა ნინოს დროს ნათელიღო მთელმა ერმა. ეს თვალსაზრისი სავსებით განსხვავდება ბატონ ნოდარ ლომოურის თვალსაზრისისაგან, რომ თითქოსდა აღნიშნულ ეპოქაში დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა სულ სხვა გზითა და სხვა ვითარებაში დაინერგა. სხვათა შორის, ბატონი ნოდარ ლომოურის თეორია, რომელიც მეცნიერებაში ახალ სიტყვად მიიჩნევა, არა თუ ძალზე ჰგავს, არამედ იმეორებს კიდეც XV საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქ მიხეილის თეორიას.

❖ დიდი ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, საქართველოში ჩამოსულმა ანტიოქიის პატრიარქმა მიხეილმა „შეთხზა თეორია საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დასარღვევად, ქართველი ერის საუკეთესო შვილთა საუკუნოვანი ბრძოლით მიღწეული მონაპოვრის, საქართველოს ეკლესიის თავისუფლების მოსასპობად, მისი ერთიანობის დასარღვევად“(ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. III, 1982, გვ. 340), რათა ადვილად დაემორჩილებინა. ეს თეორია შემდეგში მდგომარეობს – თითქოსდა ანდრია მოციქული განმანათლებელია არა სრულიად საქართველოსი, არამედ მხოლოდ მისი დასავლეთ ნაწილისა, ასევე წმიდა ნინო განმანათლებელია არა სრულიად საქართველოს, არამედ მხოლოდ მისი აღმოსავლეთ ნაწილისა. ივანე ჯავახიშვილი წერს: „გიორგი მთაწმიდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელი და ნიკოლოზ კათალიკოსი ამტკიცებენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“, ხოლო შემდგომ ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმიდა ნინომ, რომლის სასწაულმოქმედებამ და ქადაგებამ „მიიზიდა ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა“, ნიკოლოზ კათალიკოსიც წმიდა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად სთვლიდა, „ჩვენ ქართველთაისა“ (სასწაულნი სვეტიცხოვლისა, ქრონიკები, გვ. 40-69); ერთი სიტყვით, ანდრია მოციქულიცა და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ. ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი, სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულ შემეცნებას სპობდა“(ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ. 340).

❖ სამწუხაროა, რომ ძველ ქართველ „სახელოვან მეცნიერთა“ (ივ. ჯავახიშვილის სიტყვებია) მიერ ჩვენდამი ბოძებულ შემეცნებას სპობს ზოგიერთი ახალი ქართველი მეცნიერი. მათგან განსხვავებით, ჯერ

კიდევ საუკუნის დასაწყისში გაარკვია ივანე ჯავახიშვილმა, რომ **„ქრონოლოგიურადაც ქრისტიანობის გავრცელების დასაწყისი აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში როგორც ეტყობა, ერთსა და იმავე ხანად უნდა ვიგულისხმოთ, ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღების ღირსია გელასი კვიზიკელის მოთხრობა. მას იბერთა მოქცევის ამბავში ნათქვამი აქვს: „ამავე დროს პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა ღმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე არ სწამდათ შეიწყნარეს“. გამოდის, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს ქრისტიანობა ერთსა და იმავე დროს მიუღია... გელასი კვიზიკელის დანართი ცნობა, რომ იბერებმა და ლაზებმა ერთსა და იმავე დროს მიიღეს ქრისტიანობა, არსებითად სწორი გამოდის იმ მხრივ, რომ დასავლეთ საქართველოშიც IV ს-ის დამდეგიდან ქრისტიანობას გზა გაკვლეული უნდა ჰქონოდა“** (ივ. ჯავახიშვილი, ტ.1, 1979, გვ. 269-271); იბერთა მოქცევის შესახებ IV ს-ში წერდნენ სოკრატე, სოზომენი, თეოდორიტე კვირიკელი, ნიკიფორე კალლისტო და სხვანი. მართალია, ისინი არ ახსენებენ ლაზების გაქრისტიანებას, მაგრამ ამის მიზეზი იყო ის, რომ ლაზებს იბერიელი ხალხის ერთ-ერთ ტომად მიიჩნევდნენ, გელასი კვიზიკელს კი ეს ამბავი უფრო დაუკონკრეტებია

❖ **ჩვენი კვლევა უარყოფს ე.წ. „მეორე თეორიის“ მიმდევართა მტკიცებებს და საზღვრავს ლაზიკის ეპარქიების რეალურ ადგილმდებარეობას, მრავალ ფაქტსა და წყაროზე დაყრდნობით.**

❖ **მეორე თეორიის მიმდევარი ზოგიერთი ავტორის აზრით, დასავლეთ საქართველოში IX–X სს.-მდე უკვე ჩამოყალიბებული იყო კოლხური ანუ მეგრულ-ჭანური ეთნოსი და შემდგომ დაიწყო მისი „ქართიზაცია“ და ეს პროცესს თითქოსდა წარმართავდა ქართულ ეკლესია, რომელიც, თითქოსდა, იჭრებოდა სხვა უცხო ეკლესიის, ამ შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლის იურისდიქციის საზღვრებში და მის მრევლს ისაკუთვრებდა.**

❖ **ცხადია, ესაა დადანაშაულება პროზელიტიზმში.**

❖ პროზელიტიზმი კი დაგმობილია მოციქულთა დროიდანვე და სხვისი სამწყსოს მისაკუთრება ეკლესიისათვის სათაკილო ქმედებად ითვლებოდა ჯერ კიდევ I მსოფლიო კრებიდან. საქართველოს ეკლესიისათვის ამ სათაკილო ეპითეტით, თანამედროვე ავტორებს, ჩანს, ერის წინაშე ჩვენი ეკლესიის მნიშვნელობის „წარმოჩენა“ სურთ, მაგალითად, 2005 წელს, საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის ოც საუკუნეს ეძღვნებოდა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სახელით წარდგენილი იქნა მოხსენება - **„ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში“**, სადაც ნათქვამია:

❖ **“ქართული ეკლესიის კულტურულ-იდეოლოგიური პროზელიტიზმი წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის“**(დ. მუსხელიშვილი. ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში. საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, II საერთაშორისო სიმპოზიუმი, 24-26 ნოემბერი, 2005).

❖ შეუძლებელია, საქართველოს წმიდა ეკლესია პროზელიტური ყოფილიყო იმიტომ, რომ „პროზელიტური“ ისეთ ეკლესიას ეწოდება, რომელიც იჭრება სხვა ეკლესიის სამრევლოში მისი მისაკუთრების მიზნით. ასეთი ქმედება კი მსოფლიო საეკლესიო კანონებით მიუღებელი იყო და არის. მაგალითად, მოციქულთა 35-ე კანონი ბრძანებს: „ეპისკოპოსმა არ უნდა გაბედოს ხელდასხმა თავისი სამრევლოს გარეთ, ქალაქებსა და სოფლებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან მის ეკლესიას. ხოლო თუ იგი მხილებული იქნება, უნდა განიკვეთოს ისიც და მის მიერ ხელდასხმულებიც“ („დიდი სჯულის კანონი“, 1974, მოციქულთა კანონები).

❖ მოციქულთა ამ კანონს კიდევ უფრო ამტკიცებს 381 წელს კონსტანტინოპოლში მოწვეული II მსოფლიო კრების მე-2 კანონი: „ეკლესიათა კეთილად განგებისა და მშვიდობისათვის არც ერთ ეპისკოპოსს არა აქვს უფლება, გასცდეს თავისი ეკლესიის საზღვრებს და შეიჭრას სხვა ეკლესიის

საზღვრებში, რათა არ მოახდინოს ეკლესიების აღრევა. კანონის თანახმად, ალექსანდრიის ეპისკოპოსი უნდა განაგებდეს მხოლოდ ეგვიპტის ეკლესიებს... პონტოელი ეპისკოპოსნი უნდა მართავდნენ მხოლოდ პონტოს ეკლესიებს, ხოლო თრაკიის ეპისკოპოსნი - მხოლოდ თრაკიის ეკლესიებს. ეპისკოპოსი არ უნდა გავიდეს თავისი სამთავროს ეკლესიის ფარგლებიდან ხელდასხმისათვის" („დიდი სჯულის კანონი" 1974, მოციქულთა კანონები).

❖ III მსოფლიო კრების მამებმა კიდევ უფრო დაბეჯითებით დამოძღვრეს ეკლესიათა მეთაურები, არ დაემორჩილებინათ სხვისი სამწყსო - „ნურც ერთი ეპისკოპოსი ნუ მიიტაცებს სხვა ეპარქიას, რომელიც თავიდანვე და ძველთაგანვე არ ემორჩილებოდა მას და არ იყო მის წინამორბედ საყდრისმპყრობელთა გამგებლობის ქვეშ, ხოლო თუ ვინმე მიიტაცებს სხვის ეპარქიას იძულებით, განთავისუფლებული უნდა იყოს იგი, რათა არ დაირღვეს მამათა კანონები" (III მსოფლიო კრების მე-8 კანონი). იმავეს წერს და აღნიშნავს სხვა საეკლესიო კანონებიც. თუ ქართული ეკლესია პროზელიტური იყო და მას ძველთაგანვე არ ემორჩილებოდა დასავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ საქართველოს ერთი ნაწილის, სამხრეთ საქართველოს სამწყსოები, ქართულმა ეკლესიამ კი მიითვისა ისინი, ამით დაურღვევია მსოფლიო საეკლესიო კანონები, კერძოდ, მოციქულთა 35-ე, II მსოფლიო კრების მე-2, III მსოფლიო კრების მე-8, კართაგენის 74-ე და სხვა კანონები, და განა კანონდამრღვევი ეკლესია შეიძლება ყოფილიყო მართალი და მართლმადიდებლური, რომლითაც ამაყობდნენ საქართველოს ეკლესიის წმიდა მამები? ამის თაობაზე შესანიშნავად მიუთითებდა პროკოფი კესარიელი, „რომ ქართველები მართლმადიდებლობის წესებს ყველაზე უკეთ იცავდნენ". სომეხი იერარქები წერდნენ, რომ ქართველები ამაყობენ თავიანთი სარწმუნოებრივი სიწმიდით და თავიანთი საეკლესიო უპირატესობით.

❖ **საქართველოს ეკლესია კი თურმე, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" თანახმად, არღვევდა უმთავრეს საეკლესიო კანონებს და სხვის იურისდიქციაში იჭრებოდა: - „დასავლეთ საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დასავლეთ საქართველოში „ქართიზაციის" პროცესს" (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. „საქ. სსრ", 1981 წ. გვ. 61).**

❖ ქართული ეკლესიის „გაბატონებამდე" დასავლეთ საქართველოში, ჩვენი ისტორიკოსების მტკიცებით, თურმე არსებობდა ეგრისისა და აფხაზეთის ეკლესიები, რომლებიც იმყოფებოდნენ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, ისინი შემდგომ გაერთიანებულან კონსტანტინოპოლის იურისდიქციაშივე, მაგრამ IX ს-ში მცხეთის საკათალიკოსოს თითქოსდა „გაბატონების" შედეგად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაუკარგავს მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი ეს მნიშვნელოვანი სამიტროპოლიტოები და საეპისკოპოსოები. საბჭოთა ისტორიკოსი წერს: „ეს საეკლესიო გამოყოფა, როგორც ვთქვით, ერთბაშად არ მომხდარა. ჯერ ხორციელდება ეგრის-აფხაზეთის ეკლესიების გაერთიანება, როგორც კონსტანტინოპოლის სამწყსოში შემავალი ეპარქიისა, რომელსაც სათავეში აფხაზთა კათალიკოსი ედგა (VIII ს-ის ბოლო ან IX ს-ის დასაწყისი); შემდგომ IX ს-ის მანძილზე (საფიქრებელია, უფრო მის პირველ ნახევარშივე) დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოეყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და მცხეთის ტახტს უერთდება, ხოლო აფხაზთა კათალიკოსი სრულიად საქართველოს კათალიკოსს ექვემდებარება. **კონსტანტინოპოლიდან გამოყოფის შემდეგ იწყება ბერძნული კათედრების მოშლა და მათ საპირისპიროდ ქართული საეპისკოპოსო ცენტრების დაარსება". ეს საეკლესიო რეფორმა, ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, საბოლოოდ X ს-ში სრულდება** (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973).

❖ თითქოსდა "პროზელიტური ქართული ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში რეაქციული შეჭრის" შესახებ ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფია წერს:

❖ **„ქართველები აქედან სდევნიან ბერძნულ ენას, ბერძნულ ვიწრო ეროვნულ კულტურას, შემოაქვთ და ავრცელებენ საკუთარ, ქართულ ენას, ქართულ ღვთისმსახურებას და ქართულ**

საეკლესიო-სამონასტრო წესებს. ქართულ კულტურას თან მოჰქონდა ქართული პოლიტიკური შეგნება და იდეალი, ასე რომ მცხეთა ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ელემენტებზე დაყრდნობით) შეიჭრა ლიხთ-იმერეთში, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, ეს საინტერესო ფორმულა წამოაყენა თავისი ორგანიზაციული გაბატონების დასაფუძნებლად - „ქართლია" იქ, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზეა (მხოლოდ „კვირიელეისონი" შეიძლება ბერძნულად). მირონის კურთხევა „ქართლს" განეწესება. მაშასადამე, ქართლს ნაკურთხი მირონი სავალდებულოა ყველა იმ ეკლესიისათვის, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზეა. **ცხადია, მცხეთის საკათალიკოსოს მხრივ ეს არის კანონიკური საფუძვლების დაცვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით"** (თ. პაპუაშვილი - ადრეფეოდალური ხანის ქართული ლიტერატურა და საისტორიო მწერლობა, წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973).

❖ საბჭოთა კავშირის საზღვრების ჩაკეტილობის გამო **ბერძნულ სამყაროში და, მათ შორის, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოშიც XX საუკუნის ბოლოსაც არ იცნობდნენ იქამდე სრულიად ახალ საბჭოთა "საისტორიო თეორიას" ქართული ეკლესიის პროზელიტიზმისა და "მისი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის შესახებ" (საბჭოთა ისტორიკოსების სიტყვებია). ცნობილი ბერძენი კანონისტის - მიტროპოლიტ მაქსიმეს 1966 წელს გამოცემული წიგნი "საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია",არ შეიცავს ცნობებს აღნიშნულთან დაკავშირებით. შეიძლება დაისვას კითხვა, რა პრობლემები შეექმნება საქართველოს ეკლესიას სამომავლოდ, თუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ან უცხოეთის რომელიმე ეკლესია ოფიციალურად აღიარებს აღნიშნულ თეორიას, ქართული ეკლესიის შეჭრის შესახებ იქამდე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფ დასავლეთ საქართველოში, ეს თეორია ხომ არ შეუქმნით მათ მყარ სამართლებრივ საფუძველს, რათა სცნონ და აღიარონ სეპარატისტული ეკლესიები აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში. მეორე მხრივ, ეს თეორია იძლევა კარგ საშუალებას და მასზე დაყრდნობით უკვე აქეზებენ ამ კუთხეთა სეპარატისტ მოაზროვნეებს, რათა დედაეკლესიად აღიარონ არა საქართველოს წმიდა ეკლესია, არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო. აღნიშნული "საეკლესიო თეორია" ყველაზე უფრო მეტად გაიტანა და გაავრცელა რუსულმა "პრავოსლავნაია ენციკლოპედიამ".**

❖ არასოდეს, არც ერთ საუკუნეში, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არ გამოუთქვამს არავითარი თვალსაზრისი ან შენიშვნაც კი დასავლეთ საქართველოს მის ეპარქიებში ქართული ეკლესიის შეჭრის შესახებ. ეს რომ ასე ყოფილიყო, ქართულ-ბერძნული ათასწლოვანი საეკლესიო ურთიერთობების დროს ამის შესახებ ერთხელ მაინც გამოითქმებოდა თუნდაც მცირე შენიშვნა. საქმე ის არის, რომ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ფაზისის სამიტროპოლიტო და მისი ოთხი საეპისკოპოსო, რომლებიც თითქოსდა ქართული ეკლესიის მიერ იყვნენ გაუქმებულნი, სინამდვილეში მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველი ერის უძველეს ქვეყანაში, რომელსაც ტრაპიზონის ოლქი ეწოდა. იქამდე კი მას ერქვა "ქალდეა", "სოფელი მეგრელთა". იქ ტრაპეზონის ოლქში მდებარე ჭოროხის ანუ ფასისის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდნენ ფასისის სამიტროპოლიტო და მისი საეპისკოპოსოები - როდოპოლისისა, საისინისა, პეტრონისა და ზიგანასი, როგორც ეს კარგად არის გარკვეული ნ. ადონცის მიერ. ეს სამიტროპოლიტო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა, ხოლო მის ჩრდილოეთით მოქცეული მიწა-წყალი ჭოროხიდან ვიდრე მდინარე ეგრისწყლამდე (ვახტანგ გორგასლის შემდგომ მდინარე კლისურამდე) - წმიდა ნინოს დროიდანვე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა ასე რომ, **ჩვენი ძველი საეკლესიო მატიანეების ცნობებით, დასავლეთ საქართველოში, ძველთაგანვე საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა. სხვა**

საეკლესიო წყაროებთან ერთად ამის შესახებ ხაზგასმით მიუთითებდა "რუის-ურბნისის" საკანონმდებლო კრების ძეგლისწერა - "ანდრია პირველწოდებულმა სახარება იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა", ხოლო წმიდა ნინომ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია "ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა".

რუის-ურბნისის საკანონმდებლო კრების მონაწილე წმიდა მამების თვალსაზრისით, დასავლეთ საქართველო მუდამ ისტორიული საქართველო იყო, რომლის მოსახლეობა, აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად, მოაქცია წმიდა ნინომ. მაშასადამე, დასავლეთ საქართველოში საეკლესიო იურისდიქცია იმთავითვე მცხეთის ხელში იყო და არა კონსტანტინოპოლისა. დასავლეთ საქართველო ეკლესიურად ოდესმე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში რომ ყოფილიყო, ამის შესახებ უთუოდ შემორჩებოდა პირდაპირი ან ირიბი ცნობები თვით ბერძნულ წყაროებშივე, ან რაიმე საყვედურნარევი მინიშნება მაინც იქნებოდა ბერძენი იერარქებისა, ასეთი კი არ არსებობს. მაგალითად, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი ძალზე თბილ და მეგობრულ წერილებს წერდა აფხაზთა მეფეს გიორგი II-ს X საუკუნის შუა წლებში, როცა საბჭოთა ისტორიკოსების აზრით, მის სამეფოში "ბრძოლა იყო გაჩაღებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ", ასე რომ ყოფილიყო, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი როგორმე მოახერხებდა პროტესტის გაცხადებას აფხაზთა მეფის - გიორგი მეორისადმი (922-957 წ.წ.), **[პატრიარქ მისტიკოსის წერილები გიორგი II-სადმი; გეორგიკა, IV, ნაკვეთი II];** ერთი სიტყვით, წყაროები არ ადასტურებენ საბჭოურ თვალსაზრისს.

სამწუხაროდ, როგორც ითქვა, საქართველოს ისტორიის 2012 წლის გამოცემა წყაროთა საწინააღმდეგოდ (კერძოდ: გელასი კესარიელის, გელასი კვიზიკელის, იოანე კათალიკოსის, ქართლის ცხოვრების, ძეგლისწერის) თვლის თითქოსდა X საუკუნემდე დასავლეთ საქართველო არ შედიოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში.

საქართველოს არასწორი რუკა


საბჭოთა ეპოქაში აღიარებული
დასავლეთ საქართველოს საზღვრები I ათასწლეულში
ქართლის (იბერიის) სამეფო
ეგრისის (ლაზიკის) სამეფო
საბელმწიფო საზღვარი
ბიზანტიური
ბიზანტიონ
ბიზანტიონ
ბიზანტიონ



საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიის მიერ აღიარებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საზღვრები I ათასწლეულში (კონსტანტინოპოლის ეკლესიის იურისდიქციაში მოქცეულია მთელი დასავლეთ საქართველო ქუთაისიდან ფოთის ჩათვლით, ასევე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ალანიის სამიტროპოლიტოს იურისდიქციაში მოქცეულია თრუსოს ხეობა, ყაზბეგის რაიონი და ინგუშეთის ტყობა-იერდას ეკლესია და სხვა ქართული ეკლესიები)



საბჭოთა ეპოქაში აღიარებული ალბანეთის საკათალიკოსოს საზღვრები I ათასწლეულში (მასში შეყვანილია ქართული მიწებიც) „პრავასლავნაია ენციკლოპედია" ტ. I, 2000 წ. გვ. 456



საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიის მიერ გადმოცემული ალბანეთის საკათალიკოსოს საზღვრები I ათასწლეულში (ალბანეთის ეკლესიის იურისდიქციაში მოქცეულია ქართული ტერიტორიები – ბოდბე, დავითგარეჯის მონასტრები, გურჯაანი და სხვა)

ΕΥΞΕΙΝΟΣ ΠΟΝΤΟΣ
ΚΑΣΤΑΜΩΝ
ΣΙΝΩΠΗ
ΑΜΙΣΟΣ
ΑΜΑΣΕΙΑ
ΤΟΚΑΤ
ΣΕΒΑΣΤΕΙΑ
ΚΑΡΑ-ΧΙΣΑΡ
ΤΡΑΠΕΖΟΥΣ
ΤΚΙΟΥΜΟΥΣ-ΧΑΝΕ
ΜΗΤΡ. ΠΑΦΛΑΓΟΝΙΑΣ
ΜΗΤΡ. ΝΕΟΚΑΙΣΑΡΕΙΑΣ
ΜΗΤΡ. ΚΟΛΩΝΕΙΑΣ
ΜΗΤΡ. ΧΑΛΔΙΑΣ
ΜΗΤΡ. ΡΟΔΟΠΟΛΕΩΣ
ΜΗΤΡ. ΤΡΑΠΕΖΟΥΝΤΟΣ
ΧΑΡΤΗΣ ΤΟΥ ΠΟΝΤΟΥ
ΚΛΙΜΑΞ 1:2.000.000

ᲛᲘᲮᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘ ᲐᲜᲐᲜᲘᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ᲤᲚᲐᲕᲘᲣᲡ ᲐᲠᲘᲐᲜᲔ ᲚᲐᲖᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲘᲓᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ

არიანეს ერთ-ერთი ადრინდელი ნაწარმოები არის "მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო" დაწერილი 131 წელს, მოღწეულია ერთადერთი ხელნაწერის სახით.

არიანე იყო კაპადოკიის პროვინციის მმართველი, ამიტომაც მან დაათვალიერა თავისი პროვინცია, აღწერა და წერილის სახით გაუგზავნა იმპერატორ ადრიანეს.

არიანეს ტრაპიზონიდან ფეხით მოუვლია თავისი პროვინციის სანაპირო. "**ამ ნაწილში დაწვრილებით აღწერა ადგილები და ადგილობრივი მოსახლეობის შესახებ რამდენიმე ცნობა შემოგვინახა**" (ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გაშემო, 1961, მთარგმნელ ნ. კეჭაყმაძის გამოკვლევა, გვ. 5).

„არიანეს ნაშრომის ის ნაწილები, რომელნიც შეეხებიან შავი ზღვის სხვა სანაპიროს აღწერას ნაკლებ სანდოა და შეცდომებითაა სავსე" (იქვე, გვ. 5) - წერს ნ. კეჭაყმაძე.

საერთოდ, თანამედროვე საერთაშორისო შეხედულებით, ამ მხრივ, არიანე არაა სანდო ავტორი. მაგრამ, ჩვენში სანდოდ მიიჩნევა არიანესმიერი აღწერილობა.

არიანეს სამმართველი პროვინცია რადგანაც იყო კაპადოკია, ამიტომაც უნდა გაირკვეს არიანეს დროს კაპადოკიის საზღვარი სად აღწევდა და ალბათ იქამდე უნდა იყოს მოცემული აღწერილობა სანდო.

არიანეს დროს (II ს. დასაწყისში) კაპადოკიის პროვინცია აღწევდა ტრაპეზუნტამდე და ოდნავ ცდებოდა მას აღმოსავლეთის მიმართულებით (ჩავთვალოთ, რომ აღწევდა ჭოროხამდე). აი, აქამდე უნდა ჩაითვალოს არიანეს აღწერილობა სანდოდ, მასში II საუკუნის მონაცემების გარდა, შემდგომი ეპოქის, უფრო IV-V საუკუნეთა მონაცემებიცაა აღრეული.

რადგანაც, პოლემონი იყო "**კაპადოკიას მიკუთვნებული პონტოს ერთი ნაწილის მეფე**" (დიონ კასიოსი, ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია I, 2010, გვ.367). როგორც ცნობილია, პოლემონის პონტოს საზღვარი ფაზისამდე აღწევდა.

პომპეუსის ეპოქაში, ანუ I-II საუკუნეებში, პონტო (და შესაბამისად კაპადოკია) მდ. ფაზისამდე აღწევდა.

(აქ ალბათ უნდა შევნიშნოთ, რომ მთლიანად არასწორია ზოგიერთი თანამედროვე ქართველი ისტორიკოსის შეხედულება, თითქოსდა კაპადოკიის საზღვრებში იყო მოქცეული აფხაზეთის ბიჭვინთა და ისტორიული ცხუმი. სინამდვილეში I პიტია და I სებასტოპოლისი ტრაპეზუნტ-რიზეს რეგიონში მდებარეობდნენ).

ვფიქრობ, რომ არიანეს იმპერატორის მიერ დავალებული ჰქონდა აღეწერა სანაპირო ტრაპეზუნტიდან – მდ. ფაზისამდე (ანუ ჭოროხის სანაპირომდე), სადაც იმჟამად რომის იმპერია აპირებდა ფეხის მოკიდებას. ეს იყო ძირითადად ქართლის ანუ იბერიის ხელქვევით მოქცეული ძიდრიტებისა და სხვა ქართველი ტომების საცხოვრისი. ამ მიწების დაუფლება სურდა რომს და ზოგიერთ ადგილას უკვე მცირე საჯარისო რაზმებიც ჰყოლია დაყენებული და იქაურ ამ, ასე ვთქვათ, "ადგილების ტომებისათვის" მეფეები დაუსვამთ.

მაშასადამე, შედარებით სანდოდ, და ისიც არაუეჭველად, შეიძლება მივიჩნიოთ არიანეს თხრობა ტრაპეზუნტიდან – ფაზისამდე (ჭოროხამდე).

ნ. კეჭაყმაძის სიტყვით არიანე კოლხებს ათავსებს ტრაპეზუნტიდან ოფამდე. მისივე გამოკვლევით ამ სანაპიროზე პირველობა მოიპოვა სხვა შედარებით ძლიერმა ტომმა – ლაზებმა.

თუ იქამდე კოლხების სახელი სხვათა სახელებს ფარავდა, ახლა უკვე ლაზების მნიშვნელობის

ზრდამ გამოიწვია სხვა ტომების სახელების გაქრობა. ე.ი. კოლხები და ლაზები სხვადასხვა ტომი იყო და ლაზების სიძლიერის გამო კოლხებსაც ლაზები ეწოდათ (იქვე, გვ. 98).

კოლხებს, დრილ-სანებს, მაკრონებსა და ჰენიოხებს ლაზებისაგან ჰყოფდა ძიდრიტების ტომი, რომელიც ფარსმან მეორეს - იბერიის მეფეს ემორჩილებოდა. ლაზებისათვის და მათი მეზობელი აფსილების, აბასკებისა და სანიგებისათვის როგორც ითქვა, რომაელებს მეფეები დაუნიშნავთ.

შესაძლოა, რომაელების გააქტიურებამდე ლაზები, აფსილები, აბასკები და სანიგები ძიდრიტების მსგავსად, იბერიის მეფეს ექვემდებარებოდნენ კიდევაც, "ქართლის ცხოვრება" და სხვა ქართული წყაროები მართლაც მიუთითებს, რომ დასავლეთ და ასევე სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ფარნავაზის დროიდანვე შედიოდა იბერიის სამეფოს შემადგენლობაში.

II ს. დასაწყისისათვის ამ მხარეთა ტომები რომაელებს გადაუბირებიათ, მაგრამ ძიდრიტებს შეუნარჩუნებიათ თავისი ძველი მდგომარეობა. ე.ი. კვლავ იბერიის მეფეს ემორჩილებოდნენ. ეს ძიდრიტები, ცხოვრობდნენ მდ. პრიტანიდიდან აფსაროსამდე (იქვე, გვ. 125). არიანეს აღწერით მათ ეკავათ 240 სტადიონი სანაპირო, დაახლოებით 43-44 კმ მონაკვეთი (ე.ი. თუ შევაჯამებთ - მდ. პრიტანიდიდან მდ. პიქსიტემდე – 90 სტადიონი, პიქსიტედან მდ. არქაბემდე 90 სტადიონი, არქაბედან მდ. აფსაროსამდე 60 სტადიონი (იქვე, გვ. 36), სულ 240 სტადიონი), ესაა ათინას მარჯვენა სანაპირო.

საერთოდ, ნ. კეჭაყმაძის სიტყვით - **"არიანეს მიერ მოცემული მანძილები... სიზუსტით არ გამოირჩევა და შემთხვევათა დიდ უმეტესობაში ის მიახლოებით რიცხვებს გვთავაზობს... რუკის შედგენის დროს... ზოგი პუნქტი გამოტოვებულ იქნა, რადგანაც მათი შეტანა რუკაზე არ მოხერხდა – ირღვეოდა რუკის მთელი აღნაგობა, ობიექტებს შორის მანძილები იცვლებოდა და ცნობილ ადგილთა მდებარეობა ისე გადაინაცვლებოდა, რომ რუკა საერთოდ აღარ გამოდგებოდა... ანგარიში ირღვეოდა, რუკაზე ვეღარ თავსდებოდა... საჭირო გახდა გამოტოვება... გაანგარიშება აღარ მოხერხდა, არიანე აქ დიდ ლაფსუსებს უშვებს"** (იქვე, გვ. 24-25).

ნ. კეჭაყმაძის სიტყვით – არიანეს მიერ მოცემული მანძილები "დიდ უმეტესობაში მიახლოებითია, სულ დამრგვალებული რიცხვებია მის "პერიპლუსში" მოცემული. ერთიდაიგივე რიცხვები მეორდება. ავტორის სიყვარულით სარგებლობს "90 სტადიონი" ასევე კარგადაა განწყობილი 150, 180, 210, 30 და 60 სტადიონის მიმართ. სტადიონთა ერთიდაიგივე რაოდენობა მეორდება მიყოლებით... ასე სიმეტრიულად განლაგებული მდინარეები თუ ობიექტები ბუნებაში არ არსებობს" (იქვე, გვ. 24).

არიანეს მიხედვით შავი ზღვის გარშემოწერილობის რუკის შედგენა შეუძლებელია.

ამის მიუხედავად ჩვენ მაინც ვცადეთ არიანეს მონაცემების მიხედვით რუკის შედგენა ტრაპეზუნტიდან – ფაზისამდე ანუ ტრაპეზუნტიდან ჭოროხის შესართავამდე. მის შემდგომ არიანეს ცნობები კიდევ უფრო არასანდოა და ჩანს ის,სხვადასხვა პერიპლუსების ალბათობრივი ნაკრებია,შედგენილი მოგვიანებით.

2. მდინარე ფაზისი

არიანეს რუკის შედგენის დროს, ვფიქრობ, უმთავრესია მდ. ფაზისის ადგილმდებარეობის განსაზღვრა.

როგორც ცნობილია, V საუკუნის ანონიმმა ავტორმა არიანეს ცნობების ზუსტი გამეორებით გამოსცა თავისი ნაშრომი, მასში განმარტებულია მდინარეთა და პუნქტთა იმჟამინდელი სახელები.

აღსანიშნავია, რომ ანონიმის მიხედვით არიანე ფაზისის ქვეშ გულისხმობდა ჭოროხს, რადგანაც წერს "ფაზისის სათავე არმენიაშია" – **"ეს მდინარე ფაზისი არმენიიდან მომდინარეობს" (ანონიმი, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, წიგნში "ფლავიუს არიანე, 1961, გვ. 86).** როგორც ცნობილია იმჟამად სომხეთ-არმენიის მიერ ხელდებული ჭანეთ-სპერის მთიანეთიდან გამოედინება ჭოროხი. გარდა ამისა მდინარის შეფერილობა, მისი სასმელ წყლად გამოყენება, სიჩქარე ზღვის შესართავთან და სხვა მრავალი ნიშანი მიუთითებს, რომ ანონიმისა (და არიანეს) მდ. ფაზისი არის ჭოროხი.

მაგალითად, ანონიმი წერს - **"ფერი ფაზისისა თავისებურია, გავს ტყვიით და კალით შეღებილ წყალს"** (იქვე, გვ. 87). ვისაც თავისი თვალით უხილავს ჭოროხი, ის იტყვის, რომ სწორედ ჭოროხია მოცისფრო-ტყვიისფერი და არა რიონი, რომელიც ტალახისფერ-ყავისფერია თავის დაბლობში.

აღსანიშნავია, რომ სხვა ანტიკური ავტორებიც მიუთითებდნენ მდ. ფაზისის ცისფერობის შესახებ ზღვასთან შერთვის ადგილზე. მაშინ როცა რიონი, როგორც ითქვა იქ ტალახისფერ-ყავისფერია. მაგალითად, რუფუს ფესტუს ავიენუსი, IV ს. ავტორი, ფაზისს უწოდებს "ლურჯ მდინარეს" – ის წერს – **"ფასისის ლურჯი ზვირთების დასავლეთით ბიძერების ტომია, შემდეგ ბექირები ..."** (რუფუს ფესტუს ავიენუსი, ანტიკური კავკასია, 2010, გვ.599).

ფერის გარდა მდ. ფაზისი სხვა მდინარეებისაგან განირჩეოდა ერთი თვისებით, რომელიც ანცვიფრებდა მრავლის მნახველ ძველ მოგზაურებსა და ისტორიკოსებს. ეს თვისება მხოლოდ და მხოლოდ ამ კონკრეტული მდინარისათვის იყო დამახასიათებელი და ამით განსხვავდებოდა სხვებისაგან, ეს იყო ის, რომ დიდი სიჩქარის გამო ფაზისი ზღვაში შედენის შემდეგ ზღვის წყალს კი არ ერეოდა, არამედ ზღვის ზედაპირზე ქმნიდა მტკნარი წყლის ზოლს, ჩქარი დინების მქონეს, იმდენად ჩქარის, რომ ნავებს მისი გადალახვა უჭირდათ. ამ ნიშნის მიხედვით ჩვენ თითქოსდა ადვილად შეგვიძლია განვსაზღვროთ თუ რომელი მდინარე იყო ფაზისი – ის ჭოროხია თუ რიონი.

მარტივი დაკვირვებაც კი აჩვენებს, რომ ზღვის შესართავთან რიონი მდორე, შლამითა და ლექით დამძიმებული მდინარეა, რომელსაც თავისი წყალი გაჭირვებით შეაქვს ზღვაში, ამის მიზეზი ისიცაა, რომ ზღვაცა და რიონის დაბლობიც ერთ 0-ოვან დონეზე მდებარეობენ, ჭოროხი კი ზღვისპირა მთებიდან ჩამოედინება და აჩქარებით შეაქვს თავისი წყლები ზღვაში.

ჭოროხის აღწერა ფაზისის აღწერას ეთანადება, რიონისა კი არა, რადგანაც მდორედ ერთვის ზღვას.

კიდევ ერთი თვისება მდ. ფაზისისა იყო მისი მაღალი ხმა ზღვის სიახლოვესაც კი.

ჭოროხსა და რიონს ერთმანეთისაგან ზღვისპირა დაბლობზე განარჩევს ხმიანობა, კერძოდ ჭოროხი სიჩქარის გამო ხმაურობს, ხოლო რიონი უხმოდ, მდორედ შეედინება ზღვაში.

ხმაურიანი იყო მდ. ფაზისი ასევე ამიანეს მარცელინუსის ცნობით "**ფასისი ხმაურიანი დინებით ესაზღვრება კოლხებს**" (ანტიკური კავკასია, 2010, გვ. 576)

რიონი ზღვის შესართავთან ასეთი დიდი სიჩქარისა არ არის, პირიქით, ის ძველად ხელოვნური ჯებირების გაკეთებამდე ჯერ შეედინებოდა ზღვისპირა ჭაობებში და ქმნიდა დასავლეთ საქართველოს დაბლობში უამრავ მეანდრებსა და ნარიონალებს, ე.ი. რიონს უჭირდა თავისი წყლის შეტანა ზღვაში, ამიტომაც ხშირად იცვლიდა კალაპოტს, გუბდებოდა, ანდა მეანდრების სახით იკლაკნებოდა. ერთი სიტყვით, რიონი XX ს-მდე იყო ჭაობის მდინარე, რომელიც ძალზე მდორედ და მძიმედ შეედინებოდა ზღვაში, მაშინ როცა ამ თვისებით მისგან მთლიანად განსხვავებულია ჭოროხი. მისი საგანგებო მკვლევარი ტომაშევსკი XIX ს-ში წერდა მდ. ჭოროხის შესახებ - **"სახელი "ჭოროხი" ადგილობრივ ენებზე ნიშნავს "მოუდრეკელს", რადგან ეს მდინარე ზღვას ერთვის დიდი სიძლიერით და სისწრაფით"** (ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გაშემო, 1961, გვ. 67).

თითქმის სწორედ ამავე სიტყვებით აღწერს არიანე მდ. ფაზისს.

არიანე წერდა - **"ჩემთვის ცნობილი მდინარეების წყლებს შორის ფაზისის წყალი უმსუბუქესია და ფერიც მეტად განსხვავებული აქვს. მის სიმსუბუქეს შეიტყობს კაცი წონის გასინჯვით და კიდევ იმით, რომ როდესაც იგი ზღვას ერთვის ზღვის წყალს ზედ მოექცევა, არ შეერევა – ზღვის წყლის ზემოთ მიმდინარეობს, როგორც ზეთი, და როდესაც ამოხაპავენ მის წყალს – მტკნარია. თუ ვინმე სიღრმეში ჩაუშვებს ჭურჭელს – მარილიანი... ჩვეულებაა ასეთი – ფაზისში შემსვლელებმა არ უნდა შეიტანონ იქ სხვა წყალი, და შევლენ თუ არა მის კალაპოტში, ბრძანება იცემა, რომ ხომალდზე არსებული ძველი წყალი სულ**

გადაიღვაროს. ამბობენ, ვინც ამას არ შეასრულებს – ბედნიერი მგზავრობა არ ექნება. ფაზისის წყალი არ შმორდება და ათ წელზე მეტ ხანს გაუფუჭებელი რჩება, უფრო მეტადაც ტკბება“ (იქვე, გვ. 39).

შევადაროთ, ავიღოთ მდ. რიონი ზღვის შესართავთან, ან თუნდაც მის დაბლობში, ვთქვათ სამტრედიიდან ფოთამდე, შეიძლება თუ არა მისი წყლის სასმელად გამოყენება? თუ ვთქვათ რიონის წყალს აქ ჭიქით ავიღებთ, სულ მალე ვნახავთ, რომ ჭიქაში შლამის საკმაო ნალექი დარჩება.

რიონი, მის დაბლობზე, სასმელად არ გამოიყენება. ეს შეუძლებელია. მას სასმელად ვერ გამოიყენებდნენ მეზღვაურები. ამ ნიშნით რიონი არაა ფაზისი.

არიანე აქცევს ყურადღებას ასევე ფაზისის ფერს - ‘‘მისი ფერი მეტად განსხვავებულია‘‘ - ის იყო მოცისფრო-ტყვიისფერი, როგორც ამჟამად ჭოროხის წყალი.

რიონთან შედარებით ჭოროხის წყალი **მსუბუქია, ნაკლები ლექიანობის ანუ სილიან-ქვიშიანობის** გამო (ე.ი. ჭოროხი ისეთივე მსუბუქია, როგორც ფაზისის წყალს აღწერს არიანე), ასევე **ჭოროხი თავის შესართავთან ძალზე ჩქარია, როგორც ფაზისი**. ამ თვისებებით მეტად განსხვავებული რიონისაგან.

ერთი სიტყვით მდ. ფაზისი ჭოროხია და არა რიონი იმ ხუთი თვისებით, რომლითაც ძველი ავტორები ფაზისს აღწერდნენ, ესენია ფაზისის სათავე, მისი განსაკუთრებული ფერი, მისი სასმელად გამოყენება შესართავთან, მისი მსუბუქი წონა და მისი დიდი სიჩქარე ასევე შესართავთან.

A. ფაზისის სათავე

მდ. ჭოროხი გამოედინება სპერ-ჭანეთის რეგიონიდან, რომელიც სტრაბონის ეპოქაში არმენიის მიერ იყო ხელდებული. ანუ ის იმჟამად, ასე ვთქვათ, პოლიტიკური არმენიიდან გამოედინებოდა ისევე, როგორც ფაზისი.

B. ფაზისის ფერი

მდ. ფაზისი - ჭოროხია განსაკუთრებული ფერის გამო. ეს ფერია მოცისფრო ტყვიისფერი, ასეთი ფერისაა ჭოროხი, ფასისი ასეთივე ფერის მქონე მდინარედ აღიწერება ძველი ავტორების მიერ.

C. ფაზისის სასმელად გამოყენება

ჭოროხის გამოყენება საჭიროების შემთხვევაში შეიძლება სასმელად ამჟამადაც კი, მაგრამ სასმელად რიონის გამოყენება მის დაბლობში, შეუძლებელია – რადგანაც დაჭაობებულ დაბლობზე დენის გამო ბაქტერიებითაა გაჯერებული და სიცოცხლისათვის საშიშია.

D. ფაზისის წონა

რიონის წყალი თავის შესართავთან სილისა და მიწის დიდ რაოდენობას შეიცავს, ამიტომაც რიონის წყალი მძიმეა დიდი სილიანობის გამო, ჭოროხის წყალი კი მასთან შედარებით გაცილებით მსუბუქია, ნაკლები ლამიანობისა და სილიანობის გამო, ამ თვისებით ჭოროხი ფაზისის აღწერას ემსგავსება. ფაზისის წყლის სიმსუბუქეს აღწერენ ძველი ავტორებიც.

E. ფაზისის სიჩქარე

ისეთი სიჩქარით, როგორც ძველი ავტორები მდ. ფაზისის ზღვაში შედენას აღწერენ, ამჟამადაც კი ზღვაში შეედინება ჭოროხი და არა რიონი.

ყოველივე ამას ასე აღწერს არიანე ფაზისთან დაკავშირებით, ამიტომაც მის მიერ ნახსენები ფაზისი არის მდ. ჭოროხი და არა რიონი. ასევე უნდა აისახოს მის რუკაზეც.

მიუხედავად ასეთი თვისებისა მაინც არიანეს მთარგმნელი ნ. კეჭაყმაძე დაბეჯითებით წერს - "მდ. ფაზისი – მდ. რიონია, ძველ მწერალთა მიერ მოხსენიებული მდ. ფაზისი – მდ. რიონია. აქ მკვლევართა შორის აზრთა, სხვადასხვაობა არ არსებობს მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა ქ. ფაზისი (დღევანდელი ფოთი)" (იქვე, გვ. 68).

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული აზრი, რომ ფაზისი რიონია, ფაქტიურად ემყარება ძველ ცნობებს, იმის შესახებ, რომ ფაზისის შესართავთან მდებარეობდა ქ. ფაზისი, შემოსაზღვრული ზღვით, მდინარით და ტბით, რადგანაც ასეთივე განლაგებისაა ფოთი, ამიტომაც სწორედ ის მიიჩნევა ძველ ფაზისად, მაგრამ სწორედ ასეთივე **ტბა-ტბორები ჭოროხის შესართავის დასავლეთ სანაპიროზეცაა ზღვის პირას გონიოსთან ახლოს, ამ ტბა-ტბორებსა და ჭოროხს შუა ზღვის სანაპიროზე თავისუფლად მოთავსდებოდა ანტიკური პატარა ზომის ქალაქი. ამიტომაც ვფიქრობ ფაზისისა და რიონის გასაიგივებლად აღნიშნული ცნობა საკმარისი არაა.**

ჩვენი კვლევით ფაზისი – ჭოროხია, ხოლო ქ. ფაზისი მდებარეობდა გონიოსთან ახლოს მდინარისა და ზღვის პირას.

მდ. ფაზისი ითვლებოდა ბიზანტიის იმპერიის სასაზღვრო მდინარედ ისტორიკოს ზოსიმეს სიტყვით.

ზოსიმე წერს - კონსტანტინე დიდმა "**კაპადოკია, არმენია და მთელი სანაპირო პამფილიიდან ტრაპეზუნტამდე და სიმაგრეებამდე, ფაზისზე... ეპარქოზს გადასცა**" (ანტიკური კავკასია, 2010, გვ.427), ანუ ჯერ იყო პიტია-სებასტოპოლისის სამაგრეები, შემდეგ კი მდ. ფაზისთან, აქამდე აღწევდა იმპერიის საზღვარი IV ს.-ში.

3. „ზღვის სანაპირო ტრაპეზუნტიდან" (არიანეს ტექსტი)

არიანე ასე აღწერს ზღვის სანაპიროს ტრაპეზუნტიდან ფაზისამდე – "მივედით ტრაპეზუნტში... ტრაპეზუნტიდან რომ წამოვედით, პირველ დღეს მოვედით ნავსადგურ ჰისოსში (ისსუ). იქ დავათვალიერეთ ქვეითთა ჯარი ...მათი დამხმარე 20 ცხენოსანი... აქედან გავცურეთ... მივედით **ათენში [ფაზარი] ... ჩვენ გავიარეთ 500 სტადიონზე მეტი და მოვედით აფსაროსში,** სადაც დგას 5 კოჰორტი (ლეგიონის 0,1 ნაწილი).

აქ ხელფასი დავურიგე ჯარისკაცებს და დავათვალიერე იარაღი, კედელი, თხრილი, ავადმყოფები და ისიც, თუ რა მდგომარეობაში იყო პურის მარაგის დამზადება. ჩემი აზრი ყველაფრის შესახებ მოგწერე ლათინურ წერილში...

ტრაპეზუნტიდან ნაპირის გასწვრივ ცურვისას ჩვენ გავიარეთ შემდეგი მდინარები: ჰისოსი, რომლისგანაა სახელწოდება ჰისოს ნავსადგურისა, რომელიც ტრაპეზუნტისგან დაშორებულია 180 სტადიონით; **ოფისი, რომელიც დაშორებულია ჰისოს ნავსადგურს 90 სტადიონით და გამოჰყოფს კოლხების ქვეყანას თიანიკისაგან.**

შემდეგ მოსდევს **ფსიქსოსად** წოდებული მდინარე, რომელიც დაახლოებით 30 სტადიონითაა დაშორებული ოფისს, შემდეგ 30 სტადიონით მდინარე ფსიქსოსს – მდ. **კალოსი** [კალოპოტამისი]. მდინარე ფსიქსოსის მეზობლად არის მდინარე რიძიოსი (1).

მდინარე **რიძიოსი** 120 სტადიონითაა დაშორებული მდინარე კალოსიდან. ამისგან 30 სტადიონის მოშორებითაა მდინარე **ასკუროსი** და **ადიენი** ასკუროსიდან – 60 სტადიონით. აქედან ათენამდე 180 სტადიონია(2).

ათენიდან მხოლოდ 7 სტადიონის მოშორებით მდინარე **ძაგატისი** მიედინება. ათენიდან წამოსულებმა გავიარეთ მდინარე **პრიტანიდი** (3).

მდინარე პრიტანიდი, რომელთანაც აშენებულია **ანქიალეს სასახლე დაშორებულია ათენიდან 40 სტადიონით.**

პრიტანიდს ემეზობლება მდინარე **პიქსიტე** (4).

აფსაროსიდან გავიარეთ მდინარე **აკამფსისი** ღამით(5).

აკამფსისიდან მდინარე **ბათისამდე** 75 სტადიონია(6).

მდინარე **აკინასე** ბათისიდან 90 სტადიონითაა დაშორებული.

აკინასიდან **ისისი** 90 სტადიონით.

აკამფსისი და ისისი სანაოსნო მდინარეებია... შემდეგ გავიარეთ მდ. **მოგროსი**. მოგროსსა და ისისს შორის 90 სტადიონია. ეს მდინარეც სანაოსნოა. აქედან შევედით **ფაზისში**(7).

რომელიც მოგროსიდან დაშორებულია 90 სტადიონით... **ციხე-სიმაგრე, რომელშიც თავსდება ოთხასი რჩეული მეომარი, მე მეჩვენა მეტად მიუდგომლად ბუნების მიხედვით, უშიშროების თვალსაზრისით მეტად მოხერხებულ ადგილზე მოთავსებულად აქ მომსვლელთათვის. ორმაგი თხრილი ერტყმის კედელს, ორივე ფართოა... კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისგანაა გაკეთებული. მისი საძირკველი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული ციხის გარშემო ადგილები დასახლებულია სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირებით და ვაჭრებით**(8).

გადავწყვიტე, ციხის კედლის ორმაგი თხრილიდან მდინარემდე გამეყვანა სხვა თხრილი, რომელიც გარს შემოუვლიდა ნავსადგურს და ციხის კედლის გარეთ მდგომ სახლებს(9).

ფაზისიდან ჩვენ გავიარეთ სანაოსნო მდინარე **ქარიენტი** (10).

მათ შორის მანძილი 90 სტადიონია. ქარიენტიდან გავიარეთ 90 სტადიონი და შევცურეთ მდინარე **ქობოსში**. აქ ღუზაზე დავდექით(11).

თუ რატომ შევცურეთ აქ და რა მოვიმოქმედეთ, შენთვის ცხადი გახდება ლათინური წერილიდან.

ქობოსის შემდეგ გავიარეთ სანაოსნო მდინარე **სინგამე** (12), რომელიც ქობოსს დაშორებულია მხოლოდ 210 სტადიონით.

მდინარე სინგამის შემდეგ არის **ტარსუსი** (13). მათ შორის მანძილია 120 სტადიონი.

მდ. **ჰიპოსი** დაშორებულია ტარსუსას 150 სტადიონით(14).

ჰიპოსიდან **ასტელეფს** 30 სტადიონი აშორებს(15).

ასტელეფი რომ გავიარეთ **სებასტოპოლისში** შევედით(16).

შუადღემდე ქობოსიდან გამოსულები. ასტელეფიდან გავიარეთ 120 სტადიონი. იმავე დღეს მოხერხდა ჯარისკაცთათვის ხელფასის მიცემა, ცხენების და იარაღის დათვალიერება, მხედრების გავარჯიშება ცხენებზე შეხტომაში, ავადმყოფების მონახულება, პურის მარაგის შემოწმება, ციხე-სიმაგრის კედლისა და თხრილის შემოვლა. მდ. ქობოსიდან სებასტოპოლისამდე სულ 630 სტადიონია(17).

ხოლო ტრაპეზუნტიდან სებასტოპოლისამდე 2260 სტადიონი(18). სებასტოპოლისი ძველად **დიოსკურიად** იწოდებოდა, მილეტის ახალშენია(19). ... დიოსკურიადადან პირველი სადგურია **პიტიუნტში**, 350 სტადიონის მანძილზე აქედან **ნიტიფემდე** 150 სტადიონია. აქ ძველად ცხოვრობდა სკვითთა ტომი, რომელსაც იხსენიებს ისტორიკოსი ჰეროდოტე, მათ ის გირჩისმჭამელებს უწოდებს (ფთიროფაგებს) (20).

ეს აზრი დღემდეა შემონახული მათ შესახებ, ხოლო ნიტიკიდან მდინარე **აბასკოსამდე** 90 სტადიონია. **ბორგისი** აბასკოსს დაშორებულია 120 სტადიონით. **ნესისი** ბორგისს – 60 სტადიონით(21).

აქ არის კონცხი **ჰერაკლეა**. ნესისიდან **მასაიკიტემდე** 90 სტადიონია. აქედან მდინარე **აქენტამდე** – 60. ეს მდინარე ჰყოფს **ძილქებსა და სანიგებს**. ძილქების მეფე სტაქემფაკია. ამასაც შენგანა აქვს ტახტი მიღებული. აქეუნტიდან(22) **ჰერაკლეს კონცხამდე** 150 სტადიონია. აქედან 180 სტადიონია ბორცვამდე რომელიც იცავს (მოგზაურს) თრასკიული ქარისაგან და ბორეასაგან. აქედან **ძველ ლაზიკედ** წოდებულ ადგილამდე 120 სტადიონია. აქედან ძველ **აქაიამდე** – 150. აქედან ნავსადგურ **პაგრამდე** – 350. პაგრიდან **ჰიერონის** ნავსადგურამდე – 140, აქედან **სინდიფემდე** – 300“ (ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, 1961, გვ. 29-53).

შენიშვნები:

(1) არიანეს სიტყვით აფსაროსი 500 სტადიონით იყო დაშორებული რომელიღაც პუნქტს, ალბათ რიზეს (რიძიოსს), ანუ ალბათ, აფსაროსი თანამედროვე რიზედან დაახლ. 86 კმ-ით იყო დაშორებული. ნავსადგური **რიძიოსი ათენსა და პიტიუნტს შორის** (სტრაბონი, VII,5,7) მდებარეობდა.

რიზე – ნ. კეჭაყმაძის მიერ მოძიებული სხვადასხვა წყაროს ცნობით – იყო ქ. ბექირია, ბექირთა ქვეყანაში, რიზე ასევე ითვლებოდა ლაზიკის ქალაქად ტრაპეზუნტიდან 2 დღის სავალზე (პროკოფი, შენობათა შესახებ). ის იუსტინიანემ განაახლა.

ქალაქ რიზეს საეპისკოპოსო კათედრა შედიოდა პოლემონის პონტოს ეპარქიაში. ოტიტია, IV. რიზეს სამიტროპოლიტო ოტ. X. რიზეს საარქიეპისკოპოსო (გეორგიკა, IV, 2, გვ. 192)].

(2) ვფიქრობ, ათენა ანუ **ათინა (ათენი) ახლოს მდებარეობდა პიტიუნტთან, მათ ერთად ახსენებს სტრაბონი (VII,5,7), თავის მხრივ პიტიუნტი ანუ პიტიუნტ I ახლოს მდებარეობდა მდ. ფაზისთან** რაც ჩანს ზოსიმეს ცნობიდან, რომ ჯერ მდებარეობდნენ „ფაზისის სიმაგრეები" ე.ი. პიტიუნტი და სებასტოპოლისი და შემდეგ კი იყო ბიზანტიის იმპერიის საზღვარი, რომელიც მდ. ფაზისზე იყო დადებული. ამასვე ადასტურებს ზოსიმე სხვაგანაც, კერძოდ სკვითებმა, როცა მათ პიტიუნტის სიმაგრე ვერ აიღეს იქვე, იმავე რეგიონში მდ. ფაზისზე ჩაუშვეს ღუზა და შემდეგ გაცურეს ტრაპეზუნტისაკენ (ანტიკური კავკასია, 2010, გვ. 425-426).

(3) პრიტანიდი. ამ მდინარესთან იყო მაკრონთა და ჰენიოხთა მეფის ანქიალეს რეზიდენცია... დაახლოებით ახლანდელი ვიწეს მახლობლად. **მაკრონებისა და ჰენიოხების მიწა-წყალი მდ. ოფისა და არქაბესწყლის შორის ყოფილა მოქცეული** (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1950, გვ. 217].

(4) პლინიუსის მიხედვით პიქსიტე აფსაროსის დასავლეთითაა. **აფსაროსი არქაბესთან იყო. არქაბე – იგივე არხავეა, ბიძერების ქვეყანაში. აფსაროსი – ბიძერების ქვეყანაში იყო. არქაბეს ახლანდელი სახელია – არხავ-სუ,** მათ შორის მანძილი 90 სტადიონია, ასევე პიქსიტიდან არქაბისამდე 90 სტადიონია, არქაბისიდან აფსაროსამდე – 60 სტადიონი **[არქაბედან აფსაროსამდე დაახლოებით 10 კმ მანძილი ყოფილა].**

(5) აკამფსისი ასევე ერქვა ჭოროხს სათავეებში ანუ სპერის მთებში, ამიტომაც აქ, არიანესთან, ნახსენები მდინარე "აკამფსისი" ჭოროხის მოსახელე სხვა პატარა მდინარე ყოფილა ზღვისპირზე. იგი აფსაროსს დაშორებულია 15 სტადიონით [მაშასადამე, აფსაროსი მდ. აკამფსისს, (არა ჭოროხს, არამედ სხვა მდინარეს) 2-3კმ-ით ყოფილა დაშორებული].

(6) მართალია მდ. ბათისის სახელი მოგვაგონებს ბათუმს, მაგრამ ის ყოფილა არა ჭოროხთან, არამედ მისგან დაშორებით დასავლეთის მხარეს.

(7) ანუ ჭოროხში.

(8) არა მგონია ვაჭრებისათვის მოხერხებული ყოფილიყო ფოთის გარშემო ჭაობებში ცხოვრება, ამიტომაც ქ. ფაზისის ქვეშ გონიო უნდა იგულისხმებოდეს, რომლის კლიმატი და ბუნება გაცილებით უკეთესია საცხოვრებლად.

(9) აქედან ჩანს, რომ ფაზისის ციხის კედლის გარშემო განლაგებული იყო დასახლებული ტერიტორია, იდგა სახლები და ხალხი ცხოვრობდა, როგორც ძველთაგანვე გონიოში. ფოთში ეს უფრო ძნელი უნდა ყოფილიყო – დიდი დაჭაობების გამო.

(10) ეს შეიძლება იყოს მდ. ყოროლისწყალი. ამ მდინარესთან მოთავსებულ ნავსადგურს ნ. კეჭაყმაძის გამოკვლევით ტაბულა პევტენგერიანა აღნიშნავს სახელით **პორტუს ალტუს** – ღრმა ნავსადგური. იტალიურ რუკებზე ჰქვია "ვატი", გონიოს ჩრდილოეთით.

(11) მდ. **ქობ**ოსი უნდა იყოს **ქობ**ულეთის მხარის რომელიმე მდინარე, შეიძლება მდ. კინტრიში.

(12) შეიძლება სინგამე იყო კინტრიში ანდა ნატანებისწყალი,

(13) ნატანებს მოსდევს მდ. სუფსა, შეიძლება ეს იყო ტარსუსა,
(14) შეიძლება ეს იყოს კაპარჭინა ანდა პალიასტომის ტბის რომელიმე მდინარე.
(15) ასტელეფი შეიძლება იყოს რიონი,
(16) აქ, სებასტოპოლისი უნდა იყოს ყულევი ან ანაკლია,
(17) [დაახლ. 114 კმ],
(18) [დაახლ. 403 კმ],
(19) ამის შემდეგ კვლავ უბრუნდება ტრაპეზუნტის ახლოს მდებარე I დიოსკურიადას (სურმენესთან).
(20) **ფთიროფაგებს ახსენებს სტრაბონიც. (სტრაბო, XI, 2, 19), მაგრამ ის მათ მოიხსენიებს სამხრეთში ტრაპეზუნტსა და ჭოროხს შუა მთიანეთში, ამიტომაც ვფიქრობთ, რომ არიანეს ეს აღწერილობა შეესაბამება არა აფხაზეთის სანაპიროს, არამედ ტრაპეზუნტ-ჭოროხისას.**
(21) **ნესოსი ერქვა აგრეთვე პუნქტის ფასისისა და მდ. დოკონისის ანუ ჭოროხისა და აჭარისწყლის შესართავთან.**
(22) შდრ. სტრაბონის აქეველთა სანაპირო.

4. პუნქტები და მდინარეები

მაშასადამე არიანე ჩამოთვლის შემდეგ პუნქტებს (საქართველოს შავიზღვისპირეთში) –
1. ტრაპეზუნტი;
2. ჰისოსი; (ისუ)
3. ათენი;
4. აფსაროსი;

(საფიქრებელია, რომ არიანემ სინამდვილეში იმოგზაურა მხოლოდ აფსაროსამდე) შემდეგ კვლავ უბრუნდება გავლილ სანაპიროს და უფრო გამოწვლილვით აღწერს (ყველა ეს შემდგომი აღწერა უნდა იყოს სხვა ავტორების ჩანამატი, რადგანაც აღწერა კვლავ თავიდან იწყება) –
1. ტრაპეზუნტი;
2. ჰისოსი (დაშორებულია ტრაპეზუნტს 180 სტადიონით (32კმ);
3. ოფისი (დაშორებულია ჰისოსს 90 სტადიონით (17 კმ);
4. მდ. ფსიქსოსი (30 სტადიონი) (5,7 კმ);
5. მდ. კალასი (30) (5,7კმ);
6. მდ. რიძიოსი დაშორებულია 120 სტადიონით (22,7 კმ);
7. მდ. ასკუროსი 30 სტადიონი – 5,7 კმ;
8. მდ. ადიენი (60) (11,3 კმ);
9. ათენი (180 (სტადიონი [პიტიუნტი ?] (32 კმ);
10. მდ. ძაგატისი (7 სტადიონი) (1,3კმ);
11. მდ. პრიტანიდი (ათენიდან 40 სტადიონი მაკრონების მახელნებისა და ჰენიოხების ქვეყანაში, 7,6 კმ);
12. მდ. პიქსიტე (90) (17 კმ) ძიდრიტების (ბიძერების) ქვეყანაში;
13. მდ. არქაბისი (90, ქ. არქაბე ანუ არხავე ბიძერების ქვეყანაში) (17 კმ);
14. მდ. აფსაროსი (60 სტადიონი, 11,3 კმ) 186,3;
15. მდ. აკამფსისი (15 სტადიონი, 2,8 კმ);
16. მდ. ბათისი (75 ,14,2 კმ);
17. მდ. აკინასე (90, 17 კმ);
18. მდ. ისისი (90, 17 კმ);

19. მდ. მოგროსი (90, სტადიონი, ანუ 17 კმ);
20. მდ. ფაზისი (მდ. მოგროსიდან დაშორებული 90 სტადიონით, 17 კმ-ით, ჭოროხი);
21. მდ. ქარიენტი (მდ. ყოროლისწყალი, 90 სტ,= 17 კმ);
22. მდ. ქობოსი (90, ქობულეთისწყალი ანუ კინტრიში (17 კმ);
23. მდ. სინგამე (ნატანებისწყალი, 210) (40 კმ);
24. მდ. ტარსუსი (სუფსა ? 120 22,7 კმ);
25. მდ. ჰიპოსი (კაპარჭანა? 150) (28, 4 კმ);
26. მდ. ასტელეფი (მდ. რიონი? 30) (5,7კმ);
26· აქედან ჩამონათვალი კვლავ თავიდან იწყება. ეს სებასტოპოლისი ჩანს სუსმენე-დიოსკურიადა I -ია ან სხვა ათვლით ფოთი-ყულევია, სებასტოპოლის III-ია;
27. ქ. სებასტოპოლისი ანუ დიოსკურიადა (120 სტადიონი, 22,7კმ ფოთი, ყულევი ან ანაკლია) (მდ. ქობოსიდან სებასტოპოლისამდე 630 სტადიონია – 119 კმ), ხოლო ტრაპეზუნტიდან სებასტოპოლისამდე 2260 სტადიონი (დაახლ. 427 კმ);
28. პიტიუნტი (350 სტადიონი, დაახლ 66 კმ, სოხუმი?);
29. ნიტიკე (150, ბიჭვინთა? ნიტიკე გირჩისმჭამელთა ქვეყანაში) (28 კმ);
30. მდ. აბასკოსი (90 სტადიონი – 17 კმ);
31. ბორგისი (120 სტადიონი - 22,7 კმ);
32. ნესისი (60 სტადიონი – 11,3 კმ);
32· კონცხი ჰერაკლეა;
32ბ მასაიკიტე (90 სტადიონი – 17 კმ);
33. მდ. აქეუნტი (60 ძილქების და სანიგების ქვეყნის საზღვარი);
34. ძველი ლაზიკე (120 სტადიონი – 22, 7 კმ). [საერთოდ ლაზიკე მდებარეობდა სებასტოპოლისისა და პიტიუნტის იქით, ანუ ჯერ იყო პიტიუნტი, შემდეგ კი ლაზიკა];
35. აქაია (150 სტადიონი - 28,4 კმ);
36. პაგრა (ნავსადგური, 350 სტადიონი - 66,2 კმ);
37. ჰირონი (ნავსადგური, 140 სტადიონი – 27,5 კმ);
38. სინდიკე – 300 სტადიონი – 56, 7 კმ);

სინდიკესთან ცხოვრობდნენ კერკეტები, რომელთაც ასევე სტრაბონიც ახსენებს. კერკეტები იგივე გერგეტები ანუ გეორგეტები არიან. გეორგების ტომს ჩრდილო კავკასიაში სხვებიც ახსენებენ.

5. ტომები შავიზღვისპირეთში

ტრაპეზუნტს ესაზღვრებოდნენ კოლხები, შემდეგ დრილები, არიანეს თვალსაზრისით დრილები იგივე სანები იყვნენ, შემდეგ მაკრონები და ჰენიოხები, და მათ მეფეს ანქიალე ერქვა და მისი სასახლე იდგა მდ. პრიტანიდთან.

არიანე ასევე იძლევა სხვა მინიშნებას, რომ მდ. ოფისი ერთმანეთისაგან ჰყოფდა კოლხების ქვეყანას თიანიკესაგან.

მაშასადამე **მდ. ოფისიდან პრიტანიდამდე ცხოვრობდნენ კოლხები, დრილ-სანები, მაკრონები (მაქელონები) და ჰენიოხები.**

ამ უკანასკნელთ (მაკრონებსა და ჰენიოხებს) ერთი მეფე ჰყავდათ.

ჰენიოხების შემდეგ **(მდ. პრიტანიდიდან)** ცხოვრობდნენ ძიდრიტები – იბერიის მეფის ფარსმანის ქვეშევრდომები, ანუ იბერიის სახელმწიფო საზღვარი **მდ. პრიტანიდთან** გადიოდა შავი ზღვისპირზე.

ძიდრიტებს ნ. კეჭაყმაძის მითითებით ახსენებს სტრაბონი (XII 2,1) და პტოლემეოსი (5, 10, 6).

5.1. ბიძერები ანუ ძიდრიტები

ნ. კეჭაყმაძე წერს - „**მდ. აფსაროსიდან მდ. არქაბესამდე წინათ ბიძერები ცხოვრობდნენ, ახლა ძიდრიტები**“ (იქვე, გვ. 76). მისგან განსხვავებით ივ. ჯავახიშვილის კვლევით, ძიდრიტების საცხოვრებელი დასავლეთი საზღვარი არქაბეს ხეობა ყოფილა, ხოლო აღმოსავლეთ საზღვარი აფსაროსის ხეობა, რადგან აქედან ლაზები ცხოვრობდნენ" (იქვე, გვ. 76).

ჩვენი კვლევით ძიდრიტების საცხოვრისი მდ. პრიტანიდიდან იწყებოდა. იქვე იყო პიქსიტე და აფსაროსი.

მაშასადამე, **იბერიის (ძიდრიტების) საზღვარი შავ ზღვაზე ყოფილა დასავლეთით - მდ. პრიტანიდი (ჰენიოხებთან და მაკრონებთან) და აღმოსავლეთით - მდ. აფსაროსი (ლაზებთან).** დანარჩენი ტერიტორია, ჩანს რომის იმპერიას წაურთმევია იბერიისათვის, თუმცა, როგორც ცნობილია რომში ფარსმან II-ის ვიზიტის შემდეგ იბერიას საზღვრები გაუფართოვეს, ამიტომაც ალბათ ლაზები და მათ ჩრდილოეთით მცხოვრები ტომები კვლავ იბერიას დაუქვემდებარეს. ამის თქმის უფლებას იძლევა როგორც „მოქცევაი ქართლისაი“, ისე „ქართლის ცხოვრება“. ორივე ამ წყაროს ცნობით ფარნავაზ მეფის დროს ქართლის სამეფოს საზღვარი გადიოდა მდ. ეგრისწყალზე (ახლანდელ აფხაზეთში), ქართლის ცხოვრების მიხედვით დასავლეთ საქართველო ქართლის სამეფოს შემადგენლობაში უწყვეტად იყო ვიდრე VI საუკუნემდე.

5.2. იბერია, ჰენიოხები და ლაზები აფსაროსთან

აფსაროსს - აბსაროსის ფორმით იხსენებს პლინიუსი (VI, 4) ის სებასტოპოლის II-ეა.

„**140.000 ნაბიჯის მანძილზე ტრაპეზუნტიდან მდინარე აბსაროსია და იმავე სახელის მქონე ციხე შესართავთან. ამ ადგილებში მთების გადაღმა იბერიაა. ხოლო ნაპირის გასწვრივ მოსახლეობენ ჰენიოხები, ამპრევტები, ლაზები. მდინარეებია - აკამფსისი, ისისი, მოგროსი, ბათისი, კოლხთა ტომები (აქ), ქალაქი მატიუმი, მდინარე ჰერაკლიუმი იმავე სახელწოდების კონცხითურთ და უსახელოვანესი პონტოს მდინარეთაგან – ბათისი**“ (ფლავიუს არიანე, მოგზაურობა, 1961, გვ. 76).

აფსაროსი ჭოროხის მარცხენა სანაპიროს მიმართულებით მდებარეობდა, ახლოს სებასტოპოლის II- სთან (რაც შეეხება სებასტოპოლის I-ს, ის იყო დიოსკურიადა-სურმენე, ხოლო სებასტოპოლის III – ფოთი-ცხუმის რეგიონში მდებარეობდა).

ე.ი. ჰენიოხების (მდ. პრიტანიდსა და ოფს შუა), ამპრევტების (ესენი ჩანს, ბიძერების ერთ-ერთი ტომი იყო) და ლაზების სანაპირო მთების იქით უკვე ვრცლად გადაშლილი იბერია იყო. სანაპირო მთების წინ იგულისხმება ტერიტორია დაახლოებით ხუფათიდან სარფამდე. ეს ადგილები წარმოადგენს ზღვისპირა ვიწრო ზოლს, რომელსაც ემიჯნება მაღალი მთიანეთი, ამ მთიანეთის ანუ სანაპირო მთების იქით, როგორც ითქვა, უკვე იბერია ყოფილა, მაგრამ ზოგჯერ მთელი ეს სანაპირო იბერიის ხელთ ექცეოდა, როგორც ამას მოგვითხრობს არიანე ძიდრიტების ტომის აღწერისას.

5.3. კოლხები მდინარე ოფისამდე, ჰენიოხები და მაკრონები – მდინარე პრიტანიდამდე (ვიწემდე), ბიძერები (ძიდრატები) აფსაროსამდე

მაშასადამე, არიანეს დროს კოლხების საცხოვრისი ტრაპეზუნტს დაშორებული ყოფილა 180+90 სტადიონით ანუ 49-50 კმ-ით.

მდ. პრიტანიდი ტრაპეზუნტიდან დაშორებულია 727 სტადიონით ანუ 133,4 კმ-ით [180 სტ (32 კმ) + 90 სტ (17 კმ) + 30 სტ (5,7 კმ) + 30 სტ (5,7 კმ) + 120 სტ (22,7 კმ) + 30 სტ (5,7 კმ)+ 60სტ (11,3 კმ) + 180 სტ (32 კმ) +7 სტ (1,3 კმ) =727სტ (133,4 კმ)].

პრიტანიდი ყოფილა საზღვარი ძიდრიტებისა (ე.ი ტრაპეზუნტიდან 50 კილომეტრის შემდეგ სანაპირო ზოლი 83,4 კმ-ის სიგრძისა დასახლებული ყოფილა კოლხებით, დრილ-სანებით, მაკრონებითა და ჰენიოხებით მათ შემდეგ მიედინებოდა მდ. პრიტანიდი, საიდანაც ცხოვრობდნენ ძიდრიტები).

მდ. პრიტანიდი ტრაპეზუნტიდან დაშორებულია 133, 4 კმ-ით. ამ მდინარე **პრიტანიდსა და მდ. აფსაროსს შუა ცხოვრობდნენ ძიდრიტები**.

ძიდრიტების საცხოვრისი, როგორც ითქვა აფსაროსამდე იყო (ანუ 90+90+60 სტადიონი, ესაა 45,3 კმ. ეს მონაკვეთი, როგორც ითქვა ჯერ კიდევ იბერიის სახელმწიფოში შედიოდა. მდ. პრიტანიდი აღმოსავლეთის მიმართულებით "ათენიდან" – ათინადან დაშორებული იყო 40 სტადიონით, ანუ 7,6 კმ-ით.

სტრაბონის ცნობით, როგორც ითქვა, ნავსადგური რიძოსი ათენსა და პიტიუნტს შორის მდებარეობდა (სტრაბო, VII, 5,7), ანუ პირველი პიტიუნტი – ანუ პიტიუნტ I ამ არეალში, ათენსა და რიზესთან ახლოს მდებარეობდა. პიტიუნტ II კი ჩრდილოეთით.

ძიდრიტების ტომი, როგორც ითქვა პრიტანიდიდან აფსაროსამდე ანუ ერთერთ სებასტოპოლამდე ცხოვრობდა. **პტოლემეს ცნობით სებასტოპოლი იყო პუნქტ აფსაროსის ერთ-ერთი სახელი.**

მდ. აფსაროსის აღმოსავლეთით უკვე ლაზები ცხოვრობდნენ.

ერთი გამოთვლით, აფსაროსი მდ. ფაზისს (მდ. ჭოროხს) დასავლეთის მიმართულებით, როგორც ითქვა, დაშორებული იყო 540 სტადიონით ანუ 97,2 კმ-ით [15სტ + 75სტ + 90სტ + 90სტ + 90სტ + 90სტ = 5X90 სტადიონი = 540 სტადიონით (97,2 კმ-ით)]. მეორე გამოთვლით კი, **მდ. აფსაროსი მდ. ფაზისს 360 სტადიონით, ანუ 68 კილომეტრით ყოფილა დაშორებული,** ე.ი. ალბათ, მათ შორის საშუალო - 80 კმ-ით იყო მდინარე აფსაროსი დაშორებული მდ. ფაზისს (მდ. ჭოროხს) დასავლეთის მიმართულებით.

ამ გაურკვევლობის მიზეზი არიანესთან უნდა ვეძიოთ, რადგანაც, აღსანიშნავია, რომ არიანე ასახელებს მდ. აფსაროსსა და ციხე-სიმაგრე „აფსაროსს“ - და ისინი სხვადასხვა ადგილზე ყოფილან ერთმანეთთან ახლოს – ერთგან წერს, რომ აფსაროსის ციხე-სიმაგრემდე იყო 500 სტადიონზე მეტი (არიანე, მოგზაურობა, გვ 34), ხოლო მეორე ადგილას წერს **„ათენიდან წამოსულებმა გავიარეთ მდ. პრიტანიდი, ეს მდინარე დაშორებული ათენიდან 40 სტადიონით, პრიტანიდს ემეზობლება მდ. პიქსიტე, მათ შორის მანძილი 90 სტადიონია, ასევე პიქსიტიდან არქაბისამდე 90 სტადიონია, არქაბისიდან აფსაროსამდე 60 სტადიონი“** (იქვე, გვ 36).

ათენიდან მდ აფსაროსამდე ყოფილა – 40+90+90+60 სტადიონი ანუ 280 სტადიონი (39,6 კმ).

მაშასადამე, ერთგან წერს, რომ აფსაროსამდე 500 სტადიონია, მეორეგან კი უთითებს 280 სტადიონს.

ჭოროხსა და მდ. აფსაროსს შუა ორიოდე გრძელი მდინარე გაედინებოდა. ერთ-ერთი ყოფილა აკინასე, თუ გადავთვლით ათინადან ამ მდინარემდეა 500 სტადიონი, შეიძლება აქ იყო აფსაროსის ციხე-სიმაგრე. აკინასედან ჭოროხამდე 48,6 კმ-ია. რადგანაც ცნობილი ხუფათის (ხოფას) ციხე-სიმაგრე დაახლოებით 30 კმ-ითაა დაშორებული ჭოროხს, უნდა ვიფიქროთ, რომ **ხოფასწყალს არიანეს ეპოქაში ერქვა ისისი** (180 სტადიონითაა დაშორებული მდ. ჭოროხს ანუ ფაზისს). ეს მონაცემები

უნდა შეეჯერდეს რეალურ სიგრძეებთან – ტრაპეზუნტიდან ჭოროხამდე.

მდ. აფსაროსიდან მდ. ჭოროხამდე და მის შემდეგ ვიდრე სებასტოპოლის II-მდე (მდ. ევრიპოსამდე) – ზოგადად ლაზების საცხოვრისი ყოფილა (სებასტოპოლის I ერქვა აფსაროსს ხოლო პიტიუნტ I იყო ახლო ათინასთან), კერძოდ კი არიანეს თქმით სებასტოპოლის II მდებარეობდა სანიგების მიწაზე, მათსა და ლაზებს შორის ცხოვრობდნენ აბასკები და აფსილები.

5.4. აბასკები

აბასკი და აბასგი ერთი ფუძის სიტყვებია (ბას), ნაწარმოებია ა პრეფიქსით და კი-გი სუფიქსით. კი-გი-ხი - ქართული წარმოშობისაა და სიმრავლეს ნიშნავს (მესხი, კახი, კოლხი, სანიგი, მოსინიკი და სხვა). „ბას“ ფუძე მ. ქურდიანმა დაუკავშირა „ბაშ“ ფუძეს და მიიჩნია, რომ აბასგი არის იგივე აბაშგი ანუ „აბაშ“-ეთის, რიონის „აბაშა“-ს ქვეყანაში მცხოვრებნი. ისინი მისი აზრით პროტოქართული - მეგრული დიალექტის მატარებელნი ყოფილან და ქრისტეშობამდე XIII-XII საუკუნეებში ულაშქრიათ ვანის ტბისაკენ, სადაც შეუტანიათ ქართულენოვანი ელემენტები. თ. გამყრელიძის კვლევით აბასი-აბასგი და აფხაზი სხვადასხვა ფუძე-ძირების მქონე სიტყვებია და ერთი მეორისაგან არ იწარმოება. ესენია სხვადასხვა - „ბას“ და „ფხაზ“ ფუძე-ძირები.

ტერმინი “აფხაზი“ ქართულ მატიანეში ჩნდება VIII საუკუნიდან და ჩემი აზრით დაკავშირებულია სიტყვა „ხაზარეთთან“ (ფუძე-ძირები „ხაზ“ და „ფხაზ“).

შესაძლოა სიტყვა ხაზარი ქართულ ყურს ესმოდა როგორც ხაზ-არ, საიდანაც „ხაზ“ მიჩნეულ იქნა ფუძე-ძირად, ხოლო „არ“ ჩვეულებრივ ქართულ სუფიქსად, რომელიც სადაურობას გამოხატავს „არ-ელ“ (მტბევარი, ანუ ტბელი) მაშასადამე, ქართველთათვის "ხაზარი" იყო „ხაზ“ ქვეყნის მცხოვრები („ხაზარი“), ქვეყანა კი ხაზარეთი. ხაზარებმა VII ს. ბოლოდან, განსაკუთრებით კი VIII საუკუნეში შეძლეს თავიანთი ქვეყნის გაფართოება და მიადგნენ შავიზღვისპირეთს. მათ აქ, ქართული წყაროს ცნობით, შეავიწროვეს ბიზანტია.

ქართლის ცხოვრება მიუთითებს, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ხაზარების შემწეობით ადგილობრივმა მთავარმა შეძლო თავისთავადობის ანუ „ბერძნებისაგან“ დამოუკიდებლობის მოპოვება, ერთი სიტყვით ეს იყო უკვე არა „ბერძნების“ არამედ ხაზ-არ-ების ქვეყანა ანუ „ხაზ-ეთი“.

„ბ,პ,ფ,“ - ქართულში მრავლობითობას გამოხატავს (ებ, ეფ).

ფ-ხაზ, აფ-ხაზ სიტყვაში წინსართი „ფ“ ან „აფ“ შეიძლება იყოს მრავლობითობის მაწარმოებელი, იგივე ებ, ეფ, რომელიც სიტყვის თავში მოექცა "აფ" ფორმით.

„აბ“ და „აფ“ - როგორც ითქვა, მრავლობითობას გამოხატავს და შესაძლოა "აბ-ხაზ", "აფ-ხაზ" ფორმით იმ ქვეყნის („ხაზ-ეთის“) მოსახლეობას აღნიშნავს, რომელიც ხაზართა („ხაზ“-თა) მიერ იყო ხელდებული (**ფხაზარეთი-აფხაზეთი**).

„აბასგი“ და „აფხაზი“ არ გამოხატავდა ერთიდაიგივე ტომის სახელს. აბასგი – ეთნიკური ტერმინი უნდა ყოფილიყო, ხოლო „აფხაზი“ უნდა ყოფილიყო არა ეთნიკური დატვირთვის არამედ პოლიტიკური – შემკრებლობითი მნიშვნელობის მქონე ტერმინი.

„აფხაზის“ ქვეშ არ იგულისხმებოდა კონკრეტული ეთნიკური ჯგუფი. მაგალითად, ქართული წყაროებისთვის ეგრისელებიც აფხაზები იყვნენ მარგველებიცა და სვანებიც, ასევე ცოტნე დადიანს – წყაროში აფხაზი ეწოდება.

მაშასადამე, “აფხაზთა“ – სამეფოს გავრცელების კვალდაკვალ, ამ სამეფოს ყოველი მცხოვრები “აფხაზი“ ხდებოდა – პოლიტიკური ნიშნით.

თავდაპირველად VIII საუკუნისათვისაც “აფხაზი“ უნდა ყოფილიყო არა რომელიმე კონკრეტული ეთნოსის სახელი, არამედ ხაზარების მიერ ხელდებული იმ ქვეყნის მცხოვრებთა სახელი, რომელნიც

ცხოვრობდნენ მდ. კლისურის (და მდ. ეგრისწყალს) იქით, ვიდრე მდ. ყუბანამდე (იმჟამად ამ მიწა-წყალსაც ფლობდნენ ხაზარები).

მაშასადამე, "აბასგი" ტომის სახელია, ხოლო "აფხაზი" პოლიტიკური ტერმინი იყო და ეწოდებოდა აფხაზეთის ყველა მცხოვრებს ეთნიკური წარმოშობის მიუხედავად.

შესაბამისად "აბასგი" უფრო ძველი ტერმინია, ნახსენები არიანესა თუ სხვათა მიერ, ხოლო ტერმინი აფხაზი მოგვიანებით გაჩნდა (VIII ს-დან, ხაზართა ძლიერების ეპოქაში).

ეს ქართულ (მეგრულ) ენოვანი აბასგები (მ. ქურდიანის აბაშგები) იგივე აბასკები სებასტოპოლის II-თან ცხოვრობდნენ, მ.ქურდიანის კვლევით ისინი აბაშისწყლის რეგიონში სახლობდნენ. აფსილები მათ ქვემოთ ცხოვრობდნენ. ჩანს მდ. ქობოსიდან ვიდრე სებასტოპოლის I-მდე ლაზების ქვეყანაში ცხოვრობდნენ აფსილები და აბასკები.

ქართული წყაროებით ტერიტორია ლიხიდან – ყუბანამდე იყო ეგროსის წილხვედრი ქვეყანა, ამ "ეგრისის წილხვედრ" არეალში შედიოდა ასევე ტერიტორია მდ. ეგრისწყლიდან – ყუბანამდე, სადაც განივრცო აფხაზთა სამთავრო, ეს მიწა-წყალიც ეგრისელებით იყო დასახლებული როგორც მთელი დასავლეთ საქართველო. ამიტომაც აფსილებიც და აბასგებიც ისევე, როგორც იქ მცხოვრები მარგველები და სვანები – ქართული წყაროებისათვის "ეგრისელები" იყვნენ.

მდ. ეგრისწყლიდან - ვიდრე ჰერეთამდე ქართულმა მოსახლეობამ ფარნავაზ-ქუჯის ეპოქაში ჩამოაყალიბა "ქართლის სამეფო", ხოლო ეგრისწყლის იქით "დარჩა ბერძენთა" (ძვ. წ. IV-III სს-დან).

ვახტანგ გორგასალის დროს "ბერძენთა მეფის" წყალობით, ქართლის სამეფოს გადმოეცა ტერიტორია ეგრისწყალსა და კლისურას შუა. ამიტომაც VIII ს-ისათვის ქართლის სამეფოს საზღვარი კლისურზე იდო, როგორც ეს წმ. არჩილ მეფის ცხოვრებიდანაც ჩანს.

მას შემდეგ რაც ხაზარებმა ბერძნები (ე.ი. ბიზანტიელები) განდევნეს მდ. კლისურიდან მდ. ყუბანამდე - ეს მხარეც პოლიტიკური თვალსაზრისით, ჩანს ხაზარეთის ("ხაზ-არ-ეთი") ნაწილად განიხილეს და ამ ქვეყანას შესაბამისად "აფ-ხაზ-ეთი" ეწოდა, ხაზარების დახმარებით აფხაზეთის საერისთავო ხელისუფლებამ შეძლო თავისი ძალაუფლების დასავლეთ საქართველოზე განვრცობა და დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა "აფხაზთა სამეფო".

VIII ს-დანვე აფხაზთა სამეფოს ადმინისტრაციის, ეკლესიისა თუ კულტურის ენა ქართული ენა იყო. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა და არ არის ე.წ. "ქართიზაციის" შედეგი, არამედ მიუთითებს იმის შესახებ, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ენა იმჟამად იყო ჯერ კიდევ ფუძე, პროტო ქართული ენა, რომელიც ბუნებრივად იქცა ურთიერთობისა და კულტურის ენად და მხოლოდ შემდეგ დაიწყო ამ ენაში არსებულმა რეგიონულმა დიალექტებმა უფრო გაღრმავება და განვითარება ანუ იქური ხალხის ენობრივი და ეთნიკური დიფერენციაციის ხარისხი I-VI-VIII სს-ში ნაკლები იყო, შემდგომ კი უფრო გაღრმავდა.

მართალია, ადგილობრივ ტომებს სხვადასხვა სახელები ერქვათ – კოლხები, დრილები, სანები, ჰენიოხები, მაკრონები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბასკები თუ სანიგები მაგრამ ქართული წყაროსათვის ყველანი ისინი – ეგრისელები იყვნენ. მათ ჩანს, ჯერ კიდევ ჰქონდათ ენობრივი ერთობის საფუძვლების ცოდნა. მართალია მიუთითებდნენ ტომების სხვადასხვა ენოვნების შესახებ (მაგალითად, მისიმიელები და აფსილები სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ), მაგრამ ენათა ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს დიალექტები, რომელნიც ენებად ესახებოდათ უცხოელებს.

მაგალითად, ზემოთ აღნიშნული ტომაშევსკი, XIX საუკუნეში წერდა - "ადგილობრივ ენებზე ჭოროხი მოუდრეკელს ნიშნავს" (იქვე, გვ. 67), მაგრამ ტომაშევსკის სხვადასხვა ენებად წარმოედგინა გურულებისა და აჭარლების დიალექტები, რომელთა ქვეყანაშიც გაედინება ჭოროხი ზღვის შესართავთან. სინამდვილეში კი ეს დიალექტები ცხადია არაა ენები. მსგავსადვე უნდა ვიფიქროთ, რომ ტომაშევსკამდე ათასხუთასი-ორიათასი წლით ადრე ქართველ ტომთა ენების დიფერენციაცია ნაკლებხარისხოვანი იყო და ამ

ტომების ეკლესიური გაერთიანება ადვილად გახდა შესაძლებელი მათივე მშობლიური ქართული ენით – აფხაზეთიდან ვიდრე ჰერეთამდე.

თანამედროვე ადიღე-ჩერქეზულ ტომებს არ ჰქონდათ კავშირი დასავლეთ საქართველოს აფხაზეთთან, რადგანაც ადიღე-ჩერქეზები როგორც ითქვა, მხოლოდ თემურ ლენგის შემდეგ გამოჩნდნენ ჩრდილო კავკასიაში. მათ მრავალრიცხოვან უსახელო ტომებს სახელებს ანიჭებდნენ მათ მიერვე დაპყრობილი სხვა ადგილობრივი ტომების სახელების მიხედვით. მაგალითად, როცა ჩერქეზ-ადიღეველებმა ჩრდილო კავკასიის „ბასიანის" პროვინცია დაიპყრეს, მათ ამ პროვინციის სახელი თავიანთ სატომო სახელად აქციეს ბას-აბაზ ფორმით და ისინი „აბაზებად" იწოდებოდნენ, მსგავსადვე დასავლეთ საქართველოში ჩასახლების შემდეგ მათ მიისაკუთრეს მათ მიერ დაპყრობილი აფშილების სახელიც (აფსუა). აფსუას ფორმით საბოლოოდ, აბასგებისა და აფსილების (ქართული ტომები) სახელები მათ სახელებად გადაიქცა.

ქართული ისტორიოგრაფია ახლაც არამართებულად მიიჩნევს, თითქოსდა "ყვა" და "ფს" ფუძეები ადიღეური წარმოშობისა იყოს, მაშინ როცა ინდოევროპულ ფუძეში "კვა" წყალს ნიშნავს და ასევე ქართულშიც. რწყვა, ყვინთვა, ყურჭუმალი, ჭყურტი, წყური და სხვა მრავალი ქართული სიტყვა, რომელთა ფუძე-ძირებში, "ყვა" არის, ზოგადად წყალს აღნიშნავს, ისევე როგორც ფუძე "ფს", ამიტომაც საქართველოში უამრავ მდინარესა და წყალს ერქვა ეს სახელები. მაგალითად, ბობოყვათი – ნიშნავს ბობოს-წყალს, გუდაყვა – გუდასწყალს. ასე მრავალი ჰიდრონიმია ნაწარმოები ისევე როგორც ფუძე "ფს"-თი.

5.5. სანიგები

აბასკების გვერდით სანიგები ცხოვრობდნენ "ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან, ლაზების მეფე მალასაა, რომელსაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. ლაზების მეზობლები აფსილები არიან. მათმა მეფემ იულიანემ მეფობა შენი მამისგან მიიღო. აფსილების მეზობლები აბასკები არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. აბასკთა მეზობლები სანიგები არიან მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი. სანიგთა მეფემ სპადაგამ ტახტი შენგან მიიღო... სულ ტრაპეზუნტიდან დიოსკურიადამდე, ახლანდელ სებასტოპოლისამდე არის 2260 სტადიონი... აქ მთავრდება რომაელთა სამფლობელოები... დიოსკურიიადან რომ მიდიხარ პირველი სადგურია პიტიუნტში 350 სტადიონის მანძილზე. აქედან ნიტიკემდე 150 სტადიონია" (იქვე, გვ. 43, 52).

თითქმის ყველა ავტორი (პროკოფი კესარიელი, აგათია და სხვანი) დასავლეთ საქართველოში აფსილებისა და აბასგების მაღლა, უფრო ჩრდილოეთით მცხოვრებლად წარმოადგენენ სვანებს, ამიტომაც, არიანესთანაც აფსილების და აბასგების მაღლა მცხოვრებთ ეწოდებოდათ სანიგები, სადაც იყო ქალაქი სებასტოპოლისი, ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ სანიგები იყვნენ სვანები. ჩანს, ეტიმოლოგიურად "სან" და "სუან" ერთი ფუძე-ძირია. აქ შეიძლება გავიხსენოთ, "ქართლის ცხოვრების" ცნობა, რომელშიც ნათქვამია - " ეგრისი, რომელ არს სვანეთი" ანუ საუბარია ისტორიულ ჩრდილო ეგრისზე. ლაზების ზემოთ აფსილები ცხოვრობდნენ მათ შემდეგ აბასკები და სანიკები (აბასგები და სანიგები). ზღვისპირეთში იბერიის შევიწროების შემდეგ ისინი ლაზების ქვეშევრდომებად იქცნენ. აფსილების სახელს აფსაროსთან აკავშირებენ, ისინი თითქმის დიოსკურიამდე (სებასტოპოლისამდე) აღწევდნენ (იქვე, გვ. 104).

5.6. გეორგები

როგორც ითქვა, **სინდიკესთან ცხოვრობდნენ კერკეტები, რომელთაც ასევე სტრაბონიც ახსენებს. კერკეტები იგივე გერგეტები ანუ გეორგეტები არიან. გეორგების ტომს ჩრდილო კავკასიაში სხვებიც ახსენებენ.**

დასკვნა

ჩვენი თვალსაზრისით არიანემ იმოგზაურა ტრაპეზუნტიდან მხოლოდ აფსაროსამდე და მან იმპერატორს გაუგზავნა აფსაროსიდანვე საიდუმლო ანგარიში ლათინურ ენაზე და ასევე საზოგადო აღწერილობა ბერძნულად. შემდგომ დროს (ან სხვა ეპოქაში) არიანეს ბერძნული ანგარიში გამოუყენებიათ იმ პერიპლუსებისათვის რომელთაც ადგენდნენ შავი ზღვის გარშემო გემით მოგზაურთათვის. ეს პერიპლუსები ჩანს ყოფილა სხვადასხვა ავტორისა და ამასთანავე ნაკლოვანიც. მომხდარა ისე, რომ არიანეს მიერ აღწერილი ანგარიში ტრაპეზუნტიდან - აფსაროსამდე, მეორეჯერაც გაუმეორებიათ და დაუმატებიათ პირველისთვის, ანუ აფსაროსიდან ვიდრე სებასტოპოლისამდე (და ქობოსამდე) გამეორებულია არიანეს პირველი აღწერა, ამას მიუთითებს ასევე ის, რომ აფსაროსისა და სებასტოპოლისის მეცხოვნეთა მიმართ არიანეს თითქმის ერთიდაიგივე სიტყვებია გამეორებული. „ხელფასი დავურიგე ჯარისკაცებს“, „დავათვალიერე იარაღი“, მოვინახულე „ავადმყოფები“, შევამოწმე „პურის მარაგი“ ანდა შევამოწმე ცხის „კედელი“.

სავარაუდოდ ქობოსამდეც რომაა მეორეჯერ გამეორებული არიანეს მონათხრობი, იქიდან ჩანს, რომ „გამოგიგზავნე ლათინური წერილი" გამეორებულია აქაც (ლათინური წერილი არიანემ იმპერატორს გაუგზავნა აფსაროსიდან, მისი ეს მითითება მეორდება მდ. ქობოსიდანაც. ეს საეჭვოს ხდის, რომ არიანეს აღწერილობა რამდენჯერმე განმეორდა შავი ზღვის პერიპლუსში).

საფიქრებელია, რომ პერიპლუსების შემდგენლების შეცდომა გამოიწვია ქალაქების სახელების ერთიდაიგივეობამ, მაგალითად პტოლემეს ცნობით სებასტოპოლისი ერქვა აფსაროსსაც (ფლავიუს არიანე, 1961, გვ. 67), ხოლო სტრაბონის ცნობიდან ჩანს, რომ პიტიუნტი მდებარეობდა ათინასთან („ნავსადგური რიძოსი ათენსა და პიტიუნტს შორის შტრაბო, VII, 5,7 ფლავიუს არიანე, 1961, გვ. 65).

როგორც ჩანს, შემდგომ ეპოქაში სებასტოპოლისი უკვე ერქვა არა აფსაროსს, არამედ მისგან ჩრდილოეთით მდებარე სხვა ქალაქს, ასევე პიტიუნტი შემდეგ დროს ჩანს იყო არა ათინასთან, არამედ უფრო ჩრდილოეთით ამიტომაც სადაც კი ამ ქალაქების სახელები შეხვდათ არიანესთან, მათივე სახელის მიხედვით უკვე მათ მიაწერეს არიანეს აღწერილი შესაბამისი ცნობები.

ამჟამად მიიჩნევა, რომ აფხაზები იყვნენ აბასკები, ანუ აბასკებს თითქოსდა ქართულად აფხაზები ერქვათ (იქვე, გვ. 104), მაგრამ ეს არასწორი აზრია, როგორც ითქვა სიტყვა აფხაზის ფუძე ძირია “ფ-ხაზ“, ხოლო აბასკისა “ბას“. ერთი დაკავშირებულია სახელ ხაზარეთთან, მეორე კი წყალთან (ფს, ბს) ეს ფუძე-ძირები სხვადასხვა წარმოშობისაა.

მაშასადამე, არიანეს კვლევა არ იძლევა მტკიცე საფუძველს, რომ პიტია-ბიჭვინთად მივიჩნიოთ აფხაზეთში, სებასტოპოლისი კი ცხუმად პირიქით, **არიანეს პერიპლუსი ამ მხრივ არაა სანდო წყარო, მის მიხედვით პუნქტებისა და მდინარეების ადგილსამყოფელის განსაზღვრა იძლევა საეჭვო შედეგს. ამიტომაც მის მიხედვით დასავლეთ საქართველოში ტომების საცხოვრისი ტერიტორიების განსაზღვრა არასწორია. მასზე გაცილებით უფრო სანდო წყაროა "ქართლის ცხოვრება", რომლის ცნობები დასავლეთ საქართველოს მიმართ სამწუხაროდ, ამჟამად უგულებელყოფილია.**

II საუკუნე № 26



© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2012


№ 27
II საუკუნე
მდინარეები და უშუალები არიანის მიხედვით
(ფრაგმენტი)
ტრაპეზუნტი
50.6 მმ.
ტრაპეზონი
ფასისი
ლეთაეოსი I (ვიმიეი)
ოფი
25.9 მმ.
ოზი
37.5 მმ.
I ბიზანტიონი, ათინა
(ბიზანტიონი I)
22.8 მმ.
ანკიალოსი, (ლეთაეოსი II)
(II სებასტოპოლისი)
ფაზისი
20.2 მმ. 9.5 მმ.
ზათენი
ქაჯთაკენი
29.4 მმ.
ხუდალი
24.9 მმ.
ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲝᲑᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
(ᲒᲣᲠᲯᲘᲐᲜᲗᲐ)
ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲘᲡ
ᲛᲗᲘᲡ

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

პეტრე იბერი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი

ქართველთა სამონასტრო ცხოვრების სათავეებთან (IV-V საუკუნეები)

წმიდა ნინო და პეტრე იბერი

IV–V საუკუნეები განსაკუთრებული მნიშვნელობის ხანაა ზოგადქართული კულტურის ისტორიისთვის ამ დროს ჩამოყალიბდა საეკლესიო-ლიტურგიკული და სალიტერატურო ენა. ითარგმნა წმინდა წერილი. IV–V საუკუნეები არის ქართული კულტურის ოქროს ხანა, საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც ქართულმა ცივილიზაციამ საუკუნეთა მანძილზე მიაღწია თავის შედეგებს.

თავდაპირველად ღვთისმსახურება საქართველოში, როგორც სხვა ქვეყნებში, ჩანს, ბერძნულად აღესრულებოდა. ამ დროს მთარგმნელები წმინდა წერილის ნაწყვეტებს ხალხს ზედაპირულად უთარგმნიდნენ. მაგრამ იმისათვის, რათ ქრისტიანობას დაეპყრო ხალხის სული და გული, აუცილებელი იყო წმინდა წერილის ქართული დამწერლობით ახმოვანება. ამ პრობლემას, ჩანს, ღრმად შეიმეცნებდა, ქართული ეკლესიის იერარქია. ჩამოყალიბდა იდეა იქამდე ქართველ ქურუმთა წრეში არსებული ანბანის დახვეწისა და ახალი საანბანო სისტემის შექმნისა, ქრისტიანობის სამსახურში მისი ჩაყენებისა. ამ იდეით, ჩანს, სამეფო კარიც დაინტერესდა. გულითადი მუშაობის შედეგად, უთუოდ ღვთივგამოცხადებით, რესტავრირდა ქართული ანბანი, რომელსაც ამჟამად ხუცური-ასომთავრული ეწოდება. ანბანის ხელახალი გაცოცხლების შემდეგ ქართულ დამწერლობას ქართველი ხალხი, ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, იყენებს ვითარცა უმთავრეს იარაღს თავისი კულტურისა და თვითშემეცნების დასაცავად. დამწერლობის გაცოცხლებასთან ერთად საქართველოში განვითარდა წერილობითი, თარგმნილი და ორიგინალური ლიტერატურა, ჩამოყალიბდა ქართული სალიტერატურო ენა. ყველასთვის ცნობილია, რომ IV–V საუკუნეების ქართული სალიტერატურო ენა, დღესაც კი ათასხუთასი წლის შემდეგ ადვილად გასაგებია არა მხოლოდ მკითხველისათვის, არამედ სკოლის მოსწავლეებისთვისაც კი. ვინ ხელმძღვანელობდა მთარგმნელობით მუშაობას, ვინ იყვნენ პირველი ქართველი მთარგმნელები, რა გარემოებამ შეუწყო ხელი IV–V საუკუნეებში ქრისტიანული მოშურნეობის, სულისკვეთების, აღტკინების ატმოსფეროს შექმნას რომლის გარეშეც არ იშვებოდა ქართული კულტურის ოქროს საუკუნეები?

საზოგადოდ ჩვენთვის გაცილებით უფრო ცნობილია მთარგმნელთა მეორე - X–XI საუკუნეებში მოღვაწე თაობის ვინაობა, ვიდრე პირველი IV–V საუკუნეებისა.

აღსანიშნავია, რომ IV–V საუკუნეების საქართველოს ხელმწიფის კარი და ეკლესია ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში აარსებდნენ ღარიბთა თავშესაფრებს, ობოლთა სახლებს, საავადმყოფოებს, საქველმოქმედო დაწესებულებებს, როგორც ამას მიუთითებენ წყაროები, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ. ხალხში ნერგავდნენ ქრისტიანულ ზნეობას. აკრძალეს ახლო ნათესავთა ქორწინება, ლოთობა, გარყვნილება, კაცის კვლა. ამ დროს საფუძველი ეცვლება მონათმფლობელობას და თანდათან ინერგება პატრონყმობა, რაც პატრონსა და ყმას შორის სიყვარულს, სიტკბოებით ურთიერთმოპყრობას გულისხმობდა. ყოველივე ამის საფუძველი უნდა ყოფილიყო ჩვენში ქრისტიანობასთან ერთად შემოსული მონაზვნური სულისკვეთება, ესაა ჩვენი განხილვის თემა.

მეოთხე საუკუნეში მონაზვნობა ძალზე გავრცელდა რომის იმპერიაში. ამის მიზეზად მიიჩნევა ის,

რომ სახელმწიფოს გაქრისტიანების შედეგად (მილანის ედიქტის შემდეგ) ეკლესია გაივსო ყოფილი წარმართებით რამაც შეცვალა რელიგიურ-ზნეობრივი ცხოვრება მორწმუნეებისა. ადამიანები, რომელთაც სურდათ თავიანთ ცხოვრებაში გაეტარებინათ მაღალი სახარებისეული იდეალები წყვეტდნენ კავშირს ქვეყანასთან, და მიდიოდნენ განდეგილებად უდაბნოსა და დაუსახლებელ ადგილებში.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებისა და ხალხის მოქცევის შემდეგ წყაროთა ცნობით მონაზნობა წარმოადგენდა ზნეობის საყრდენ უძლიერეს ძალას, ღვთის მადლისაკენ ხალხის მომაქცეველს.

იყო თუ არა ცნობილი საქართველოში მონაზვნობა IV–V საუკუნეებში, შეეძლო თუ არა მას რაიმე გავლენა ჰქონოდა მთელ ხალხზე, ჰქონდათ თუ არა ქართველებს IV–V საუკუნეებში მონასტრები?

კ. კეკელიძის აზრით, საქართველოში სამონასტრო ცხოვრება იწყება „ათცამეტ ასურელ მამათა მოსვლის შემდეგ VI ს. ნახევრიდან. მანამდის ასკეტურად განწყობილი ქართველები საზღვარგარეთ პოულობდნენ თავშესაფარს“ (კ. კეკელიძე ძველი ქართული ლიტ. ისტორია, I, გვ. 544). მათ რიცხვში კ. კეკელიძე ასახელებს პეტრე ქართველს (იბერს – 411-491 წწ.) და ევაგრე პონტოელს (346-399). ამ უკანასკნელის ქართული წარმოშობა ბერძნულ და კოპტურ ლიტერატურაშია დამოწმებული (იქვე გვ. 544).

კ. კეკელიძის აზრი, რომ სამონასტრო ცხოვრება ჩვენში დაიწყო VI ს- დან ამჟამად საყოველთაოდაა გავრცელებული, მაგრამ ზოგიერთი წყაროს ანალიზი იძლევა საფუძველს გამოთქვას თვალსაზრისი, რომ საქართველოში ასკეტურ ცხოვრებას საფუძველი ჩაეყარა უფრო ადრე IV საუკუნეში წმინდა ნინოს ქადაგებათა შემდეგ. თვით წმინდა ნინო განეკუთვნებოდა განდეგილ ქალწულთა სამონასტრო თემის წრეს. ეს ჩანს „წმინდა ნინოს ცხოვრების“ უძველესი რედაქციიდან, ამასთანავე საქართველოში არსებულ ასკეტურ სულისკვეთებას IV ს-ში აღწერენ პეტრე იბერის ბიოგრაფები. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას ასეთი კითხვა, წმინდა ნინოს ცხოვრების რედაქცია ნამდვილად გადმოგვცემს თუ არა IV ს-ის ვითარებას და წმინდა ნინოს ქადაგებათა დროისთვის იყო თუ არა საერთოდ რომის იმპერიაში გავრცელებული ასკეტური სულისკვეთება?

წმიდა ნინოს ცხოვრების ჩვენამდე მოღწეულ რედაქციებს აქამდე აკუთვნებდნენ IX–X საუკუნეებს, მაგრამ მეცნიერებათა დოქტორმა მარინე ჩხარტიშვილმა დამაჯერებლად გაარკვია, რომ იგი მეოთხე საუკუნის ძეგლია, ჩაწერილი წმიდა ნინოს მოწაფის მიერ. რაც შეეხება სამონაზვნო სულისკვეთებას, იგი სწორედ წმიდა ნინოს დროს ძალზედ იყო გავრცელებული რომის იმპერიაში. სულიერი სრულყოფილების მიზნით ქალები და კაცები ცდილობდნენ აღესრულებინათ წმიდა სახარებისეული ქადაგება: „თუ გსურს, რომ სრულყოფილი იყო, წადი, გაყიდე შენი ქონება, დაურიგე ღარიბებს, და გექნება საუნჯე ზეცაში, მერე მოდი და მე გამომყევი“ (მათე, 19, 21). განსაკუთრებით კი პავლეს გამონათქვამი „უცოლო კაცი უფალზე ზრუნავს, როგორ ასიამოვნოს უფალს... ქალწული უფლისაზე ზრუნავს, რათა სხეულით და სულითაც წმიდა იყოს“ (I კორ. 7, 32-35). უკვე პირველ საუკუნეებშივე დებდნენ ქალწულობის აღთქმას, მაგრამ III საუკუნიდან მან უფრო მასიური ხასიათი მიიღო, ქალწულები, რომელნიც წინა საუკუნეებში თავიანთ ოჯახებში ცხოვრობდნენ, III საუკუნიდან ცდილობდნენ დაშორებოდნენ ოჯახს, ქვეყანას და გასულიყვნენ უდაბნოში. მონაზონი სწორედ მარტომყოფელ განდეგილს გულისხმობდა. ანტონი დიდი (251-356) პირველი შეუდგა თავის გარშემო უდაბნოში გასულ განდეგილთა შეკრებას. პახომი დიდმა (282-346) ორგანიზაციული სახე მისცა განდეგილთა თემს. პირველი ქალთა მონასტერიც პახომი დიდის დაუარსებია თავისი დის, მარიასათვის, მაგრამ არსებობს ცნობა სირიელი მწერლის აფრააატისა, რომ იქამდეც არსებობდა განდეგილ ქალწულთა (ქალთა და კაცთა) ძმური კავშირები, ანუ თემები, რომლის წევრებსაც დადებული ჰქონდათ უქორწინებლობის აღთქმა. სწორედ ასეთი თემის წევრი უნდა ყოფილიყო წმიდა ნინო. მემატიანე ქალწულთა ამ კავშირს – მონასტერს უწოდებს და ზუსტად გადმოგვცემს IV საუკუნის მსოფლიო ეკლესიაში არსებულ ვითარებას. იმ ქალწულ განდეგილთა თემში, რომელთაც უქორწინებლობის აღთქმა ჰქონდათ დადებული და ეკუთვნოდა წმიდა ნინო, იყო 52

ქალწულზე მეტი. ისინი ასე აფასებდნენ თავიანთ მდგომარეობას - „ღირსი ქებისა მარტოებით ცხოვრება“ მემატიანე წერს ე.წ. რიფსიმიან ქალწულთა შესახებ: „მოიხსენეს მათ უბიწო იგი აღთქმა და ღირსი ქებისა მარტოებით ცხოვრება, რომელსა იგი იყვნეს განსწავლულ... ერთობით განზრახვითა დაუტევეს ქვეყანა იგი ფარულად ორმოცდათორმეტმან სულმან“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 82). წმიდა ნინო აღიზარდა ასკეტთა ოჯახში, მამა მისი ზაბულონი განდეგილთა წრეს ეკუთვნოდა, განშორდა ცოლს „და წავიდა წიაღ იორდანესა, კაცთა მათ თანა ველურთა“ (ქ.ც. I. გვ.77) ე.ი უდაბნოში, მანამდე კი თავისი ქონება გლახაკებს დაურიგა, ასევე განშორდა ოჯახს დედა წმიდა ნინოსი – სუსანა, იგი დადგა „მსახურად გლახაკთა დედათა და უძლურთა“ (იქვე. გვ 77). თვითონ წმიდა ნინოც 12 წლისა განშორდა ოჯახს და დედამისის მსგავსად „ემსახურებოდა“ სხვებს, კერძოდ, „წმიდა ნინო მსახურობდა ნიაფორსა“ (იქვე. 77).

შემდეგ იგი, როგრც აღვნიშნეთ, რომში შეუერთდა აღთქმადადებულ ქალწულთა წრეს. მან „იპოვნა რიფსიმე და დედამძუძე მისი გაიანე მონასტერსა შინა ქალწულთა, რომელთა ქრისტეს აღსარებისათვის სუროდა და ელოდეს იერუსალიმით ნათლისღებასა“ (ქ.ც. I. გვ. 80). ამ ქალწულთა მონასტერში წმიდა ნინომ ორი წელი დაჰყო. ქალწულებმა „ხელსა ქვეშე წმიდისა ნინოსა ნათელ იღეს“ (იქვე, გვ. 81).

როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, საქართველოში მონაზვნობის პირველი მქადაგებელი წმიდა ნინო იყო. სომხეთში შელტოლვილ რიფსიმიან ქალწულთა წამების შემდეგ (300 წელს), წმინდა ნინო, ვახტანგ გოილაძის აზრით, 303 წელს შემოვიდა საქართველოში. მის ქადაგებას არა მხოლოდ მოუქცევია ქართველი ხალხი, არამედ ჩაუნერგავს ასკეტური სულისკვეთებაც. ეს კარგად ჩანს პეტრე იბერის ბიოგრაფიიდან. როგორც პეტრე იბერის ბიოგრაფები ამტკიცებენ, ისინი პეტრეს მოწაფეები, თვითმხილველნი და ყურითმსმენელნი იყვნენ. ამიტომაც, ისინი მიუხედავად თავიანთი სარწმუნოებრივი ორიენტაციისა, სინამდვილით აღწერენ პეტრეს სიყმაწვილისას საქართველოში არსებულ სარწმუნოებრივ ვითარებას.

თუ როგორი ასკეტური სული დანერგა წმიდა ნინომ საქართველოში, ჩანს იქიდან, რომ IV საუკუნეშივე პაპა პეტრე იბერისა, ბაკური დიდი, მისი მეუღლე დუხტია თავიანთი მეფობის დროს მონაზვნურ (ასკეტურ) ცხოვრებას ეწეოდნენ. ერთმანეთში დადეს შეთანხმება ხორციელი კავშირის უარყოფისა რამდენიმე შვილის გაჩენის შემდეგ (გეორგიკა, II, 1965, გვ. 250). ბაკურ მეფეს იოანე რუფუსის (პეტრეს ბიოგრაფის) თხზულების ასურულ ენაზე მთარგმნელი „ქართველთა პირველ ქრისტიან მეფეს“ უწოდებს, ბაკური ზედმიწევნით მარხულობდა, ლოცულობდა და გასცემდა მოწყალებას. სახლიდან თავისი ხელით მიჰქონდა კალათებით საჭმელი ღარიბთა თავშესაფარში, თავისი ხელით აჭმევდა მათ. მისმა მეუღლემ, დედოფალმა ჩაიცვა ბალნისაგან დამზადებული სამოსი, გაყიდა ოქროს ნივთები და ღარიბებს დაურიგა. პეტრეს მამის, ბოზმარიოსის თანამედროვე არსილიოსი ქალწულობის აღთქმის დაცვას ცდილობდა (გეორგიკა, II, გვ.251). პეტრეს აღმზრდელი „ძუძო ისეთი წმიდა იყო, რომ ღამით დგებოდა და ქართულად ლოცულობდა, ისე ტიროდა, რომ ნეტარ პეტრეს ცრემლებით ასველებდა“. პეტრეს დედა დაქვრივების შემდეგ ქალაქიდან გავიდა, სოფლად ცხოვრობდა ასკეტურად, გზაჯვარედინზე აგებდა უცხოთა თავშესაფრებს, საავადმყოფოებს, მან ჩაიცვა „მონაზონის კაბა“ (გეორგიკა, II, გვ, 251).

როგორც აქედან ჩანს საქართველოში IV საუკუნის II ნახევარშივე გამჯდარი იყო ასკეტური სული, როგორც მემატეანე ამბობს „ასკეტობა და ნაზარეველობა“, „ნაზარეველობაში“ - მონაზვნობა იგულისხმებოდა. ეს იყო „მოციქულის სიტყვით რომ ვთქვათ - „წვალება, გაჭირვება, შევიწროება, დევნულობა, მარხულობა, ღამისთევა, გვემულობა, წინააღმდეგობასთან ბრძოლა“ (გეორგიკა, II, გვ. 254).

ამ მხრივ საქართველოში არსებული ვითარება არ განსხვავდებოდა რომის იმპერიაში არსებული ვითარებისაგან. კერძოდ, კონსტანტინოპოლის საიმპერატორო სასახლეში „მთელი ჯალაბობა ცხოვრობდა როგორც მონასტერში, დროს ატარებდა ლოცვასა და მარხულობაში, ღამით და დღისით მღვდელმსახურებაში, ყველაფერ ამის შემხედვარე ყმაწვილი (მომავალი პეტრე იბერი) აინთო ვნებით, რაც სახლიდანვე (ე.ი. საქართველოდან) ჰქონდა მოტანილი, თავისი მშობლებიდან – სიყვარული ღვთისადმი, აღფრთოვანებით და ასკეტურობით. თავის სხეულზე ატარებდა ბალნის სამოსელ ძაძას, გარედან კი ბრწყინვალე სამოსი ეცვა“ (იქვე, გვ, 256).

როგორც ვხედავთ არა თუ V საუკუნეში, არამედ IV საუკუნეშიც სული „ნაზარეველობისა“ ანუ მონაზვნობისა საქართველოში ისეთივე სახისა იყო, როგორც მთელ ბიზანტიის იმპერიაში. ამიტომაც ჩვენში არსებობდა პირობები IV და V საუკუნეებში მონასტრების დაარსებისა, ასურელი მამების ჩვენში შემოსვლამდე. ამას მიუთითებს კიდეც ვახტანგ გორგასლის მემატეანე.

ვახტანგ მეფემ V საუკუნის II ნახევარში, თავის ერისთავს არტავაზს, „უბრძანა, რათა გამონახოს ხევსა მას შინა ადგილი სამონასტრე და აღაშენოს ეკლესია, და ქმნეს მონასტერად, ვითარცა ეხილნეს მონასტრენი საბერძნეთისანი“ (ქ.ც. I გვ. 178). „ხოლო არტავაზ აღაშენა ციხე არტანუჯისა და მონასტერი, რომელიც არის ოპიზა და სამნი ეკლესიანი: დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა“ (იქვე, გვ. 178).

პირველი ქართველი მთარგმნელები

სწორედ ეს განწყობილება და სულისკვეთება ედო საფუძვლად აღნიშნულ ხანაში ქართულად წმიდა წერილის გადმოღებას, თარგმნას. ამ მხრივ ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს V ს-ის I ნახევარი. ამ დროს მოღვაწე ქართული მთარგმნელები ასკეტები უნდა ყოფილიყვნენ მსგავსად ევაგრი პონტოელისა და პეტრე იბერისა. საფიქრებელია, რომ თუ თვითონ პეტრე იბერი არ იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი ქართველ მთარგმნელთა პირველი პლეადისა, მისი სამეფო ოჯახის კარი მაინც იყო ხელისშემწყობი პირველ ქართველ მთარგმნელთა მოღვაწეობისა. არ არის შემთხვევითი, რომ პეტრე იბერის წინაპრებისა და თვითონ მისი ახალგაზრდობის სახელი მოხსენებულია დღემდე აღმოჩენილთაგან ქრონოლოგიურად ერთ-ერთ უპირველეს პალესტინის ქართული მონასტრის მოზაიკურ წარწერებში. ამ წარწრაში მოხსენიებული უნდა იყოს აგრეთვე ქართველ მთარგმნელთა პირველი პლეადის ყველაზე გამოჩენილ პირთა სახელებიც. საერთოდ, მწიგნობრობა, წიგნის კითხვა – მონაზონის საქმე იყო. პეტრე მათ მოძღვრავდა: „ვითარცა მტილი მზვარისა (ე.ი. ბაღი) ურწყავი განხმების და უნაყოფო იქმნების, ეგრეთვე გონება მონაზონისაი უნაყოფო არს თვინიერ წიგნის კითხვისა და სმენისა სწავლათა სულიერთა“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლ., II, 1967, გვ. 255).

ბიოგრაფ ზაქარიას ცნობით, რომელიც ქართლიდანვე გაჰყოლია უცხოეთში მონაზვნად წასულ პეტრეს, პატარა მურვანიოსი საქართველოში სამი წლის ასაკიდან „მისცეს სამწიგნობრედ და დაისწავა მან ყოველივე სწავლაი და გულისხმისყოფით აღმოიკითხავენ წმიდათა წერილთა და იწურთინ მარად დღე და ღამე“ (იქვე, გვ. 217).

მურვანოსი დაბადებულა 411 წელს (სხვა მოსაზრებით – 409 წელს), მისი სამი წლის ასაკში ე.ი. 414-415 წლისათვის, ქართულად უკვე არსებობდა წმინდა წერილის თარგმანები, თუ რომელიმე სხვა ენაზე დაწერილ წიგნებს ასწავლიდნენ პატარა მურვანოსს?

პეტრე იბერის მეორე ბიოგრაფი იოანე რუფუსად სახელდებული, ავტორი წერს, რომ პეტრეს გამზრდელი ქართულად ლოცულობდა შემდეგი სიტყვებით: „უფალო იესო, ღმერთო ჩემო, ჩემი სიცოცხლის შემქმნელო, შემიბრალე მე“ (გეორგიკა, II, გვ. 251). ქართულად, ცხადია ლოცვები არსებობდა, მაგრამ იყვნენ თუ არა ისინი ჩაწერილნი ქართულადვე? პეტრეს ბიოგრაფები, რომელნიც კარგად იცნობდნენ პეტრეს სიყმაწვილის გარემოს, წერენ, რომ ბერძნული და ასურული ენები პატრემ ქართლში არ იცოდა, არამედ ისწავლა კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმში. ეს არაა გასაკვირი, რადგანაც იგი მხოლოდ გაემგზავრა იერუსალიმში. ეს არაა გასაკვირი, რადგანაც იგი მხოლოდ 12 წლისა გაემგზავრა უცხოეთში. მემეტიანე წერს, პეტრემ კონსტანტინოპოლში „დაისწავლა ენაი ბერძნული და სწავლაი“ (ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 224), ხოლო იერუსალიმში „ისწავლა ენაი და სწავლაი ასურებრივი“ (იქვე, გვ. 224).

მაშასადამე, V ს. ათიან წლებში პატარა პეტრე იბერს საღმრთო წერილს არ ასწალიდნენ არც

ბერძნულ და არც ასურულ ენებზე, ჩანს, უნდა ესწავლა ქართულად. აღსანიშნავია, რომ სომხური ანბანი მხოლოდ 406 წელს შექმნა მესროპ მაშტროცმა. როგორც პეტრე იბერის ბიოგრაფიიდან შეიძლება გავიგოთ, წმინდა წერილის რაღაც ნაწილი ქართულად იმ დროისთვის უკვე არსებობდა და, ჩანს, ჩაწერილი იყო ქართული ასოებითვე. სწორედ მას კითხულობდა „დღე და ღამ“ 9 წლის მანძილზე (3 წლიდან 12 წლამდე) პატარა პეტრე საქართველოში როგორც ითქვა, ამიტომაც არაა შემთხვევითი, რომ მის მიერ აშენებულ მონასტრებში აღმოჩნდა ქართული წარწერები, ერთ-ერთი უძველესი დღემდე ცნობილ წარწერათა შორის. ამ წარწერებში ნახსენები არიან ანტონი, აბაი და იოსია. ისინი შესაძლებელია იყვნენ წმინდა წერილის პირველმთარგმნელთა პლეადის წევრები. ამ მოსაზრების გამოთქმის უფლებას გვაძლევს შემდეგი გარემოება, საქართველოს პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე იკვლევდა პირველქართულ მთარგმნელთა ვინაობას და იგი არქეოლოგთა მიერ პალესტინის ქართული წარწერების აღმოჩენამდე თითქმის ნახევარი საუკუნით ადრე წერდა: „პეტრე მაიუმელის მიერ აგებულ მონასტერში უნდა მიეღოთ თავშესაფარი პირველ ქართველ მთარგმნელებს სამშობლოს გარეთ – სტეფანესა და დავითს... ამავე მონასტერში უნდა ეცხოვრათ და ემოღვაწათ სხვა მთარგმენლებს ანტონ და საბას, რომელთა სახელების მოიხსენება წმ. გიორგი მთაწმინდელის პირადად მცნობის, ეფრემ კირილეს ძის ჩანაწერში (Палестинскии сборник, X, с. 181) “(საღვთისმეტყველო კრებული, №1, 1991, გვ. 176).

მაშასადამე ძველი ქართული საზოგადოებისთვის ცნობილი იყო პირველ ქართველ მთარგმნელთა სახელები, ესენი იყვნენ: დავით, სტეფანე, ანტონი და საბა. პალესტინის ქართულ წარწერებში იხსენიებიან: ანტონი, აბაი და იოსია. მიიჩნევა, რომ აბა ანტონი იყო აბატი, ანუ წინამძღვარი. თუმცა შესაძლოა აქ იყო ორი კაცის სახელი ანტონი და აბა, მესამე კი არის იოსია. მათ მონასტრის იატაკის დაგებისათვის უზრუნიათ, თუმცა კი ძველი ქართული ცნობებით, ისინი მთარგმნელები ყოფილან. მაშასადამე შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ პალესტინის ქართველთა მონასტრის წარწერებმა შემოგვინახა ერთ-ერთი პირველი მთარგმნელების სახელები – ანტონისა და აბაისა, ანუ იგივე საბასი („აბაი“ - ძველებური სახელია, რომლისგანაც არის ნაწარმოები გვარი აბაიშვილი და სხვა გვარები).

ცხადია, IV–V საუკუნეებში უნდა ეღვაწა მთარგმენლთა არა ერთ, არამედ რამდენიმე თაობას, ის თარგმანები, რომლითაც სწავლობდა პეტრე იბერი სიჭაბუკის წლებში, ალბათ ვეღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებებს, ყოველშემთხვევაში კ. კეკელიძის თანახმად, 476-483 წლებისათვის, როცა ქართულად დაიწერა წმ. შუშანიკის მარტვილობა „საღმრთო წერილი უკვე კარგა ხანი თარგმნილი იყო ქართულად“ (კ.კეკელიძე, I, გვ. 90). ეს თარგმნა, მისი აზრით, საქართველოში მიმდინარეობდა, მაგრამ იერუსალიმს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. კ.პ. კალისტრატეს სიტყვით, ძველი ქართული ტრადიცია, პირველ ქართველ მთარგმნელთა სამოღვაწეო არედ საქართველოს გარდა მიიჩნევდა იერუსალიმს.

იოანე ლაზი – ქართული სამწერლო ენის სათავეებთან

ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფია პეტრე იბერს აკავშირებდა ქართველ მთარგმნელობით სკოლასთან. ამ სკოლის წევრი უნდა ყოფილიყო პეტრეს მოძღვარი და აღმზრდელი, განუყრელი მეგობარი იოანე ლაზი. ს. ყაუხჩიშვილის თვალსაზრისით, იოანე ლაზი იყო კოლხეთის ცნობილი რიტორიკული სკოლის წარმომადგენელი, რამდენიმე ათეული წლით პეტრე იბერზე უფროსი. იოანე ლაზი ქართულ საეკლესიო საღვთისმეტყველო ანბანის ფუძისმდებელთა და მთარგმნელთა წრის აქტიურ წევრად უნდა ვიგულისხმოთ, საერთოდ V საუკუნის I ნახევრის ქართული მთარგმნელობითი სკოლის მეთაურად თუ არა ლიდერად მაინც მიაჩნდა პეტრე იბერი ძველ ქართულ ისტორიოგრაფიას. მით უმეტეს მისი მოძღვარი და აღმზრდელი იოანე ლაზი ამ წრეს განეკუთვნებოდა. ს. ყაუხჩიშვილი მათ აგებულად მიიჩნევს პალესტინის იმ ქართულ მონასტერს, სადაც აღმოჩნდა უძველესი ქართული

წარწერები. იოანე ლაზის და პეტრე იბერის, საერთოდ დასავლელ და აღმოსავლელ ქართველთა აქტიურ ურთიერთთანამშრომლობის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო ის საოცარი ძველი ქართული სალიტერატურო ენა, რომელიც მოიცავდა სრულიად საქართველოში არსებულ დიალექტებს და იქვემდებარებდა მათ. როგორც ცნობილია, საქართველოში საეკლესიო, ღვთისმსახურების სალიტერატურო და კულტურის ენას წარმოადგენდა მხოლოდ ძველქართული ენა. საქართველოში არასოდეს შექმნილა რაიმე თხზულება ანდა უბრალო წარწერაც კი, რომელიმე დიალექტზე ანდა რომელიმე კუთხურ ენაზე. ასეთი ენები და დიალექტები კი ძველ დროს ალბათ მრავლად უნდა ყოფილიყო. მაგრამ საქართველოში არსებული ენები და დიალექტები იმ დროისთვის, 1500 წლის წინ, ერთმანეთთან ძალზე ახლოს უნდა ყოფილიყვნენ და ერთმანეთისაგან ნაკლები განსხვავება უნდა ჰქონოდათ, ვიდრე მათ ახლა აქვთ. როგორც ცნობილია, ერთ დროს ქართული, მეგრული და სვანური ენები ერთ ენობრივ მთლიანობას ქმნიდნენ, მხოლოდ შემდგომ, ათასწლეულთა მანძილზე დაშორდნენ ისინი ერთმანეთს. ფარნავაზის მიერ ერთიანი, დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მომცველი სახელმწიფოს წარმოშობის, მოციქულთა ქადაგებათა და ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების დროს, ჩანს, მთელ საქართველოში ჯერ კიდევ ესმოდათ ის ერთიანი ენა, რომელიც საფუძვლად დასდებია ღვთისმსახურებას. ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ ამ სალიტერატურო ენის შემუშავებაში მონაწილეობა მიუღია დასავლეთ საქართველოს ქართველობას, რომლის რეალურ წარმომადგენლადაც იოანე ლაზი უნდა ვიგულისხმოთ. მეცნიერი წერდა - „ქართველ ერს თავის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი სამწერლო ენაც ჰქონდა და აბადია დღესაც, რომელიც მეგრელებისა და სვანებისთვისაც ერთადერთი სამწერლო და კულტურის ენა იყო და არის დღესაც, რომლის შექმნა-შემუშავებაშიც მეგრელებდა და სვანებსაც თავიანთი წვლილი აქვს შეტანილი“ (ივ. ჯავახიშვილი, ტ. I, 1979, გვ. 154).

კიდევ უფრო მეტი, ჯერ კიდევ წარმართობის დროს, ე.ი. IV საუკუნემდე ყველა ქართულ ტომთათვის, მათ შორის, სამეგრელოსა და სვანეთშიც კულტმსახურების ენა იყო ქართული ენა. ივანე ჯავახიშვილი წერს: „ცხადია ხდება, რომ არამცთუ საზოგადოდ, ყველა ქართველ ტომთათვის. მათ შორის მეგრელთა და სვანთათვის საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ წარმარტობის საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონდა“ (იქვე, გვ. 154). რა იყო ამის მიზეზი?“ როგორც აღინიშნა, პროტოქართველური თანდათან დაიშალა, ჯერ მას, როგორც ფიქრობენ, გამოეყო სვანური ენა, ერთი ენის ადგილას მიღებულ იქნა ორი ენა: ესენი იყვნენ ე.წ. ზან ქართული ენა და სვანური ენა. ზან-ქართული ენა შემდგომ დაიშალა ასევე ორ ენად - მეგრულ და ქართულ ენებად. ამ ერთობის დაშლის დასაწყისად მიიჩნევა ქრისტეშობამდე VIII საუკუნე (საქ. ისტ. ნარკვევი, I. გვ. 338).

თითქმის ამავე ხანაში, ქრისტეშობამდე IV–III საუკუნეებში ჩამოყალიბდა დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მომცველი ფარნავაზის სახელმწიფო. ფარნავაზის რეფორმათა შედეგად ამ სახელმწიფოში სხვა ენები „არ იზრახებოდა, თვინიერ ქართულისა ენისა“. იმ დროინდელი ქართული ენა უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ თითქმის დაუშლელი ე.წ. „ზან-ქართული“ ენა. ჩანს ეს ენა დაედო საფუძვლად ძველ ქართულ წარმართულ ღვთისმსახურებას, საბოლოოდ კი ძველ ქართულ სალიტერატურო ენას. ძველ ქართული სალიტერატურო ენა ამოზრდილი უნდა ყოფილიყო ე.წ. ზან-ქართული ენიდან. მაშასადამე, ძველი ქართული სალიტერატურო ენა აღმოცენდა არა ქართის დიალექტის ბაზიდან, არამედ ამ დროისათვის ჯერ კიდევ თითქმის მთლიან, თითქმის დაუშლელ ზან-ქართული ენიდან. ამის გამო იყო, რომ ძველი ქართული ენა არ განეკუთვნებოდა არცერთ დიალექტს, არც-ერთ რეგიონს, იგი წარმოადგენდა დიალექტებზე მაღლა მდგომ საერთო ენას, რომელიც პირველ საუკუნეებშივე გასაგები იყო ყველა ქართველისათვის, მათ შორის მეგრელებისა და სვანებისათვის. თავიდანვე იგი იყო საკრალური, წმინდა ლოცვისა და ურთიერთობის ენა. ამიტომაც დგანან იოანე ლაზი და სხვა დასავლელი ქართველი მოღვაწეები (შესაძლოა ევაგრე პონტოელიც) ქართული სამწერლო და კულტურული ენის შექმნა-შემუშავების სათავეებთან.

ამ დიდი სამუშაოს ცენტრები იყვნენ მონასტრები საქართველოსა და პალესტინაში. პეტრე იბერმა

და იოანე ლაზმა იერუსალიმსა და პალესტინაში რამდენიმე მონასტერი ააშენეს, მონასტერი ააშენეს ეგვიპტეშიც კი. ბიოგრაფი ზაქარია წერს, რომ იერუსალიმში პეტრემ და იოანემ „აღაშენეს სახლი სასტუმრო ქალაქსა შიდა და მოამზადეს ფერხთა საბანელი, ტაბლაი და ცხედარი და განუსვენეს უცხოთა“ (ძველი ქართული აგიოგრაფ. ლიტ. ძეგლები, II გვ. 229) „მერმე წარვიდეს უდაბნოდ და შეკრბეს ძმანი მრავლად და აღაშენეს მინასტერი (იქვე, გვ.229). „მას ჰქვიან ქართველთა მონასტერი“ უცხო წყაროები მას „ლაზთა მონასტერს“ უწოდებენ. იბერი და ლაზი იმ დროისათვის სინონიმები იყვნენ. აქ დაკრძალეს იოანე ლაზი იქამდე კი მათ „იორდანეს პირსა ადგილსა უდაბნოსა იშენეს მონასტერი“, ეგვიპტეში „უდაბნოსა მას აღაშენეს ეკლესიაი და გარემოს მონასტერი“ (იქვე, გვ. 235). იერუსალიმში დაბრუნების შემდეგ კი „კუალად აღაშენეს ქალაქსა სახლი სასტუმროი და იწყეს შენებად ეკლესიისა“ (იქვე, გვ. 235) მონოფიზიტების დევნისაგან დაბრუნების შემდეგ „გარეშე ქალაქისა აღაშენა მონასტერი და ეკლესია შვენიერი შეკრიბნა ძმანი მრავალნი და განუწესა მათ წესი და კანონი სულიერი და საღმრთო“ (იქვე, გვ. 247).

იერუსალიმისკენ ქართველთა ლტოლვას წმინდა ნინოს დროს უნდა ჩაჰყროდა საფუძველი. იერუსალიმში გაემგზავრნენ მისი მშობლები, იქ აპირებდნენ გამგზავრებას წმ. ნინოს რიფსიმიანი ქალწულები. წმიდა ნინოს ქადაგებათა შედეგად ქართველთა მეფე მირიანს იერუსალიმში აუგია მონასტერი იმ ადგილას, სადაც გადმოცემის თანახმად მოუჭრიათ ხე, რომლისაგან გაკეთებულ ჯვარზეც გააკრეს მაცხოვარი. „ცხოვლისმყოფელისა ჯუარისა ადგილსა მდგარი ჯვრის მონასტერი პეტრე იბერს გაბუახლებია ვახტანგ გორგასლის დროს.

პეტრე იბერის ბიოგრაფები

პეტრე იბერი მის თანამედროვე ადამიანებს წმინდანად მიაჩნდათ. მემატეანეს სიტყვებით, პეტრე იბერსა და იოანე ლაზს იერუსალიმისკენ „წინ უძღვოდათ სუეტი ნათლისაი“. ქართული ეკლესია XVIII საუკუნის II ნახევრამდე მას მოიხსენიებდა 2 დეკემბერს, რადგანაც მართლმადიდებლად თვლიდა. სინამდვილეში ვინ იყო პეტრე იბერი, მართლმადიდებელი, ანუ ქალკედონიტი თუ მონოფიზიტი?

ჩვენამდე მოღწეულია პეტრე იბერის რამდენიმე ბიოგრაფია დაწერილი თვით მის მოწაფეთა მიერ. ამ ბიოგრაფებს მკვლევართა აზრით ერთი წყარო უნდა ჰქონდეს. საფიქრებელია, რომ დაიწერა ერთი ბიოგრაფია, რომელიც შემდეგ გადაკეთებულ იქნა სხვადასხვა სარწმუნოების აღმსარებელთა მიერ თავიანთი რწმენის შესაბამისად, ხოლო ხოლო ავტორობა სხვადასხვა პირებს მიაწერეს.

იოანე რუფუსს, პეტრე მოწაფეს, Vს. ბოლოს თუ VI ს. დასაწყისში (500-518 წლებში) დაუწერია პეტრე იბერის ბიოგრაფია ბერძნულ ენაზე. დედანი დაკარგულია, დარჩენილია VI ს-ში შესრულებული სირიული თარგმანი (ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა, ქ.ც. I გვ. 032), უნდა ვიფიქროთ, რომ სირიულად ამ ორიგინალის მთარგმნელი მონოფიზიტი იყო, ამიტომაც პეტრე მონოფიზიტად წარმოაჩინა. ასევე დაკარგულია მისი მეორე ბიოგრაფის ზაქარია რიტორის ბერძნულენოვანი დედანი, დარჩენილია მისი ასურული თარგმანი კომპილატორის მიერ შესრულებული 554-555 წლებში (ს.ყაუხჩიშვილი, ზაქარია რექტორი, გეორგიკა, III, 1936 წ. გვ. VII). მთარგმენლი და კომპილატორი მონოფიზიტები უნდა ყოფილიყვენენ. ყველაზე უფრო სანდოდ, ქართულ ეკლესიაში თითქმის ათასწლეულის მანძილზე მიაჩნდათ პეტრეს მოწაფის ზაქარიას მიერ ასურულ ენაზე დაწერილი შრომა, რომელიც ქართულად უთარგმნია მაკარი ხუცესს, მესხს. ეს ზაქარია პეტრეს კონსტანტიოპოლსა და იერუსალიმში გაჰყოლია ქართლიდანვე, იცნობდა მას სიჭაბუკიდან სიკვდილამდე. მისი ცნობებით, პეტრე იყო ქალკედონიტი, მართლმადიდებელი. მართლაც სამივე ავტორთან დაცული ცნობები თითქოსდა უფრო იმას მიუთითებს, რომ პეტრე არ იყო მონოფიზიტი, და აღიარებდა იმავე სარწმუნოებრივ

მიმართულებას, რომელსაც მის დროს მხარს უჭერდა კონსტანტინოპოლის სამეფო კარი და კათოლიკე ე.ი. იმჟამინდელი საყოველთაო ანუ მსოფლიო ეკლესია. კერძოდ თვით იოანე რუფუსიდან ჩანს, რომ მონოფიზიტ ღაზის მცხოვრებლებს, რომელთაც პეტრე შეიპყრეს და შებორკილი მიიყვანეს ეპისკოპოსად საკურთხებლად, პეტრე ძალზე ეწინააღმდეგებოდა, სურდა გადავარდნა სიმაღლიდან და დასახიჩრება, კეტავდა სახლის კარებებსა და ურდულებს, ამ დროს მემატიანეს სიტყვით ღაზელები ყაჩაღთა ურდოსავით ექცეოდა პეტრეს, იძულებით კურთხევის შემდეგ პეტრე არ ასრულებდა ლიტურგიას, ჩაიკეტა ოთახში, უნდოდა გაქცევა, რამაც ისე აღაშფოთა ღაზელები, რომ უნდოდათ ეკლესიის გადაწვა, შემდეგ პეტრე გაიქცა ეგვიპტეში, სადაც იმალებოდა და თავს ირჩენდა თავისი შრომით, კერძოდ, ქსოვდა ბადეებს და თავის ხელით ყიდდა (გეორგიკა, II, გვ. 285-286). იგივეს წერს ზაქარია რიტორიც, კერძოდ, როცა მონოფიზიტმა იერუსალიმელმა პატრიარქმა ეპისკოპოსად იძულებით აკურთხა პეტრე მისი სურვილის წინააღმდეგ, პეტრემ თავისი თავი გამოაცხადა ერეტიკოსად (ე.ი ქალკედონიტად), რადგანაც მონოფიზიტებისათვის ქალკედონიტები ერეტიკოსები იყვნენ (გეორგიკა, II, 1936, გვ. 4). როცა იერუსალიმში უკან დაბრუნდა იერუსალიმის ქალკედონიტი პატრიარქი იუბინალი, მან ყველა ეპისკოპოსი გადააყენა პეტრეს გარდა. რატომ? ჩანს პეტრეს ქალკედონიტური მიმართულების გამო, ქალკედონიტთა მხარდამჭერებმა სამეფო ოჯახმაც დაიცვა პეტრე „კეისრის ბრძანებით პეტრე ხელუხლებელი დარჩა“ (იქვე, გვ. 5).

როგორც ჩანს, პეტრე მხარს უჭერდა ზენონის ჰენოტიკონს, რომელსაც მაშინ აღიარებდა კათოლიკე (ე.ი. საყოველთაო, მსოფლიო) ეკლესიაც. მხოლოდ შემდგომ, უკვე პეტრეს სიკვდილის შემდეგ ხანგრძლივი კამათი მონოფიზიტებთან დამთავრდა ქალკედონიტებთან გამარჯვებით.

ქართულად შემორჩენილი პეტრეს მოწაფის აქარიას ცნობით. პეტრე იბერი იყო თავდადებული ქალკედონიტი მართლმადიდებელი. ასეთივე იყო მისი ოჯახის წევრებიც კი - „ესე უკუე მეფე ვარაზ ბაკურ იყო მართლმადიდებელი და დიდიად ღმრთისმსახური მამის მამეულად და მხურვალე სარწმუნოებასა ზედა“ (ძველი ქართული აგიოგრ. ლიტერატურის ძეგლები, II, 1967, გვ. 215). მის მიხედვით პეტრე მაიუმის ეპისკოპოსად აკურთხეს ქალკედონის კრებამდე (მაგრამ თანამედროვე მეცნიერთა მიერ აღიარებულია, რომ პეტრე მაიუმის ეპისკოპოსად აკურთხეს 452 წელს, ქალკედონის კრების შემდეგ), ე.ი. საფუძველი ეცვლება პეტრეს მონოფიზიტ ეპისკოპოსად გამოცხადებას, ბიოგრაფის ცნობით, ქალკედონის მომხრე პეტრე ებრძოდა მის მოწინააღმდეგე სევერიანელებდა და იაკობიტებს (იქვე, გვ. 243). ჩვენებით იხილა როგორ სჯიდა უფალი მონოფიზიტებს. მართლმადიდებლებს კი ანგელოზები აღიყვანებდეს სულითა ზეცად. (იქვე გვ.444). მონოფიზიტებს უნდოდათ პეტრეს მოკვლა, პეტრემ მკვლელებს კარი არ გაუღო უფლის ხმის გაგონების შემდეგ (გვ. 245). მან განიცადა მონოფიზიტებისაგან დევნა, მისი თანამგზავრი ამ დროს იყო მემატეანე (გვ.245), რომელიც წერს, რომ მე „ზაქარია მოწაფე მისი ქართველითგანვე, უკანა შევუდეგ წმინდასა მას ვიდრე მიცვალებამდე მისა აღვწერე ცხოვრება მისა და სასწაულნი თვალითა ჩემითა ხილულნი და ყურითა სმენილნი (იქვე, გვ. 262).

პეტრე უკვე V საუკუნიდანვე არის „სამკაული და სიქადული ქართველთა“ (იქვე, გვ. 263) თითქოსდა შემდეგი დროისთვის (XVIII-XX ს.ს.) ქართველებს მემატეანე ეუბნება, რომ პეტრეს მონოფიზიტად გამოცხადებით შეირყა თეორია ქართველთა უბიწო სარწმუნოების შესახებ, მისი ბიოგრაფიის მთარგმენლი წერდა - „ვინაითგან ექადაგა იგი წმინდისა ქრისტეს სახარებისა მოციქულისა ანდრიას მიერ ქვეყანასა, მას ქართლისასა, ვითარცა დასწერს ნიკიტა საღმრთოი და უკანასკნელ მოივლინა დედაი ნინო მიერითგან არღარა ოდეს მიდრეკილ არს ქუეყანაი ქართლისაი წმიდისა და მართლისა სარწმუნოებისაგან, არცა მოდრკეთ უკუნისამდე“. (გვ. 216).

მონოფიზიტობის გაძლიერება XVII-XVIII საუკუნეებში და პეტრე იბერის ხსენების გაუქმება

პეტრე იბერის მართლმადიდებლობაში ეჭვი შეიტანეს მხოლოდ XVIII-XIX ს-ში. რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი? საქმე ისაა, რომ მხოლოდ ქართულ ბიოგრაფიაში ჩანს მისი მართლმადიდებლობა, ყველა ზემოაღნიშნული უცხოური ბიოგრაფიის მიხედვით იგი მონოფიზიტია. როგორც ჩანს XVIII ს-ში, რომელიც ჩვენში ცნობილია, როგორც საქართველოში მონოფიზიტური აგრესიის საუკუნე (XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დაპყრობილ საქართველოში სპარსეთი დევნიდა ქართულ (ე.ი. მართლმადიდებლურ) ეკლესიას და აბატონებდა სომხურ, ანუ მონოფიზიტურ ეკლესიას), ამ დროს ჩანს ჩვენში ცნობილი გახდა, რომ უცხოურ წყაროთა თანახმად პეტრე მონოფიზიტად იყო ცნობილი. ეს უცხოური წყაროები სომეხმა სწავლულებმა გამოიყენეს ქართული ეკლესიის საწინააღმდეგოდ (ე.ი. ქართველებს უმტკიცებდნენ, რომ პეტრე იბერი მონიფიზიტებს ემხრობოდა ამ სარწმუნოების სისწორის გამო), ამიტომაც ჩანს, ქართველებმა კალენდრიდან ამოიღეს პეტრე იბერის ხსენება და მისი სახელიც ამოშალეს. ხოლო რაც შეეხება ქართულ საეკლესიო ისტორიოგრაფიას (რომლის დასკვნითი შრომები ჩანართის სახით შემოჰქონდათ „ქართლის ცხოვრების“ კრებულებში) XIX ს. შუა წლებამდე იგი პეტრე იბერს მიიჩნევდა ქალკედონიტად. ერთ-ერთი ასეთი ბოლო კრებული „ქართლის ცხოვრებისა“ 1839 წლითაა დათარიღებული.

ანტონ კათალიკოსმა 2 დეკემბერს კალენდარში შეიტანა ისე წილკნელის ხსენება, რომლის ცხოვრება დაწერილია ბესარიონ კათალიკოსის (1730-1736) მიერ. ეს უკანსაკნელი თავისი დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულებით „გრდემლი“ ებრძოდა კათოლიკობას და აგრეთვე ებრძოდა მონოფიზიტობასაც.

XVIII საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში პეტრე იბერის მიმართ დამკვიდრდა ორი მიდგომა. ერთის მხრივ, ვახტანგ VI-ის სამეფო კარმა და სწავლულ კაცთა კომისიამ საქართველოს ეკლესიის უპირველეს სახელმძღვანელოში „ქართლის ცხოვრებაში“ ჩართო პეტრე იბერის ცხოვრება და მოღვაწეობა, როგორც ქართული ეკლესიის წმინდანისა, ცხადია ვითარცა მართლმადიდებელ ქალკედონიტთა, მეორეს მხრივ, ვახტანგ VI-ის მემკვიდრეთა მოწინააღმდეგე ერეკლე თეიმურაზის მომხრე სასულიერო დასმა პირიქით, წმინდა პეტრე იბერის ხსენების დღეს 2 დეკემბერს კალენდარში ისე წილკნელის ხსენება დააწესა.

ოსმალთა მიერ ვახტანგ VI-ის გაძევების შემდეგ, ვახტანგის მომხრე კათალიკოსი დომენტი IV (1705-41) გაიხიზნა, მის ნაცვლად გამგებელმა იესემ დანიშნა ბესარიონ ორბელიანი, მაგრამ ოსმალებმა ისევ დომენტი დაამტკიცეს კათალიკოსად, და იგი 1725 წელს ოსმალეთში გაიწვიეს, მის ნაცვლად კათალიკოსად კვლავ ბესარიონი დადგა. საქართველოს ეკლესიას მის დროს ფაქტიურად ორი კათალიკოსი ჰყავდა. ერთი სტამბოლში გაწვეული დომენტი, მეორე კი მის ადგილზე მყოფი ბესარიონი. მათ შორის პოლიტიკური ხასიათის დაპირისპირებანი არსებობდა. „ბესარიონი დიდი მეგობარ იყო იასე მეფისა და ვახტანგ VI-ს მტრობდა, ამიტომ 1727 წ. იასეს დახმარებით ნელ-ნელა მიამხრო ისაყ-ყაფშა შეაპარა ქრთამი, მიიღო კათალიკოსობა“ (პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, 1990, გვ. 139). რაც პეტრე იბერის პიროვნების შეფასების სხვადასხვაგვარობაში გამოიხატა. თუ სწავლულ კაცთა კომისიამ და ვახტანგ VI-მ ძალზე გაზარდეს პეტრე იბერის ავტორიტეტი, მისმა მოწინააღმდეგე სასულიერო დასმა, როგორც ითქვა მისი სახსენებელი კალენდრიდან ამოაგდო. მაგრამ ჩანს, ამ ქმედებას მთელი ეკლესია არ ეთანხმებოდა და პეტრე იბერის ხსენება (უკვე 3 დეკემბერს) XVIII ს. II ნახევრის ხელნაწერებშიც გვხვდება, ვითარცა წმიდანისა, მაგალითად, ასეთია ხელნაწერთა ინსტიტუტის ე.წ. „ახალი ფონდის“ Q-646 და H-342 (1661 წ.) ხელნაწერებში, 2 დეკემბერს A-193 (XI ს.) და Q-661 (XVI ს.) და სხვა ხელნაწერებში.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენ უნდა ვენდოთ მართლმადიდებლობის ბრწყინვალე ბურჯებს – XI და შემდეგ საუკუნეთა მოღვაწეებს, რომელთაც პერე იბერის მართლმადიდებლობაში ოდნავი ეჭვიც

კი არ შექონდათ, ვიდრე პოლიტიკურ ნიადაგზე წარმოშობილ XVIII ს, მოღვაწეთა ქმედებებს.

იცნობდნენ თუ არა პეტრე იბერის ცხოვრებას ექვთიმე მთაწმინდელამდე? ცნობები მოღწეული არ არის, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ სხვა წმინდანების მოხსენიების მსგავსი შემთხვევები. მაგალითად კ. კეკელიძე მიიჩნევდა, რომ „ცნობა ნინოს ქადაგების შესახებ IX–X საუკუნეებში იკიდებდა ფეხს ჩვენში“ (კ. კეკელიძე ცდება, ცნობები წმინდა ნინოს შესახებ ჩვენში ცხადია არსებობდა IV საუკუნეებიდანვე, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა, მათ შორის IX–X სს-მდელი ძველი ხელნაწერების ჩვენამდე მოუწვდომლობის გამო იქმნება შთაბეჭდილება, რომ „ცნობა წმინდა ნინოს ქადაგების შესახებ ჩვენში ფეხს იკიდებს IX–X საუკუნეებშივე“, მსგავსია ცნობები სხვა წმინდანების შესახებაც. ამჟამად ცნობილი ზოგიერთი წმინდანის ცხოვრება უცნობი იყო ძველი საზოგადოებისათვის, მაგალითად გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების შესახებ ცნობები დავიწყებული იყო უკვე XI საუკუნეში და მის შესახებ ცნობებს ეძებდნენ. თუმც კი იცოდნენ, რომ ასეთი წმინდანი არსებობდა (იხ. ალმანახი „მწიგნობარი“, 2000, გვ. 185). მაგალითად მისი ხსენების დღისათვის ერთ ხელნაწერში ჩაუწერიათ - „ოქტომბრისა ხუთსა, წმიდისა მამისა ჩვენისა გრიგოლი ხანძთელისა ქართველთ განისა. არა ვიცით რა“ (ქ. ტატიშვილი) გრ. ხანძთელის უცნობი მინიატურა, მწიგნობარი, 2000, გვ. 185). XVII-XVIII საუკუნეებამდე არ არსებობდა წმინდა გრიგოლის არც „კანონი“ (ე.ი. საგალობლები) და არც „განგება“.

როგორც ცნობილია, ექვთიმე მთაწმინდელმა 1011 წელს თარგმნა გრიგოლ რომის პაპის „დიალოღონი“, რომელშიც მოხსენიებულია პეტრე იბერიელის ამბავი. კ.კეკელიძის აზრით, ეს პეტრე შესაძლებელია იყოს არა ქართველი, არამედ ესპანელი, მაგრამ თვითონ წმინდა ექვთიმეს თვალსაზრისით, ეს პეტრე იყო „ნათესავით ქართველი“, რომელიც იყო „ქართლის ქვეყანაში“ (იხ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 203).

წმიდა ექვთიმე მთაწმინდელიდან ვიდრე XVIII ს-მდე და ნაწილობრივ დღემდე მიიჩნევა, რომ რომის პაპ გრიგოლ დიოლოღოსს სწორედ წმინდა პეტრე ქართველის ცხოვრება ჰქონდა აღწერილი (თარგმნილი წმ. ექვთიმეს მიერ), ამიტომაც ქართლის ცხოვრების ჩანართში წმინდა პეტრეს შესახებ ნათქვამია - „რამეთუ არავინ შემძლებელ იყო ქებად მისსა, გარნა გრიგოლი დიალოღი, პატრიარქი რომისა, რომელ აღწერა ქება მის წიგნსა შინა თვისსა“ (თეიმურაზისეული ნუსხა). ამასთანავე იმეორებს ქართლის ცხოვრების სხვა (მეორე) ჩანართიც.

ქართველ ეკლესიას მრავალი წმინდანი ჰყავს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ყველას არა აქვს აგიოგრაფიული საკითხავები, ცხოვრებანი, საგალობლები და სხვა. ამ მხრივ პეტრე იბერის საეკლესიო ლიტურგიკული საკითხავები მთლიანად სრულყოფილია. მათში თითქმის მუდმივად გვხვდება თხოვანი პეტრე იბერის მიმართ, სადაც მას უწოდებენ „ქართველთა სიქადულს“, „მნათობს და ბრწყინვალებას ქართველთ ერისასა“, „ქართველთა ერისა ვარსკვლავს“, „მნათობად ქვეყანასა ქართველთასასა აღმოსცენდი“, „ზღუდეო მორწმუნეთა ქართველთაო“, „ერსა ქართველთა, ხსენებისა შენისა შემსხმელნი და ყოველი მადიდებელი შენნი დაიცვენ განსაცდელისაგან“, აღმოჰხედ შენ ძირისაგან კეთილთა მეფეთა . . . მიენიჭე ღმრთისაგან ხარებით ანგელოზისაითა, ვითარცა დიდი წინამორბედი“, „ერსა ქართველთ და მეფესა ჩვენსა მორწმუნესა ჰფარვედი და მეოხ გვეყავ ჩვენ ყოველთათვის“, „ვიშვებთ ქართველთა ერი აღმოცენებისა შენისათვის“, დღეს განსცხრების - ერი ქართველთა“ (არეოპაგიტელი კრებული, დიონისე არეოპაგელი და პეტრე იბერიელი ძველქართულ მწერლობაში, გამოსაცემად მოამზადა ივანე ლოლაშვილმა, 1982, გვ. 173-191).

პეტრე იბერი იყო „მნათობი ქართველთ ერისა“, ეს ნიშნავს, რომ იგი იყო სულიერი წინამძღვარი, რომლისაკენაც მიისწრაფვოდა ქართველი ხალხი, XVIII ს-ში მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ უცხოურ წყაროებში პეტრე იბერი მონოფიზიტობის ბურჯად მიიჩნეოდა, ამ წყაროებს სომეხი და კათოლიკე მისიონერები მთელ ქართველ ხალხში მრავლად ავრცელებდნენ, ამით საქართველოში მონოფიზიტური ეკლესიის ავტორიტეტი კიდევ უფრო მტკიცდებოდა, ქართველები იმ მნათობისკენ, მიისწრაფოდნენ, რაც ახლა უკვე მათ გამონოფიზიტებას უწყობდა ხელს. ეს იყო „სქოლასტიკური ხაფანგი“, რომელიც

ქართველ მორწმუნეებს დაუგეს სომეხმა სწავლულებმა. ევსევი ნიკოლაძე წერს - „XVIII ს. დასაწყისიდან მხითარიანების ნაწარმოებნი ძლიერ გავრცელდნენ სომეხთა შორის და მისცეს საშუალება მათ სამღვდელოებას საღვთისმეტყველო განათლებისა. ევროპელი მწერლების სქოლასტიკური ნაწარმოებნი, რომლებიც სომხურ ენაზე გადმოითარგმნა გახდნენ ახალ წყაროდ სარწმუნოებრივი დავისა, ხერხიანობამ, რომელიც განსაკუთრებით არისტოტელეს ლოგიკას ემყარებოდა, სომეხთა მისიონერების მონოფიზიური პროპაგანდა, რომელიც წინათ დაიწყო, განსაკუთრებით გაძლიერდა არეულობის დროს საქართველოში, მეფე იესეს სიკვდილის შემდეგ თეიმურაზ მეორის ქართლში გამეფებამდე (1724-1744) და უმაღლეს წერტილზე ავიდა კათალიკოს ანტონ პირველის მმართველობის პირველ წლებში (1744-49). ამ პროპაგანდამ დიდი ზარალი მოუტანა მართლმადიდებლობას საქართველოში... მთელი ხრამის უღელტეხილი, ბორჩალოს მაზრა და ალაზნის გაღმა მხარე სავსე იყო სომეხთა მისიონერებით, რომლებიც სქოლასტიკურად განათლებულნი დიდად ცდილობდნენ, რომ საქართველოს პოლიტიკურ უბედურებას თან მიმატებოდა სარწმუნოებრივი განხეთქილება. სომეხთა მწვალებლობა წარმატებით ვრცელდებოდა ქართველთა შორის " (ე. ნიკოლაძე საქართველოს ეკლესიის ისტორია, 1918, გვ 144). მით უმეტეს, რომ ამ დროს მსოფლიო იზოლაციაში მყოფი ქართველი მიოაზროვნეები სომეხი სწავლულების შრომათა გაცნობას შეუდგნენ ევროპული ცივილიზაციის ათვისების მიზნით კონსტანტინოპოლის თურქთაგან დაპყრობის კვალდაკვალ, კერძოდ, ქართველებს სომხურიდან უთარგმნიათ სიმონ ჯულაფელის დიალექტიკა, „კატეგორიანი არისტოტელებრნი", მხითარ სევასტიელის გრამატიკა, მისივე რიტორიკა, პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი", დავით უძლეველის „წიგნი საზღვართა", „პორფორი", არისტოტელეს ნაშრომი და სხვა. ამასთანავე სომეხი მეცნიერებისა და სწავლულების მიერ გახსნილ სკოლებში სწავლობდნენ ჩვენი მართლმადიდებელი მღვდელთმთავრები. სომეხი ავეტიკ ეპისკოპოსის მოწაფენი ყოფილან ფილიპე ყაითმაზაშვილი (სომეხთა მოძღვარი), მდივანბეგი იოანე ორბელიანი, ნიკოლოზ მღვდელი კახთა მეფის კარისა, თავის მხრივ ამ ფილიპემ სომეხთა მოძღვარმა ფილოსოფიაში აღზარდა გაიოზ რექტორი, დოსითეოს ნეკრესელი ეპისკოპოსი, ოსეს ძე, ნიკოლოზ ქიზიყელი, ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდელი და სხვ., ვართაპეტმა ზაქარია მინდიაშვილმა „ასწავა მრავალთა ქართველთა და სომეხთა საფილოსოფოსნო წერილნი", წერდა იოანე ბატონიშვილი, თვითონ ანტონიც აღიარებდა, რომ მას ზაქარიამ სომეხთა მოძღვარმა აუხსნა „დაფარულობა არისტოტელისა". ასეთ ვითარებაში, როცა ევროპულ ცივილიზაციასთან უშუალოდ დაკავშირებული სომხური მეცნიერება (მაგალითად, მხითარისტებისა), წყაროების დამოწმებით კერძოდ იოანე რუფუსის და ზაქარია რიტორის მონოფიზიტური რედაქციების დახმარებით ამტკიცებდა პეტრე იბერის მონოფიზიტობას, ქართველებს კი არ შეეძლოთ ამ წყაროების ანალიზი, ერთადერთი გზა იყო პეტრე იბერის ხსენების კალენდრიდან ამოღება, რათა, როგორც ითქვა, მას ხელი არ შეეწყო ქართველთა გამონოფიზიტების პროცესის კიდევ უფრო გაღრმავებისათვის, ანტონი წინ აღუდგა მონოფიზიტობის გავრცელებას მეცნიერული სიტყვით. „ვინაიდან" სომეხთა მისიონერები თავის სწავლას სქოლასტიკასა და სომხური ეკლესიის ისტორიაზე ამყარებდნენ, ანტონი იძულებული გახდა გაცნობოდა ამ წყაროებს ლათინურ-სომხურ ენაზე და შემდეგ სომეხი მწვალებლების განსაქიქებლად დაწერა დიდი თხზულება, რომელსაც „მზა მეტყველება" უწოდა. ეს ნაწარომები შეიცავს მონოფიზიტური მოძღვრების სრულ განქიქებას და მასში ყოველი კაცი იპოვის მზა პასუხს მწვალებელთა ყოველ კითხვაზე" (ე. ნიკოლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 147).

ამჟამად, როცა უკვე ცნობილია, რომ იოანე რუფუსის, პეტრეს ბიოგრაფის, ბერძნული დედანი დაკარგულია და ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ VI საუკუნის სირიული თარგმანი, შესრულებული მონოფიზიტი რედაქტორის მიერ, ასევე, როცა ვიცით, რომ ზაქარია რიტორის, პეტრეს მეორე ბიოგრაფის ბერძნულენოვანი დედანი დაკარგულია და მისი ასურული თარგმანია მოღწეული შესრულებული მონოფიზიტი კომპოლატორის მიერ, როგორც ითქვა, ყველაზე სანდოდ უნდა მივიჩნიოთ ქართულ ეკლესიაში ათასწლეულის მანძილზე აღიარებული პეტრეს მოწაფის ზაქარიას მიერ დაწერილი შრომა,

რომლიდანაც ნათლად ჩანს პეტრეს მართლმადიდებლური აღმსარებლობა „იყო მართლმადიდებელი და დიდად ღმრთის მსახური მამის მამეულად და მხურვალე სარწმუნოებასა ზედა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესსა, რამეთუ ვინაითგან ექადაგნა ქადაგებანი იგი წმინდის ქრისტეს სახარებისა წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოციქულისა ანდრეას მიერ ქვეყანასა მას ქართლისასა, ვითარცა დასწერეს ნიკიტა საღმრთოი ფილოსოფოსი „მიმოსვლასა შინა და ქადაგებათა წმიდის ანდრეა მოციქულისათა“, და უკანასკნელ მიივლინა წმიდა ნინო ქვეყანასა მისვე ქართლისასა ქრისტეს მიერ და ისწავეს ღმრთისმსახურებაი და ჰრწმენა წმიდაი სამებაი და ნათელიღეს სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა ქადაგებითა მით წმიდათა მოციქულთა, მიერითგან არღარა ოდეს მიდრეკილ არს ქვეყანა იგი ქართლისა წმიდისა და მართლისა სარწმუნოებისაგან და არცა მივიდრიკეთ უკუნისამდე მადლითვე წმიდისა სამებისაითა და მეოხებითა ყოვლადწმიდის დედოფლისა ღვთისმშობლისაითა სასოისა მის და მფარველისა ჩვენისაითა“ (ცხოვრებაი და მოქალაქეობაი წმინდის და ნეტარისა მამისა ჩვენისა პეტრე ქართველისაი, რომელ იყო ძე ქართველთა მეფისაი“, ხსენება თვესა დეკემბერსა ბ).

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

რჩევები უცხოეთში ყამსვლელ ქართველებს საეკლესიო ცხოვრების მოწყობის შესახებ

უკანასკნელ წლებში უცხოეთში სამუშაოდ, საცხოვრებლად და სასწავლებლად გავიდა თითქმის მილიონამდე ქართველი. ესაა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამწყსო, ჩვენი მრევლი. წმიდა სახარების სწავლების თანახმად კეთილი მწყემსი მოვალეა მოიძიოს და უპატრონოს ფარიდან (სამშობლოდან) გასული სამწყსოს თვითოეულ წევრს, რათა მშვიდობით დააბრუნოს თავის ოჯახთან შვილებთან და შთამომავლობასთან ერთდ. წიგნში მოტანილია მრავალი ცნობა იმის შესახებ თუ როგორ უვლიან სხვა ერების ეკლესიები თავის ეროვნულ დიასპორას უცხოეთში. მათი მაგალითის შესაბამისად უცხოეთში უნდა ჩამოყალიბდეს ქართული სამრევლოები, რათა ქართველები არ ასიმილირდნენ უცხო ერებში და საქართველოს მფარველ ყოვლად წმინდა დედა ღვთისმშობელს მისი ერთგული შვილები არ დაეკარგონ.

წიგნს აქვს შემდეგი პარაგრაფები:

1. მოძღვრება;
2. რჩევები;
3. მართლმადიდებლური დიასპორას საკითხი ქართული წყაროების მიხედვით;
4. წმიდა და დიდი კრების მოსამზადებელი მართლმადიდებელთაშორისი კომისიის გადაწყვეტილება;
5. მცირე ცნობა რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის შესახებ.

მოძღვრება

თორმეტი მოციქული გვასწავლის:

„გზა არის ორი, ერთი სიცოცხლისა და ერთი სიკვდილისა. ამ ორ გზას შორის დიდი სხვაობაა. **სიცოცხლის გზა ამგვარია: პირველად შეიყვარე ღმერთი, შემოქმედი შენი, მეორედ - მოყვასი შენი, როგორც საკუთარი თავი, ყველაფერი ის რაც არ გსურს, რომ შეგემთხვეს, არც შენ შეამთხვიო სხვას...**

სიკვდილის გზა კი ამგვარი არის: ბოროტია ეს გზა და წყევლით აღსავსე: მკვლელობა, მრუშობა, გულისთქმა, სიძვა, ქურდობა, კერპმსახურება, ტაცება, ცრუმოწმეობა, ორგულობა, მზაკვრობა, ამპარტავნება, სიავე... გაფრთხილდი, ვინმემ არ აგაცდინოს გზას მოძღვრებისას (მოძღვრება თორმეტი მოციქულისა).

ძველი სწავლება ასეთია:

1. იყავი კეთილმსახური და მართლმადიდებელი;
2. იმედი გქონდეს ღმრთისა და გიყვარდეს მთელი გულით;
3. იყავი ერთგული წმინდა ეკლესიისა, ყოველი მისი განწესება წმინდად დაიცავი და ასევე წმინდა მამათა განწესება კეთილად შერაცხე;
4. გიყვარდეს შენი მშობლები, დაემორჩილე მათ და პატივი ეცი შენი შეძლებისამებრ, ეს მოგცემს შენ დღეგრძელობას;
5. იყავი კეთილის მოქმედი და ბოროტს გაექეცი;
6. იყავი ერთგული შენი სახელმწიფოს მეთაურის, შენი ქვეყნის და რჯულისა;
7. იყავი კეთილგონიერი, წინასწარ განჭვრიტე საქმის დასასრული, პატიოსანი საქმისთვის შენს დროს ნუ დაიშურებ;
8. იყავი პატივისმცემელი და მორჩილი შენი მღვდელთმთავრისა და მოძღვრისა;
9. განუსჯელად ნურაფერს გააკეთებ და როდესაც კეთილად განსჯი, საქმის კეთებას ნუღარ დააყოვნებ;
10. გიყვარდეთ ერთმანეთი, რადგანაც ერთი ერის შვილები ხართ და ერთი ქვეყნიდან ხართ გამოსულნი;
11. გიყვარდეთ თქვენი კეთილისმყოფელნი და თქვენი მოძულეებისათვის ილოცეთ;
12. როგორც შეგიძლიათ მუდამ ილოცეთ და ყოველდღე თქვით საუფლო ლოცვა მამაო ჩვენო;
13. იყავით მომთმენი, მოკრძალებული, თავდაჭერილი;
14. იყავი მშვიდი და ნუ იქნები კადნიერი;
15. იყავი ყველას მიმართ მართალი და სანდო;
16. სხვისი ნურაფერი გსურს და არ მოიპარო;
17. რაც გსურს, რომ გქონდეს იგი მიიღე შენი შრომით;
18. თუ გაღარიბდები ნუ შეგრცხვება, ითხოვე და თუ ვინმე რამეს მოგცემს მიიღე მადლობით.
19. თუ არ შეგიძლია ნუ აღუთქვამ;
20. აღთქმული უნდა შეასრულო;
21. იყავი მხნე და შრომის მოყვარე, სიზარმაცეა ყოველგვარი უბედურების საწყისი;
22. გიყვარდეს სწავლა;
23. უბედურების დროს ნუ შეძრწუნდები და ბედნიერების დროს ნუ დაუძლურდები;
24. იყავი კეთილისკენ მიდრეკილი და მოწყალე;
25. თუ იქნები კაცთმოყვარე ყველა შეგიყვარებს;

26. უფროსებს დაემორჩილე, თანასწორებთან კეთილად მოიქეცი, ხელქვეითებთან იყავი თავაზიანი.
27. მუდამ ილაპარაკე სიმართლე, ნურასდროს იტყვი სიცრუეს;
28. უსამართლობას ნუ ჩაიდენ;
29. ქვრივს და ობლებს ნუგეში ეცი;
30. სნეულებს მოუარე;
31. უცხონი შეიწყნარე;
32. პატიმრები მოიკითხე და მოინახულე.

იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ დაცული სწავლება ღვთისმსახურ იოანე ხელაშვილისა.

იქონიე სამი სათნოება: - სარწმუნოება, იმედი (სასოება) და სიყვარული. და მოგენიჭება შვიდი ნიჭი სულიწმიდისა: - შიში ღვთისა, ღვთისმსახურება, ძლიერება, ზრახვა, მეცნიერება და სიბრძნე.

ცხრა ნაყოფი სულიწმიდისა: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, სიტკბოება, სიკეთე, სარწმუნოება, მყუდროება, მოთმინება. იქონიე შვიდი საქმე სულიერო მოწყალებისა;

ცოდვილი მოაქციე, უმეცარს ასწავლე, გზას აცდენილს დაეხმარე, მწუხარეს ნუგეში ეცი, უსამართლობა მოითმინე, შემცოდეს აპატიე, ევედრე ღმერთს მოყვასისათვის.

შვიდ მომაკვდინებელ ცოდვას სათნოებით უწამლე: ამპარტავნებას – სიმდაბლით; ანგარებას – მოწყალებით; სიძვას – უმანკოებით; მრისხანებას – სიმშვიდით; უზომოთაღლობას – მარხულობით, შურს – სიყვარულით; სასოწარკვეთილებას – იმედით.

მიიღე ახალი აღთქმის საიდუმლოს შვიდი მადლი: ნათლისღებისა, მირონცხებისა, ზიარებისა, სინანულისა, ზეთისკურთხევისა, ქორწინებისა და მღვდლობისა. და გაიხარებთ და იმხიარულებთ, რამეთუ დიდია თქვენი გამოსასყიდი ცათა შინა (მათე 5,3-12).

ყოველი ადამიანი ღმერთის მიერ გამოჩენილია ცხონებისა და სასუფევლისათვის, ასევე ყოველი ერი (ხალხი) ღმერთის მიერაა შექმნილი დედამიწაზე ბედნიერებით საცხოვრებლად. ადამიანები მოვალენი არიან უყვარდეთ თავიანთი მოყვასი ანუ თავისი ერის შვილები და დაეხმარონ მათ. ძველი ქართველები თავიანთ შვილებს ასწავლიდნენ, რომ ჩვენ ქართველები, ვართ წმინდა ბიბლიაში მოხსენიებული ნოეს ძის იაფეტის შთამომავლები. ბიბლიის ძველი კომენტატორების თანახმად ძველი აღთქმის წიგნებში მოხსენიებულია ჩვენი პირველი წინაპრები: თობელი, მოსოხი და თარგამოსი (თოგარმა) (დაბადება, 10, 2-3). მათ წარღვნის შემდგომ შექმნეს დიდი ისტორია და კულტურა, ხოლო ჩვენ უფლისა და მაცხოვრის აღდგომის შემდგომ (I საუკუნიდან) მოხედა უფალმა ღმერთმა ქართველ ერს და თვით დედაღვთისმშობელს გადასცა საპატრონოდ. იესო ქრისტემ ამის შესახებ განუცხადა თავის დედას – არა უგულებელვყო ერი იგი საზეპურო“. ქართველი ერი მუდამ სიყვარულში იმყოფება, ბოლო ორი ათასი წლის მანძილზე მრავალი ერი და იმპერია გაქრა, მაგრამ ქართველმა ერმა ახლახან კიდევ ერთხელ აღადგინა თავისი ეროვნული სახელმწიფო და დაიმკვიდრა თავისი ვინაობა. ფსალმუნის სიტყვით რომ ვთქვათ: „ვითარცა ორბისა განახლდა სიჭაბუკე მისი“. ჩვენი ერი ერთიანი, მთლიანი და განუყოფელი იყო მოციქულებისა და წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დროისათვის მისი სახელმწიფო, დაარსებული ფარნავაზ მეფის მიერ გადაჭიმული იყო შავი ზღვიდან ვიდრე თითქმის კასპიის ზღვამდე მაგრამ შემდგომ შუა საუკუნეებში, ჩვენ ცოდვათა გამო, მაჰმადიანთა მოძალებისას

დაიშალა საქართველოს ერთიანი სახელმწიფო (XV-XVI საუკუნეებში), მის ადგილას წარმოიშვა რამდენიმე რეგიონალური პატარა სამეფო-სამთავრო. მათში მცხოვრები იქმდე ერთიანი და მთლიანი ქართველი ერი დაიშალა პატარ-პატარა ტომ-თემებად – ქართლელებად, კახელებად, იმერლებად, რაჭველებად, სვანებად, გურულებად, აჭარლებად და ა.შ. მაგრამ ღვთის მოწყალებით, როგორც აღვნიშნეთ 500 წლის შემდეგ, ამჟამად კვლავ აღსდგა ერთიანი საქართველოს სახელმწიფო და მიმდინარეობს ქართველი ერის კონსოლიდაცია – გამთლიანების ღვთივკურთხეული პროცესი. ქართველი ერი კვლავ აღსდგება, გამთლიანდება და აღორძინდება ღვთის სადიდებლად მისი შვილების ბედნიერებისათვის, რამეთუ უფალი ღმერთი ამთლიანებს, ხოლო ბოროტი ეშმაკი კი ჰყოფს და ანაწევრებს ქართველებს, მაგრამ „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ნუ დაუკარგავთ ქართველობასა და საქართველოს თქვენს შვილებს, თქვენს მომავალს, აღზარდეთ ისინი მშობლიური ქართული ეკლესიისადმი სიყვარულით, სანაცვლოდ, თანახმად ისტორიული მაგალითებისა, უფალი ღმერთი წყალობით მოგხედავთ თქვენ და დედა ღვთისმშობელი თავის კალთას გადაგაფაებთ. ამინ.

რჩევები უცხოეთში წამსვლელ ქართველებს

პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ეპისკოპოსმა ლეონტი მროველმა „ქართლის ცხოვრებაში“ წმინდა მამათა მიერ დაცული აღთქმა გადმოგვცა, რომელიც უფალმა იესო ქრისტემ თავის დედას - ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს მისცა ქართველი ერის შესახებ:

- „ჰოი, დედაო, ჩემო, არა უგუვებელვყო ერი იგი საზეპურო უფროის ყოველთა ნათესავთა მეოხებითა შენითა მათთვის.“

ქართველი ერის შესახებ მიცემული აღთქმის ხილულ ნიშნად უნდა ვიგულისხმოთ უფლის კვართი, რომელიც მისი ნებით ჩვენს ქვეყანას მოებარა. წმიდა ნინომ თავისი ღვთივგანბრძნობილი ყურადღება თავიდანვე მიაპყრო უფლის კვართს, რომელიც პირველი საუკუნიდანვე მცხეთაშია დაცული. სწორედ აქ, უფლის კვართზე დაეფუძვნა სამოციქულო საყდარი ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობლისა. უფლის კვართი ნიშანია საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერის მთლიანობისა და მუდმივი სიქადული ჩვენი ერისა. „იტყვის უფალი: „მე და მამა ჩემი ერთ ვართ“ (იოანე 10-30). სხვაგან მამისა, ძისა და სულიწმიდის შესახებ ვკითხულობთ: „ესე სამნი ერთ არიან“ (I იოანე 5,7). ეს საიდუმლო ერთიანობისა და განუყოფლობისა ასახულია სახარებისეულ ამბავში ქრისტეს კვართის შესახებ. კვართი არ გაუყვიათ და არ დაუნაწილებიათ, იგი მთლიანად ერთ ერს შეხვდა. ამასთან დაკავშირებით საღმრთო წერილი ამბობს: ხოლო კვართი იგი, რომელი იყო უკერველ ზეით გამოქსოვილ ყოვლად, თქვეს ურთიერთას: არა განვხიო ესე, არამედ წილ ვიგდოთ ამას ზედა, ვისიცა იყოს“ (იოანე 19. 23-24). ამ კვართის მამისაგან მაღლით ერთიანობა ჰქონდა მიცემული. მისი დანაწევრება არ შეიძლებოდა, მისი მცველი ერიც ერთხელ და სამუდამოდ მთლიანი და განუყოფელი უნდა დარჩეს. შეუძლებელია ქრისტეს სამოსი ჰქონდეს იმას, ვინც ქრისტეს ეკლესიას განშორდება. წმიდა კვიპრიანე თითქოსად წინასწარ ჭვრეტდა ბედს იმ ქართველებისა, რომელნიც ქართულ მართლმადიდებელ ან უფლის კვართის ეკლესიას განშორდნენ, უცხო ეკლესიებს მიეკედლნენ და დაკარგეს რა ეროვნული თვითშემეცნება, გადაგვარდნენ. როგორც ისტორიის კვლევა გვიჩვენებს, გრიგორიანი ქართველები გასომხდნენ, ბერძნული ეკლესიის მრევლად ქცეული ქართველები – გაბერძნდნენ, ხოლო XVIII-XIX საუკუნეებში რუსეთში ემიგრირებული ქართველები, მთელი რუსული ეკლესიისა – მიუხედავად თავიანთი უწარჩინებულესი გვარიშვილობისა, გარუსდნენ. ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმოა მესხეთის ქართველობის „გათათრება იმის შემდეგ, რაც დედა ქართული ეკლესიის წიაღი მიატოვეს და გამაჰმადიანდნენ. რა იყო მიზეზი დენაციონალიზაციისა? – საქართველოს ეკლესიისაგან ანუ, იგივეა, რაც უფლის კვართის ეკლესიისაგან განშორება!

ვითარცა სული და სხეული ერთ არსებას ქმნიან, ასევე ერთარსია ქართული ეკლესია და ქართველი ერი. სხეული წყვეტს სიცოცხლეს მისგან სულის განშორებისთანავე, მსგავსადვე ქართული ეკლეისიისაგან განშორებას არა მხოლოდ სარწმუნოებრივი დაცემა, არამედ ეროვნული გადაგვარებაც მოსდევს: „სცადე და მოსწყვიტე მზის სხივი თავის საწყისს – ცალკე ის ვერ იარსებებს, მოტეხილი ტოტი მოკვდება, სათავეს მოშორებული ნაკადული დაშრება. თავისი კვართის საიდუმლოთი უფალმა ეკლესიის ერთიანობაზე მიგვანიშნა. ვინ შეუპყრია ისე ძალუმად განხეთქილების ჩამოგდების ვნებას, რომ შესაძლებლად მიაჩნია, ანდა კადნიერება აქვს დაარღვიოს ღვთაებრივი ერთიანობა – უფლის კვართი ქრისტეს ეკლესიისა. თვით უფალი შეგვახსენებს და გვმოძღვრავს თავისი სახარებით - „და იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“. წმინდა ეპისკოპოსი ამ სიტყვებით გვამცნობს მიზეზს ქართულ ეკლესიას მოწყვეტილი ქართველების გადაგვარებისა.

ჭეშმარიტი სარწმუნოების „დაცვის“ მომიზეზებით ქართველთა ერთი ნაწილი დღეს მიმდევარი ხდება უცხო ეკლესიებისა თუ სექტებისა: „განა შეუძლია მას, ვინც არ იცავს ეკლესიის ერთიანობას ჩათვალოს, რომ სარწმუნოებას იცავს? ეს მაშინ, როცა პავლე მოციქული ამბობს ეკლესიის შესახებ: „ერთ ხორც, და ერთ სულ ერთ არს უფალი, ერთი სარწმუნოება, ერთი ნათლისღება, ერთ არს ღმერთი“. მტკიცედ უნდა დავიცვათ ეს ერთიანობა, ნურავის ტყუილს ნუ აჰყვება ჩვენი ძმობა, ნურავინ დაემუქრება სარწმუნოების ჭეშმარიტებას მუხანათური მზაკვრობით. ერთია ეკლესია, ერთი სამწყსო, ერთი დედა, ვინც განუდგება ეკლესიას, ის აკლდება ქრისტეს მიერ დაპირებულ ჯილდოს“, ნათქვამია იქვე.

სამწუხაროდ, ამჟამად ისევე, როგორც ძველად, ჩვენში შექმნილი ვითარების გამო მრავალმა ქართველმა მიაშურა უცხოეთს. მათ არ უნდა გაწყვიტონ კავშირი დედა ეკლესიასთან, თავიანთი თავი მხოლოდ ქართული ეკლესიის მრევლად, მის წევრად უნდა ჩათვალონ. წარღვნის შემგდომ უფალმა ღმერთმა დედამიწაზე სხვადასხვა ერების წარმოქმნა ინება. ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს ამაღლების შემდგომ სულიწმინდის მადლით მოციქულებს მიენიჭათ ნიჭი სხვადასხვა ერების ენებზე ამეტყველებისა. მსოფლიო მართლმადიდებლობა პატივს სცემს ყველა ხალხის ეროვნულ ნიშან-თვისებებს, ამიტომაც მართლმადიდებლური ეკლესიები, ეროვნული ნიშნის მიხედვითაა მოწყობილი. ადგილობრივი ეკლესიები თავიანთ მრევლს არა მხოლოდ თავიანთ ქვეყნებში, არამედ უცხოეთშიც მწყსიან. მაგალითად რუსულ ეკლესიას უცხოეთში, თავისი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, რვა მილიონიანი მრევლი ჰყავს. ეს იმას ნიშნავს, რომ უცხოეთში რუსეთის ძირითადი ნაწილი არ ხდება მრევლი, თუნდაც სხვა მართლმადიდებლური ეკლესიისა და თავის მშობლიური რუსული ეკლესიის მრევლად რჩება. თავიანთი ეროვნული ეკლესიები მრავალ ქვეყანაში აქვთ აგრეთვე ბულგარელებს, რუმინელებს და სხვა მართლმადიდებელ ხალხებს. ბერძნები, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი, ძირითადად მხოლოდ ბერძნული ეკლესიის წევრები ხდებიან (ე.ი. არ ინათლებიან, არ ლოცულობენ, არავითარ წესებს არ ასრულებენ სხვა ეკლესიებში და სულიერი კავშირი მხოლოდ ბერძენ (ბერძნული ეკლესიის) ღვთისმსახურებთან აქვთ. მსგავსადვე იქცევიან არამართლმადიდებელი ერებიც, მაგალითად, სომხებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანასა და დიდ ქალაქში აქვთ თავიანთი სომხური საეპისკოპოსოები.

სხვა ერებში ასიმილირებისაგან თავის ასარიდებლად მსგავსადვე უნდა მოიქცნენ უცხოეთში დღეს უკვე მრავლად მცხოვრები ქართველებიც. ისინი წევრნი უნდა იყვნენ მხოლოდ და მხოლდ ქართული ეკლესიისა, მათ ეროვნულ სარწმუნოებრივი თემები უნდა ჩამოაყალიბონ და ქართველი მღვდელმსახურები მოიძიონ, რომელიც იერარქიულად ქრისტეს კვართის ეკლესიას – საქართველოს საპატრიარქოს და მის მეთეურს, მოციქულის ტახტზე მჯდომ კათალიკოს-პატრიარქს დაექვემდებარება.

ძველად საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლამდე, უცხოეთის ქვეყნებში მრავლად არსებობდნენ ქართული ეკლესია-მონასტრები; ისინი არა მხოლოდ ქართული კულტურის კერებს, არამედ თავიანთი პირდაპირი დანიშნულების შესაბამისად უცხოეთში მცხოვრებ ქართველ მორწმუნეთა სამრევლო ცენტრებსაც წარმოადგენდნენ, საიდანაც ისინი სულიერად იმწყსებოდნენ. ეს ეკლესია-მონასტრები საქართველოს

სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწეთა მზრუნველობით იყვნენ მოცულნი.

ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდგომ მათ ყრადღებას ვეღარ აქცევდნენ, მრევლიც შესუსტდა და დაიფანტა. ამჟამად უცხოეთში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის იურისდიქციაში არც ერთი ქართული ეკლესია-მონასტერი აღარ არსებობს.

ბოლო წლებში ქართველთა რაოდენობის ზრდა უცხოეთში ძველი ტრადიციის აღდგენას საჭიროებს, რადგან მათ შთამომავლობას ეროვნული გადაგვარებისა და სხვა ერებში გათქვეფისაგან მხოლოდ ქართულ ეკლესიასთან სულიერი ერთობა გადაარჩენს. როგორც აღინიშნა, უცხოეთში, სხვადასხვა ქალაქებსა თუ რეგიონებში მცხოვრებმა ქართველებმა სულიერი ძალა უნდა მოიკრიბონ და ეროვნულ-სარწმუნოებრივი თემები და საზოგადოებები უნდა შექმნან. რაც მთავარია მათ უნდა გამოძებნონ და თემების სათავეში ჩააყენონ საქართველოს ეკლესიასთან იერარქიულად დაკავშირებული ღვთისმსახურები: მხოლოდ მას – ქართველ მღვდელს უნდა მოანათვლინონ შვილები, შეასრულებინონ ყოველგვარი სარწმუნოებრივი წესი. თუ ასეთი ერონულ-სარწმუნოებრივი თემები ეკლესიის აგებას ვერ შესძლებენ, ღვთისმსახურებისათვის მცირე შენობა ან ოთახი უნდა გამონახონ, სადაც ქართველი მღვდელი ილოცებს და ქარისტიანულ წესებს შეასრულებს. ქართველი ღვთისმსახურების გარშემო თანდათანობით ჩამოყალიბდა სასულიერო ცენტრი მცირე სკოლა, სადაც ქართველი ახალგაზრდები ქართულ წერა-კითხვას, ლიტერატურასა და სამშობლოს ისტორიას შეისწავლიან და უცხოეთშიც ქართული სულისკვეთებით აღიზრდებიან.

მსგავსადვე ფუნქციონირებენ უცხოეთში სხვა მართლმადიდებელი ერების სასულიერო კერები რომელნიც ისე არიან გაძლიერებულნი, რომ ეროვნული კოლეჯები, გამომცემლობები, სტამბები და სხვა დაწესებულებები აქვთ.

თავისთავად იგულისხმება, რომ საქართველოში მცხოვრები ყოველი ქართველი მოვალეა დაიცვას ეროვნული ეკლეისის ერთგულება, რადგან, როგორც ითქვა, უფალმა, მარადის მფარველმა ჩვენი ერისა, ქართული ეკლესიისაგან განდგომა საქართველოს არც ერთ შვილს არ აპატია. როგორც აღინიშნა, ქართული ეკლესიისაგან განშორებული ქართველები გათურქდნენ, გასომხდნენ, გარუსდნენ, გაბერძნდნენ ან ასიმილირდნენ სხვა ერებში. ვევედრებით ჩვენგან მარადის სადიდებელ ყოვლადწმიდა სამებას კვლავ წყალობით მოხედოს ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს ერს თანახმად ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს აღთქმისა და შეგვიწყალოს ჩვენ და უცხოეთში მცხოვრები ჩვენი ქვეყნის ყოველი შვილი ამინ.

მართლმადიდებლური დიასპორას საკითხი ქართული საეკლესიო წყაროების მიხედვით

მართლმადიდებელი ეკლესიები უკანასკნელი ასწლეულის მანძილზე გამოთქვამენ სურვილს მოწვეულ იქნას მსოფლიო საეკლესიო კრება. VII მსოფლიო კრების შემდეგ მართლმადიდებლობას დაუგროვდა მრავალი საკითხი, რომელთა განხილვა მსოფლიო საეკლესიო კრების კომპეტენციაა. როგორც ცნობილია, XX საუკუნის 20-იან წლებში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა მსოფლიო კრების მოსაწვევად, რომელიც არ შედგა. II მსოფლიო ომის გამო შენელებული მუშაობა განახლდა გასული საუკუნის 60-იან წლებში. ამჟამად რამდენიმე წელიწადში ერთხელ იწვევენ ე.წ. მსოფლიო კრების მოსამზადებელ თათბირები. ამ შეკრებათა მიზანია მოამზადოს მომავალ მსოფლიო კრებაზე განსახილველი საკითხები. სულ 10 საკითხი უნდა იქნას ამ მომავალ დიდ კრებაზე განხილული. მათ შორისაა მართლმადიდებელი დიასპორას საკითხები.

დიასპორა – ხალხის, ეთნიკური ერთობის მნიშვნელოვანი ნაწილის სამშობლოს გარეთ ცხოვრებაა, მსგავსადვე მართლმადიდებელ დიასპორას წარმოადგენს საკუთარი ეროვნული ეკლესიის გარეთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები მრევლი. მათი საეკლესიო იურისდიქცია ამჟამად სადავო საკითხია.

თითქმის ყველა ავტოკეფალურ ეკლესიას უცხოეთში გააჩნია სამრევლოები და საეპისკოპოსოები. მაგალითად რუმინეთის საპატრიარქოს თავისი საეპისკოპოსოები აქვს დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში, მსგავსადვე ბულგარეთის ეკლესიას ბულგარელი მრევლისთვის უცხოეთში გააჩნია თავისი საეპისკოპოსოები. რუსეთის საპატრიარქოს თავისი ეპისკოპოსები ჰყავს ევროპისა და ამერიკის მრავალ ქალაქში – ვენაში, ბერლინში, ბრიუსელში, არგენტინაში, სერბეთის საპატრიარქოს სერბი მრევლისთვის ეპისკოპოსები ჰყავს ამერიკაში, კანადაში, ავსტრალიაში, ევროპაში, უკრაინის ეკლესიასაც კი უცხოეთში ჰყავს თავისი ეპისკოპოსები, და ცხადია უამრავი საეპისკოპოსო აქვს კონსტანტინოპოლსა და სხვა საპატრიარქოებს.

აქედან ჩანს, რომ დღესდღეობით ისეთი ისტორიული სურათი ჩამოყალიბდა, რომ ქვეყანაში, სადაც არ არის ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესია, ქრისტიანები აარსებენ ეროვნული ნიშნის მიხედვით სამრევლოებს, კულტურულ ცენტრებს, რაც საბოლოოდ იწვევს საეპისკოპოსოების წარმოქმნას. საეპისკოპოსოები კი ეროვნული საპატრიარქოსა და ეკლესიების იურისდიქციის ქვეშ შედიან. ეთნიკური რელიგიურ-კულტურული ცენტრები და საეპისკოპოსოები ხელს უწყობენ უცხოეთში, უცხო გარემოში მცხოვრები ხალხის ეროვნულ-რელიგიური თვითშემეცნების, მართლმადიდებლური მრწამსის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

ეს ძირითადად შეეხება დასავლეთ ევროპისა და ამერიკის იმ ქვეყნებს, სადაც არ არის ადგილობრივი ავტოკეფალური ეკლესიები. ასეთ მდგომარეობას, ცხადია, გააჩნია დროებითი ხასიათი. ნორმალური საეკლესიო ცხოვრების მოწყობა აღნიშნულ ქვეყნებში საბოლოოდ მიიყვანს მათ ახალი ავტონომიური და ავტოკეფალური ეკლესიების წარმოშობამდე. მაგრამ ამ დრომდე დიასპორას იურისდიქცია რჩება რთულ საკითხად. იწვევს უთანხმოებასა და კამათს. ამ კამათის გადაწყვეტისას, ავტოკეფალურ ეკლესიათა შორის მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სხვადასხვა გარემოება, მათ შორის თვითონ დიასპორას ნება. 1872 წლის კონსტანტინოპოლის კრებამ განსაჯა ეთნოფილეტიზმი (Цыпин, Церковное право, с. 203), მაგრამ ფაქტია, რომ უცხოეთში მცხოვრები მართლმადიდებლები სამრევლოებს ქმნიან სწორედ ეროვნული ნიშნის მიხედვით. ასეთია რეალური ფაქტი. XX საუკუნეში მართლმადიდებელი დიასპორა ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში მრავალჯერ გაიზარდა მართლმადიდებელთა გადასახლებისა და, აგრეთვე, მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში სხვა აღმსარებლობის ქრისტიანთა გამოსვლის შედეგად. რამაც კიდევ უფრო გააღრმავა საეკლესიო იურისდიქციის გაყოფის პრობლემა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ წამოაყენა ახლა უკვე მოძველებული სწავლება მსოფლიო ანუ კონსტანტინოპოლის განსაკუთრებულ უფლებათა შესახებ დიასპორას მიმართ. კონსტანტინოპოლის სწავლებას, რომ პირადად მის იურისდიქციაში უნდა გადავიდეს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის დიასპორა, ამჟამად უარყოფილია

ადგილობრივი ეკლესიების უმრავლესობის მიერ. რუსული ეკლესია ამ სურვილს უწოდებს მთლიანად ახალსა და იქამდე ეკლესიის ისტორიისთვის უცნობ პრეტენზიას" (Цыпин, Церковное право, с. 203) კონსტანტინოპოლი ამ თავის სწავლების საფუძვლად მიუთითებს ქალკედონის კრების 28-ე კანონს. რუსულ ეკლესიას მიაჩნია, რომ არა ქალკედონის კრების 28-ე კანონის გამო იმყოფებოდა რუსეთის მრევლი ასწლეულების მანძილზე კონსტანტინოპოლის კანონიკური დაქვემდებარების ქვეშ, არამედ ძველთაგანვე მსოფლიო ეკლესიაში დაცული ნორმის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ეკლესია მომაქცეველი არაქრისტიანი ხალხისა, გადაიქცეოდა ახალი ეკლესიისათვის დედა ეკლესიად. რუსული ეკლესია მიიჩნევს, რომ ქალკედონის კრების 28-ე კანონის არსებობის მიუხედავად ივერიის ანუ საქართველოს ახალმოქცეული მრევლი IV ს.- დან იმყოფებოდა არა კონსტანტინოპოლის, არამედ ანტიოქიის იურისდიქციის ქვეშ, რაც თავისი მოსაზრების დამადასტურებელ მაგალითად მიაჩნია.

საქართველოს ეკლესიას ამჟამად უცხოეთში საეპისკოპოსოები არ გააჩნია, მაგრამ წარსულში თავისი დიასპორისათვის საქართველოს ეკლესიას გააჩნდა საკმაოდ მრავალი საეპისკოპოსო და ეკლესია-მონასტრები. ის გარემოება, რომ ამჟამად ჩვენს ეკლესიას თავისი მართლმადიდებელი დიასპორისათვის უცხოეთში არ გააჩნია კულტურულ - რელიგიური კერები გამოწვეულია გარე ეკლესიური პრობლემებით, კერძოდ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დაკნინებით XV საუკუნის შემდეგ და სახელმწიფოებრიობის გაუქმებით XIX-XX საუკუნეებში.

იქამდე, თითქმის მთელი შუა საუკუნეების მანძილზე უკვე IV-V საუკუნიდან უცხოეთის ქართულ დიასპორას ჩვენი ეკლესია სათანადო ყურადღებას აქცევდა. უცხოეთის ქართული დიასპორისთვის მცირე აზიის მრავალ მხარეში, რომელიც გამოირჩეოდა ეკონომიკური განვითარების მაღალი დონით, არსებობდა ქართული საეპისკოპოსოები. ესენი იყვნენ - ვალაშკერტის, დადაშენის, ანისის, კარის ანუ ყარსის, არზრუმის ქართული საეპისკოპოსოები ზოგჯერ საკმაოდ დაშორებულნი საქართველოს ეთნიკურ საზღვრებს. მაგალითად, ვალაშკერტის ქართული საეპისკოპოსო კათედრა მდებარეობდა ვანის ტბის სიახლოვეს მდინარე ევფრატუს სათვაეებში. მნიშვნელოვანი იყო დადაშენისა და ანისის საეპისკოპოსოები, დაარსებულნი როგორც ითქვა, უცხოეთის ამ მხარეში მცხოვრები ქართველი მართლმადიდებლებისთვის. არზრუმის ქართული საეპისკოპოსო ოსმალეთის იმპერიაში არსებობდა XVII საუკუნეშიც კი, გამაჰმადიანებას გადარჩენილი ქართველებისათვის ზოგიერთი მისაზრების თანახმად, წყაროებში ხშირად მოხსენებული „გოლგოთელი" იყო იერუსალიმში მდებარე გოლგოთას ქართული მონასტრის წინამძღვარი ეპისკოპოსის წოდებით. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი საეპისკოპოსოთაგან დაარსდა იქამდე, სანამ ამ მხარეთა მომცველი მიწა-წყალი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდოდა.

საქართველოს ეკლესია დიდ ყურადღებას უთმობდა თავის ეთნიკურ მრევლს შორეულ უცხოეთში. იერუსალიმში არა მხოლოდ ქართული მონასტრები არსებობდა და ქართველი ბერებისთვის, არამედ არსებობდა ქალაქის ეკლესიები ქართული საერო მრევლისთვის. ეს უცხოეთის ქართული ეკლესია-მონასტრები იყვნენ არა მხოლოდ სარწმუნოებრივი კერები სასულიერო პირებისთვის, არამედ ეროვნული ცენტრები უცხოეთში გადახვეწილი ქართველი საერო პირებისთვისთვისაც, რომელნიც აარსებდნენ და აფინანსებდნენ კიდეც მათ. ამის მკაფიო მაგალითია პეტრიწონის მონასტერი, რომელიც არა სასულიერო პირებმა, არამედ ქართველმა საერო მოღვაწეებმა გრიგოლ და აბას ბაკურიანის ძეებმა დააარსეს, რომელთაც მემატეანე „ქვეყნის ჩვენის მოქალაქეთ" უწოდებდა.

როგორც აღინიშნა, იერუსალიმში ქართველი მრევლისთვის IV ს.–დანვე არსებობდა ქართული ეკლესიები, როგორც ჩანს, ქართული ეკლესიის წევრთა რიცხვი ისე გაზრდილა წმინდა ქალაქში რომ მათთვის ქართველი ეპისკოპოსიც დაუნიშნავთ. ჩანს, მისი საყდარი უფლის საფლავზე აგებულ ვრცელ ტაძარში იყო, რომელიც გოლგოთასაც მოიცავდა. წმინდა გრიგოლ ფერაძის გამოკვლევის თანახმად, ქართველი ეპისკოპოსის სახელი III-IV ს. ბერძნული საფლავის ეპიტაფიას შემოუნახავს - „საფლავი (სამუილ) ქართველთა ეპისკოპოსისა და მონასტრისა, რომელიც მათ (ე.ი. ქართველებმა) დავითის

კოშკში შეიძინეს“ (გრ. ფერაძე, „ცნობები იერუსალიმის ქართული მონასტრების შესახებ“, 1925, გვ. 26). V-ს-ში იერუსალიმის „იაკობის ელესია“ ეპისკოპოს პეტრე იბერს აუგია, რომელიც VI ს-ში იუსტინიანეს აღუდგენია, ასევე ლაზების ეკლესია იორდანეს უდაბნოში (იქვე, გვ. 82). VII ს. სომეხ პილიგრიმს მოხსენებული აქვს „გოგარენთა (ე.ი. ქართველთა) მონასტერი“ (იქვე, გვ. 27). გრიგოლ ფერაძის სიტყვით, XI ს- ში იერუსალიმში ქართველი ეპისკოპოსი იჯდა, იგი წერს „გოლგოთას ნაწილი მიიღო ქართველთა მეფემ, ბაგრატ კურაპალატმა, რომელმაც იქ ქართველთა ეპისკოპოსი დანიშნა“ (იქვე, გვ. 28). „1050, 1583 და 1584 წლების ცნობათა მიხედვით ქართველი ეპისკოპოსები იყვნენ“ (იქვე, გვ. 93). XVI ს-დან იერუსალიმში იჯდა ორი ქართველი ეპისკოპოსი ერთი მცხეთის, მეორე კი აფხაზთა საკათალიკოსოდან (იქვე, გვ. 163). 1583 წ. „ჯვრის მონასტერში თვით ქართველმა ეპისკოპოსმა მიიღო სტუმრები და მოემსახურა მათ 1583 წ.“ (გვ. 124).

ეს იყო ხანა საქართველოს სახელმწიფოებრივი სიძლიერისა, როცა ქართულ დროშაზე გამოხატული იყო წმ. გიორგი.

წმ. გრიგოლ ფერაძე წერს: „როცა ქართველები წმინდა ქალაქში შედიოდნენ, ამაყად ფრიალებდნენ მათი დროშები, რომლებზეც ჯვარი და წმიდა გიორგი იყო გამოსახული“ (გრ. ფერაძე, ცნობები პალესტინის ქართული მონასტრების შესახებ, 1995, გვ. 120).

კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატეც აღნიშნავს: „საქართველოს ეროვნულ დროშაზე წმ. გიორგია გამოხატული“ (კალისტრატე ცინცაძე, ქაშვეთის ეკლესია“, 1994, 122, შენიშვნა 12).

როგორც აღინიშნა, ამჟამად უცხოეთში მართლმადიდებელი ეკლესიები აარსებენ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერებს, კერძოდ უქმნიან უცხოეთში მცხოვრებ თავიანთ თანამემამულეებს სავანეებსა და სასწავლებლებს, ბავშვებს ეროვნული სულისკვეთებით აღსაზრდელად, დედაენის დასაუფლებლად, აგრეთვე, პოლიკლინიკებსა და სატუმროებს. მსგავსადვე წარსულში, ქართული ელესიის ღვაწლით, პეტრიწონის მონასტერში არსებობდა ქართველი ყმაწვილებისთვის სემინარია, ქსენონი – მოხუცებისათვის, სასტუმროები ბიზანტიაში მცხოვრებ ქართველთა საჭიროებისათვის.

როგორც აღინიშნა, უცხოეთში ქართული საეპისკოპოსოების შექმნა შეწყდა XIX საუკუნის შემდეგ, რაც გაუქმდა საქართველოს ავტოკეფალია. ამის შემდეგ უცხოეთში გასული ქართველობა, როგორც წესი, მრევლი ხდებოდა უცხო ეკლესიებისა, რაც მათ ეროვნულ გადაგვარებას იწვევს. მშობლიური საეკლესიო გარემოს არარსებობის გამო ქართველები მიეკედლნენ არა მხოლოდ ბერძნულ და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებს, არამედ არამართლმადიდებლურ ეკლესიებსაც კი. კერძოდ, ქართველების ერთი ნაწილი უცხოეთში მიეკედლა სომხურ ეკლესიას. ეს შეუმჩნევიათ უცხოელ დამკვირვებლებსაც. ისტორიკოსი ევგენი დალეჯიო გაოცებული იყო იმით, რომ XX ს. დასაწყისში კონსტანტინეპოლში მცხოვრები ქართველები გადაიქცნენ სომხური ეკლესიის მრევლად და ამის გამო დაკარგეს ქართული თვითშემეცნება. ევგენი დალეჯიო წერდა ასი წლის წინ - „ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გამოგვიკვლევია, რამ აიძულა კონსტანტინეპოლის ქრისტიანი ქართველების ნაწილი უარეყოთ ქართველობა და სომხებად ეღიარებინათ თავი. ამ გადაგვარებულთა შორის შედარებით ცოტანი არიან, რომელთაც თავიანთი გვარი კიდევ ახსოვთ. სხვათა შორის დავასახელებ ცხადაიას, გურჯიანების, აზიზიანების, თუმანიანების, ზურაბიანების, ოჯახებს, რომლებიც თურმე არ უარყოფენ, რომ ქართველების შთამომავლები არიან, მაგრამ დღეს თავს ქართველებად აღარ აღიარებენ“ („ქართველები კონსტანტინოპოლსა და სპარსეთში“ თბ. 1990, გვ. 20).

ასი წლის წინ, XX ს. დასაწყისში ეს უცხოელი ისტორიკოსი მოუწოდებდა საქართველოში მცხოვრებ ქართველებს შეექმნათ უცხოეთში მცხოვრები ქართველებისათვის კულტურული დაწესებულებები, სადაც ყველა რწმენისა და მისწრაფების ქართველს თავისუფლად შეეძლება მისვლა და მუშაობა, როგორც ეს აქვთ სხვა ხალხთა ახალშენებს“ (იქვე, გვ. 20).

ამჟამად საბედნიეროდ, 200 წლოვანი შესვენების შემდგომ ჩვენმა ხალხმა კვლავ შექმნა ეროვნული სახელმწიფო, ამიტომაც უნდა გამოითქვას იმედი, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია,

აღადგენს თავის ძველ ტრადიციას და შორეულ უცხოეთში გასული თავისი მრევლისათვის შექმნის კულტურულ სარწმუნოებრივ კერებს სკოლებსა და საბავშვო ბაღებს, ქსენონებსა და სავანებს, ეკლესიებსა და საეპისკოპოსოებს, ეკლესიებსა და საეპისკოპოსოებს სადაც ქართველები განიმტკიცებდნენ მამაპაპეულ წმიდა სარწმუნოებას, შეისწავლიან ქართულ ენას და საქართველოს ისტორიას, ღირსეულად აღზრდიან თავიანთ ბავშვებს ჩვენი ეკლესიის მზრუნველობის ქვეშ. საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ დიასპორას საკითხი, რომელიც ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია, საბოლოოდ გადაწყდება მომავალ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, იქამდე კი მიმდინარეობს მუშაობა ამ საკითხის შესათანხმებლად.

წმიდა და დიდი კრების მოსამზადებელი მართლმადიდებელთაშორისი კომისიის გადაწყვეტილება მართლმადიდებლური დიასპორას საკითხთან დაკავშირებით

(შამბეზი, 7-13 ნოემბერი, 1993)

მართლმადიდებლური დიასპორას საკითხებთან დაკავშირებით „მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა და დიდი კრების მოსამზადებელი სამდივნოს“ მიერ გამოცემული წიგნის “Межправославная подготовительная комиссия Святого и Великого Собора, 7-13 ноября 1993 “ (Православный центр вселенской Патриархии, Шамбези, Женева, 1994) მიხედვით მსოფლიოში მართლმადიდებლური დიასპორის ორგანიზაციის საკითხების შესახებ უკანასკნელ ათწლეულებში გამოითქვა მრავალი მოსაზრება გამოჩენილი ღვთისმეტყველების, ღვთისმსახურების და ერისკაცთა მიერ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დიასპორას საკითხი შეტანილ იქნა მომავალ წმიდა და საეკლესიო კრების დღის წესრიგში (იხ. დასახ. ნაშრომი გვ. 24) აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ მომზადებული შრომების საფუძველზე რეკომენდაცია გაიცა დიასპორას საეკლესიო ორგანიზაცია მოეწყოს პირველი მსოფლიო კრებების მიერ დადგენილი სამიტროპოლიტო სისტემის შესაბამისად, ისე, რომ იგი არ შეეხოს დიასპორას ყველაზე უფრო მგრძნობიარე - ნაციონალურ მხარეს. საკითხი განხილულ იქნა „წმინდა და დიდი კრების მოსამზადებელი მართლმადიდებელთაშორისი კომისიის“ მიერ შამბეზში (ჟენევა) 1993 წლის 7-13 ნოემბერს. მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მთლიანობის შეუბღალაობის მიზნით გადაწყდა უცხოეთში არსებულ ეროვნულ დიასპორათა მიმართ დედა ეკლესიების ნაციონალური გრძნობები მთლიანად იქნას გათვალისწინებული (იქვე, გვ.24) ამავე დროს კომისიამ გადაწყვიტა მსოფლიოს ის ტერიტორიები, სადაც არ არსებობს ადგილობრივი ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიები, დაყოფილი იქნას რეგიონებად. ერთ რომელიმე ასეთ რეგიონში საეკლესიო კანონიკურ იურისდიქციას განახორციელებს ე.წ. „ეპისკოპოსთა კრება“, რომელშიც წარმოდგენილი იქნება რეგიონში არსებული დიასპორების ნაციონალური ეპისკოპოსები. საკითხის სრული გაგების მიზნით განმარტა, რომ აღნიშნულ „ეპისკოპოსთა კრება“ ბერძნულად იწოდება „ეპისკოპე სინელეფსის“, ფრანგულად „ანსამბლე ეპისკოპალ“, რუსულად „სობარნაია“ და ა.შ. გადაწყდა, რომ შეიქმნას სულ 8 რეგიონი.

რეგიონები, რომლებშიც შეიქმნება „ეპისკოპოსთა კრება“ არის შემდეგი:

1. ჩრდილო და ცენტრალური ამერიკა;
2. სამხრეთ ამერიკა;

3. ავსტრალია;
4. დიდი ბრიტანეთი;
5. საფრანგეთი;
6. ბელგია და ჰოლანდია;
7. ავსტრია და იტალია;
8. გერმანია;

რეგიონში „ეპისკოპოსთა კრებას“ ქმნიდნენ ამ რეგიონში მყოფი კანონიკურად აღიარებული ეპისკოპოსები, ამასთანავე ისინი აგრძელებდნენ კანონიკური იურისდიქციისადმი დაქვემდებარებას (იქვე, გვ. 27) მაგალითად „ავსტრალიის“ რეგიონში მყოფი რუმინული დიასპორას ეპისკოპოსი, რომელიც კანონიკურად არის აღიარებული რუმინეთის საპატრიარქოს მიერ, ვითარცა მისადმი დამორჩილებული, შეყვანილი იქნება აღნიშნული „ავსტრალიის რეგიონის“ ეპისკოპოსთა საბჭოს წევრად. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ რეგიონის ეპისკოპოსთა საბჭოს წევრად არჩეული დიასპორას ეპისკოპოსი უნდა ცხოვრობდეს დიასპორაში და უნდა გააჩნდეს სამრევლო მოცემულ რეგიონში (იქვე, გვ. 218).

კომისია რეგიონალურ ეპისკოპოსთა საბჭოს განიხილავს ვითარცა გარდამავალ სტადიას. საბოლოოდ კი ალბათ, რეგიონებში თანდათანობით ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი, ავტოკეფალური ეკლესიები ეროვნულ დიასპორათა ენობრივი ნაციონალური და სხვა კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით (იქვე, გვ. 28). რეგიონებში შესაძლო ავტოკეფალურ ეკლესიათა ჩამოყალიბება სასურველია მოხდეს წმინდა და დიდი კრების საეკლესიო კრების მოწვევამდე. აღინიშნა, რომ ერთ რომელიმე ადგილზე (ქალაქში ან ოლქში) უნდა იყოს მხოლოდ ერთი ეპისკოპოსი (I მსოფლიო კრების კანონი). გადაწყდა, რეგიონის „ეპისკოპოსთა კრების“ („კონფერენციის“) მუშაობა წარმართება დიპტიხის შესაბამისად, დიპტიხში პირველის, კონსტანტინოპოლის ეკლესიის მღვდელთმთავრის თავჯდომარეობით, მისი არ ყოფნის შემთხვევაში დიპტიხის რიგის შესაბამისად. რეგიონის ეპისკოპოსთა კრებამ უნდა ჩამოაყალიბოს აღმსრულებელი კომიტეტი ამ რეგიონის სხვადასხვა იურისდიქციის პირველი იერარქების მიერ (მაგალითად, თუ ავსტრალის რეგიონში არის რამდენიმე რუმინელი ეპისკოპოსი, აღმასრულებელ კომიტეტში შევა მათ შორის პირველი).

1993 წლის 7-13 ნოემბრის „მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა და დიდი კრების მოსამზადებელი კომისიის“ მუშაობაში მონაწილეობდნენ მსოფლიო (კონსტანტინოპოლის), ალექსანდრიის, ანტიოქიის, რუსეთის,სერბეთის,რუმინეთის,ბულგარეთის საპატრიარქოების,კვიპროსის,ელადის,პოლონეთის,ალბანეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის ეკლესიათა წარმომადგენლები. ამ შეხვედრას აღნიშნული წიგნის მიხედვით, ქართული ეკლესიის დელეგაცია არ ესწრებოდა. კრების მონაწილე ეკლესიებმა აიღეს ვალდებულება არაფერი იმოქმედონ ზემოაღნიშნული დიასპორას საკითხის გადაწყვეტის პროცესის დასაბრკოლებლად, მათ შორის დიასპორაში უკვე არსებულ ეპარქიათა გარდა ახალთა შესაქმნელად. ეს ვალდებულება არ ეხება საქართველოს ეკლესიას, რადგანაც მისი დელეგაცია არ ესწრებოდა აღნიშნულ კრებას.

1993 წლისთვის უცხოეთში ქართული მართლმადიდებელი დიასპორა თითქმის არ არსებობდა, ამდენად ჩვენი ეკლესიისათვის დიასპორას საკითხი არ იყო აქტუალური, მაგრამ, რადგანაც XX ს. 90-იანი წლების შემდეგ საბჭოთა კავშირის დაშლისა და იქამდე არსებული საზღვრების გაუქმების კვალდაკვალ უცხოეთში თითქმის მილიონი ქართველი გადავიდა საცხოვრებლად, სასწავლებლად და სამუშაოდ შესაბამისად, უნდა ჩამოყალიბდეს ქართული მართლმადიდებელი საეკლესიო დიასპორა. სამომავლოდ მას ისეთივე ყურადღება უნდა მიაპყროს საქართველოს ეკლესიამ, ვითარცა თავის უცხოეთში მცხოვრებ ეთნიკურ მრევლს აქცევენ სხვა მართლმადიდებელი ეკლესიები. უსათუოდ, მათი მაგალითის შესაბამისად, უცხოეთში უნდა წარმოიქმნას და ჩამოყალიბდეს ქართული სამრევლოები საქართველოდან გასული მართლმადიდებელი მრევლისათვის. სასწრაფოდ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ რეგიონში უნდა ჩამოყალიბდეს თუნდაც ერთი ქართული საეპისკოპოსო საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ, რათა

ქართველი ეპისკოპოსიც შევიდეს „რეგიონის ეპისკოპოსთა საბჭოში“. რეგიონის ქართველმა ეპისკოპოსებმა უნდა დაიცვას უცხოეთის ქართველი მრევლის ენობრივი, ნაციონალური, და კულტურული სახე, რასაც მოითხოვს კიდეც 1993 წ. შამბეზის აღნიშნული კომისიის სულისკვეთება.

წმიდა სახარებისეული იგავის მიხედვით, რომელიც შეეხება „მეათერთმეტე მუშაკის“ გულმოწყალე ანაზღაურებას, საქართველოს ეკლესიას უფლება აქვს გაიხაროს უცხოეთში თავისი საეპისკოპოსოების დაარსებით. იგულისხმება, რომ ყველა მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიას უცხოეთში აქვს ეროვნული საეპისკოოსო, რომელთა ეპისკოპოსები ქმნიდნენ კიდეც „რეგიონების ეპისკოპოსთა საბჭოებს“, მათ მსგავსად ეს უფლება მიცემული აქვს ქართულ ეკლესიასაც.

როგორც ზემოთ აღინიშნა დასავლეთ ევროპასა, ამერიკასა და ავსტრალიაში ყალიბდება 8 მართლმადიდებლური რეგიონი „ეპისკოპოსთა კრების“ კანონიკური ხელმძღვანელობით და, შეთანხმების თანახმად ეპისკოპოსთა კრებასა და მის აღმსრულებელ კომიტეტში მსოფლიოს ყველა დიასპორას ეკლესიას ეყოლება თავისი წარმომადგენელი ეპისკოპოსი, სამწუხაროდ ქართველი ეპისკოპოსის გარდა, რადგანაც მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს არა ჰყავს უცხოეთში თავისი ეპისკოპოსი. ამის გამო სასურველია რვავე ზემოაღნიშნულ რეგიონში დროულად დაარსდეს ქართული საეპისკოპოსოები, რისთვისაც საჭიროა დიასპორაში მცხოვრები ქართველების საეკლესიო აქტიურობა, რაც მათ მიერ ქართული ეკლესიების (სამრევლოების) დაარსებით უნდა გამოიხატოს, ეს ეკლესიები იქცევიან კიდეც დიასპორას ქართული საეპისკოპოსოების დაარსების საფიძვლად.

რვავე დასახელებულ რეგიონში (ჩრდილო და ცენტრალურ ამერიკაში, ავსტრალიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ბელგიასა და ჰოლანდიაში, ავსტრიასა და იტალიაში, გერმანიაში) მცხოვრბმა ქართველებმა თავიანთი სიყვარული ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტესა და ქართველთა მფარველ დედა ღვთისმშობლის მიმართ უნდა გამოხატონ ქართული ეკლესიების, ქართული მართლმადიდებლური სამრევლოების დაარსებით, რაც საფუძვლად იქცევა შთამომავლობის გამრავლებისა, კეთილდღეობისა და ღვთისგან კურთხევისა მშობლიური ენისა და კულტურის შენარჩუნებით. ეს საფუძველი გახდება რვავე დასახელებულ რეგიონში ქართული საეპისკოპოსოების დაარსებისა, ქართულ დიასპორათა განმტკიცება-გაძლიერებისა.

ჩვენდა სასიხარულოდ მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იურისდიქციაში ამჟამად უკვე შევიდა უცხოეთში ქართული დიასპორას ახლახანს დაარსებული ეკლესიები ქ. ბრიუსელში (ბელგია) წმიდა თამარ მეფის სახელობისა, ქ. მიუხენში (გერმანია) წმიდა ვახტანგ გორგასლის სახელობისა, ქ.სტრასბურგში წმ. ქეთევანის სახელობისა, ქართველ მღვდელს ელოდება ქართული სამრევლოები ქ. ჰამბურგში (გერმანია), ქ. დიუსელდორფში (გერმანია), ქ. ლონდონში, ქ. ჟენევასა და ქ. ლიონში. ყოველმხრივ უნდა შეეწყოთ ხელი მათთვის მზრუნველ და მათ დამაარსებელ ქართველებს. ამ სამრევლოებსა და ეკლესიებში მოღვაწე და თავდადებულ და გულმხურვალე საეკლესიო პირებს, რომელთაც იციან თუ რა მძიმე მდგომარეობაშია უცხოეთში მცხოვრები ქართველობა, რომელთაც არ მიატოვეს ისინი ამ მძიმე გასაჭირში და ვითარც კეთილმა მწყემსებმა მოიძიეს და უპატრონეს საქართველოდან უცხოეთში გადაკარგულ თავის ხალხს, თავის მრევლს. კეთილი მწყემსის მაგალითის შესაბამისად ბოლო წლებში საქართველოდან უცხოეთში გასულ თითქმის მილიონ ქართველს უნდა მიხედონ ქართველმა სასულიერო პირებმა, ქართველობა და მართლმადიდებლობა შეინარჩუნონ მათ.

მცირე ცნობა რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის შესახებ

1917 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთი მიატოვეს ,,უწმიდესი სინოდის" წევრებმა და მათ უცხოეთში შექმნეს ახალი რუსული ეკლესია, რომელიც დაუპირისპირდა მოსკოვის საპატრიარქოს ამიტომაც დღეისათვის რუსეთს ჰყავს არა ერთი, არამედ ორი ეროვნული ეკლესია. პირველი - მოსკოვის საპატრიარქო, რომელიც კეთილგანწყობილია საქართველოს ეკლესიის მიმართ (მან ჯერ კიდევ უწმიდესი კალისტრატეს დროს (1943 წ.) ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, მისი საპატრიარქო ღირსება და მეექვსე ადგილი მსოფლიო მართლმადიდებლურ დიპტიხში), ხოლო აღნიშნული მეორე, რუსეთის ემიგრანტული ეკლესიაა, არათუ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიას სცნობს, არამედ საქართველოს სახელმწიფოებრიობასაც კი არ აღიარებს, ეკლესიურად მთელი კავკასიისა და მათ შორის საქართველოსაც თავის იურისდიქციაში შემავალ ტერიტორიად მიიჩნევს. ეს კარგად გამოჩნდა 1993 წლის 27 სექტემბრის სოხუმის დაცემის შემდგომ, როცა აფხაზეთი იძულებით დატოვა ქართულმა სამღვდელოებამ, რუსებმა უკანონოდ მაშინვე აფხაზეთში შეაგზავნეს თავისი სამღვდელოება. ამჟამად აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონშიც ქართული სამღვდელოების ნაცვლად მოქმედებს რუსეთის ემიგრანტული სამღვდელოება.

რუსული ემიგრანტული ეკლესია უმდიდრესია, მისი აქტიური მრევლი აჭარბებს ორ მილიონ ადამიანს, უცხოეთში აქვს გამომცემლობები, უმაღლესი სასწავლებლები, სასულიერო ცენტრები, საეპისკოპოსოები. დიდი გავლენა აქვს მსოფლიო ეკლესიაზე და, ცხადია საქართველოშიც მძლავრად შემოაქვს თავისი ლიტერატურა და ფინანსები, ცდილობს ქართველთა მიმართ გააგრძელოს საქართველოს საეგზარქოსოს გამარუსებელი სარწმუნოებრივი დამოკიდებულება, რომელსაც შესანიშნავად აღგვიწერს უწმიდესი კალისტრატე. მისი გავლენის ქვეშ მოექცა ჩვენი ეკლესიის სასულიერო პირთა ის ნაწილი, რომლებიც 90-იანი წლების ბოლოს შეეცადა განხეთქილების შემოტანას ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიაში თუ რა დიდი ძალისხმევა დასჭირდა მის დაძლევას, ჩანს საპატრიარქოს პრესცენტრის მიერ გამოცემულ სხვადასხვა განცხადებასა და მიმართვაში, რომელნიც თავისთავად გახლავთ ჩვენი უახლოესი საეკლესიო ისტორიის წყაროები. ასეთია მაგალითად ,,საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში განხეთქილების შემოტანის მცდელობის შესახებ" (1997), ,,საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის განცხადებები (1997-98წ.) ,,მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის არსებული საღვთისმეტყველო კომისიის განცხადება", ,,ათონის ბერების პასუხი (1998წ.) და სხვა მრავალი. სამომავლოდ მსგავსი განხეთქილების ასაცილებლად უწმიდესი კალისტრატესა და სხვა ჩვენი ქართული მღვდელთმთავრების შრომების გამოცემებს უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რათა ჩვენმა მრევლმა შეინარჩუნოს მამა-პაპეული ჭეშმარიტად ქართული მართლმადიდებლური სული, ის მადლი, რომლის შესახებაც კირიონი ბრწყინვალედ წერს: ,,ქართველებმა ოდითგანვე თავიანთი ცხოვრება ააგეს ქრისტიანულ საწყისებზე და ქრისტიანობას მისცეს თავიანთი ეროვნული ხასიათის ნიშნები: ლმობიერება, გულითადობა, უბოროტობა და მდგრადობა, ხოლო რუსებმა, რომლებმაც შეითვისეს გარეგნული წესები ძირითადად განავითარეს დისციპლინა-საეკლესიო განაწესი, გარეგნული კეთილსახოვნება; ,,რუსების უმრავლესობისთვის,- ამბობს მ. მენშიკოვი,- რწმენა არის ჩვეულება და არა ზნეობრივი მრწამსი" (,,ჯვარი ვაზისა", 1990წ., №3, გვ. 63, შენიშვნა-2). ეს სიტყვები კირიონმა უშიშრად განაცხადა პეტერბურგში წმიდა სინოდის წინაშე, 1906 წელს. ვილოცოთ, რათა კირიონის დიდი თანამოღვაწის უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს ნაშრომების გამოქვეყნებით ჩვენს თანამედროვე ქართველ მრევლს და დაუბრუნდეს ეროვნული ხასიათის ნიშნები - ,,ლმობიერება, გულითადობა, სითბო, უბოროტობა და მთლიანობა განაგდოს ,,გარეგნული კეთილსახოვნება", შეძლოს ქრისტიანული რწმენის შინაგანი გათავისება. როგორც წმიდა მოციქული პავლე გვასწავლის ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში (13,7), ჩვენ, მორწმუნენი, ვალდებული ვართ, მოვიხსენოთ ჩვენი სულიერნი წინამძღვარნი იგი თქვენნი, რომელი გეტყოდეს თქვენ სიტყვათა მათ ღმრთისათა და ჰხედავდით გამოსვლასა მის ცხოვრებისა მათისასა, და ჰბაძავდით სარწმუნოებასა მათსა". ასეთია ჩვენთვის უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, რომლის ლოცვაც მარადის შეეწევა ჩვენი მაცხოვრის წინაშე ქართველ ერს, ამინ.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს წმიდა სამოციქულო და მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები

"საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას" უძველესი დროიდან "საქართველოს სამოციქულო ეკლესიაც" ეწოდებოდა, ვინაიდან იგი ქრისტეს მოციქულებმა დააფუძნეს.

წმ. მოციქულთა ეპოქაში, I საუკუნის 30-იანი წლებიდან II საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლით, იბერია ძლიერი სახელმწიფო იყო, რომელიც კავკასიის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავდა. რომაელი ისტორიკოსები – ტაციტუსი, დიონ კასიუსი და სხვები აღწერენ იბერიის ცხოვრებას (ტაციტუსის ცნობით I ს. 30-იანი წლებიდან იბერია მეგობრობდა რომთან და თავისი ძლიერი ჯარით ებრძოდა პართიის სახელმწიფოს, რათა არმენია მათგან გაეთავისუფლებინა. პართიელთაგან გათავისუფლების შემდეგ არმენიაში გამეფდა იბერთა მეფის მითრიდატეს ძე, შემდეგშიც იბერიის სამეფო სახლის წევრები მართავდნენ არმენიას, მათ შორის ტაციტუსი გამოყოფს იბერიის მეფის ფარსმანის ვაჟს რადამისტს. ტაციტუსის ცნობითვე არმენიასთან ერთად იმჟამად „იბერიამ შეიერთა ალბანია და უხმო სარმატებს" (CORNELIUS TACITUS, ANNALES, VI,33-36, IX,9, XII,15-50). მეორე ისტორიკოსის დიონ კასიუსის ცნობით II ს. პირველ ნახევარში „იბერიის მეფე ფარასმანესი როცა მეუღლესთან ერთად რომში ჩამობრძანდა ადრიანემ (რომის იმპერატორმა) გააფართოვა მისი სამფლობელოები" (დიონ კასიოსი, რომის ისტორია, XIX, 15).

ძველი ქართული საეკლესიო წყაროების „მოქცევაი ქართლისაის" (VII-IX სს.) და „ქართლის ცხოვრების" (VIII-XI სს.) ცნობებით წმიდა მოციქულების ეპოქაში თანამედროვე საქართველოს ტერიტორიას მოიცავდა სახელმწიფო - „ქართლის სამეფო", რომელსაც უცხოელები იბერიას უწოდებდნენ, ის იყო მემკვიდრე დიდი ისტორიული კოლხიდისა.

ძველი ქართული საეკლესიო წყაროებისა და რუის-ურბნისის კრების განსაზღვრებით ჩამოყალიბების თანავე საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა სრულიად საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი და მთელი ქართველი ერი (მცხოვრები როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში). ამიტომაც ნაბრძანებია რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში - **„წმიდა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა"**, ხოლო წმიდა ნინომ **„განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა"** (დიდი სჯულისკანონი, 1974, გვ. 545-546).

ჩვენი წყაროების ამ მითითებებს მთლიანად ეთანხმებიან IV-V და სხვა საუკუნეების უცხოური წყაროები.

კერძოდ, IV საუკუნის ეკლესიის ისტორიკოსი გელასი კესარიელი წმ. ნინოს შესახებ წერს – იმპერატორ კონსტანტინეს ***ხანაში „ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არა სწამდათ. ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ"*** *(გეორგიკა, I, 1961, გვ. 186).*

ამასვე წერს V საუკუნის ისტორიკოსი გელასი კვიზიკელიც – „ამავე დროს ***პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა ღმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე არ სწამდათ შეიწყნარეს"*** *(მიმომხილველი, I, 1926, გვ. 55).*

მაშასადამე გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებით, მთელმა ქართველმა ერმა, როგორც ზღვისპირეთში მცხოვრებლებმა (ლაზებმა), ისე ქვეყნის დანარჩენ ნაწილში მცხოვრებლებმა (იბერებმა), ერთდროულად მიიღო „ღვთის მცნება" წმიდა ნინოს მიერ. იბერთა მოქცევის ფაქტს აღწერენ ახ. წ. IV-V საუკუნეების ისტორიკოსები: სოკრატე (საეკლესიო ისტორია, წიგნი I, 19), თეოდორიტოს კვირელი (ეკლესიის ისტორია, წიგნი I, 1, 23.), სოზომენე (საეკლესიო ისტორია, წიგნი I, 6, 7, 34, 36) და რუფინუსი (საეკლესიო ისტორია, I, 10).

გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებს, რომ წმიდა ნინომ მოაქცია ლაზებიც იბერებთან ერთად, ეთანადება V საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის **მოვსეს ხორენაცის** ცნობა, ის წერს, ვრცელი არეალი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე მოქცია წმიდა ნინომ, რომელმაც იქადაგა კლარჯეთიდან ვიდრე კასპიის ზღვიპირეთში იმჟამად მცხოვრებ მასქუთებამდე – **„სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა... გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა, მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“** (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

აგათანგელოზის ცნობითაც, მოვსეს ხორენაცის სიტყვით, წმიდა ნინოს უქადაგნია შავი ზღვისპირეთიდან - კლარჯეთიდან, ვიდრე კასპიის ზღვამდე (მასქუთებამდე).

საქართველოს პროვინცია კლარჯეთი მდებარეობდა შავი ზღვისპირზე, ხოლო მასქუთების ტომი წმიდა ნინოს ეპოქაში ცხოვრობდა კასპიის ზღვისპირზე, ამ არეალზე იქადაგა წმ. ნინომ ხორენელის ცნობით.

დასავლეთ საქართველო კლარჯეთის ჩრდილოეთით მდებარეობდა და ამ ცნობებითაც წმ. ნინოს სამოღვაწეო არეალში, შედიოდა. დასავლეთ საქართველო შემდეგ საუკუნეებშიც საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, რადგანაც კირიონ კათალიკოსი (VI–VII სს) ეგრისის არქიეპისკოპოსიც იყო იოანე სომეხთა კათალიკოსის ცნობის (899 წ.) თანახმად. ის წერს - კირიონ I იყო მამამთავარი **„იბერიელთა, გუგარელთა და ეგრისელთა ადრინდელი წესის შესაბამისად“** (იოანე კათალიკოსის (დრასხანაკერტელის) მატიანე, 1912, გვ. 65).

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობილი ისტორიკოსის **უხტანესის** ცნობები, რომელიც ეხება საქართველოს ეკლესიის ისტორიას VIII-X სს. უხტანესი თანამედროვე იყო მის მიერ აღწერილი ამბებისა.

ქართული წყაროებით კი, როგორც აღინიშნა, დასავლეთ საქართველო გაქრისტიანებიდანვე უწყვეტად საქართველოს (მცხეთის) საეკლესიო იურისდიქციაში შედიოდა. ქართული წყაროები ამ კუთხით საგანგებოდ შეისწავლა ივ. ჯავახიშვილმა და დაასკვნა - **ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს გამნტკიცებისა და აღორძინებისათვის იღწვოდნენ“** (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 47). **„ეს არის ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ დადგენილი და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებული შემეცნება“** (იქვე, გვ. 97).

„მოქცევაი ქართლისაის“ ცნობით, V საუკუნის 60-70-იან წლებში, ვახტანგ გორგასლის ეპოქაში, საქართველოს ეკლესიის მეთაურს მამამთავრის ტიტული ჰქონია (სიტყვა „მამამთავარი“ იდენტურია სიტყვა „პატრიარქისა“). აქ პირველ კათალიკოსს პეტრეს მამამთავარი ეწოდება - **„აქაითგან იწყეს კათალიკოსთა მამამთავრობად“**(ძეგლ, I, 1964, გვ. 93).

ვახტანგ გორგასალმა ინება, რომ საქართველოს ეკლესია მოწყობილიყო როგორც ერთიანი, ცენტრალიზებული, სამამამთავრო ეკლესია, ე.ი. დედაქალაქის (მცხეთის) ეპისკოპოსი საქართველოს ეკლესიისათვის საყოველთაო ეპისკოპოსი ანუ კათალიკოსი გახდა (ბერძნ. სიტყვიდან - „კათოლოს“ - საყოველთაო).

ქადაგებათა შემდგომ IV–VII სსში საქართველოს ყოველ ნაწილში ჩამოყალიბდა ათეულობით ეპარქია და საეპისკოპოსო. მათი რიცხვი გასაკუთრებით გაიზარდა VIII-X სს-ში, ამის გამო, წარმოიქმნა საჭიროება, რათა საქართველოს ეკლესიაში ეპარქიათა მართვის გაადვილებისათვის ჩამოყალიბულიყო რამდენიმე საეკლესიო ადმინისტრაციული ოლქი, მსგავსნი ბიზანტიური სამიტროპოლიტო ოლქებისა. ამ მიზნით, **ქართული ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდა დასვლეთ საქართველოს მომცველი საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც „ქვემო ივერიის“ ანუ აფხაზეთის საკათალიკოსო ეწოდებოდა.** მის მმართველს „უმრწემესი კათალიკოსის“ ტიტული მიენიჭა, რადგანაც

„უხუცესი კათალიკოსი“ მცხეთის პირველიერარქს ერქვა.

ძველ საქართველოში საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულის დაარსების უფლება ეკუთვნოდა მეფეს, ამიტომაც აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებას ესაჭიროებოდა დასტური სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან და მართლაც, საქართველოს მეფე ბაგრატ ბაგრატიონმა (IX ს.) გასცა ამის დასტური.

ამიტომაც წერს მემატიანე შემდეგს: **„ამან ბაგრატ განაწესა კათალიკოზი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ 830 წელს“** (ქართლის ცხოვრება, 1955, I, გვ. 255).

აფხაზეთის საკათალიკოსო აღმოცენდა ქართველ მეფეთა და პირველიერარქთა ნებით და ის შემდგომში ყოველთვის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ-საეკლესიო ოლქს წარმოადგენდა ზოგადქართული ეკლესიისა.

აფხაზეთის საკათალიკოსო, ისტორიულად ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, რომლის მეორე ნაწილი იყო ქართლის საკათალიკოსო.

ასევე, შემდგომ საუკუნეებში, ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების კვალდაკვალ, ჩამოყალიბდა ხუნძეთის (დაღესტნის) სამიტროპოლიტო ოლქი, რომელსაც ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი კათალიკოსი მართავდა, ამის თქმის უფლებას იძლევა ის, რომ სინას მთის ქართულმა ხელნაწერებმა შემოინახეს „ხუნძელი კათალიკოსის ოქროპირის“ სახელი, ამასთანავე ცნობილია, რომ კავკასიის ამ რეგიონში რამდენიმე საეპისკოპოსო მოქმედებდა (ანწუხისა, წახურისა, ჭარ-ფიფინეთისა და სხვა), არქეოლოგების მიერ დადასტურებულია ამ რეგიონში მრავალი ქრისტიანული ეკლესიის ნაშთი ქართული წარწერებით. სხვა ქრისტიანულ ნაშთებთან ერთად აღმოჩენილია IX-X სს. სეფისკვერის ქვის საბეჭდავიც კი ასევე ქართული წარწერებით.

სამხრეთ საქართველოსა და ჩრდილო სომხეთში მცხოვრები მრევლისათვის ასევე დაარსებული იქნა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული - „სომხითის სამიტროპოლიტოს“ სახელწოდებით.

საქართველოს საპატრიარქოში შემავალი რამდენიმე საკათალიკოსო (ქართლისა, აფხაზეთისა, ხუნძეთისა) და მრავალათეული საეპისკოპოსო ქმნიდა ერთიან ქართულ ეკლესიას.

ზოგად ქართული ეკლესიის მთლიანობა მიიღწეოდა საერთო საეკლესიო სამართლით, საერთო სჯულისკანონით, საერთო ქართული საღვთისმსახურო ენით, საერთო ტრადიციებითა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთო მეთაურობით.

აღნიშნულ საკათალიკოსოთა ზემდგომი საეკლესიო ინსტიტუტი იყო საერთო სჯულისკანონის და საეკლესიო სამართლის შემმუშავებელი საქართველოს საეკლესიო კრებები. სრულიად საქართველოს პატრიარქის მოვალეობა იყო უზრუნველეყო სრულიად საქართველოს ეკლესიაში (ე.ი. ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში და სხვა საეკლესიო-ადმინისტრაციულ ერთეულებში) საერთო სჯულისკანონის დაცვა.

აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსთა მონაწილეობით საეკლესიო კრებების მიერ გამოცემულ კანონებს მთელს საქართველოში (ცხადია აფხაზეთშიც) სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა (მათ შორის სამოქალაქო სამართლის სფეროშიც). მაგალითად, XVI ს-ის საეკლესიო სამართლის ძეგლში, რომელსაც „სამართალი კათალიკოსთა“ ეწოდება, ნათქვამია: **„ქ. სახელითა და ღვთისათა: - მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოისა კათალიკოზმან-პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამათმთავარმან ევდემონ, დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ებისკოპოზნი აფხაზეთისანი .....დავიდევით სჯულისკანონი და ჩვენცა იმისგან გამოვიღევით.... და სჯულისკანონიცა ასრე ბრძანებს“....** (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I. 1963, გვ. 393-397). აფხაზეთის საკათალიკოსოს ამ საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მეთაურობით გამოსცა კანონები, რომლებიც სავალდებულოდ აღსასრულებელი იყო მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა ის აფხაზეთში იქნა მიღებული და ისინი აფხაზეთის საკათლიკოსოს ეპისკოპოსებმა დაამტკიცეს (ესენი

იყვნენ ქუთათელი, გენათელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი, ცაგერელი, ხონელი, ნიკორწმიდელი, ცაიშელი), მაგრამ, ისინი, ამ კრებაზე, ერთიან საქართველოს ეკლესიას წარმოადგენდნენ.

„ქართლის ცხოვრების“ ჩანართის ცნობით, საქართველოს ეკლესიის მეთაურის **საპატრიარქო ღირსება** უცვნია VI მსოფლიო საეკლესიო კრებას. ძნელია ითქვას რამდენად შეესაბამება რეალობას ეს ცნობა, მაგრამ ის გვაძლევს ინფორმაციას საქართველოს ეკლესიის წიაღში დამკვიდრებული აზრის შესახებ რომ, საპატრიარქო ღირსება საქართველოს ეკლესიის მეთაურს VII საუკუნედან გააჩნდა. ეს წყარო წერს:

„ქრისტეს აქეთ ქ-ნკ იქმნა კრება მეექვსე [680-681]. . .კოსტანტინოპოლის შინა. ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა (ვითარცა) წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიარქონი.

და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა, და აკურთხევდეს, მწყსიდეს და განაგებდეს სიმართლით მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა, და სამწყსოსა თვისსა ქართლსა გამოღმა-გაღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით-წამოვლით მთისა ადგილისათა, სუანეთსა და ჩერქეზის საზღვრამდის, სრულიად ოვსეთსა და ყოველსა ზემო-ქართლსა სამცხე-საათაბაგოსა“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 231, 232).

ასევე ამ ცნობას, იმეორებს ძველი საეკლესიო წყარო - **„მარტვილური ხელნაწერი“**. ის ასახელებს თავის ბერძნულ წყარს. „მარტვილურ ხელნაწერში“ წყაროდ დასახელებული **„კონსტანტინოპოლური ტაქტიკონი“**. ცნობილია, რომ VI მსოფლიო კრებას კანონები არ გამოუცია, მაგრამ კრების მიერ დადგენილი და იმპერატორის მიერ დამტკიცებული საბოლოო ტექსტი 681 წლის 16 სექტემბერს გადაეცა საიმპერატორო კარს საგანგებოდ დასაცავად. ალბათ მას უწოდებს ეს წყარო „კონსტანტინოპოლური ტაქტიკონს“. ალბათ ეს საბოლოო ტექსტი დაედო საფუძვლად „ქართლის ცხოვრების“ ზემოთ მოყვანილ ჩანართს მსოფლიო კრების მიერ ქართული ეკლესიისათვის საპატრიარქო ღირსების მინიჭების შესახებ. „მარტვილურ ხელნაწერის“ ცნობა ასეთია: **„რამეთუ ესრეთ შესასწავებელ არს ტახტიკონსა შინა კონსტანტინოპოლისასა, ვითარმედ მას ჟამსა წმიდა მეექვსესა კრებასა კონსტანტინე პოღონატისასა და აღათონ რომთა პაპისა, გიორგი კონსტანტინოპოლელისასა და თეოფანე ანტიოქიელისასა და მათ-თანა ასოცდაათთა მამათაგან გაპატიოსნდა კათალიკოზი ქართლისა და ყვეს მამამთავრად და თავისუფლად და უფლად ყოველსა ზედა საქართველოსა: და მერე კვალადვე კრებასა შინა ანტიოქიისასა განთავისუფლდა და გაპატიოსნდა, რამეთუ არღარავისაგან ხელ ქვეშ არს, არამედ თავისუფალ და მამამთავარი არს“ (მარტვილის ხელნაწერები, ძველი საქართველო, ტ. III, 1913-1914 წწ., გვ. 29).**

ათი წლის, შემდეგ 691 წელს მოწვეულ იქნა ე.წ. ტრულის კრება, რომელმაც იღვაწა კანონშემოქმედებითი თვალსაზრისით. შეკრიბა და გამოსცა წინა მსოფლიო კრებათა კანონები, მაგრამ მათში არ შესულა მრავალი კანონი და დადგენილება წინა კრებებისა, ალბათ, მასში არ მოხვდა ასევე VI კრების დადგენილება ქართული ეკლესიის შესახებ. ვ. გოილაძემ გამოიკვლია, რომ „ქართლის ცხოვრების“ ზემოაღნიშნული ცნობა სანდოა (ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, 1991, გვ. 195).

მაშასადამე, ძველ ქართულ საეკლესიო ისტორიოგრაფიას სამართლიანად მიაჩნდა, რომ ქართულმა ეკლესიამ საპატრიარქო ღირსება მოიპოვა VI მსოფლიო კრებაზე, 681 წელს. მართლაც, იქამდე პატრიარქის წოდებას ატარებდა ამიერკავკასიის ორივე მეზობელი ეკლესიის მეთაური - სომხეთისა და ალბანეთისა, როგორც ეს კარგად ჩანს მოვსეს კალანკატუაცის თხზულებიდან. ამიტომაც არაა გასაკვირი ის, რომ ქართული ეკლესიის მეთაურს ეძია პატრიარქის წოდება და მოეპოვებინა ეს უდიდესი ღირსება მსოფლიო ეკლესიის დასტურით. ამის შემდეგ ქართული ეკლესიის პატივი გაუთანაბრდებოდა მსოფლიოს სხვა საპატრიარქოთა პატივს. ამას საგანგებოდ აღნიშნავს ცნობა:

„ამის კრების მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიარქონი და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 231, 232). აქვეა განხილული ქართული ეკლესიის სამწყსო. მასში საქართველოს გარდა შევიდა ქართული ეთნოსით დასახლებული ტერიტორიები: შაქი და შირვანი, კავკასიის მთიანეთი **„მიდგმით - წარმოვლით მთისა ადგილნი“ - ესენია დღევანდელი დაღესტანი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი „სუანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის“, მასში შესულა „სრულიად ოსეთი“.** ოსეთი იმ დროისათვის მხოლოდ ჩრდილო კავკასიაში არსებობდა.

აღსანიშნავია, რომ ალბანეთის ეკლესია, სწორედ VII ს-ის დასასრულს შეიერთა სომხურმა მონოფიზიტურმა ეკლესიამ, მ. კალანკატუაცის თანახმად; ხოლო ალბანეთის ჩრდილოეთით მდებარე ეთნიკური ქართველებით დასახლებული მხარეები, როგორც აღინიშნა, დაუბრუნდა დედაეკლესიას. იგულისხმება ტერიტორია მოქცეული მტკვარ-ალაზნის შესართავიდან მტკვარ-არაქსის შესართავამდე, რომელსაც ქართველები ჰერეთს უწოდებდნენ. ამ მხარეების მიმართ ქართულ ეკლესიას თავისი იურისდიქციის უფლება ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა მხარეები ამ დროისათვის, ე.ი. VII ს-ის ბოლოსათვის, კვლავინდებურად შედიოდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში. ხოლო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალი ბერძნულენოვანი საეპისკოპოსოები ფასისისა, როდოპოლისისა, პეტრონისა მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, როგორც მიიჩნიეს XX ს-ში, არამედ, ნ. ადონცის კვლევით, ტრაპეზუნტის რეგიონში, თანამედროვე გუმუშხანე-სუმელას რეგიონში, რომელიც ისტორიულად ქართველი ხალხით იყო დასახლებული, მას ერქვა „ლაზიკის ეპარქია“.

მაშასადამე, თვით საქართველოს ეკლესიაში ისტორიულად დამკვიდრებული იყო მტკიცება, რომ საქართველოს ეკლესიას საპატრიარქო ღირსება მიეღია VII საუკუნეში, რომ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა ჩრდილო კავკასია, სამხრეთ კავკასიის მართლმადიდებლური ნაწილი და ასევე მის სამხრეთით მდებარე ქართველებით დასახლებული მიწა-წყალი. მართლაც ტაო-კლარჯეთში პარხლის მონასტრის წარწერაში, რომელიც შესრულებული არის მეფე დავით კურაპალატის (+1001) დროს, მოხსენიებული არის **„ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი იოვანე“**.

„ყოველი აღმოსავლეთი“ ქართული საეკლესიო წყაროების ცნობით ერქვა ვრცელ ტერიტორიას შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ჩრდილო ანუ მართლმადიდებლურ არმენიასთან ერთად.

ა. საქართველოს საპატრიარქოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი

საქართველოს საპატრიარქოში შედიოდა „ნიკოფსია“, დღევანდელი ტუაფსე, სადაც ქართველთა განმანათლებელი სიმონ კანანელი იყო დაკრძალული და რომელიც გიორგი მთაწმიდელის თანახმად, „ქუეყანასა ჩუენსა – აფხაზეთს“ მდებარეობდა. ეს იყო პროვინცია ჯიქეთის ცენტრში, ეს პროვინცია კი ქერჩამდე აღწევდა. როგორც წყაროები უჩვენებენ, საქართველოს საპატრიარქოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი აღწევდა ხერსონესამდე. ასე მაგალითად, 1525-1550 წლების ბიჭვინთის იადგარში აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვრად დასახელებულია პუნქტი „კაფა“, ჩრდილოეთის საზღვრად კი – „რუსეთის სამზღვარი“. პუნქტი „კაფა“ მდებარეობდა ხერსონესთან – „კათალიკოზის საკურთხი არის, სამწყსო – ლიხსა და კაფას შუა და რუსეთის სამზღუარსა და ჭანეთს შუა“ (ქართ. სამართლის ძეგლები, ტ. II. გვ. 180).

საერთოდ ხერსონესი და კაფას ნახევარკუნძული პირველ საუკუნეებშივე დაკავშირებული იყო

საქართველოსთან, მაგალითად – „კარდინალ ბარონიუსის აზრით, ახ.წ.აღ-ის 100 წელს იმპერატორ ტრაიანეს მიერ ხერსონესში განდევნილი პაპი წმ. კლიმენტის მეცადინეობის შედეგად კოლხეთსა და იბერიაში ქრისტიანობა გავრცელდა. არქანჯელო ლამბერტი კარდინალ ბარონიუსის ამ მოსაზრების შესახებ იქვე მიუთითებს, რომ „... კოლხეთი ხუთასი მილითაა დაშორებული ხერსონესიდან“, ...არქანჯელო ლამბერტი იმ აზრს იცავს, რომ კოლხეთსა და იბერიაში ქრისტიანობა წმ. ანდრეამ და წმ. ბართლომეომ გაავრცელეს“ (ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებში, წ. I. 1984, გვ. 56).

„ქალაქი კაფფა მდებარეობს 17 ვერსტის დაშორებით კარაგოზიდან... ემხრობა კაფის ყურის დასავლეთ ნაწილს... ამ ქალაქმა ყირიმის აღების შემდეგ მიიღო თავისი ძველი სახელი – „თეოდოსია“, ამჟამად კი ისევ ეწოდება თავისი წინანდელი სახელი კაფფა“, მაგრამ ადრე თათრები ეძახდნენ ასევე – ქუჩუკ – სტამბულს. ქალაქს უჭირავს ძალზე მოხერხებული და ხელსაყრელი მდგომარეობა ვაჭრობაში. ის იყო ძალზე მნიშვნელოვანი ყველა პუნქტს შორის, რომლებიც გენუელებმა დაიჭირეს ყირიმში“ (Записки Императорского Одесского общества историй и древностей, т.13, 1883, стр. 47);

აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი არის პუნქტი კაფფა, ყირიმში, ხერსონესთან. საქართველოს საპატრიარქოში აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩამოყალიბების შემდეგ საზღვარი კაფფამდე აღწევდა. ხერსონესის გათხრების დროს აღმოჩნდა ქართული ტაძარი, როგორც ეს გამოიკვლია კათალიკოს-პატრიარქმა კირიონმა. მანვე გამოთქვა აზრი, რომ VIII საუკუნეში გოთეთის უპირველესი ეპისკოპოსის იბერიაში ხელდასხმის შემდეგ გოთეთის ეკლესია ქართულ ეკლესიას დაექვემდებარა (ეპისკოპოსი კირიონი, ხერსონის ქართველთა მონასტერი, საღვთისმეტყველო კრებული, 1981 წ., №12, გვ. 17;) კაფფა გოთეთთან მდებარეობდა.

ბ. საქართველოს საპატრიარქოს ჩრდილოეთის საზღვარი

V საუკუნეში ვახტანგ გორგასალის მიერ დაარსებული ნიქოზის საეპისკოპოსოს სამწყსოში შედიოდნენ ჩრდილო კავკასიელები (დვალ-ოსები), და ასევე დასავლეთ საქართველოს ნაწილი (გლოლა-ღების სანახები) – „არს ნიქოზს ეკლესია... გორგასალ ჰყო საეპისკოპოზოდ და დასუა ეპისკოპოზი, ზის დღესაც, მწყემსი კავკასიანთა, დუალთა და აწ ოსეთად წოდებულისა, გლოლა ღებითურთ“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1959 წ., გვ. 370); „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, VII საუკუნეში ქართული ეკლესიის საზღვარი აღწევდა „...ჩერქეზის საზღვრამდის სრულიად ოვსეთისა...“(ქართლის ცხოვრება, I, გვ. 232). „...პონტოს ზღვიდამ დარუბანდის ზღვამდე“ (იქვე, გვ. 231, შენიშვნა I); საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, კრებული XVI საუკუნეში აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩრდილოეთის საზღვარი ემთხვეოდა რუსეთის სახელმწიფოს სამხრეთის საზღვარს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მოახლოებული კავკასიას – „რუსეთის სამზღვარსა და ჭანეთს შუა“-ო, – წერს „ბიჭვინთის იადგარი“. XVIII საუკუნეშიც კი აფხაზეთის საკათალიკოსოს თავის სამწყსოდ მიაჩნდა „პონტოს“, ანუ შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე მიწები – „პონტო ჩრდილოით“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. 1970 წ., გვ. 923);

XI საუკუნეში, საქართველოს საპატრიარქოს შექმნის დროს ქართულ ეკლესიაში რომ შედიოდა ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ოსეთი, ავარია – მთიანი დაღესტანი, ამის შესახებ მიუთითებს ახალი გამოკვლევები (В.Б. Виноградов, О реальности грузинского влияния на северо-западном кавказе в X-XIII вв., მაცნე, ისტორიის სერია, 1988 წ., №2, გვ. 165-168);

ჩრდილო კავკასიის მკვლევარი გ. ღამბაშიძე წერს - „ჩრდილო კავკასიის ქვეყნებში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის იურისდიქციას გამოხატავს XI საუკუნის დამდეგს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკ I-ის მოხსენიება „აღმოსავლეთის პატრიარქად“ იმიერკავკასიის ერთ-ერთი

უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული ძეგლის ტყობა-იერდას (ინგუშეთის) ტაძარზე... ავარეთში ქრისტიანული კულტურისა და საქართველო-დაღესტნის კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა გასაშუქებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმთავრესად ხუნძახსა და მის შემოგარენში ძველქართული დამწერლობის ძეგლთა არსებობა... ეს უნიკალური ძეგლები ნათლად და უტყუარად მიგვითითებენ შუა საუკუნეთა ავარეთში ქართული დამწერლობისა და ენის გავრცელებაზე, იქაურ ეკლესია-ტაძრებში ქართული ღვთისმსახურებისა და ქართულ გრაფიკულ სისტემაზე აგებულ დამწერლობაზე... X-XIV საუკუნეთა ავარეთში ქრისტიანობის ინტენსიფიკაცია კარგად ჩანს წერილობითი მონაცემებითაც – ...1310 წლის მაღალაშვილისეული სახარების მინაწერში (გიორგი ბრწყინვალეს დროს) დადასტურებულია დაღესტანში რამდენიმე ეპარქიის არსებობა (ხუნძახის, ანწუხისა და წახურისა) და ბოლოს აღვნიშნავთ, მეცნიერული თვალსაზრისით უძვირფასეს ცნობას სინას ერთ-ერთი ქართული მონასტრის XV საუკუნის სააღაპე წიგნიდან – „ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირის“ შესახებ, რომელსაც კორნელი კეკელიძე მიტროპოლიტთან აიგივებდა და რითაც დაღესტანში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სამიტროპოლიტოს არსებობაა დადასტურებული“ (გ. ღამბაშიძე, საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, V, 1987 წ., გვ. 11-13).

ჩრდილო კავკასიაში საქართველოს საპატრიარქოს ერთ-ერთი სამიტროპოლიტოს არსებობა ხუნძეთის საკათალიკოსოს სახელწოდებით, წერილობითაა დადასტურებული.

გ. აღმოსავლეთის საზღვარი

ჯერ კიდევ V საუკუნეში, როგორც ითქვა, მოსე ხორენელი წერდა, ქართველთა განმანათლებელმა წმიდა ნინომ იქადაგა „კლარჯეთიდან – მასქუთთა ქვეყნამდეო“.

მასქუთთა ქვეყანა მდებარეობდა კასპიის ზღვის პირას, ახლანდელი დერბენდის სიახლოვეს, თვით მოსე ხორენელი თვლიდა, რომ მის დროს V საუკუნეში ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა ვრცელი მიწები კლარჯეთიდან კასპიის ზღვამდე, რასაც ეთანხმება ქართლის ცხოვრება – ქართული ეკლესიის იურისდიქციაში აღმოსავლეთით შედიოდა – კახეთი, შაქი, შირვანი და მიდგმით – წარმოვლით მთისა ადგილნი (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 232); „პონტოს ზღვიდან დარუბანდის ზღვამდე“.

1310 წლის წერილობით ცნობაშია – **„ოდეს სანატრელმან მან პატრიარქმან ჩუენმან ექვთიმე მოიხილა კახეთს ანწუხისა საეპისკოპოსო და მიერითგან გარდამოვიდა წახურს, კაკ-ელისენს და მოვლო საყდარნი: კასრი სამებისა, ყუმი ღვთისმშობლისა, ლექართს წმ. მოციქულთასწორისა ნინოსი, ზარს წმ. მთავარმოწამისა გიორგისა, ვარდიანს წმ. ჰაბოსი, განუხს არჩილისი, ქიშ-ნუხს ღვთისმშობლისა, ბარდაშენს ელიასი... კვალად საყდარნი ხუნძთა, ნახჩთა, თოშეთისა, ნეკრესისა, ლაგუთისა, ბელქანისა, მაჯ-ფიფინეთისა, ფერიჯან-მუხახ-მამრეთისა და ყოვლისა ვაკისა, ე.ი. არს ძველისა მოვაკანისა და ელისენისა, ვერხვიანთ ზეგანით გამო, ივრის მდინარის ჩასართავამდე ალაზანსა და სანატრელმან ექვთიმე მიბრძანა ქურმუხისა მთავარ ეპისკოპოსსა და ყოვლისა მთეულისა წინამძღვარსა კირილე დონაურსა...“** (კ. კეკელიძე, ეტიუდები, II, 1945 წ., გვ. 314).

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ უშუალოდ საქართველოს პატრიარქს ექვემდებარება ალბანეთის ჩრდილოეთით მცხოვრები ის სამწყსო, რომელიც წინ აღუდგა მონოფიზიტურ აღმსარებლობას და არ შეუერთდა კავკასიაში მონოფიზიტურ ცენტრს - სომხურ ეკლესიას. ამ მხარეს ჰერეთი ეწოდებოდა, მოიცავდა ტერიტორიას, რომელსაც შემდგომ შაქი ეწოდა, მდებარეობდა მტკვარ-ალაზნის შესართავიდან ვიდრე მტკვარ-არაქსის შესართავამდე, მტკვრის მარცხენა სანაპიროს მომცველი ქვეყანა. აქ მთავარი სასულიერო ცენტრი საქართველოს საპატრიარქოში შემავალი გიშის საეპისკოპოსო იყო. რაც შეეხება ალბანეთს, მას კავკასიაში განსახილველ დროს, VII ს.-ში, შემოსული არაბები „არანს“ უწოდებდნენ. ქართული

წყაროებით რანი (არანი) მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანა იყო.

აღსანიშნავია, რომ ჰერეთის ქრისტიანები ქართულენოვანნი იყვნენ. მათი დედაენა იყო ქართული ენა. ისინი V საუკუნეში მცხეთის ეკლესიას ექვემდებარებოდნენ. ეს „შუშანიკის წამებიდანაც“ ჩანს. შემდგომ, პოლიტიკური მიზეზის გამო, ჰერეთის ქრისტიანები იერარქიულად დაექვემდებარნენ ალბანეთის საკათალიკოსოს. VI საუკუნიდან როგორც ალბანეთის, ისე ქართლის საკათალიკოსოები სომხური ეკლესიის მძლავრ ზეგავლენას განიცდიდნენ სპარსთა სახელმწიფოს ნებით. ამის გამო, ალბანეთის საკათალიკოსოში, საეკლესიო ენად დაინერგა არა მშობლიური ქართული და ალბანური ენები, არამედ ეკლესიებში წირვა-ლოცვისათვის გამოიყენებოდა სომხური ენა. ამის მიზეზი სპარსთა ზემოქმედების გარდა, ალბანეთის ხალხთა მრავალეროვნება იყო. ალბანეთში გავრცელებული იყო როგორც სპარსული, ასევე თურქული და კავკასიური ენები, ამ ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით კი ჰერეთის მოსახლეობის დედაენა იყო ქართული ენა.

VII საუკუნის ბოლოს, მოვსეს კალანკატუაცის თანახმად, ალბანეთის ეკლესიამ საბოლოოდ დაკარგა ავტოკეფალია და ის შეუერთდა სომხურ ეკლესიას (მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, 1985 წ., გვ. 140); ამის გამო იმჟამად ალბანეთის ნაწილად გადაქცეულ ჰერეთშიც სომხური ეკლესიის მეცადინეობით გავრცელდა მონოფიზიტობა. ეს მწვალებლობა ჰერეთში აღმოუფხვრია დინარა დედოფალს X საუკუნეში. ამის შემდეგ ჰერეთი და აღმოსავლეთის მხარეები კვლავ თავის დედა ქართულ ეკლესიას დაუბრუნდა. XI საუკუნეში საპატრიარქოს შექმნის შემდეგ, ჰერეთსა და მის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებზე იურისდიქციას საქართველოს პატრიარქი ახორციელებდა, როგორც ზემოთ მოყვანილი ამონაწერებიდანაც ჩანს.

დ. საზღვარი სამხრეთით

იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის თანახმად, საქართველოს სამხრეთის საზღვარი მდინარე არეზამდე (არაქსამდე) ჩადიოდა, ის წერს, – მდინარე არაქსის **„...მარცხენა მხარე იბერიისაკენ მიმართული ეპყრათ იბერებს, ხოლო მარჯვენა, რაც თეოდოსიოპოლისაკენ არის, როგორც ციხეები, ისე სოფლები იყვეს ჩვენი მბრძანებლობის ქვეშ. საზღვრად მდინარე იქნება“** (გეორგიკა, ტ. IV, ნაკვეთი II, გვ. 271); **იბერიაში შემავალი „მესხეთის ძირეულ ნაწილს შეადგენდა სექტორები მეზობელი არაქსისა და დასავლეთ ევფრატის ხეობებისა“** (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 297);

არაქსისა და ევფრატის სათავეები X საუკუნეში არა მხოლდ კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს იყო ქართველებით დასახლებული, არამედ საერთოდ არაქს-ევფრატის სათავეების მიწა-წყალი ისევე, როგორც ტრაპეზუნტის ოლქის მთიანეთი - პარიეტრედან ვანის ტბის მიმართულებით, სტრაბონის ცნობით, იბერების ისტორიულ მიწა-წყალს წარმოადგენდა ძვ.წ. II საუკუნემდე, ამ მიწა-წყლის არმენიის სახელმწიფოში შესვლამდე.

სტრაბონი წერს - **„მოგვითხრობენ, რომ წარსულში არმენიის პატარა ქვეყანა გაფართოვდა არტაქსიასა და ზარიადრიას ომების შედეგად. ისინი იყვნენ ანტიოქ დიდის მხედართმთავრები, მისი დამარცხების შემდეგ კი მეფეები გახდნენ. მათ ერთად გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო, ჩამოაჭრეს რა ირგვლივ მცხოვრებ ხალხებს ოლქები, კერძოდ...იბერებისაგან მიიტაცეს პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გოგარენე, რომელიც კირის მეორე მხარესაა, ხალიბებს და მოსინიკებს ჩამოაჭრეს კარენიტი და ქსერქსენე, მცირე არმენიის მოსაზღვრე ნაწილები“ (სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 14, 5).**

ამ ჩამორთმეულ (უკვე არმენიაში შემავალ მიწებზე) ქართულები (იბერები) უწყვეტად ცხოვრობდნენ ოსმალების სახელმწიფოს შექმნამდე და მის შემდგომ საუკუნეთა მანძილზე, ისინი ტაოში ამჟამადაც კი ცხოვრობენ.

ეს მხარეები სტრაბონამდეც ქართველი ხალხის სამშობლო იყო, ამიტომაც ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე ათასი წლით ადრე აქ, ამ მხარეებში წარმოიქმნა ქართველი ხალხის პირველი სახელმწიფოები – დიაოხი და კოლხა. დიაოხისა და კოლხასაგან მომდინარეობენ ამ მხარეებში გავრცელებული ტოპონიმები – „ტაო“ და „კოლა“. მოვსეს ხორენაცის თანახმად, ქრისტემდე, ამ მხარეებში შემოსვლის დროს (VI-V საუკუნეებში), არმენიელებს აქ ადგილობრივი მოსახლეობა დახვედრია, რომელთა ასიმილაციაც მაშინვე დაწყებულა. ხორენელის თანახმად, არმენიელთა ერთ მეფეს აუკრძალავს ადგილობრივი მოსახლეობისათვის მშობლიურ ენაზე ლაპარაკი და ნება დაურთავს არმენიელთა ენაზე ლაპარაკისა. – **„ამასთანავე არამმა უბრძანა იქაურ მკვიდრთ, შეეთვისებინათ სომხური ენა და ლაპარაკი“** (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984 წ., გვ. 77); ხორენელი მრავალგზის აღნიშნავს – **„საკვირველია მემატიანის ნათქვამი, რომ ჩვენს ქვეყანაში მრავალ ადგილას გაფანტულად მკვიდრობდა მცირერიცხოვანი ხალხი, ჩვენი ძირეული წინაპრის, ჰაიკის მოსვლამდე“** (იქვე, გვ. 73). ანდა **„მატიანეში აქაც აღნიშნულია, რომ ველის სამხრეთ ნაწილში, ერთ წაგრძელებულ მთასთან ადრიდანვე ცხოვრობდნენ მცირეოდენი კაცნი, რომლებიც ნებით დამორჩილდნენ გმირს“** (იქვე, გვ. 70); ანდა **„...არ შემიძლია ვთქვა დაბეჯითებით, შთამომავალია იგი ჰაიკისა თუ ჰაიკის (მოსვლამდე) ამ ქვეყანაში მცხოვრები ხალხისა, რომელთა არსებობაზე მიუთითებენ ძველი თქმულებები“** (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984 წ., გვ. 108); ხორენელის მთარგმნელი და კომენტატორი ალ. აბდალაძე ამის შესახებ წერს – „ხორენაცის ამ და მსგავს ცნობებში ასახულია ისტორიული სინამდვილე იმის შესახებ, რომ ე.წ. „დიდი სომხეთის“ მიწა-წყალზე სომეხთა მოსვლამდე მკვიდრობდნენ სხვა ხალხები, მათ შორის ქართული მოდგმის ტომებიც“ (იქვე, გვ. 249);

ქართველთა ასიმილაცია არმენიელთა მიერ „დიდი სომხეთის“ მიწა-წყალზე წარმატებული იყო სომხეთის აღმოსავლეთ ნაწილში, მაგრამ დასავლეთ სომხეთში არეზისა და ევფრატის სიახლოვეს მცხოვრებმა ქართველებმა დიდხანს შეინარჩუნეს თავიანთი ენა, ჩანს, იმის გამო, რომ ქრისტემდე IV-III საუკუნეებში შექმნილი იბერიის სახელმწიფო ამ მიმართულებით საზღვრებს იფართოებდა ხოლმე, განსაკუთრებით I-II საუკუნეებში.

შემდგომ საუკუნეებში სომხეთის გაძლიერებამ დააჩქარა სომხეთში მცხოვრები ქართველების ნაწილობრივი ასიმილაცია. საქართველოს საპატრიარქოს წარმოქმნის დროს ე.წ. „დიდი სომხეთის“ ტერიტორიაზე ცხოვრობდა უამრავი ქართველი ადგილობრივი მცხოვრები, მათთვის დაარსებული იქნა საეპისკოპოსოები, რომელთა საზღვრები აღწევდა რახსისა და ევფრატის ხეობებამდე. „XIII საუკუნეში მონღოლთა ბატონობის დროსაც კი მესხეთის მთავრის კუთვნილი ქვეყანა იწყებოდა ტაშისკარიდან და გრძელდებოდა, „აღმართ, ვიდრე კარნუ ქალაქამდე“. XIV საუკუნეშიც ტაშისკარიდან ვიდრე ბასიანამდე „მესხთა ქვეშე დაწესებული ქვეყანა იყო“... XVII საუკუნის ანტიოქიელი პატრიარქი მაკარი ადასტურებს, რომ ადრე საქართველოს სამხრეთი საზღვარი იყო მდინარე ევფრატი და ევფრატის აქეთა ტერიტორიები სულ საქართველოდ ითვლებოდა. საქართველოს საზღვარი რომ ევფრატამდე ჩადიოდა, ამას ამოწმებს ჩელებიც. მდინარე არეზის აქეთა მხარესა და არზრუმის მიდამოებს დიდხანს შემორჩა ქართული მოსახლეობა. XVII საუკუნეში არზრუმის მიდამოებში გამოვლილმა არქანჯელო ლამბერტიმ რამდენიმე ქართული სოფელი ნახა, რომელთაც არზრუმელად წოდებული ქართველი მწყემსმთავარი ეჯდათ არზრუმში“ (შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 256).

ამის გამო იყო, რომ საქართველოს საპატრიარქოში შედიოდა – ანისის, ყარსის, ვალაშკერტისა და სხვა საეპისკოპოსოები.

ეს მხარეები დავით კურაპალატის დროს ივერიის ანუ „ქართველთა“ სამეფოს შემადგენლობაში მოექცა, ბიზანტიის იმპერიამაც აქ (თეოდოსიოპოლ-არზრუმიდან ანისამდე) თავისი ადმინისტრაციული ერთეული ჩამოაყალიბა „იბერიის თემის“ სახელწოდებით. რადგან ამ მხარეებს შუა საუკუნეებში სომხეთი ეწოდებოდა, აქ საქართველოს საპატრიარქოს მრევლის სულიერ მეთაურს „სომხეთის მიტროპოლიტი“ ერქვა.

ურთიერთდამოკიდებულება საკათალიკოსოთა შორის

საქართველოს საპატრიარქოში, წყაროთა თანახმად, შედიოდა: 1. ქართლის საკათალიკოსო; 2. აფხაზეთის საკათალიკოსო; 3. სომხეთის სამიტროპოლიტო; 4. ჩრდილო კავკასიის ქრისტიანები. (უცხოელები, ხშირად, მათ მეთაურებს არა კათალიკოსებს, არამედ არქიეპისკოპოსებს, სრულიად საქართველოს პატრიარქს კი „კათალიკოსს“ უწოდებდნენ, ამასთანავე აფხაზეთის საკათალიკოსოს - „ქვემო იბერიის“ საარქიეპისკოპოსოს, ქართლისას კი „ზემო იბერიის“ საარქიეპისკოპოსოს უწოდებდნენ).

ყოველ საკათალიკოსოში შედიოდა საეპისკოპოსოები. დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოები უშუალოდ ექვემდებარებოდა აფხაზეთის კათალიკოსს, აღმოსავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოები კი – ქართლის კათალიკოსს. ქართლის კათალიკოსსა და აფხაზეთის კათალიკოსს შორის უფროს-უმცროსობითი დამოკიდებულება არსებობდა.

საქართველოს საპატრიარქოს მეთაურად – პატრიარქად, როგორც წესი, ქართლის კათალიკოსს სვამდნენ, ანუ ქართლის კათალიკოსი იმავე დროს საქართველოს პატრიარქი იყო, მაგრამ არსებობდა გამონაკლისიც, როდესაც აფხაზეთის კათალიკოსები, როგორც უცხოური, ისე ქართული წყაროებით სრულიად საქართველოს პატრიარქებად მოიხსენებიან. ამ საკითხს ქვემოთ ვეხებით.

საქართველოს საპატრიარქოს მეთაურს ოფიციალურად ეწოდებოდა – **„ყოვლისა საქართველოისა პატრიარქი და ქართლისა კათალიკოსი“** (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, გვ. 51). ქართლის კათალიკოსი რომ იმავე დროს საქართველოს პატრიარქი იყო, სიტყვა „პატრიარქი“ – შუა საუკუნეთა საქართველოში ითარგმნებოდა და იხმარებოდა მისი ქართული თარგმანი „მამამთავარი“. 1103 წლის დოკუმენტში პატრიარქს ასე მოიხსენიებენ – **„იოვანე წმიდისა კათალიკოსისა და ყოვლისა საქა-რთ-ველოისა ყოვლად ღირსისა მამათმთავრისა მრავალნი არიან წელნი**“ (დიდი სჯულის კანონი, 1975წ., გვ. 553), XIII საუკუნის დოკუმენტშია – **„...წმიდისა მამათმთავარსა ჩუენსა არსენის ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზსა...**“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970 წ., გვ. 161),

1610 წლის – „ყოვლისა საქართველო სამამათმთავართმთავარმან კათალიკოზმან პატრონმან ზებედემ“ (იქვე, გვ. 388); „ყოვლისა აღმოსავლისა და ჩრდილოისა დიდმან მამამთავარმან, კათალიკოზმან პატრონმან ზებედემ“ (იქვე, გვ. 390); 1616 წლის – „ყოვლისა საქართველოსა დიდმან მამათმთავართმთავარმან, ქართლისა კათალიკოზმან პატრონმან იოვანემ“ (იქვე, გვ. 342);

აქ ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ქართული ეკლესიის მეთაურს ეწოდება საქართველოს მამამთავარი, ანუ პატრიარქი და ქართლის კათალიკოსი. საქართველო და ქართლი XI საუკუნის შემდეგ ერთი და იგივე ცნებები არ არის, საქართველო „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, მოქცეულ ქვეყანას, ხოლო ქართლი, – ლიხის მთის აღმოსავლეთით მდებარე პროვინციებს ერქვა, ამიტომაც როცა ქართული ეკლესიის მეთაურს უწოდებენ საქართველოს პატრიარქსა და ქართლის კათალიკოსს, ჩვენ ისევე უნდა გავიგოთ, როგორც წერენ – ის მთელი, სრულიადი, „ყოველი“ საქართველოს პატრიარქი იყო და ამავე დროს კათალიკოსი ქართლისა (თუმცა XI საუკუნემდე „ქართლი“ სრულიად საქართველოს ეწოდებოდა).

ზემოთ მოყვანილი ამონაწერებიდან აშკარად ჩანს, რომ სრულიად საქართველოს პატრიარქი იმავე დროს არის ქართლის კათალიკოსი, ანუ საქართველოს მამამთავარი აერთიანებს ორ ტახტს – ქართლის კათალიკოსისას და საქართველოს პატრიარქისას. ის ორი ტახტის მპყრობელია. აფხაზეთის კათალიკოსსა და ქართლის კათალიკოსს შორის დამოკიდებულება თუ როგორი სახის იყო, გარკვეულია მეცნიერთა მიერ – „მცხეთის პატრიარქი, აფხაზეთის კათალიკოსისათვის გახდა „მამა“, თვით აფხაზეთის კათალიკოსი „უმრწმესი“ (უმცროსი) კათალიკოსი“ (ბ. ლომინაძე – საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია. საღვთისმეტყველო კრებული, 1981 წ., №12, გვ. 97);

ხშირად დასავლეთ საქართველოს კათალიკოსები თავიანთ თავს „ქვემო ივერიის“, ანუ აფხაზეთის კათალიკოსს უწოდებდნენ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970, გვ. 923); ხოლო აღმოსავლეთ სა-ქა-რთველოსი – „ზემო ივერიის“ ანუ „ზემო საქართველოს“ კათალიკოსებს. (იქვე, გვ. 901); „სრულიად ივერიად“ ანუ „სრულიად საქართველოდ“ ორივე საკათალიკოსოს ტერიტორია მოიხსენიებოდა.

საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ XV-XVI საუკუნეებიდან, აფხაზეთის საკათალიკოსო არ გამოყოფია „ქართულ ეკლესიას“, როგორც წერს ათეისტური ეპოქის ზოგიერთი მეცნიერი, პირიქით, როგორც დოკუმენტები აჩვენებს აფხაზეთის კათალიკოსებმა სრულიად საქართველოს ეკლესიის მეთაურებად-პირველიერარქად წარმოადგინეს თავანთი თავი.

ქართული ეკლესიის მთლიანობას ადასტურებს ის ფაქტები, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის დარღვევის შემდეგაც აფხაზეთის კათალიკოსები ეკლესიის ურღვეობის შენარჩუნების მიზნით თავიანთ თავს სრულიად საქართველოს პატრიარქსა და მაკურთხეველს უწოდებდნენ. მაგალითად, XVIII ს-ის აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლი თავის მიერ გამოცემული დოკუმენტებს ხელს აწერს ასე – **„გრიგოლ მწყემსი ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოისა კათალიკოსი“ („ქართული სამართლის ძეგლები“, III, გვ. 675);**

ასევე ზოგიერთი სხვა აფხაზეთის კათალიკოსიც თავის თავს საქართველოს პატრიარქს უწოდებდა XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის დასაწყისში, ანუ ის არა მხოლოდ აფხაზეთის არამედ სრულიად საქართველოს მაკურთხეველად თვლიდა თავის თავს.

ეს ფაქტი ასახულია უცხოურ წყაროებშიც.

უცხოური წყაროების თანახმად ამ ეპოქაში აფხაზეთის კათალიკოსი სრულიად საქართველოს (იბერიის) უხუცეს (უპირატეს) პირველიარარქად ითვლებოდა, მაგალითად ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (XVII ს.) ამის შესახებ წერდა – **„იბერიაში ორი არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერია, რომელსაც ძველად კოლხეთს უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში. ზემო და ქვემო იბერიას შორის საზღვარი არის ქედი, რომელიც კავკასიის მთებში იწყება, ქართულად ქულფარგი ეწოდება, ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე ... მეფე, ე.ი. იმერეთის თავი, მათთან იწოდება მთელი იბერიის მეფეთა-მეფედ “** (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: Митрополит Сардский Максим,, «Церковь Грузии и её автокефалия» Феология, Афины, 1966, стр. 51).

მეორე იერუსალიმელი პატრიარქი ხრისანფი ამბობს: **„...საქართველოში, რომელსაც ადრე იბერია ერქვა, იყო ორი არქიეპისკოპოსი, რომელთაც ჩვეულების თანახმად უწოდებენ კათალიკოსებს და არა არქიეპისკოპოსებს. ასე მათ მარტო ქართველები უწოდებენ. ამათგან ერთი, ე.ი. არქიეპისკოპოსი ქვემო იბერიისა, იწოდება იმერეთის, ოსეთის, გურიის და სრულიად ქვემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, ანუ მარტივად, სრულიად იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, როგორც უფროსი ზემო იბერიის კათალიკოსზე. ხოლო მეორე, ე.ი. ზემო იბერიისა, იწოდება ქართლის, კახეთის, ალბანიის და სრულიად ზემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად... რომელი იმპერატორის დროს, ან რომელ კრებაზე გახდა ის საარქიეპისკოპოსო, ჩვენ ზუსტად ვერ დავადგინეთ, მაგრამ 26 ივნისის სვინაქსარში ვპოულობთ, რომ იოანე, გოთეთის ეპისკოპოსი, ხელდასხმული იქნა იბერიის კათალიკოსის მიერ, რადგანაც რომაულ ქვეყნებში ბატონობდა ხატმებრძოლთა ერესი, ასე რომ, როგორც ჩანს, ერეკლეს შემდეგ ისავრამდე ქვემო იბერია საარქიეპისკოპოსო გახდა...“** (წიგნიდან: Митрополит Сардский Максим, «Церковь Грузии и её автокефалия» Феология, Афины, 1966, стр. 49).

ანტიოქელ-იერუსალიმელი პატრიარქები ერთიანი სახელმწიფოს დანაწევრების შემდეგ ეწვივნენ

საქართველოს, იმყოფებოდნენ აფხაზეთის საკათალიკოსოში XVII ს-ში, თავიანთი თვალით ნახეს, შეაფასეს და წიგნების სახით გამოაქვეყნეს საქართველოს ეკლესიის ყოფა თავიანთ ეპოქაში.

მათი აღწერიდან ნათლად ჩანს, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს დაშლის შემდეგ აფხაზეთის საკათალიკოსო კი არ გამოეყო ქართულ ეკლესიას, როგორც ბოლო დროს წერს ზოგიერთი ისტორიკოსი, არამედ პირიქით, აფხაზეთის კათალიკოსი „სრულიად იბერიის უნეტარეს კათალიკოსად" იწოდა, ანუ სრულიად საქართველოს ეკლესიის მეთაურად წარმოადგინა საკუთარი თავი. ეს ფაქტი აფხაზეთის საკათალიკოსოს საბუთებითაც დასტურდება. ფაქტი, რომ საქართველოს დაშლა-დანაწევრებისას აფხაზეთის კათალიკოსები თავიანთ თავს სრულიად საქართველოს პატრიარქებად მიიჩნევდნენ, ამ ეპოქის საქართველოს ეკლესიის მთლიანობის უტყარი ნიშანია.

ისმის კითხვა, რატომ მიიჩნიეს აფხაზეთის კათალიკოსებმა თავისი თავი სრულიად საქართველოს პატრიარქად აღნიშნულ ეპოქაში? ამ კითხის პასუხისათვის მასალას გვაძლევენ თვით უცხოელი პატრიარქები თავიანთ აღწერებში. ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქების ეპოქაში, აღმოსავლეთ საქართველოს მაჰმადიანური სპარსეთის სახელმწიფო დაეპატრონა და სამწყსო ქართლ-კახეთის მაჰმადიანი მეფე-ხანების ხელქვეითად იქცა, რამაც ქართლის საკათალიკოსო დააკნინა (წმ. ევდემონ კათალიკოსო ციხის მაღალი კოშკიდან გადმოაგდეს და მოკლეს, მრავალი სხვა კათალიკოსი დააპატიმრეს ანდა ქვეყანა დაატოვებინეს), ასეთ კრიტიკულ დროს სრულიად იბერიის მრევლი მათ ჭეშმარიტ მეფედ ქრისტიან იმერეთის მეფეს მიიჩნევდა. პატრიარქი ხრისანფი წერს - **„მეფე, ე.ი. იმერეთის თავი, მათთან იწოდება მთელი იბერიის მეფეთა-მეფედ"**, შესაბამისად, მსგავსადვე, დოსითეოსის სიტყვით -**„არქიეპისკოპოსი ქვემო იბერიისა, იწოდება. . .სრულიად იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, როგორც უფროსი ზემო იბერიის კათალიკოსზე"**.

როგორც ითქვა, უცხოელი პატრიარქები აფხაზეთის საკათალიკოსოს „ქვემო იბერიის საარქიეპისკოპოსოს", მის მეთაურს კი „სრულიად იბერიის კათალიკოსს" უწოდებდმენ.

აფხაზეთის ანუ ქვემო იბერიის კათალილოსმა საქართველოს (სრულიად იბერიის) ეკლესიის მეთაურობა იმ დროს მიიღო, როდესაც ქართლ-კახეთს მაჰმადიანი მეფე-ხანები მართავდნენ თითქმის 150 წლის მანძილზე.

ღვთის შეწევნით XVIII ს. 50-იან წლებში ქართლ კახეთის ტახტზე კვლავ ქრისტიანი მეფეები ავიდნენ, ამ მომენტმა კვლავ გააძლიერა ქართლის საკათალიკოსო, მან კვლავ დაიბრუნა ძველი ავტორიტეტი და ძველებურად კვლავ იწოდა საქართველოს კათალიკოსად.

ეს ფაქტი საეკლესიო სამართლის სფერომაც ასახა, მაგალითად ანტონ კათალიკოსის დიკასტერიის (საეკლესიო სასამართლოს) სამართალის სფეროში აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველოც შედიოდა (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, 2003, ტ. III. გვ. 7-9).

სამართლებრივად და ადმისისტრაციულად XVIII ს-ის ბოლოს აფხაზეთის კათალიკოსთა ტახტზე მჯდომი წმ. დოსითეოს ქუთათელის დროს საქართველოს ეკლესია ერთიანი იყო ისევე, როგორც ყოველთვის IV ს-დან.

XIX ს.-ში მთელი ეს სისტემა მოიშალა, რადგანაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ.

წმიდა ნინო ლაზიკის განმანათლებელი
(ლაზიკის ეპარქია, პიტიუნტი)

ბიჭვინთა, VIII საუკუნიდან ვიდრე XVII საუკუნემდე, თითქმის ათასი წლის მანძილზე „ქვემო იბერიის" ანუ აფხაზეთის სააკათალიკოსოს სასულიერო ცენტრს წარმოადგენდა, აქ ედგათ ტახტი დასვლეთ საქართველოს მომცველ აფხაზეთის საკათალიკოსოს მეთაურებს, აქედან მართავდნენ ეპარქიებსა და მრევლს.

აფხაზეთის საკათალიკოსო მუდამ ქართულენოვანი იყო, მათი მეთაურები იყვნენ ქართველი დიდებულები ბაგრატიონების, აბაშიძეების, ჩხეტიძეების, გურიელების, ქვარიანების, ათაბაგების, წულუკიძეების, ლორთქიფანიძეების, საყვარელიძეების, ერისთავების და სხვა ქართული საგვარეულოს წარმომადგენლები. იყვნენ ქართველი მამულიშვილები და ამაყობდნენ იმით, რომ, როგორც თვითონ წერენ -„ჩვენ ქართველნი ღვთისმშობლის წილხდომილნი ვართ" (მაგალითად, აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის ბიჭვინტისადმი შეწირულობის წიგნში ნათქვამია - „პირველწოდებულსა ანდრეას მოეცა ჩრდილოეთისა ქვეყანა მოქცევად ჩვენებითა წმიდისა ღვთისმშობელისათაა, რამეთუ **ჩვენ ქართველნი** მისნი წილხდომილნი ვართ, (და წინა) კათალიკოზთა ბიჭვინტისა ღვთისმშობელისათა მსახურება საყდრისა დიდად ეღვაწათ" (ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 727). ისინი ამავე საბუთებში პირველსაუკუნეთა IV-V საუკუნეთა ქართულ სახარებებს წმიდა წიგნებად მიიჩნევდნენ, და წერდნენ - „**ჩვენი სახარებანი** წმიდად თარგმნილია", ერთერთ საბუთში კი მათ მიერ გაღებულ სხვა მდიდარ შენაწირებთან ერთად ნახსენებია „მოხატული ქართლის ცხოვრება". არსებობს სხვა უამდევი ათასწლოვანი დამადასტურებელი საბუთი მრევლისა და იერარქების ქართველობისა, ქართული ეკლესიის წევრობისა (მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, აფხაზეთი, 2001, გვ. 52-55).

ბიჭვინთასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ არცერთ ქართულ წყაროში არაა ოდნავი მითითებაც კი, რომ ოდესმე ბიჭვინთა ბერძნული ან ბიზანტიური ეკლესიის მიერ იყო დაარსებული, პირიქით, ბიჭვინთის წარსული ქართულ ეკლესიასთანაა დაკავშირებული. წყაროთა მიხედვით ბიჭვინთა – ქართული ეკლესიის ნაყოფია. შეხედულება ბიჭვინთის წარსულთან დაკავშირებით შეიცვალა, ძირითადად, XX საუკუნეში და ამჟამად მიღებული შეხედულებით ბიჭვინთა არის ბერძნულ-რომაული წყაროების **პიტიუნტი ანუ, იგივე, პითია**.

მიიჩნევა რომ ბიჭვინთელი ეპისკოპოსი მონაწილეობდა I მსოფლიო კრებაში 325 წელს. მაგრამ სხვა აზრისა იყო ცნობილი მეცნიერი ნ. ადონცი, ასევე პ. ინგოროყვა და სხვანი, მათი აზრით **პიტიუნტი მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ ისტორიული საქართველოს სხვა რეგიონში, რომელიც მოიცავს ოფ-ათინა-რიზეს ოლქს და ლაზიკა ერქვა**.

ნ. ადონცი თავისი აზრის ერთერთ საბუთად მიიჩნევს იმას, რომ რომაულ წყაროთა ცნობით პიტიუნტსა და სებასტოპოლისში თავისი მუდმივი საჯარისო ნაწილი ჰყავდა დაბანაკებული „არმენიის დუქსს", რომელიც იყო პონტო-მცირე არმენიის რომაული სამხედრო ოლქის მხედართმთავარი.

ადონცის სიტყვით, არმენიის დუქსის გავლენის სფეროში არ შედიოდა დასავლეთ საქართველო და მით უმეტეს მისი შორეული მხარე ცხუმ-ბიჭვინთას ოლქი, აქ მას არ შეეძლო თავისი საჯარისო დანაყოფის დაბანაკება (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საეპისკოპოსოები ლაზიკაში, 2011, გვ, 212).

პ. ინგოროყვა პიტიუნტს ოფ-რიზეს რეგიონში ათავსებს, ამასთანავე უთითებეს ძველ ავტორებსა და ძველ რუკებს, სადაც პიტიუნტი ტრაპეზუნტსა და ჭოროხს შორის ზღვისპირზეა მოთავსებული, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის სამხრეთ საზღვართან. ამავე აზრს სხვა წყაროებით ადასტურებენ ახალი მკვლევარები (გ. ანდრიაძე, უცნობი ისტორიული საქართველო, ქრისტიანული ლაზეთი, 2012).

ქართული და სომხური ეკლესიების იურისდიქციის საზღვრების შესახებ გარკვეულ ცნობებს იძლევა წმიდა გრიგოლ სომეხთა განმანათლებლის არაბული თარგმანი, რომელიც VII-IX საუკუნეებს მიეკუთვნება.

მიღებული თვალსაზრისით აღნიშნულ არაბულ ხელნაწერში იკითხება თითქოს წმიდა გრიგოლმა თავისი ეპისკოპოსები გააგზავნა ლაზეთში, მაგრამ ჯერ კიდევ 1908 წელს მიუთითა ცნობილმა მეცნიერმა ნ. ადონცმ, რომ მან (წმ. გრიგოლმა) თავისი ეპისკოპოსი გააგზავნა არა ლაზეთში, არამედ "არზანენაში", ის წმ. გრიგოლის ცხოვრებას არაბულ ხელნაწერებში კითხულობს არა სიტყვა „ლაზეთს", არამედ "არზანენას" ასე, რომ ლაზეთი, და მით უმეტეს აფხაზეთი, არ იყო წმიდა გრიგოლის სამოღვაწეო არეალი (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საეპისკოპოსოები ლაზიკაში, 2011, გვ, 432).

პირიქით, ლაზეთი იყო წმიდა ნინოს სამოღვაწეო არეალი გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის თანახმად. ხოლო ლაზიკის მიტროპოლიტ გერმანეს ცნობით ივერთა განმანათლებლის მირ ყოფილა დაარსებული ოფის საეპისკოპოსო კათედრა (გ. ანდრიაძე, უცნობი ისტორიული საქართველო, ქრისტიანული ლაზეთი, 2012, გვ. 83-93). აქვე, როგორც ითქვა, მიუთითებენ პიტიუნტს კათედრის მდებარეობასაც. შესაძლოა ოფისა და პიტიუნტის კათედრები ერთი და იგივე იყო. და აქ, ანუ ლაზეთში, იღვაწა წმ. ნინომ იბერიაში გამგზავრებამდე, ალბათ 310-320-იან წლებში.

გელასი კესარიელი და გელასი კვიზიკელი წერენ რომ წმიდა ნინომ მოაქცია "იბერები და ლაზები". ეს უძველესი IV–V სს. ცნობები მიუთითებენ, რომ ლაზეთი – წმიდა ნინოს სამოღვაწეო არეალი იყო და არა წმიდა გრიგოლისა, მართლაც, ხორენაცის ცნობით წმიდა ნინომ იქადაგა "კლარჯეთიდან მასქუთებამდე", ე.ი. კლარჯეთ-ლაზეთი წმიდა ნინოს სამოღვაწეო არეალი იყო.

წმიდა ნინოს დროს, ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, კლარჯეთში შედიოდა არა მხოლოდ ერთი მცირე ხეობა არტანუჯის ოლქში, არამედ ვრცელი არეალი, მასში ტაოსა და სპერთან ერთად შედიოდა ზღვისპირეთი, რომელსაც ქართულ წყაროებში „სოფელი მეგრელთა" ანუ ლაზიკა ეწოდება, ასე, რომ ხორენაცის ცნობითაც, წმიდა ნინოს სამოღვაწეო არეალი ყოფილა ლაზიკა.

დაარსა თუ არა წმიდა ნინომ თავის მიერ მოქცეულ ლაზიკაში საეპისკოპოსო კათედრა? სწორედ ამ კითხვას უპასუხა ლაზიკის მიტროპოლიტმა გერმანემ რუსეთის მეფის კარზე XVI ს-ში. ამ დროს რუსეთში ჩავიდა ლაზიკის მიტროპოლიტი გერმანე, რომელმაც განაცხადა, რომ რიზე-ოფის რეგიონი იმთავითვე იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციის სფერო, რადგანაც ეს მხარეები ივერიასთან ერთად განანათლა ივერიის განმანათლებელმა და მან ლაზეთში, ოფში დაარსა პირველი საეპისკოპოსო კათედრა.

ჩანს, ოფის საეპისკოპოსო ცენტრი, სადაც, იმხანად ლაზიკის მიტროპოლიტს ჰქონდა კათედრა, წმიდა ნინოს დაარსებული იყო.

ძველ დროს აქ იყო ცნობილი ფასიდის სამიტროპოლიტო ცენტრი, რომელსაც შემდგომ VI-VII სს-ში დაექვემდებარნენ ზიგანას, როდოპოლისის, საისინისა და პეტრას საეპისკოპოსოები.

ლაზიკა-კლარჯეთის ამ რეგიონს რთული ისტორია ჰქონდა. IV ს-ში ის შედიოდა ქართლის სამეფოში, V ს-ში მიიტაცა ბიზანტიამ, V ს-შივე დაიბრუნა ვახტანგ გორგასალმა, VI ს-ში ის ისევ მიიტაცა ბიზანტიამ ჭოროხის ხეობასთან ერთად, რის გამოც გაჩაღდა სპარსეთ-ბიზანტიის ომები ლაზიკისათვის, ამ ომში გაიმარჯვა ბიზანტიამ, რაც დაგვირგვინდა VII ს-ში ჰერაკლე კეისრის სპარსეთში გამარჯვებით. VIII ს. შემდეგ ეს მხარეები სადავო გახდა არაბებსა და ბიზანტიელებს შორის. რამაც ხანგრძლივი არასტაბილურობის გამო გამოიწვია როდოპოლისის, ზიგანას, საისინისა და პეტრას საეპისკოპოსო კათედრების დამცრობა-გაუქმება. მალევე ამ მიწა-წყალზე შეიქმნა ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეული "არმენიაკონის" სახელწოდებით. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით ამ თემს არმენიაკონი ეწოდა იმის გამო, რომ მის მახლობლად ცხოვრობდნენ არმენიელები. ამ თემს მალევე დაუბრუნდა თავისი ნამდვილი სახელი და ეწოდა „ქალდიას თემი". ის მდებარეობდა ტრაპეზუნტის სამხრეთის მთიანეთში და მოიცავდა აგრეთვე ზემოთ აღნიშნულ ზღვისპირა რეგიონსაც ოფ-ათინას მიმართულებით. ეკლესიურად აქ მდებარე ოლქს ერქვა „ეპარქია ლაზიკაში", ნ. ადონცისა და ასევე ჩვენი კვლევით აქ მდებარეობდნენ ზემოთ აღნიშნული საეპისკოპოსოები. კერძოდ, ზიგანა მდებარეობდა ტრაპეზუნტის სამხრეთით 70 კმ მანძილზე, სადაც ამჟამად არის პუნქტი გუმუშხანე. იქვე მდებარეობდა როდოპოლისის საეპისკოპოსო კათედრა, კერძოდ რეგიონში, სადაც ამჟამად არის ცნობილი სუმელას მონასტერი. ადონცის ცნობით პეტრას საეპისკოპოსო კათედრა მდებარეობდა თეოდოსოპოლ-არზუმსა და ბაიბურთ-პაიპერტს შორის. ხოლო საისინის საეპისკოპოსო კათედრა არდასასა და ძველ ქალაქ ნიკოპოლს შორის.

ადონცის, ინგოროყვას და ასევე სხვა მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ პიტიუნტის საეპისკოპოსო კათედრა IV საუკუნეში მდებარეობდა ოფ-რიზეს რეგიონში. ეს რეგიონი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გააქრისტიანა

წმიდა ნინომ. შესაბამისად, პიტიუნტის კათედრა მისი დაარსებულია. ხორენაცის ცნობით წმიდა ნინომ ჯერ იქადაგა კლარჯეთში და შემდგომ შიდა იბერიაში. ასევე გელასი კესარიელის ცნობაში წმ. ნინო იხსენიება ლაზების განმანათლებლად. როგორც ითქვა, მცხეთაში მოსვლამდე წმ. ნინოს გაუნათლებია ლაზიკა VI ს 10-20-იან წლებში, ამ დროს დაუარსებია პიტიუნტის საეპისკოპოსო კათედრა, რომლის ეპისკოპოსმა სტრატოფილემ მონაწილეობა მიიღო 325 წლის I მსოფლიო ეკლესიის მუშაობაში.

როგორც ითქვა, ძველი ქართველი მთარგმნელები, როგორც მთაწმიდელები, ისე სხვები, სიტყვა „ლაზიკას" მიიჩნევდნენ უცხო სიტყვად. ისინი „ლაზიკის" ფარდ ქართულ შესატყვისად მიიჩნევდნენ სიტყვას: „სოფელი მეგრელთა", მაგალითად, ანდრიას „მიმოსვლის" თარგმანის დროს მათ სიტყვა ლაზიკა თარგმნეს, როგორც „ტრაპეზუნტი-სოფელი მეგრელთა", და ასეა კიდეც შესული „ქართლის ცხოვრების" დანართში (ანდრიას „მიმოსვლის" აღწერისას).

აღსანიშნავია, რომ იგივე შესატყვისი „სოფელი მეგრელთა" შესულია 691 წლის ტრულის საეკლესიო კრების ეპისკოპოსთა ხელის მოწერაშიც. დედანშია- „თეოდორე, ეპისკოპოსი ფასიდისა, ლაზიკაში". რაც ქართველმა მთარგმნელმა ასე გადმოიღო - „თეოდორე, ეპისკოპოსი ფასოისა, სოფელსა შინა მეგრელთასა". ასევე დედანში ეწერა „იოანე, ეპისკოპოსი ქალაქ პეტრონისა, ლაზიკაში", ქართველმა მთარგმნელმა გადმოიღო „იოანე, ეპისკოპოსი ქალაქისა პეტრონისა, ქვეყანასა შინა მეგრელთასა".

ცნობილი ისტორიკოსის თედო ჟორდანია ფიქრობდა, რომ ფასიდი (ქართულად ფასოი) ფოთს ერქვა, ამიტომაც თავის მიერ გამოცემულ ტრულის კრების კსნონებს დაურთო საკუთარი კომენტარი „ფასოი-ფოთსა იტყვის", სინამდვილეში კი ქალაქი ფასიდი უფრო სამხრეთით ჭოროხსა და ტრაპეზუნტს შორის მდებარეობდა.

მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ კრებას ესწრებოდნენ ჭოროხ-ტრაპეზუნტის რეგიონის ქალაქების ქართველი ეპისკოპოსები, მაგრამ, რადგანაც ეს რეგიონი, იმჟამად, შედიოდა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში, აღნიშნული ეპისკოპოსები კანონიკურად კონსტანტინოპოლის ეკლესიის იურისდიქციას მიეკუთვნებოდნენ.

აღნიშნული ლაზიკის საეპისკოპოსოები მდებარეობდნენ ქართველთა ისტორიულ სამშობლოში, კერძოდ, ტრაპეზუნტის რეგიონის ქალდეას თემში. მაშასადამე არაა მართებული ამჟამად მღებული თვალსაზრისი, თითქოს **„აფხაზეთის საკათალიკოსომ შეცვალა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ლაზიკის სამიტროპოლიტო და აბაზგიის საარქიეპისკოპოსო ეპარქიები"**. როგორც ითქვა აფხაზეთის საკათალიკოსო ქართული ეკლესიის წიაღში აღმოცენდა, ხოლო აბაზგიის ეპარქია შეეცდომით ამასიის ეპარქიას უწოდა გვიანი ეპოქის (XVII-XVIII სს.) ხელნაწერის გადამწერმა.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

უცხოური (ბერძნულ-ლათინური), სომხური და ქართული წყაროები წმიდა ნინოს შესახებ

(გელასი კესარიელი (IV ს), სოკრატე (IV-V სს), თეოდორიტე კვირელი (IV-V სს), სოზომენე (V ს), რუფინუსი (IV-V სს), მოვსეს ხორენაცი (V ს), ლეონტი მროველი (VIII-XI სს)

გელასი კესარიელი
(IV ს.)

გელასი კესარიელი, IV ს. „იმავე ხანებში ღმრთის მცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა. ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან ტყვედ იყო“ (გეორგიკა, I, გვ. 186).

რუფინუსი: „იბერთა ტომმა პონტოს მხარეში მიიღო ღვთის კანონები და ტყვე ქალი“ (გეორგიკა, I, გვ. 201).

გელასი კვიზიკელი: „პონტოს გასწვრივ მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა მიიღეს ღვთის მცნება ტყვე ქალისგან“ (ივ. ჯავახიშვილი, I, გვ. 152).

ცნობა, რომ „იბერები და ლაზები განანათლა წმიდა ნინომ“ გელასი კესარიელს გადასცა ბაკურიმ.

სოკრატე
(ახ.წ. IV-V სს.)
საეკლესიო ისტორია

წიგნი პირველი

19. თუ როგორ მიიღეს კონსტანტინეს დროს ქრისტიანობა შიდა ინდოეთის ტომებმა.

კვალად უნდა აღინიშნოს, თუ როგორ გავრცელდა ამ იმპერატორის დროს ქრისტიანობა, რადგან მაშინ მიიღეს ქრისტეს რწმენა შიდა ინდოეთის ტომებმა და იბერებმა.

20. თუ როგორ მიიღეს იბერებმა ქრისტიანობა.

ახლა უკვე დროა, ვთქვათ სიტყვა, თუ როგორ გაქრისტიანდნენ იმავე ხანებში იბერები. ვინმე ქალი, თავისი ცხოვრებით სათნო და უმანკო, ღვთის განგებით, იბერთა მიერ იქმნა დატყვევებული. ეს იბერები ცხოვრობდნენ ევქსინის პონტოსთან, ესპანეთის იბერთაგან გამოსულნი. ამრიგად, ეს ტყვე ქალი ბარბაროსებს შორის სიბრძნისმოყვარულ ცხოვრებას ეწეოდა: მისთვის ჩვეული გონიერებით მისდევდა იგი მკაცრ მარხვებსა და მოუკლებლივ ლოცულობდა. ამის შემყურე ბარბაროსებს აოცებდათ მისი უცხო საქციელი. ერთხელაც მეფის შვილი, მცირეწლოვანი, ავად გახდა. და ადგილობრივი ჩვეულებისამებრ, მეფის ცოლმა სხვა ქალებთან გაატანა ბავშვი სამკურნალოდ, ვინმემ გამოცდილებით თუ უწყოდა რაიმე საშუალება ამ სენის წინააღმდეგო. ასე ჩამოატარა ბავშვი ძიძამ, მაგრამ ვერც ერთმა ქალმა ვერ უმკურნალა; ბოლოს, ბავშვი იმ ტყვე ქალთან მიიყვანეს და მან, მრავალი ქალის თანდასწრებით, ნივთიერი დახმარება კი არ აღმოუჩინა – არც იცოდა ასეთი, – არამედ აიყვანა ბავშვი, მიაწვინა თავის მატყლისაგან მოქელილ

ქეჩაზე და ეს უბრალო სიტყვა წარმოთქვა: ,,ქრისტე, რომელმაც მრავალი განკურნა, თქვა მან, განკურნავს ამ ჩვილსაც". ამასთანავე მან ილოცა და ღმერთს მოუხმო, ბავშვიც მაშინვე განიკურნა და ამიერიდან კარგად გრძნობდა თავს. ამიერიდან ხმა გავრცელდა ბარბაროსთა ქალებში, თვით მეფის ცოლამდეც კი მიაღწია და ტყვე ქალმა მეტად გაითქვა სახელი. დიდი ხანი არ გასულა და მეფის ცოლიც გახდა ავად და მან ის ტყვე ქალი დაიბარა, იმან კი უარი განაცხადა, რადგან თავმდაბალი იყო, და ამიტომ თავად დედოფალი მოასვენეს მასთან. ტყვე ქალმა იგივე მოიმოქმედა, რაც წინათ იმ ბავშვზე. და მაშინვე გამოკეთდა ავადმყოფი და ქალს მადლობას უხდიდა. მან კი მიუგო: ,,ეს საქმე მე არ ჩამიდენია, არამედ ქმნა ქრისტემ, რომელიცაა ძე ღმრთისა, სოფლის შემოქმედისა" და შთააგონებდა, რათა მოეხმო იგი და ჭეშმარიტი ღმერთი ეცნო. იბერთა მეფემ, სნეულებისგან მისი ცოლის ესოდენ სწრაფად განკურნებით გაოგნებულმა, როდესაც შეიტყო, თუ ვინ განკურნა იგი, ტყვე ქალს საჩუქრები გაუგზავნა. ხოლო მან ეს შემოუთვალა: - სიმდიდრე არ მჭირდება, ვინაიდან კეთილმორწმუნებაა ჩემი სიმდიდრე და ჩემთვის დიდი საბოძვარი იქნება, თუ მეფე სცნობს იმ ღმერთს, რომელსაც მე ვაღიარებო. ასე შეუთვალა მან და საჩუქრებიც უკან გაუგზავნა; ხოლო მეფემ გულისხმაყო მისი სიტყვა. მეორე დღეს სანადიროდ გასულ მეფეს ეს შეემთხვა: იმ მთის თხემებზე და ნაპრალებზე, სადაც მეფე ნადირობდა, ჩამოწვა სქელი ნისლი და ბურუსი; იმდენად ხშირი, რომ ნადირობაც შეუძლებელი იყო და გზაც - გაუვალი. გამოსავალს რომ ვეღარ ხედავდა, მეფემ მრავალგზის შეჰღაღადა იმ ღმერთებს, რომელთაც თაყვანს სცემდა, მაგრამ ვერაფერს გახდა და, ბოლოს, მოაგონდა ტყვე ქალის ღმერთი და მას მოუხმო დასახმარებლად. ილოცა თუ არა, ნისლით გამოწვეული ბურუსი გაიფანტა. გაოცებული მეფე სიხარულით დაბრუნდა შინ და თავის მეუღლეს უამბო მომხდარი, შემდეგ დაიბარა ტყვე ქალი, რათა ეკითხა მისთვის: ვინ არის ღმერთი, რომელსაც შენ თაყვანსა სცემო. როდესაც ტყვე ქალი პირისპირ ეახლა იბერთა მეფეს, ქრისტეს მქადაგებლად აქცია ისიც, ვინაიდან იმ კეთილმორწმუნე ტყვე ქალის წყალობით მან ირწმუნა ქრისტე, შეკრიბა ყველა თავისი ხელქვეითი იბერიელი, უამბო მათ ყველაფერი — მისი ცოლისა და ყრმის განკურნების ამბავი და ისიც, რაც თავად მას ნადირობის დროს შეემთხვა, და მოუწოდა მათ ერწმუნათ ტყვე ქალის ღმერთი. და ორივენი — მეფეცა და დედოფალიც — ქრისტეს მქადაგებელი გახდა: მამაკაცებისა — მეფე, დედაკაცებისა — მისი ცოლი. როდესაც შეიტყო ტყვე ქალისაგან, თუ როგორი ეკლესიები ჰქონდათ რომაელებს, ბრძანა სალოცავი სახლი აეგოთ: მაშინ გასცა განკარგულება მოემზადებინათ ყველაფერი, რაც აგებისთვის იყო საჭირო. სახლი იგებოდა. სვეტების აღმართვას რომ ეცადნენ, უზენაესმა განგებამ, რომელიც ღვთისკენ იზიდავს ყოველთა მკვიდრთა, განაგო ასე: ერთი სვეტი უძრავად იდვა და ვერაფერი გამონახეს მის დასაძრავად: თოკები წყდებოდა, მანქანები ტყდებოდა, იმედგაცრუებული მუშები თავს ანებებდნენ საქმეს და გარბოდნენ. მაშინ გამოჩნდა ტყვე ქალის რწმენა: ღამით, ისე რომ არავინ იცოდა, იგი მოვიდა იმ ადგილას და მთელი ღამე გულმოდგინე ლოცვაში გაატარა. და ღვთის განგებით სვეტი აღიმართა და დადგა ფუძის თავზე მაღლა ჰაერში ისე, რომ სრულიად არ ეხებოდა კვარცხლბეკს. გამთენიისას, შეურვებული მეფე მოვიდა აღმშენებლობის ადგილას და ხედავს — სვეტი თავის ფუძის თავზე ჰკიდია — გაკვირვებული იყო ამ სანახაობით, განცვიფრდნენ მისი მხლებლებიც. ცოტა ხნის შემდეგ მათ თვალწინ თავის საკუთარ ფუძეზე დაეშვა სვეტი და მყარად გაჩერდა. მაშინ ხალხმა ყვირილი მორთო, მეფის სარწმუნოებას ისინი ჭეშმარიტ სარწმუნოებას უწოდებდნენ და ტყვე ქალის ღმერთს ადიდებდნენ. ამრიგად, საბოლოოდ ირწმუნეს მათ იგი, აღმართეს დიდი მონდომებით დანარჩენი სვეტებიც და მალე მთელი საქმეც დასრულებული იყო. შემდეგ კონსტანტინე მეფესთან ელჩები გააგზავნეს: მოკავშირეობას სთხოვდნენ და ამასთანავე ეპისკოპოსი და სამღვდელოება რომ გამოეგზავნათ; ამბობდნენ, რომ მათ გულწრფელად სწამთ ქრისტე. რუფინუსი აღნიშნავს, რომ ეს ყოველივე მან შეიტყო ბაკურიოსისაგან, რომელიც წინათ იბერთა განმგებელი მეფე იყო, შემდეგ კი რომაელებთან მოვიდა და პალესტინის სამხედრო ნაწილების სარდლად იქნა დაყენებული: ამის შემდეგ, იგი, როგორც სტრატელატოსი მაქსიმე ტირანის წინააღმდეგ წარმოებულ ომში, მეფე თეოდოსიოსს ეხმარებოდა. ასე გაქრისტიანდნენ იბერები კონსტანტინეს დროს.

თეოდორეტოს კვირელი
(ახ.წ. IV-V სს.)
ეკლესიის ისტორია

წიგნი პირველი

1, 23. ინდოელები ფრუმენტიოსმა მოაქცია ღმრთის მეცნიერებისაკენ. იბერები კი იმავე დროს ჭეშმარიტებისაკენ ტყვექმნილმა ქალმა წარმართა. იგი მუდამ ლოცვით იყო დაკავებული. სარეცლად და რბილ საწოლად ჰქონდა ტილო, მიწაზე დაფენილი, ხოლო უმაღლეს შვებად კი მარხვას მიიჩნევდა. ამ ღვაწლმა მას მოციქულების მადლი მიანიჭა. რადგანაც ბარბაროსებს, რომელთაც მკურნალობის ხელოვნების ცოდნა არ გააჩნდათ, სნეულების ჟამს ჩვევად ჰქონდათ ერთმანეთთან მიმოსვლა და უკვე დაავადებულთა და სნეულებისაგან გათავისუფლებულთაგან განკურნების გზის სწავლა, ამ საქებარ ქალთანაც მივიდა ერთი დედაკაცი, რომელსაც შვილი სნეული ჰყავდა და სთხოვა ესწავლებინა, რა გაეკეთებინა. მან კი აიყვანა ბავშვი და სარეცელზე მიაწვინა და ყოველთა შემოქმედს მოხედვასა და სნეულებისაგან მის დახსნას ევედრებოდა. ხოლო უფალმა ვედრება შეიწყნარა და ყრმას სიმრთელე მიანიჭა. მას შემდეგ საკვირველი ქალი მრავალგანთქმული გახდა. მომხდარი არც მეფის თანამეცხედრისათვის დარჩენილა დაფარული. მან მყისვე გაგზავნა მასთან, რადგან თავადაც მძიმე სენით იყო შეპყრობილი. ქალმა კი გონების თავმდაბლობა მოიხმო და დედოფლის თხოვნა არ შეიწყნარა; საჭიროებისაგან იძულებულმა მან სამეფო ღირსების გონებით გათვალისწინება არ ინება, არამედ თავად განისწრაფა ტყვე ქალისაკენ. ხოლო მან კი იგი ისევ უბრალო სარეცელზე მიაწვინა და სნეულებისაგან გადამრჩენელ წამლად ლოცვა გამოიყენა. მაშინ დედოფალმა მას მკურნალობის საზღაური მიართვა, რომელსაც თავად მოგების ღირსად მიიჩნევდა: ოქრო, ვერცხლი, ქიტონები, შესამოსლები და ყოველივე, რაც სამეფო გულუხვობის გამომხატველ საჩუქრებს წარმოადგენს. ღვთაებრივმა ქალმა კი უთხრა, რომ ისინი მას არ სჭირდებოდა, და რომ დიდ საზღაურად ჩათვლიდა მის მიერ ღვთისმსახურების შეცნობას. და გააცნო, რამდენადაც შესაძლებელი იყო, საღმრთო სწავლებანი და სთხოვდა, საღმრთო ტაძარი აღემართა მხსნელი ქრისტესათვის. ეს რომ დედოფალმა გაიგონა, მივიდა სამეფო სასახლეებში და მაშინვე მკურნალობის სისწრაფით გააოგნა თანამეცხედრე. შემდეგ ტყვე ქალის ღმერთის ძალა აჩვენა და სთხოვა, მხოლოდ იგი ეცნო ღმერთად და ტაძარი აეშენებინა მისთვის და მთელი ერი მის მსახურებაზე გადაეყვანა. მეფემ კი თანამეცხედრის მიმართ მოხდენილი სასწაული შეაქო, ტაძრის აშენება კი არ ინება. მცირე ხნის გასვლის შემდეგ მეფე სანადიროდ წავიდა. კაცთმოყვარე უფალმა კი იგი პავლესავით მოინადირა. უეცარი ჯანღი დაეცა მას, ისე, რომ წინ წასვლა ვეღარ შესძლო. სხვა მონადირეები კი ჩვეულებრივ ხედავდნენ მზის სხივებს და მხოლოდ იგი იყო დარჩენილი და ვერმხედველობის ბორკილებით შეკრული. ამ უღონობაში მყოფმა ხსნის გზა იპოვა. მაშინვე მოუვიდა გონებაში თავის ურწმუნოება, ტყვე ქალის ღმერთს მოუხმო დამხმარედ, ჯანღისაგან გათავისუფლდა და იმ საქებარ ტყვე ქალთან მისულმა ნაგებობის სქემის მიცემა სთხოვა. ხოლო ვინც აღავსო ბესელიელი ხუროთმოძღვრული სიბრძნით, იგიც გახადა ღირსი მადლისა, რომ საღმრთო ტაძარი აღეწერა. და იგი აღწერდა, ხოლო ისინი თხრიდნენ და აშენებდნენ. ხოლო, როდესაც ნაგებობა დასრულდა და სახურავი დაედო და მხოლოდ მღვდლებიღა აკლდა, საკვირველმა ქალმა ამის გზაც გამონახა. მან დაარწმუნა ტომის ბელადი, ჰრომთა მეფესთან მიევლინებინა ელჩობა და მათთვის ღვთისმსახურების მოძღვრის გამოგზავნა ეთხოვა. მან მიიღო ეს რჩევა და დესპანები გაგზავნა. მეფემ კი, როდესაც შეიტყო თხოვნის მიზეზი (ეს კი იყო კონსტანტინე, მხურვალე მოყვარე ღმრთისმსახურებისა), დესპანები ყოველგვარი კეთილგანწყობის ღირსი გახადა და რწმენით, გონიერებითა და ცხოვრებით შემკული და მღვდელმთავრობის ღირსქმნილი ადამიანი გაუგზავნა ერს ღმრთისმსახურების მქადაგებლად დიდი რაოდენობის საჩუქრებთან ერთად. ამგვარი გულმოდგინების ღირსი გახადა მთხოვნელები...

სოზომენე
ჰერმიას სოძომენოსი
(ახ. წ. V ს.)
საეკლესიო ისტორია

წიგნი პირველი

6. ... მას შემდეგ, რაც მოკლულ იქნა მაქსენტიოსი, ერკულიოსის ძე, და განმგებლობის მისი წილი კონსტანტინეს ხელში გადავიდა, უშიშრად აღიარებდნენ ქრისტეს ისინი, რომლებიც მკვიდრობდნენ მიდამოებში მდინარე ტიბრისა, ერიდანოსისა, რომელსაც ადგილობრივები პადუსს ეძახიან, და აკვილისა, რომელშიც, გადმოცემის მიხედვით, შეათრიეს არგო და შემდეგ ტირენთა (ტირენიის) ზღვაში უვნებლად შეაცურეს. არგონავტებმა ხომ, აიეტს რომ გამოექცნენ, უკან დაბრუნებისას იმავე გზით კი არ გამოსცურეს, არამედ გადალახეს ზღვა სკვითებს ზემოთ, იქაური მდინარეებით მოაღწიეს იტალიელთა ქვეყანაში და დაიზამ-თრეს. შემდეგ მათ აქ დააარსეს ქალაქი, რომელსაც ჰემონი ეწოდება. ზაფხულის დამდეგს, ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარებით, დაახლოებით ოთხასი სტადიონის მანძილზე მიწაზე მანქანით ათრიეს არგო და ჩაუშვეს იგი მდინარე აკვილისში, რომელიც ერიდანს ერთვის. ერიდანი კი იტალიის ზღვაში ჩაედინება. კიბალასთან ბრძოლის შემდეგ კონსტანტინეს დაემორჩილნენ დარდანები, მაკედონელები მდინარე ისტროსის მიმდებარე მოსახლეობა, ეგრეთწოდებული ელადა და მთელი ილირიელი ხალხი.

8. ... [კონსტანტინეს] იმპერიის აყვავების ხანაში გავრცელდა ქრისტიანული სარწმუნოება. ლიკინიოსთან ბრძოლის შემდეგ მას ისე სწყალობდა ბედი უცხო ტომებთან ბრძოლაში, რომ გაიმარჯვა სავრომატებზე და ეგრეთწოდებულ გოთებზე. საბოლოოდ მოწყალების სახით დაამყარა მათთან მშვიდობა. ეს ხალხი მაშინ მდინარე ისტროსის გაღმა ცხოვრობდა; ისინი მეტად მამაცნი სიმაღლით გამოირჩეოდნენ და მრავალრიცხოვანნიც იყვნენ, მუდამ ემზადებოდნენ საომარი მოქმედებისათვის. ეს ხალხი ადვილად უმკლავდებოდა სხვა ბარბაროსებს და მხოლოდ რომაელთა სახით ჰყავდა ღირსეული მოწინააღმდეგე...

7. თუ როგორ მიიღეს იბერებმა ქრისტეს სარწმუნოება. ზემოთ მოხსენებული განმგებლობის ხანაში, როგორც გადმოგვცემენ, აღიარეს ქრისტე იბერებმა. ეს არის ბარბაროსული ტომი, ღირსეული და ფრიად მებრძოლი, ცხოვრობს არმენიელთა გაღმა, ჩრდილოეთით. წინაპართა სარწმუნოების უარყოფისათვის მოამზადა ისინი ერთმა ქრისტიანმა ტყვე-ქალმა. მან უაღრესად მორწმუნემ და ღვთისმოსავმა, არც უცხო ტომთა შორის გაანება თავი თავის ჩვეულ ცხოვრების წესს. ძალიან უყვარდა მარხვა, დღედაღამ ლოცვა და ღვთის მადიდებლობა. ბარბაროსები ეკითხებოდნენ მას, თუ რის გულისთვის იტანდა იგი ყოველივე ამას. როდესაც ის ძალიან მარტივად ამბობდა, ვცეთ თაყვანი ღმერთის ძეს, მათ ეუცხოებოდათ მისი უბრალო პასუხი კი — რომ ასე უნდა, თაყვანსაცემი სახელიც, და თაყვანისცემისა. ამ დროს მოხდა ისე, რომ მძიმე სენი შეეყარა ერთ ყრმას, რომელსაც დედა დაატარებდა კარი-კარ და აჩვენებდა. იბერებს ეს აქვთ ჩვეულებად, რომ იქნებ ვინმე იპოვონ ავადმყოფობის მკურნალი, და ამით შვება პოვოს მაშვრალთ ტკივილისაგან. როდესაც ბავშვი ვერსად ვერ მოარჩინეს, იგი მოჰგვარეს ტყვე ქალს და მან თქვა: „მე არც ვუწყი და არც გამოცდილება მაქვს საცხები ან საფენი წამ-ლებისა; ხოლო მწამს ჰოი, დედაკაცო, რომ ქრისტე, რომელსაც თაყვანს ვცემ და რომელიც არის ჭეშმარიტად დიდი ღმერთი, იქნება შენი ბავშვის მხსნელი“. მაშინვე ილოცა ტყვე ქალმა ბავშვისათვის და სნეულებისაგან იხსნა იგი, თუმცა ელოდნენ — ბავშვი ეს-ესაა მოკვდებაო. დიდი ხანი არ გასულა ამის შემდეგ, რომ ტყვე ქალმა ამნაირადვე გადაარჩინა ერის მთავრის მეუღლეც, რომელიც უკურნებელი სენისგან იღუპებოდა. მან მას ქრისტეს ცნობაც ასწავლა, და განუმარტა, რომ ქრისტე არის ჯანმრთელობის მომნიჭებელი, მეუფე სიცოცხლის, მეუფებისა და ყოველივესი. და დედოფალმაც საკუთარი გამოცდილებით ირწმუნა, რომ ჭეშმარიტებაა ტყვექალის სიტყვები, აღიარა ქრისტიანთა სარწმუნოება, და დიდის პატივით

ეპყრობოდა ტყვე დედაკაცს. მეფემ კი სწრაფმოქმედი და საოცარი სარწმუნებით და კურნებით გაოცებულმა, რომ შეიტყო თავისი მეუღლისაგან ამის მიზეზი, ბრძანა ტყვექალისათვის საჩუქრები მიერთმიათ. ,,მაგრამ ამ საჩუქრებს – მიუგო დედოფალმა – ის არაფრად აგდებს, რაც არ უნდა ძვირფასი იყოს ისინი; ერთადერთი, რასაც იგი დიდად აფასებს, არის მისი ღმერთის თაყვანისცემა. და აი, თუ ჩვენ მოვისურვებთ გვესიამოვნებინა მისთვის და შევეცდებოდით მტკიცედ და კარგად მოვქცეულიყავით, [ამით] ჩვენ იმასაც თაყვანსვცემდით, ძლიერ ღმერთსა და მაცხოვარს, რომელიც, თუკი მოისურვებს, მეფეებსაც დასტოვებს, სადაც ისინი არიან, და კვლავ საკმაოდ ადვილად დიდებს პატარებად გახდის, უსახელოებს – სახელგანთქმულებად და გაჭირვებაში მყოფთაც იხსნის ხოლმე. თუმცა ცოლი ხშირად, როგორც ჩანს, კარგად ეუბნებოდა [ყველაფერს] ამას, მაგრამ იბერიის მთავარი მერყეობდა და არცთუ მთლად უჯერებდა მას: საქმის სიახლე აფიქრებდა და მამა-პაპათა სარწმუნოებასაც მოწიწებით ეპყრობოდა. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ და [მეფე] თავის მხლებლებით წავიდა ტყეში სანადიროდ. უცბად ძალიან სქელი ნისლი ჩამოწვა და ჰაერიც დამძიმდა, და ყოველი მხრით დაუფარა მონადირეებს ცა და მზე. ტყე მოიცვა უკუნმა ღამემ და დიდმა წყვდიადმა. მაშინ ყველას თავისი საკუთარი შიში ჰქონდა და დაიფანტნენ ვინ სად და ვინ სად. მეფეც მარტო დაეხეტებოდა, როგორც ეს ჩვეულებრივ ემართებათ ადამიანებს, გაჭირვებაში რომ არიან და არ იციან რა ქნან, და მოაგონდა ქრისტე; ერთი გაიფიქრა, ღმერთად ვაღიარებ მას და ამიერიდან თაყვანს ვცემო, თუკი ახლანდელს უბედურებას გადავრჩებიო. ჯერ კიდევ ამის ფიქრში იყო, რომ უცბად ნისლი გაიფანტა და ცაც მოიწმინდა. მზის შუქმა შეაღწია ტყეში და [მეფეც] ამჟამად გადარჩა. [მეფემ] თავის მეუღლეს უამბო, რაც გადახდა თავს და ტყვე ქალი დაიბარა და სთხოვა – მასწავლე როგორ უნდა ვსცე თაყვანი ქრისტესო. როდესაც იმან განუმარტა, რამდენადაც შესაძლებელი იყო ქალისთვის ამის გაკეთება, მეფემ შეკრიბა თავისი ქვეშევრდომები და საქვეყნოდ განაცხადა, რაც მას და მის მეუღლეს წყალობა უყო ღმერთმა; თუმცა ის ჯერ კიდევ არ იყო განდობილი, მაგრამ გადასცა თავის ქვეშევრდომებს ამ სარწმუნოების დებულებები; [მეფემ და დედოფალმა] არწმენინეს ქრისტეს თაყვანისცემა – მეფემ მამაკაცებს, ხოლო დედოფალმა და ტყვე ქალმა – დედაკაცებს. მალე, მთელი ხალხის საერთო თანხმობით, გულმოდგინედ შეუდგნენ ეკლესიის შენობის აგებას. როდესაც ტაძრის გარშემო გალავანი აღმართეს, დადგეს მანქანები და შეუდგნენ სვეტების აწევას და კვარცხლბეკზე დამაგრებას. ამბობენ, რომ პირველი და მეორე სვეტები რომ გამართეს, ძნელი შეიქმნა მესამე სვეტის დადება; ვერც ოსტატების ხელობის მეშვეობით გაიმართა სვეტი, ვერც ძალით აიძულა, თუმცა მრავალი ხალხი მიათრევდა მას. რომ შემოსაღამოვდა, ტყვე ქალი მარტო დარჩა იქ ღამის სათევად და ევედრებოდა ღმერთს, რომ გაეადვილებინა სვეტების აღმართვა: სხვა ყველანი კი შინ წავიდნენ დამწუხრებულნი, განსაკუთრებით კი მეფე. შუამდე აღმართული სვეტი დარჩა დამრეცად და ნიადაგზე მიბჯენილი უძრავად იყო ქვედა ბოლოდან. [ღმერთმა] მოინდომა ამით და წინათ მომხდარი სასწაულებით უფრო განემტკიცებინა იბერები ღმერთისადმი რწმენაში. გათენებისას რომ მოვიდნენ ისინი ეკლესიაში – ეჰა, საქმე საკვირველი და სიზმრის დასადარი, - ის სვეტი, რომელიც წინა დღეს უძრავად იყო, აღმართული აღმოჩნდა: იგი ჰაერში ეკიდა ცოტა დაშორებით საკუთარი კვარცხლბეკისაგან. ყველანი რომ განცვიფრებულნი იყვნენ და ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთად ქრისტეს აღიარებდნენ, [სვეტი] თავისთავად წყნარად დაეშვა ყველას თვალწინ და, თითქოს ოსტატის ხელითო, ზედ მოერგო კვარცხლბეკს. ამის შემდეგ დანარჩენი [სვეტებიც] ადვილად იქნა აღმართული და იბერებმა კიდევ უფრო მეტი მხნეობით დანარჩენი საქმეებიც დააბოლოვეს. ეკლესიის აგება სწრაფად დამთავრდა და ტყვე ქალის წინადადებით ელჩები გაგზავნეს კონსტანტინე მეფესთან, შეაძლიეს კავშირი და მშვიდობა და ამის სანაცვლოდ სთხოვეს მღვდლები გაეგზავნა იბერიელი ხალხისთვის. როდესაც ელჩებმა უამბეს [კონსტანტინეს], თუ რა მოხდა მათ ქვეყანაში და როგორი სასოებით მთელი ერი თაყვანს სცემს ქრისტეს, რომაელთა მეფეს ძალიან ესიამოვნა ელჩების ჩასვლა, ყველაფერი გაუკეთა ისე, როგორც ითხოვეს და ისე გაისტუმრა ელჩები. ასე აღიარეს იბერებმა ქრისტე და დღევანდლამდე სასოებით თაყვანს სცემენ მას.

34. ... [კონსტანტინეს] საქმეები ისე წარემართებოდა, როგორც არავისი სხვისა, რადგან, ჩემი აზრით, იგი ღმერთის ნების გარეშე საქმეს ხელს არ ჰკიდებდა. იგი გამოვიდა გამარჯვებული ადრე გამართული ომებიდან გოთებზე და სავრომატებზე...

36. ... სავრომატების წინააღმდეგ ლაშქრობასა და გალიაში ვალენტინიანოსის სიკვდილის შესახებ.

... იმპერიის დასავლეთი ნაწილის სხვადასხვა ადგილებში სავრომატების თავდასხმის გამო, ვალენტინიანოსი მათ წინააღმდეგ გამოვიდა. როდესაც სავრომატებმა ჯარისა და მარაგის რაოდენობა შეიტყვეს, მათ გაგზავნეს ელჩები ზავის სათხოვნელად. მათ დანახვისთანავე ვალენტინიანოსმა იკითხა, ყველა სავრომატი ასეთიაო? როდესაც უპასუხეს, რომ ელჩების სახით წარმოდგენილნი არიან წარჩინებულნი, იგი გაცეცხლდა და ხმამაღლა იყვირა, რომ მისი ქვეშევრდომნი საშინელებას იტანენ და მისდა საუბედუროდ ხელთ ჩაუვარდა მასთან რომის ძალაუფლება, თუკი სავრომატები, ბარბაროსი ხალხი, - რომაელთა შორის საუკეთესონი ესენი არიან, არ ჯერდებიან სამშობლოში მშვიდობიან ცხოვრებას, ბედავენ მის იმპერიაზე თავდასხმას და რომაელებთან ომზე ლაპარაკობდნენ. როდესაც იგი მეტად გაცხარებული ამას ყვიროდა, ძლიერი დაძაბულობის გამო, ჩაუწყდა შიგნეულობა და გაუსკდა ძარღვები და არტერია, იგი გარდაიცვალა სისხლდენით გალიის ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში, დაახლოებით 54 წლის ასაკში, 13-წლიანი ფრიად მშვენიერი მეფობის შემდეგ ...

28. ... ხოლო იოანეს მტრებმა, კონსტანტინოპოლში მოიგონეს ცილისწამება, თითქოს იოანე და მისი მომხრეები მოქმედებდნენ უცხოეთის განმგებლობის წინააღმდეგ და უპატიო გადასახლება მოუმზადეს მათ. თავად იოანე კი მოახერხეს, რომ უფრო შორს, პიტიუნტში გადაესახლებინათ. სასწრაფოდ გამოცხადდნენ ჯარისკაცები დადგენილის აღსასრულებლად. ამბობენ, რომ გზაში, ჯარისკაცებს რომ მიჰყავდათ, მან წინასწარ იგრძნო თავისი მოახლოებული აღსასრულის დღე. მას არმენიის კომანეში, გამოეცხადა მოწამე ბასილისკოსი. აქ მან უკვე ვეღარ გაუძლო მგზავრობას და თავის ტკივილი აუვარდა; მზის სხივები ვეღარ აიტანა და სნეული სიცოცხლეს გამოესალმა.

ტირანიუს რუფინუსი
(დაახლ. ახ. წ. 345-410 წწ.)
საეკლესიო ისტორია

I, 10. ტყვე ქალის მიერ იბერთა ტომის მოქცევისათვის. იმავე დროს იბერთა ტომმაც, რომელიც პონტოს ცის ქვეშ ცხოვრობს, მიიღო უფლის სიტყვის სჯული და მომავალი სასუფეველის რწმენა. ასეთი დიდი სიკეთის მიზეზი კი ერთი ტყვე ქალი აღმოჩნდა. მათთან იგი სრულიად მშვიდ, ფხიზელ და კრძალულ ცხოვრებას ეწეოდა, დღისით და ღამით დაუცხრომლად უფლის წინაშე ლოცულობდა. ამ ახლებურმა უჩვეულო საქციელმა ბარბაროსთა გაოცება გამოიწვია. მათ ზედმიწევნით გამოძიება დაიწყეს, თუ რას უქადდა ეს მათ. ხოლო ქალმა, რაც სინამდვილეში იყო ის აღიარა ანუ ამგვარად მიაგებდა უფალ იესოს პატივს. ამის შემდეგ ბარბაროსებს აღარაფერი უკვირდათ ახალი სახელის გარდა, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, ასეთმა გულმოდგინებამ იქაური ქალების ცნობისმოყვარეობა აღძრა, იქნებ ამგვარი ღვთისმოსაობისგან რაიმე სარგებელს ვეწიოთო. ამბობენ, რომ იბერთა შორის გავრცელებულია ჩვეულება, რომლის თანახმად, თუკი ბავშვი ავად გახდება, დედა მას კარდაკარ დაატარებს, რათა ყველამ, ვინც რაიმე ნაცადი წამალი იცის, ავადმყოფს შემწეობა აღმოუჩინოს. ერთხელ, როდესაც ერთმა ქალმა ბავშვით ხელში ყველა სახლი მოიარა და ვერავითარი წამალი ვერ მიიღო, ტყვე ქალთანაც მივიდა, რომ მას ემცნო, თუ რაიმე იცოდა. მან განუცხადა, რომ ადამიანური არავითარი საშუალება არ უწყოდა, მაგრამ აღუთქვა ქალს, რომ მის ღმერთს იესოს, ვისაც ეთაყვანებოდა,

ხელეწიფებოდა ისეთი ხსნის მინიჭება, რისი იმედიც ადამიანებმა გადაუწურეს. შემდეგ ბავშვი საკუთარ კვართზე დააწვინა, აღუვლინა უფალს ლოცვა და დედას ჯანმრთელი ბავშვი დაუბრუნა. ამ ამბის შესახებ ხმა დაირხა მრავალთა შორის და დედოფლის ყურამდეც მიაღწია. ის რომელიღაც მძიმე სენით იყო შეპყრობილი და უდიდეს სასოწარკვეთილებას მისცემოდა. დედოფალმა ტყვე ქალის მასთან მიყვანა ითხოვა. მან კი იუარა, რათა თავისი სქესისთვის აღმატებულზე თავმდაბლად არ გამოჩენილიყო. მაშინ დედოფალმა საკუთარი თავის ტყვესთან მიყვანა ბრძანა. მან კი დედოფალი ისევ კვართზე დააწვინა, ქრისტეს სახელს მოუხმო და ლოცვის შემდეგ მაშინვე ჯანმრთელი და ხალისიანი წამოაყენა და ასწავლა დედოფალს, რომ ის უფალმა იესომ განკურნა, მაღალი ღმერთის ძემ. ასწავლა ასევე, რომ ის უნდა მოეხმო, ვინც, დედოფალმა უწყოდეს, მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის მიზეზია, ვინაიდან ის არის, ვინც მეფეებს სამეფოებს და მოკვდავთ სიცოცხლეს ანიჭებს. დედოფალი სიხარულით დაბრუნდა შინ და მისი შეკითხვის პასუხად ქმარს გაუმხილა ასეთი უეცარი განკურნების მიზეზი. როცა მეუღლის ჯანმრთელობით გახარებულმა მეფემ ტყვე ქალისთვის საჩუქრების მიტანა ბრძანა, დედოფალმა თქვა: ,,მეფეო, ამათგან ტყვე ქალი არაფერს არ აფასებს: ის უარყოფს ვერცხლს, მარხვაა მისი საზრდელი. მხოლოდ ერთი ძღვენის მირთმევა შეგვიძლია, - თუკი იმ ღმერთს, იესოს მივაგებთ პატივს, ვინც მისი ლოცვის გამო განმკურნა". მეფემ მაშინ ეს უვიცურად ისმინა და დროებით დაივიწყა, თუმცა მეუღლე ხშირად შეახსენებდა ხოლმე ამას. ერთხელაც ისე მოხდა, რომ დღისით, როცა მეფე ტყეში თავის ამალასთან ერთად ნადირობდა, დღის ნათელი ბნელმა დაფარა და უკუნეთ სიბნელეში აღარ იყო გზის გაკვლევის საშუალება. მეფის მეგზურები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ და გზა დაებნათ. მეფე მარტო დარჩა და არ იცოდა, რა ექნა, სად წასულიყო და სრული სიბნელით იყო გარემოცული. უეცრად, მისი სასოწარკვეთილებით გაწამებული სული, ასეთმა აზრმა გაანათა: თუკი ჭეშმარიტად ღმერთია ქრისტე, ვისზეც მის მეუღლეს ტყვე ქალი უქადაგებდა, იგი მას ახლა წყვდიადიდან იხსნის, იმისათვის, რომ ყოველი სხვა კერპი უარყოს და მას სცეს თაყვანი. იმავე წუთს, როცა ამ აღთქმამ გონებაში გაუელვა და ვიდრე ამას სიტყვიერადაც წარმოსთქვამდა, უმალ დაბრუნებულმა დღის შუქმა მეფე ქალაქამდე უვნებლად მიიყვანა. მან მყისვე გაანდო დედოფალს, რაც შეემთხვა, შემდეგ ტყვე ქალს უხმო, მოითხოვა მისთვის თაყვანისცემის წესი და რიგი აეხსნა და დასტურყოფდა, რომ ამიერიდან ქრისტეს გარდა სხვა ღმერთს არ ეთაყვანებოდა. ტყვე ქალი მივიდა, ასწავლა უფლის იესოს შესახებ, განუმარტა, რამდენადაც ამის გამხელა ქალისაგან შეიძლებოდა – ლოცვის და თაყვანისცემის წესი. ამასთან ერთად იგი მას შეაგონებდა ეკლესიის აგებას და აღწერა იგი. მეფემ უხმო ხალხს, მოუთხრო მათ ყველა გარემოება, რაც მას და დედოფალს შეემთხვათ, ასწავლა რწმენა და თავად, ჯერ კიდევ სიწმინდეს უზიარებელი, თავისი ხალხის მოციქული გახდა. მამაკაცებმა ირწმუნეს მეფის - ხოლო ქალებმა დედოფლის წყალობით და ყველამ, ერთსულოვანი სურვილის შესაბამისად, დაუყოვნებლივ დაიწყეს ეკლესიის აღმშენებლობა. სწრაფად ააგეს გარშემო კედელი და სვეტების დადგმის დროც მოვიდა. როცა პირველი და მეორე სვეტი აღიმართა და მესამეს რიგი დადგა, ყველა მანქანა, აგრეთვე ყველა ადამიანისა და ხარის ძალა გამოიყენეს, რის შემდეგადაც სვეტის დამრეცად შუა ადგილამდე აწევა მოასწრეს, მაგრამ დანარჩენი ნაწილი ზევით ვეღარცერთმა მანქანამ ვერ აღმართა. ყველანი მეორედ, მესამედ და კიდევ მრავალგზის ეცადნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სვეტი ადგილიდანაც კი ვერ დაძრეს. ყველა მომუშავეს ქანცი გაუწყდა. ხალხი განცვიფრებული იყო, მეფე სულით დაეცა, კადნიერებამ უმტყუნა. არავინ იცოდა, რა უნდა ეღონათ. მაგრამ როცა დაღამდა, ყველა წავიდა და შეწყდა სამუშაო, მიმოიფანტა ხალხი. მხოლოდ ტყვე ქალი დარჩა იმ ადგილას და მთელი ღამე ლოცვაში გაატარა. დილით, როცა მეფე ყველა თავისიანთან ერთად შეწუხებული მივიდა იქ, დაინახა ზეაღმართული და თავისი საფუძვლის თავზე თავისუფლად დაკიდებული სვეტი, რომელსაც ძვრა ვერ უყო იმდენმა მანქანამ და ადამიანმა. ეს სვეტი კი არ იდგა, არამედ ჰაერში იყო დაკიდებული. მაშინ მთელი ერი უჭვრეტდა ამას და ადიდეს ღმერთი. ამასთანავე დასძენდნენ, რომ ჭეშმარიტი სასწაულის დამოწმებით დადასტურდა მეფის რწმენისა და ტყვე ქალის სარწმუნოების ჭეშმარიტება და როდესაც ყველანი ჯერ კიდევ განცვიფრებისაგან გახევებულნი იდგნენ, მათ თვალწინ სვეტი ნელ-ნელა თავის საფუძველს მიუახლოვდა და ყოველგვარი

შეხების გარეშე გაწონასწორებულად დაემყარა. ამას შემდეგ დანარჩენი სვეტები ისე ადვილად ასწიეს, რომ იმ დღესვე ყველა დააყენეს. მას შემდეგ, რაც ეკლესია შესანიშნავად აშენდა და ხალხს მგზნებარედ სწყუროდა ღმერთისადმი რწმენა, ტყვე ქალის მითითებით იმპერატორ კონსტანტინესთან მთელი ერის სახელით ელჩობა გაემგზავრა. ამცნეს მომხდარი. გადასცეს თხოვნა, როგორც ამბობენ, ღვთისმსახურნი გაეგზავნათ, რომ მათ დაწყებული საღვთო საქმე დაეგვირგვინებინათ. იმპერატორმა ისინი უკან დიდი სიამოვნებითა და პატივით გაისტუმრა და ეს ამბავი უფრო მეტადაც გაუხარდა, ვიდრე რომის ძალაუფლებისათვის უცნობი ტომები და სამეფოები რომ მიეერთებინა. ეს ასე რომ მოხდა, გვაცნობა ნდობის ყოვლად ღირსმა პიროვნებამ, ბაკურიუსმა, რომელიც სწორედ იმ ხალხის მეფე და დომესტიკოსთა კომესია (ცხენოსანი დაცვის უფროსი). ის ზედმიწევნით ირჯებოდა როგორც კეთილსინდისიერების, ასევე სიმართლისათვის, მაშინ იგი, ჩვენთან ერთად, სრული ერთსულოვნებით იერუსალიმში ცხოვრობდა და იმ დროს პალესტინის საზღვრის უფროსი იყო.

ერთ-ერთი ლაზური გადმოცემა წმიდა ნინოს შესახებ

კარჩხალის მთის ქედ-ქედ არის ერთი მთა, რომელსაც ნინო წმიდა ეწოდება. ძველად აქეთ საცაღა ეკლესია თუ მონასტერი ყოფილა, რომელსაც სახელად ნინოწმიდა რქმევია. პირველ გამაჰმადიანების დროს ეს ეკლესიაც მთლად დაუქცევიათ. არსად ერთი ქვაც აღარ დარჩენილა. დღეს ამ მთას ქართველი მაჰმადიანები ნინო წმიდის მთას უწოდებენ და იმასაც უწყიან, რომ ძველად იქ ეკლესია იყო და ხალხი სცხოვრობდაო. გამაჰმადიანების დროს ხალხი დაუხოციათ და ვინც დარჩენილა, ისინიც აქეთ-იქით სოფლებში გაქცეულან. ფიქრი არ უნდა, რომ ეს სწორედ ასეც იქნებოდა. ხალხის გარდმოცემით, თამარ მეფეს თუ კარჩხალის მთაზე ცხოვრება დიდად უყვარდა, მაშასადამე იგი ამ საყვარელ, უმშვენიერეს მთებზე რომელიმე ქართველი წმიდანის სახელზედ ეკლესიას ააგებდა და მით შეამკობდა. სჩანს, რომ თამარ მეფეს, თუ სხვა ვინმე ქართველთ მეფეს აქ ნინო წმიდის ეკლესია ან მონასტერი უნდა აღეშენებინოს, ნინო წმიდის მთიდამ ერთი გზა კარჩხალის მთით შავშეთში გადადის და მეორე ლივანაში (ზ. ჭიჭინაძე, „ქართველთა გამაჰმადიანება“).

მოვსეს ხორენაცი (V ს)
სომხეთის ისტორია

ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ
(გამომცემლობა „მეცნიერება“, 1984)

(ნაწყვეტი)

სანატრელი ნუნესა და იმის შესახებ, თუ როგორ გახდა იგი ქართველთა ხსნის მიზეზი

ერთი ქალი, სახელად ნუნე, [დევნილ] და გაფანტულ წმიდა რიფსიმიანთა ამხანაგთაგანი, ილტვოდა და მიაღწია ქართველთა ქვეყანას, მათ დედაქალაქს, მცხეთას. დიდი გულმოდგინების წყალობით მან შეითვისა მკურნალობის ხელოვნება და მრავალი სნეული მოარჩინა, სავსებით [განკურნა] ქართველთა წინამძღოლის, მირიანის ცოლიც. მაშინ ჰკითხა მას მირიანმა, თუ რა ძალის მეოხებით ჩადის ამგვარ საოცრებებს, [ნუნემ კი] ამაზე ქრისტეს სახარების ქადაგებით უპასუხა; [მირიანი] გატაცებით უსმენდა მას, მერმე [ამის შესახებ] მოუყვა თავის ნახარარებსაც და ქებაც არ დაუშურებია. მალე მან შეიტყო იმ საკვირველებათა შესახებ, რაც სომხეთში მეფესა და ნახარარებს შეემთხვათ, აგრეთვე სანატრელ ნუნეს ამხანაგების [თავგადასავალი]. განცვიფრებულმა [მირიანმა] უამბო ეს სანატრელ ნუნეს, რომლისგანაც უფრო სარწმუნოდ და დაწვრილებით გაიგო ყოველივე.

იმავე ხანებში სანადიროდ წასულ მირიანს ძნელსავალ მთებში გზა დაებნა; მას თვალთ კი არ დაუბნელდა, არამედ ნისლი ჩამოწვა. როგორც ნათქვამია „სიტყვით მოუხმო ნისლს“, ანდა „დღე დააბნელა და ღამედ აქცია“. ამნაირად, მირიანი მოექცა სიბნელეში, რაც გახდა მიზეზი მისთვის სამუდამო სინათლის მინიჭებისა, რამეთუ შეშინებულს მოაგონდა თრდატის შესახებ მოსმენილი ამბავი: როდესაც იმან მოიწადინა და გზას გაუდგა, ღვთის რისხვა დაატყდა თავს. მირიანმა იფიქრა, რომ მასაც მსგავსი რამ შეემთხვევა და თავზარდაცემული მოჰყვა ლოცვა-ვედრებას, რათა ნისლი გაფანტულიყო და შინ მშვიდობით მისულიყო. [სამაგიეროდ], იგი პირობას დებდა, რომ თაყვანს სცემდა ნუნეს ღმერთს; აუსრულდა მას სურვილი და თვითონაც არ გატეხა სიტყვა.

სანატრელმა ნუნემ მოითხოვა სანდო კაცები და გაგზავნა ისინი წმიდა გრიგორთან [იმის გასაგებად], თუ რის გაკეთებას უბრძანებდა მას შემდეგ, რაც ქართველებმა სიამოვნებით შეიწყნარეს სახარება. [ნუნემ] მიიღო ბრძანება, რომ მოესპო კერპები, როგორც ეს თავად [გრიგორმა] ქნა და აღემართა ჯვარი პატიოსანი ჯერ კიდევ მანამდე, სანამ უფალი უწყალობებდა მათ მწყემსს წინამძღვრად. [ნუნემ] დაუყონებლივ მოსპო ჭექა-ქუხილის [მომვლინებელი] არამაზდის ქანდაკება, რომელიც ქალაქისაგან განცალკევებით, დიდი მდინარის მეორე მხარეს იდგა. როგორც წესი, დილდილობით ყველა სცემდა მას თაყვანს სახლთა სახურავებიდან, საიდანაც სახით ჩანდა იგი; თუ ვინმეს მსხვერპლის შეწირვა ეწადა, მდინარეზე გადადიოდა და ბომონის წინ სწირავდა.

ქალაქის დიდებულები აღსდგნენ ნუნეს წინააღმდეგ, რამეთუ აღარ უწყოდნენ, კერპთა ნაცვლად თაყვანი ვისთვის ეცათ. [ნუნემ] მიუთითა მათ ქრისტეს ჯვრის გამოსახულებაზე. მაშინ შექმნეს და აღმართეს ჯვარი შესაფერ ბორცვზე ქალაქის აღმოსავლეთით, რომელსაც მისგან შედარებით პატარა მდინარე გამოჰყოფდა. განთიადისას, თითოეული სახლის სახურავიდან კვლავინდებურად ყველამ თაყვანი სცა მას. მაგრამ როცა ბორცვზე ასულებმა დაინახეს გათლილი ხე და არა ოსტატთა ნახელავი, უმრავლესობამ არაფრად ჩააგდო ის და თქვეს, რომ ასეთებით სავსეა მათი ტყეები. ისინი გაეცალნენ იქაურობას. სახიერმა ღმერთმა იხილა რა მათი ცდომილება, ცით მოავლინა ღრუბლის სვეტი; მაშინ საამო სურნელებით აივსო მთა, მოისმოდა მრავალრიცხოვან ფსალმუნის მგალობელთა მეტად ტკბილი ხმა, ამობრწყინდა სხივი,

იმ ხის ჯვრის მსგავსი, იგივე ზომისა და მოყვანილობისა, რომელიც აღიმართა მის თავზე თორმეტი ვარსკვლავითურთ. ამის დანახვაზე ყველანი მოიქცნენ სარწმუნოებაზე და თაყვანი სცეს ჯვარს, რომელიც ამის შემდეგ სასწაულებრივად კურნავდა კიდეც.

შემდგომ სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა [ქვეყნის] სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა; იგი დადიოდა სამკაულების, ყოველგვარი ზედმეტის გარეშე, მას არ იზიდავდა ეს ქვეყანა და არც არაფერი ამქვეყნიური, უფრო სწორად, რომ ვთქვათ, ის ჯვარს ეცვა, სიცოცხლე საიქიოს მოთხოვნებს დაუქვემდებარა, საქმით დაადასტურა ღვთის სიტყვა და თავისი გულმოდგინებით სისხლის გვირგვინი მოიპოვა. გავბედავ და ვიტყვი, რომ [ნუნე] მოციქული ქალი გახდა; მან იქადაგა [სახარება] კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოსი გაუწყებს შენ. ახლა კვლავ მივუბრუნდეთ თხრობას თრდატის ლაშქრობის შესახებ სპარსეთში.

გრიგორისა და არისტაკესის გარდაცვალების, აგრეთვე იმის შესახებ, თუ რატომ ჰქვია იმ მთას მანის ქვაბები

ჩვენ გამოვიკვლიეთ, რომ მამა ჩვენი და სულიერი მშობელი გრიგორიოსი წმიდა მოციქულის, თადეოსის ტახტზე თრდატის მეფობის მეჩვიდმეტე წელს ავიდა. მას შემდეგ რაც მან გაანათლა მთელი სომხეთი ღვთისმეტყველების შუქით და გაჰფანტა კერპთმსახურების დროინდელი წყვდიადი, აავსო ყოველი მხარე ეპისკოპოსებითა და მოძღვრებით; უყვარდა რა მთები და უდაბნო, რათა მყუდროდ, უშფოთველად ეცხოვრა და უზრუნველად ესაუბრა ღმერთთან, მან საკუთარი ვაჟი, არისტაკესი დატოვა თავის შემცვლელად, ხოლო თვითონ დარანალიქის გავარში, მანის ქვაბთა მთაზე დაივანა.

ვთქვათ ისიც, თუ რატომ ჰქვია [იმ ადგილს] მანის ქვაბები. ერთი ქალი, სახელად მანი, წმიდა რიფსიმიანთა ამხანაგთაგანი, ჩამოცილდა მათ ქართველთა მოძღვრის, ნუნეს მსგავსად მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას მოაღწიეს. უწყოდა რა მან, რომ ყოველი მხარე ღვთის კუთვნილებაა, დამკვიდრდა იმ მთებსა და გამოქვაბულებში. ასე ეწოდა მთას მანის ქვაბები. შემდგომში იმავე მღვიმეში დაისადგურა წმიდა გრიგორმაც.

[გრიგორმა] იქ კი დაივანა, მაგრამ დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე, დაივლიდა ქვეყანას და თავის მოწაფეებს რწმენას უმტკიცებდა. მაგრამ როცა მისი ვაჟი, არისტაკესი ნიკეის კრებიდან დაბრუნდა, ამის შემდეგ წმიდა გრიგორიოსი აღარავის დანახვებია. მისი მღვდლად კურთხევიდან, თრდატის მეფობის მეჩვიდმეტე წლიდან, იმ დრომდე, რა დღიდანაც [გრიგორი] არავისთან გამოჩენილა, თრდატის [მბრძანებლობის] ორმოცდამეექვსე წლამდე, ოცდაათი წელიწადი გავიდა.

გრიგორის შემდეგ არისტაკესს [ეკავა ტახტი] შვიდი წლის მანძილზე, თრდატის მეფობის ორმოცდამეშვიდე წლიდან ორმოცდამეცამეტე წლამდე. ამ [წელიწადს] არისტაკესი გარდაიცვალა. როგორც ნათქვამია, იგი ჭეშმარიტად სულიერი მახვილი იყო, ამიტომაც ყველა ცოდვილთა და ავისმოქმედთა მტრად ითვლებოდა. ერთხელაც მან გაკიცხა მეოთხე სომხეთად წოდებული [ქვეყნის] ხელისუფალი, არქელაიოსი, რის გამოც ამან შეურჩია მარჯვე დრო, წოფქის გავარში გზად მიმავალს შეეჩეხა მას და ხმლით განგმირა, თვითონ კი კილიკიაში, ტავროსის [მთებში] გაიქცა. ნეტარის ცხედარი ეკელიაცის გავარში წაასვენეს მისმა მოწაფეებმა, რათა დაეკრძალათ თავისსავე დაბაში, თილში. ტახტი დაიკავა მისმა უფროსმა ძმამ, ვრთანესმა, თრდატის [მეფობის] ორმოცდამეთოთხმეტე წლიდან.

რაც შეეხება წმიდა გრიგორს, იგი დიდხანს ცხოვრობდა უჩინრად მანის ქვაბებში, [ბოლოს კი] გარდაიცვალა და ანგელოზთა დასს შეუერთდა. როცა მწყემსებმა იპოვეს მისი ცხედარი, იქვე დაკრძალეს, ვერც კი გაიგეს, ვინ იყო იგი. მათ, ვინც ჩვენი მაცხოვრის შობის თანადამხვდურნი

გახდნენ, შეეფერებოდათ იმისი მოწაფე მიწისთვის მიებარებინათ. [გრიგორის ნეშტი], თითქოს ღვთის განგებით, დიდხანს დაფარული იყო, ისევე როგორც ძველად მოსესი, რათა ახალნერგ ბარბაროს ტომებს თაყვანი არ ეცათ მისთვის. დიდი ხნის შემდეგ, როცა ამ მხარეებში სარწმუნოება მტკიცედ დამკვიდრდა, წმიდა გრიგორის ნეშტი გამოავლინა ერთმა განდეგილმა, სახელად გარნიკმა; იგი სოფელ თორდანში გადაასვენეს.

როგორც ყველასათვის ცნობილია, გრიგორი იყო პართელთა ქვეყნიდან, პაჰლავთა გავარიდან, მეფეთა გვარის, არშაკუნთა განაყოფი, სურენიანთა სახლიშვილი, ძე ანაკისა; ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ მხარეებიდან მან ჭეშმარიტი განთიადი, სულის გამნათებელი მზე და ღვთიური სხივი მოგვანიჭა, რათა კერპთთაყვანისმცემლობის საზიზღრობათაგან თავი დაგვეღწია, [გავმხდარიყავით] ნეტარი და სულიერი სიკეთით შემკულნი, ნამდვილი ღვთიური ფინიკი უფლის სახლში დარგული, ჩვენი ღმერთის ეზოში აყვავებული. [გრიგორმა] მოამრავლა ამგვარი ხალხი და მოგვამზადა ჩვენ უზრუნველი სიბერისათვის, ღვთის ქება-დიდებისათვის.

ქართლის ცხოვრება

(ლეონტი მროველი, „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩვენისა ნინო მოციქულისა მიერ“, ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 72-130)

წმინდა ნინოს ცხოვრება

(გადმოღებულია მიტროპოლიტ ანანიას მიერ)

პირველად ვახსენოთ ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩვენისა და ყოველი ქართლის განმანათლებლისა ნინო მოციქულისა, რომელიც თვით მანვე ნეტარმა მოგვითხრო აღსრულების ჟამს და აღწერა მორწმუნე დედოფალმა სალომე უჯარმელმა, მირიან მეფის ძის ცოლმა, ასულმა თრდატ სომეხთა მეფისა.

წმიდა გიორგი კაპადოკიელის ქრისტესთვის წამების ჟამს, კაპადუკიაში მცხოვრები დიდებული კაცი ზაბილონი წავიდა ქალაქ რომში იმპერატორის კარზე სამსახურისათვის. ამ დროს ბრანჯნი ებრძოდნენ რომაელებს. ზაბილონს, რომელიც რომაელთა ლაშქარში იყო, მისცა ღმერთმა უძლეველი ძალი. გააქცია ბრანჯნი და შეიპყრო მათი მეფე მთავრებთან ერთად. იმპერატორმა გადაწყვიტა მათი დახოცვა. მაშინ ბრანჯთა დაიწყეს ტირილი და შეევედრნენ ზაბილონს: „ჯერ მოგვეცი შენი რჯული, თქვენი ღმერთის ტაძარში შეგვიყვანე და მერე მოგვკალ, რამეთუ შენ შეგვიპყარ და შენვე დაგვეხმარე ამ საქმეში“. ზაბილონმა ეს სასწრაფოდ აუწყა იმპერატორს და პატრიარქს. ისინი მონათლეს ზაბილონის ხელთა ქვეშ, შეიყვანეს ღვთის ტაძარში, აზიარეს წმიდა საიდუმლოს – ქრისტეს სისხლსა და ხორცს.

დილით ადგნენ ბრანჯნი, ჩაიცვეს სამკვდრო სამოსელი, გავიდნენ კაცთა სასაკლაოზე, ლოცულობდნენ და მადლობდნენ ღმერთს ნათლისღებისათვის: „ჩვენ სიკვდილშიც უკვდავები ვართ, რამეთუ ღმერთმა ამ დიდების ღირსნი გაგვხადა“. ამის შემყურე ზაბილონი მწარედ ატირდა, რამეთუ როგორც ცხვრებმა, თავი თვისი წარსაკვეთად მოუდრიკნეს.

შევიდა ზაბილონი იმპერატორთან და გამოითხოვა სამკვდროდ შეკაზმულნი. კეისარმა უთხრა: „მომიძღვნია შენთვის და რაც გინდა, ის უყავი“.

ზაბილონმა ბრანჯი ტყვეები გაათავისუფლა. ისინი ევედრებოდნენ, რათა წაჰყოლოდა მათ ქვეყანაში და გაექრისტიანებინა მთელი მათი ერი. ისმინა და ითხოვა პატრიარქისგან მღვდელნი, ნებართვა მიიღო მეფისგან და გაჰყვა.

ბრანჯთა ათი საერისთავო სიხარულით შეეგება თავის მეფეს დიდი და ღრმა მდინარის პირას. გაჰყო მეფემ ხალხი და დააყენა მდინარის ორივე ნაპირზე. განიბანეს წყალში, ამოვიდნენ ერთ ადგილას და ზაბილონის ხელქვეშ მოინათლნენ. აზიარა ისინი ქრისტეს საიდუმლოს, დაუტოვა მღვდელი და განუწესა ქრისტიანობის ყოველი წესი.

ამის შემდეგ, გამოემშვიდობა და დიდი სიმდიდრით დაბრუნდა რომში. აქ განიზრახა და თქვა: „სჯობს, წავიდე იერუსალიმს და მოვახმარო ეს სიმდიდრე ღვთის ადგილს“. ჩავიდა იერუსალიმში და გაუყო თავისი მონაგები გლახაკებს. ამ დროს იქ პატრიარქი იყო იობენალი. ბავშვობაშივე დაობლებული დედმა იობენალი და სოსანა წარმოშობით ზაბილონის მხრისანი იყვნენ. ნიაფორმა სარა ბეთლემელმა, რომელსაც ემსახურებოდა სოსანა, უთხრა პატრიარქს: „ეს ზაბილონი არის მამა და განმანათლებელი ბრანჯთა, ღვთისმოშიში და ბრძენი კაცია. მიეცი შენი და სოსანა ცოლად“. პატრიარქი დათანხმდა და მისცა სოსანა ცოლად ზაბილონს. წავიდა ზაბილონი თავის სამშობლო კაპადოკიაში.

წმინდა ნინო, ქართლის მოძღვარი, მათგან იშვა. ის იყო დედისერთა, სხვა შვილი მის მშობლებს არ ჰყავდათ. როცა ნინო თორმეტი წლისა გახდა, მისმა მშობლებმა გაყიდეს ყოველივე, რაც ებადათ, წავიდნენ იერუსალიმს და გაუყვეს გლახაკებს. იერუსალიმში ზაბილონმა მიიღო კურთხევა პატრიარქისაგან

და განშორდა თავის ცოლს. ცრემლით გამოეთხოვა თავის ასულს, ნინოს და უთხრა: „შენ, ჩემო ერთადერთო შვილო, გტოვებ ობლად ჩემგან და მიგანდობ ზეცათა მამას, რამეთუ ის არის ობოლთა მამა, ყოველთა მზრდელი და ქვრივთა განმკითხველი. ნუ გეშინია, შვილო ჩემო, შეიყვარე ქრისტე მარიამ მაგდალინელის მსგავსად და ლაზარეს დებივით. თუ შენც მათსავით შეიყვარებ, ასევე მოგცემს ყოველივეს, რასაც ითხოვ მისგან“. ეს რომ თქვა, საუკუნო ამბორისყოფით ეამბორა და წავიდა იორდანეს იქით მეუდაბნოე კაცებთან.

ხოლო დედა წმიდისა ნინოსი პატრიარქის ნებით დადგა გლახაკი და უძლური ქალების მსახურად.

წმიდა ნინო დვინელ სომეხ ნიაფორთან მსახურობდა ორი წელი და გამოჰკითხავდა ხოლმე ქრისტეს ჯვარცმას, დაფლვასა და აღდგომას, რამეთუ მისებრ რჯულის მცოდნე იერუსალიმში არავინ იყო, იცოდა ძველი და ახალი აღთქმა ზედმიწევნით. აუწყა და უთხრა: „ვხედავ, შვილო ჩემო, შენს ძალას, ვითარცა ძუ ლომისა, მსგავსი ხარ დედალი ორბისა, რომელიც ჰაერში მამალზე უფრო მაღლა ადის და მის თვალში მთელი ხმელეთი ჩანს მცირე მარგალიტის თვალივით, საჭმელს იხილავს, დაუშვებს ფრთებს და მიეტევება მას. ასევე იყოს შენი ცხოვრება სულიწმიდის წინამძღვრობით.

მოგითხრობ ყოველივეს: მოკვდავმა ადამიანებმა იხილეს წარმართების მოსარჯულებლად მოსული უკვდავი ღმერთი, რომელსაც უნდოდა ქვეყნის ხსნა: კეთილს უყოფდა ებრაელებს, მკვდრებს აღადგენდა, ბრმებს თვალს უხელდა, სნეულებს კურნავდა. შეშურდათ მისი და შეითქვნენ, დაგზავნეს მაცნენი მთელ ქვეყანაზე ყოველი მხრიდან ებრაელების მოსაწვევად და აუწყეს მათ: „აჰა, საცაა წარვწყმდებით, მოდით, შემოკრბით ყოველნი“.

მაშინ მოვიდნენ ყველა მხრიდან ურიცხვი ადამიანები, მოსეს რჯულის სწავლულნი, წინ რომ აღუდგნენ სულიწმიდას, ჯვარს აცვეს ქრისტე და მის სამოსელზე წილი იყარეს. სამოსელი ჩრდილოეთის ქვეყნიდან მოსულ მოქალაქეებს შეხვდათ. დაფლეს ებრაელებმა ქრისტე და დაბეჭდეს მისი საფლავი, მაგრამ ის აღდგა, როგორც ადრევე თქვა. ტილონი საფლავში იპოვეს. დილით პონტოელი პილატეს ცოლმა აიღო ეს ტილონი, სასწრაფოდ წავიდა პონტოში და ქრისტეს მორწმუნე გახდა. ქრისტეს სუდარი კი ვერ იპოვეს, მაგრამ თქვეს, პეტრემ ინება მისი აღება და მასვე ჰქონდესო. ჯვარი კი აქვეა დამარხული, იერუსალიმში, მაგრამ მისი ადგილი არავინ იცის. ღმერთი ინებებს და ისიც გამოჩნდება“.

როცა სარა ნიაფორისგან ეს მოისმინა წმიდა ნინომ, მადლობა შესწირა ღმერთს და კვლავ ჰკითხა: „სად არის ჩრდილოეთის ქვეყანა, საიდანაც მოსულ ებრაელებს წილად ხვდათ და წაიღეს სამოსელი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი?“ მიუგო და უთხრა სარა ნიაფორმა, რომ აღმოსავლეთში არის ქალაქი მცხეთა, ქვეყანა ქართლისა, სომხეთთან, მთიელი წარმართებისა.

იმ დღეებში წმიდა აღდგომის თაყვანისსაცემად ეფესოდან მოვიდა ერთი დედაკაცი. ჰკითხა მას სარა ნიაფორმა: „ელენე დედოფალი კვლავ ცდომილებასა და ბნელში იმყოფება?“. ხოლო მან უპასუხა. „მე ვარ მათი მხევალი, მცოდნე ყოველი მათი განზრახვისა, ცხადისა და დაფარულისა, და ვიცი, რომ აქვს მას დიდი წადილი ქრისტეს რჯულისა და ნათლისღებისთვის“.

ეს როცა მოისმინა, წმიდა ნინომ უთხრა ნიაფორს: „წარმგზავნე ელენე დედოფალთან და იქნებ მივეახლო მას სასაუბროდ ქრისტეს შესახებ“.

ნიაფორმა ნინოს წადილი აუწყა პატრიარქს. პატრიარქმა, წმიდა ნინოს დედის ძმამ, მოუხმო თავის დისწულს, დააყენა ის საკურთხევლის აღსავლის კართან, დაადო ხელები მხრებზე და შესთხოვა ღმერთს: „უფალო ღმერთო საუკუნეთაო, ხელთა შენთა შევვედრებ ჩემს ობოლ დისშვილს, წარვავლენ შენს საქადაგებლად, რათა ახაროს მათ შენი აღდგომა. იქმენ, ქრისტე ღმერთო, ამის თანამგზავრი და მოძღვარი“.

გაემგზავრნენ წმიდა ნინო და ეფესელი ქალი ქალაქ რომში. იქ ნახეს მეფეების ნათესავი ერთი დედოფალი, სახელად რიფსიმე და მისი დედამძუძუ გაიანე, ქალწულთა მონასტერში. ელოდნენ და სურდათ იერუსალიმში ნათლისღება ქრისტეს აღსარებისათვის.

წმიდა ნინო რიფსიმესთან გადავიდა საცხოვრებლად. იმ წელიწადსვე მოინათლნენ რიფსიმე, გაიანე და მათი სახლეული ორმოცდაათი სული, უმრავლესმა მათთაგან წმიდა ნინოს ხელქვეშ მიიღო ნათლისღება და წავიდნენ თავიანთ მონასტერში. მათთან იყო წმიდა ნინო ორი წელი.

იმ დღეებში კეისარმა თავისთვის ლამაზი საცოლის მოსაძებნად გაგზავნა მძებნელნი. მათ ქალწულთა მონასტერში იხილეს რიფსიმე. გამოჰკითხეს გვაროვნება, რადგანაც არავინ იყო სახით სი მსგავსი. დახატეს ფიცარზე და გაუგზავნეს. მოეწონა კეისარს, აღივსო სიხარულით და ბრძანა ქორწილი. წარავლინა მოციქულები მთელს თავის საბრძანებელში, რათა ყველანი ძღვენითა და დიდი სიხარულით შეკრებილიყვნენ სამეფო ქორწილში.

როცა ნეტარმა რიფსიმემ, გაიანემ და სხვა წმიდა და ყოვლადქებულმა ქალებმა იხილეს მათზე მოწეული განსაცდელი, გაიხსენეს უბიწოების აღსარება და ქების ღირსი მარტოობით ცხოვრება, იწყეს ტირილი, ევედრებოდნენ ღმერთს მოწყალებას და ერთობით, ურთიერთგანზრახვით, ფარულად დატოვეს ქვეყანა, ორმოცდაცამეტმა სულმა.

მივიდნენ ლტოლვილები სომხეთის არეებში, დვინში, სომეხ მეფეთა საყოფელში. იქ შევიდნენ მარანში, რომელიც აშენებული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთით. თავს ირჩენდნენ ხელსაქმით.

ხოლო კეისარი აღივსო მწუხარებით, ყველგან გაგზავნა კაცები მათ მოსაძებნად. კეისრის მოციქულები თრდატ სომეხთა მეფესთანაც მივიდნენ, მიართვეს მას კეისრის წიგნი, რომელშიც ეწერა: ‘თვითმპყრობელი კეისარი სიყვარულით მოგიკითხავ ჩემს ძმასა და თანამოსაყდრე თრდატს. გაუწყებ, რომ მრავალი ვნება გვაქვს ქრისტიანთაგან, სრულიად შეურაცხყოფილია ჩვენი სამეფო უფლება მათი კრებულის მიერ და დაწუნებულია ჩვენი ხელმწიფება მათგან, რამეთუ ისინი ვინმე ჯვარცმულ მკვდარს ემსახურებიან და ძელს თაყვანსცემენ, კაცთა ძვლებს პატივსცემენ, თავიანთი სიკვდილი უფლის დიდებად მიაჩნიათ. არ ეშინიათ ურიების, ურიებს კი ჯვარცმულის ეშინიათ. მეფეებს აგინებენ, ღმერთებს შეურაცხყოფენ, მზის, მთვარისა და ვარსკვლავების ნათლის ძალა არაფრად მიაჩნიათ, არამედ შექმნილად იტყვიან იმ ჯვარცმულის მიერ და ისე მოაქციეს ქვეყანა, რომ ცოლები ქმრებს და ქმრები ცოლებს შორდებიან. თუმცა მრავალი სატანჯველით ამოვწყვიტე, მაგრამ უფრო გამრავლდნენ. შემთხვევა მქონდა მენახა მათთაგან ერთი ახალგაზრდა ქალი და განვიზრახე მისი ცოლად მოყვანა, ხოლო მას მეფის გული სასურველად კი არ მიაჩნდა, არამედ საძაგლად. არაწმიდად შემრაცხეს, ფარულად გაიქცნენ და შენი ქვეყნის საზღვრებში შემოვიდნენ. იცოდე, ძმაო ჩემო, გამოიძიე ისინი, როცა იპოვნი, მოჰკალ, ხოლო მათგან შეცდენილ პირმშვენიერ რიფსიმეს როცა იპოვნი, წარმოავლინე. თუ შენ ინებებ, შენთვის იგულე, რამეთუ არავინაა მისი მსგავსი საბერძნეთში. იცოცხლე ღმერთების მსახურებით‘‘.

როცა თრდატმა ეს ბრძანება წაიკითხა კეისრისა, მსწრაფლ იწყო მათი ძებნა და იპოვა ისინი საწნახლის სახლში.

რიფსიმეს ხილვისას გულისთქმით აღივსო და დიდი სიხარულით გაიხარა და განიზრახა მისი ცოლად მოყვანა, რაც არ ისურვა რიფსიმემ. მაშინ აწამა ის და დედამძუძე გაიანე და სხვა მრავალნი მათგან, ზოგიერთები დაიმალნენ და ილტვოდნენ.

მაშინ წმიდა ნინო დაიმალა ვარდის ეკალთა შორის, რომელიც ჯერ არ ჰყვაოდა იმ დროს, როცა აღმოვიდნენ სულნი წმიდათა მოწამეთანი. იხილა წმიდა ნინომ წმიდა სტეფანეს მსგავსი დიაკონი, ნათლის ოლარით ჩამომავალი, ხელში ეჭირა სასაკმევლე, რომელსაც ასდიოდა სურნელების კვამლი, ცის დამფარველი. მასთან იყო სიმრავლე ზეცის ერისა და მათ შეუერთდნენ წმიდა მოწამეთა სულები. როცა ეს იხილა წმინდა ნინომ, შეჰღაღადა ასე: ,,უფალო, უფალო, რად დამიტევებ მე ასპიტთა და იქედნეთა შორის‘‘, მაშინ ხმა მოესმა ზევიდან, რომელიც იტყოდა: ,,ასევე წაგიყვანენ, როცა ეგ ეკალი, რომელიც შენს გარშემო არის, სურნელოვან ვარდის ფურცლად იქცევა, ადექ და ჩრდილოეთისკენ წადი, სადაც სამკალი ფრიად არის და მუშაკი კი არ არის‘‘.

და წავიდა იქიდან წმიდა ნინო და მივიდა ორბანთაში, სომხეთის საზღვარზე, იქ დაიზამთრა მრავალი გასაჭირით, და მეოთხე თვეს, რომელიც არის ივნისი, წავიდა და მოიწია ჯავახეთის მთებთან, სადაც შეხვდა გამდინარე დიდ ტბას, რომელსაც ჰქვია ფარავნა, ხოლო როცა იქით გაიხედა და იხილა ჩრდილოეთის მთები, ზაფხულის ამ დღეებში სავსენი თოვლით და სასტიკი ჰაერით, შეძრწუნდა წმიდა ნინო და თქვა: „უფალო, უფალო, მიიღე სული ჩემი ჩემგან“.

დაჰყო იქ ორი დღე და ითხოვა საკვები მეთევზეთაგან, ამ ტბის მებადურთაგან. მწყემსებიც იქ იყვნენ და ღამის სამწყსოში ცეცხლი ენთოთ. შესთხოვდნენ თავიანთ ღმერთებს არმაზს და ზადენს, აღუთქვამდნენ მათ შესაწირს, „ოდეს მივიდეთ მშვიდობითო“.

წმიდა ნინომ მცირედ იცოდა სომხური ენა, რამეთუ ნიაფორისგან ისწავლა. მწყემსთა შორის სომხურად მოლაპარაკე იპოვა და ჰკითხა: „რომელი სოფლიდან ხართ?“ მან მიუგო და უთხრა: „დაბა ელარბინიდან და საფურცლიდან და ქინძარელნი, რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისა, სადაც ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“. და ჰკითხა, თუ „საით არის მცხეთა?“ ხოლო მწყემსმა ასე აუწყა, მდინარე, რომელიც ამ ტბიდან გაედინება, მცხეთაში მივაო.

დაიდო წმიდა ნინომ ლოდი სასთუმლად, დაწვა და დაიძინა ამ ტბის გარდასადინელში. ძილში ჩვენებით მოვიდა ერთი კაცი, ზომიერი სიმაღლისა და ნახევართმოსანი. მან მისცა წმიდა ნინოს ბეჭდით დალუქული წიგნი და უთხრა: „მიართვი ეს მცხეთაში წარმართთა მეფეს“. ხოლო წმიდა ნინომ დაიწყო ტირილიდა ვედრება. „უფალო, დედაკაცი ვარ, უცხო და უმეცარი და არც ვიცი მათი ენა, როგორ მივიდე უცხო ქვეყანაში, უცხო ერში?“ მაშინ კაცმა გაუხსნა წიგნი და მისცა წასაკითხად, დაწერილი იყო ლათინურად და ბეჭედი იყო იესო ქრისტესი. ამ წიგნში ეწერა 10 სიტყვა: 1. სადაც იქადაგება ეს სახარება, იქ ითქმება ამ დედაკაცის შესახებ; 2. არც მამაკაცება არის და არც დედაკაცება, არამედ თქვენ ყოველნი ერთი ხართ“ 3. წადით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა; 4. ნათელი გამობრწყინდა წარმართებზე დიდებად ერისა შენისა ისრაელისა; 5. სადაც სასუფევლის ეს სახარება იქადაგება, მუნცა ითქმოდეს ყოველსა სოფელსა; 6. ვინც თქვენ მოგისმენთ და შეგიწყნარებთ, მე შემიწყნარებს და ვინც მე შემიწყნარებს, ჩემს მომავლინებელს შეიწყნარებს, 7. ფრიად უყვარდა მარიამი უფალს, რამეთუ მარადის ისმენდა მის ჭეშმარიტ სიტყვას; 8. ნუ გეშინიათ მათი, რომელნიც თქვენს ხორცს მოკლავენ, მათ სულის მოკვლა არ შეუძლიათ; 9. უთხრა მარიამ მაგდალინელს იესომ. „წადი, დედაკაცო, და ახარე დათა და ძმათა ჩემთა“; 10. ქადაგებდეთ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა;

როცა ეს სიტყვები წაიკითხა წმიდა ნინომ, იწყო ვედრება ღვთის მიმართ და გულისხმაჰყო, რომ ზეციდან იყო ეს ჩვენება, თვალნი მიაპყრო ზეცას და მეორე დღისთვის ითხოვა შეწევნა.

ამის შემდეგ გაჰყვა ტბის მდინარეს და იწყო მისი დინება დასავლეთის მხარეს. შეუდგა ფიცხელ, ძნელ გზას, მრავალი ჭირი ნახა, მხეცების შიში, სანამ არ მიაღწია ადგილს, სადაც წყალმა აღმოსავლეთით იწყო დინება. ამის შემდეგ დაიწყო მისი ლხენა, რამეთუ იპოვა იქ მოგზაური, რომელთანაც ერთად მიაღწია ქართლის სანახებს, ქალაქს, რომელსაც ურბნისი ეწოდება, სადაც იხილა უცხო ხალხი, ღმერთთა მსახური. ცეცხლს, ქვებს, ხეებს ღმერთად თაყვანსცემდნენ, რისთვისაც სული დაუმწუხრდა, შევიდა ებრაელების ბაგინში ებრაული ენისათვის, დაჰყო იქ ერთი თვე და ქვეყანას ეცნობოდა.

ერთ დღეს დაიძრა დიდძალი ხალხი, ამ ქალაქიდან წარმავალნი დიდ სამეფო ქალაქში, მცხეთაში, სავაჭროდ და ღმერთ არმაზისთვის ზვარაკის შესაწირად. წაჰყვა წმიდა ნინო მათ. როცა ქალაქში მივიდნენ, დადგნენ მოგვთა ხიდთან. ცეცხლისმსახურ ამ ერის შეცდომის ხილვისას სტიროდა წმიდა ნინო მათ წარწყმედასა და თავის უცხოობას.

მეორე დღეს გაისმა საყვირთ ხმა, გამოვიდა ურიცხვი ხალხი ვითარცა ყვავილნი ველისანი და ხმაური ისმოდა საშინელი. მეფე ჯერ კიდევ არ იყო გამოსული. როცა მოვიდა დრო, დაიწეს სირბილი და იმალებოდა ყოველი კაცი, შიშისგან საფარველში შერბოდნენ და აჰა, მყისვე გამოვიდა ნანა დედოფალი

და ნელ-ნელა მოსდევდა ერი. შეამკეს ყოველი ქუჩა სხვადასხვაფერი სამოსლით. იწყო მთელმა ერმა მეფის ქება. მაშინ გამოვიდა მეფე საზარელი და თვალშეუდგამი ხილვით, წმიდა ნინომ ჰკითხა ერთ ებრაელ ქალს: „რა არის ეს?“ მან უპასუხა: „ღმერთი ღმერთთა არმაზი უხმობს, რომლის გარეშეც სხვა კერპები არარანი არიან“. მყისვე წავიდა წმიდა ნინო არმაზის სახილველად და „აღივსნენ მთები დროშებით და ხალხით, ვითარცა ველნი ყვავილითა“.

ხოლო წმიდა ნინომ შეასწრო არმაზის ციხეში და დადგა კერპის მახლობლად, ზღუდის ნაპრალთან. ხედავდა მიუწვდომელ და ენით უთქმელ საკვირველებას, თუ როგორ ეშინოდათ მეფეს, მთავრებს და მთელ ერს მათ წინაშე აღმართული კერპებისა. იხილა წმიდა ნინომ, რომ იდგა ერთი სპილენძის კაცი, ტანს ოქროს ჯაჭვი ემოსა, თავზე ოქროს ჩაფხუტი ეხურა, სამხრეებიც ოქროსივე ჰქონდა და მოჭედილი იყო ძვირფასი თვლებით. ხელთ ხმალი ეპყრა ვითარცა ელვა და იქნევდა. თუ ვინმე შეეხებოდა, სასიკვდილოდ გაიწირებოდა. ამბობდნენ: „ვაიმე, არ დავაკლო დიდება ამ დიდ ღმერთს არმაზს, ან არ შევცდე ებრაელებისა და მოგვების მოსმენით, რომელნიც იტყვიან რაღაც უცხო ღმერთის შესახებ, არ მიპოვოს რაიმე ბიწი არმაზმა და არ მცეს თავისი მახვილი, რომლისაც ყველას ეშინია“. და შიშით თაყვანისცემდნენ მას.

და ასევე იყო მის მარჯვნივ ოქროს კერპი, სახელი მისი გაცი და მას მარცხნივ ედგა ვერცხლის კერპი, სახელი მისი გაიმ, რომელნიც ღმერთებად მიაჩნდა ქართლის ერს.

მაშინ ტიროდა და ოხრავდა ნეტარი ნინო ღვთის მიმართ ამ ჩრდილოეთის ქვეყნის შეცდომისათვის, რომ ნათელი მათთვის დაფარული იყო და ბნელი უფლობდა მათ. მეფენი და მთავარნი ცოცხლად შთაენთქა ჯოჯოხეთს, დაეტოვებინათ დამბადებელი, ქვასა და ხეს, სპილენძსა და გამოჭედილ რვალს ღმერთად თაყვანს ცემდნენ.

აღიხილნა ზეცად და თქვა: „უფალო ერთი წმიდა სამებისაგანი კაცად იქმენ და აცხოვნე ყოველი სოფელი, ნუ უგულებელყოფ ამათ, რამეთუ კაცი-ადამიანი შენი ხატი არის, მოხედე წყალობით ამ ერს, შერისხე სოფლის მპყრობელი, ბნელეთის მთავარი უჩინო სულები. მიჩვენე მე, უფალო ღმერთო მამისა და დედისა ჩემისაო, მხევალსა შენსა, რათა იხილონ ყოველთა კიდეთა ქვეყნისათა მაცხოვარება შენი, რათა ჩრდილოეთი სამხრეთთან ერთად იხარებდეს და ყოველმა ენამ (ყველა ერმა) მხოლოდ შენ გცეს თაყვანი შენი ძის იესო ქრისტეს მიერ, რომელსაც შვენის მადლობა და დიდებისმეტყველება“.

როგორც კი დაასრულა ეს ლოცვა წმიდა ნინომ, თვალის ერთ წამისყოფაში ამოვარდა დასავლეთის ქარი, გაისმა საზარელი ქუხილის ხმა, გამოჩნდა სწრაფი ღრუბლები საშინელი ნიშნით, მოიტანა დასავლეთის ნიავმა მყრალი და ძლიერ ცუდი, მწარე სუნი. ეს რომ იხილა ერის სიმრავლემ, ილტვოდა ყოველი კაცი და ქალი ქალაქისა და სოფლებისაკენ, მიეცათ დრო, რომ ყოველ კაცს შეესწრო თავის საყოფელში და სწრაფად მოიწია ეს რისხვის ღრუბელი, მწარედ სასტიკი და მხოლოდ კერპების საყოფელ ადგილზე მოიღო ლიტრის ტოლი სეტყვა. დაამსხვრია ეს კერპები და შემუსრა, დაარღვია ზღუდენი სასტიკმა ქარმა და კლდეთა ნაპრალებში ჩაამხო, ხოლო წმიდა ნინო დარჩა მშვიდობით იმ ადგილას, სადაც პირველად იყო შესული.

მეორე დღეს გამოვიდა მირიან მეფე და ყოველი ერი. ეძებდნენ მათ ღმერთებს და ვერ იპოვნეს, რის გამოც შეეშინდათ და შეძრწუნდნენ, იგლოვდნენ და ამბობდნენ: „ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩვენი ღმერთი არმაზი მტრები არიან, ამან ერთხელ მასზე ზღვა მიაქცია და ახლა მან შური იძია, მის მიერ მოხდა ეს“. ხოლო სხვები ამბობდნენ: „რომელი ღმერთის ძალითაც თრდატ მეფე გარეულ ღორად იქცა და იმავე ღმერთის ძალით კვლავ კაცადვე იქმნა, იმ ღმერთმა მოახდინა ეს. რამეთუ სხვა ღმერთი უძლურია ასეთის ქმნად“. ამას ამბობდნენ იმიტომ, რომ თრდატ მეფის ღორად და მერე კაცად გადაქცევის შემდეგ, ქრისტეს ქება-დიდება ქართლში აღარ ითქმოდა ფარულად, რამეთუ ღვთის მადლმა აღმოსავლეთში მოფენა დაიწყო.

რისხვის დღეს, სასტიკი ქარის დაცხრომის შემდეგ, გამოვიდა წმიდა ნინო კლდის ნაპრალიდან, იპოვა ბივრილის თვალი, აიღო და წავიდა კლდის ქიმისაკენ, სადაც იდგა ძველი ციხე. იქ იდგა აკაკის ხე მშვენიერი, მაღალი და რტომრავალი, სადაც იყო ბარტამ მეფის საგრილი და განსასვენებელი. მივიდა ამ ხის ძირას, გააკეთა ქრისტეს ჯვრის ნიშანი და ექვს დღეს აქ ილოცა. მადლობდა ღმერთს და ევედრებოდა, რათა მოეხედა წყალობით შეცდომილი ერისთვის, ეხსნა ეშმაკისაგან. იყო მეექვსე დღე იმ თვისა, როცა ემანუილმა თაბორის მთაზე მამის ხატი უჩვენა მოციქულების და წინასწარმეტყველების მეთაურებს.

მაშინ მოვიდა ერთი სეფექალი, სახელად შროშანა და იხილა ის ხის ქვეშ, გაუკვირდა, მოიყვანა ბერძნულად მეტყველი ქალი, ჰკითხა მისი გზა, ხოლო წმინდა ნინომ აუწყა და უთხრა ყოველი გზა და საქმე თავისი, გარდა დედის ძმებისა, რამეთუ ტყვედ გააცნო თავი.

მაშინ შეეწყალა შროშანას უცხოებისთვის, აევსო ცრემლით თვალნი და დააძალა სამეფო სახლში წაჰყოლოდა, ხოლო წმინდა ნინომ არ ინება წასვლა მასთან და წავიდა შროშანა.

ამის შემდეგ მესამე დღეს ჩამოვიდა მტკვარზე და გაემართა მეფის ბაღში, სადაც ამჟამად არის სვეტი იგი ღვთით აღმართული და საკათალიკოსო ეკლესია. როცა მივიდა ბაღის კართან, იხილა მცირე სახლი ბაღის მცველია. შევიდა წმიდა ნინო. იჯდა იქ დედაკაცი, სახელად ანასტოს. როცა დედაკაცმა იხილა ნინო ადგა, მოეხვია და შეიტკბო, როგორც ნაცნობმა, დაბანა ხელები, სცხო ზეთი, მიართვა პური და ღვინო. დაჰყო მასთან წმიდა ნინომ ცხრა თვე.

ანასტოს და მისი ქმარი უშვილოები იყვნენ და წუხდნენ უშვილობისათვის. წმიდა ნინოს ეჩვენა: მოვიდა კაცი ნათლისფერი და თქვა: შედი ამ ბაღში, ხეზე აშვებული ვაზია – ბაბილო, ნაძვთა ქვეშ. აიღე მიწა ამ ადგილიდან, შეაჭამე მაგათ და ეყოლებათ შვილი". ჰყო ასე წმიდა ნინომ და უთხრა: „დაუსაბამო ღვთის ძის, ქრისტეს ძალით, რომელიც თანამოსაყდრე არის მამისა და სულისა წმიდისა და რომელიც შენი ხსნისათვის განკაცდა, ჯვარს ეცვა, დაეფლა, აღდგა მესამე დღეს, ამაღლდა ზეცად, დაჯდა მამის გვერდით, კვლავ მოვა დიდებით განსასჯელად ცოცხლებისა და მკვდრებისა, მან მოგცეს შენ გულისხმის-ყოფა". და აუწყა ყოველი გზა ჭეშმარიტი.

მაშინ ცოლ-ქმარმა აღიარა ქრისტე და დაემოწაფნენ ფარულად. წმიდა ნინომ ქალაქის ზღუდის გარეთ იპოვნა მაყვლის ბუჩქი, სადაც ახლა არის ზემო ეკლესიის საკურთხეველი, საეპისკოპოსო. და ის შექმნა თავის საყოფლად. შექმნა ნასხლევისაგან ჯვარი და აღმართა ამ ბუჩქის ქვეშ. მარად ლოცულობდა დღე და ღამე დაუცხრომლად. და ემსახურებოდა ეს ცოლ-ქმარი. უკვირდათ მისი ღვაწლი, ლოცვა და მღვიძარება.

და მრავალგზის მიდიოდნენ ურიათა უბანში ებრაული ენისა და უფლის კვართის გამოძიებისათვის, რომლის შესახებაც იერუსალიმში მოისმინა ნიაფორისგან, რომ „კვართი უფლისა მცხეთელ ებრაელებს წაუღიათო". ამისათვის გამოეძიებდა ურიებთან, რომ გაეგო რაიმე კვართის შესახებ.

და იპოვა ერთი ებრაელი მღვდელი, სახელით აბიათარი და უქადაგა მას და მის ასულს სიდონიას ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახარება. ირწმუნეს და დაემოწაფნენ ისინი და სხვა ექვსი ებრაელი ქალი. და ნათლისღების გარეშე აიღეს წმიდა ნინოს სწავლის უღელი. რამეთუ არა იპოვებოდა მღვდელი, რომელიც ნათელსსცემდა და ფარულად იყვნენ მისი მოწაფენი. კურნავდა და ქრისტეს ძალით საკვირველებებს ჰყოფდა: მრავალი განრღვეული განკურნა.

ასე იმყოფებოდა ქალაქ მცხეთაში სამ წელს. ამ დროს შეიჭრნენ მირიან მეფე და მისი ძმისწული, სპარსთა მეფე, საბერძნეთში, ხოლო კონსტანტინე ბერძენთა მეფემ ქრისტეს ძალით და ჯვრის წინამძღვრობით განდევნა ეს მეფეები და მათი მრავალი მოლაშქრე მოსრა.

თქმული აბიათარ მღვდელისა, რომელიც დაემოწაფა წმიდასა და ნეტარ ნინოს

„მე, აბიათარ მღვდელი, წილისყრით ვმღვდელობდი იმ წელიწადს, როცა წმიდა და ნეტარი ნინო მოვიდა მცხეთაში. მაშინ მომივიდა წერილი ანტიოქიიდან, ებრაელი მღვდლებისგან, რომელშიც ეწერა: „სამად გაჰყო ღმერთმა ისრაელის სამეფო. ჩვენი წინასწარმეტყველები დაცხრნენ, აღსრულდა ყოველივე და განვიბნიენით ყველა ქვეყანაში. რომაელებმა დაიპყრეს ჩვენი ქვეყანა. ვტიროდით ერთურთს, რამეთუ განვარისხეთ შემოქმედი ღმერთი. ახლა კი განიხილე მოსეს წიგნი და ის სიტყვა, რომელიც დაგვიწერა ჩვენ: რომელი იტყვის ქუეყანასა ზედა ღმრთად თავსა თვისსა, ძელსა დამოეკიდენ“. ან რომ ავცდენოდით იესო ნაზარეველის სიკვდილს! რამეთუ ვხედავთ, როცა ჩვენი წინაპარი მამები შესცოდებდნენ ხოლმე ღმერთს და დაივიწყებდნენ მას, მაშინ ტყვეობასა და განსაცდელში ხვდებოდნენ, ხოლო როცა მოიქცეოდნენ და შესთხოვდნენ, მაშინ სრულად განშორდებოდნენ ჭირს. ეს შვიდგზის ვიცით წერილიდან. ხოლო ახლა, რადგანაც ჩვენმა მამებმა ხელი შეახეს იმ მწირი დედაკაცის ძეს და მოკლეს ის, აიღო ღმერთმა ხელი წყალობისა ჩვენგან და გაჰყო ჩვენი სამეფო, განგვაშორა მის წმინდა ტაძარს და უგულებელყო ჩვენი ერი სრულიად, და იმის შემდეგ გავიდა 300 წელი და მეტიც, აღარ შეისმინა ჩვენი ვედრება და უნდა ვიფიქროთ, რომ ზეცით იყო ის კაცი“.

ამის შემდეგ ვიწყე გამოკითხვა ნინოსგან ქრისტეს შესახებ, თუ ვინ იყო ის და რა მიზეზით იქმნა ძე ღვთისა კაცად. მაშინ აღაღო პირი წმიდა ნინომ, როგორც აღმომდინარე წყარომ და იწყო სიტყვა საუკუნითგან. ჩვენს წიგნებს ზეპირ აღმოიტყოდა, გონებადაკარგულს გონიერ-გვყოფდა, ძმათა ჩვენთა შეგვაბრალებდა და რჯულის ცვალებას დაგვაჯერებდა, სანამ არ ვირწმუნე მისი სიტყვა. იესო ქრისტე-ძე ღვთისა, მისი ვნება და აღდგომა. მისი საშინელი მეორედ მოსვლა და წარმართთა მოლოდინი. მე და ჩემი შვილი მისი განსაწმედელის საპკურებლის მიღების ღირსი შევიქმენით, იმ წყლის ემბაზისა, რომელსაც ნატრობდა დავით და ვერ ეღირსა. და მესმა მე ახლისა რჯულისა, საგალობლისა, რომელსაც ნატრობდა დავით. ღირს ვიქმენით ღვთის ძის-ქრისტეს სისხლისა და ხორცის ზიარებისა, ტკბილ არს გემოსხილვა ქვეყნის ცოდვათათვის შეწირული კრავისა. და ასე ინებე, უფალო, განსვლა ჩემი ხორციდან. და კვლავ მრავალი სასწაული იხილა ჩემმა თვალებმა წმიდა ნინოს მიერ აღსრულებული ჩვენს დღეებში.

თქმული მისივე, აბიათარ მღვდელისა, კვართისათვის უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

„მე, აბიათარ მღვდელი, მოგითხრობთ იმ ამბავს, რომელიც მეუწყა და ჩემი ყურით მოვისმინე მამისა და დედისაგან და წიგნიდანაც ვიცი, რამეთუ მათაც მშობლებისა და პაპებისაგან მოთხრობით და სმენით იცოდნენ, რომ როცა ჰეროდე მეფობდა იერუსალიმს, მაშინ გვესმა. „იერუსალიმი სპარსელებმა დაიპყრესო“, რის გამოც იქმნა გლოვა და წუხილი ქართველი ებრაელებისა, მცხეთის მკვიდრთა, ბოდელი მღვდლებისა, კოდისწყაროელი მწიგნობრებისა, სობის კანანელთა თარგმანთა - ესენი ყველანი მოემზადნენ სალტოლველად, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა ხმა ნუგეშისცემისა, რომ „სპარსელები დასაპყრობად კი არ მოვიდნენ იერუსალიმში, არამედ იარაღის ნაცვლად მოჰქონდათ სამეფო ოქრო, მური - ავადმყოფობის მსწრაფლ მკურნალი, და გუნდრუკი საამო სურნელებისა. და ეძებდნენ ვინმე ახალშობილ ყრმას, დავითის ძეს. იპოვეს ერთი, მწირი დედაკაცისაგან შობილი უდროოდ და უადგილო ადგილას. და ესენი ამ ყრმის თაყვანისცემისთვის მოვიდნენ და მას შესწირეს ძღვენი იგი“. ეს რომ გაიგეს, იქმნა დიდი სიხარული ყოველთა ზედა ჰურიათა ქართველთა.

ამის შემდეგ, როცა გავიდა 30 წელი, მაშინ მოწერა ანა მღვდელმა იერუსალიმიდან ჩვენს მამათამამას – ელიოზს, რომ ის, რომლისთვისაც სპარსთა მეფეები ძღვენით მოვიდნენ, გაიზარდა, უკვე ასაკშია და თავის თავს უწოდებს ღვთის ძეს. მოდით ყველანი მის სიკვდილზე, რათა აღესრულოს მოსეს მცნება". და წავიდა აქედან ელიოზ მღვდელი, ჩემი მამათა მამა, მოხუცებული კაცი და ჰყავდა მას დედა ელია მღვდლის ტომისგან და ერთი და. ევედრებოდა ელიოზს დედამისი ასე: „წადი, შვილო, მეფის მოწოდებით და რჯულის წესის თანახმად, ხოლო რასაც ისინი განიზრახავენ, ნუ შეუერთდები ცნობიერად, რამეთუ იგი არის სიტყვა წინასწარმეტყველთა და იგავი ბრძენთა". წავიდნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი და იქ დაესწრნენ უფლის ჯვარცმას.

ხოლო როცა დამსჭვალეს უფალი და კვერით დაჰკრეს სამსჭვალს, აქ ელიოზის დედას მოესმა, იკივლა და თქვა. „მშვიდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალით თქვენი მაცხოვარი და იქმენით შემოქმედის მკვლელი. ვაი, ჩემს თავს, ამაზე წინ რად არ მოვკვდი, რომ ჩემს ყურებს არ მოესმინათ". და ასე შეისვენა (გარდაიცვალა).

ხოლო უფლის კვართი წილად ხვდათ მცხეთელებს. წამოიღო ელიოზმა და მოიტანა მცხეთას. და მოეგება მისი დაი ცრემლიანი. მოეხვია ყელზე თავის ძმას, გამოართვა იესოს სამოსელი, მიიკრა მკერდზე და სული განუტევა ამ სამი ტკივილით. ქრისტეს სიკვდილისათვის, დედისა და ძმისთვის, რომელიც ეზიარა უფლის სისხლს.

მაშინ ამ საკვირველებამ დიდად შეაშფოთა მცხეთა, გაუკვირდა თვით დიდ ადერკი მეფეს, ხალხის სიმრავლესა და მთავრებს. მოეწონა ადერკი მეფეს ეს სამოსელი, მაგრამ საკვირველებისგან ზარდაცემული და შეშინებული იყო. არ ინება გამოღება მკვდრის ხელიდან, რომელსაც მაგრად და სურვილით ჩაეკრა სამოსელი. ელიოზმა დამარხა თავისი და, მას ხელთ ჰქონდა სამოსელი უფლისა. ეს ადგილი სად არის, უფალმა იცის.

მრავალი წლის შემდეგ ადერკი მეფის ძმისწულმა არმაზაელმა მოიძია ეს სამოსელი ებრაელებთან და ვერ იპოვა, რამეთუ აუწყეს ყოველი, რაც იყო. არავინ იცის, სად არის ეს ადგილი, იციან მხოლოდ, რომ არის ლიბანიდან ჩამოტანილი და მცხეთას დარგული და გაზრდილი ნაძვის მახლობლად". მრავალგზის ბრძანა დედამან ჩვენმა წმიდა ნინომ, რომ მოგვეძია ეს სამოსელი, მაგრამ მასაც უთხრეს: „ეს ის ადგილია, სადაც კაცთა ენა არ დადუმდება ღვთის საგალობლად".

და ესეც მეუწყა მამაჩემისგან, რომ არის სხვაც: საღმრთო ძალით შემოსილი ორმაგი ხალენი ელიასი ამ ქალაქში". ელიოზის სახლი იყო ქალაქის დასავლეთით, მოგვთა ხიდს იქით.

იმ დღეებში მრავალგზის იხილა ჩვენება წმიდა ნინომ, თითქოსდა მოდიოდნენ ცის ფრინველები შავი ფერისანი, შევიდოდნენ მდინარეში, განიბანდნენ, განსპეტაკდებოდნენ და აღვიდოდნენ ბაღში, მაღლარი ვაზის (ბაბილო) ყურძენს შეჭამდნენ, ყვავილებს მოძოვდნენ და ასე სურვილით წმიდა ნინოსთან მივიდოდნენ, თითქოსდა მისი იყო ის ბაღი, შემოუდგებოდნენ მშვენიერი ჟივილით გარშემო. ეს უთხრა წმიდა ნინომ თავის მოწაფე სიდონიას, აბიათარის ასულს, ხოლო სიდონიამ უთხრა წმიდა ნინოს: „უცხოვ და ტყვეთა მხსნელო ტყვეო, იცი, რომ შენს მიერ მოვიდა ეს ახალი დრო, შენს მიერ ისმის ის ძველი ამბავი, მამათა ჩვენთა ნაქმარი: სისხლის დათხევა იმ ზეციური კაცისა, რაც საფუძვლად დაედო ებრაელების სირცხვილს, მთელ ქვეყანაზე კიდითკიდემდე განბნევა, მათი მეფობის დაცემა, წმიდა ტაძრის წართმევა, უცხო ერის მოწოდება მათი დიდების მათთვის მისაცემად". იერუსალიმ, იერუსალიმ, იერუსალიმ, როგორ გაგიშლია ფრთები და შემოიკრებ შენი ფრთების ქვეშ ცისკიდურის ყველა ერს. აჰა, აქაც მოსულა ეს დედაკაცი, რომელიც შეცვლის ამ ქვეყნის ყოველ წესს". და უთხრა წმიდა ნინოს – „ეს შენი ჩვენება ის არის, რომ ეს ადგილი შენს მიერ იქცევა სამოთხედ".

საბერძნეთიდან მეფე კონსტანტინეს მიერ დამარცხებული მირიან მეფის მოსვლამდე წმიდა ნინომ განცხადებულად დაიწყო ქრისტეს რჯულის ქადაგება, გამოაჩინა ვაზის ნასხლევის ჯვარი და მით იქმოდა დიდ საკვირველებას: წამლის გარეშე განრღვეული განკურნა ჯვრის შეხებით. მასთან ერთად ქადაგებდნენ მისი მოწაფეები, რომლებიც თავდაპირველად ფარულად დაემოწაფნენ — შვიდი ებრაელი

ქალი: სიდონია, აბიათარის ასული და სხვა ექვსი, ბაღის მცველი ცოლ-ქმარი და აბიათარ მღვდელი – ახალი პავლე, რომელიც უშიშრად და დაუცხრომლად ქადაგებდა ქრისტეს რჯულს. ის დიდი მცოდნე იყო ძველი რჯულისა. ახალი რჯული ისწავლა წმიდა ნინოსგან და ნინოზე უფრო მეტად უხსნიდა ყოველ კაცს ჭეშმარიტ რჯულს.

მაშინ აღიძრნენ ებრაელები და სურდათ ქვით ჩაექოლათ აბიათარი, ხოლო მან, მეფემ, მიავლინა მსახური და გადაარჩინა აბიათარი სიკვდილს, რამეთუ მირიან მეფეს ჰქონდა სურვილი ქრისტეს რჯულისა. მას ესმოდა ქრისტეს რჯულის სასწაული საბერძნეთსა და სომხეთში და არ აბრკოლებდა წმიდა ნინოს და მისი მოწაფეების ქადაგებას. მაგრამ ებრძოდა ეშმაკი, უჩინო მტერი, და არ აღიარებდა ქრისტეს აღმსარებლობას, ხოლო ნანა დედოფალი უფრო გულფიცხელი იყო და შეურაცხყოფდა მათ ქადაგებას.

წმიდა ნინო ლოცულობდა დაუცხრომლად თავის საყუდელში, მაყვლის ქვეშ. გაოცებულნი იყვნენ მისი ლოცვითა და მღვიძარებით. ეუცხოებოდათ ეს საქმე. დაიწყეს მისი გამოკითხვა, ის აუწყებდა ძველ და ახალ წიგნებს, განაბრძნობდა უგუნურებს და უგულისხმოებს და მათ გულში ნერგავდა ქრისტეს სიყვარულს.

და ასე იყო სამ წელს, განცხადებულად ქადაგებდა ქრისტეს და მრავალი დაიმოწაფა. მაშინ იყო ერთი ყმაწვილი, მძიმედ სნეული. მიმოჰქონდა იგი დედამისს კარდაკარ, რათა ეპოვნა ვინმე მცოდნე კურნებისა. მაგრამ ვერ იპოვა მკურნალი და უთხრეს: აღარაფერი ეშველება მაგ ყმას. ეს ქალი იყო წარმართი და გულფიცხი. სძაგდა ქრისტიანული სჯული, უშლიდა სხვებსაც წმიდა ნინოსთან მისვლას, მაგრამ როცა სასოწარკვეთილებას მიეცა სხვა მკურნალთაგან, მივიდა წმიდა ნინოსთან, დავარდა მის წინაშე და ევედრებოდა ყრმის განკურნებას. მაშინ უთხრა წმიდა ნინომ: „კურნებას, რომელიც ადამიანისგან არის, მე არ ვყოფ, ხოლო ღმერთმა ჩემმა – ქრისტემ განკურნოს ეს ყრმა, რომელიც ყველასგან განწირულია“.

კილიკზე ლოცულობდა ხოლმე წმიდა ნინო, მასზე დაადებინა ყრმა და დაიწყო ღმერთის მიმართ ვედრება. მაშინვე განიკურნა ის ყრმა, გამოჯანმრთელებული მისცა დედამისს. ხოლო ყრმის დედამ აღიარა ქრისტე და თქვა: „არ არის სხვა ღმერთი, გარდა ქრისტესი, რომელსაც ქადაგებს ნინო“, და დაემოწაფა წმიდა ნინოს, შეუდგა მის კვალს და ადიდებდა ღმერთს.

ნანა დედოფალიც ძლიერ დასნეულდა. ვერავინ განკურნა იგი, თუმცა, ყველა ხელოვანმა მკურნალმა სცადა თავისი წამლები. უღონონი და სასოწარკვეთილნი იყვნენ. აუწყეს დედოფალს, რომ „რომაელი ტყვე დედაკაცის ლოცვით, რომელსაც ნინო ჰქვია, მრავალნი სნეულნი განიკურნენ“. მაშინ უბრძანა თავის მსახურებს, რათა მოეყვანათ ნინო. მივიდნენ დედოფლის მსახურები და იპოვეს ნინო მაყვლის ბუჩქის ქვეშ, მეექვსე ჟამს ლოცულობდა. უთხრეს დედოფლის ბრძანება, ხოლო წმიდა ნინომ უთხრა: „არა მაქვს ბრძანება (ნება), რომ მივიდე იქ, სადაც ჩვენი შვება არ არის, თვითონ დედოფალი მოვიდეს ჩემს საყოფელში და ჭეშმარიტად განიკურნება ქრისტეს ძალით“. მსახურებმა უთხრეს წმიდა ნინოს ნათქვამი დედოფალს. მაშინ დედოფალმა ბრძანა: „შემიმზადეთ საწოლი და მიმიყვანეთ მასთან“. საწოლით წაიყვანეს მსახურებმა, მისმა ძემ რევიმ და ერის სიმრავლემ.

როცა მივიდნენ წმიდა ნინოს სამყოფელთან, დადეს დედოფალი საგებელ კილიკზე. დაიწყო წმიდა ნინომ ლოცვა და ვედრება ღვთის მიმართ.

მოიღო ჯვარი, რომელიც ჰქონდა, შეახო თავზე, ფეხებსა და მხრებზე ჯვრისსახედ და მაშინვე განიკურნა და ადგა გამოჯანმრთელებული, ირწმუნა ქრისტე და თქვა: „არ არის სხვა ღმერთი, ქრისტეს გარდა, რომელსაც ქადაგებს ეს ტყვე დედაკაცი“. და იმ დროიდან გაიხადა ის მეგობრად და თავის შინაურად. მარად ჰკითხავდა და გამოწვლილვით გამოეძიებდა ქრისტეს რჯულს. ასწავლიდნენ წმიდა ნინო, აბიათარი – ახალი პავლე და მისი ასული სიდონია. მორწმუნე გახდა დედოფალი და ცნო ჭეშმარიტი ღმერთი.

გამოჰკითხა მეფემ დედოფალს, თუ როგორ განიკურნა მეყსეულად. მოუთხრო დედოფალმა, რაც იქმნა მასზე, თუ როგორ განიკურნა წამლის გარეშე ლოცვით და ჯვრისშეხებით. ამ სასწაულის მხილველი ერის სიმრავლე ამოწმებდა დედოფლის სიტყვებს.

მაშინ განკვირდა მირიან მეფე, დაიწყო გამოძიება ქრისტეს რჯულისა, მრავალგზის ჰკითხა ურიაყოფილ აბიათარ მღვდელს ძველი და ახალი რჯული. ნებროთის წიგნშიც, რომელიც ჰქონდა მირიან მეფეს, იპოვა ერთი ადგილი: გოდოლის აშენების დროს ზეციდან გაისმა ხმა ნებროთის მიმართ: „მე ვარ მიქაელ, ღმერთის მიერ დადგენილი აღმოსავლეთის მთავრად. გადი მაგ ქალაქიდან, რამეთუ ღმერთი ფარავს მაგ ქალაქს. უკანასკნელ ჟამს მოვა მეუფე ცისა, რომლის ხილვაც შენ გნებავს. მისი შიში განაქარვებს ამქვეყნიურ სიტკბოს. მეფენი მეფობას დატოვებენ და სიგლახაკეს დაუწყებენ ძებნას. ის გიხილავს ჭირში და გიხსნის შენ“. მაშინ გუ-ლისხმა-ყო მირიანმა, რომ ძველი და ახალი წიგნები ემოწმებოდნენ და ნებროთის წიგნიც ამტკიცებდა. და მას გაუჩნდა სურვილი ქრისტეს რჯულისა, მაგრამ ებრძოდა უჩინო მტერი და აბრკოლებდა ქრისტეს აღიარებისგან, გულში იმედს იტოვებდა კერპებისას და ცეცხლისას.

მუდამ ევედრებოდა დედოფალი ქრისტეს აღსარებისათვის. დედოფლის მოქცევის შემდეგ მეფე ორი წელი ორგულობდა. ამ დროს წმიდა ნინო ერს ასწავლიდა დაუცხრომლად, მაგრამ არავის ეუბნებოდა: „ვინ ვარ და საიდან მოვედი“, არამედ ტყვეს უწოდებდა თავის თავს.

ამის შემდეგ სპარსელი მთავარი მოგვი სახელად ხუარა, დასნეულდა და სიკვდილის პირს იყო. ის იყო მირიან მეფის ნათესავი. შეევედრნენ წმიდა ნინოს ნანა დედოფალი და მეფე. მეფე მის საქმეს ცოტა ეჭვით უყურებდა, ამიტომაც უთხრა წმიდა ნინოს: „რომელი ძალით მკურნალობ შენ? ან არმაზის ასული ხარ, ან ზადენის შვილი. უცხოეთიდან მოხვედი, ამათ შეევედრე და მოგცეს წყალობა, მოგანიჭეს კურნების ძალა, რათა გეარსება უცხო ქვეყანაში. დიდებულ არიან უკუნისამდე. ხოლო შენ იყავი ჩვენთან, როგორც ჩვენი შვილი, ამ ქალაქში პატივცემული. მაგრამ ნუ იქადაგებ რომაელთა შეცდომილ რჯულს და ნურც იტყვი, რამეთუ ეს დიდი და სოფლის მპყრობელი ღმერთები, მზის მომფენელი, წვიმის მომცემელი და ყოველი სულიერი არსების გამომზრდელი ქართლის ღმერთები არმაზი და ზადენი, ყოველივე დაფარულის გამომეძიებელნი, ჩვენი მამების ძველი ღმერთები გაცი და გაიმ - ისინი უნდა სწამდეთ ადამიანებს. თუ განკურნავ ამ მთავარს - გაგამდიდრებ და მცხეთის მკვიდრ-მოქალაქეობას მოგცემ, დაგაყენებ არმაზის მსახურად. მართალია, მაშინ ჰაერითა და სეტყვით შეიმუსრნენ, მაგრამ ის ადგილი უძლეველია. ეს ქართველთა არმაზი და ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან მარადი მტრები არიან. ამან მასზე ზღვა მიაქცია და მან კი ასეთი ურვა მოაწია, როგორადაც არის ქვეყნის მპყრობელთა ჩვეულება, და შენთვის საკმარისი იყოს ეს ბრძანება“. მიუგო ნეტარმა ნინომ: „ქრისტეს სახელით და მისი დედის ვედრებით მოავლინოს შენზე ღმერთმა - ცისა და ქვეყნის შემოქმედმა, ყოველი დაბადებულის დამბადებელმა, თავისი მრავალმოწყალებისგან მადლის ერთი ნაპერწკალი, რათა იცნო და გულისხმა-ჰყო ცის სიმაღლე და მზის ნათელი, ზღვის სიღრმე და ქვეყნის სივრცე. იცოდე, მეფევ, ვინ მოსავს ცას ღრუბლით და ქუხს ჰაერში, იძვრის ქვეყანა მისი სიმძაფრით. არის მეხთა ტეხა და მის კვალზე ცეცხლი აღეგზნება მისი გულისწყრომით. იცოდე, რომ ღმერთი არის ცაში. თავად ის უხილავია ყოველივე დაბადებულისგან, გარდა მისი ძისა, რომელიც მისგან გამოვიდა და ქვეყნად მოვიდა როგორც კაცი, რომელმაც აღასრულა ყოველივე, რისთვისაც იყო მოსული და აღვიდა ზეცაში მამასთან და იხილა დაუსაბამო, რომელიც მაღლაა და მდაბალთა ხედავს. მალე მოგხედავს ღმერთი, რამეთუ არის ამ ქალაქში ერთი სასწაული: სამოსელი ღმერთის ძისა და თქვეს, ელიას ხალენიც აქ არისო და მრავალი სასწაულია, რომელსაც ღმერთი გამოაჩენს. ახლა კი მე შენს მთავარს განვკურნავ ქრისტე ღმერთის ძალით და მისი ვნების ჯვრით, როგორც დედოფალი განვკურნე სენისგან“.

და მიჰგვარეს მას ის მთავარი, მოვიდა დედოფალიც ბაღში ნაძვის ქვეშ, დააყენა აღმოსავლეთით, ააწევინა ხელები და ათქმევინა სამგზის: „განვეშორები შენგან, ეშმაკო, და შევუდგები ქრისტესა ღმერთის ძესა“. ტიროდა ნინო და შესთხოვდა ღმერთს, შეწევნოდა ამ კაცს. მოწაფეები მასთან იყვნენ იქ ერთი დღე და ორი ღამე. და სწრაფად გავიდა მისგან სული ბოროტი და დაემოწაფნენ ნინოს თავიანთი სახლით და ერით და ადიდებდნენ ღმერთს.

თქმული სიდონია დედაკაცისა, რომელმაც იხილა და აღწერა...

ერთ ზაფხულის დღეს, 20 ივლისს, შაბათს, გავიდა მეფე მუხრანისაკენ სანადიროდ. ამ დროს უჩინო მტერმა - ეშმაკმა, გულში ჩაუგდო კერპებისა და ცეცხლის სიყვარული. გაიხსენა მსახურება კერპებისა და ისურვა მახვილით ამოწყვეტა ყველა ქრისტიანისა. უთხრა მეფემ თავის ოთხ თანამზრახველს: „ღირსნი ვართ, რომ ჩვენმა ღმერთმა ბოროტი გვიყოს, რადგანაც აღარ ვემსახურებით მას და მივუშვით თავის ნებაზე გრძნეული ქრისტიანი მქადაგებლები თავიანთი რჯულის საქადაგებლად ჩვენს ქვეყანაში. ისინი გრძნეულებით აკეთებენ საკვირველებას. ახლა ასეთია ჩემი განზრახვა, ბოროტად გავწყვიტოთ ყველა თაყვანისმცემელი ჯვარცმულისა, და უმეტესად ვემსახუროთ ქართლის მპყრობელ ღმერთებს, ვამხილოთ დედოფალი ნანა, ჩემი ცოლი. მოვანანიებინოთ და დავატოვებინოთ ჯვარცმულის რჯული. თუ არ დამემორჩილება, დავივიწყებ მის სიყვარულს და სხვებთან ერთად წავრწყმიდავ მასაც“. დაეთანხმნენ მისი თანამზრახველები, რადგანაც მათაც ამ საქმის შესრულება მხურვალედ უნდოდათ, ადრევე სურდათ, მაგრამ ვერ აცხადებდნენ.

ხოლო მეფემ მოვლო სანახები მუხრანისა, ავიდა თხოთის მაღალ მთაზე, რათა მოეხილა კასპი და უფლისციხე. განვიდა მთის თხემზე. შუა სამხრობისას დაბნელდა მზე მთაზე და იქმნა როგორც ღამე, ბნელი, უკუნი. დაიპყრო სიბნელემ არენი და ადგილნი. განშორდნენ ერთმანეთს ჭირისა და ურვის გამო. დარჩა მეფე მარტო, იარებოდა მთათა და მაღრანთა შეშინებული და შეძრწუნებული. დადგა ერთ ადგილას, გადაეწურა იმედი თავის სიცოცხლისა და როცა მოვიდა ცნობაზე, განიზრახა გულში: „აჰა, შევთხოვე ჩემს ღმერთებს და ვერ ვპოვე ლხინება. ახლა ჯუარცმულს, რომელსაც ქადაგებს წმიდა ნინო და კურნავს მისით, არ შეუძლია ჩემი ხსნა ამ ჭირისაგან? რამეთუ ცოცხლად ვარ ჯოჯოხეთში და არ ვიცი მთელი ქვეყანა დაიქცა, თუ მხოლოდ ჩემთვის იქმნა ეს. ახლა თუ მარტო ჩემთვის არის ეს ჭირი, ნინოს ღმერთო, განმინათლე ეს ბნელი და მიჩვენე ჩემი სამყოფელი და ვაღიარებ შენს სახელს, აღვმართავ ჯვრის ძელს და თაყვანს ვცემ მას. ავაშენებ ჩემთვის სალოცველ სახლს და ვიქნები მორჩილი ნინოსი რომაელთა რჯულზე“.

ყოველივე ეს რომ წარმოთქვა, განათდა და გამობრწყინდა მზე. ჩამოქვეითდა ცხენიდან მეფე, დადგა იმავე ადგილას, განიპყრნა ხელნი აღმოსავლეთით და თქვა: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფალთა, ღმერთი, რომელსაც ნინო იტყვის. საქებელია შენი სახელი ყოველი დაბადებულისგან ცის ქვეშ და ქვეყანაზე, რამეთუ შენ მიხსენი ჭირისგან და განმინათლე ბნელი. აჰა, ვცნობ. რამეთუ გინდა ჩემი ხსნა, ლხენა და შენთან მიახლება. კურთხეულო უფალო, ამ ადგილას აღვმართავ ძელის ჯვარს, რომლითაც იდიდება შენი სახელი და მოიხსენიება ეს სასწაულებრივი საქმე უკუნისამდე“.

დაისწავლა ეს ადგილი და წამოვიდა. იხილეს ნათელი და შეუერთდა გაბნეული ხალხი. მეფე კი ღაღადებდა. „მიეცით ნინოს ღმერთს დიდება, რამეთუ ის არის საუკუნითგან ღმერთი და მხოლოდ მას შვენის დიდება უკუნისამდე“.

ნანა დედოფალი და ყოველი ერი გავიდა მეფის მისაგებებლად, რამეთუ ესმათ პირველად დაღუპვა, ხოლო შემდეგ მშვიდობით მოსვლა, მიეგებნენ ქინძარასა და ღართაში. ხოლო ნეტარი ნინო ლოცულობდა მწუხრს მაყვლოვანში მისი ჩვეულებისამებრ. ჩვენ მასთან ვიყავით ორმოცდაათი სული. როცა მოვიდა მეფე, იძვროდა ქალაქი და მაღალი ხმით ღაღადებდა მეფე: „სად არის ის უცხო დედაკაცი, რომელიც არის დედაჩემი და მისი ღმერთი ჩემი მხსნელია“. და როცა უთხრეს: „აქ, მაყვლოვანშია და ლოცულობს“, მივიდა თვით მეფე და მთელი ლაშქარი, ჩამოხდა მეფე ცხენიდან და უთხრა ნინოს: „ახლა ღირსი ვარ შენი ღმერთის და ჩემი მხსნელის სახელის აღიარებისა“. წმიდა ნინომ ასწავლა, აღმოსავლეთით ეცა თაყვანი და ეღიარებინა ქრისტე ძე ღვთისა.

მაშინ გრგვინავდა და ტიროდა ყოველი კაცი, როცა ხედავდნენ მეფესა და დედოფალს ცრემლოვანთ. მეორე დღეს მირიან მეფემ წარავლინა მოციქული საბერძნეთში კონსტანტინე ბერძენთა მეფის წინაშე. მასვე გაატანა ნინოს წიგნი ელენე დედოფალთან. და აუწყეს ყოველივე სასწაული მირიანისა ქრისტესმიერი, რომელიც მცხეთაში მოხდა და ითხოვეს სასწრაფოდ მღვდელნი ნათლისღებისთვის. ხოლო წმიდა ნინო და მისი მოწაფეები უქადაგებდნენ ერს დღე და ღამე დაუცხრომლად და უჩვენებდნენ ჭეშმარიტ გზას.

თქმული მისივე ეკლესიის აღშენებისათვის

როცა მეფე და მთელი ერი ქრისტიანობას დაეწაფა მღვდლების მოსვლამდე, უთხრა მეფემ წმიდა ნინოს: „მსურს სასწრაფოდ ავაშენო ღვთის სახლი, სად ავაშენო?“ უთხრა წმიდა ნინომ: „სადაც მეფეთა გონება მტკიცეა“. უთხრა მას მეფემ: „მიყვარს მე შენი მაყვლოვანი, იქ მნებავს ჩემი გონებით, მაგრამ ასე არ ვყოფ და არ მოვერიდები სამეფო ბაღს, ამ ნაძვთა სიმაღლეს, ამ ბაბილოს ნაყოფიერებასა და ყვავილთა სურნელებას, რამეთუ ჩვენება, რომელიც იხილე შენ, შავფრთიანი ფრინველების განბანა წყლით, ბრწყინვალედ განსპეტაკება და დასხდომა მათი ამ ბაღის ხეებზე, მათი ტკბილხმოვანება, - ჭეშმარიტად, ეს ხორციელი წარმავალი ბაღი შეგვეცვლება საუკუნო სამოთხედ. აქ აღვაშენოთ ღვთის სახლი, ჩვენ სალოცველად, საბერძნეთიდან მღვდლების მოსვლამდეო“.

სასწრაფოდ მოიღო ძალი. ასწავლიდა ხუროებს, მოჰკვეთეს ის ნაძვი და ამ ნაძვისგან შეამზადა ეკლესიის შვიდი სვეტი. ძელებით ააშენეს კედელი და აღმართეს ექვსი სვეტი თავიანთ ადგილებზე, ხოლო უდიდესი სვეტის აღმართვა. რომელიც საკვირველი იყო სახილველად და გამზადებული იყო შუა ეკლესიის შესადგმელად, ვერ შეძლეს. აუწყეს მეფეს, რომ ადგილიდანაც ვერ დაძრეს ეს სვეტი. მაშინ მოვიდა მეფე ერის სიმრავლით, მოიტანეს მრავალღონე მანქანები. სიმარჯვითა და ხალხის სიმრავლის ძალით შეეცადნენ აღმართვას და ვერ შეძლეს. გაკვირვებული იყო მეფე და ხალხი და ამბობდნენ: „რა არის ეს?“ როცა მოსაღამოვდა: წავიდა მეფე თავის სახლში, ფრიად შეწუხებული, ხოლო წმიდა ნინო და თორმეტი მისი მოწაფე ქალი დადგნენ სვეტთან. ხოლო სანატრელი იგი გოდებდა ამ სვეტზე და ადენდა თავის ცრემლს.

შუაღამისას გადმოიქცა ორივე მთა - არმაზი და ზადენი, თითქოს ჩამოირღვნენ და დააყენეს ორივე წყალი: და მტკვარმა გადმოხეთქა და მიჰქონდა ქალაქი. გაისმა საზარელი ტყებისა და გოდების ხმა. და აგრეთვე არაგვი გარდამოხდა ციხეზე და შეიქმნა საზარელი გრგვინვა. შეეშინდათ ქალებს და ილტვოდნენ. ხოლო წმიდა ნინო ღაღადებდა: „ნუ გეშინიათ, დანო ჩემნო, მთანი აქვე არიან, წყალნი აქვე დიან, და ხალხს, ყველას სძინავს. ხოლო ეს თითქოსდა მთები რომ დაიძრნენ, მართალი ჩვენებაა, რამეთუ ურწმუნოების მთანი დაირღვნენ ქართლში, ხოლო წყალი რომ დადგა, კერპებისადმი შეწირული ყრმების სისხლი შეწყდა. ხოლო ტყების ხმა ეშმაკთა სიმრავლე არის, რამეთუ იგლოვენ თავსა თვისსა, რომელნიც ამ ადგილებიდან გაიქცნენ ძალითა მაღლისა და ქრისტეს ჯვარით. ილოცეთ ღვთის მიმართ“. და მაშინვე დაცხრა ის ხმა და იყო არარა.

და დადგა წმიდა ნინო, განიპყრო ხელნი და დაიწყო ლოცვა ღმრთის მიმართ და ამბობდა: „რათა არ დაბრკოლდეს ეს საქმე, რომლისთვისაც წარმართულია მეფე“. და კვლავ, მამლის ყივილამდე ქალაქის სამივე კარს დასცა ზარი ძლიერმა ლაშქარმა. დალეწეს კარნი და აღივსო ქალაქი სპარსთა ლაშქრით, და გაისმა ხმა შიშისმომგვრელი, ყივილი და კვლა, და აღივსო ყოველი ადგილი სისხლით და მოვიდა სიმრავლე მახვილით და შეძახილებით. შიშისგან ხორცი დადნებოდა და განილია სული მათი. ტიროდნენ თავიანთ ნათესავებს. ისმოდა ძლიერი ხმა: „მეფე სპარსთა, მეფეთ-მეფე ხუარან-ხუარა

ბრძანებს: ყოველი ებრაელი განარინეთ პირისაგან მახვილისა“. ეს რომ მომესმა, შევორგულდით მე და ათნივე ჩემთან მყოფნი, და მოახლოებულნი იყვნენ მახვილოსანნი ჩვენს გარემოს, სცემდნენ და კლავდნენ.

და გაისმა ძლიერი ხმა – „მირიან მეფე მოკლესო“. გაიხედა მხნე მოღვაწემ და თქვა: „ეს, რომელიც ყივის, ვიცი, ახლა დიდად გაჭირვებულია და ვმადლობ ღმერთს, რომ ეს ნიშანი არის მათი წარწყმედისა, ქართლისა ცხოვრებისა და ამ ადგილის დიდებისა“, და გვანუგეშებდა, როგორც ხელოვანი მოძღვარი, ჭეშმარიტი მოძღვარი და მოციქული ქრისტესი.

მიუბრუნდა ამ მომავალ ხალხს და უთხრა: „სად არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუარან-ხუარა? საბასტანით გუშინ გამოხვედით, ვითომ მალე მოხვედით და დიდი ლაშქარი ხართ, ძლიერად დალეწეთ ეს ქალაქი და მახვილი დაეცით. ქარსა და ნიავს გაჰყევით ბნელით ჩრდილოეთისკენ, მთათა და კედართა. აჰა, მოვიდა, რომლისგანაც თქვენ ილტვით“. და განძრა ხელი ჯვრისსახედ და მეყსეულად უჩინო იქმნა ყოველი და დადუმდა გარემო. ქალები შეჰნატროდნენ მას და ადიდებდნენ ღმერთს.

ცისკრისჟამს მიერულა ყველა ქალს, ხოლო მე, სიდონია, მღვიძარე ვიყავ. ის იდგა ხელგანპყრობით და აჰა, ნეტარს, ზედ მოადგა ერთი ჭაბუკი სრულიად ნათლით შემკობილი, შებლარდნილი ცეცხლის ზეწრით და თქვა რაღაც სამი სიტყვა. ხოლო ის დაეცა მიწაზე. ჭაბუკმა ხელი მოჰკიდა სვეტს, აღმართა და წაიღო მაღლა. მე გაკვირვებული მივეახლე მას და ვუთხარი: „დედოფალო, რა არის ეს?“ ხოლო მან მიპასუხა: „მოიდრიკე თავი ქვეყნად“ და ტირილი დაიწყო. მცირე ხნის შემდეგ ადგა და ამაყენა, განვშორდით ამ ადგილს. და ქალებმაც იხილეს ეს სვეტი, ცეცხლის სახით ჩამოდიოდა. მიუახლოვდა თავის ხარისხს - მონაკვეთი ნაძვის ძირს.

რიჟრაჟისას ადგა მეფე, ურვისგან შეწუხებული. გახედა ბაღს და დაწყებულ ეკლესიას. იხილა ნათელი, როგორც ელვა აღწეული ცაში მისი ბაღიდან. სირბილით და მკვირცხლად მოდიოდა მისი სახლის სიმრავლე და ქალაქის ხალხი მასთან ერთად. მათ საკვირველება იხილეს — ნათელით გაბრწყინვებული სვეტი ჩამოდიოდა თავის ადგილზე თითქოსდა ზეციდან. და დადგა თავის ხარისხზე და დაემყარა მას კაცთაგან ხელის შეუხებლად. ნეტარი იყო ის ჟამი, რამეთუ ამ დროს შიშითა და სიხარულით აღივსო ქალაქი მცხეთა. დიოდა ცრემლთა მდინარენი მეფეთა, მთავართა და მთელი ერისა. სულთქმით ადიდებდნენ ღმერთს და ნატრობდნენ ნეტარ ნინოს, და იმ დღეს დიდი სასწაულები ხდებოდა.

პირველად მოვიდა ერთი ებრაელი, შობიდან ბრმა, მიეახლა სვეტს, აეხილა მაშინვე თვალები. ადიდებდა ღმერთს. მეორედ ყრმა სეფეწული მოიყვანეს, ამაზასპანი, რვა წლისა. საწოლით მოიტანა დედამისმა. სარწმუნოებითდადო საწოლი ნათლის სვეტის წინ. ევედრებოდა ნინოს: „მოხედე, დედოფალო, სიკვდილს მიახლოებულ ამ ჩემს ძეს, რამეთუ ვიცი, ღმერთი ღმერთთა ის არის, რომელსაც შენ ემსახურები და ჩვენ გვიქადაგებ“. მაშინ წმიდა ნინომ შეახო ხელის სვეტს, დაადო ყრმას და თქვა: „გწამდეს იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, ყველა კაცის სიცოცხლისათვის ამ ქვეყნად ხორციელად მოსული, განიკურნე ამიერიდან და ადიდებდე მას, ვისმა ძალამაც განგკურნა“. და უცებ აღდგა ყრმა, როგორც უტკივნელი. დაეცა შიში მეფესა და ხალხს. სნეულები მოდიოდნენ და განიკურნებოდნენ, სანამ მეფემ არ შექმნა საბურველი ძელისა სვეტის გარშემო და დაფარა ხედვისგან. ასევე ეხებოდა ხალხი მის სართულს და იკურნებოდა. სწრაფად დაიწყო მეფემ და განასრულა ეკლესია ბაღში.

როცა მირიან მეფის მოციქულებმა მიაღწიეს ბერძენთა მეფის კონსტანტინეს წინაშე, მოუთხრეს ყოველივე რაც იქმნა. მაშინ აღივსო სიხარულით მეფე და დედამისი ელენე დედოფალი: პირველად იმისთვის, რამეთუ მადლი ღვთისა მოეფინებოდა ყველა ადგილს და მათ ხელქვეშ ნათელს-იღებდა ყოველი ქართლი. ხოლო შემდგომ უხაროდათ, რამეთუ დარწმუნდნენ, რომ მირიან მეფე სრულებით ჩამოშორდა სპარსელებს და მტკიცედ მიიღო მათი სიყვარული. ადიდებდნენ და ჰმადლობდნენ ღმერთს. გამოგზავნეს მღვდელი ჭეშმარიტი იოვანე ეპისკოპოსად და მასთან ორი მღვდელი და სამი დიაკონი. მისწერა მირიანს კონსტანტინე მეფემ წიგნი ლოცვისა და კურთხევისა, ღმერთის მადლობისა. გამოგზავნეს ჯვარი და მაცხოვრის ხატი და მასთან დიდი სიმდიდრე. ხოლო ელენე დედოფალმა მოწერა წიგნი ქებისა და ნუგეშინისცემისა.

მოვიდნენ იოვანე ეპისკოპოსი, მასთან ერთად მღვდლები, დიაკვნები და მოციქულები მცხეთაში. აღივსნენ სიხარულით მეფე, დედოფალი და მთელი მათი ხალხი, რამეთუ სურვილი ჰქონდა ყველას ნათლისღებისა. მაშინ სწრაფად გაუგზავნა მეფე მირიანმა ბრძანება ყველა ერისთავს, სპასალარებს და ყოველ სამეფო პირს მის წინაშე მისასვლელად. სწრაფადვე მოვიდნენ ყველანი ქალაქში. მაშინ ნათელიღო მეფემ წმიდა ნინოს ხელქვეშ, შემდეგ დედოფალმა, მათმა შვილებმა მღვდლებისა და დიაკვნების ხელქვეშ. შემდეგ აკურთხეს მდინარე მტკვარი. ეპისკოპოსმა შეამზადა ერთი ადგილი, მოგვთა ხიდთან, მოგვთა კარის სიახლოვეს, სადაც იყო ელიოზ მღვდლის სახლი, იქ ნათელს-ცემდა თითოეულ წარჩინებულს, და ეწოდა ამ ადგილს მთავართა სანათლო. ხოლო მის ქვემოთ მდინარისვე პირას ორგან, ორი მღვდელი და დიაკვნები ნათელსცემდნენ ხალხს. აწყდებოდა ხალხი ერთმანეთს და ევედრებოდნენ მღვდლებს, რათა პირველად ის მოენათლა. ასე ესწრაფოდა ნათლისღებას ყველა.

ასეთი სახით ნათელ-იღო მთელმა ხალხმა და ქართლის სიმრავლემ. არ მოინათლნენ მხოლოდ კავკასიელი მთიულები და არც მოვიდნენ ამ ნათლის მოფენაზე, არამედ დარჩნენ სიბნელეში რამდენიმე ხანს. და მცხეთელი ებრაელებიც არ მოინათლნენ, ბარნაბიანები (ბარნაბას სახლი) მოინათლნენ და ჭეშმარიტ ქრისტიანებად იქცნენ. ამისთვის მეფის წინაშე დიდნი გახდნენ, უბოძა მათ დაბა, რომელსაც ჰქვია ციხედიდი. ასევე არ მოინათლა ფეროზი, სიძე მირიან მეფისა, რომელსაც ჰქონდა მირიან მეფისგან მიცემული რანი ბარდავამდე. არც მისმა ერმა მიიღო ნათელი, არამედ მხოლოდ ხორციელად ემსახურებოდნენ მეფეს.

მაშინ გაგზავნა მირიან მეფემ ეპისკოპოსი იოვანე და მასთან ერთად ერთი წარჩინებული კონსტანტინე მეფესთან და ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, რომელიც იმჟამად აღმოეჩინა ღვთისმოყვარე ელენე დედოფალს. ითხოვა მრავალი მღვდელი, რათა მიევლინებინა ყოველ ქალაქსა და ადგილზე და მოენათლათ ხალხი, რომ მონათლულიყო ქართლის ყოველი სული. ასევე ითხოვა ქვითხურონი ეკლესიების აშენებისთვის. როცა მივიდნენ კონსტანტინე მეფის წინაშე, სიხარულით უბოძა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა და ის ფიცარი, რომელზედაც იყო დამსჭვალული უფლის ფეხები, აგრეთვე სამსჭვალნი ხელებისა. წარმოგზავნა მღვდელნი და ხურონი ფრიად მრავალნი, რამეთუ კონსტანტინე მეფემ მისი მეფობისას ააშენა წმიდა ეკლესიები. მისცა განძი ეპისკოპოს იოვანეს და უბრძანა: ,,სადაც საჭიროდ მიიჩნევ ქართლში, იქ აღაშენე ეკლესიები ჩემს სახელზე და ეს სიმდიდრე დაამკვიდრე ქართლის ქალაქებში''.

და წამოვიდა ეპისკოპოსი და მასთან ერთად მირიანის მოციქული, მივიდნენ იმ ადგილას, რომელსაც ჰქვია ერუშეთი. დატოვა იქ ხუროები ეკლესიის ასაშენებლად, დატოვა განძი, უფლის სამსჭვალნი და წამოვიდა. და აგრეთვე წუნდაში დატოვა ხუროები და განძი, ეკლესიის დაწყებისას წამოვიდა, მოვიდა მანგლისში, აქაც დაიწყო ეკლესიის შენება და დატოვა უფლის ფიცარი.

მაშინ შეწუხდა იმისთვის მირიან მეფე, რომ პირველად სამეფო ქალაქში არ მოვიდნენ, არამედ სხვა ქალაქებსა და ადგილებში დაიწყეს ეკლესიის შენება და დატოვეს ნაწილები. მივიდა წმიდა ნინო მეფესთან და უთხრა: ,,ნუ სწუხარ, მეფეო, რამეთუ ასე სჯობია, სადაც მივიდნენ, დათესეს ღვთის სახელი. არის ამ ქალაქში სამოსელი უფლისა''.

მაშინ მოიყვანა მეფემ აბიათარ მღვდელი და მასთან ერთად მრავალი ებრაელი და გამოიკითხა მათგან უფლის კვართისათვის, ხოლო მათ მოუთხრეს ყოველივე, რომელიც ზემოთ წერია. მაშინ აღაპყრო ხელი მირიან მეფემ და თქვა: ,,კურთხეულ ხარ, შენ უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისა ცხოველისაო, რამეთუ თავიდანვე გინდოდა ჩვენი ხსნა ეშმაკისაგან და მისი ბნელი ადგილისაგან, ამისთვის შენი წმინდა სამოსელი წარმოეც წმინდა ქალაქ იერუსალიმიდან, შენი ღვთაების არმცოდნე ებრაელებისგან და მოგვეც ჩვენ, უცხო ერს''.

მეფე და მთელი ქალაქი განმტკიცდებოდა ქრისტიანობაში. დაიწყეს ხუროებმა ზღუდის გარეთ ეკლესიის შენება, წმინდა ნინოს საყოფელ მაყვლოვანში, სადაც ახლა არის საეპისკოპოსო ეკლესია. მაშინ თქვა წმინდა ნინომ: ,,კურთხეულ არს უფალი იესო ქრისტე და მამა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. რომელმაც მოავლინა წმინდა სიტყვა მისი ზეცის სიმაღლიდან, ძლიერი ტახტისგან გადმოსული ქვეყნად, მდაბლად

შობილი დავითის თესლისგან, დედაკაცისგან მხოლოდშობილისა წმინდისა და უბიწოისა. ჩვენი ცხოვრების მიზეზი, რომელმაც ცის ქვეშ ყველაფერი გაანათლა და მორწმუნენი აცხოვნა, რომელიც იშვა როგორც კაცი, ნათელი ყოველთა, მამა ღმერთის ხატი და ვითარცა ვინმე სულის მსახურმა ნათელ იღო წყლისაგან და სულისაგან და ჯვარს ეცვა, დაეფლა და აღდგა მესამე დღეს, და აღხდა სიმაღლესა მამისა თანა, და კვლავ მოვა დიდებით, რომელსაც შვენის ყოველივე დიდება, პატივი და თაყვანისცემა მამით და სულით წმიდით".

აღმართებისათვის პატიოსნისა ჯვრისა

ქართლის მოქცევის დროს იდგა ერთი ხე კლდის ბორცვზე, შეუვალ ადგილას, ეს ხე იყო ფრიად მშვენიერი. და საკვირველება ამ ხისგან ის იყო, რომ ისარცემული ნადირი, რომელიც მივიდოდა და შეჭამდა ამ ხის ფოთოლს ან თესლს, აღარ მოკვდებოდა, თუნდაც სასიკვდილოდ დაჭრილი ყოფილიყო. ეს ძლიერ აკვირვებდა პირველ წარმართებს. აუწყეს ეპისკოპოს იოვანეს ამ ხის შესახებ. ხოლო ეპისკოპოსმა თქვა: „აჰა, ჭეშმარიტად, ეს ქვეყანა თავდაპირველადვეა შენახული ღვთისგან თავის მსახურად, რამეთუ ღმერთისგან აღმოცენდა ეს ხე, ამ დროისათვის შენახული, რამეთუ ახლა მოეფინა ღმერთის მადლი ქართლს, და ამ ხისგან ჯერ არს პატიოსანი ჯვრის შექმნა, რომელსაც თაყვანს სცემს ქართლის მთელი სიმრავლე".

და წავიდნენ რევ, ძე მეფისა, ეპისკოპოსი და ხალხის სიმრავლე. მოჰკვეთეს ეს ხე და თავის რტოებიანად წამოიღეს და მოჰქონდა ათ ათეულ კაცს, ზეზე რტოებით და ფოთლებითურთ, შემოიტანეს ქალაქში, ზამთრის დროს, როცა სხვა ყოველი ხე ხმელი იყო, ხოლო ეს ფოთოლდაუცვენელი, სურნელოვანი და სახილველად მშვენიერი. და ძირზე დააყენეს ეკლესიის კარებთან, სამხრეთით, სადაც უბერავდა ნელი ნიავი და შლიდა მის ფოთლებს, ძრავდა მის რტოებს და მისი ხილვა მშვენიერი იყო, როგორც გვსმენია - ალვის ხისა.

ეს ხე მოჰკვეთეს 25 მარტს, პარასკევს, და იდგა ასე 37 დღე. და არ შეიცვალა ფერი მისმა ფოთლებმა, იდგა თავის ძირზე, წყაროს თავთან, ვიდრე არ შეიმოსა ყველა ხე ფოთლით, ხოლო ნაყოფის გამომღებელი ხეები — ყვავილით.

მაშინ, 1-ელ მაისს, შექმნეს ჯვარი, 7 მაისს აღმართა მეფის ხელის დადებით ქალაქის მთელმა ხალხმა, და აჰა, ზეციდან ჩამოვიდა ცეცხლის ჯვარი და როგორც ვარსკვლავთ-გვირგვინი დაადგა ეკლესიას განთიადამდე. გარიჟრაჟისას მისგან გამოვიდა ორი ვარსკვლავი, ერთი წავიდა აღმოსავლეთით და ერთი დასავლეთით. და ის თვითონ (ვარსკვლავგვირგვინი) ასევე ბრწყინვალედ ნელ-ნელა გადავიდა არაგვზე და დადგა კლდის ბორცვზე, ზემო მხარეს, იმ წყაროს სიახლოვეს, რომელიც წმიდა ნინოს ცრემლებმა აღმოაცენა და იქიდან ამაღლდა ზეცად. და ასე მრავალგზის იხილა მთელმა ხალხმა მაცხოვარება ღვთისა ჩვენისა. მაშინ გამოჰკითხეს წმიდა ნინოს, თუ რა არის, რომ ერთი ბრწყინვალე ვარსკვლავი აღმოსავლეთით მიდის, მეორე კი დასავლეთით, და თქვა მან. „განავლინეთ კაცი მაღალ მთებზე აღმოსავლეთით კახეთის მთამდე და დასავლეთით ამ ქალაქის სანახებამდე, როცა გამობრწყინდებიან ის მთიები, ნახონ, თუ სად დადგებიან და იქ აღემართოს ჯვრები იესო ქრისტესი".

მაშინ ჰყო მეფემ ეგრე. ეს დღე იყო პარასკევი და შაბათი თენდებოდა. მოხდა იგივე სასწაული, როგორც პირველად. მეორე დღეს მოვიდნენ დასავლეთში გაგზავნილები, რომელნიც იდგნენ ქვაბთა თავზე და მოუთხრეს მეფეს, რომ „გამოვიდა ის ვარსკვლავი, ამაღლდა და მიიწია თხოთის მთაზე, კასპის გადასასვლელთან, დადგა ერთ ადგილს და სრულებით გაუჩინარდა".

ასევე მოვიდნენ კახეთის მთიდან და თქვეს: „ვიხილეთ ვარსკვლავი ჩვენსკენ მომავალი და დაადგრა დაბა ბოდს კუხეთისას". მაშინ უბრძანა ნეტარმა ნინომ: „წაიღეთ ორი ჯვარი, და აღმართეთ ერთი თხოთს, სადაც გაგიმხილა ღმერთმა თავისი ძალა და ერთი მიეც სალომეს ქრისტეს მხევალს, აღმართოს უჯარმის ქალაქში, რამეთუ ბოდში არის ერის სიმრავლე. ბოდის დაბა იქნება ღვთის სათნო ადგილი". ჰყვეს ეგრე, როგორც ბრძანა დედოფალმა. ხოლო ზეციური სასწაულის ჩვენებით ეს პატიოსანი ჯვარი მცხეთაში დატოვეს.

მივიდნენ ბორცვის ქვეშ, წყაროსთან ათიეს ღამე, ილოცეს ღმერთის მიმართ, ნეტარი ნინო ცრემლით აზავებდა წყაროს, და იყო კურნებანი და დიდი სასწაულები. მეორე დღეს ავიდნენ კლდეზე, მოვიდა ნეტარი ნინო ბორცვზე, დავარდა ქვებზე, ტიროდა, და მასთან ერთად მეფეები, მთავრები და ყოველი სიმრავლე ერისა, ისე რომ მთები ექოს აძლევდნენ. და დაადო ხელი ქვას და უთხრა ეპისკოპოსს: „მოდი, რამეთუ შენდა ჯერ არს, და დასწერე ჯვარი ამ ქვას“. და მან ჰყო ეგრე და იქ აღიმართა ის ჯვარი დიდებით მეფეთაგან, დაიჩოქა ურიცხვმა ხალხმა და თაყვანისცეს ჯვარს და აღიარეს ჯვარცმული ჭეშმარიტად ძედ ღვთისა ცხოველისა, და ირწმუნეს სამებით დიდებული ღმერთი.

ხოლო დიდი მთავრები არ განშორდნენ წმიდა ეკლესიას, ნათლის სვეტს და ცოცხალ ჯვარს, რამეთუ ჰხედავდნენ უზომო სასწაულებს და მიუთხრობელ კურნებებს. აღდგომის დღესასწაულის კვირა დღეს მირიან მეფემ და მთელმა მცხეთამ შესწირეს შესაწირავი და ეს დღე განაწესა ჯვრის მსახურებად, აღდგომის დღესასწაული, ყოველმა ქართლმა დღევანდლამდე. რამდენიმე დღის შემდეგ სული წმიდის მოფენიდან იხილეს სასწაული დიდად საშინელი, ოთხშაბათ დღეს ნათლის სვეტი ჯვრის სახით დაადგა ამ ჯვარს და თორმეტი ვარსკვლავი მის გარშემო გვირგვინის სახით. ხოლო ის ბორცვი აკმევდა სურნელებას. ხედავდნენ ამ სასწაულს ყოველნი და მრავალი უღმერთოთაგანი მოიქცა და მოინათლა იმ დღეს. ხოლო ქრისტიანები კიდევ უფრო მორწმუნენი გახდნენ და ადიდებდნენ ღმერთს. მერე კვლავ იხილეს ჯვრის სხვა სასწაული – მზეზე შვიდჯერ უბრწყინვალესი ნათელი დაადგა ჯვარს თავზე და ღვთის ანგელოზები აღვიდოდნენ და გარდამოვიდოდნენ მასზე, ვითარცა ღუმელში ნაპერწკლები.

ხოლო ის ბორცვი ძლიერ იძროდა. ამ სასწაულის დაცხრომისას ძვრაც წყდებოდა. იხილეს ეს სასწაული, გაუკვირდა ყველას, უფრო და უმეტესად ადიდებდნენ ღმერთს. ამ სასწაულს ხალხი ხედავდა შიშით და ძრწოლით. მოდიოდნენ გულმოდგინედ თაყვანისსაცემად.

ამ დროს მეფის ძეს, რევს, ჰყავდა სასიკვდილოდ სნეული პატარა შვილი. მარტო ის ჰყავდა. მოიყვანა და დადო ჯვრის წინაშე და ცრემლით თქვა: „თუ მიბოძებ ამ ყრმას ცოცხალს, ავაშენებ ლუსკუმას (ბუდეს) შენს საყოფელად“. მაშინვე განიკურნა ის ყრმა, გაცოცხლდა და განკურნებული წაიყვანა. მერე მოვიდა თავისი აღნათქვამის აღსასრულებლად და მისცა მადლი დიდი სიხარულით და გულმოდგინედ ააშენა მცხეთის ჯვრის ლუსკუმა რევმა, მეფის ძემ. ყოველწლიურად მოდიოდა და აღასრულებდა აღნათქვამ მსხვერპლს. მის შემდეგ უფრო მოდიოდნენ უძლურნი და სნეულნი და იკურნებოდნენ, სიხარულით ადიდებდნენ წმინდა ჯვარს. იყო ერთი, ორივე თვალითბრმა, ჭაბუკი. იჯდა ის ქრისტეს ჯვრის წინ და მეშვიდე დღის შემდეგ აეხილა თვალები, ხედავდა და ადიდებდა ღმერთს. მერე იყო ვინმე დედაკაცი, უკეთური სულისგან მარად გვემული რვა წლის მანძილზე, ისე, რომ ძალი და გონება წართმეული ჰქონდა, თავის სამოსელს ხევდა. როცა მოიყვანეს და პატიოსან ჯვარს ამთხვიეს, მეთორმეტე დღის შემდეგ განიკურნა და თავისი ფეხით წავიდა, ადიდებდა ღმერთს და თაყვანსსცემდა პატიოსან ჯვარს. იყო ასევე ერთი მცირე ყრმა, უცებ დაეცა და მოკვდა. აიღო დედამისმა და დადო ჯვრის წინ მკვდარი, დილიდან საღამომდე დედამისი ტირილით ლოცულობდა ჯვრის წინ, სხვები ეუბნებოდნენ: „წაიღე, დედაკაცო, და დამარხე, რამეთუ მკვდარია, ნუღარ აჩერებ“. ხოლო მან არ წარიკვეთა სასოება, არამედ უფრო და უმეტესად საწყალობლად ტიროდა და ლოცულობდა. ხოლო საღამო ჟამს ყრმა მოსულიერდა, თვალი აახილა და მეშვიდე დღის შემდეგ განიკურნა. გაცოცხლებული წაიყვანა ყრმა დედამისმა და ადიდებდა ღმერთს. ხოლო როცა იხილეს სასწაულები და კურნებანი ყოვლად წმინდისა ჯვრისა, მრავალი უშვილო მიდიოდა, ითხოვდნენ შვილიერებას და მრავალშვილიანები ხდებოდნენ, შესაწირავებს და მადლს აძლევდნენ. არა მარტო მოსულები იღებდნენ კურნებას, არამედ ისინიც, რომელნიც შორიდან ლოცულობდნენ, მაშინვე მისი შეწევნით იღებდნენ მადლს და მადლობის შესაწირავად მოდიოდნენ.

მრავალნი უღმერთონიც კი, ჭირში ჩაცვენილნი, როგორც კი შესთხოვდნენ წმიდა ჯვარს, მაშინვე შორდებოდათ ჭირი და მოდიოდნენ ჯვრის სამთხვევად, სასწრაფოდ ინათლებოდნენ და ადიდებდნენ პატიოსან ჯვარს. პატიოსანი ჯვრის ძალით იკურნებოდნენ პირადი სატანჯველისგან, მოდიოდნენ სავედრებლად და იკურნებიან დღევანდელ დღემდე და ადიდებენ მამას, ძეს და სული წმინდას.

წიგნი, რომელიც მისწერა რომის პატრიარქმა და ბრანჯთა მეფემ ნინოს, მეფე მირიანს და ქართლის ერს

ამ დღეებში მოუვიდა წიგნი რომის პატრიარქისაგან წმიდა ნინოს, მეფეს და ქართლის მთელს ერს. მოავლინა ბრანჯი დიაკონი ქების შესასხმელად და კურთხევის მისაცემად, ნეტარი ნინოსგან ლოცვის წასაღებად და მისი მადლის საზიარებლად.

მას ჰქონდა ასევე ბრანჯთა მეფის წიგნი წმიდა ნინოსთან, რამეთუ მამამისისგან მიეღო ნათელი ბრანჯთა ქვეყანას. გაგებული ჰქონდათ იერუსალიმსა და კონსტანტინეპოლში ეს ყოველივე, რომ სიმართლის მზე მოეფინა ქართლის ქვეყანას. ამისთვის სანატრელი წიგნი მოეწერა, რათა ეუწყებინა მისთვის სასწაულები სვეტისა და მაყვლოვანის კურნების ძალა. ყოველივე მოისმინა და იხილა ბრანჯმა დიაკონმა, რაც მომხდარიყო მცხეთაში და გაკვირვებული ადიდებდა ღმერთს. წაიღო წიგნები და წავიდა.

მაშინ უთხრა მეფემ წმიდა ნინოს და ეპისკოპოსს: „მნებავს, რათა იძულებით, მახვილით მოვაქციოთ მთიულები და ჩემი სიძე ფეროზი, დავუმონოთ ისინი ღვთის ძეს და ვათაყვანოთ პატიოსან ჯვარს“. მაშინ უთხრეს: „არა ბრძანებულ არს უფლისგან მახვილის აღება, არამედ სახარებით და პატიოსანი ჯვრით ვუჩვენოთ ჭეშმარიტი გზა, მიმყვანი საუკუნო ცხოვრებასთან. ღვთის მადლმა განანათლოს სიბნელე მათ გულებში“. და წავიდნენ წმიდა ნინო, ეპისკოპოსი იოვანე და მათ გაატანა მეფემ ერთი ერისთავი. მოვიდნენ და დადგნენ წობენს, მოუხმეს მთიულებს, პირუტყვის სახის კაცებს, ჭართალელებს, ფხოველებს, წილკნელებს და გუდამაყრელებს. უქადაგეს მათ ქრისტიანთა ჭეშმარიტი რჯული, საუკუნო ცხოვრებასთან მიმყვანი, ხოლო მათ არ ინებეს ნათლისღება. მაშინ მეფის ერისთავმა მცირედ წარმართა მახვილი მათზე და ძლევით შემუსრა მათი კერპები.

იქიდან გადავიდნენ და ჟალეთს დადგნენ, უქადაგეს ერწო-თიანეთელებს. მათ შეიწყნარეს და ნათელ-იღეს, ხოლო ფხოველებმა დატოვეს თავიანთი ქვეყანა და გადავიდნენ თუშეთში. სხვა მთიულთა უმრავლესობა არ მოიქცა, დაუმძიმა მათ ხარკი მეფემ, როცა არ ინებეს ნათლისღება, ხოლო უკანასკნელ ჟამს, მათი ნაწილი მოაქცია აბიბოს ნეკრესელმა ეპისკოპოსმა და ზოგიერთნი მათგანნი დარჩნენ წარმათობაშივე დღემდე.

ხოლო წმიდა ნინო წავიდა რანისკენ ფეროზის მოსაქცევად. მივიდა კუხეთში, დაბა ბოდში და დაჰყო იქ რამდენიმე დღე. მოდიოდნენ მასთან კახეთიდან. აღიარა მისი სწავლა ერის სიმრავლემ. დასნეულდა იქ. გაიგო ეს რევ, მეფის ძემ და მისმა ცოლმა სალომემ, რომელნიც ცხოვრობდნენ უჯარმაში, მივიდნენ ნინოსთან. აცნობეს მეფესა და დედოფალს, მათ გაგზავნეს ეპისკოპოსი იოვანე ნინოს წამოსაყვანად. მაგრამ წმიდა ნინო არ დაემორჩილა, მაშინ წავიდა თვით მეფე და ხალხის სიმრავლე.

ხედავდა ხალხი მის სახეს როგორც ზეცის ანგელოზის პირს. მის სამოსელს ბოლო ნაწილებს აცლიდნენ, იღებდნენ და სარწმუნოებით ემთხვეოდნენ. გარშემო მსხდომ ყველა დედოფალს თვალთაგან ცრემლი დიოდა მოღვაწე მოძღვრისა და სნეულთა ხელოვანი მკურნალის განშორების გამო.

სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სივნიელი, მათთან ერისთავები და მთავრები, ჰკითხავდნენ: „თუ ვინა ხარ ან საიდან მოხვედი ამ ქვეყანაში ჩვენს მაცხოვრად? სად აღიზარდე, დედოფალო, გვაუწყე ჩვენ შენი საქმე. რატომ ამბობ ტყვე ვარო, ტყვეთა მხსნელო და სანატრელო, რამეთუ შენგან გვისწავლია, რომ იყვნენ წინასწარმეტყველები ღვთის ძის უწინარეს, შემდგომ თორმეტი მოციქული, სხვა სამოცდაათნი. ჩვენში არავინ მოავლინა ღმერთმა შენს გარდა და როგორ იტყვი, ტყვე ვარო და როგორა ხარ უცხო“. მაშინ დაიწყო სიტყვის თქმა წმინდა ნინომ და თქვა: „სარწმუნოების ასულნო, ჩემო მახლობელო დედოფლებო, გხედავთ თქვენ როგორც იმ პირველ ქრისტიან ქალებს, გნებავთ ჩემი გზის ცნობა, გლახაკი მხევლისა. ახლა გაუწყებთ, რომ მისულია ჩემი სული ჩემს ხორცთან და მეძინება მე დედაჩემის ძილით საუკუნოდ, მაგრამ აიღეთ თქვენი საწერლები და დაწერეთ ჩემი გლახაკი და უდები ცხოვრება, რათა იცოდნენ თქვენმა შვილებმა თქვენი სარწმუნოება, ჩემი შეწყნარება, ღვთის სასწაულები, რომელნიც უხილავთ“.

მაშინ სწრაფად აიღეს საწერლები სალომე უჯარმელმა და პეროჟავრი სივნიელმა. დაიწყო სიტყვის თქმა წმინდა ნინომ და ისინი წერდნენ. მოუთხრო ყოველივე, რაც ჩვენ ზემოთ დავწერეთ, ცხოვრება ამ წმინდისა და ნეტარისა და შეჰვედრა მეფეს იაკობ მღვდელი, რათა იოვანეს შემდეგ იყოს ის ეპისკოპოსი. მაშინ იოვანე ეპისკოპოსმა სწირა და აზიარა წმიდა ნინო ქრისტეს სისხლით და ხორცით. შეავედრა თავისი სული ცის მეუფეს, მისი ქართლში მოსვლიდან მეთოთხმეტე წელს, ქრისტეს ამაღლებიდან სამას ოცდათვრამეტ წელს დასაბამიდან წელთა ხუთიათას რვაას ოცდათვრამეტს.

შეიძრა ორივე ქალაქი, მცხეთა და უჯარმა, და ყოველი ქართლი ნინოს მიცვალებისას. იქ მივიდნენ და დამარხეს ძლევით შემოსილი მისი გვამი იმავე ადგილას – კუხეთს, დაბა ბოდში, რამეთუ იქ ითხოვა თვით მეფისგან დაფლვა. სიმდაბლისათვის ქმნა ეს, რადგანაც ეს ადგილი სახელგანთქმული არ იყო. მწუხარე იყო მეფე და ყველა წარჩინებული იქ მისი დაფლვის გამო, მაგრამ მცნებისა და ანდერძის ასრულებისთვის დაფლეს იქ. როცა აღესრულა ეს ყოველივე, ღვთით განბრძნობილმა მირიან მეფემ განამტკიცა წმინდა სამების და ყოველივეს დამბადებელი ღვთის სარწმუნოებაზე ყოველი ქართლი და ჰერეთი. მაშინ კონსტანტინე მეფემ გამოგზავნა მძევალი – მირიანის ძე ბაქარი დიდი განძით და მოსწერა ასე: „მე, კონსტანტინე მეფე, თვითმპყრობელი, ცათა მეუფის ახალი მონა, პირველად ეშმაკისაგან დატყვევებული და მერე გამოხსნილი დამბადებლის მიერ, გწერ შენ, ღვთივ განბრძნობილს და ჩემსავით ახალნერგ მორწმუნე მეფე მირიანს. იყოს შენთან მშვიდობა და სიხარული, ვინაიდან იცან სამება ერთარსება, ღმერთი დაუსაბამო ყოვლისა დამბადებელი, აღარ მინდა მე შენგან მძევალი, არამედ საკმარისია ჩვენს შორის შუამდგომლად ქრისტე, ძე ღმრთისა, ჟამთა უპირველეს შობილი, რომელიც განკაცდა ჩვენი ხსნისათვის, და მისი პატიოსანი ჯვარი, რომელიც მოცემული გვაქვს საწინამძღვროდ მის გულით მოსავებს. დამბადებელი ღვთის შუამდგომლობით ვიყოთ ჩვენ ძმებივით, სიყვარულით. შენი შვილი შენთვისვე მომინიჭებია, იხილე და გაიხარე და ღმერთისგან მოვლინებული მშვიდობის ანგელოზი იყოს შენთან მარადის. დამბადებელმა ღმერთმა განდევნოს შენი საზღვრებიდან ეშმაკი“.

მოვიდნენ მირიან მეფის ძე ბაქარი და მეფე კონსტანტინეს მოციქული მცხეთაში. აღივსნენ სიხარულით მირიან მეფე და დედოფალი ნანა და ადიდებდნენ ღმერთს.

მაშინ მირიან მეფემ განასრულა საეპისკოპოსო ეკლესიაც, აღასრულა მისი წლისთავის დღესასწაული მრავალი დიდებით. მირიან მეფის მოქცევიდან ოცდამეხუთე წელს მოკვდა მისი ძე, რევი, სიძე თრდატ სომეხთა მეფისა, რომელსაც მამის სიცოცხლეშივე მიეცა მეფობა.

დაფლეს თავის მიერ აშენებულ აკლდამაში. იმავე წელს დასნეულდა მირიან მეფე და აღესრულა. მოიყვანა თავისი ძე ბაქარი და ცოლი ნანა და უთხრა ნანას: ...აჰა, მე წავალ, საიდანაც მოვედი, ვმადლობ მრავალმოწყალე ღმერთს, ცისა და ქვეყნის დამბადებელს, რომელმაც ეშმაკისგან დატყვევებული მიხსნა ჯოჯოხეთის პირისგან და ღირსმყო მარჯვენით მისსა.

„შენ, ნანა, თუ შეძლებ, ჩემი სიკვდილის შემდეგ გაყავი ჩვენი სამეფო განძი ორად და წარიღე ნინოს, ჩვენი განმანათლებლის სამარხს, დროთა ცვალებადობით რომ არ შეიცვალოს ის ადგილი უკუნისამდე, რადგან თუმცა მეფეთა საჯდომია, მაგრამ მწირია“.

ასევე შეევედრა ეპისკოპოსებს, რათა ადიდონ დიდება იმ ადგილისა, რამეთუ ღირს არს პატივისცემისა. მოაყვანინა წმინდა ნინოს ჯვარი, რომელიც თავდაპირველად ჰქონდა, ჩამოჰკიდა სამეფო გვირგვინი ჯვარზე, მოიყვანა ძე მისი ბაქარი, მის თავზე გამოსახა ჯვრის სახე, აიღო გვირგვინი ჯვრიდან და დაადგა ძეს თავზე. აღესრულა მირიან მეფე და დაეფლა ზემო ეკლესიაში საშუალო სვეტის სამხრეთით, ჩრდილოეთის მხრისაკენ. ამ სვეტშია ნაწილი ღვთივ აღმართული სვეტისა. მეორე წელს მოკვდა ნანა დედოფალი და დაეფლა იმავე სვეტის დასავლეთით, სადაც მირიან მეფე იყო დამარხული.

№ 32

I-IV სს.

წმიდა ანდრიასა და წმიდა ნინოს ღვაწლი რუსულ-ოსურ-ქართული ურთიერთობების ძმობლიურობის, გელასი ფსარიელის, ბრიკერფი ფსარიელისა და მოსე ხოროანელის ცხოვრების შესწავლაში

პირობითი აღნიშვნები

- წმიდა ნინოს მიერ დაარსებული ქ. ოფის საკათედრო ტაძარი
- ტრუფეთი და მანგლისი, სადაც დიმწყო პირველი ეკლესიების მშენებლობა წმიდა ნინოს ლოცვა
- ბოდეს, წმიდა ნინოს გარდაცვალების ადგილი
- მასქეთების საზღვარი, სადამდეც იქადაგა წმიდა ნინომ
- წმიდა ანდრიას მიერ აღმართული ჯვრები მცხეთის გორებზე და მყინვარწვერზე
- წმიდა ნინოს გზა სხვადასხვა წარმოშობის მეჯვრეები
- სხვადასხვა წლებში წმიდა ანდრიას მიერ ზაფარიანთა მარშრუტების მიმართულება
- ქართლის კათალიკოსის საშოქმო პირველ ათასწლეულში (VIII ს-მდე)

მასშტაბი 1:3.300.000

© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2011


საკათალიკოსოს სამწყსო რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“, პროკოფი კესარიელისა და მოსე ხორენელის ცნობების მიხედვით
პირობითი აღნიშვნები
წმიდა ნინოს მიერ დაარსებული ქ. ოფის საკათედრო ტაძარი
ერუშეთი და მანგლისი, სადაც დაიწყო პირველი ეკლესიების მშენებლობა წმიდა ნინოს დროს
ბოდბე, წმიდა ნინოს განსასვენებელი
მასქუთების საზღვარი, სადამდეც იქადაგა წმიდა ნინომ
წმიდა ანდრიას მიერ აღმართული ჯვრები მცხეთის გორებზე და მყინვარწვერზე
წმიდა ნინოს გზა სხვადასხვა წყაროების შეკვერებით
სხვადასხვა წლებში წმიდა ანდრიას მოგზაურობათა მარშრუტების მიმართულება
ქართლის კათალიკოსის სამწყსო პირველ ათასწლეულში (VIII ს-მდე)
მასშტაბი 1:3.300.000
ბატა
ძველი ოსეთი
(ანაკოფია)
(ცხუმი)
პონტოს ზღვა
(შავი ზღვა)
ეგრისწყალი
ენგური
ცხენისწყალი
რიონი
ალაზანი
არაგვი
ბერეთელი
ალაზანი
ბერეთელი
ბერეთი
ალბანეთი
ალბანეთის საერისთავო
ალბანეთის ტბა
ბერეთელი
ალაზანი
ბერეთელი
ბერეთელი
ბერეთელ
ბერეთელ
ბერეთელ

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია

საქართველოს საპატრიარქოს ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას დიდი საეკლესიო წარსული აქვს სხვა ეპარქიათა მსგავსად.

წყაროთა ცნობებით, წმიდა მოციქულმა ანდრიამ სხვა წმიდა მოციქულებთან ერთად იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“ (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 545), ხოლო წმიდა ნინომ მოციქულთასწორ წმიდა მეფე მირიანთან ერთად მოაქცია „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“ (იქვე, გვ. 546). ქრისტიანობის განვრცობის გამო გაიზარდა ეპარქიათა რიცხვი და უკვე VI ს-სათვის 40-ს მიუახლოვდა, VIII ს-სათვის კი, რაც ქართულ სახელმწიფოებრივ სამყაროში ლიდერობა აფხაზთა სამეფომ მოიპოვა ეპარქიათა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. ამის გამო,საქართველოს (მცხეთის) კათალიკოს-მამამთავარმა ინება საქართველოს ეკლესიის ადმინისტრაციული სტრუქტურა მოეწყო ბიზანტიური საპატრიარქოების მსგავსად. კერძოდ, შემოიღო მმართველობის სამიტროპოლიტო სისტემა, კერძოდ მან საქართველოს ეკლესიის წიაღში მცხეთის საკათალიკოსოს გვერდით დააარსა აფხაზეთის საკათალიკოსო, ანუ შექმნა ახალი სამიტროპოლიტო ოლქი, რომლის მეთაურსაც კათალიკოსის ტიტული უნდა ჰქონოდა. ამ საეკლესიო გადაწყვეტილებას ესაჭიროებოდა დასტური სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან და მართლაც, IX ს-ის საქართველოს მეფე ბაგრატ ბაგრატიონმა გასცა ამის დასტური. ამიტომაც წერს მემატიანე ქართლის ცხოვრებისა შემდეგს: „ამან ბაგრატ განაწესა კათალიკოზი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ 830 წელს“ (ქართლის ცხოვრება, 1955, I, გვ. 255).

ეპარქიათა გაზრდის კვალდაკვალ, შემდგომ საუკუნეებშიც საქართველოს ეკლესიაში კვლავ დაარსებული იქნა ახალი სამიტროპოლიტო ერთეულები (მცხეთის მამამთავრის მეთაურობით), ესენი იყვენ: „ხუნძეთის საკათალიკოსო“ (მოღწეულია ხუნძელი კათალიკოსის ოქროპირის მოხსენიება სინას მთის მონასტრის აღაპებში, მას ემორჩილებოდა საქართველოს საპატრიარქოში შემავალი ჩრდილო კავკასიაში მდებარე საეპისკოპოსო), და ასევე შემდგომში ჩამოყალიბდა ახალი სამიტროპოლიტო ერთეული „სომხეთის სამიტროპოლიტო“, რომელშიც შედიოდა საქართველოს საპატრიარქოში შემავალი ეპარქიები დვინი-არზრუმისა და ვანის ტბის მიმართულებით.

მაშასადამე, ისტორიულად საქართველოს ეკლესიაში 4 ძირითადი სამიტროპოლიტო ერთეული (საკათალიკოსო, სამიტროპოლიტო) არსებობდა – ესენი იყვნენ: 1. ქართლის საკათალიკოსო, 2. აფხაზეთის საკათალიკოსო, 3. ხუნძეთის საკათალიკოსო და 4. სომხეთის სამიტროპოლიტო (საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. II, გვ. 214). აქედან ჩანს, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო იყო საქართველოს ეკლესიის წიაღში აღმოცენებული ერთ-ერთი სამიტროპოლიტო ერთეული, რომლის კათალიკოსსაც საყდარი (კათედრა) ბიჭვინთაში ჰქონდა, ხოლო მისი იურისდიქცია ქალაქ კაფამდე (ყირიმის ნახევარკუნძულამდე) აღწევდა. ასეთი არის ქართულ მატიანეებსა და ძეგლებში ასახული მტკიცებულება აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორიის შესახებ.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამჟამად, აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების შესახებ (XX ს-დან), ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბდა ძირითადად სხვა თვალსაზრისი, თითქოსდა აფხაზეთის საკათალიკოსო ჩამოყალიბდა არა ქართული ეკლესიის წიაღში, არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წიაღში.

კერძოდ, XX ს-ის ისტორიოგრაფიის თანახმად, გაქრისტიანების შემდგომ, IV ს-დან, დასავლეთ საქართველო შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში, თითქოსდა მას აქ გააჩნდა ფაზისის (ფოთის) სამიტროპოლიტოში შემავალი 4 საეპისკოპოსო ზიგანევისა (გუდაყვა), როდოპოლისა (ვარციხე), პეტრასი (ციხისძირი) და საისინისა (ცაიში) და ასევე აფხაზეთის სამიტროპოლიტოს ავტოკეფალური ეკლესია და

თითქოსდა, მათი გაერთიანებით შეიქმნა აფხაზეთის საპატრიარქოს ბერძნულენოვანი ეკლესია.

მაგრამ ამ საბჭოური ეპოქის თვალსაზრისს ეწინააღმდეგება რუის-ურბნისის კრების წმიდა მამათა ძალზე მნიშვნელოვანი მტკიცება, რომ როგორც წმიდა ანდრია პირველწოდებულმა, ისე წმიდა ნინომ დააარსეს ერთიანი საქართველოს წმიდა ეკლესია (ანდრიამ იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა", წმიდა ნინომ მოაქცია „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა") ისმის კითხვა – მართლაც მოაქცია წმიდა ნინომ „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა"? დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაც წმიდა ნინომ მოაქცია? დიახ, რადგანაც „ძეგლისწერის" მტკიცებას მთლიანად ადასტურებს კიდევ უფრო ადრინდელი ბერძნულ-რომაული წყაროები. მაგალითად, გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის, IV-V საუკუნეთა ავტორების ცნობები, რომელნიც წერენ „ტყვე ქალმა (ე.ი. წმიდა ნინომ) იქადაგა ლაზთა და იბერთა შორის" – „იმავე ხანაში ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არა სწამდათ. ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ" (გეორგიკა, I, 1961, გვ. 186). ამასვე წერს გელასი კვიზიკელი (მიმომხილველი, I, 1926, გვ. 55).

ასე, რომ რუის-ურბნისის კრების მამებისა და ძველი ქართული ისტორიოგრაფიის მტკიცებას, რომ მთელი ქართველი ერი მოაქცია წმიდა ნინომ, რომ შესაბამისად დაარსებისთანავე საქართველოს ეკლესია ერთიანი იყო და დასავლეთ საქართველო მის შემადგენლობაში შედიოდა ეთანხმება ბერძნულ-რომაული IV-V სს-თა აღნიშნული წყაროები.

აღსანიშნავია, რომ ამავეს ადასტურებს წმიდა ნინოს შესახებ V ს-ის სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელის ცნობა: „სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა... გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა, მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ" (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

მაშასადამე, V ს-ის წყაროს ცნობით (რომელიც ეკუთვნის აგათანგელოსსა და მოსე ხორენელს), წმიდა ნინომ მხოლოდ ფარავნის ტბიდან ბოდბემდე კი არ იქადაგა, არამედ კლარჯეთიდან – მასქუთებამდე, ანუ შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, რადგანაც კლარჯეთი იყო დიდი პროვინცია, ზღვისპირეთი, ამიტომაც წერს ქართული წყარო: „სპერი, კლარჯეთი, ბოლო კლარჯეთისა – ზღვისპირი", საქართველოს ზღვისპირეთს კი, ბერძნული წყაროები ლაზიას (ლაზიკას) უწოდებდნენ, ხოლო მასქუთები, სადამდეც წმიდა ნინომ იქადაგა კასპიის ზღვისპირზე („კასპიისკარამდე") ცხოვრობდნენ.

მაშასადამე, V ს-ის ავტორებს არ ეეჭვებოდათ წმიდა ნინოს ლაზიკაში, კლარჯეთში და შავიზღვისპირზე ქადაგება.

გელასი კესარიელის, გელასი კვიზიკელის, აგათანგელოზისა და მოსე ხორენელის ამ ცნობებს (თუ არას ვიტყვით ქართულ „ძეგლისწერაზე") მთლიანად ეთანადება უფრო გვიანი, მაგრამ ეკლესიისათვის ძალზე კომპეტენტური ლაზიკის მიტროპოლიტ გერმანეს ცნობა, რომ წმიდა ნინომ არა მხოლოდ იქადაგა ლაზეთში, არამედ მან ლაზეთში საეპისკოპოსო კათედრაც დააარსა (ისევე, როგორც მცხეთაში).

პ. ინგოროყვა წერს – „მოხსენებაში, რომელიც 1651 წელს წარუდგინა რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძისათვის ოფის (ჰოფის) ლაზეთის მხარის მიტროპოლიტ გერმანეს, აღნიშნულია, რომ ტაძარი ოფისა, რომელიც ლაზეთის სამიტროპოლიტო კათედრას წარმოადგენდა ითვლებოდა დაარსებულად წმიდა ნინოს მიერ და ამიტომაც, ამ მოხსენებაში მიტროპოლიტი გერმანე მრავალგზის აღნიშნავდა – ივერიის მიწა მან განანათლა" (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 227). მიტროპოლიტ გერმანეს ცნობით, ლაზიკის საეპისკოპოსო კათედრა დააარსა მან ვინც საზოგადოდ ივერიის მიწა განანათლა, ანუ ვინც ქართლში იქადაგა ე.ი. წმიდა ნინომ, რადგანაც ლაზიკა და იბერია მეფე მირიანის დროს იყო ერთი ქვეყანა და მიუთითებდა კიდეც მიტროპოლიტი გერმანე თავის ცნობაში „ლაზია – საქართველოს ძველი ქვეყანაა", „ძველი ქართული მიწაა", „ივერიის მიწაა" (იქვე, გვ. 263).

საერთოდ კი, მიტროპოლიტი გერმანე აფხაზეთის კათალიკოსმა მაქსიმემ აკურთხა და მიანიჭა მას წოდება „მიტროპოლიტი ლაზეთისა“ და ასევე „მიტროპოლიტი ალანიისა“ (ლაზეთისა და ალანიის მიტროპოლიტი).

„მაქსიმემ ჩამოიყვანა ლაზიიდან, ოფის ღვთისმშობლის მონასტრიდან, მონაზონი გერმანე და აკურთხა იგი და მიანიჭა ტიტული „ოფისა და ალანიის მიტროპოლიტი“ (იქვე, გვ. 263). აქედან ჩანს, რომ ისტორიული ალანიისა და ლაზიის სამიტროპოლიტოთა მემკვიდრე, ამჟამად არის არა რუსული ეკლესია (ასე მიაჩნია „პრავოსლავნაია ენციკლოპედიას სტატიაში – „ალანიის მიტროპოლია“), არამედ საქართველოს ეკლესია, როგორც ეს მიტროპოლიტ გერმანეს ცნობიდან ჩანს.

გელასი კესარიელის, გელასი კვიზიკელის, მოსე ხორენელის, აგათანგელოზის ცნობებს დასავლეთ საქართველოსთან დაკავშირებით აძლიერებენ იოანე სომეხთა კათალიკოსის (დრასხანაკერტელისა) და უხტანესის ცნობები.

899 წლიდან სომხეთის კათალიკოსად დადგენილი იოანე კირიონ I-ის შესახებ წერდა, რომ ქართლის ეს კათალიკოსი იყო მამამთავარი „იბერიელთა, გუგარელთა და ეგრისელთა ადრინდელი წესის შესაბამისად“ (იოანე კათალიკოსის მატიანე, 1912, გვ. 65, წიგნიდან პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე, გვ. 243).

დასავლეთ საქართველოს, როგორც ცნობილია კირიონ I კათალიკოსის დროს ე.ი VI ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დასაწყისში ეგრისი ეწოდებოდა. ამ ეპოქაში ეგრისი ე.ი. დასავლეთ საქართველო, ამ წყაროს ცნობით, შედიოდა მცხეთის იურისდიქციაში, რადგანაც კირიონი – მისი მამამთავარი იყო და თანაც „ადრინდელი წესის შესაბამისად“. კირიონის წინა „ადრინდელი“ ხანა, ცხადია უნდა იყოს V ს. და VI ს-ის პირველი ნახევარი. მაშასადამე, V, VI და VII სს-ში იოანე კათალიკოსის ცნობის ანალიზი აჩვენებს, რომ დასავლეთ საქართველო არა კონსტანტინოპოლის არამედ მცხეთის იურისდიქციაში შედიოდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამ მხრივ, არის მეორე ცნობილი სომეხი ისტორიკოსის უხტანესის ცნობები, რომელიც აღწერდა კავკასიის ეკლესიის ისტორიას VIII-X სს. უხტანესი თანამედროვე იყო მის მიერ აღწერილი ამბებისა.

უხტანესი ეხება და აღწერს აფხაზეთის ეთნიკურ სახეს, ამიტომაც მის ცნობას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთ საქართველოს ისტორიის კვლევისას.

კერძოდ, უხტანესი წმიდა შუშანიკის ღვაწლის აღწერის დროს ამბობს – „მსგავსი გახდა ნუნე მოციქულისა, როცა მოეფინა მისი ქადაგება მთელს ქართველთა ქვეყანას“ (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, 1975, გვ. 201).

უხტანესი „ქართველთა ქვეყნის“ არეალში დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კი აფხაზეთს რომ გულისხმობდა, ამის შესახებ თვითონვე წერს. კერძოდ, მისი თვალსაზრისით შავი ზღვის სანაპიროზე იბერები ნაბუქოდონოსორმა დაასახლა, სადაც იბერიელები გამრავლდნენ, იქცნენ დიდ ხალხად და მათ ქვეყანას ამჟამად „აფხაზეთი“ ეწოდებაო – წერს უხტანესი. მაშასადამე, მისი აღწერით – აფხაზეთი – ივერიელთა ხალხით იყო დასახლებული ნაბუქოდონოსორის ეპოქიდან ვიდრე უხტანესამდე. კერძოდ, უხტანესი ასე აღწერს ამ ამბავს „ძველი ისტორიკოსების“ ცნობაზე დაყრდნობით:

– „ივერიელთა ტომების ნაწილი ნაბუქოდონოსორმა დაასახლა პონტოს ზღვის მარჯვენა სანაპიროზე – „ტომი აღორძინდა, გამრავლდა, ზღვის პირას აქეთ-იქით, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე, შეიქმნა ფრიად მრავალი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება. ურიცხვია სახელი თვითოეული გავარისა, ... ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ივერიას უწოდებდნენ, აქ კი ქართველნი ეწოდებათ. ტომითაც, ენითაც, დამწერლობითაც, მამამთავრობითაც და მეფობითაც განმტკიცდნენ, ხოლო გამოჰყო, გამოაცალკევა და განაშორა ჩვენგან კირიონ სკუტრელმა“ (უხტანესი, გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, 1975, გვ. 67).

მაშასადამე, უხტანესი, IX-X სს-თა ავტორი, აღწერს თუ რომელ ქვეყანას ეწოდება აფხაზეთი, რომელი ხალხითაა ის დასახლებული და თუ ვინ იყო მათი ყველაზე გამორჩეული კათალიკოსი.

კერძოდ, აფხაზეთი, მისი თქმით, ქართველებით იყო დასახლებული, და ისინი კირიონმა განაშორა სომხური ეკლესიისაგან. ამ პირველხარისხოვანი წყაროს მითითებითაც კირიონი იყო დასავლეთ საქართველოს მამამთავარი.

საინტერესოა, რატომ არ გამოიყენეს უხტანესის ეს ცნობა აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსებმა XX ს-ის სეპარატისტების მიერ აღძრული კონფლიქტების დროს.

საბოლოოდ, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ქართული, ბერძნულ-რომაული და სომხური წყაროები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესიის იურისდიქციის შესახებ.

სამწუხაროდ, არცერთ ამ წყაროს, ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი ყურადღებას არ აქცევს და ინტერესის სფერო მხოლოდ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხებით ე.წ. ნოტიციებით ამოიწურება, რომლებშიც დასახელებული ლაზეთის ეპარქიის საეპისკოპოსოებს რატომღაც დასავლეთ საქართველოში ათავსებენ. ნოტიციებში, ცხადია, არ არის არავითარი მითითება მათი ადგილმდებარეობის შესახებ. მაგ., სად მდებარეობდა როდოპოლისი? ტრაპეზუნტის რეგიონში თუ ვარციხესთან? ამ საკითხის შესახებ საუკუნოვანი კვლევა-ძიება გრძელდება. მაგ., ისეთი ცნობილი ისტორიკოსი როგორიც იყო ნ. ადონცი ამ საეპისკოპოსოსა და ასევე, ფაზისის სამიტროპოლიტოს სხვა საეპისკოპოსოებს ათავსებდა ტრაპეზუნტის რეგიონში. ის მიიჩნევდა, რომ ყოველთვის აქ მდებარეობდა ისტორიული ლაზიკა. და ის შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში.

ამასვე, რომ ფიქრობდნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში ეს ჩანს, XX ს-ის პირველი ნახევრის ათენში დაბეჭდილი ბერძნული რუკიდან, რომელიც თან ერთვის ამას.

ამ რუკაზე ნათლად ჩანს, რომ მაგალითად, როდოპოლისის ცნობილი ეპარქია მდებარეობდა ტრაპეზუნტის რეგიონში და მოიცავდა მთიან რეგიონს რიზეს სამხრეთიდან ვიდრე ზიგანას (გუმუშხანეს) უღელტეხილამდე.

სამწუხაროდ, საბჭოთა საისტორიო სკოლის გავლენით, ბოლო წლებში, თავის ბოლო ნაკვლევებში, ისეთ ცნობილ მკვლევარს, როგორიც არის დარუზესი, მიუჩნევია, რომ თითქოსდა, კონსტანტინოპოლი თავის იურისდიქციას დასავლეთ საქართველოში ახორციელებდა X ს-ის დასაწყისამდე (879-907 წლამდე), მაგრამ ეს ასე რომ არ იყო თუნდაც გიორგი მერჩულის ცნობიდანაც ჩანს, რომლის მიხედვითაც წმიდა გრიგოლ ხანძთელი აფხაზეთში დაახლ. 826 წელს ჩავიდა და მას იქ არავითარი ბერძნული კათედრა არ დახვედრია, პირიქით, ეს მიწა-წყალი იყო ქართული ეკლესიის ზრუნვის არეალი.

ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ:

აფხაზეთის საკათალიკოსო, ისტორიულად ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, რომლის მეორე ნაწილი იყო ქართლის საკათალიკოსო.

ზოგად ქართული ეკლესიის მთლიანობა მიიღწეოდა საერთო საეკლესიო სამართლით, საერთო სჯულისკანონით, საერთო ქართული საღვთისმსახურო ენით, საერთო ტრადიციებითა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთო მეთაურობით.

აფხაზეთისა და ქართლის პირველიერარქთა შორის ერთს უხუცესი, ხოლო მეორეს უმრწემესი ეწოდებოდა.

ერთიან ქართულ ეკლესიაში წოდება „კათალიკოსი“ შეესაბამებოდა ბერძნული საპატრიარქოების „მიტროპოლიტის“ წოდებას. როგორც ბერძნული საპატრიარქოს მიტროპოლიტს უშუალოდ ექვემდებარებოდნენ თავისი ეპისკოპოსები, ასევე ქართლის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსს დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ორივე ეს საკათალიკოსო ერთიანი ქართული ეკლესიის მხოლოდ საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულები (სამიტროპოლიტო ოლქები) იყვნენ. როგოც ითქვა, მათი ზემდგომი საეკლესიო ინსტიტუტი იყო საერთო სჯულისკანონის და საეკლესიო სამართლის შემმუშავებელი ადგილობრივი საეკლესიო კრებები. პატრიარქის მოვალეობა იყო უზრუნველეყო სრულიად

საქართველოს ეკლესიაში (ე.ი. ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში) საერთო სჯულისკანონის დაცვა.

აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსთა მონაწილეობით საეკლესიო კრებების მიერ გამოცემულ კანონებს მთელს საქართველოში (ცხადია აფხაზეთშიც) სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა (მათ შორის სამოქალაქო სამართლის სფეროშიც). მაგ., XVI ს-ის საეკლესიო სამართლის ძეგლში, რომელსაც „სამართალი კათალიკოსთა“ ეწოდება, ნათქვამია: „ქ. სახელითა და ღვთისათა: - მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოისა კათალიკოზმან-პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამათმთავარმან ევდემონ, დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ებისკოპოზნი აფხაზეთისანი .....დავიდევით სჯულისკანონი და ჩვენცა იმისგან გამოვიღევით.... და სჯულისკანონიცა ასრე ბრძანებს“.... (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I. 1963, გვ. 393-397).

აფხაზეთის საკათალიკოსოს ამ საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მეთაურობით გამოსცა 15 კანონი. ამ კრების კანონები სავალდებულოდ აღსასრულებელი იყო მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა ის აფხაზეთში იქნა მიღებული და ისინი აფხაზეთის საკათალიკოსოს ეპისკოპოსებმა დაამტკიცეს, ესენი იყვნენ ქუთათელი, გენათელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი, ცაგერელი, ხონელი, ნიკორწმინდელი, ცაიშელი (ჩიშელი) ეპისკოპოსები.

„უხუცეს“ პირველიერარქად ანუ „საქართველოს პატრიარქად“, როგორც წესი, ირჩევდნენ მცხეთელ კათალიკოსს, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში ბიჭვინთელ ანუ აფხაზთა კათალიკოსს გადაეცემოდა ეს ტიტული („საქართველოს პარტიარქი“).

მაგალითად, შაჰ-აბასის შემოსევების შემდეგ (XVII ს-სა და XVIII ს-ის I ნახევარში) აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოებმა დაკარგეს სუვერენიტეტი (მუსულმანური მმართველობის ქვეშ მოექცნენ), ხოლო დასავლეთ საქართველო ძველებურად მართლმადიდებელ მეფე-მთავართა მიერ იმართებოდა.

ამ ფაქტმა გაზარდა დასავლეთ საქართველოს მმართველთა (მეფეთა და კათალიკოსთა) ავტორიტეტი, რაც მათ ტიტულატურაშიც აისახა-აფხაზეთის კათალოიკოსთა ტიტულატურაში გამოჩნდა ტიტული „საქართველოს პატრიარქი“, მაგალითად, XVIII ს-ის აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლი თავის მიერ გამოცემული დოკუმენტებს ხელს აწერს ასე – „გრიგოლ მწყემსი ქრიტეს მიერ ყოვლისა საქართველოისა კათალიკოსი“ („ქართული სამართლის ძეგლები“, III, გვ. 675); ასევე ზოგიერთი სხვა აფხაზეთის კათალიკოსიც თავის თავს საქართველოს პატრიარქს უწოდებდა XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის დასაწყისში, ანუ ის არა მხოლოდ აფხაზეთის არამედ სრულიად საქართველოს უხუცესს პირველიერარქად თვლიდა თავის თავს. ეს ფაქტი ასახულია უცხოურ წყაროებშიც. უცხოური წყაროების თანახმად ამ ეპოქაში აფხაზეთის კათალიკოსი სრულიად საქართველოს (იბერიის) უხუცეს (უპირატეს) პირველიარარქად ითვლებოდა, მაგალითად, ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (XVII ს.) ამის შესახებ წერდა – „იბერიაში ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერია, რომელსაც ძველად კოლხეთს და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში. ზემო და ქვემო იბერიას შორის საზღვარი არის ქედი, რომელიც კავკასიის მთებში იწყება, ქართულად ქულფარგი ეწოდება, ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე, რადგანაც ის უკვე ისავროსის დროს, 720 წელს, კათალიკოსი იყო ქვემო იბერიისა ... იბერები ქვემო იბერიის კათალიკოსს მიიჩნევენ უფროს კათალიკოსად, რადგანაც მეფე, ე.ი. იმერეთის თავი, მათთან იწოდება მთელი იბერიის მეფეთა-მეფედ“ (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: „სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია. თეოლოგია, ათენი, 1966 წ.).

დას. საქართველოს ეკლესიას უცხოელები უწოდებდნენ „ქვემო იბერიის ეკლესიას“. იხ. სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია „თეოლოგია“, ათენი, 1966.

საქართველოს, ანუ იბერიის სამეფოს მთლიანობა დაარღვია თავდაპირველად VI ს-ში სპარსთა,

ხოლო VII ს-ში არაბთა შემოსევებმა, ამის შედეგად VIII ს-დან საქართველოს კუთხეებში ჩამოყალიბდა რეგიონალური ქართული სახელმწიფოები. ერთერთი ასეთი იყო აფხაზთა სამეფო.

VIII საუკუნის II ნახევარში შექმნილ „აფხაზთა სამეფოში" შევიდა და მისი ძირითადი ნაწილი გახდა იბერიის სამეფოს ყოფილი ტერიტორიები დასავლეთ საქართველოში – ეგრისი, გურია, თაკვერი, არგვეთი, სვანეთი, ამიტომაც აფხაზთა სამეფოს VIII-X საუკუნეებში „ქვემო იბერიას" უწოდებდნენ. არსებობდა ორი იბერია: ზემო იბერია – ანუ აღმოსავლეთი საქართველო და „ქვემო იბერია" – ანუ დასავლეთი საქართველო. საერთოდ, IV ს-დანვე დასავლეთ საქართველო (ქვემო იბერია) მცხეთის ანუ ერთიანი იბერიის ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა IV ს-დანვე. ამის შესახებ წერს რუის-ურბნისის კრება: (წმიდა ნინომ მოაქცია ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა მცხოვრებნი როგორც აღმოსავლეთში ისე დასავლეთში, ამავე კრების განსაზღვრებით ანდრია მოციქულმა სახარება იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა, სომხური საეკლესიო წყაროებიც აღნიშნავენ, რომ დასავლეთ საქართველო იმყოფებოდა მცხეთის საეკლესიო იურისდიქციაში. მაგალითად, ამ წყაროებში აღინიშნება რომ კირიონი ქართლის კათალიკოსი VI ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დასაწყისში მართავდა დასავლეთ საქართველოს ეპარქიებსაც. კირიონი, „ეგრისის, გუგარქისა და ქართლის არქიეპისკოპოსად ანუ კათალიკოსად იყო ნაკურთხი „წინანდელ წესთა თანახმად" (იოანე დრასხანაკერტელი, „სომხეთის ისტორია", გვ. 10).

მეორე იერუსალიმელი პატრიარქი ხრისანფი ამბობს: „...საქართველოში, რომელსაც ადრე იბერია ერქვა, იყო ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი, რომელთაც ჩვეულების თანახმად უწოდებენ კათალიკოსებს და არა არქიეპისკოპოსებს. ასე მათ მარტო ქართველები უწოდებენ. ამათგან ერთი, ე.ი. არქიეპისკოპოსი ქვემო იბერიისა, იწოდება იმერეთის, ოსეთის, გურიის და სრულიად ქვემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, ანუ მარტივად, სრულიად იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, როგორც უფროსი ზემო იბერიის კათალიკოსზე. ხოლო მეორე, ე.ი. ზემო იბერიისა, იწოდება ქართლის, კახეთის, ალვანეთის და სრულიად ზემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად... რომელი იმპერატორის დროს, ან რომელ კრებაზე გახდა ის საარქიეპისკოპოსო, ჩვენ ზუსტად ვერ დავადგინეთ, მაგრამ 26 ივნისის სვინაქსარში ვპოულობთ, რომ იოანე, გოთეთის ეპისკოპოსი, ხელდასხმული იქნა იბერიის კათალიკოსის მიერ, რადგანაც რომაულ ქვეყნებში ბატონობდა ხატმებრძოლთა ერესი, ასე რომ, როგორც ჩანს, ერეკლეს შემდეგ ისავრამდე ქვემო იბერია საარქიეპისკოპოსო გახდა..." (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: „სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია. თეოლოგია, ათენი, 1966 წ.).

ეს იერუსალიმელი პატრიარქები XVII საუკუნეში ცხოვრობდნენ.

XVIII საუკუნის II ნახევარში აღსდგა აღმოსავლეთ საქართველოში სახელწიფოებრივი სუვერენიტეტი და სამეფო ტახტი კვლავ მართლმადიდებელმა ხელმწიფეებმა დაიჭირეს, ამ ფაქტმა ძველი ავტორიტეტი დაუბრუნა მცხეთელ კათალიკოსს, და ის ძველებურად „უხუცეს", პირველპატრიარქად იქცა ქართულ საეკლესიო სამყაროში.

ეს ფაქტი საეკლესიო სამართლის სფეროშიც აისახა, მაგალითად, აფხაზ კათალიკოსთა ტახტზე მჯდომი წმ. დოსითეოს ქუთათელის დროს ანტონ კათალიკოსის დიკასტერიის (საეკლესიო სასამართლოს) სამართალის სფეროში შედიოდა აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველოც (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, 2003, ტ. III. გვ. 7-9). სამართლებრივად და ადმინისტრაციულად XVIII ს-ის ბოლოს დოსითეოს ქუთათელის დროს ისევე, როგორც ყოველთვის IV ს-დან საქართველოს ეკლესია ერთიანი იყო.

XIX ს-ში მთელი ეს სისტემა მოიშალა, რადგანაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ.

1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის მთავრობამ (1917 წლის 25ივლისს

მინისტრთა თავმჯდომარე ა. კერენსკისა და უწმიდესი სინოდის ობერპროკურორის ა. კარტაშევის ხელისმოწერით) დაუბრუნა საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია, რომელიც იქამდე 1917 წლის (12) 25 მარტის აქტის საფუძველზე აღდგენილად გამოაცხადეს საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებმა და მრევლმა (იქვე, ტ. III, გვ. 121).

ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ საეკლესიო კრებამ ეკლესიის პირველიერარქს აღუდგინა სრულიად საქართველოს კათალიკოს პარტიარქის ტიტული, მაშასადამე ის აერთიანებდა საუკუნის მანძილზე უკვე არ არსებული (გაუქმებული) ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებს და მას უკვე უშუალოდ ექვემდებარებოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები.

ამის შემდეგ ტიტული მიტროპოლიტი აღნიშნავდა მხოლოდ პატივს ეპისკოპოსისა და არა იერარქიულ თანამმდებობას. ამჟამად ეს ტიტული მხოლოდ საეპისკოპოსო ჯილდოს წარმოადგენს. შესაბამისად ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველის თანამდებობრივი ტიტული არის ეპისკოპოსი და მას ღვაწლისათვის შესაძლოა ჯილდოს სახით ებოძოს მთავარეპისკოპოსის ანდა მიტროპოლიტის წოდება.

1917 წლის საეკლესიო კრების მიერ საქართველოს პატრიარქს მიენიჭა უფლება მუდმივად ან დროებით მართავდეს რომელიმე ეპარქიასაც. 1917-18 წლების კრებებმა მას სამართავად გადასცა მცხეთა-თბილისის ეპარქია, ხოლო 2010 წლის კრებამ (წმ. სინოდმა) სამართავად გადასცა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია (ამასთანავე, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას უწოდა ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია). (სხვადასხვა წლებში საქართველოს პატრიარქები სხვა ეპარქიებსაც მართავდნენ, მაგ. მანგლისისა, ქუთაისისა და სხვა).

შესაბამისად ამჟამად საქართველოს პატრიარქი ასე იწოდება - „უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, დიდი მეუფე მამაი ჩვენი ილია“.

დამატება ზოგიერთი ისტორიული ცნობისა

ბაგრატ კურაპალატს - "ქართველთა მეფეს" უღვაწია აფხაზეთის კათალიკოსის იურიდიული ცნობისათვის. მატიანე წერს: "ხოლო მან ბაგრატ გააჩინა და განაწესა კათალიკოსი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ 830 წელს" (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 255).

ბაგრატ მეფის დროისათვის ქვემო იბერია საკათალიკოსოდ იქცა, ქართველთა მეფემ აფხაზეთში - "გააჩინა" და "განაწესა" კათალიკოსი.

IX საუკუნეშივე იბერიის ეკლესიაში იოანე გუთელი ეპისკოპოსი აკურთხეს.

ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ უცხოელთაგან გათავისუფლების შემდეგ აფხაზეთის სახელმწიფო, საეკლესიო, კულტურისა და ადმინისტრაციის ენად ქართული ენა გამოცხადდა, იყო ის, რომ აფხაზეთის სამეფოს მოსახლეობა იყო ქართული.

აფხაზეთის სამეფო ქართველთა სამეფოს წარმოადგენდა, სწორედ ამიტომაც უწოდებდნენ დასავლეთ საქართველოს უცხოელები "ქვემო იბერიას".

დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს ცენტრი მოთავსებულ იქნა ბიჭვინთაში და ქართული ენით ადიდებდნენ უფალ ღმერთს მღვდელმსახურნი. ბიჭვინთა წარმოადგენდა ქრისტიანობის ერთ-ერთ უმთავრეს ცენტრს აფხაზეთში.

აფხაზეთში იქმნებოდა მხოლოდ ზოგადქართული ხასიათის არქიტექტურული ძეგლები, საეკლესიო და სამონასტრო შენობები, მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელი სამეკლესიანი ბაზილიკები, ჯვრის ტიპის გუმბათოვანი ტაძრები იმ თავისებურებებით,რომელიც მხოლოდ ქართული ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი (გ. ჩუბინაშვილი).

რიგ უცხოურ წყაროებში "აფხაზეთი" ნიშნავს მთელ საქართველოს, "აფხაზი", საერთოდ, ქართველის მნიშვნელობით იხმარებოდა. აღნიშნულ საკითხზე ვრცელი ლიტერატურა არსებობს და დადასტურებულია, რომ რუსული წერილობითი წყაროების "აბასგი", სომხურ-არაბულ-სპარსული წყაროების "აფხაზი" და სხვა, ზოგადად, როგორც წესი, ქართველს ნიშნავს.

იმდროინდელ ქართულ წყაროებში "აფხაზი" ნიშნავს ზოგადად ქართველს, დასავლელ ქართველს.

ბერძნულ და უცხოურ წყაროებში ქვემო ივერიის, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსო იხსენება ავტოკეფალურ ეკლესიად, მაგრამ ის ავტოკეფალური, ანუ დამოუკიდებელი იყო სწორედ უცხოური ეკლესიების მიმართ. ხოლო მცხეთის, ანუ ზემო ივერიის საკათალიკოსოსთან მას გააჩნდა უფროს-უმცროსობითი დამოკიდებულება.

საპატრიარქოს მოწყობის სტრუქტურა ისეთი იყო, რომ მასში შედიოდა ორი საეკლესიო სამთავრო: მცხეთის (ანუ ქართლის) საკათალიკოსო, ბიჭვინთის (ანუ აფხაზეთის) საკათალიკოსო.

ქართულ საპატრიარქოში საკათალიკოსოები იმ ფორმით არსებობდნენ, როგორადაც ბერძნულ საპატრიარქოში სამიტროპოლიტოები. ბერძნულ სამიტროპოლიტოებში ერთ-ერთი რომელიმე დიდი ქალაქის ეპისკოპოსი წარმოადგენდა უფროსს, ანუ მთავარს და მას ექვემდებარებოდნენ მის ხელქვეით მყოფი საეპისკოპოსოების მეთაურები – ეპისკოპოსები. სამიტროპოლიტოებში ათეულობით საეპისკოპოსო არსებობდა, ხოლო მიტროპოლიტი, თავის მხრივ, ექვემდებარებოდა პატრიარქს. ასევე იყო მოწყობილი ქართული საკათალიკოსოებიც. აფხაზეთის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ დასავლეთ საქართველოს ათეულობით ეპისკოპოსები, ხოლო თავის მხრივ, ის ექვემდებარებოდა საქართველოს პატრიარქს. საპატრიარქოს სტრუქტურა ისეთი იყო, რომ საქართველოს პატრიარქი იმავდროულად წარმოადგენდა ქართლის კათალიკოსს. ესე იგი, მას ორი ტახტი ეჭირა საქართველოს პატრიარქისა და ქართლის კათალიკოსისა, ამიტომაც შემდგომ უწოდეს კიდეც კათალიკოს-პატრიარქი.

აფხაზეთის ათეულობით კათალიკოზთაგან მოღწეულია ზოგიერთის გვარი: მალაქია აბაშიძე (1529-1632), ევდემოზ ჩხეტიძე (1557-1578), ექვთიმე I საყვარელიძე (1578-1605), 1600 წლისათვის აფხაზეთის კათალიკოსია ევდემონ საყვარელიძე (ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 386), XVII ს. 20-იან წლებში აფხაზეთის კათალიკოსია მალაქია გურიელი (1616-1639) (იქვე, გვ. 482); მაქსიმე მაჭუტაძე (1639-1657); XVII ს. 50-იან წლებში აფხაზეთის კათალიკოსია ზაქარია ქვარიანი (1657-1660), სვიმონ ჩხეტიძე (1660-1666), ევდემოზ II საყვარელიძე (1666-1669), ექვთიმე II საყვარელიძე (1669-1673), დავით ნემსაძე (1673-1696), გრიგოლ ლორთქიფანიძე (1696-1742), გერმანე წულუკიძე – ბესარიონ ერისთავი (1755-1769) (რაჭის შტო ერისთავებისა) (იქვე, გვ. 880); 70-იან წლებში – აფხაზეთის კათალიკოსია იოსებ ბაგრატიონი (მეფის ძე) (იქვე, გვ. 885), მაქსიმე ათაბაგი (1776-1795).

იმის შემდეგ, რაც ქართლისა და კახეთის სამეფოები იქცა სპარსეთის ვასალურ ქვეყნებად XVII საუკუნეში, დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულები (იმერეთის სამეფო სამთავროები) შედარებით თავისუფლებით სარგებლობდნენ, ამის გამო აფხაზეთის საკათალიკოსო, რომელიც მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, შედარებით უფრო გაძლიერდა. აფხაზეთის საკათალიკოსომ თავის თავზე აიღო ქართველობის, ქართული ქრისტიანობის, ანუ მართლმადიდებლური სარწმუნოების ზრუნვის ტვირთი. ეს ის დროა, როცა სპარსელები და ოსმალები თბილისის სიონის მეჩეთად გადაკეთებას ცდილობდნენ, ხოლო ქართლის ერთ კათალიკოსს სტამბოლში აპატიმრებდნენ, ხოლო მეორეს სპარსელები თბილისის ციხეში ჰკლავდნენ.

იმ უდიდესი მისიის გამო, რომელიც თავის თავზე აიღო აფხაზეთის საკათალიკოსომ, XVII საუკუნის იერუსალიმელი პატრიარქები დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ მათი დროისათვის აფხაზეთის, ანუ როგორც ისინი უწოდებდნენ, "ქვემო იბერიის" კათალიკოსი უფროსია "ზემო ივერიის" კათალიკოსთან შედარებით.

ამის შემდეგ, აფხაზეთის საკათალიკოსო შეეცადა გამხდარიყო ლიდერი საქართველოს ეკლესიისა, მისი მეთაურები ზოგჯერ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის სახელით გამოდიოდნენ. მაგალითად, მოღწეულია ერთი საბუთი, რომელსაც ადასტურებს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გრიგოლი, რომელიც იყო ბიჭვინთის მამამთავარი, "გრიგოლ მწყემსი ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოისა კათალიკოზი" (ქართ. სამართლის ძეგლები, III, გვ. 675). ასე, რომ XV საუკუნის შემდეგ აფხაზეთის საკათალიკოსო ქართლის ეკლესიას კი არ გამოეყო, პირიქით, თავისი თავი ერთადერთ "ქრისტეს მიერ" დადგენილ "ყოვლისა საქართველოს" მწყემსად გამოაცხადა.

როგორც ითქვა, აფხაზეთის საკათალიკოსო გარკვეული თვალსაზრისით გაძლიერდა კიდეც, მაგრამ მისი წარმატება შეაჩერა მთიელი წარმართული ტომების შემოსევებმა. მთიელი წარმართი ჩერქეზული-ტომები, უპირველეს ყოვლისა, უტევდნენ აფხაზეთში არსებულ ეკლესიებსა და მონასტრებს. ქართული სულიერი კულტურის უძველეს კერებში, საეპისკოპოსო თუ სამრევლო ტაძრებში დაგროვილი იყო აურაცხელი განძი, ჩერქეზები ანადგურებდნენ, იტაცებდნენ განძს, არ ინდობდნენ ადამიანებსაც, XIX ს-ის დასაწყისში ამ მხარეში მოგზაური ფრანსუა გამბა წერდა ბიჭვინთის ტაძრის შესახებ - "აქ დღემდე შემორჩენილია ნანგრევები, ან უფრო სწორედ თითქმის მთლიანი კედლები ძველი მონასტრისა, რომელიც დიდი ხნის წინათ ჩერქეზების შემოსევების მოუტოვებიათ" (გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, 1987წ., გვ. 79). ბიჭვინთის დიდებულ ტაძარში თითქმის მთელი 800 წლის მანძილზე, თუ უფრო მეტი ხნით არა, უფალ ღმერთს მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენით ადიდებდნენ.

თუ როგორ პატივს სცემდნენ ქართველი მღვდელმთავრები ბიჭვინთის ღვთისმშობელს, ეს მათი ზეაღტაცებული მიმართვიდანაც ჩანს: "ეჰა ასულო მშვენიერო, იოვაკიმის ნაყოფო, სიტკბოებით აღსავსეო, ანას მორჩო, რტო გადაფრენილო, სოლომონის ვენახო, რქა მეწამულო, დავითის ყვავილო, დაბადებულთა სულნელმყოფო, იესეს კვერთხო, დიდებით აღყვავებულო, იუდას შროშანო, დაბადებულთა სამკაულო, იაკობის კიბეო ზეცად მიმართ აღმართებაო, ისაკის ვარდო უბიწოებით აღყვავებულო, აბრამის კვირტო დიდებით აღმოფრჩვნილო, სემის დასაბამო, ნათესავთა მშვიდობაო, ნოეს სულისა სამოსელო, დაულპოლველო,

ევას ნათელო და მწუხარებისა უჩინო მყოფელო, ადამის დიდებაო, სამოთხეო პირმეტყველო ღმრთისა მამისა მხოლოსა წინათვე გამორჩეულო და ძისა მხოლოსა პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილსა დედად ქალწულებით უთესლოდ მშობელად განწესებულო და სულისა წმიდისა ტაძარო, რომელმან ერთი სამებისაგანი შეიწყნარე და უაღრესად ყოველთა ბუნებათა შევ ძე მხოლოდ შობილი" (ქართ. სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 640), რაოდენ მტკივნეული უნდა ყოფილიყო ქართველებისათვის ბიჭვინთის ტაძრის მოქმედების გაუქმება.

ჩერქეზთა თავდასხმის შედეგად ზედიზედ გაუქმდა მოქვის, დრანდის, ბედიის საეპისკოპოსოები და, ცხადია, ბიჭვინთის კათედრაც. უცხოელი მოგზაურები და დამკვიდრებლები დაბეჯითებით წერდნენ, რომ აღნიშნულ საეპისკოპოსოთა მოსახლეობას წრმოადგენდნენ ქართველები.

ნ. ბერძენიშვილი წერს: "გრანჟიეს მოწმობა იმითაა საინტერესო, რომ ის მოქვს სამეგრელოში გულისხმობს, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა იმით, რომ აქ ის საჭიროდ სცნობს სამოღვაწეოდ შეისწავლოს მეგრული და ქართული, რომ მაშასადამე მოქვის რაიონი მეგრელებით დასახლებული ეგულება (ქართული სახელმწიფო და ქრისტიანობის ენაა), რაც მისიონერული მოღვაწეობისათვის აუცილებელია.

აქ რომ იმ დროს სხვა ენის ხალხს ეცხოვრა, გრანჟიე (და მისიონერები) ამ ხალხის ენის შესწავლას ასევე, საფიქრებელია, საჭიროდ დაინახავდნენ... ასე, რომ მოქვის რაიონი (მოქვის საეპისკოპოსო) მე-17 საუკუნის დასაწყისს არა მარტო პოლიტიკურად სამეგრელოა, ის ეთნიკურადაც მეგრელებით არის დასახლებული" (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1990, გვ. 612).

ასევე აბსოლუტურად ქართული იყო დრანდისა და ბედიის საეპისკოპოსოები: "ცხადია, რომ დრანდა, ისევე როგორც ბედია, სამეგრელოშია" (იქვე, გვ. 618). ნ. ბერძენიშვილი ასეთ დასკვნის გაკეთების დროს ეყრდნობა პატრი იოანესა და სხვათა მოხსენებებს და წერს: „იგულისხმება, რომ დრანდის რაიონი, ისევე როგორც ბედიისა, ქართველებითაა დასახლებული" (იქვე, გვ. 618).

თვით ისეთი მკვლევარიც კი, როგორიცაა ი. ვორონოვი, რომელსაც აფხაზეთში ქართველობის დანახვა არ სურს, წერს, რომ დრანდის ბოლო ეპისკოპოსი განდევნილ იქნა თავისი კათედრიდან აფხაზეთის სამთავროს გაფართოების შედეგად, ე.ი. იმის გამო, რომ დრანდის საეპისკოპოსო მოექცა აფხაზ მთიელთა ხელქვეშ და ამის გამო ეპისკოპოსს იქ აღარ ედგომებოდა. ვორონოვი ჩამოთვლის დრანდელი ეპისკოპოსების სახელებს, რომელნიც ცნობილნი არიან წყაროებში, ბოლო ეპისკოპოსი გაბრიელი იძულებული გამხდარა XVII საუკუნეში მიეტოვებინა დრანდა, რის შედეგადაც ის იერუსალიმში წასულა, ხოლო ვახუშტის დროს კათედრა უკვე გაუქმებულია. მთლიანი წინადადება ასეთია: "Известны имена четырёх Драндских епископосов - Федора, жившего в первой половине XV века, Сабы (Савви), отмеченного в надписи на одной из икон, найденных в Сванетии, Филиппа, который в первой половине XVI века принимал участие в соборе, созванном по случаю падения нравственности в Имеретии, и Гаврила, вынужденного покинуть Дранду в результате включения этой территории в состав Абхазского княжества в третьей четверти XVII века и скончавшегося в Иерусалиме" (В мире архитектурных памятников Абхазии, Москва, 1978 г., стр. 105).

ასეთივე ბედი ეწია, როგორც აღინიშნა, ბიჭვინთის კათედრასაც. ბიჭვინთა საკათალიკოსო ტაძარი იყო და "კათოლიკე პატრიარქთა" საყდარი ბიჭვინთაში მდებარეობდა. ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისით, "საკათალიკოსო ტახტი ბიჭვინთიდან გელათში გადმოვიდა 1545-1569 წლებს შორის" (ბ. ლომინაძე). მიზეზი ჩრდილოელი წარმართული ტომების შემოსევა ყოფილა "... ოსმალების თუ მათი გავლენის ქვეშ მყოფი ჩრდილო ტომების უშუალო შემოტევა აფხაზეთზე, მათმა მიახლოებამ ბიჭვინთისაკენ, უეჭველია, შეაფერხა ქრისტიანული მრევლისა და მასთან ერთად საკათალიკოსო საყმოს ნორმალური განვითარება აფხაზეთში. ომებმა შეაფერხეს კათალიკოსის უშიშარი მისვლა-მოსვლაც სამწყსო საეკლესიო საქმეებზე და საფრთხე შეუქმნეს კათალიკოსის ფიზიკურ არსებობას. ყველა ამ საშინაო და საგარეო პოლიტიკურმა სიტუაციამ XVI საუკუნეში იძულებული

გახადა ევდემონ ჩხეტიძე დაეტოვებინა ბიჭვინთა და გადმოენაცვლა გელათში, პოლიტიკურ ცენტრში“ (მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო, 1989, გვ. 49).

სავარაუდოა, რომ ბიჭვინთამ განაგრძო არსებობა როგორც ერთ-ერთმა რეზიდენციამ კათალიკოსისა, ყოველ შემთხვევაში, სწორედ ბიჭვინთა ითვლებოდა საკათალიკოსო სასულიერო ცენტრად XVIII საუკუნეშიც. ამ საკათალიკოსოს ერთ-ერთ საბუთში აღნიშნული იყო, რომ მისი იურისდიქციის უკიდურეს საზღვარს ჩრდილო-დასავლეთით წარმოადგენდა პუნქტი ‘‘კაფა‘‘ - უცხოელები და კერძოდ იტალიელები, რომელთაც შავი ზღვის სანაპიროზე ამ დროისათვის ჰქონდათ თავიანთი ფაქტორიები, სავაჭრო ცენტრები, ყირიმის ნახევარკუნძულს უწოდებდნენ კაფას კუნძულს, ზოგჯერ კი მის აღმოსავლეთ ნაწილს, სადაც მდებარეობდა ქალაქი ‘‘კაფა‘‘. კაფასთან საქართველოს შავი ზღვისპირეთს ჰქონდა მჭიდრო კავშირი და მართლაც ჩვენს ქვეყანასთან ვაჭრობას გენუის ხელისუფლება კაფას საშუალებით ახორციელებდა. საქართველოს სამეფო კარიც დაინტერესებული ყოფილა კაფასთან ვაჭრობით დ მართლაც ამ პუნქტთან საქართველოს გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონია და ამის გამო ქალაქ კაფაში მრავლად ცხოვრობდნენ ქართველები (ე. მამისთვალაშვილი, საქართველოს შავი ზღვისპირეთის ისტორიიდან, გაზ. ‘‘სახალხო განათლება‘‘, 18.X.89). კაფას შემდგომში ეწოდა ფეოდოსია და სწორედ კაფა ითვლებოდა აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციის ერთ-ერთ სასაზღვრო პუნქტად. ‘‘კათალიკოზის საკურთხი არს სამწყსო ლიხისა და კაფას შუა, რუსეთის სამზღვარსა და ჭანეთს შუა‘‘ (ქართ. სამართ. ძეგ., II, გვ. 180).

‘‘მცნებაი სასჯულოს‘‘ დაწერის დროისათვის იურისდიქციის საზღვრები ასეა განსაზღვრული: ‘‘ლიხთა ამერისა, ჭოროხისა აქეთ, ოსეთსა აქეთ, ზღვაი პონტოსა აქათ სადა დიდისა ბიჭვინთის საზღვარი მიაწევს‘‘ (ქართ. სამ. ძეგ., III, გვ. 223). საუკუნეთა შემდგომ საკათალიკოსოს საზღვარი ფაქტიურად უკვე რამდენადმე შემცირდა, მაგრამ, აფხაზეთის ახალი მოსახლეობაც, რომელშიც არსებობდნენ ძველი ქრისტიანული დაფენებანი, ასევე ახალი ნახევრად წარმართულიც, თავის თავს ქრისტიანულს უწოდებდა და ჩვენი ეკლესიის მრევლს წარმოადგენდა, მაგრამ ახალ მრევლსა და ძველ მრევლს შორის დიდი განსხვავება იყო და დიდი დრო ესაჭიროებოდა მას ძველი აფხზეთის მრევლის სიმაღლემდე მისაღწევად.

როგორც VIII-X, ისე XI-XVIII საუკუნეებში, და, ასევე 1820 წლამდე, რუსეთის მიერ მის გაუქმებამდე, აფხაზეთის საკათალიკოსო სავსებით ქართულენოვან ეკლესიას წარმოადგენდა.

ამას ნათლად უჩვენებს მრავალი მაგალითი, რომელთაგან ზოგიერთი აშკარად ხელშესახებია. მაგალითად, ლიხნის ტაძრის ფრესკების ქართულენოვანი წარწერები. საკუთრივ აფხაზეთში არსებული მრავალი ქართულენოვანი საეპისკოპოსო (ცენტრები მწიგნობრობა-განათლებისა), რომელნიც ერთიანი საქართველოს სახელმწიფო რღვევა-დაუძლურების შემდეგ კავკასიის მთებიდან შემოჭრილი წარმართების (ადიღე-ჩერქეზების) მიერ იქნა უწყალოდ განადგურებული.

ქართული ენით ევედრებოდნენ ღმერთს აფხაზი ღვთისმსახურები საუკუნეთა მანძილზე. ეს ჩანს წარწერებიდან მოქვის სახარებისა - ‘‘მოქვის ღვთისა მმობელო შეიწყალე სული თქვენ წინა მდებისა მოქველ მთავარეპისკოპოზისა აბრაჰამისა‘‘; ‘‘ყოვლად წმიდაო დედოფალო ღვთისმშობელო დაიცევ და შეიწყალე ორთავე ცხოვრებასა შიგან მოქვისა მეტრაპეზე გიორგი დეკანოზი‘‘; ‘‘დიდება ღმერთსა სრულ მყოფელსა ყოვლისა კეთილისასა, დაიწერა წმიდა ესე ოთხთავი დასაბამითგან წელთა 1300‘‘; და ბოლოს ‘‘... ჩვენნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილია და კეთილად ხანმეტნიცა და საბაწმინდურიცა...‘‘ (იქვე, გვ. 173).

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, მოქვის სახარების მეპატრონენი, მოქვის ღვთისმსახურნი, ‘‘ჩვენ სახარებას‘‘ უწოდებენ. ძველქართული ხანმეტი და საბაწმიდური რედაქციები ცნობილია VIII საუკუნის შემდეგ. მოქველი ღვთისმსახურნი თავიანთ თავს აკუთვნებდნენ ქართველ ხალხს და ამიტომაც წერდნენ: ‘‘ჩვენნი სახარებანი პირველთაგან წმიდად თარგმნილია‘‘, ე.ი. IV-VI საუკუნეებშიც ხანმეტობისას და შემდეგაცო.

ამავე მოქვის სახარების წარწერებიდან ჩანს, რომ 1300 წლამდე მოქველი მთავარეპისკოპოსი ყოფილა აბრაჰამი, მის შემდეგ მოქველი მთავარეპისკოპოსია დანიელი, შემდგომ ეპოქაში XVI საუკუნისათვის მოქველი მთავარეპისკოპოსია ფილიპე ჩხეტიძე (უფრო ადრე,1438 წლისათვის მოქველი მთავარეპისკოპოსი

ყოფილა რომანოზი, XVI საუკუნეში მთავარეპისკოპოსი გრიგოლ მაგძნის ძე, ექვთიმე საყვარელიძე, რომელიც შემდეგ 1605 წლიდან აფხაზეთის კათალიკოსი გამხდარა, შემდეგ ანდრია საყვარელიძე, XVII ს-ში – იაკობი (იხ. იქვე, გვ. 174). აქედან ჩანს, რომ მოქვის ღვთისმსახურებს არავითარი კავშირი არა აქვთ ადიღურ სამყაროსთან, ისინი მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ეთნოსს განეკუთვნებიან.

აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობის განზღვრისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აფხაზეთის კათალიკოზი ექვთიმე საყვარელიძე ბიჭვინთის სახელოვან ტაძარს (1600 წლისათვის) სხვა წმიდა წიგნებთან ერთად სწირავს "ქართლის ცხოვრებას". კერძოდ, მას ბიჭვინთისათვის შეუწირავს შემდეგი წიგნები: "ერთი ოქროს კონდაკი მელნით დახატული, ერთი სხვაი ეტრატისაი კონდაკი... ერთი ჟამნი, ერთი დავითნი, ერთი კურთხევაი... ერთი ქართლის ცხოვრებაი დახატული" (ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 387). "ქართლის ცხოვრება" - წმიდა წიგნების გვერდით, წმიდა წიგნების რანგშია აყვანილი აფხაზთა კათალიკოსების მიერ.

კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე აფხაზეთის ეკლესიის სამწყსოს ქართველებს უწოდებს და წერს, რომ ქართველთა შემწე და მფარველმა ღვთისმშობელმა ქართველი მრევლისათვის გამოაგზავნა აფხაზეთში (ე.ი. ქვემო ივერიაში) ანდრია მოციქულიო. არსებობს 1732 წლის კიდევ ერთი "შეწირულობის წიგნი კათალიკოზ გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჭვინთისადმი" (იქვე, გვ. 716). სწორედ ამ შეწირულობის სიგელში აღნიშნავს აფხაზეთის ნეტარი კათალიკოზი, რომ ბიჭვინთის ღვთისმშობლის, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს სამწყსოს ქართველები შეადგენდნენ. კერძოდ, ის ამ სიგელში წერს: "... ვითარცა იგი პეტრე მოციქულსა მიეცა ჰურიათა მოქცევაი, ხოლო პავლეს წარმართთა ზედა, აგრეთვე პირველ წოდებულსა ანდრეას მოეცა ჩრდილოეთისა ქვეყანა მოქცევად ჩვენებითა წმიდისა ღვთისმშობელისათა, რამეთუ ჩვენ ქართველნი მისნი წილხდომილნი ვართ ... ამათ კათალიკოზთა და საჭედ მპყრობელთა ბიჭვინთისა ღვთისმშობლისათა მსახურება საყდრისა დიდად ეღვაწად" (იქვე, გვ. 727). აქედან ჩანს, რომ წმინდა ანდრიას მიერ მოქცეული დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს მრევლს მხოლოდ და მხოლოდ ქართველები შეადგენდნენ.

აფხაზეთის საკათალიკოსომ დასავლეთ საქართველოს ყოველ კუთხეში (სამეგრელოსა, გურიასა, იმერეთსა, რაჭა-ლეჩხუმსა თუ სვანეთში) შეინარჩუნა ძველი სიდიადე და ის ღირსეულად არსებობდა რუსეთის მიერ დასავლეთ საქართველოს ანექსიამდე. იმის შემდეგაც კი, რაც ქართლ-კახეთის სამეფოს მომცველი ზემო ივერიის ეკლესიის ავტოკეფალია რუსებმა უკანონოდ გააუქმეს 1811 წელს, ქვემო იბერიის საკათალიკოსო არსებობას განაგრძობდა 1820 წლამდე იმერეთის ცნობილ საეკლესიო აჯანყებამდე. მართალია, ამ დროისათვის აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტი თავისუფალი იყო, მაგრამ მის მოსაყდრეს ფაქტიურად წარმოადგენდა დოსითეოს ქუთათელი მიტროპოლიტი. მის მიერ გაცემული ბოლო საეკლესიო საბუთები 1818 წლით თარიღდება, ეს მიტროპოლიტი რუსის ხელისუფლებმა დააპატიმრეს და ცემითა და სასტიკი ტანჯვით ამოხადეს სული. ამით ფაქტიურად დამთავრდა ქვემო ივერიის, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს ათასწლოვანი ისტორია. როგორც ზემო ივერიის, ასევე ქვემო ივერიის ეკლესიები რუსეთის ეკლესიამ მიიერთა, მგრამ ამის შემდეგაც, საბედნიეროდ, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიებში წირვა-ლოცვა ძველებურადვე ქართულ ენაზე მიმდინარეობდა და მიუხედავად დიდი სურვილისა, სლავურმა ენამ ოდნავადაც კი ვერ დაჩრდილა სრულიად საქართველოში ძველი ქართული საეკლესიო ენა და ყოველ კუთხეში ქართველ მრევლს კვლავ ქართველი სამღვდელოება ემსახურებოდა.

განმარტება სამდივნოსათვის

ამ წერილში გადმოცემულია შემდეგი თვალსაზრისი:

1. სახელწოდება „ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი" ზოგიერთ წრეებში (რუსეთსა და სხვგან) გაგებულ იქნა ისე, თითქოსდა საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა აღადგინა ისტორიული აფხაზეთის საკათალიკოსო და ის სამართავად გადასცა უწმიდეს პატრიარქს. მთ მიიჩნიეს, რომ მართალია უნდა აღდგეს ისტორიული „აფხაზეთის საკათალიკოსო", მაგრამ ის სამართავად უნდა გადაეცეს აფხაზეთის საეკლესიო სეპარატისტებს (ამ მოსაზრებას გამოთქვამს

ნ. დბარი თავის წიგნში „აფხაზეთის ეკლესიის მოკლე ისტორია“).

ჩვენს წერილში მითითებულია, რომ აღდგა არა აფხაზეთის საკათალიკოსო, არამედ უკვე არსებულ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას მიენიჭა ახალი სახელი და ის სამართავად გადაეცა უწმიდეს პატრიარქს.

2. აღნიშნული საეკლესიო სეპარატისტი ნ. დბარი და სხვანი იმეორებენ საბჭოთა ეპოქაში ოფიციალური ისტორიოგრაფიის მიერ განმტკიცებულ თვალსაზრისს, რომ თითქოსდა, დასავლეთ საქართველო IV ს-დან IX-X სს-მდე იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციის ქვეშ, სადაც მას ჰქონდა თავისი საეპისკოპოსო კათედრები და მხოლოდ 500-600 წლის შემდგომ, IX-X ს-დან მცხეთის ეკლესიამ დასავლეთ საქართველოში გააუქმა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ბერძნულენოვანი საეკლესიო კათედრები. იგივე თვალსაზრისი აქვთ საბჭოთა ეპოქის ქართველ ისტორიკოსებსაც. მათ იმოწმებს კიდევაც ნ. დბარი თავის წიგნში და ასევე სხვანიც. ნ. დბარის თვალსაზრისით დასავლეთ საქართველოში არამხოლოდ ბერძნულად, არამედ აფხაზურ ენაზეც აღევლინებოდა წირვა-ლოცვა, რომელიც თითქოსდა პროზელიტურმა ქართულმა ეკლესიამ არაკანონიკურად გააუქმა.

ჩვენს წერილში კი მოკლედაა გადმოცემული რეალური ისტორია ქართულ, ბერძნულ და სომხურ წყაროებზე დაყრდნობით. ამონარიდები ამ წყაროებიდან მოყვანილია კიდეც ჩვენს წერილში.

3. რუსულ საეკლესიო „პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში“ სტატიაში „აფხაზეთის საკათალიკოსო“ ნათქვამია, რომ დასავლეთ საქართველოში ქართული ენა და კულტურა გავრცელდა მხოლოდ არაბობის დროს. მას შემდეგ, რაც თითქოსდა არაბთა მიერ დევნილი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა მასიურად გადასახლდა დასავლეთ საქართველოში და ამის შედეგად დაიწყო დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის „ქართიზაციის“ პროცესი, თითქოსდა ეკლესიებიდან განიდევნა ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვა და მის ნაცვლად დაინერგა ქართულენოვნება. ეს მოსაზრება მთლიანად უცხოა ძველი ქართული საეკლესიო წყაროებისათვის, რაც ასახულია ჩემს წერილში.

ასევე „პრავოსლავნაია ენციკლოპედიას“ სტატიაში „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია“ ნათქვამია თითქოსდა წმიდა ნინო არის მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის განმანათლებელი. ეს მოსაზრება ეწინააღმდეგება რუის-ურბნისის „ძეგლისწერას“, სადაც ნათქვამია, რომ წმიდა ნინომ განანათლა „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“, მაშასადამე მან მთელი ერი მოაქცია და არა მისი ერთი ნაწილი. იგივეა ნათქვამი მის ტროპარშიც.

იმავე სტატიაში ნათქვამია, რომ თითქოსდა აფხაზეთის საკათალიკოსო XV-XVI საუკუნეების შემდეგ გამოეყო საქართველოს ეკლესიას და დაიწყო დამოუკიდებელი ცხოვრება, ამ აზრს მრავალი მეცნიერი იმეორებს, რაც დიდი შეცდომაა.

სინამდვილეში, როგორც აფხაზეთის კათალიკოსთა XVII-XVIII სს. საბუთებიდან ჩანს, აფხაზეთის საკათალიკოსო არა თუ გამოეყო საქართველოს ეკლესიას, არამედ თავი წარმოაჩინა როგორც სრულიად საქართველოს უზენაესმა ეკლესიამ და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესაჭემ, ქართველობის დამცველმა, ამის მიზეზი ის იყო, რომ აღმოსავლეთ საქართველომ იმ დროს სუვერენიტეტი დაკარგა, მას მუსულმანი ხელმწიფეები მართავდნენ დაახლოებით 120 წლის მანძილზე.

ამავე დროს, დასავლეთ საქართველომ მართლმადიდებელთა მმართველობა შეინარჩუნა, ხოლო მისი საკათალიკოსო სრულიად საქართველოს ეკლესიის მესაჭედ აცხადებდა თავს,

ეს ასახულია ქართულ და უცხოურ წყაროებში, რაც მოყვანილია ჩემს წერილში.

მაშასადამე, გვიანშუასაუკუნეებში აფხაზეთის ეკლესია კი არ გამოეყო საქართველოს ეკლესიას, არამედ სტატუსი აიმაღლა ზოგადქართული ეკლესიის შიგნით.

მეფეების თეიმურაზ II-სა და ერეკე II-ის დროს კვლავ აღსდგა ქრისტიან მეფეთა ტახტი აღმოსავლეთ საქართველოში, რამაც მცხეთას თავისი ძველი დიდება დაუბრუნა. XVII ს-ის ბოლოს აფხაზეთში დაიწყო ჩრდილოკავკასიელ ადიღე-ჩერქეზების (აფსუათა) შემოსევები, რის გამოც ბიჭვინთა დატოვეს აფხაზთა კათალიკოსებმა და გელათში გადაინაცვლეს. ამის შემდეგ მცხეთელ კათალიკოსს კვლავ უხუცესად, ხოლო აფხაზთა კათალიკოსს უმრწემესად უხმობდნენ. ასე რომ ერთიანი ქართული ეკლესიის მთლიანობა

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის (იოანე ლაზი)

V საუკუნეში, ქართველთა გაქრისტიანების თანავე საქართველოში დაიწყო 'წმიდა წერილის" ქართული თარგმანების მომზადება, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს ყოველი კუთხიდან შემოკრებილი მეცნიერები. ამ ღვაწლმა უკვე V ს. დასაწყისში გამოიღო თავისი შედეგი - შედგენილი იქნა წმიდა სახარების პირველი ქართული თარგმანი. ეს პროცესი უხვ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია მთავრეპისკოპოს ანანიას წიგნში „ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის (იოანე ლაზი)". წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხი

XIX–XX საუკუნეებამდე როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში, მათ შორის აფხაზეთსა, სვანეთსა და სამეგრელოში საეკლესიო და სალიტერატურო საჭიროებისათვის მხოლოდ ძველი ქართული ენა გამოიყენებოდა. არც ერთი ადგილობრივი ენაკავი თუ დიალექტი საღვთისმეტყველო მიზნით გამოყენებული არ ყოფილა. ძველი ქართული საეკლესიო ენა, რომელიც, ამავე დროს, საერთო-სახალხო, სალიტერატურო ენას წარმოადგენდა, ხასიათდებოდა ზოგადეროვნული მთლიანობით, მიუხედავად ქვეყნის დაქსაქსვა-დაყოფისა, არ ამჟღავნედა ტომობრივ-გეოგრაფიულ მიკერძოებას, არც ენობრივ-სტილისტურად, არც იდეურ-პოლიტიკური თვალსაზრისით. ამიტომაც არ არსებობდა აღმოსავლურ ქართული, სამხრეთქართული და დასავლურქართული ლიტერატურული მიმართულებანი, მთელი ქართული სასულიერო თუ საერო ლიტერატურა (მწერლობა) არსებითად იყო ერთიანქართული, საქართველოს რომელ კუთხეშიც არ უნდა შექმნილიყო ესა თუ ის ნაწარმოები და რომელი ქართული ტომის წარმომადგენელიც არ უნდა ყოფილიყო მისი ავტორი. „ეს მოვლენა ლიტერატურის ისტორიაში საყოველთაო ხასიათისა არ არის, ვინაიდან მსოფლიოს ბევრი მოწინავე ლიტერატურის ისტორია ტომობრივ-კუთხური მიმართულებით ვითარდებოდა და ეს მიმართულებანი ღრმა კვალს ტოვებდნენ საერთო-ეროვნული ლიტერატურის განვითარებაზე" (მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო, 1989, გვ. 472).

ისმის კითხვა, რატომ არ წარმოიქმნა ძველ საქართველოში ლიტერატურის კუთხურ-ტომობრივი მიმართულებანი მაშინ, როცა იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჩვენი ქვეყანა წარმოადგენდა არა ერთიან სახელმწიფოს, არამედ შიდაფეოდალური ომებით მოცულ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ წარმონაქმნებს, უფრო მეტად განაწილებულთ უცხო სახელმწიფოთა შორის (იგულისხმება VI-XVIII საუკუნეები)?

ეს კითხვა ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც ითქვა, მსოფლიოს მაღალგანვითარებულმა მრავალმა ერმა თავი ვერ აარიდა კუთხური ლიტერატურის შექმნას, უნდა გაირკვეს თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში შექმნილი ქართული მწერლობის ძეგლი საერთო ქართული იყო ენობრივი თვალსაზრისით.

სწორედ ამ საკითხის რკვევას ქრისტიანული არქეოლოგიის მონაცემებზე დაყრდნობით შეეხება ჩენი თემა. წინასწარ კი უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველოში ქართული საეკლესიო

(სალიტერატურო) ენის ზოგადეროვნულობა, ერთადერთობა და ყოვლისმომცველობა გამოწვეული იყო ქართველი ერის ენობრივი მთლიანობით გვიან შუა საუკუნეებამდე (XVI-XVII სს-მდე). საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის დაშლამდე, ე.ი. XV-XVI სს-მდე, მართალია არსებობდნენ კუთხური დიალექტები, მაგრამ ისინი ძალზე ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, რითაც, საბოლოო ჯამში, ქმნიდნენ ენობრივ მთლიანობას. XVI-XVIII სს-ში კუთხური სახელმწიფოებრივი ერთეულების – ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოების, სხვა სამთავროების წარმოქმნის კვალდაკვალ წარმოქმნა შესაბამისი დიალექტები. ქართლური, კახური, იმერული და სხვა დიალექტები არიან არა უძველს დროს წარმოქნილნი, არამედ ერთიანი საქართველოს დაშლისა და კუთხური სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების შემდეგ ჩამოყალიბებულნი, ასევე უნდა ვიგულისხმოთ, რომ კუთხური ქართველური ენებიც შედარებით ახალი წარმონაქმნია იგულისხმება, რომ საერთო - ქართული ფუძე ენის დაშლა დიალექტურ დონეზე და მისგან ზანურის გამოყოფა მოხდა არა უძველს დროს ქრისტეშობამდე ათასწლეულებით ადრე, არამედ ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე, მაშინ როცა საფუძველი ეყრებოდა ერთიანი ქართული საღვთისსამსახურო ენის შექმნას. ამის შესახებ მიუთითებდა ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილი. იგი წერდა: „ქართულ ერს თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი სამწერლობო ენა ჰქონდა და აქვს, რომელიც მეგრელებისა და სვანებისათვისაც ერთადერთი სამწერლობო და კულტურის ენა იყო და არის ეხლაც, რომლის შექმნა-შემუშავებაშიც მეგრელებსა და სვანებსაც თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 1, 1979, გვ. 154).

მაშასადამე, ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით, ქართული სალიტერატურო ენის შექმნა შემუშავებაში მეგრელებსა და სვანებს თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი, რომელი ხანა იგულისხმება? ცხადია IV-V საუკუნეები, როდესაც მიმდინარეობდა ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება, წმიდა წერილის თარგმნა-გადმოღება ქართულ ენაზე (საქმე ისაა, რომ VI-VII საუკუნეების შემდეგ ბიზანტიური აგრესიის შედეგად დასავლეთ საქართველოში საღვთისმსახურო საჭიროებისათვის დაინერგა ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვა და დასავლეთ საქართველოს ეკლესიებიდან განიდევნა ქართული ენა თითქმის IX-X სს-მდე. ამიტომაც დასავლელ ქართველებს ქართული სამწერლობო და კულტურის ენის შექმნა-შემუშავებაში თავიანთი წვლილი უნდა შეეტანათ იქამდე. ე.ი. VI-VII საუკუნეებამდე. ივანე ჯავახიშვილი, როგორც აღინიშნა გულისხმობდა IV-V საუკუნეებს - ქართული საეკლესიო-სალიტერატურო ენის შექმნა-შემუშავების ხანას).

შეეძლო თუ არა მეგრელებსა და სვანებს IV-V საუკუნეებში ქართული სამწერლობო (საეკლესიო) ენის შექმნა-შემუშავებაში მონაწილეობის მიღება? ამ კითხვასაც პასუხი გასცა ივანე ჯავახიშვილმა, მან თავისი კვლევის შედეგად დაამტკიცა, რომ ჯერ-კიდევ წარმართობის დროს, ანუ IV საუკუნემდე გაცილებით ადრე, ყველა ქართული ტომის მიერ, მათ შორის სამეგრელოსა და სვანეთში წარმართული კერპთმსახურება, ანუ წარმართული ლოცვა-რიტუალი ქართულ ენაზე აღესრულრბოდა. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „არამცთუ საზოგადო ქართული, ყველა ქართული ტომისათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ რომ ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. 1, 1979, გვ. 156).

ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებამდე ყველა ქართულ ტომს ჰქონდა საერთო სარწმუნოება (წარმართული), საერთო ქართული ენითა და საერთო ტერმინოლოგიით, ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ქრისტიანობის პირველმქადაგებლები საქართველოში ისარგებლებდნენ უკვე არსებული საერთო ქართული საკულტო ენით მას გამოიყენებდნენ კიდეც.

საეკლესიო ლიტურგიკული ენის საფუძვლების ძიების დროს ჩვენ უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ ქრისტიანობის ქადაგების პირველსაუკუნეთა საშუალებანი, რადგანაც არქეოლოგიური მონაპოვრები

მიუთითებს, რომ საქართველოში ქრისტიანების რაღაც რაოდენობა უკვე II-III საუკუნეებში ცხოვრობდა. ამის შესახებ წერილობითი წყაროებიც მიუთითებს.

II-III საუკუნეთა ქრისტიანული სამარხები აღმოჩენილია როგოც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ერწო-თიანეთიდან საჩხერემდე (თ.ბიბილური, თიხის ფილასამაგრები, გვ. 57, თ. ბიბილური, ქრისტიანობის გავრცელება, გვ. 2). იმავეს ადასტურებს იოანე საბანის ძე, როცა VIII საუკუნეში ქართველებს 500 წლოვან ქრისტიანებად მიიჩნევდა. ეკლესიის ისტორიკოსთა ცნობებს საქართველოში მოციქულთა მიერ ქრისტიანული თემების დაარსებისა და II-III საუკუნეებში მათი ყოფის შესახებ წყაროებიც მიუთითებს. მაგალითად, II საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდნენ ჩვენი ეკლესიის წმიდანები „სუქია და 16 ქართველი მოწამე". თამარაშვილის ცნობით, I ს-ში იმპერატორ მაქსიმილიანეს ემსახურებოდნენ ქრისტიანი ქართველი მეომრები, რომელნიც კოლხიდაში გააძევეს. ირინეოსის ცნობით, კოლხიდაში ეპისკოპოსმა პალმოსმა და მისმა მეგობრებმა

70 ეკლესია ააშენეს. არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილია წმიდა ნინომდელი ეკლესიები სოფ. ნასტაკისსა და სხვაგან. ქართლის ცხოვრების თანახმად, III ს. ქართლის მეფე რევ მართალმა სახელმწიფოში ქრისტიანული სახის რეფორმა გაატარა (მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქული ეკლესიის ისტორია, ახალციხე, 1988, გვ. 447) და სხვა. სამთავროს სამარავანზე III ს. დასაწყისის მდიდრული ახალგაზრდა ქალის სამარხი №25 მიუთითებს ქრისტიანობა იმ დროისათვის გავრცელებული იყო არა მხოლოდ დაბალ ფენებში, არამედ მაღალ ფენებშიც და იმდენად იყო განმტკიცებული, რომ თვით სახელმწიფოს დედაქალაქში უშიშრად დაკრძალეს ქრიატიანი მდიდარი ქალბატონი მთელი ღირსების დაცვით. ეს არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქრისტიანთა დევნის ფონზე მთელი რომის იმპერიაში.

რომის იმპერიასა და სხვაგან არსებულ ქრისტიანული თემების ცხოვრებას შეეხება უძველესი ძეგლი „სწავლა თორმეტი მოციქულისა" ანუ დიდაქე. იგი ასახავს II-III საუკუნეთა ყოფას, თუმცა თვითონ ამ ძეგლს IV ს. დასაწყისით ათარიღებენ. ეს ძეგლი ჩვენ გამოგვადგება II-III საუკუნეთა საქართველოში ქრისტიანული თემების საეკლესიო ენის საკითხების რკვევისას. „დიდაქეს" ანალიზი აჩვენებს, რომ ქრისტიანულ თემში ჟამით-ჟამად უცხო მხრიდან მოდიოდნენ ხოლმე მოსიარულე მოციქულები, წინასწარმეტყველები და მოძღვრები. მათ თემში სამ დღეზე მეტი ხნით დარჩენის უფლება არ ჰქონდათ. მოციქულები ქრისტიანული თემის წევრებს ასე არიგებდნენ მომსვლელთა შესახებ „ვინც თქვენთან მოვა და გასწავლით... მიიღეთ იგი... თუ მოძღვარი თვითონ მიიქცევა სხვა სწავლებისკენ... არ ისმინოთ მისი" (დიდაქე, XI, 1,2). მოძღვრის მოვალეობა იყო ხალხისათვის ესწავლებინა ზეპირი სიტყვით - "სიმართლე და ცოდნა უფალზე" მრევლის მოვალეობა იყო მოესმინა მოძღვრის სიტყვა. აქედან ჩანს, რომ პირველქრისტიანთა შორის მოსული მოძღვრები ზეპირი სიტყვის მეშვეობით და არა წერილობითი სახით ქრისტიანებს გადასცემდნენ საქრისტიანო ცოდნას. ეს განსაკუთრებით ითქმის წინასწარმეტყველთა შესახებ, რომელთაც ევალებოდათ ხმამაღალი ქადაგებდა ცოცხალი სიტყვით. წინასწარმეტყველები „მეტყველებენ", კერძოდ ესაა, "სულის მიერ მეტყველება" (დიდაქე, XI, 8), ამის გარდა იგი „ასწავლის ჭეშმარიტებას", ანდა „ასწავლის იმას, რასაც თავად იქმს" (დიდაქე, XI, 11).

რომელი ენით უნდა ექადაგათ საქართველოში ქრისტიან წინასწარმეტყეველს, მოძღვრებსა და მოსიარულე მოციქულებს?

ქრისტიანობის უპირველესი წესის თანახმად, ყოველ ხალხში ადგილობრივი ენით უნდა ექადაგათ მოციქულებს. ეს იყო არა მოციქულთა პირადი სურვილი, არამედ საღმრთო ნება სულიწმიდის მიერ გაცხადებული. ცხადია, II-III საუკუნეებში საქართველოში მცხოვრებ ქრისტიანთა შორის "მოსიარულე მოციქულებს, მოძღვრებსა და წინასწარმეტყველებს" უნდა ექადაგათ ხალხის ენით. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია საქართველოს კუთხიდან კუთხეში, ხევიდან ხევში მოსიარულე მქადაგებლებს ორ-სამ დღეში შეეთვისებინათ თემის, კუთხის თუ ხევის დიალექტი (ენა), ამიტომაც ცხადია მქადაგებელთა წინაშე საქართველოში თავიდანვე უნდა დასმულიყო საკითხი იმისა, თუ როგორ მოეგვარებინათ ენობრივი

პრობლემა ისე, რომ მათი ნათქვამი და ნალოცი სიტყვა ხალხისათვის გასაგები ყოფილიყო, ამიტომაც მათ უნდა გამოეკვლიათ ჰქონდა თუ არა ამ ხალხს საერთო კოინე ენა ანდა საერთო წმიდა - საღვთისმსახურო ენა, რომელიც ყველას ესმოდა. ასევე მოიქცნენ ისინი ბერძენთა შორისაც, მათ ბერძნულ დიალექტთა შორის უპირატესობა მიანიჭეს საერთო კოინე ენას, გასაგებს ყველა დიალექტის მქონე ბერძენისათვის და ამ ენაზე არა მხოლოდ გადასცეს სიტყვა, არამედ ჩაწერეს კიდეც წმიდა სახარება.

არსებობდა თუ არა ქართული საერთო წმიდა ენა, ანუ ენა, რომლითაც წარმართულ კულტმსახურებას აღასრულებდნენ ქართველები, როგორც ზემოთ ითქვა, ასეთი ენა არსებობდა და სამეგრელოსა და სვანეთშიც კი წარმართული საკულტო ცერემონიალი ძველ ქართულ (ანუ საერთო) ენაზე აღესრულებოდა წმიდა ნინოს შემოსვლამდე დიდი ხნით ადრე. სწორედ ეს საერთო საღვთისმეტყველო ქართული ენა უნდა აეღოთ გამოსაყენებლად II-III საუკუნეთა მოსიარულე მოციქულებს, წინასწარმეტყველებსა და მოძღვრებს საქართველოში.

ენათმეცნიერთა მიერ გამორკვეულია, რომ ზოგიერთი ქართული სიტყვის ლინგვისტური ანალიზის თანახმად ქრისტიანული სწავლება ჩვენში ვრცელდებოდა ზეპირი გზით. „უძველესი ბერძნული ნასესხობები ქართულში ისტორიულად უშორეს პერიოდთანაა დაკავშირებული... სიტყვები: - ეკლესია, კერეონი, მონაზონი, გუტერი და სხვა ქრისტიანული ეკლესიის უპირველეს წმინდანთა და ანგელოზთა სახელებთან ერთად ის სიტყვებია, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ზეპირი გზითაა გავრცელებული ჩვენში, და, რომელთაც შემდეგ ქრისტიანული ლიტერატურის თარგმანებშიც უცვლელად შეინარჩუნეს ზეპირი გავრცელების ზოგიერთი ნიშანი, პირველ რიგში, ეს ითქმის იმ საკუთარ სახელთა მიმართ, რომლებიც ბერძნული წოდებითი ბრუნვის ფორმითაა გადმოცემული ქართულში: იესუ ქრისტე, პავლე, დამიანე, და სხვა მრავალი“ (ნელი მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, 1978, გვ. 58).

„ქრისტეს სახელი „იესუ“ მიმართვის ფორმით, ვოკატივითაა ჩვენში შემოსული (ეს ზეპირი გზით გავრცელებულ ბერძნულ სახელებში გვაქვს), ბერძნული საკუთარი სახელების გადმოცემა ვოკატივის ფორმით იმდენად ხშირი იყო ქართულში, რომ საბოლოოდ გაგებული იქნა, როგორც ბერძნულ სახელთა გადმოცემის საერთო წესი“ (ნ.მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები, I, გვ. 22).

„დიდაქეს“ ეპოქაში უნდა წარმოჩენილიყო ჩვენში ახალი ქართული საკულტო სიტყვები - „მღვდელი“, „ზედაშე“, „მარანი“. როგორც გარკვეულია სიტყვა ‘მღდელი“ მიღებულია სიტყვიდან - ღაღადი, ხადილი, მ-ელი მაწარმოებლის დართვით (ფუძე “ღდ“) მ-ღდ-ელი. პირველქრისტიანთათვის უპირველესი სახე მღაღადებლობისა (მქადაგებლობისა) იყო წინასწარმეტყველი და ნათლისმცემელი იოანე („ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“), ამ წინასწარმეტყველის მაგალითის გამავრცელებლები უნდა ყოფილიყვნენ დიდაქეში ნახსენები „წინაწარმეტყველები“, რომელთაც 2-3 დღით შეეძლოთ წვეოდნენ პირველქრისტიანებს და ექადაგნათ (ეღაღადათ) მათ შორის და ალბათ მოენათლათ კიდეც ისინი. „ხადილ-ღაღადიდანაა“ არა მარტო მღდელი, არამედ ქადაგიც (აქედანაა ქადაგებაც). პირველქრისტიანები თავიანთი ერთადშეკრება-ლოცვების ბოლოს, რომელიც პურის გატეხვითა და ღვინის შესმით მთავრდებოდა, ამბობდნენ სიტყვას „მარანთა“ (I კორ, 16, 22, დიდაქე, X, 6), აქედან უნდა იყოს ქართული „მარანი“ (ღვინის შესმის ანდა შენახვის ადგილი). პირველქრისტიანებს ევალებოდათ მიერთმიათ მოძღვრისათვის ზედა, საუკეთესო ნაღები ღვინისა თუ ზეთისა „პირველთავი“ (დიდაქე, XIII, 6), აქედან უნდა იყოს ქართული „ზედაშე“ (მისი საპირისპიროა - „ქვედაშე“, რაც ქვევრის ფსკერზე ანდა ქვაბის ფსკერზე ნალექს ეწოდება). ამ სიტყვების არსებობაც ადასტურებს ჩვენში ქრისტიანობის ზეპირი გზით გავრცელებას ჯერ კიდევ წმიდა ნინომდე და ქართული ლიტერატურის წარმოშობამდე.

IV ს-მდე ქართლში ქრისტიანული თემების არსებობის შესახებ მიუთითებდა ს.ჯანაშია. მისი აზრით, ქართლში (უპირატესად ქალაქებში) უნდა არსებულიყო წვრილი ქრისტიანული თემური ურთიერთობანი, ისევე, როგორც რომის პროვინციებში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად ქცევამდის (ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 213). პ. ინგოროყვა, გ. გოზალიშვილი და სხვა მეცნიერები ამ

აზრს იზიარებენ. ა. ბოხოჩაძემ ეს მოსაზრება დაადასტურა არქეოლოგიური მონაცემებით (= <ჯ[ჯხფლპტ-ტპეკნფს- ც= 8) (ა. ბოგვერაძე, განვითარება, გვ. 13-14).

სამარხულ ძეგლებთან დაკავშირებით თ.ბიბილური წერს, რომ არქეოლოგიური და ნარატიული წყაროები სრულ თანხმობაში არიან, რადგანაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (დიდი მცხეთა, ერწო, ახალი ჟინვალი, არაგვისპირი, ურბნისი, ზღუდერი, მოდნახე) აღმოჩნდა II-III საუკუნეთა ქრისტიანული სამარხები.

ფილოლოგიური კვლევის შედეგად თ.მგალობლიშვილის დასკვნით, IV საუკუნემდე ქართლში გავრცელებული იყო ე.წ. ძველი ნაკადი ქრისტიანობისა (გულისხმობს იუდაურ ქრისტიანობას), რომელიც წმიდა ნინოს დროს და შემდეგ შეიცვალა ე.წ. ახალი ნაკადით ანუ "ელინისტური ქრისტიანობით" (კლარჯული მრავალთავი, თ. მგალობლიშვილის გამოცემა, 1991, გვ. 171), მისი აზრით, 'ქართლში ოფიციალურად ქრისტიანობის ელინისტური ნაკადი იქნა აღიარებული. ბუნებრივია, დროთა განმავლობაში ქრისტინობის ეს ახალი ნაკადი სრულიად დევნის უკვე მოძველებულ იუდეურ-ქრისტიანულ ტრადიციას, თუმცა „მოქცევაისა" და „მეფეთა ცხოვრებაში" მაინც შეინიშნება ამ უძველესი ტრადიციის ნაშთი (იქვე, გვ. 171).

თ. მგალობლიშვილის აზრით მახლობელ ქვეყნებშიც, მაგალითად, ედესაში (ოსროენაში) იუდეველ-ქრისტიანთა მეფემ უპირატესობა მაინც ქრისტიანობის ახალ, ელინისტურ ნაკადს მიანიჭა და მის საფუძველზე აღიარა თავის სახელმწიფოში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად (იქვე, გვ. 173). ედესის პირველ ეპისკოპოსად მიჩნეულ იქნა პალუთი (სერაპიონ ანტიოქიელის მიერ თითქოსდა ხელდასხმული), თუმცა ეს იყო მხოლოდ ბერძნული ტრადიციის აღიარების ფაქტი და არა ისტორიული სინამდვილე (იქვე, გვ. 173).

ქართლში, თ. მგალობლიშვილის აზრით, II-III საუკუნეებში არსებულ იუდეურ-ქრისტიანი ნაკადი შეიცვალა მეფე მირიანის დროს ახალი, ელინისტურით, მთელი მისი შედეგებით.

ჩვენამდე მოღწეული წმიდა ნინოს და პეტრე იბერის ცხოვრებიდან ჩანს, რომ ახალი ელინისტური ნაკადი ძველი იუდაურისაგან ძირითადად იმით განსხვავდებოდა, რომ მონაზვნური სულისკვეთების შემომტანი და დამნერგავი იყო, კერძოდ ახასიათებდა „ასკეტიზმი და ნაზარეველობა".

მართალია, სახარების მცნების (მათე 19, 21, I კორ. 7, 32-35) შესაბამისად, ზოგიერთი ქრისტიანი ქალწულობის აღთქმას I საუკუნეებიდანვე დებდა, მაგრამ მას III ს-დან უფრო მასიური სახე მიუღია. ქალწულები და მონაზვნები (მარტო მყოფელი, განდეგილები) უკვე უდაბნოში გადიოდნენ. ანტონი დიდი (251-354) პირველი შეუდგა თავის გარშემო მეუდაბნოე განდეგილთა შეკრებას. პახომი დიდმა (282-346) ორგანიზაციული სახე მისცა განდეგილთა თემს, დაარსაპირველი ქალთა მონასტერი, მაგრამ სირიელი აფრაატის ცნობით განდეგილ ქალწულთა (ქალთა და კაცთა) ძმური კავშირები იქამდეც არსებობდა. წმიდა ნინო ეკუთვნოდა მსგავს თემს. კერძოდ, ქალწულთა კავშირს, რომელიც 52 წევრი იყო, მას მემატიანე მონასტერს უწოდებს და წერს 'მოიხსენეს მათ უბიწო იგი აღთქმა და ღირსი ქებისა მარტოებით ცხოვრება, რომელსა იგი იყვნეს განსწავლულ... ერთობით განზრახვითა დაუტევეს ქვეყანა და ფარულად ორმოცდათორმეტმან სულმან" (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 82). წმიდა ნინოს მამა - განდეგილი იყო „და წარვიდა წიაღ იორდანესა, კაცთა მათ თანა ველურთა" (ქ.ც., I, გვ. 77), ქონება გლახაკებს დაურიგა. დედაც ოჯახს განშორდა და დადგა „მსახურად გლახაკთა დედათა და უძლურთა" (იქვე, გვ. 77). წმიდა ნინოც ბავშვობიდანვე სხვებს ემსახურებოდა „მსახურებდა ნიაფორსა" (იქვე, გვ. 77). რომში მან „იპოვა რიფსიმე და დედამძუძე მისი გაიანე მონასტერსა შინა ქალწულთასა". საქართველოში შემოსვლის შემდეგ ქრისტიანულ მიმართულებას წმიდა ნინომ ასკეტური სულისკვეთება მიანიჭა. ეს კარგად ჩანს IV ს. II ნახევრის ქართლის ცხოვრების აღწერიდან. მაგალითად, პეტრე იბერის პაპა, ბაკურ დიდი და მისი მეუღლე დუხტია თავიანთი მეფობის დროს მონაზვნურ ცხოვრებას ეწეოდნენ. რამდენიმე შვილის გაჩენის შემდეგ ერთმანეთში დადეს აღთქმა ხორციელი კავშირის უარყოფისა (გეორგიკა, II, 1965, გვ. 250). ზედმიწევნით მლოცველი და მმარხველი მეფე ბაკური თავის ხელით აჭმევდა გლახაკებს ღარიბთა თავშესაფარში. დედოფალმა გაყიდა ოქროს ნივთები და ღარიბებს დაურიგა. პეტრეს მამის

(ბუზმარიოსის) თანამედროვე არსილიოსი ქალწულობის აღთქმის დაცვას ცდილობდა (გეორგიკა, II, გვ. 251). პეტრეს აღმზრდელი „ძუძო“ ისეთი წმიდა იყო, რომ ღამით დგებოდა და უცხოური წყაროს თანახმად ქართულად ლოცულობდა და ტიროდა ისე, რომ ნეტარ პეტრეს ცრემლებით ასველებდა“. პეტრეს დედა დაქვრივების შემდეგ ქალაქიდან გავიდა, სოფლად ცხოვრობდა ასკეტურად, აგებდა უცხოთა თავშესაფრებს, საავადმყოფოებს, ჩაიცვა „მონაზონის კაბა“ (გეორგიკა, II, გვ. 251).

ვ. გოილაძის თანახმად პეტრე იბერი განეკუთვნებოდა ქართლის სამეფო დინასტიის ე.წ. რევიანთა შტოს, რომელსაც სათავე დაუდო მეფე მირიანის ძე რევმა, მისი მეორე ძის ბაქარის შთამომავლებმა (ბაქარიანებმა) ასევე თავის ხელში აიღეს სამეფო ხელისუფლება (ვ.გოილაძე, ფარნავაზთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, 1990, გვ. 159). იმის შემდეგ რაც ქართლი 369 წელს ორად გაიყვეს ირანმა და ბიზანტიამ ერთმანეთს შორის, რევიანები მართავდნენ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ ქართულ ქვეყნებს, მათ შორის თავიანთ ხელდებულად მიიჩნევდნენ კლარჯეთსა და ეგრისს, ხოლო ბაქარიანები მტკვრის მარცხენა მხრის ქვეყნებს. ბაქარიანების სატახტო იყო მცხეთა, ხოლო რევიანებისა არმაზი. არმაზთან ერთად რევიანთა სამეფოს ცენტრი უნდა ყოფილიყო ბოლნისიც, სადაც რევიანმა მეფეებმა ააშენეს ერთ-ერთი უდიდესი ტაძარი თავისი დროისათვის. მაშასადამე, პეტრეს პაპა ბაკური დიდი, მამა ბუზმარიოსი, დედა ბაკურდუხტი და სხვანი ცხოვრობდნენ ბოლნისში ანდა ბოლნისთან, იმ მიწაზე რომელსაც ამჟამად ქვემო ქართლი ეწოდება, სადაც იყო მათი სამეფოს ცენტრი.

ქართული საეკლესიო ლიტურგიკული ენის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ეს მომენტი იმით არის საინტერესო, რომ არმაზი ჯერ კიდევ წარმართობის დროს წარმოადგენდა როგორც ფიქრობენ ქართული წარმართული საისტორიო ლიტერატურის შექმნის კერას, ხოლო ბოლნისში IV ს. ბოლოს აიგო ტაძარი V-ის დასაწყისის პირველი ქართული წარწერებით. ვ. გოილაძის მტკიცებით, „ძველი ქართული წყაროების მონაცემებიდან გამომდინარე ბოლნისის სიონის შეკაზმვა, აღდგენა ქართლის მთავარეპისკოპოსის ელიას (383-397 წწ) თრდატ რევის ძის (383-395), ფარსმანის (395-397) და ბაკურის (396-416) ზეობაში ხდება“ (იქვე, გვ. 126). ამ დროინდელია მისი წარწერებიც, მაშასადამე პირველნი აქამდე ცნობილთა შორის.

ეს ტაძარი, აქამდე მიიჩნეოდა, რომ აგებული იყო V ს. ბოლოს, მაგრამ არის სხვა მოსაზრებანიც, როგორც აღინიშნა. „უახლოეს სამეცნიერო ლიტერატურაში „ფრიად სარწმუნო ბაკური“ (როგორც მას უწოდებენ გელასი კესარიელი და რუფინუსი), იდენტიფიცირებულია ქართლის მოქცევის ქრონიკებში დასახელებულ ბაკურ თრდატის ძესთან და მართებულად არის გაიგივებული ფილოსოფოს ბაკურთან, რომელიც იბერიის მეფე იყო 403-416 წლებში თუ ბოლნისის სიონი მართლაც თხუთმეტი წელი შენდებოდა, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდით ბაკურს 14 წლის განმავლობაში შეეძლო ეშენებინა ეს ეკლესია, ხოლო ფარსმანს მისი ორწლიანი ზეობის დროს შეეძლო დაესრულებინა ეს ტაძარი. ამგვარად „ფრიად სარწმუნო ბაკური“ არა მხოლოდ ბოლნისის ეკლესიის მაშენებლად შეგვეძლო მიგვეჩნია, არამედ პირველი ქრისტიანული ეროვნული იკონოგრაფიის პროგრამის მესაძირკვლედაც“ (გ. აბრამიშვილი, „ფრიად სარწმუნო ბაკური“ ქრისტიანული არქეოლოგიის მესამე სამეცნიერო კონფერენცია, 1999, გვ. 10).

როგორც აღინიშნა, წმიდა ნინოს შემოსვლის შემდეგ ჩანს საქართველოში გაიმარჯვა ქრისტიანობის ახალმა ელინისტურმა ნაკადმა, რომელიც არა მხოლოდ მონაზვნური სულისკვეთებით გამოირჩეოდა, არამედ ღვთისმსახურების საგანგებო წესების შემოღებითაც. ახლა უკვე ღვთისმსახურებისას წიგნების გამოყენებაცილებელი იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ბერძნულენოვანი საღმრთო წიგნები გამოიყენებოდა, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ამ დროისათვის, ქართულად თითქმის უკვე ჩამოყალიბებული იყო შესაბამისი საეკლესიო ზეპირი ტერმინოლოგია, ამიტომაც ბერძნული ტექსტის წაკითხვის შემდეგ საგანგებო მთარგმნელი მას ქართულ ენაზე თარგმნიდა. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ ენაზე ლოცვები იმ დროისათვის უკვე არსებობდა, ამის შემდეგ გვაქვს წყაროს პირდაპირი მითითება. პეტრე

იბერის გამზრდელი „ძუძო“ (შეადარე - „დედამძუძე“, „ძიძა“) იოანე რუფუსის სიტყვით, ქართულად ლოცულობდა შემდეგი სიტყვებით: „უფალო იესო, ღმერთო ჩემო, ჩემი სიცოცხლის შემქმნელო, შემიბრალე მე“ (გეორგიკა, II, გვ. 251) V ს. 10-ინ წლებში.

როგორც ითქვა, რევიანთა ქართლის სამეფო, რომელიც მიიჩნეოდა არმაზის ძველი კულტურულ-ისტორიული ტრადიციის მემკვიდრედ, ტერიტორიული სიახლოვის გამო ხშირად სომხეთის გავლენის სფეროში ექცეოდა. ირანისა და რომის 377 წლის შეთანხმებით სომხეთის დიდ ნაწილში დამყარდა ირანელთა ხელისუფლება, ხოლო 387 წელს მოხდა სომხეთის გაყოფა ამ ორ იმპერიას შორის. ამ დროს რევიანთა სამეფო ანუ ქვემო ქართლი ირანის გავლენის სფეროში მოექცა. სომხეთში ირანი კრძალავდა ღვთისმსახურების დროს ბერძნულენოვანი წიგნების გამოყენებას. მოვსეს ხორენაცის ცნობით, ირანელთა ხელისუფალი „რა წიგნებსაც კი წააწყდებოდა, წვავდა. ბრძანა რომ ესწავლათ სპარსული და არა ბერძნული წერა-კითხვა, არავის ჰქონდა უფლება ელაპარაკა ბერძნულად, ანდა ეთარგმნა ამ ენიდან“ (მ. ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 206).

ამ მიზეზის გამო, სომხეთში ღვთისმსახურები გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგანაც ტრადიციულად ღვთისმსახურების დროს წიგნის მკითხველები ჯერ ბერძნულ ენაზე კითხულობდნენ წიგნებიდან ტექსტებს, იქვე მყოფი მთარგმნელები კი თარგმნიდნენ სომხურ ენაზე, რომელსაც ისმენდა ხალხი (იქვე, გვ. 216). IV ს. ბოლოსათვის ირანის ხელისუფლების მიერ სომხეთში მოისპო ბერძნული წიგნები, წიგნების უქონლობის გამო სომხური ეკლესიის მეთაური საჰაკ დიდი იყენებდა ასურულ წიგნებს. ხორენელი განმარტავს “საქმე ისაა, რომ მეჰრუჟანმა დაწვა ბერძნული წიგნები მთელს ჩვენსქვეყანაში. ამასთანავე, სომხეთის დანაწილებისას სპარსთა წილ სომხეთში სპარსელი მოხელეები არავის რთავდნენ ბერძნული მწიგნობრობის შეთვისების ნებას“, ხელისუფლებამ მოითხოვა, რომ საღვთისმსახურო საჭიროებისათვის სომხებს თვითონვე შეექმნათ სომხური ანბანი, ანდა ბერძნულის ნაცვლად გამოეყენებინათ ასურული მწიგნობრობა. ასეთი იძულების გამო სომხებმა დაიწყეს ფიქრი და მზრუნველობა სომხური ანბანის შესაქმნელად, რომლითაც დაწერილი წიგნები დაიჭერდა ბერძნულის ადგილს.

ირანელები თავიანთ ხელდებულ რევიანთა ქართლის სამეფოშიც მსგავსადვე უნდა მოქცეულიყვნენ. ხორენაცის სიტყვით სომხური ანბანის შექმნის საკითხებზე ზრუნავდა „საჰაკ დიდთან შეკრებილი ყველა ეპისკოპოსი“ (იქვე, გვ. 222), ასევე ქართული ანბანის რესტავრაციას თუ შექმნა-შემუშავებას ხორენაცის სიტყვით ხელს უწყობდა „ქართლის მეფე ბაკური და მოსე ეპისკოპოსი“ (იქვე, გვ. 224). აგრეთვე ვინმე ჯალა, და მეფის კარზე ქართული პროვინციებიდან (ხორძენედან და ტარონიდან) ჩამოსული სასულიერო პირები.

როგორც ცნობილია, მესროპ მაშტოცმა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნები მოიარა სომხური ანბანის ძიების ჟამს, ასევე იქცეოდნენ სხვა მაძიებლებიც. უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოშიც მსგავს მომენტს ჰქონდა ადგილი. ქართველებს ან საკუთარი ანბანი უნდა შეექმნათ ანდა გამოეყენებინათ საეკლესიო საჭიროებისათვის სხვა უკვე არსებული მწიგნობრობა, ბერძნულის სანაცვლოდ, რომელიც აკძალული იყო. ასეთ დროს საფიქრებელია, ქართველებს მოეძებნათ ის ანბანი, რომელსაც მათი წინაპრები იქამდეც იყენებდნენ, კერძოდ, არმაზში და სხვა ქალაქებში იყენებდნენ ე.წ. „არმაზულ დამწერლობას“. ქრისტეშობის შემდეგ საუკუნეებში ‘არმაზული ანბანით“ შესრულებული მრავალრიცხოვანი წარწერა არის აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად. თავის მხრივ, როგორც ცნობილია, არმაზული დამწერლობა არის არამეული დამწერლობის თავისებური სახეობა. მესროპ მაშტოცის ეპოქაში ეროვნული ანბანის ქრისტიანული საჭირობისათვის ძიებისას ქართველები უპირველესად იფიქრებდნენ არმაზული ანბანის გამოყენების შესახებ. ამ ახალი საჭირობისათვის მათ ცხადია უნდა მოეძებნათ არმაზული დამწერლობის პირველსახე, ანუ ის ანბანი, რომელიც არმაზული ანბანის თავდაპირველ, ამოსავალ სახედ მიიჩნეოდა.

დადგენილია, რომ როგორც ითქვა, არმაზული ანბანი არამეული დამწერლობიდანაა წარმომდგარი. IV ს. ბოლოსა და V ს. დასაწყისში ქართველთა მიზანი იქნებოდა მოეძებნათ არამეული დამწერლობის „სწორი", მათი აზრით, „თავდაპირველი" სახეობა. ასეთი უნდა ყოფილიყო ძველი სემიტური წერის არამეული განშტოების ე.წ. „ქილამუვას" და „მარ-რებუქის" სახეობები (მათგან იქნა მიღებული შემდგომ „არმაზული" დამწერლობაც) (თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, 1989, გვ. 38). საერთოდ, შეიძლება ითქვას ესაა საშუალო ფინიკიური დამწერლობა, რომლიდანაც იქნა მიღებული როგორც ბერძნული, ისე ქანაანურიდამწერლობანი. ქართულ ასომთავრულსაც, რ. პატარიძე და სხვა ქართველი მკვლევარები მიიჩნევენ მათგან მიღებულად. ასე, რომ „არმაზულ დამწერლობასა" და ასომთავრულ ანბანს ერთი წყარო გააჩნიათ: სემიტურ-ფინიკიურ-არამეული. როგორც აღინიშნა, ბერძნული წიგნის, ანბანისა და ენის გამოყენება განსახილველ პერიოდში აკრძალული იყო ირანის ხელისუფალთა მიერ, ამიტომაც ქართველებს, ბერძნულის ნაცვლად უნდა გამოეძებნათ სხვა ანბანი საღვთისმსახურო საჭიროებისათვის, ასეთად კი უნდა მიეჩნიათ ეროვნული იმჟამად უკვე არსებული „არმაზული დამწერლობის" თავდაპირველი სახეობა, რომელიც, როგორც ჩანს, ქართველთათვის ქრისტეშობამდე მრავალი ასწლეულით ადრე იყო ცნობილი. ქართული ანბანის პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა ქართული ანბანის შექმნა ძვ. წ. VII ს-ში ივარაუდა (ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 236).

პ. ინგოროყვა ფიქრობდა, რომ ქართული ანბანი უნდა ჩამოყალიბებულიყო ძვ. წ. IX-VIII სს-ში, როცა ქართველი ხალხის ერთი ნაწილი, თობალები და მესხები, მცირე აზიის ტერიტორიაზე მკვიდრდებოდა (პ. ინგოროყვა, თხზ. ტ. IV, 1978, გვ. 248). რ. პატარიძის აზრით, ქართული ანბანი ძვ. წ. V ს-ში ჩამოყალიბდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს იყო არა ასომთავრული ანბანი, არამედ ზემოაღნიშნული სემიტურ-ფინიკიური ანბანი. ასეთი დაშვება თ.გამყრელიძეს შესაძლებლად მიაჩნია, ოღონდ ქართული ანბანის ე.წ. „დანართი" ნაწილის მიმართ (იგულისხმება საკუთრივ ქართულისათვის დამახასიათებელ ბგერათა ასო ნიშნები) (თ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 177). მან ამ მხრივ ყურადღება მიაქცია ქართულ ასომთავრულის "წილ" ასონიშანს, რომლის პროტოტიპად სემიტური (არამეული) შესაბამისი ასო, კერძოდ არმაზული არამეულის ერთ-ერთი ასონიშნის ფორმა მიიჩნია, მისი მოსაზრებით, ეს ფორმა არსებითად ემთხვევა „წილ" ასოს მოხაზულობას ქართულ ნუსხა-ხუცურ დამწერლობაში (იქვე, გვ. 178). ასევე აღსანიშნავია ის, რომ ქართული ასომთავრულის პირველი ნიშანი „ან"-ის გრაფიკული პროტოტიპი შესაძლებელია იყოს სემიტურ-ფინიკური „ალეფი" (მთლიანად მსგავსი არქაული ბერძნულის ალფა ნიშნისა), რომელსაც ქართულში მიუწერეს დამატებითი ჰორიზონტალური ხაზი, რომელიც ძირითად გრაფიკულ ელემენტს - ნახევარწრეხაზს, ზემოდან ერთვის, ქართული ბან-ის არქაული გრაფიკული სახეობა თითქმის მთლიანად მსგავსია შესაბამისი სემიტურის „ბეტ" ნიშნისა და უფრო ნაკლებ ჰგავს არქაული ბერძნულის „ბეტას". ასევა „განი", „დონი" და სხვა ასო ნიშნები რაც კარგად აღწერა რ. პატარიძემ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ, რომ IV ს. ბოლოსა და V ს. დასაწყისში საქართველოში მეფეების ბაკურისა და ფარსმანის დროს მოხდა ბერძნული ანბანის მიხედვით ძველი ქართული (სემიტურ-ფინიკიურიდან წარმომავალი) დამწერლობის რეფორმა. ასეთი მოსაზრების გამოთქმის უფლებას იძლევა ის, რომ ამ დრომდე საქართველოში ნამდვილად არსებობდა და გამოიყენებოდა ადგილობრივი ე.წ. „არმაზული დამწერლობა", რომლის შესახებაც ცხადია ცოდნა უნდა ჰქონოდა „არმაზული ქართლის" ანუ „რევიანათა ქართლის" სამეფო დინასტიის მესვეურებს, რომელნიც ამავე დროს ცნობილი და სახელგანთქმული პირები იყვნენ მთელ ბერძნულ სამყაროში, ვითარცა ბერძნული ენისა და ფილოსოფიის საუკეთესო მცოდნენი.

ქართული საეკლესიო-ლიტურგიკული ენის ჩამოყალიბების თვალსაზრისით საინტერესოა ისიც, რომ „რევიანთა ქართლის" თავდაპირველ დედაქალაქში - არმაზში სპეციალისტების დასკვნით იქმნებოდა

წარმართული ხანის ქართული საისტორიო ძეგლები, კერძოდ „მოქცევაი ქართლისაში“ (უძველეს საისტორიო ძეგლში) ე.წ. ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია „უცილობლად ავთენტურობის ბეჭედს ატარებს“. ამ წყაროს „ისტორიული ტექსტი, რომელიც ეხება ანტიკურ ხანას... მომდინარეობს წარმართული ხანის ძეგლებიდან“ (პ. ინგოროყვა, თხ. ტ. IV, გვ. 254, 255). პ. ინგოროყვას ეთანხმება გ. მელიქიშვილი, ივ. ლოლიშვილი და სხვანი. წარმართული მწერლობის მთელი რიგი ფრაგმენტები და ნაწყვეტები შემონახულია ქართული საისტორიო თხულებებში. რ. ბარამიძის აზრით, „ქართლის ცხოვრებაში“ გვხვდება წარმართული ხანის საუკუნეებში შექმნილი მთლიანი ნაწარმოებები დასრულებული სახით. ვ. გოილაძის აზრით, ქართული წარმართული მწერლობის არსებობა უეჭველია, მისი აზრით ქართლის წარმართი მემატიანეები მომხდარ ამბებს იწერდნენ ქართულ ენაზე. ს. კაკაბაძის აზრით, ეს ხდებოდა არამეული ენის საშუალებით, ე.ი. იქმნებოდა ქართლის ისტორიის არამეული წყაროები. ეს წყარო ჰქონდა ხელთ IV ს-ში გრიგოლ დიაკონს, რომელიც მოქცევაი ქართლისაის ბერძნული ტექსტი შეადგინა. თ. გამყრელიძის აზრით მემატიანის ცნობა ფარნავაზ მეფის მიერ ქართული მწიგნობრობის შექმნის შესახებ შეიძლება ნიშნავდეს ამ დროს ქართულის წერილობითი ხმარების შემოღებას „ჰეტეროგრაფიის“ სახით, ე.ი. რომელიმე გავრცელებულ უცხოურ ენაზე, მაგალითად არამეულად შედგენილი ტექსტის წაკითხვით ადგილობრივი ენის საფუძველზე (თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“, გვ. 198). ასეთი ხერხიც კი, გულისხმობს ქართული სალიტერატურო (თუმცა კი ზეპირი) ენის ჩამოყალიბებას წარმართულხანაში, ე.ი. IV ს-მდე გაცილებით ადრე, რაც ცხადია საფუძვლად უნდა დადებოდა შემდგომში ქართული საეკლესიო ლიტურგიკული ენისა და საერთოდ ქრისტიანული ლიტერატურის ჩამოყალიბებას.

როგორც მიღებულია, მესროპ მაშტოცის სომხური ანბანი შექმნა დაახლოებით 405-406 წლებში. თითქმის ამავე წლებში სომხურ წყაროთა ცნობით შეიქმნა ქართული ანბანიც. როგორც იმჟამინდელი საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზი აჩვენებს, ქართული უძველესი სემიტურ-ფინიკიური წარმომავლობის დამწერლობის რეფორმა ბერძნული ანბანის გავლენით ამ ეპოქაში უნდა მომხდარიყო მეფე ბაკურის დროს (როგორც ამას სომხური წყაროებიც მიუთითებს) კერძოდ V ს. ავტორი კორიუნი (Корюн, Житие Маштоца, Ереван, 1962,с. 100-101) და ხორენაცი (მ. ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 231).

ამავე წლების შესახებ მიუთითებს პეტრე იბერის ცხოვრებაც. მისი ბიოგრაფის ზაქარიას ცნობით, რომელიც ქართლიდანვე გაჰყოლია უცხოეთში მონაზვნად წასულ პეტრეს, პატარა მურვანიოსი საქართველოშივე სამი წლის ასაკიდან ‘მისცეს სამწიგნობრედ და დაისწავა მან ყოველივე სწავლაი და გულისხმის ყოფით აღმოიკითხვნ წმიდათა წერილთა და იწურთინ მარად დღე და ღამე“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, 1967, გვ. 217). მურვანიოსი დაბადებულა დაახლოებით 411 წელს, მისი სამი წლის ასაკში ე.ი. 414-415 წლისათვის ქართულად უკვე არსებობდა წმიდა წერილის თარგმანები, ამას მიუთითებს ის, რომ მისი ბიოგრაფები, რომელნიც კარგად იცნობდნენ მისი სიყმაწვილის გარემოს, წერენ: პეტრე იბერმა ბერძნული და ასურული ენები შეისწავლა უცხოეთში, და ეს ენები მან ქართლში არ იცოდა, კერძოდ, პეტრემ 12 წლის ასაკში კონსტანტინოპოლში „დაისწავლა ენაი ბერძნული და სწავლაი“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 224), ხოლო იერუსალიმში გამგზავრების შემდეგ იქ „ისწავა ენაი და სწავლაი ასურებრივი“ (იქვე, გვ. 224). ე.ი. ასურული ენა. მაშასადამე, პატარა პეტრეს ქართლში 3 წლის ასაკიდან ასწავლიდნენ ქართულ მწიგნობრობას, კერძოდ კი წმიდა წერილს. სწორედ მას სწავლობდა პატარა პეტრე „დღე და ღამ“ 9 წლის მანძილზე (3 წლის ასაკიდან 12 წლამდე) 414-420 წლამდე. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ პალესტინაში ბეთლემის მახლობლად პეტრე იბერის მიერ აშენებულ მონასტრებში (ივარაუდება 433 წლის ახლო ხანებში) აღმოჩნდა ასომთავრული წარწერები, სადაც იხსენიებიან პეტრე და მისი წინაპრები, მათ შორის მეფე ბაკური (პეტრეს პაპა დედის მხრივ). მკვლევარების დასკვნით იმ მცირე

ენობრივი მასალის მიხედვითაც, რომელიც წარწერებშია წარმოდგენილი, აშკარად ჩანს, რომ უკვე ამ დროს (V ს. პირველ ნახევარში) სალიტერატურო ქართული ენა მტკიცედ იყო ჩამოყალიბებული. ამავე ხანას განეკუთვნება პეტრე იბერის პაპის ძმის მეფე არჩილის მიერ დასმული ქართლის ეპისკოპოსის მობიდანის შესახებ დაცული ცნობა, რომ იგი „ფარულად წერდა წიგნებსა საცთურისასა, რომელ შემდგომად მისსა დაწვა ყოველი წერილი მისი ჭეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელ", მობიდანი, რასაკვირველია წერდა ქართულად, ვინაიდან მისი მიზანი იყო გაევრცელებინა მაცდური მოძღვრება თავის სამწყსოში - ქართველთა შორის. იმ ცნობის თანახმად, V ს. I მესამედში ქართულ ენაზე იწერებოდა „წიგნები". ამავე ეპოქას განეკუთვნება ცნობა არჩილ მეფის (422-432) შვილის მირდტის მეუღლისათვის წმიდა სახარების თარგმანის შესახებ (იგი ქართველი არ იყო) - „საგდუხტ დედოფალმან გამოიკითხა სჯული ქრისტესი რამეთუ ქმარმან მისმან მოჰგვარა კაცნი სჯულისა მეცნიერნი და უთარგმნეს სახარება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი". ცნობაში ხმარებული გამოთქვა „უთარგმნეს", ბუნებრივია, ისე უნდა გავიგოთ, რომ თარგმნეს ან ქართულად, ან ქართულიდან (უფრო ბუნებრივია ქართულიდან უთარგმნეს ანუ განუმარტეს).

ქართლში IV საუკუნეში გამარჯვებული ქრისტიანობის ელინისტური მიმართულება გულისხმობდა ასკეტურ მონაზვნურ მოშურნეობას შეკავშირებულს მწიგნობრობასთან. კერძოდ, პეტრე იბერი თავის მოწაფეებს ასე მოძღვრავდა - როგორც ურწყავი ბაღი გახმება და უნაყოფო იქნება. „ეგრეთვე გონება მონაზონისა უნაყოფო იქნების თვინიერ წიგნის კითხვისა და სმენისა სწავლათა სულიერთა" (ძველი ქართული აგიოგრ. ლიტ. ძეგლ., II, 1967, გვ. 255). უნდა ვიგულისხმოთ, რომ IV ს. ბოლოსა და V ს. დასაწყისში ქართლში სამეფო კარისა და ეკლესიის იერარქთა მეთაურობით გაჩაღებული იყო ყოვლისმომცველი მთარგმნელობით მუშაობა, რომელსაც ერთოდა საკუთრივ ქრისტიანული დამწერლობის შექმნა-ძიება. ქრისტიანული მწიგნობრობის დაფუძნების ამ ეპოქაში მოღვაწეობდნენ წმიდა წერილის პირველი მთარგმნელები. ძირითადად პეტრე იბერის ოჯახის კარზე, პირველ მთარგმნელებს თავიანთი მოღვაწეობის საყრდენად უნდა ჰქონოდათ ადგილობრივი ლიტერატურული მემკვიდრეობა. კერძოდ, აღნიშნულ სამეფო დინასტიას, იქამდე უკვე გააჩდა საკუთარი საისტორიო მატიანე - "მოქცევაი ქართლისაი", რომელიც ვ.გოილაძის თანახმად არის რევიან მეფეთა ისტორია, შედგენილი IV-V საუკუნეებში. რევიანი მეფეები იყვნენ მემკვიდრენი იმ მიწა-წყლისა, რომელიც „საპიტიახშოდ" იწოდებოდა, მის დედაქალაქ არმაზში, როგორც აღინიშნა, პ. ინგოროყვას თანახმად „ჟამით-ჟამად" იწერებოდა ქართლის ანტიკურ მეფეთა" ქრონიკები. ე.ი. ქვემო ქართლში წარმართობისდროს და ქრისტიანობის გამარჯვების პირველ საუკუნეში იწერებოდა ქართლის ისტორიის ერთ-ერთი ვარიანტი. ეს იყო ის ლიტერატურული მიღწევა, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა V ს. დასაწყისში (ან IV ს. ბოლოს) ქრისტიანული მწიგნობრობის ჩამოყალიბებასა და წმიდა წერილის თარგმანის საქმეს. ეს ლიტერატურული საფუძველი არ იყო ადგილობრივი მნიშვნელობისა, არამედ წარმოადგენდა ზოგადქართულს, რადგანაც განეკუთვნებოდა იმ ეპოქას, როცა ფუძე ქართული ენის დაშლის პროცესი ახალი დაწყებული იყო, ამიტომაც კუთხური ენები და მითუმეტეს დიალექტები ძალზე ახლოს იდგნენ ერთმანეთთან და ფუძე ქართულ ენასთან. როგორც აღინიშნა არმაზული ლიტერატურული საფუძვლები იქმნებოდა ანტიკურ ეპოქაში, ამავე ხანაში იწყებოდა ფუძე ქართული ენის დიალექტურ დონეზე დანაწევრება, ამიტომაც, როგორც აღინიშნა, წარმართობის დროს ყველა ქართულ ტომში, მათ შორის, სამეგრელოსა და სვანეთში საკერპთმსახურო ენა ანუ ლოცვა-რიტუალი ქართულ ენაზე აღესრულებოდა, არსებობდა „საერთო წარმართობა" მათ შორის მეგრელთა და სვანთათვის საერთო ქართული ენითა და საერთო ტერმინოლოგიით (ივ. ჯავახიშვილი, თხზ. I, გვ. 156).

IV ს. ბოლოსა და V ს. დასაწყისში რევიან მეფეთა კარზე გაჩაღებულ ქრისტიანული სამწერლობო და კულტურის ენის შექმნა-შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლებსაც, რადგან ივ. ჯავახიშვილის სიტყვით "მის შექმნა-შემუშავებაში მეგრელებსა და

სვანებს თავიანთი წვრილი აქვთ შეტანილი“, ამის პიროვნულ გამოხატულებად ჩვენ უნდა მივიჩნიოთ პატარა პეტრე იბერის (მურვანოსის) აღმზრდელად დასავლეთ საქართველოდან იოანე ლაზის მოწვევა. იოანე ლაზი პატარა პეტრეს „დღე და ღამ“ 3 წლის ასაკიდან ვიდრე 12 წლის ასაკამდე ზრდიდა და მწიგნობრობას ასწავლიდა, როგორც აღნიშნული იყო ქართულ ენაზე. უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი აქტიურად მონაწილეობდა იმ დიდ შემოქმედებით მუშაობაში, რომელიც სამეფო კარზე მიმდინარეობდა საეკლესიო-ლიტერატურული ენის შექმნა-ჩამოყალიბებისათვის IV ს. ბოლოსა და V ს. დასაწყისში. როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში ამ დროს არსებობდა რაღაც სკოლა ამ მიმართულებისა, რომლის წარმომადგენელის მოწვევა ქართველი უფლისწულის აღმზრდელად საჭიროდ მიუჩნევიათ. ს. ყაუხჩიშვილის თვალსაზრისით, იოანე ანუ მითრიდატე ლაზი იყო კოლხეთის ცნობილი რიტორიკული სკოლის წარმომადგენელი, რამდენიმე ათეული წლით უფროსი პეტრე იბერზე. მიუხედავად ამისა, იგი პეტრეს ასწავლიდა არა ბერძნულ მწიგნობრობას, არამედ ქართულს, რადგანაც ბერძნული „ენა და სწავლა“ პეტრემ შეითვისა კონსტანტინოპოლში, ქართლიდან წასვლის შემდეგ, როგორც ეს აღინიშნა. იოანე ლაზი უნდა ყოფილიყო ქართული საეკლესიო საღვთისმსახურო ენისა და ლიტერატურის ფუძემდებელთა, პირველ მთარგმნელთა წრის აქტიური წევრი, ქართული თავდაპირველი მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთი ლიდერი. ამ განცხადების უფლებას იძლევა ის, რომ სწორედ იოანე ლაზის მიერ აგებულ პალესტინის მონასტერში აღმოჩნდა ქართული წარწერები, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, უძველესნი უცხოეთში დღემდე ცნობილ წარწერათა შორის, მათში ნახსენები არიან ანტონი, აბაი, და იოსია. ეს უკანასკნელნი პირველქართველ მთარგმნელებად იყვნენ მიჩნეულნი ძველ საქართველოში. პალესტინის აღნიშნული წარწერების აღმოჩენამდე დიდი ხნით ადრე პირველქართველ მთარგმნელთა ვინაობას შეეხო კალისტრატე ცინცაძე (XX ს. დასაწყისში), იგი წერდა, რომ „პეტრე მაიუმელის მიერ აგებულ მონასტერში უნდა მიეღოთ თავშესაფარი პირველ ქართველ მთარგმნელებს სამშობლიოს გარეთ - სტეფანესა და დავითს... ამავე მონასტერში უნდა ეცხოვრათ და ემოღვაწათ სხვა ძველ მთარგმნელებს ანტონსა და საბას, რომელთა სახელების მოიხსენიება წმ. გიორგი მთაწმიდელის პირადად მცნობის ეფრემ კირილეს ძის ჩანაწერებში“ (Палестинский сборник, X, с.181, წიგნიდან „საღვთისმეტყველო კრებული, №1, 1991, გვ. 176).

მაშასადამე, ძველი ქართული საზოგადოებისათვის ცნობილი იყო პირველ ქართველ მთარგმნელთა სახელები, ესენი იყვნენ დავითი, სტეფანე, ანტონი და საბა. პალესტინის ქართულ წარწერებში იხსენიებიან: ანტონი, აბაი, და იოსია. მიიჩნევა რომ აბა ანტონი იყო აბატი ანუ წინამძღვარი, თუმცა შესაძლოა აქ იყოს ორი კაცის სახელი ანტონი და აბა, მესამე კი არის იოსია. მათ მონასტრის იატაკის დაგებისათვის უზრუნიათ. თუმცა კი ძველი ცნობებით, ისინი მთარგმნელები ყოფილან. ქართული ისტორიოგრაფია პეტრე იბერს აკავშირებდა პირველ ქართველ მთარგმნელობით სკოლასთან, ამ სკოლის წევრი უნდა ყოფილიყო პეტრეს აღმზრდელი და მოძღვარი იოანე ლაზი. ს. ყაუხჩიშვილი მათ აგებულად მიიჩნევს პალესტინის იმ ქართულ მონასტერს, სადაც აღმოჩნდა ზემოაღნიშნული წარწერები მთარგმნელთა სახელებით.

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ იოანე ლაზისა და პეტრე იბერის, საერთოდ დასავლელ და აღმოსავლელ ქართველთა აქტიური ურთიერთ თანამშრომლობის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო ის საოცარი ძველი ქართული საეკლესიო-ლიტურგიკული და ამასთანავე სალიტერატურო ენა, რომელიც მოიცავდა სრულიად საქართველოში არსებულ დიალექტებს (მათ შორის მეგრულსა და სვანურს) და იქვემდებარებდა მათ. საქართველოში იმ დროისათვის, თითქმის 1600წლის წინ არსებული დიალექტები ძალზე ახლოს უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთთან, როგორც ეს მრავალგზის აღინიშნა, და ერთმანეთისაგან უფრო ნაკლები სიშორე უნდა ჰქონოდათ, ვიდრე მათ ამჟამად გააჩნიათ. როგორც ცნობილია, ერთ დროს ქართების, მეგრელებისა და სვანების ენები ერთ ენობრივ მთლიანობას ქმნიდნა და მხოლოდ შემდგომ ათასწლეულთა მანძილზე დაშორდნენ ისინი ერთმანეთს. ფარნავაზის მიერ ერთიანი, დასავლეთ-აღმოსავლეთ

საქართველოს მომცველი სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ და ახ. წ. II-III საუკუნეებში, ქრისტიანობის ქადაგებათა ჟამს, ჩანს მთელ საქართველოში ჯერ კიდევ ესმოდათ ის ერთიანი ენა, რომელიც საფუძვლად დასდებია წარმართულ კულტმსახურების ენას, შემდგომ კი ქრისტიანულ ღვთისმსახურება-ქადაგებას. იმჟამად ჯერ კიდევ არსებული ენობრივი ერთობა დაედებოდა საფუძვლად IV ს. ბოლოსა და V ს. დასაყისში პირველ მთარგმნელთა საქმიანობას. ამ პროცესში, როგორც იოანე ლაზისა და პეტრე იბერიის ურთიერთთანამშრომლობის მაგალითი მიუთითებს, მონაწილეობას იღებდა მთელი ქართველი ერის ინტელექტუალური ზედაფენა. სწორედ ასე უნდა გავიგოთ, ჩვენ ივანე ჯავახიშვილი გამოთქმა, რომ ქართული სალიტერატურო ენის შექმნა-შემუშავებაში თავიანთი წვლილი შეუტანიათ მეგრელებსა და სვანებს, ე.ი. დასავლეთ საქართველოს ქართველობას, მხოლოდ ამის შედეგი იყო ის, რომ „მეგრელებისა და სვანებისათვის ერთადერთი სამწერლო და კულტურის ენა იყო და არის დღესაც ძველი ქართული ენა“ (ივ. ჯავახიშვილი). ამის შედეგი იყო ისიც, რომ როგორც აღინიშნა, საქართველოში არასოდეს შექმნილა რაიმე თხზულება ანდა უბრალო წარწერებიც კი რომელიმე კუთხურ ენასა და დიალექტეზე. ძველი ქართული სალიტერატურო ენა სინამდვილეში იყო საქართველოს ყველა კუთხის მკვიდრთათვის მშობლიური, უმთავრესი ანუ დედა ენა.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

შობა, ჯვარცმა, აღდგომადა ამაღლება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა

იესო ქრისტესი

შობა ქრისტესი

საქართველოდან შორს საბერძნეთში, ათონის წმიდა მთაზე, ივერონის მონასტრის ბერები ძველად წირვისას იმეორებდნენ იმ საგალობელს, რომელსაც ჩვილ იესო ქრისტეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი უგალობდა: - წირვის დიდი გამოსვლისას შესაბამის საგალობელს მარცხენა გუნდის ბერძენი მგალობელი ურთავდა მისამღერს ყველასათვის გაუგებარი სიტყვებით, რომელთა შორის უმთავრესი იყო „ნენანა“. „ბერძენ მომღერალთა სწავლებით „ნენანა“ იგალობება მოსახსენიებლად ღვთისმშობლისა, რომელიც ამ „ნენანას“ (ე.ი. იავნანას) უგალობდა აკვანთან ღვთაებრივ ჩვილს თავისას“ (არქიმანდრიტი პორფირი, პირველი მოგზაურობა ათონის მონასტრებსა და სკიტებში 1845, ნაწ. I, გვ. 71).

‘ნანინას“ მხოლოდ ქართულ სამყაროში უმღერის დედა თავის ჩვილს, ამიტომაც ეს სიტყვები უცნაურია სხვათა სმენისათვის, მაგრამ უცხოელ ბერებს ის დაუცავთ, რაც მიუთითებს ისრაელსა და მის ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხებს შორის მჭიდრო კულტურული კავშირის შესახებ, ისრაელის ჩრდილოეთით მოქცეული ქვეყნები – კაბადოკია, პონტო, კოლხეთი და იბერია – ქართულ სამყაროს წარმოადგენდა, დასახლებულს ქართულად მოსაუბრე ტომებით, რომელთაგან მრავალი თანდათან ასიმილირდა სხვა ხალხებში და უფრო მეტად ბერძნულენოვან ელემენტად იქცა.

ახალშობილი იესოს მოსაგონებლად საუკუნეთა მანძილზე – „ივერთა მონასტრის ბერების საგალობელში ქართული „ნანა“ თუ „იავნანა“ გაისმოდა“... წერს გ. გოზალიშვილი (მითრიდატე პონტოელი, 186).

რა ტკბილი იქნებოდა დედა ღვთისას ბაგით ნათქვამი - „იავნანა“, რა ბედნიერი საცქერია დედის გალობისას აკვანში გაღიმებული და ასხარტალებული ღვთაებრივი ჩვილი.

მათე მახარებელს უწერია: „ხოლო იესო ქრისტეს შობა ასე მოხდა: მისი დედის, მარიამის იოსებზე დანიშვნის შემდეგ, ვიდრე ისინი შეუღლდებოდნენ, იგი აღმოჩნდა სული წმიდისაგან დაორსულებული“ (მათე, 2:18).

მოციქულების სწავლაში, რომელიც ჩვენი მამების სარწმუნოებრივი კრედო იყო, ნათქვამია იესო ქრისტეს შესახებ, რომ იგია, ჩვენი უფალი, ძე ღვთისა, მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ჭეშმარიტი ღმერთი, მამა ღმერთის თანაარსი, რომლისგანაც ყოველი შეიქმნა. ის ჩვენი სიცოცხლისათვის „გარდამოხდა ზეცით და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა და განკაცნა“.

სული წმიდა ისეთივე ჭეშმარიტი და ძლიერი ღმერთია, როგორც მამა ღმერთი და ძე ღმერთი, ის არის უფალი ცხოველსმყოფელი (სიცოცხლის მომცემი).

იესო ქრისტეს, ძე ღმერთის შესახებ ამბობს იოანე მახარებელი: „პირველითგან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღვთისა თანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი (იოანე, 1,1), მოციქული განაგრძობს - „სიტყვა იგი ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენს შორის და ვიხილე დიდება მისი, დიდება ვითარცა მხოლოდშობილისა მამისა მიერ, სავსე მადლით და ჭეშმარიტებით“ (იოანე, 1:14).

რისთვის ინება ღმერთმა დედამიწაზე მოსვლა კაცის სახით? ამას თვით იესო პასუხობს: – „ესრეთ შეიყვარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარცა ძეცა თვისი მხოლოდ შობილი მისცა მას“ (იოანე, 3:16). ხოლო მახარებელი ამატებს: - რამეთუ ძე ღვთისა მოვიდა და მომცა ჩვენ გონებაი, რათა ვიცოდეთ ჩვენ ჭეშმარიტი ღმერთი და ვართ ჩვენ ჭეშმარიტისა თანა ძისა მამისა იესო ქრისტესა, ესე არს ჭეშმარიტი ღმერთი და ცხოვრება საუკუნო (I იოანე, 5,20).

ღვთის თანაარსმა იესომ თვითვე ბრძანა - „მე და მამა ჩემი ერთ ვართ“ (იოანე, 10:30), ისაა შემოქმედი ქვეყნისა, ვითარცა მამა და სული წმინდა ღმერთი - „ყოველივე მის მიერ შეიქმნა და თვინიერ მისსა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა“ (იოანე, 1:3).

და აი, საყვარელი კაცობრიობის გამოსახსნელად სულისაგან წმიდისა და მარადის ქალწულ მარიამისაგან ხორცი შეისხა იესომ. გარდამოვხედ ზეცით ამბობდა ის – არა რათა ვყო ნება ჩემი, არამედ ნება მომავლინებლისა ჩემისა (იოანე, 6:38), - რათა სცნას სოფელმან რამეთუ მიყვარს მე მამა და, ვითარცა მამცნო მე მამამან, ეგრედვე ვყო (იოანე, 14:38). ხოლო მოციქული ამბობს - „ამისათვის მან დაიმდაბლა თავი თვისი“.

იესო ქრისტემ გამოიხსნა კაცობრიობა ცოდვისაგან, რა ცოდვა ჰქონდა კაცობრიობას? ნუთუ ისე დიდი იყო მისი ცოდვა, რომ მხოლოდშობილი ღვთის ძის ქვეყნად მოსვლა იყო საჭირო?

ცოდვა არა თუ ჰქონდა ადამიანებს, არამედ ცოდვა წარმოადგენდა კედელს, მიჯნას კაცობრიობასა და ღმერთს შორის ჩვენი პირველწინაპრების ადამისა და ევას შეცოდების გამო. ღვთის პირველი მცნების დარღვევის შემდეგ ისინი დაშორდნენ სიკეთესა და სისრულეს, დაადგნენ სიკვდილისა და ხრწნის დამღუპველ გზას. ნებისყოფა დასუსტდა და ადამიანი შეიქმნა მონა. ხორციელი გრძნობა გაბატონდა სულიერ გრძნობაზე, სულიერი ბუნების გარყვნას თან მოჰყვა ხრწნა ხორციელისა, გაჩნდა სნეულება და სიკვდილი, პირველადამიანები განიდევნენ სამოთხიდან, ასეთი იყო შედეგი ადამ და ევას ღვთისადმი ურჩობისა, და გადაეცა მათ მიერვე გამრავლებულ კაცობრიობას მათი დაცემის შემდგომი ბუნება. მათი ცოდვა ყოველ კაცზეა, როგორც პავლე მოციქული ბრძანებს (რომ, 5:12)

ამ ცოდვასთან ბრძოლაში სუსტ და უძლურ ადამიანებს ღმერთმა აღუთქვა მაცხოვარის, მხსნელის მოვლინება. იესომ იხსნა კაცობრიობა წყევისაგან „ამისთვის მან დაიმდაბლა თავი თვისი და იქმნა მორჩილ, ვიდრე სიკვდილამდე, და სიკვდილითა მით ჯვარისათა“ (ფილ: 2:8)

იესო ქრისტემ კაცობრიობა გამოიხსნა ცოდვისაგან თავისი მოძღვრებით ცხოვრებით, სიკვდილით, მკვდრეთით აღდგომით და ამაღლებით. ასწავლა კაცობრიობას ჭეშმარიტი ღვთის ცნობა, ახსნა საიდუმლო წმინდა სამებისა. ასწავლა სიყვარული ღვთისადმი და სიყვარული ადამიანებისადმი.

პავლე მოციქული ბრძანებს, რომ იესო ქრისტეს მიერ გვაქვს ჩვენ გამოხსნა სისხლითა მისითა და მოტევება ცოდვათა ჩვენთა სიმდიდრისაებრ მადლისა მისითა (ეფეს, 1:7) „ქრისტემან მოგვიყიდნა ჩვენ წყევისა მისგან სჯულისა და იქმნა ჩვენთვის წყევისა ქვეშე“ (გალ. 3:13).

ვითარცა ადამი არის ხორციელი თავი მთელი კაცობრიობისა, რადგანაც მისგან წარმოსდგნენ ადამიანები, ასევე იესო ქრისტე არის კაცობრიობის სულიერი თავი. ამიტომ როგორც ადამის გამო ყველა ჩვენთაგანი მივეცით სიკვდილს, წყევასა და ცოდვას ისე ქრისტეს მიერ ვიხსნებით ცოდვისა, წყევისა და სიკვდილისაგან - „ვინაიდან თუ ერთის დანაშაულით სიკვდილი სუფევდა ერთის მიერ, მით უმეტეს ისინი, რომლებიც მიიღებენ მადლს და სიმართლის ნიჭს, იმეფებენ ცხოვრებაში ერთის, იესო ქრისტეს მეშვეობით. ამრიგად თუ ერთის დანაშაულით ყველა ადამიანს დაედო მსჯავრი, ასევე ერთის სიმართლით ყველა ადამიანი გამართლდება სასიცოცხლოდ, ვინაიდან როგორც ერთი კაცის ურჩობით ბევრი გახდა ცოდვილი, ასევე ერთის მორჩილებით ბევრი გახდება მართალი“ (რომ, 5:17-19).

მაცხოვარი ებრაელ ერში განკაცდა, რამეთუ ღმერთი განსაკუთრებით ამზადებდა ამ რჩეულ ერს მხსნელის მისაღებად. მისგან უნდა გამოსულიყო მესია. აღთქმა ამისა მრავალგზის განუმეორა ღმერთმა ებრაელებს. აბრაამს უთხრა – იკურთხეოდიან თესლისა მიმართ შენისა ყოველნი ნათესავნი ქვეყნისანი

(დაბ, 27:18), დავით წინასწარმეტყველს უბრძანა: აღვადგინო თესლი შენი შემდგომად შენისა და განვმართო საყდარი მისი უკუნისამდე (2 მეფეთა, 7:12-13). ანუ ქრისტე, ქალწულისაგან შობილი, აბრაამისა და დავითის შთამომავალი უნდა ყოფილიყო, მას უნდა მიეცა ყველა ერისათვის კურთხევა ღვთისა და მას საუკუნოდ უნდა ეუფლა.

და აი, აღსრულდა საუკუნეთა მანძილზე გამოთქმული წინასწარმე-ტყველებანი: წარმოიგზავნა ღმერთისგან ანგელოზი გაბრიელი გალილეის ქალაქს, რომლის სახელია ნაზარეთი, ქალწულთან, რომელიც დანიშნული იყო კაცზე, რომელსაც ერქვა იოსები, დავითის სახლისაგან და ქალწულის სახელი იყო მარიამი. შევიდა მასთან და უთხრა: „გიხაროდეს მადლიანო, შენთან არს უფალი, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის". ის კი შეაძრწუნა ამ ნათქვამმა და ჩაფიქრდა: რანაირია ეს მისალმება და უთხრა მას ანგელოზმა: „ნუ გეშინია მარიამ, ვინაიდან მადლი ჰპოვე ღმერთთან. აი, დაორსულდები და გაგიჩნდება ძე და მას სახელად იესოს დაარქმევ, დიადი იქნება ის და უზენაესის ძედ იწოდება. მისცემს მას უფალი ღმერთი მისი მამის, დავითის ტახტს და უკუნისამდე იმეფებს იაკობის სახელზე და მის მეფობას არ ექნება დასასრული."

უთხრა მარიამმა ანგელოზს: „რანაირად იქნება ეს, როცა მე მამაკაცი არ ვიცი?"

ანგელოზმა მიუგო პასუხად: „სულიწმიდა მოვა შენს ზედა და უზენაესის ძალა დაგჩრდილავს, ამიტომ წმიდა შობილიც იწოდება ძე ღმერთისად".

მაშინ მარიამმა თქვა: „აჰა, მხევალი უფლისა დაე იყოს ჩემდა შენი სიტყვისამებრ, და წავიდა მისგან ანგელოზი" (ლუკა 1: 26-35).

გალილეა პალესტინის აყვავებული მხარე იყო, პურის ყანებით, ხეხილის ბაღებით, ვენახებით, ცივი წყაროებით, ცხვრის მრავალრიცხოვანი ფარებით სავსე. ყვავილოვანი ჭალებით ის არ ჰგავდა ქვიან იუდეას. გალილეა ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარეობდა და მასა და იუდეას შორის სამარია იყო, ხოლო იუდეას სამხრეთით – იდუმეა. გალილეას მთავარი ქალაქები გენესარეთის ტბის გარშემო იყვნენ განლაგებულნი. მას ტიბერიადის, ხან კი გალილეის ზღვას უწოდებდნენ. მისი წარმტაცი სანაპიროები თვალს ხიბლავდნენ ზეთისხილის ბაღებითა და პალმის ტევრებით. ტბის გემრიელი თევზით იკვებებოდნენ სანაპიროს ქალაქები და სოფლები. დღითა და ღამით ტბა მეთევზეთა ნავებით იყო დაფარული.

ტბისპირა პატარა ლამაზი ქალაქები კაპერნაუმი, ტიბერიადა, ხორაზანი და ბეთსაიდა მშრომელი ხალხით იყო დასახლებული, ამუშავებდნენ მიწას, ვაჭრობდნენ, თევზაობდნენ და საქმიანობდნენ. აქ გალილეის პატარა ქალაქში, უფრო კი სოფელში გაატარა იესომ თავის ცხოვრების მეტი ნაწილი, ოცდაათ წელზე მეტი. ამიტომაც, ვინც მისი შობის ადგილი არ იცოდა, იესოს ნაზარეველს უწოდებდა. მისი ჭეშმარიტი სამშობლო კი დავითის ძველი ქალაქი იყო იუდეაში, სადაც ის იშვა.

იოსები, მარიამის დამწინდველი, რომლის ოჯახშიც დაიბადა იესო, გალილეველი არ იყო, არამედ დავითის სახლისა და ტომის შთამომავალი, დავითის ქალაქელი - ბეთლემელი. ამიტომაც, რაც ქვეყანაში მოსახლეობის აღწერა გამოაცხადეს, ვალდებული გახდა თავისი ოჯახით გალილეიდან თავის ქალაქში წასულიყო და იქ ჩაწერილიყო.

ქვეყნის აღწერის ჟამს, მარიამი ორსულად იყო, რამაც რამდენიმე თვის წინ მახარებლის სიტყვით, შეაშფოთა იოსები, რომელიც მარიამთან შეუღლებას აპირებდა: „მარიამის იოსებზე დანიშვნის შემდეგ, ვიდრე ისინი შეუღლდებოდნენ აღმოჩნდა, რომ მას ჰყავდა ჩანასახში სულიწმიდისაგან. ხოლო იოსები - მისი ქმარი მართალი იყო. არ ისურვა მისი სამაგალითოდ გამოყვანა და უნდოდა უხმაუროდ გაეშვა იგი. როცა ამას ფიქრობდა, აი, ეჩვენა მას სიზმარში უფლის ანგელოზი და უთხრა: იოსებ, ძეო დავითისა, ნუ შეგაშინებს შენი ცოლის - მარიამის მიღება, ვინაიდან ის, რომელიც მასშია ჩასახული, სულიწმიდისაგან არის. ძეს გააჩენს და დაარქმევ მას სახელად იესოს, ვინაიდან იგი იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვისაგან. ყოველივე ეს მოხდა, რათა აღსრულდეს უფლის ნათქვამი წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: აი, ქალწული დაორსულდება, გაუჩნდება ძე და დაარქმევენ მას სახელად

ემანუელს, რაც თარგმანით ნიშნავს: ღმერთი ჩვენთანაა. იოსებმა რომ გაიღვიძა და წამოდგა, ისე მოიქცა, როგორც უფლის ანგელოზმა უბრძანა, და მიიღო თავისი ცოლი. არ გაჰკარებია მას" (მათე, 1:18-25).

რამდენიმე თვის შემდეგ, როგორც ითქვა, ქვეყანაში აღწერა ჩატარდა. იოსები მშობლიურ ქალაქში გაემგზავრა იმჟამინდელი წესის თანახმად ,,ყველანი მიდიოდნენ ჩასაწერად, თვითოეული თავის ქალაქში. იოსებიც წავიდა გალილეიდან, ქალაქ ნაზარეთიდან იუდეას, დავითის ქალაქში, რომელსაც ეწოდება ბეთლემი, ვინაიდან იგი იყო დავითის სახელისა და ტომისაგან, ჩასაწერად მარიამთან ერთად, რომელიც მასზე იყო დანიშნული და იყო ორსულად. და შვა ძე თავისი, პირმშო, შეახვია და მიაწვინა იგი ბაგაში, ვინაიდან სასტუმროში არ იყო ადგილი მათთვის" (ლუკა, 2. 3-7)

მართალია იოსებიცა და მარიამიც ებრაელთა ყველაზე სახელოვანი მეფის შთამომავლები იყვნენ, მაგრამ ქონებრივად ღარიბნი, თავი ოჯახისა დურგლობდა, მარიამი კი ოჯახში საქმიანობდა. თავიანთი დიდი წინაპრების ქალაქში მათ დასაძინებელი ადგილიც კი არავინ მისცა, თუმცა აღწერის საქალაქო წიგნში ჩაეწერნენ ვითარცა დავითის შთამომავლები, იუდეაში ყველამ იცოდა თავისი გენეალოგია და შენახული ჰქონდა ხსოვნა წინაპართა სანათესაოს უკვე გამქრალი განაყოფების შესახებ. ებრაული ჩვევით, როგორც ითქვა, აღწერისას წინაპართა ქალაქში ეწერებოდნენ.

იუდეა, რომელიც იმ დროს რომის იმპერიის ნაწილს შეადგენდა, პოლიტიკურად აშლილი იყო, ებრაელები ძნელად ეგუებოდნენ რომაელთა მმართველობას. ამის გამო ალბათ მგზავრობა გალილეიდან დავითის ქალაქამდე გაძნელდა. დაღლილი მგზავრები სასტუმროში უბინაობის გამო იძულებულნი გახდნენ, იქვე ახლოს, გამოქვაბულში მოწყობილი ბაგისათვის შეეფარებინათ თავი, სადაც თივა და ჩალა ეყარა ცხვარ-ძროხის გამოსაკვებად. აი, აქ სახლიდან მოშორებით, ცივ ღამეს, არა თუ რაიმე მიწიერი ფუფუნებით, არამედ ყოვლად კეთილმოუწყობელ გარემოში დაიბადა ქრისტე.

თუკი ადამიანთა ერთი ნაწილისათვის იესოს შობა შეუმჩნეველი დარჩა, ზეციური სამყარო ძე ღვთისას შობამ შეძრა, ბრწყინვალე ვარსკვლავი მისი შობის ადგილს დაადგა, მგალობელმა ანგელოზებმა კი ყველაზე უბრალო და მარტივ ადამიანებს – მწყემსებს ახარეს მაცხოვრის შობა.

მახარებელი წერს: ,,იმ მხარეში იყვნენ მწყემსები მინდვრად და ღამით დარაჯობდნენ თავიანთ სამწყსოს. და აი, უფლის ანგელოზი წარმოუდგა მათ, უფლის დიდება გამოუბრწყინდათ და შეშინდნენ დიდი შიშით. უთხრა მათ ანგელოზმა: ნუ გეშინიათ, აი გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისა იქნება: ვინაიდან დღეს დავითის ქალაქში თქვენ დაგებადათ მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი. და ეს თქვენდა ნიშნად: იმ ყრმას ჰპოვებთ შეხვეულს ბაგაზე მწოლიარეს.

და უეცრად გაჩნდა ანგელოზთა დიდძალი ჯარი ციდან, რომელნიც აქებდა ღმერთს და ამბობდა: ,,დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება". (ლუკა, 2:9-14).

მწყემსები გაოცებით შესცქეროდნენ ზეციდან გამოსული მგალობელი ანგელოზების ჯარს და როცა ანგელოზები კვლავ ზეცად ავიდნენ, უთხრეს ერთმანეთს: წავიდეთ ბეთლემს და ვნახოთ რა მოხდა რაზეც გვაუწყა უფალმა.

,,სწრაფად მივიდნენ და ნახეს მარიამი და იოსები, და ბაგაზე მწოლიარე ყრმა. დანახვისთანავე უამბეს იმის შესახებ, რაც ეთქვათ ამ ყრმაზე. ყველას ვინც კი ისმენდა, უკვირდა, რასაც მწყემსები უამბობდნენ მათ". (ლუკა, 2:15-18).

მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო მათი გაკვირვება სპარსეთიდან ყრმის თაყვანის საცემად საგანგებოდ ჩამოსული მოგვების დანახვისას. კიდევ უფრო გაოცებული იყო მთელი იერუსალიმი, როცა მათ მოგვებისაგან გაიგონეს, რომ დაიბადა იუდეველთა მეფე. ტახტზე მჯდომი მეფე ჰეროდე კი პირიქით, ამ ამბავის გაგონებისას – გაოგნდა.

მათე წერს - ,,როცა იესო დაიბადა იუდეას ბეთლემში, მეფე ჰეროდეს დღეებში, იერუსალიმში მოვიდნენ ვარსკვლავთმრიცხველნი აღმოსავლეთიდან და თქვეს: სად არის იუდეველთა მეფე რომ

დაიბადა? ვინაიდან ვიხილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რომ თაყვანი ვცეთ მას. ეს რომ გაიგონა, შეძრწუნდა მეფე ჰეროდე და მასთან მთელი იერუსალიმი“ (მათე, 2:1-3)

იერუსალიმიდან გამოსვლის შემდეგ მოგვებმა კვლავ დაინახეს „ვარსკვლავი, რომელიც მათ აღმოსავლეთში იხილეს. წინ უძღოდა მათ, ვიდრე მივიდოდა და გაჩერდებოდა იმ ადგილზე, სადაც ყრმა იყო. ვარსკვლავი რომ დაინახეს, მათ ძალზე დიდი სიხარულით გაიხარეს. როცა სახლში შევიდნენ, დაინახეს ყრმა მარიამთან, თავის დედასთან, დაემხნენ და თაყვანი სცეს მას, გახსნეს თავიანთი საუნჯენი და მიართვეს მას ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური (სმირნა)“ (მათე, 2:9-11).

ჰეროდე, ხალხისათვის საძულველი, უკანონო, რომაელთა მიერ დადგენილი იუდეის მეფე, შეძრა მოგვთა მიერ მოტანილმა ცნობამ „იუდეველთა მეფის“ დაბადების შესახებ. რა ტანჯვა-წამებით, სისხლის წვიმებითა და ვერაგობით მიიღო მან ეს ტახტი, რომლისთვისაც არ დაინდო ყველაზე უახლოესი ნათესავები, მისთვის დახოცა საყვარელი შვილები, უსაყვარლესი მეუღლე. ებრაელები მას „უცხოელს“ უწოდებდნენ, უკანონოდ მჯდომს დავითის ტახტზე, ახლა კი ვიღაც ყრმას, ახლადდაბადებულს „იუდეველთა მეფეს“ უწოდებენ, მას კი ტახტზე მჯდომს არარად თვლიან, მას, რომელმაც ებრაელებს განუახლა, უფრო კი ხელახლა აუშენა ძველზე გაცილებით მდიდრული, სოლომონისეულზე უფრო კეთილმოწყობილი ტაძარი, ისეთი არქიტექტურული საოცრება, რომ ამბობდნენ „ვისაც არ უხილავს ჰეროდესეული ტაძარი, მან არ იცის რა არის მშვენიერება“. აუშენა ქალაქები, გზები და ნავსადგურები. ახლა კი მოხუც, ავადმყოფ ჰეროდეს ტახტის მოცილე გაუჩნდა, ჩვილი ახალშობილი. არა, მან უთუოდ უნდა გაიგოს თუ სად დაიბადა ყრმა და ჩამოიშოროს. თვითონ ამბის მომტანი მოგვები იტყვიან მის ვინაობას, რამდენად სწორია ამ მისნების ცნობა? ვითომ მართლა დაიბადა ქრისტე ანუ იუდეველთა მეფე-მესია? ამიტომაცო, წერს მათე მახარებელი, ჰეროდემ - „შეკრიბა ყველა მღვდელმთავარი და ხალხის მწიგნობარნი და ჰკითხა მათ, სად უნდა იშვას ქრისტე? მათ კი უთხრეს მას: იუდეის ბეთლემში, ვინაიდან ასეა დაწერილი წინასწარმეტყველის მიერ: „და შენ ბეთლემო, იუდას მიწავ, არაფრით ხარ ნაკლები იუდას მთავრებს შორის, ვინაიდან შენგან გამოვა წინამძღოლი, რომელიც დამწყემსავს ჩემს ხალხს ისრაელს“.

მაშინ ჰეროდემ მალულად დაიბარა ვარსკვლავთმრიცხველები, გამოიძია ვარსკვლავის გამოჩენის დრო და წარგზავნა ისინი ბეთლემს და უთხრა: „წადით გულმოდგინედ გამოიკითხეთ იმ ყრმის ამბავი და როცა იპოვით, შემატყობინეთ, რომ მეც მივიდე და თაყვანი ვცე მას“ (მათე, 2: 4-8).

მოგვებმა ბეთლემში ინახულეს იესო, თაყვანი სცეს, შემდეგ კი სიზმრად მიიღეს გაფრთხილება – არ დაბრუნებულიყვნენ ჰეროდესთან. სხვა გზით წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში.

„ძალიან განრისხდა ჰეროდე, როცა ნახა, რომ გააბაიბურეს ვარსკვლავთ-მრიცხველებმა, წარგზავნა და მოაკვლევინა ყოველი ყრმა ორი წლისა და იმაზე უმცროსები ბეთლემში და მის მთელ შემოგარენში, იმ დროის მიხედვით, როგორც ვარსკვლავთმრიცხველთაგან გამოიძია“ (მათე, 2:16).

ბეთლემსა და მის მიდამოებში თოთხმეტი ათასი ყრმა მოუკლავთ, მათ შორის, ჰეროდეს ფიქრით იქნებოდა იესო ქრისტე.

ჰეროდე – ეროვნებით არა ებრაელი, არამედ იდუმეველი იყო. აქამდე, სულ ათიოდე წლის წინ მიაღებინა იდუმეველებს ებრაელთა სახელმწიფოს აღმდგენელმა იოანან ჰირკანმა (ძვ.წ. 135-104) – იუდეველთა სარწმუნოება, რომელმაც უფრო ადრე სამარიელები დაიმორჩილა და გერიზიმის მთაზე აღმართული ტაძარი დაუნგრია. ჰირკინის სისხლიანი შთამომავლობა მართავდა ებრაელთა ახლად აღდგენილ სახელმწიფოს. მაკაბელთა გმირული სული სამაგალითო და ხალხისათვის სათაყვანო, სახელმწიფოს გაძლიერების შემდგომ დაიშრიტა. ომი ტახტისათვის სამოქალაქო ომში გადაიზარდა. მაკაბელთა გენეალოგია ასეთია:



მაკაბელთა საოჯახო ინტრიგებმა ტახტისკენ გზა გაუკაფა ანტიპატრე იდუმიელს, გაქნილსა და ცბიერ კაცს, რომელსაც (რომაელთა წინააღმდეგ აჯანყებულ არისტობულ II-ის ვაჟების დამარცხების შემდეგ) იულიუს კეისარმა უწყალობა პროკურატორის წოდება. მისი ვაჟი – ჰეროდე რომაელებმა გალილეის პრეფექტად დანიშნეს. ხოლო როცა დაკნინებული მაკაბელთა შთამომავალი, არისტობულ II-ის უმცროსი ძე აჯანყდა და ტახტი დაიჭირა, რომმა ის მეამბოხედ გამოაცხადა, სამეფო ტახტზე უფლებები ჩამოართვა. ასე დასრულდა მაკაბელთა დინასტიის ასოცდაათწლიანი ბატონობა.

იუდეას მეფე – ჰეროდე იმდენად ეჭვიანი იყო ტახტის კანონიერი მემკვიდრე დინასტიის, დავითის შთამომავლობის მიმართ, რომ არ დაინდო თვით თავისი მეუღლე მარიამი, დედამისი და საკუთარი შვილები, რომელთა ძარღვებშიც მაკაბელთა სისხლი ჩქეფდა. ძვ. წელთაღრიცხვის 4 წელს მოხუცი ჰეროდე გარდაიცვალა.

ჰეროდეს გარდაცვალებამდე, როცა მან ბეთლემელ ყმაწვილთა დახოცვა ბრძანა, წმიდა ოჯახი – იოსები, მარიამი და ჩვილი იესო, ანგელოზის მითითებით ეგვიპტისაკენ გაემგზავრნენ. მოგვთა თაყვანისცემის შემდეგ „ანგელოზი ეცხადება სიზმარში იოსებს და ეუბნება ადექი, წაიყვანე ყრმა და მისი დედა და გაიქეცი ეგვიპტეს და იყავი იქ ვიდრე მე გეტყოდე; ვინაიდან ჰეროდეს სურს მაგ ყრმის მოძებნა, რათა დაღუპოს იგი. იგი წამოდგა, ღამით წაიყვანა ყრმა და მისი დედა და წავიდა ეგვიპტეს. იქ იყო ჰეროდეს სიკვდილამდე, რათა აღსრულდეს უფლის ნათქვამი წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: ეგვიპტიდან მოვუხმე ძესა ჩემსა“ (მათე, 2:14-15).

იქამდე კი მოსეს სჯულის მიხედვით, ჩვილს მერვე დღეს უწოდეს სახელი იესო, თანახმად ანგელოზის სიტყვისა: „როგორც კი მერვე დღე შესრულდა მისი წინადაცვისათვის დაარქვეს მას სახელი იესო, ანგელოზის მიერ დარქმეული მუცელში ჩასახვამდე, ხოლო როცა გასრულდნენ მათი

განწმენდის დღენი მოსეს სჯულის მიხედვით, ჩაიყვანეს იგი იერუსალიმს, უფლის წინაშე წარსდგნენ. როგორც უფლის სჯულში სწერია, ყოველ მამრობითს, რომელმაც განაპოს საშო, წმიდა უფლისა ეწოდოს. და შესწირონ მსხვერპლი, როგორც უფლის სჯულშია ნათქვამი, ორი გვრიტი, ან ორი მართვე მტრედისა. და აი, იყო იერუსალიმში კაცი სახელად სიმონი, კაცი მართალი და ღვთის მოშიში, რომელიც მოელოდა ისრაელის ნუგეშისცემას და იყო მასზედა სულიწმიდა და სულიწმიდის მიერ ჰქონდა ნაუწყები, რომ არ იხილავდა სიკვდილს, ვიდრე არ იხილავდა უფლის ცხებულს. და სულის შთაგონებით მივიდა ტაძარში და როდესაც მშობლებმა მიიყვანეს ყრმა იესო, რომ მოქცეოდნენ მას რჯულის წესისამებრ, მან ხელთ აიყვანა ყრმა, ადიდა ღმერთი და წარმოთქვა: „აწ განუტევე მონაი შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით. რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვრებაი შენი, რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა, ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა“. და მის მამას და დედას უკვირდათ მისის ნათქვამი: აკურთხა სიმონმა ისინი და უთხრა მარიამს, მის დედას: „აჰა, ესერა ესე დგას დაცემად და აღდგინებად მრავალთა ისრაელსა შორის და სასწაულად სიტყვის საგებელად და თვით შენსაცა სულსა განვიდეს მახვილი, რათა განცხადდნენ მრავალთაგან გულის ზრახვანი“. იქვე იყო ანა წინასწარმეტყველი ფენუელის ასული, ასერის ტომისაგან, ღრმად მოხუცებული, თავისი ქალწულობის შემდეგ შვიდ წელიწადს ნაცხოვრები ქმართან. იყო დაახლოებით ოთხმოცდაოთხი წლის ქვრივი, რომელიც არ შორდებოდა ტაძარს, მარხვით და ვედრებით ემსახურებოდა ღამით და დღისით. ისიც იმავე ჟამს იყო მისული და ადიდებდა ღმერთს და ელაპარაკებოდა მის შესახებ ყველას, ვინც გამოსყიდვას მოელოდა იერუსალიმში“ (ლუკა, 2:21:19).

სიმონმა, რომელიც მაცხოვრის შობამდე არ უნდა მომკვდარიყო, ჩვილ იესოს უწოდა „წარმართთა გასაბრწყინვებელი სიმართლე“ (ანუ მსოფლიოს ყველა ხალხისა და ერის ნათელი), და „შენი ხალხის ისრაელის სადიდებელი“. ისრაელის ქვეშ აქ იგულისხმება როგორც ძველი აღთქმის ისე ახალი აღთქმის ხალხი. მოხუცმა სიმონმა განტევება, ანუ ამქვეყნიური ცხოვრებიდან იმქვეყნიურში გაშვება თხოვა თავის უფალს იესოს. ხოლო მარიამს უწინასწარმეტყველა მწუხარება მისი შვილის ვნებისას. მოხუცი ანა, რომელმაც იცნო მაცხოვარი, იერუსალიმში აუწყებდა ამ სიხარულს ყველს, რამაც, მოსახლეობაში დიდი გამოძახილი ჰპოვა.

ყველა ელოდა მესიას. ხმამ, ჩანს ჰეროდეს ყურამდეც მიაღწია და უფრო განუმტკიცდა გადაწყვეტილება ამოეხოცა ჩვილები. მშობლებმა ჩვილი იესოსათვის, როგორც ითქვა აღასრულეს რჯულის ყოველი წესი. რაც გვიჩვენებს, რომ ქრისტე მოვიდა არა კანონების დასარღვევად, არამედ აღსასრულებლად, ანუ როგორც ის ამბობდა - „შვენის ჩვენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე“ (მათე, 3:15). რითაც ქრისტიანებს ასწავლა სულიერი წინადაცვეთა, წინადაცვეთა გულისა და ხორციელი გრძნობებისა. ამავე დღეს უწოდეს ქრისტეს იესო, რაც ქართული ფორმაა ებრაული სახელისა იეშუა (ნიშნავს - „მისი ხსნა არის იაღვე“, სახელიდან - ოშია ანუ ოსია - „ხსნა“ (იხ. ფ. ფარარ, იესო ქრისტეს ცხოვრება, ს. პეტერბურგი, 1893, გვ. 8-11).

იეშუადანაა ძველი ქართული ფორმა – იესუ. ებრაული - „მესია“ და ბერძნული „ქრისტე“ აღნიშნავდა მის მსახურებას ვითარცა ცხებული წინასწარ-მეტყველისა, მღვდელმთავარისა და მეფისა. მეორმოცე დღეს, როგორც ითქვა, ახალშობილი, ქალწულმა მარიამმა ტაძრად მიიყვანა, განსაწმედად და ღვთისათვის მისაძღვნელად. ამ დროს შესაწირიც იყო მისატანი. მარიამმა ყველაზე მოკრძალებული ძღვენი მიიტანა. მაგრამ მესია - შეუცნობელი არ დარჩენილა მოხუცისათვის.

საბედნიეროდ ჰეროდე მალე გარდაიცვალა და წმიდა ოჯახს საშუალება მიეცა ეგვიპტედან სამშობლოში დაბრუნებისა. „ჰეროდეს სიკვდილის შემდეგ კი, აი ეგვიპტეში იოსებს, სიზმარში ეცხადება უფლის ანგელოზი და ეუბნება: ადექი, წაიყვანე ყრმა და მისი დედა და წადი ისრაელის ქვეყანაში, ვინაიდან დაიხოცნენ, რომლებიც ყრმის სულს ეძებენ. იგი ადგა, წაიყვანა ყრმა და მისი დედა და მივიდა ისრაელის ქვეყანაში. ხოლო როცა მოესმა, რომ მამამისის ჰეროდეს ნაცვლად არქელაოსი მეფობს

იუდეაში, შეეშინდა იქ წასვლა, მაგრამ სიზმრად მიიღო გაფრთხილება და წავიდა გალილეის მხარეში, მივიდა და დასახლდა ნაზარეთად წოდებულ ქალაქში, დაე შესრულდეს წინასწარმეტყველის მიერ ნათქვამი, რომ მას დაერქმევა „ნაზარეველი“ (მათე, 2:19-23).

მაშინ იესო ერთი წლის თუ იქნებოდა. ნაზარეთში გაატარა მან თითქმის მთელი ცხოვრება. მოგზაურთა სიტყვით ნაზარეთი და მისი სანახები – წარმტაცი კუთხეა წმიდა მიწისა. გაზაფხულობით ის ნამდვილი აყავებული ბაღია, მცხოვრებნი – ლამაზი, წარმოსადეგი, კეთილი ადამიანები მხოლოდ მიწის დამუშავებითა და საქონლის მწყემსობით არ იყვნენ დაკავებულნი – გალილეაში ისე, როგორც მთელ პალესტინაში, დუღდა გრძნობები, ოცნებობდნენ თავისუფლებასა და ოქროს საუკუნეზე. ყველა ებრაელმა პალესტინის ქვეყანაში იცოდა, რომ იდგა ჟამი მესიის მოსვლისა, ყველას სწამდა წინასწარმეტყველებანი ამის შესახებ. ხალხი შეპყრობილი იყო ამ იდეით, სულითა და გულით ჩართული ამ სულიერ მოძრაობაში. დაიწყო რომაელთა, უკანონო მმართველთა, საწინააღმდეგო ამბოხებები, შეთქმულებანი, შეიქმნა ბებუთიან ტერორისტთა ჯგუფები, რომლებიც თავს ესხმოდნენ რომაელებს, არ ინდობდნენ მათთან მოთანამშრომლე იუდეველებს. იუდეასა და გალილეაში ხალხი მძვინვარებდა. ასე იყო ღვთის შობიდან მის განცხადებამდე. ამგვარ გარემოში გაატარა იესომ ბავშვობა და სიჭაბუკე.

როცა ის იყო ათი წლისა გალილეა ავჯანყდა ვინმე ფანატიკოს იუდას მეთაურობით. მან და მისმა მიმდევრებმა სათავე დაუდეს მებრძოლი მესიანიზმის პარტიას. ისინი იყვნენ ანარქისტები რელიგიური სახის მქონენი. იუდა უარყოფდა რაიმე ხელისუფლებას ღვთის ერზე და აღიარებდა მხოლოდ ღვთის ხელისუფლებას. თეოკრატიული იდეებით აღტკინებულმა ბრბომ, რომელიც უკვე თითქმის არმიად ქცეულიყო, აიღო ერთი ქალაქი, ხელთ იგდო იარაღი და ფული. ავჯანყება რომაელებმა ჩაახშეს. იუდა მიიმალა. მაგრამ გალილეველები არ დამშვიდდნენ.

იოსების მშვიდი ოჯახი მდიდარი არ იყო. დურგლობა მხოლოდ ოჯახის გამოსაკვებად იყო საკმარისი. ჩანს იესომ პატარაობიდანვე შეისწავლა დურგლობა, რაც ჩანს მარკოზის სახარებაში როცა გალილეველები ამბობენ - „ეს ხურო არ არის, მარიამის ძე, იაკობისა და მოსეს, იუდასი და სიმონის ძმა? აქვე ჩვენთან არ იმყოფებიან მისი დები?“ (მარკ., 6:3)

იოსების აპოკრიფში ნათქვამია, რომ იოსებს ჰყავდა ოთხი უფროსი შვილი და რამდენიმე ქალიშვილი წინა ქორწინებიდან, რომ უფროსი ვაჟები – იუსტი და სიმონი და ქალები – ეთერი და თამარი სახლიდან გასულები იყვნენ – თავიანთი ოჯახები ჰქონდათ შექმნილი. მაგრამ იუდა და იაკობი მარიამთან და იესოსთან ცხოვრობდნენ. აქვე წერია, რომ პატარა იესო იოსებს – მამას, მარიამს კი დედას უწოდებდა. ის იყო გამგონი და არასოდეს ეწინააღმდეგებოდა, მუდამ ემორჩილებოდა მათ. არ განურისხებია, უხეშად არასოდეს უპასუხნია მათთვის. პირიქით ეფერებოდა, ეალერსებოდა უსაზღვრო სიყვარულით: „ვითარცა თვალის ჩინს თავს ვევლებოდი მათო“– წერს იესოს პირით ავტორი.

მეორე უფრო გავრცელებული თვალსაზრისით ‘უფლის ძმები“ სინამდვილეში მისი დეიდაშვილები იყვნენ. მარიამის და, რომელსაც ასევე მარიამი ერქვა, როგორც ფიქრობენ მითხოვილი იყო ალფეს ანუ კლეოპას და ისინი იყვნენ მათი შვილები, ისინი შემდგომ ეკლესიის სვეტებად იქცნენ.

ჩვენი მაცხოვარი, რომელიც ყოველმხრივ ჩვენი მსგავსი იყო თავისი კაცობრივი სახით, სიყრმიდანვე ჩანს, ისევე სწავლობდა, როგორც სხვა მისი თანატოლები. პირველდაწყებითი განათლება იესომ უთუოდ სახლში მიიღო, როგორც ამას კანონი მოითხოვდა – „ასწავლეთ თქვენს შვილებს, ელაპარაკეთ ამაზე შინ ყოფნისას და გზაზე სვლისას, დაწოლისას და ადგომისას“ (მეორე, 11:19). საერთოდ იუდეველი ყმაწვილები სინაგოგასთან არსებულ სკოლაში სწავლობდნენ წმიდა წერილს, წეს-ჩვეულებებს, თვით სინაგოგაში ლოცვის დღეებში ისმენდნენ მოხუცთაგან სჯულის კანონებსა თუ წინასწარმეტყველებას.

საერთოდ ებრაელები მაღალი განათლებით სრულიად გამოირჩეოდნენ სხვათაგან. ტყვეობიდან დაბრუნებისთანავე ეზრამ ძვ.წ. 450 წელს შექმნა განსწავლულ კაცთა დიდი საკრებულო-სასულიერო აკადემია მოსწავლე ახალგაზრდების დიდი რიცხვით. დაკანონებული იყო თორის კითხვის საუძრო

წესი. თორის კითხვის დღედ, შაბათისა და დღესასწაულების გარდა დააკანონეს ორშაბათი და ხუთშაბათი. სწავლულთა საკრებულო პირველ ყოვლისა წმიდა წიგნების განმმარტებელი იყო. საერთოდ სარწმუნოებრივი ცოდნის განმამატკიცებელნი იყვნენ წინასწარმეტყველნი – ისინი მასწავლებლები იყვნენ იმავდროულად, და ხშირად ღვთისმსახურების რიტუალსა და ცერემონიალზე წინ აყენებდნენ ადამიანთა სამართლიანობას, ღვთის ერთგულებას, სიკეთეს, გულმოწყალებას, ზნეობრივ სიწმიდეს, პატიოსნებას ყოველი იუდეველისას. პირველქრისტიანული ეკლესიის ზოგიერთი დიდ მოღვაწე, მაგალითად პავლე მოციქული ცნობილი გამალიელის, სინედრიონის მეთაურის, მოწაფედ ითვლებოდა. ეს იყო შვილიშვილი ცნობილი დიდად განსწავლული კაცისა – ჰილელისა, რომელმაც დააარსა თავისი სკოლა იუდეველთა რჯულის სწავლებისა. (ამ სკოლის საპირისპირო მიმართულებისა იყო შამაის მიერ შექმნილი სკოლა). გალილეაში იესო „იზრდებოდა, მტკიცდებოდა სულით და ივსებოდა სიბრძნით“ (ლუკა, 2:40)

წმინდა სახარება თითქმის არაფერს გვამცნობს ქრისტეს ყრმობის შესახებ, მხოლოდ ლუკა მახარებელმა შემოგვინახა ერთი საინტერესო ეპიზოდი მისი ბავშვობიდან.

იესოს მშობლები, როგორც სხვა კეთილმორწმუნე იუდეველები, დღესასწაულის დღეებში დადიოდნენ იერუსალიმში. ერთხელ პასექამდე მცირე ხნით ადრე, სხვა მლოცველებთან ერთად წავიდნენ წმიდა ქალაქში იოსები და მარიამი, მათთან ერთად იყო ღმერთის მადლით სავსე ყრმა იესო „თორმეტი წლისა რომ გახდა მაშინ ამოვიდნენ იერუსალიმში დღესასწაულის ჩეულების მიხედვით. როცა დღესასწაულის დამთავრების შემდეგ ისინი დაბრუნდნენ, ყრმა იესო დარჩა იერუსალიმში, ხოლო იოსებმა და დედამისმა არ იცოდნენ. ეგონათ მოგზაურთა შორის არისო. ერთი დღის გზა რომ გაიარეს, მაშინ დაუწყეს ძებნა ნათესავებსა და ნაცნობებს შორის. და რომ ვერ იპოვეს იგი დაბრუნდნენ იერუსალიმში და ეძებდნენ მას. სამი დღის შემდეგ იპოვეს ტაძარში, მჯდომი მოძღვართა შორის, უსმენდა და ეკითხებოდა მათ. ყოველ მის მსმენელს აოცებდა მისი გონება და პასუხი. რომ დაინახეს იგი გაუკვირდათ და დედამისმა უთხრა მას: ეს რა გვიყავი შვილო? აი მამაშენი და მე გულდამწუხრებულები გეძებდით. მან უთხრა მათ: „და რას მეძებდით მე? არ უწყით რამეთუ მამისა ჩემისა თანა ჯერ-არს ჩემი ყოფა? (ლუკა, 2:42-49).

განცხადება უფლისა

მახარებლები არაფერს გვიამბობენ ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს გარეგნობის შესახებ, მაგრამ მონათხრობიდან ჩანს, რომ მისი იერ-სახე ადამიანებზე განუმეორებელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. საკმარისია გავიხსენოთ დიდ განდეგილი იოანე ნათლისმცემელი, რომელიც თავისი ცხოვრების წესით ხაზგასმით მიუთითებდა, რომ არ ესაჭიროებოდა ადამიანებისაგან მიღებული არავითარი ამქვეყნიური სიკეთე, საკვები თუ ტანსაცმელი, გამოჩენილ პირებს უშიშრად განიკითხავდა, განურჩევლად ყველას გაწმედისაკენ მოუწოდებდა და ის შეხედვისთანავე დამატყვევებლად მოიხიბლა ქრისტეს საზეიმო დიდებულებით. ქრისტემ ელვისებურად დაისაკუთრა თავისი მომავალი მოწაფეების გული. იყო რაღაც მშვენიერება მის სახესა, გამოხედვასა და ხმაში, რომელიც მტრებსაც კი აიძულებდა მისთვის მოწიწებით მიემართათ. დასაჭერად მისული ტაძრის მცველები მისით მოიხიბლნენ, პილატეს კი მისმა გარეგნობამ აღუძრა თანაგრძნობა და პატივისცემა.

შეიძლება ითქვას ქრისტეთი მოხიბლული პილატე იყო ერთადერთი ადამიანი, რომელმაც გაბედულად აღიარა ბრბოსა და სინედრიონის აღშფოთებული წევრების წინაშე იესოს უდანაშაულობა, რამდენჯერმე მისი გადარჩენაც სცადა. პილატეს მეუღლე ქრისტეს მიმდევარიც კი გახდა.

აღსანიშნავია, რომ მოსე ხორენაცი პონტოელ პილატეს ქართულ სამყაროსთან აკავშირებდა. კერძოდ, მისი სიტყვით ქართველთა მთავარი და პილატეს მამა მოდავენი ყოფილან ქვეყნის სამმართველო საქმეში.

მითრიდატე - ქართველთა მთავარი, პონტოელი პილატეს მამას მოუწამლავს – პომპეუს დიდის ბრძანებით – „რაც შეეხება პომპეუსსო – წერს მეხუთე საუკუნის ისტორიკოსი ძველ წყაროებზე დაყრდნობით – იგი შეებრძოლა მითრიდატეს, რომელმაც სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მას, გაუმართა ფიცხელი ბრძოლა და დიდი საფრთხეც შეუქმნა, მაგრამ რიცხვმრავლობამ თავისი გაიტანა და დამარცხებული მითრიდატე გაიქცა პონტოს მხარეებში. როგორც კი მისგან მოისვენა პომპეუსმა, რასაც არც ელოდა, აიღო ქალაქი მაჟაქი და შეიპყრო მითრიდატე, ძე მითრიდატისა, ქალაქში კი ჯარი ჩააყენა. მერმე იგი მითრიდატეს კი არ დადევნებია, არამედ სასწრაფოდ გაეშურა ურიასტანისაკენ ასურეთის გავლით. მითრიდატე კი პილატე პონტოელის მამას მოაწამვლინა. ამას იოსებიც გვაუწყებს ბალზამის შესახებ საუბრისას, იგი ამბობს: „პომპეუსს ერიქოვთან ახარა მაცნემ მითრიდატეს დაღუპვა“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 115).

ხორენაცი თითქოსდა მითრიდატე პონტოელისა და პომპეუსის ამბავს გადმოგვცემს, მაგრამ ის მითრიდატეს ქართველთა ისტორიულ მთავარს უწოდებს, იმ წყაროს მიხედვით, რომელიც ერთ პირველი საუკუნის ისტორიკოსს მოუპოვებია ნინევიის სახელგანთქმულ არქივიდან გამოტანილ საბუთებში: პართიის მეფის ძმამ საქართველოში ანუ „კავკასიის მთის მოპირდაპირე მხარეს ჩრდილოეთის განმგებლად დაადგინა დიდი და ძლევამოსილი გვარი, რომლის უფალთ გუგარელთა პიტიახშები დაერქვათ. ისინი შთამომავალნი იყვნენ დარეჰის (დარიოსის) ნახარარის მითრიდატისა, რომელიც წამოიყვანა ალექსანდრემ (მაკედონელმა) და მთავრად დაუსვა ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვედ მოყვანილ ივერიელთა მოდგმას“ (იქვე, გვ. 107); შემდგომ ტიგრან დიდის მამა დანათესავებია ივერიელთა ერთერთ მითრიდატიან მთავარს, მიუთხოვებია მისთვის თავისი ასული და თავისი ვრცელი სამფლობელოდან ივერიის ქვეყნის გარეთ სამართავად გადაუცია პონტოს ქვეყანა – „პონტოს ზღვის გამგებლობა“. შემდგომ, პომპეუსის ლაშქრობისას, როცა ის იუდეაში არისტუბოლის წინააღმდეგ მოადგა იერუსალიმის კედლებს, პონტოელი პილატეს მამას მოუკლავს მითრიდატ III, ქართველთა მთავარი. ხორენაცის სიტყვით პომპეუსს ჯერ პონტოს მთავარი ქალაქი მაჟაქი (იქვე ცნობილი მაზაკა) აუღია და მითრიდატეს ძე შეუპყრია, და შემდეგ სასწრაფოდ წასულა „ურიასტანისაკენ“ ასურეთის გავლით“. ანუ იუდეაში – სირიის გავლით.

პომპეუსის მიერ ისრაელის ახლადაღორძინებული სახელმწიფოს ნგრევის დაწყებამ, იუდეველთა შორის კიდევ უფრო გააღვივა მესიანიზმად ცნობილი მოძრაობა. პომპეუსის ლაშქრობის შემდეგ იუდეა რომის იმპერიის პროვინციად იქცა. იუდეას სახელმწიფოს პომპეუსმა ჩამოართვა ახლადმიერთებული მიწები, შეამცირა მისი საზღვრები და ქვეყანას დიდი კონტრიბუცია დაადო. რომაელებმა თავისუფლებისათვის მებრძოლ მაკაბელთა შთამომავალთ დაუტოვეს მოჩვენებითი ძალაუფლება, ოცი წლის შემდეგ კი რომაელებმა მეფის ტიტული იდუმეელ ჰეროდეს გადასცეს. ჰეროდეს, დიდად წოდებულის დროს სახალხო აჯანყებები დაიწყო, თუ ხასმონელებს კიდევ იტანდნენ ებრაელები, ვითარცა დავითის შთამომავლებს, რომაელთა მიერ დაყენებული ჰეროდე – მეფის ხარისხით მათთვის მოუთმენელი იყო. გამოჩნდნენ მოჯანყენი, რომელნიც თავიანთ თავს მესიად აცხადებდნენ, მათი მიმდევრები დიდ არეულობას იწვევდნენ. ებრაელთა ქვეყანაში საყოველთაო გახდა მისტიკური იდეები და დაძაბული მოლოდინი ღვთის სამეფოს მოახლოებისა. უნდა გამოჩენილიყო კაცი, რომელიც გამეფდებოდა არა მარტო ისრაელში, არამედ იხსნიდა მსოფლიოს. მსოფლიოს ყველა ერი მოვიდოდა მის თაყვანისსაცემად. დედამიწაზე მოისპობოდა შევიწროება და უსამართლობა, აღარ იქნებოდა სიკვდილი, ცრემლი და მწუხარება. ჭეშმარიტება გამოჩნდებოდა ვითარცა მზე. მომლოდინეთათვის რომის იმპერია წარმოისახებოდა მხეცად, რომელსაც დაეცემოდა მომავალი მესიის მახვილი.

მოჯანყენი თავს ესხმოდნენ რომაელებს და მათ მომხრეებს. განსაკუთრებით გააღიზიანა მოსახლეობა პილატე პონტოელმა, რომელიც არ იცნობდა ხალხს, მის ფსიქოლოგიას, ჩვეულებებს და ტრადიციებს. არ იცნობდა ქვეყანას. ძალზე აღაშფოთა იერუსალიმი მისმა მოქმედებამ. ებრაელები კერპთაყვანისმცემლობად და ღვთის შეურაცხყოფად მიიჩნევდნენ ქანდაკებებს, პორტრეტებს, რომის საიმპერიო ნიშნებს – არწივებს.

იუდაიზმი კრძალავდა ადამიანის ყოველგვარ გამოსახულებას. პილატეს რაზმები კი იერუსალიმში შევიდნენ არწივის გამოსახულებებით, იმპერიის ნიშნებით, იმპერატორის პორტრეტებით, რაც იუდეველთა მიერ მიჩნეული იქნა ტაძრის და მოსეს მოძღვრების აშკარა შეურაცხყოფად, რამაც დიდად აღაშფოთა ისინი. შეიკრიბა ასი ათასზე მეტი კაცი და მათ უიარაღოდ გეზი აიღეს კესარიისაკენ – პილატეს სამყოფელისაკენ, იერუსალიმიდან 120 კილომეტრით დაშორებული ქალაქისაკენ. ფანატიკოსთა მასამ ალყა შემოარტყა პროკურატურის რეზიდენციას და კატეგორიულად მოითხოვა დაუყონებლივ მოეშორებინათ იმპერიის ნიშნები და იმპერატორის პორტრეტები წმიდა ქალაქიდან. ხუთი დღე გაგრძელდა ალყა, ბოლოს პილატემ ლეგიონერებს უბრძანა ხმალი აღემართათ მოჯანყეთა დასასჯელად, მაგრამ ასოციათასმა კაცმა მორჩილად მიუშვირა ხმალს თავისი ქედი, მუხლმოყრილი და სიკვდილისათვის თავდადებული ადამიანების უზომო რაოდენობამ გააოგნა პილატე. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ პილატემ დაითხოვა ლეგიონერები, ებრაელებს კი აღუთქვა მოთხოვნის აღსრულება.

პილატეს, ბერძნული ცივილიზაციით, ანტიკური რელიგიით აღზრდილს, არ შეიძლებოდა აზიური, ველური ფანატიზმის გამოვლენად არ მიეჩნია იუდეველთა მგზნებარე სარწმუნოება, რომაული სამყაროს გრანდიოზულმა სულიერმა კრიზისმა ანტიკური რელიგიის გავლენა ძალზე შეამცირა. მითები, რომლებსაც ბერძნული ღმერთების შესახებ ჰყვებოდნენ და რომელნიც, შემდგომ რომაულ ღმერთებზე გადავიდნენ, მხოლოდ დაცინვას იწვევდნენ. ყველაზე ცნობილი ადამიანები სარწმუნოებას მხოლოდ წესრიგის მისაღწევ საშუალებად თვლიდნენ. ურწმუნოება სამარცხვინოდ არ მიიჩნეოდა, წარმოიშვა სკეპტიციზმი და ათეიზმი. ფილოსოფიური აზრი მივიდა დაცემამდე, ,,ფილოსოფოსებს'' ორატორებს უწოდებდნენ, რომლებიც სოფისტების ბრბოს ათრობდნენ.

რელიგიური და ფილოსოფიური იდეალების იმედგაცრუებამ გამოიწვია საზოგადოებრივი ზნეობრიობის მოშლაც, მაგრამ ზნეობის დაცემა იმავდროულად იწვევდა ლტოლვას განწმენდისაკენ. ამიტომაც რომაელები უფრო და უფრო ინტერესით ეპყრობოდნენ აღმოსავლეთიდან შემოსულ კულტებს, რომლებიც ძალზე გავრცელდა. ეგვიპტური და აზიური ღვთაებები დაიძრნენ რომისაკენ. წყურვილი სულიერი სამყაროს შეცნობისა, მასთან ურთიერთობისა რომის იმპერიის დასავლეთის მხარეებისაკენ ავრცელებდა სპარსულ მაზდეანიზმს, რომელსაც მატერია - ბოროტების სათავედ მიაჩნდა, მისგან განწმენდას მოითხოვდა. ბუნების შეცნობა და ცოდნის გაღრმავება – გადარჩენის საშუალებად მიაჩნდა ბერძნულ და რომაულ ფილოსოფიას. ბედნიერებისა და კმაყოფილების მიღწევას ქადაგებდნენ ეპიკურელები. იუდეველების სწავლებით კი ერთი უხილავი ღმერთის თაყვანისცემა და სჯულის დაცვა ყველაზე უმთავრესი იყო. რომაული სამყარო გრძნობდა თავის ზნეობრივი დაცემის ხარისხს, სურდა განახლება. პირიდან პირში გადაიცემოდა აღმოსავლური წინასწარმეტყველება. დადიოდა ხმები, რომ იუდეიდან გამოვიდოდა ვიღაც მსოფლიოს დასამორჩილებლად (ტაციტუსი, ისტორია 5.13, ა. ბოგოლიუბოვი, ძე კაცისა. გვ. 30-32).

ეს რწმენა მესიის მოსვლისა რომაულ სამყაროში იუდეიდან იყო გავრცელებული, სადაც ყველგან გაბატონებული იყო მოლოდინი ,,დიდებით მომავალი მესიისა'', რომელსაც ახალი სამეფო უნდა შეექმნა.

მესიის მოლოდინი განსაკუთრებით გაღვივებული იყო ფარისეველთა პარტიაში. ფარისევლები კანონის მედგარ დამცველებად თვლიდნენ თავიანთ თავს. პარტია სირიის უღლისაგან ქვეყნის გათავისუფლებასა და მაკაბელთა დინასტიის აღზევებისას წარმოიშვა. ისინი ოპოზიციაში ედგნენ სამეფო სახლს. სამეფო ხელისუფლებას იტანდნენ იმდენად, რამდენადაც მესია მეფე დავითის შთამომავლობაში უნდა წარმოშობილიყო. მათ წრეში იქმნებოდა წინასწარმეტყველური წიგნები მშვიდობისა და სამართლიანობის სამეფოს მომავალი დასაწყისის შესახებ. ფარისეველებთან ერთად მწიგნობრები – კანონის განმმარტებლები და ასევე მოძღვრები (რაბინები) – მესიის მოლოდინის სულისკვეთებით კვებავდნენ ხალხს.

სადუკეველებისაგან – იმქვეყნიური სამყაროს, სულის უკვდავების უარმყოფელებისაგან, განსხვავებით ესეველები უმთავრესად ზრუნავდნენ სულიერი განწმენდისათვის. ისინი განდეგილად ცხოვრობდნენ

უდაბნოში, სულ ოთხი ათას კაცამდე, მძაფრად სწამდათ მესიის მოსვლა. ფარისეველთა მსგავსად გულამდე არ იღებდნენ ხასმონელთა დინასტიას. მონაწილეობდნენ აჯანყებებშიც. ესეველები უდაბნოში ნახევრად მონაზვნურად ცხოვრობდნენ, მთლიანად განდგომოდნენ მიწიერ ცხოვრებას, იყვნენ მკურნალნი, განმბანელნი და ფიქრობდნენ ხორციელი განწმენდით სულიერ სრულყოფას. ისინი მკვდარი ზღვის მახლობლად, იორდანიის გადაღმა ცხოვრობდნენ. ამუშავებდნენ მიწას, თავისუფალ დროს მთლიანად ღმერთს უთმობდნენ, უარყვეს პირადი საკუთრება, ოჯახი, ძალადობისადმი წინააღმდეგობის გაწევა, ჰქონდათ საერთო ქონება და საჭმელ-სასმელი, ძალზე მწირი. მტკიცედ იცავდნენ შაბათს, ტანსაცმელი ჰქონდათ უხეში ნაჭრისა, დღესასწაულის დღეებში კი თეთრებში იმოსებოდნენ. და აი, იორდანის წყალს მოადგა ნათლისმღემელი, სიყრმიდანვე უდაბნოში ლოცვითა და მარხვით მცხოვრები კაცი. მის მოსასმენად შიშველ კლდეთა შორის უნაყოფო გადამწვარ, ველური მხეცებით სავსე უდაბნოსაკენ უწყვეტად მოდიოდნენ ადამიანები, მათ არც იოანეს გარეგნობა, მოშვებული თმა-წვერი, აქლემის თმით დამზადებული ტანსაცმელი აფრთხობდათ, პირიქით უსმენდნენ მას, ინანიებდნენ ცოდვებს და ინათლებოდნენ მისი ხელით იორდანეს წყლით.

იოანე მესიის შესახებ ქადაგებდა. სწორედ ამიტომ მოდიოდა ხალხი მის მოსასმენად. უცნაური და მიმზიდველი მათთვის იყო ის, რომ იოანე არ აცხადებდა თავის თავის მესიას – იმ დროს სხვა მრავალ მოქადაგეთა დარად, რომლებიც ჩნდებოდნენ და უკვალოდ ქრებოდნენ – არაო, ამბობდა ის, მე არა თუ მესია, მესიის ფეხსაცმელის თასმების გახსნის ღირსიც კი არა ვარო. განსაკუთრებით კი ხალხს იზიდავდა ის, რომ იოანე თავის თავს მესიის წინამორბედს უწოდებდა: მესიის მოსვლის დრო დგებაო, ჩემს უკან მოდის, მაგრამ ის წინ წავა, რადგან ჩემზე უწინ იყო. იოანე ამოწმებდა სინათლის (მესიის) შესახებ. "იგი მოვიდა დასამოწმებლად, რათა დაემოწმებინა სინათლის შესახებ, რომ ყველას ერწმუნა მისი მეშვეობით. იგი არ იყო სინათლე, არამედ მოვიდა რათა დაემოწმებინა სინათლის შესახებ". (იოანე 1:7-8), ხოლო ჭეშმარიტი სინათლე გაუნათებს ქვეყნიერებაზე მომსვლელ ყოველ ადამიანს.

,,და აი, მოწმობა იოანესი, როდესაც იუდეველებმა გაუგზავნეს იერუსალიმიდან მღვდელნი და ლევიტელნი, რომ ეკითხათ მისთვის – ვინ ხარ შენ? მან აღიარა: მე არა ვარ ქრისტე. და ჰკითხეს მას: მაშ რა? ილია ხარ? მან თქვა: არა ვარ. წინასწარმეტყველი ხარ? მან უპასუხა: არა. მაშინ უთხრეს მას: ვინ ხარ, რომ პასუხი გავცეთ ჩვენს წარმომგზავნელთ: რას იტყვი შენს შესახებ?" შემდეგ კი შეეკითხნენ – მაშ რატომღა ნათლავ თუ არც ქრისტე ხარ, არც ილია და არც წინასწარმეტყველი? მიუგო იოანემ პასუხად: მე ვნათლავ წყალში, მაგრამ თქვენს შორის დგას, ვისაც არ იცნობთ: ვინც ჩემს შემდგომ მოდის (რომელიც ჩემზე წინადაა), რომლის სანდლის თასმის გახსნის ღირსიც არა ვარ" (იოანე, 1:25-27).

მახარებლები იოანეს შესახებ წერენ რომ ის ქადაგებდა სინანულის ნათლისცემას ცოდვათა მისატევებლად, როგორც ესაია წინასწარმეტყველის სიტყვათა წიგნშია დაწერილი: ,,ხმა მღაღადებლისა უდაბნოში". ,,განუმზადეთ გზა უფალს, მოასწორეთ მისი ბილიკები" (ლუკა, 3: 4-5)

მესიის მოსვლისას ყველა ხორციელი იხილავდა ღმერთისაგან გადარჩენას. ხალხი, იერუსალიმიდან, მთელი იუდეიდან და იორდანეს შემოგარენის სოფლებიდან მოდიოდა იოანესთან და ინათლებოდა მისგან იორდანეში, აღიარებდა ცოდვებს.

,,როცა იოანემ დაინახა მისკენ მოსანათლავად მომავალი მრავალი ფარისეველი და სადუკეველი და უთხრა მათ: ,,იქედნეთა ნაშობნო, ვინ შთაგაგონათ მომავალი რისხვისაგან გაქცევა? მაშინ შექმენით მონანიების ღირსი ნაყოფი" (მათე, 3:6-8).

ღვთისაგან რჩეული ერის შვილები ამაყობდნენ თავისი მაღალი წარმოშობით, იუდეველები დაჯერებულნი იყვნენ, რომ მესია ყველა ხალხთა შორის მათ გამოარჩევდა და სხვაზე აამაღლებდა. ამ შეხედულებას იოანე აბათილებდა. ღმერთი, რომელმაც ადამი მიწიდან შექმნა, შემძლეა იორდანეს ნაპირის ქვებიდანაც აღუდგინოს შვილების აბრაამს. არა წარმოშობით, არამედ კეთილი ნაყოფით

გადარჩება ადამიანი – „ცულიც უკვე დევს ხეთა ფესვთან, ყოველ ხეს, რომელიც კეთილ ნაყოფს არ მოისხამს, მოჭრიან და ცეცხლში ჩააგდებენ (მათე, 3:10).

იოანე ნათლავდა წყლით და ამბობდა – 'ჩემს შემდეგ მომავალი ჩემზე ძლიერია, რომლის სანდლის ტარების ღირსიც არა ვარ. ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმინდით და ცეცხლით. მისი ნიჩაბი მის ხელში არის. ის გაწმენდს თავის კალოს, ბეღელში მოაგროვებს თავის ხორბალს, ხოლო ბზეს დაწვავს ჩაუქრობელი ცეცხლით". (მათე, 3:11-12)

იოანეს ქადაგების ორი მთავარი საგანი იყო სინანული და ცათა სასუფეველი. ამბობდა: „მოინანიეთ, ვინაიდან მოახლებულია სასუფეველი ცათა" ანუ ზეციური სამეფო.

იოანე ნათლისმცემელის შესახებ წინასწარ იყო ნათქვამი, რომ მის მამა ზაქარიასა და დედა ელისაბედს, სამღვდელოთა შთამომავლებს, უფლის ანგელოზის მიერ ეხარათ იოანეს მომავალი შობა: ის 'სულიწმიდით აღივსება დედამისის მუცლიდანვე, და მრავალ ძეს ისრაელისას მოაქცევს უფლისაკენ, მათი ღმერთისაკენ. და ის ივლის მის წინაშე ილიას სულით და ძალით, რომ მოაქციოს მამათა გულნი შვილების მიმართ, ხოლო ურჩნი მართალთა გონებაზე და წარუდგინოს უფალს მომზადებული ხალხი" (ლუკა, 1:15-17).

იოანემ უფლის მოახლოება ჯერ კიდევ დედის მუცელშივე იგრძნო, როგორც ამას მახარებელი გვაუწყებს. როცა მარიამი, დედა იესოსი და ელისაბედი – იოანეს დედა ერთმანეთს შეხვდნენ, „როგორც კი ელისაბედმა მარიამის მისალმება მოისმინა ყრმა შეუთამაშდა მუცელში და აღივსო ელისაბედი სულიწმიდით, დაიძახა ხმამაღლა და თქვა: კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულია შენი მუცლის ნაყოფი და საიდან ეს ჩემდა, რომ ჩემი უფლის დედა მოვიდა ჩემთან? ვინაიდან როცა შენი მოსალმების ხმა მოვიდა ჩემს ყურთან, სიხარულით შეთამაშდა ყრმა ჩემს მუცელში" (ლუკა, 1:41-44).

გავიდა ამის შემდეგ ოცდაათი წელი და აი, იორდანეს ნაპირთან მაცხოვარის დანახვისას კვლავ შეიძრა იოანე, მყისვე იცნო ის, იხილა მისკენ მომავალი იესო და თქვა: „აი, ღმერთის კრავი, რომელიც იღებს ქვეყნიერების ცოდვას.

ეს არის, რომლის შესახებაც ვთქვი: ჩემს შემდეგ მოდის კაცი, რომელიც ჩემზე წინა გახდა, ვინაიდან ჩემზე უწინ იყო. მე არ ვიცნობდი მას, მაგრამ იმიტომ მოვედი წყალში სანათლავად, რომ ის გამოეცხადოს ისრაელს".

მოწმობდა იოანე და ამბობდა: მე ვიხილე ციდან მტრედივით გარდმომავალი სული და დარჩა მასზე.

„მე არ ვიცნობდი მას, მაგრამ ვინც წარმომგზავნა წყალში სანათლავად, მან მითხრა: რომელზეც დაინახო სული გარდმომავალი და მასზე დარჩენილი, ის არის სული წმიდით ნათლისმცემელი. მე დავინახე და დავამოწმე, რომ ეს არის ძე ღმერთისა" (იოანე, 1:29-34).

მათე მახარებელი დაწვრილებით აღწერს: „მაშინ იესო მოვიდა გალილეიდან იორდანეს იოანესთან, რათა მის მიერ მონათლულიყო. ხოლო იოანე წინაღუდგა და უთხრა: მე ვსაჭიროებ შენგან მონათვლას. შენ კი ჩემთან მოდიხარ? მაგრამ იესომ მიუგო პასუხად: დაე ახლა, ვინაიდან ასე გვმართებს ჩვენ ყოველი სამართლიანობის აღსრულება. მაშინ იოანემ მიუშვა იგი. და მონათლული იესო მაშინვე ამოვიდა წყლიდან და, აი, გაიხსნენ ცანი და იხილა ღმერთის სული მტრედივით გარდმომავალი. მასზე ეშვებოდა. და, აი, ხმა ციდან მეტყველი: ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელშიც ჩემი სათნოებაა" (მათე, 3:13-17).

საერთოდ ებადებათ კითხვა, რატომ ინება მაცხოვარმა ნათლისღება იოანესგან, ისევე როგორც ნათლისმცემელი შეეკითხა უფალს - „მე უნდა ვინათლებოდე შენგან და შენ მოხვედი ჩემთან?" იესოს პასუხში, რომელიც მისი საზოგადოებრივი მსახურებისას წარმოთქმული პირველი სიტყვაა, ნათქვამია: 'ახლა ასე იყოს, რამეთუ ასე გვმართებს სამართლიანობის აღსრულება". საჭირო იყო ყოველგვარი მოთხოვნის შესრულება, რომელსაც ღვთის ნება უჩვენებდა (ფს. 39:7,8 იხ. ფ.ფარარ. იესო ქრისტეს ცხოვრება, გვ. 67). წყალში შესული იესო ლოცულობდა. დადგა ჟამი მისი მესიანური მსახურების კურთხევისა. იოანე უყვებოდა შემდგომ მოწაფეებს, რომ ამ ლოცვისას მან იხილა დაშვებული სული და

გაიგონა ხმა მომავალი ზეციდან: „მე ვიხილე ციდან მტრედივით გარდმომავალი სული და დარჩა მასზე“ (იოანე, 1:32).

ნათლობისთანავე იესომ დატოვა იორდანეს სანაპირო და წავიდა მკვდარი ზღვის უდაბნოს სიღრმეში – „სულმა წაიყვანა უდაბნოში. ორმოც დღეს ცდიდა მას ეშმაკი და არაფერი უჭამია იმ დღეებში, და მათი დასრულების შემდგომ მოშივდა: და უთხრა ეშმაკმა: თუ ძე ღმრთისა ხარ, უთხარი ამ ქვას, რომ პურად იქცეს. უთხრა მას იესომ პასუხად დაწერილია, რომ არა პურითა ერთითა იცოცხლებს კაცი, არამედ ღვთის ყოველი სიტყვით“ (ლუკა, 46:1-4).

უდაბნოში ინება იესომ განმარტოვება, რათა კიდევ ერთხელ განესაჯა თავისი დიდი საქმე ადამიანთა ხსნისა. აქ სატანამ წარუდგინა მას თავისი ხერხები კაცობრიობის გადარჩენისა“. პირველი გზით ადამიანებს ყურადღება უნდა მიეპყროთ ‘ქვეყნიური კეთილდღეობისათვის: „აქციე ეს ქვები პურებად და გამოკვებე ხალხი“, რაზედაც სატანამ მიიღო შესაბამისი პასუხი.

მეორეჯერ მაცდურმა ქრისტეს შესთავაზა ამქვეყნიური ძალაუფლება და დიდება. დიდება და ძალაუფლება „ვინაიდან მე მაქვს გადმოცემული, ვისაც მინდა იმას ვაძლევ. ჰოდა თუ თაყვანსა მცემ შენი იქნება ყოველივე, მიუგო იესომ პასუხად: დაწერილია: უფალს შენს ღმერთს ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე“ (ლუკა, 4:7-9).

ამით იესომ უარყო გზა ძალადობით ქვეყნის ფლობისა. მესამე გზა, რაც მაცდურმა იესოს შესთავაზა, იყო ეფექტური სასწაულით ზემოქმედება ადამიანებზე. ამ გზას მრავალი ცრუ მისტიკოსი გაჰყვა, მაგრამ ქრისტემ უარყო და ასე უპასუხა მას: „ნათქვამია, არ გამოსცადო უფალი ღმერთი შენი. იესომ განვლო ყველა განსაცდელი და „ეშმაკი დრომდე განშორდა მას“ (ლუკა, 4:12-13).

იესო გაემგზავრა უკანვე, იორდანეს სანაპიროსაკენ, სადაც ქადაგებდა იოანე. როცა წინასწარმეტყველმა დაინახა ქრისტე, გამოიცნო ის გზა, რომელზეც უდაბნოში ფიქრობდა იესო და განაცხადა– „აი ღმერთის კრავი, რომელიც იღებს ქვეყნიერების ცოდვას“ (იოანე, 1:29).

თვითშეწირვა ადამიანებისათვის ასეთია გადაწყვეტილება. მალე იესოს ვხედავთ მოწაფეებთან ერთად იორდანეს ნაპირზე, სადაც ის იოანეს მსგავსად ქადაგებს ღვთის სასუფეველის მოახლოებაზე. იოანე ნათლისმცემელის ორმა მოწაფემ გაიგონა ნათქვამი – „აი, ღმერთის კრავი“ და გაჰყვნენ იესოს. ერთი მათგანი ყოფილა – ანდრია პირველწოდებული, საქართველოს განმანათლებელი, ძმა პეტრე მოციქულისა, ანუ როგორც იქამდე ერქვა სიმონისა. ანდრიამ მოუწოდა თავის ძმას გაჰყოლოდა იესოს – „მან პირველმა იპოვა თვისი ძმა სიმონი და უთხრა: ჩვენ ვიპოვეთ მესია, რომლის თარგმანი ნიშნავს ქრისტე. მიიყვანა იგი იესოსთან. შეხედა მას იესომ და უთხრა შენ ხარ სიმონი, იოანეს ძე, ამიერიდან შენ გერქმება კეფა, რომლის თარგმანი ნიშნავს – კლდე“ (იოანე, 1:41,42).

ათასი წლის შემდეგაც კი ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელი იხსენებდა ამ ფაქტს და მასზე დაყრდნობით „მწოდებლის“ – ანდრია პორველწოდებულის მიერ დაარსებული ქართული ეკლესიის ღირსებას ათანაბრებდა – „წოდებულის“ პეტრე მოციქულის მიერ დაარსებულ ანტიოქიის საპატრიარქოსთან. იმ პირველ ორს შორის იყო იოანე, შემდგომ ღვთისმეტყველად წოდებული, იესოს საყვარელი მოწაფე.

მეორე დღეს იესომ „იპოვა ფილიპე“, რომელიც ბეთსაიდიდან-ანდრიას და პეტრეს ქალაქიდან იყო. „ფილიპემ იპოვა ნათანაელი და უთხრა: ჩვენ ვიპოვეთ ის, ვის შესახებაც წერდა მოსეს სჯული და წინასწარმეტყველნი, იესო, იოსების ძე, ნაზარეთიდან (იოანე, 1:45).

იესომ უთხრა თავის მოწაფეებს – „ამიერიდან იხილავთ გახსნილ ცას და ღმერთის ანგელოზებს, ძეს კაცისაზე აღმავლებს და ჩამავლებს“ (იოანე, 1:51)

მათეს თანახმად მეთევზე ძმები სიმონ და ანდრია მაცხოვარს გალილეის ზღვასთან დაუნახავს, როცა ბადეს ისროდნენ და უთქვამს მათთვის: „მომყევით მე და ადამიანთა მებადურებად გაქცევთ. მათ მყისვე მიატოვეს ბადეები და გაჰყვნენ მას” (მათე, 4:19).

შემდგომ კი კვლავ ორი ძმა დაუმოწაფებია – ზებედეს ძეები – იაკობი და იოანე –მებადურები – „მათ მყისვე მიატოვეს ნავიც და თავიანთი მამაც და გაჰყვნენ მას“ (მათე, 4:22).

მარკოზის სიტყვით – იესოს იორდანეს ნაპირები მიუტოვებია იოანე ნათლისმცემლის ჰეროდეს მიერ შეპყრობის შემდეგ, იესო გალილეის ქალაქებსა და სოფლებში ქადაგებდა სასუფევლის სახარებას, ასწავლიდა სინაგოგაში, კურნავდა ყოველგვარ სენს, მოყავდათ მასთან უძლურები, სნეულები და სატანჯველით შეპყრობილნი, მთვარეულნი და დავრდომილნი, მისი ამბავი მოედო მახლობელ ქვეყნებსა და კუთხეებს. სირიიდან, იუდეიდან, იერუსალიმიდან, ათქალაქიდან მის მოსასმენად და სანახავად ჩამოსულნი, გალილეველებთან ერთად დაყვებოდნენ მას.

მისი შინაგანი სიმშვიდე და ჰარმონია, მუდმივი გაწონასწორებულობა, უბრალოება, სერიოზულობა, სიბრძნე ხიბლავდა ადამიანებს. იესოს ყველგან სიხარული შეჰქონდა, მისთვის უცხო იყო ქვეყნის უარმყოფელობის სიფიცხე, ავადმყოფ-ეგზალტირებული მოწოდებანი, უყვარდა ბავშვები, ყვავილები, აკურთხებდა სიცოცხლეს და ამბობდნენ მის შესახებ „აი კაცი რომელსაც უყვარს ჭამა და ღვინის სმა“. ამით თითქმის საქვეყნოდ გამოჰქონდა ფარისეველთა მოჩვენებითი, გარეგნული “სიწმიდე”, რომლებიც განსაკუთრებულ ღვთისმოსაობის ნიშნად მიიჩნევდნენ რიტუალური ქმედებების გაწელვასა და გაბერვას, უადგილო თავშეკავებასა და ჩვევებს, რომლებსაც ხშირად თვითონვე უჩუმრად არღვევდნენ, ხალხს კი მის შესრულებას ავალდებულებდნენ.

იესომ პირველი სასწაულით გაახარა ახლადშეუღლებულნი და მათი ნათესავები, როცა ის და მისი მოწაფეები გალილეის ქალაქ კანაში მიიწვიეს ქორწილში, იესოს დედაც იქ იყო. მოხდა ისე, რომ ღვინო შემოაკლდათ. მარიამმა ეს ამცნო შვილს „იესომ უთხრა მას: რა გინდა ჩემგან დედაკაცო? ჩემი ჟამი ჯერ არ დამდგარა”. დედამისმა უთხრა “მსახურებს გააკეთეთ ყველაფერი რასაც ეს გეტყვით“ (იოანე 2:5). მსახურებმა იესოს სიტყვით აავსეს ჭურჭლები წყლით, რომელიც ღვინოს იქცა. „ასე დაიწყო იესომ სასწაულების მოხდენა გალილეის კანაში და გამოავლინა თავისი დიდება. ირწმუნეს მისმა მოწაფეებმა“. (იოანე, 2:11).

ფარისევლური ღვთისმოსაობის გმობად მიიჩნიეს იესოს მოქმედებანი იერუსალიმში, რომელიც ღვთისმეტყველთა აზრით 28 წელს შემდგარა.

იუდეველთა დიდი დღესასწაულის დროს იესო ყოველთვის მიდიოდა იერუსალიმში, როგორც ამას მოითხოვდა სჯული. იერუსალიმის ქალაქი ტაძრით ცხოვრობდა. დიდებული ტაძარი მილიონობით ებრაელისა და სხვადასხვა ეროვნების იუდეველთა სარწმუნოებრივ სიმბოლოს, იუდეური რელიგიის მსოფლიო ცენტრს წარმოადგენდა. ამის გამო დღესასწაულის დღეებში ქალაქი სავსე იყო მლოცველებითა და მქადაგებლებით, მრავლად იყვნენ ვაჭრები, ზოგი მათგანი სოვდაგრობდა, ზოგი სამსხვერპლო ცხოველებს ჰყიდდა, იყვნენ მედუქნენი, ტაძრის ღია სტოებსა და გალერეებში ედგათ მაგიდები ფულის დამხურდავებლებს (პასექამდე მღვდლები კრეფდნენ ყოველი ისრაელელისაგან სატაძრო გადასახადს). იოანე მახარებელი წერს - „ახლოვდებოდა იუდეველთა პასექი და იესო ავიდა იერუსალიმს. ნახა ტაძარში ხარების, ცხვრების და მტრედების გამყიდველნი და მეკერმენი მსხდომარე. გააკეთა საბლის შოლტი და გამორეკა ტაძრიდან ყველა, აგრეთვე ხარები და ცხვრებიც, ფულის გადამცვლელებს ფული დაუბნია და მაგიდები აუყირავა. მტრედების გამყიდველებს უთხრა: „გაიყვანეთ ესენი აქედან და მამაჩემის სახლს ნუ გახდით სავაჭრო სახლად“ (იოანე 2:13-17).

იესოს, ხალხისათვის საყვარელი მოძღვრის მოქმედებამ შეაშფოთა იერუსალიმელი რაბინები, რადგანაც ის მათებურად არ ასწავლიდა, უარყოფდა ძველ ჩვეულებებს, არ იცავდა მარხვებს. სარწმუნოების მედგარი დამცველები ასკეტურად მცხოვრები იოანე ნათლისმცემელის მოწაფეები გაკვირვებულნი იყვნენ. განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევდა შაბათს ავადმყოფთა განკურნება, რაც შაბათის დარღვევად მიაჩნდათ. ხოლო იესოს მიერ ცოდვათა მიტევებას – გაუგონარ მკრეხელობად თვლიდნენ. ‘მწიგნობრებმა

და ფარისევლებმა იწყეს მსჯელობა ურთიერთშორის და ამბობდნენ: ვინ არის ეს, ღმერთს რომ გმობს, ვის ძალუძს ცოდვების მიტევება ერთი ღმერთის გარდა?" (ლუკა, 5:21).

იესო ცოდვილებთან და ცოდვილთა რანგში მყოფ მებაჟეებთან ურთიერთობასაც არ ერიდებოდა, მათ სახლებშიც კი შედიოდა - „მწიგნობარნი და ფარისეველნი დრტვინავდნენ და ეუბნებოდნენ მის მოწაფეებს: რატომ ჭამთ და სვამთ მებაჟეებსა და ცოდვილებთან? იესომ უთხრა მათ პასუხად: მკურნალი ჯანმრთელებს კი არა ავადმყოფებს სჭირდებათ. მე მართალთა კი არა, ცოდვილთა მოსაწოდებლად მოვედი".

ხოლო შეკითხვაზე ფარისეველთა და იოანეს მოწაფეთა დარად, ხშირად რატომ არ მარხულობდნენ და ლოცულობდნენ იესოს მოწაფენი, პასუხობდა 'განა შეიძლება აიძულო მექორწილეები იმარხულონ, ვიდრე ნეფე მათთან არის? მაგრამ მოვლენ დღენი როცა მეფე წაერთმევათ და მაშინ იმარხულონ, იმ დღეებში" (ლუკა, 6:34-35).

ხოლო შაბათის დარღვევის შესახებ უთხრა: „ძე კაცისა შაბათის ბატონიცაა" და აგრძელებდა შაბათს ავადმყოფთა კურნებას. – „ისინი კი რისხვით აღივსნენ და ურთიერთშორის მსჯელობდნენ რა გაეკეთებინათ იესოსათვის" (ლუკა, 5:11).

იესო თავის ახალ სწავლებას ადარებდა ახალ ღვინოს, რომელსაც ძველ ტიკებში არ ასხამენ, „თორემ ახალი ღვინო ტიკებს დახეთქავს და ღვინოც დაიკარგება და ტიკებიც. არამედ ახალი ღვინო ახალ ტიკებში უნდა ჩაისხას". (ლუკა, 5:39).

ქრისტეს ახალი სწავლება, რომელსაც შემდგომ ქრისტიანობა ეწოდა, შორსაა უარყოფითი მორალიზმისგან, ის ერიდება აკრძალვებსა და შეზღუდვებს. ამასთან დაკავშირებით ა. ბოგოლიუბოვს მოჰყავს ეკლესიის დიდი მოაზროვნის ნეტარი ავგუსტინეს სიტყვები „გიყვარდეს ღმერთი და მოიქეცი როგორც გსურს", რითაც გამოხატულია ქრისტიანული შეხედულების არსი ზნეობრიობასა და ჩვეულებებზე.

ღვთის სიყვარული თავისთავად გამომწვევია სიყვარულისა ღვთის ყოველი ქმნილებისადმი, ქმნილებათა გვირგვინისა – ადამიანებისადმი. ადამიანის სიყვარული გამომდინარეობს ღვთის სიყვარულის გრძნობისაგან. სიყვარულის ერთი ნიშანი კი მიტევებაა. აქედან გამომდინარე ახალი აღთქმა ზოგჯერ ძველს არ ეთანადება. იესო უარყოფს ძველ წესს „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ", კეთილგანწყობის გრძნობამ უნდა სძლიოს შურისძიებისას.

ქრისტიანული სიყვარული ყოვლისმომცველია, ყოველი ადამიანი 'მოყვასად" მიიღება. თავის სწავლებას ადამიანების სიყვარულისას, იესო „ახალ აღთქმას" უწოდებს.

თქვენ გსმენიათო - ამბობდა იესო - „შეიყვარე მოყვასი შენი და შეიძულე მტერი შენი". მე კი გეუბნებით: გიყვარდეს თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მაწყევარები, ქველმოქმედება გაუწიეთ თქვენ მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავიწროებთ და გდევნით. რათა იყვნეთ თქვენი ზეციერი მამის ძენი, ვინაიდან თავისი მზე ამოჰყავს ბოროტთა და კეთილთა თავზე და წვიმას უგზავნის მართლებსა და უსამართლოებს. თუ თქვენ გიყვართ თქვენი მოყვარულები, რა იქნება თქვენი საზღაური? განა მებაჟეებიც ასე არ იქცევიან? და თუ თქვენ მხოლოდ თქვენს ძმებს მიესალმებით განსაკუთრებულს რას გააკეთებთ? განა წარმართებიც ასევე არ იქცევიან? მაშ იყავით სრულყოფილნი, ისევე, როგორც თქვენი ზეციური მამაა სრულყოფილი" (მათე, 6:43-48).

მსახურება ქვეყნიერების გადასარჩენად

„ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყნიერება, რომ მისცა თავის მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე" – ამბობდა ძე ღვთისა ნიკოდიმოსთან საუბრისას (იოანე, 3:16).

ნიკოდიმოსი, იუდეველთა მთავართაგანი, ფარისეველთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გაოცებული იყო იესოს სასწაულქმედებებით. ის ერთხელ მოვიდა იესოსთან ღამით, ფარულად, რათა ქრისტესმოძულე ფარისევლებსა და იუდეველთა მთავრებს არაფერი შეეტყოთ. ის იესოს „ღვთისაგან მოსულად" თვლიდა და ამბობდა – "არავის ძალუძს ისეთი სასწაულების მოხდენა, როგორც შენ ახდენ, თუ მასთან ღმერთი არა არის (იოანე, 3:2) მხოლოდ ძე ღვთისა იყო შემძლე მრავლად აღესრულებინა ისეთი სასწაულები, რომელთა შესრულებაც ჩვეულებრივი ძალებით ადამიანს არ ძალუძს და შესაძლოა მხოლოდ განსაკუთრებული ღვთაებრივი ძალით. ნიკოდიმოსს სურდა შეეტყო ნამდვილად იყო თუ არა იესო ის მხსნელი მსოფლიოსი, რომელსაც მოუთმენლად ელოდა ებრაელი და სხვა ხალხები. 'მიუგო იესომ და უთხრა მას: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც ხელახლა არ იშობა ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს" (იოანე, 3:3). რა არის ღვთის სასუფეველი? ღვთის სასუფევლის, ანუ ღვთის სამეფოს შესახებ იესო ქრისტე ხშირად ესაუბრებოდა ხალხს იგავების საშუალებით ქადაგებათა დროს. მესიის მოსვლის შემდეგ ხალხის აზრით ქვეყანაზე დადგებოდა ღვთის სამეფო. (ე.ი. რომის იმპერიისა თუ სხვა ქვეყნიურ სახელმწიფოთა და სამეფოთა ადგილს დაიჭერდა ახალი საზოგადოებრივი წყობა, ოღონდ არა კაცთა მიერ მოფიქრებული და შექმნილი, არამედ უზენაესი, ღვთის უშუალო მმართველობით დაწესებული. ღვთის ამ სამეფოში ხალხი ბედნიერი იქნებოდა და ტანჯვა-წამება მოისპობდა). ხალხს მასიურად ჰქონდა მსგავსი შეხედულება, ამიტომაც იესოს სწავლება ღვთის სასუფეველს (ანუ სამეფოს) თვისობრიობის შესახებ, მათთვის გაუგებარი იყო. საჭირო იყო ხშირი ახსნა-განმარტება სახეებისა და იგავების მოშველიებით. იესომ ერთ შეკითხვაზე ასე უპასუხა – „ჩემი სამეფო არა ამქვეყნიურია" (იოანე, 18:36). არა ქვეყნიური, არამედ სხვა კანონებით მოარსებე, ეს სამეფო ამ ქვეყნად მოდის და მოაქვს ზეციური კანონები. ღვთის სასუფეველი (სამეფო) არის არა ახალი საზოგადოებრივი წყობა, არამედ, უპირველეს ყოვლისა ახალი სიცოცხლე ადამიანური სულისა, სამყარო, რომელშიც განუხრელად ბატონობს ღმერთი. ის შეუმჩნევლად იმყოფება ადამიანთა შორის, ის ყველგანაა: რომელიმე კერძო ადამიანის გულში, ოჯახში, საზოგადოებაში. მას მოაქვს მასში შესულისათვის სიმშვიდე და უმაღლესი სიხარული, არის გაბრუებული თავდავიწყება არამედ ნათელი, ზეციური მამის სიკეთის და მადლის ფხიზელი დაჯერება.

ამ გრძნობის შედარება შეუძლებელია ქვეყნიურ რომელიმე სიხარულთან. ყველაფერს ცვლის გარშემო, ნერგავს იმედს და ეხმარება არაფრით შეშინდნენ ამ ქვეყნად. ამ ახალ ცხოვრებაში სუსტები, სულით გლახაკები გაიხარებენ, მგლოვიარენი დამშვიდდებიან, სიმართლისათვის დევნილნი – დაკმაყოფილდებიან. ეს იქნება სამეფო, სადაც იზეიმებენ მშვიდნი, მშვიდობისმყოფელნი, გულით წმიდანნი. ისინი მიიღებენ უმაღლეს ნეტარებას – ღმერთთან ერთობას (ანდრეი ბოგოლიუბოვი, „ძე კაცისა" გვ. 78-80).

ნიკოდიმოსს, რომელიც ღამით ესტუმრა იესოს, აინტერესებდა რა უნდა გაეკეთებინა ადამიანს ღვთის სამეფოში შესასვლელად. იესომ ასე უპასუხა: „თუ ვინმე მაღლიდან არ იშობა, ვერ შეძლებს ღვთის სასუფევლის ხილვას". ნიკოდიმოსს ძალზე გაუკვირდა, როგორ შეუძლია ადამიანს ხელახლა დაბადება, მაგრამ მაცხოვარმა უთხრა არა ჩვეულებრივ ხორციელ შობაზე, არამედ სულიერზე, რომ ადამიანისათვის აუცილებელია შეცვლა თავისი სულიერი მხრისა, სულ სხვა – სრულიად კეთილ არსებად გადაქცევა. ასეთი შეცვლა კი ადამიანს მხოლოდ ღვთის ძალით შეუძლია. „თქვენ მაღლიდან უნდა იშვათ" (იოანე, 3:7), „სულისაგან". „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ, თუ ვინმე წყლისა და სულისაგან არ იშვება ვერ შეძლებს ღმერთის სასუფეველში შესვლას" (იოანე, 3:5) (მაცხოვარი გულისხმობდა ნათლობით („წყლით") და ნათლობისას სულის გარდამოსვლის მეოხებით მორწმუნეთათვის ღვთის სასუფეველის კარის გახსნას).

ქვეყნიერება ძე ღვთისას მიერ გადარჩება - „რამეთუ არ წარმოგზავნა ღმერთმა თავისი ძე ქვეყნიერებაზე, რომ გაასამართლოს ქვეყნიერება, არამედ რომ ქვეყნიერება გადარჩეს მის მიერ. ვისაც სწამს არ გასამართლდება, ხოლო ვისაც არ სწამს, უკვე მსჯავრდებულია, რადგან არ ირწმუნა ღმერთის

მხოლოდშობილი ძის სახელი. სასამართლო კი ის არის, რომ სინათლე მოვიდა ქვეყნიერებაზე და ადამიანებმა სინათლეზე მეტად შეიყვარეს სიბნელე, ვინაიდან ბოროტი იყო მათი საქმენი. ვინაიდან ყველას, ვინც ბოროტებას სჩადის, სძულს სინათლე და არ მიდის სინათლესთან, რომ არ იქნეს მხილებული მისი საქმენი. ხოლო ჭეშმარიტების მქმნელი სინათლისაკენ მიდის, რათა ცხადი გახდეს მისი საქმენი, ღმერთში რომ არიან ქმნილნი" (იოანე, 3:17-21).

შემდგომ ნიკოდიმოსს უთხრა, რომ მოვიდა ქვეყნად, რათა ივნოს და მოკვდეს ადამიანებისათვის არა სამეფო ტახტზე ასავლელად, არამედ ჯვარზე: „როგორც მოსემ აღმართა გველი უდაბნოში" (ანუ ძელზე ჩამოჰკიდა სპილენძის გველი, რათა გადაერჩინა სასიკვდილოდ დაკბენილი ადამიანები). სხვა დროს იესომ სამარიტელ ქალთან საუბრისას განაცხადა, რომ მისი ღვთაებრივი სწავლება – ცოცხალ წყალს ჰგავს და ის, მისი მსმენელისათვის იქცევა 'წყაროს წყლად, რომელიც საუკუნო სიცოცხლედ იდინებს".

სამარიტელმა ქალმა, რომელიც ყველა იმდროინდელი პალესტინელივით ელოდა მესიის მოსვლას, თქვა, „მე ვიცი, რომ მოდის მესია, რომელსაც ჰქვია ქრისტე, ის რომ მოვა, ყველაფერს გაგვიცხადებს" (იოანე, 4:25).

მაშინ იესომ უთხრა სამარიტელ დედაკაცს - „მესია - ეს მე ვარ" 'მე ვარ, რომელი გეტყვი შენ" (იოანე, 4:26).

„დადგება ჟამი – განაგრძობდა იესო – და უკვე არის, როდესაც ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები თაყვანს სცემენ მამას სულითა და ჭეშმარიტებით (იოანე, 4:23-24).

სამარიტელ ქალთან იესოს საუბრით გაოცებულმა მოწაფეებმა თავის მოძღვარს საჭმელი მიართვეს. „იესომ უთხრა მათ: ჩემი საჭმელია – ვქმნა ჩემი მომავლინებლის ნება და დავასრულო მისი საქმე" (იოანე, 4:34).

ერთხელ იესო შეეკითხა თავის მოწაფეებს: „რას ამბობს ხალხი, ვინ ვარ მე? მათ მიუგეს პასუხად: იოანე ნათლისმცემელი, სხვები – ელიაო, სხვები კი ვინმე ძველი, აღმდგარი წინასწარმეტყველიო, იესომ უთხრა: „თქვენ კი რაღას ამბობთ: ვინა ვარ მე? პეტრემ პასუხად უთხრა „ღვთის ცხებული" (ლუკა, 9:18-20). პეტრეს პასუხს მარკოზი ასე გადმოსცემს – 'შენ ქრისტე ხარ" (მარკ. 8:27). 'შენ ხარ ქრისტე ძე ცოცხალი ღვთისა. მიუგო მას პასუხად იესომ: 'ნეტარ ხარ შენ, სიმონ, იონეს ძევ, ვინაიდან შენ ეს გამოგიცხადა არა ხორცმა და სისხლმა, არამედ მამაჩემმა, რომელიც ზეცაშია. მეც გეუბნები შენ: შენა ხარ პეტრე და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას და მას ვერ დაძლევს ჯოჯოხეთის ბჭენი. მოგცემ შენ ცათა სასუფევლის გასაღებს და რასაც შეჰკრავ დედამიწაზე, ზეცაშიც შეკრული იქნება, ხოლო რასაც გახსნი დედამიწაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც" (მათე, 16:16-19).

ამ სიტყვებით მაცხოვარმა მოწაფეებს აუწყა თავისი მსოფლიო ერთობის-ეკლესიის შექმნის შესახებ. (ხოლო პეტრესათვის სასუფევლის გასაღების გადაცემით იესომ მას მიანიჭა უფლება ეკლესიის წევრებზე. ვისაც ის არ მიუტევებდა ცოდვას, არც ღვთისაგან მიეტევებოდა. იგივე უფლება მაცხოვარმა მისცა ყველა მოციქულს (იოანე, 25:22–23). პეტრეს პირველად უთხრა ამის შესახებ, რადგანაც მან პირველმა აღიარა რწმენა მის წინაშე, რომ ის ქრისტეა – ძე ღვთისა. იესო აფრთხილებდა თავის მოციქულებს, არ გაეცათ მისი ღვთაებრიობის საიდუმლო, მას სურდა, რომ ადამიანებს იძულებით კი არ მიეღოთ მაცხოვარი ან დაძალებით, არამედ თავისუფალი ნებით. იესოს მოციქულთა რიცხვი თანდათან გაიზარდა და თორმეტი გახდა. თავის მოწაფეებს მოციქულები უწოდა, რადგან თავისი სწავლების საქადაგებლად გააგზავნა ქვეყნად ისინი: „ეს არის იმ თორმეტი მოციქულის სახელები: პირველი სიმონი, პეტრედ წოდებული, და ანდრია, მისი ძმა, იაკობ ზებედეს ძე და მისი ძმა იოანე. ფილიპე და ბართლომე, თომა და მათე მებაჟე, იაკობ ალფეს ძე და ლებეოსი, რომელსაც ეწოდა თადეოზი. სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი, რომელმაც გასცა იგი. ეს თორმეტი წარგზავნა იესომ, ამცნო და უთხრა წარმართთა გზაზე არ იაროთ და სამარიტელთა ქალაქში არ შეხვიდეთ. არამედ წადით ისრაელის სახლის

დაკარგულ ცხვრებთან. წახვალთ რა, იქადაგეთ, რომ მოახლოებულია სასუფეველი ცათა. სნეულნი განკურნეთ, მკვდრები აღადგინეთ, კეთროვანნი განწმინდეთ, ეშმაკები განდევნეთ, უსასყიდლოდ მიიღეთ უსასყიდლოდ გაეცით“ (მათე, 10:5-8). სიმონს თვით უფალმა უწოდა პეტრე, ანდრიას – პირველწოდებული, იაკობ ზებედეს ძის ძმას იოანეს – ღვთისმეტყველი უწოდეს, ხოლო ნათანაილს – ბართლომე. მათე ანუ ლევი, ყოფილი მეზვერე იყო, ალფეს ძე იაკობს კი იოანე ზებედეს ძისაგან განსასხვავებლად, მცირე ერქვა, ლებეოს – თადეოზი იგივე იუდა იაკობის ძეა.

ამ თორმეტ მთავარ მოციქულთა გარდა იესო ქრისტემ შემდგომ სამოცდაათი მოციქული აირჩია: მარკოზი, ლუკა, კლეოპა და სხვები. ისინიც გააგზავნა საქადაგებლად.

მაცხოვარს გვერდით არა მარტო კაცები, არამედ ქალებიც ახლდნენ, მართასთან საუბრიდან ჩანს, რომ ქალების ადგილი მარტო ოჯახის კერასთან კი არ არის, არამედ მათ უნდა იცხოვრონ სრული სულიერი ცხოვრებით. მაცხოვარს უყვარდა იუდეველი ლაზარესა და მისი დების მარიამისა და მართას ოჯახი, ხშირად იყო მათთან. ქადაგებათა დროს იესოს ახლდნენ მარია მაგდალინელი (თავდადებული ქალი, რომლისგანაც იესომ შვიდი ეშმაკი განდევნა (ლუკა 10:30). ზებედეს ცოლი - სალომეა (იოანესა და იაკობის დედა), ხანა (იოანა) – ჰეროდეს მოურავის ცოლი, მარია კლეოპასი და სუსანა.

„რომელნიც ღმერთმა შეაერთა, კაცნი ნუ განაშორებენ“ - ამბობდა უფალი მეუღლეთა შესახებ. ოჯახური სიმტკიცის საფუძველი ცოლქმრის ერთიანობაა“ ამიტომ მიატოვებს კაცი მამას და დედას, მიეწებება თავის ცოლს და ორნი იქმნებიან ერთ ხორცად, ამრიგად, ისინი უკვე ორნი კი აღარ არიან, არამედ ერთი ხორცი“ (მათე, 19:5-6). ოჯახის ნაყოფი – ბავშვები განსაკუთრებით უყვარდა იესოს. ამიტომაც ბავშვებით იყო გარშემორტყმული, ის ამბობდა – „გამოუშვით ბავშვები და ნუ აბრკოლებთ მათ ჩემთან მოსასვლელად, ვინაიდან მაგათნაირებისაა ცათა სასუფეველი“ (მათე, 19:14)

ერთხელ იესო ავიდა მთაზე და დაჯდა, როცა მიუახლოვდნენ მოსწავლეები და ხალხი, ასწავლა მათ ნეტარებათა მცნებანი. ეს ქადაგება გულია იესო ქრისტეს სწავლებისა. ათ მცნებასთან ერთად, რომელიც ღმერთმა კაცობრიობას მისცა, მთაზე ქადაგება ქრისტიანთა ცხოვრების მეგზურია:

1. ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა (სულით გლახაკნი ისინია, რომელნიც არ ამაყობენ და ტრაბახობენ, რადგანაც იციან, რომ არავითარი კეთილი საქმის გაკეთება არ შეუძლიათ ღვთის შემწეობის გარეშე. ასევე ისინი, რომელნიც გრძნობენ და შეგნებული აქვთ თავიანთი ცოდვები და სულიერი ნაკლოვანებები).
2. ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშის-ცემულ იქმნენ (მგლოვარენი – ნაღვლობენ და ტირიან თავიანთ ცოდვებსა და სულიერ ნაკლოვანებებს. უფალი მიუტევებს მათ, მისცემს ამ ქვეყნადაც ნუგეშს; ხოლო იმქვეყნად სიხარულს).
3. ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა (მშვიდნი – თვინიერი ადამიანები არიან, რომელნიც მოთმინებით იტანენ ყოველგვარ უბედურებას, უწყინარნი არიან ღვთისა. ადამიანებისგან წყენასა და უსიამოვნებას მშვიდად ხვდებიან, არ ჯავრდებიან არავისზე).
4. ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყურიოდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი გაძღნენ (სიმართლისათვის მშიერ-მწყურვალნი გაძღებიან).
5. ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ (მოწყალენი გულკეთილი ადამიანებია, გასაჭირში მყოფი ადამიანების დასახმარებლად მზად მყოფნი – თვითონ იქნებიან ღვთის მიერ განსაკუთრებით შეწყნარებულნი).
6. ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ (წმიდანი გულით – გულით სუფთა ადამაინებია, რომელნიც არა მარტო ერიდებიან ბოროტი საქმის ჩადენას, არამედ თავიანთ გულშიც ცდილობენ სიწმინდის შენახვას ე.ი. იშორებენ ბოროტ ფიქრსა და სურვილს. ისინი მუდამ ღმერთთან იქნებიან, მას იხილავენ).

7. ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ ისინი ძედ ღმრთისად იწოდნენ (მშვიდობის მყოფელნი – მშვიდობის მოქმედნი არიან, რომელთაც არ უყვართ არავითარი დავა, ცდილობენ ყველასთან მშვიდობით იცხოვრონ, მეგობრულად და სხვებიც შეარიგონ ერთმანეთს).
8. ნეტარ იყვნენ დევნილნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა (სიმართლისათვის დევნილნი არიან, რომელთაც ისე უყვართ სიმართლით (ე.ი. ღვთის კანონით) ცხოვრება, რომ სამართლიანობისათვის ყოველგვარ დევნას იტანენ და ითმენენ).
9. ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გყვედრიდნენ და გდევნიდნენ და თქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მიმართ სიცრუით ჩემთვის.
(ნეტარ ხართ თქვენ როცა გაგლანძღავენ, გაგდევნიან და ყოველნაირ ბოროტს იტყვიან თქვენზე ჩემს გამო).

შემდგომ იესომ განაცხადა, რომ ის მოვიდა არა რჯულის გასაუქმებლად, არამედ აღსასრულებლად, ხოლო ვინც თუნდაც უმცირეს მცნებას დაარღვევს და ისე ასწავლის ადამიანებს – უმცირესი დაერქმევა ცათა სასუფეველში.

ადამიანთა დამოკიდებულება ღვთისადმი და ადამიანებისადმი იესომდე სხვაგვარი იყო. ღმერთი, ყოვლისშემძლე შემოქმედი, ამავე დროს დესპოტად ჰყავდათ წარმოდგენილი. ხოლო სიყვარული ყოველი ადამიანისა, მიაჩნდათ არასავალდებულოდ, არამედ მხოლოდ მახლობელისა, „მოყვასისა“ და უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ თანამეტომე ებრაელისა – რჩეული ერის შვილისა. იესომ შეცვალა ეს წარმოდგენები. იესომ ასწავლა, რომ ღმერთი – მამაა ყოველი ადამიანისა. უყვარს სამყარო, უყვარს ადამიანები, მოუწოდებს მათ დედამიწაზე იცხოვრონ სიხარულითა და გონიერებით. ადამიანი მონა კი არაა ღმერთისა, არამედ შვილი, მამა არ ითხოვს მისგან გარეგან, ფორმალურ თაყვანისცემას. „როცა ლოცულობთ, ნუ იქნებით, როგორც თვალთმაქცნი, რომელთაც უყვართ სინაგოგებსა და ქუჩის კუთხეებში დგომა და ლოცვა, რათა ხალხს თავი მოაჩვენონ" (მათე, 6:5). ილოცე დაფარულში და სენი მამა, რომელიც დაფარულში ხედავს მოგიზღავს შენ. ხოლო ლოცვის დროს ნუ ილაპარაკებ ზედმეტს, როგორც წარმართები, ვინაიდან ჰგონიათ, რომ თავიანთი მრავალსიტყვაობის გამო შესმენილი იქნებიან“ (მათე, 6:7).

ქრისტიანობის პირველი და დიდი მცნება იესოს მიერ გადმოცემული ასეთია: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოველითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა.

მეორე მცნება კი პირველის მსგავსი, მიძღვნილია ადამიანებისადმი. ადამიანის სიყვარულისადმი - „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (მათე, 22-38). იესომ განაცხადა, რომ ფაქტიურად ამ ორი მცნებით გადმოიცემა ძველი აღთქმის კანონები და წინასწარმეტყველებანი - „ამ ორ მცნებაზე ჰკიდია მთელი სჯული და წინასწარმეტყველებანი.“

ვინ არის მოყვასი, რომლის შეყვარებაც საჭიროა, როგორც საკუთარი თავისა? იესომ იგავით უპასუხა ამ კითხვას. „ვინმე კაცი მოდიოდა იერუსალიმიდან იერიქონს, დაესხნენ ყაჩაღები, რომლებმაც ტანსაცმელი გახადეს, დაჭრეს და წავიდნენ, ის კი ცოცხალ-მკვდარი მიატოვეს. შემთხვევით ერთმა მღვდელმა ჩამოიარა. გზაზე დაინახა იგი და გვერდი აუქცია.

ასევე ლევიტელმა ჩაიარა ამ ადგილას, დაინახა და გვერდი აუქცია. მერე ვიღაც სამარიტელმა გამოიარა, დაინახა და შეიცოდა. მივიდა მასთან შესვა თავის პირუტყვზე, შეიყვანა სასტუმროში და იზრუნა მასზე. მეორე დღეს ამოიღო ორი დინარი, მისცა სასტუმროს პატრონს და უთხრა – იზრუნე მასზე და თუ ზედმეტი ხარჯი მოგივა, რომ დავბრუნდები მოგცემო. რას ფიქრობ ამ სამიდან, რომელი უფრო იყო ყაჩაღების ხელში ჩავარდნილის მოყვასი?“ მან უპასუხა: რომელმაც წყალობა უყო მას“. (ლუკა, 10:30-36).

სიყვარულისა და მოწყალების მცნებები ძველი აღთქმისაგანაც არის ცნობილი, მაგრამ იესო თავის სწავლებას უწოდებს „ახალ აღთქმას“, ძველი მოსეს კანონები ფორმალობებით იფარგლება, მაცხოვარი კი მოუწოდებს ადამიანს შინაგანი ცხოვრების სრული გარდაქმნისაკენ. თუ ათი მცნების

მეექვსე კანონით იკრძალებოდა კაცის კვლა, იესო მოუწოდებს, ბოროტება საერთოდ განიშორონ გულიდან – „თუ მიიტან შენ ძღვენს სამსხვერპლოზე და იქ გაგახსენდება, რომ შენ ძმას რაიმე აქვს წინააღმდეგ. მიატოვე იქ შენი ძღვენი სამსხვერპლოსთან და წადი, შენს ძმას შეურიგდი. შემდეგ მოდი და შესწირე შენი ძღვენი. შეურიგდი შენს მეტოქეს სასწრაფოდ, ვიდრე მასთან ერთად გზას ადგახარ“... (მათე, 5:23).

ათი მცნების კანონზე, რომელიც მრუშობას კრძალავს იესო ამბობს, რომ უნდა განვიშოროთ ყოველივე მანკიერება. ხოლო ძველი აღთქმის იმ კანონზე, რომელიც ფიცს კრძალავდა, იესო ამბობს, რომ დაფიცება საერთოდ არ არის საჭირო და კეთილგანწყობილების გრძნობამ უნდა გაიმარჯვოს შურისგებაზე - „მე კი გეუბნებით თქვენ: წინ ნუ აღუდგებით ბოროტს, თუ ვინმემ მარჯვენა ლოყაში გაგაწნას, მეორე ლოყაც მიუშვირე, ვინც მოისურვებს შენს განკითხვას და შენი მოსასხამის წამოღებას, სამოსელიც თან გაატანე მას“ (მათე, 5:39).

„თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა – განაგრძობდა იესო – შეიყვარე მოყვასი შენი და მოიძულე მტერი შენი. მე კი მეუბნებით: გიყვარდეთ თქვენი მაწყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის ვინც თქვენ გავიწროებთ და გდევნით, რათა იყოთ თქვენ თქვენი ზეციერი მამის ძენი, ვისაც თავისი მზე ამოჰყავს ბოროტთა და კეთილთა თავზე და წვიმას უგზავნის მართლებსა და უსამართლოებს. ვინაიდან თუ თქვენ თქვენი მოყვარულები გეყვარებათ, რა იქნება თქვენი საზღაური? განა მებაჟეებიც ასევე არ იქცევიან? თუ მხოლოდ თქვენს ძმებს მოიკითხავთ, განსაკუთრებულს რას გააკეთებთ? განა წარმართებიც ასევე არ იქცევიან? მაშ იყავით სრულყოფილნი, ისევე როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი“ (მათე, 5:43-48).

ერთხელ პეტრე შეეკითხა იესოს - „უფალო, რამდენჯერ უნდა მივუტევო ჩემს წინააღმდეგ რომ შესცოდოს, შვიდჯერ?“ უთხრა მას იესომ: ‘მე არ გეუბნები შვიდჯერ – მეთქი, არამედ სამოცდაათგზის შვიდჯერ“ (მათე, 18:21-22). ე.ი. მუდამ.

იესოს მიერ გამოთქმული ოქროს წესად ცნობილი დარიგება ასეთია - „როგორც გინდათ რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისე მოექეცით მათ“ (მათე, 7:12) „ნუ განიკითხავთ, რათა რა განგიკითხონ, ვინაიდან, რომელი განკითხვითაც განიკითხავთ და რომელი საწყაოთიც მიუწყავთ იმავეთი მოგეწყვებათ თქვენ. რად უყურებ ბეწვს შენი ძმის თვალში, ხოლო საკუთარ თვალში დირესაც კი ვერ ამჩნევ? ანდა როგორ ეტყვი შენს ძმას: მიმიშვი, ამოგიღო თვალიდან ბეწვიო და აჰა, შენ თვალში კი დირეა! თვალთმაქცო, ჯერ შენი თვალიდან დირე ამოიღე და მერე დაინახავ, როგორ ამოიღო ბეწვი შენი ძმის თვალიდან“ (მათე, 7:1-15).

იესოს განსაკუთრებული ზრუნვის და დაცვის საგანს წარმოადგენდა საზოგადოების ყველაზე დაბალი ფენები, რომელთა ნაწილს ხშირად ცოდვილებად და მიუკარებლებადაც კი თვლიდნენ. ასეთ „ცოდვილებთან“ იესოს ურთიერთობა, აოცებდა და აჯავრებდა „ზნეობრივ ნაწილს“ - ფარისევლებს და კანონის მცველებს.

„და იყვნენ ყოველნი მეზვერენი და ცოდვილნი მახლობლად მისა და ისმენდეს მისსა. და დრტვინავდეს ფარისეველნი და მწიგნობარნი და იტყოდეს, ვითარმედ: ესე ცოდვილთა შეიწყნარებს და მათ თანა ჭამს და სვამს“ (ლუკა, 15:1).

„მაგრამ მან უთხრა მათ ასეთი იგავი: რომელიმე თქვენგანს ასი ცხვარი რომ ჰყავდეს და ერთი დაკარგოს, არ დატოვებს ოთხმოცდაცხრამეტს უდაბნოში არ წავა დაკარგულისათვის ვიდრე არ იპოვის? რომ იპოვის სიხარულით მხრებზე შეისვამს... თქვენ გეუბნებით, რომ ასევე, უფრო მეტი სიხარული იქნება ზეცაში ერთ ცოდვილზე, რომელიც მოინანიებს ვიდრე ოთხმოცდაცხრამეტ მართალზე, რომელთაც მონანიება არ სჭირდებათ... ასევე დედაკაცი, რომელსაც ათი დრაქმა აქვს, ერთი დრაქმა რომ დაკარგოს, განა არ აანთებს ასანთს, არ დაგვის სახლს და გულმოდგინედ არ მოძებნის ვიდრე იპოვის? (ლუკა, 15:7-8).

იესომ მათ უთხრა იგავი უძღებ შვილზე, ორ ძმაზე, რომელთაგან ერთმა თავის წილი ქონება მამამისს გამოართვა, გაფლანგა და დაგლახაკდა, რის შემდეგაც მამის სახლს დაუბრუნდა, მამამ კი სიხარულით მიიღო სიტყვებით - ,,ეს ჩემი ძე მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა და დაიწყეს მხიარულება".

არა ჯანმრთელებს ესაჭიროებათ მკურნალი, არამედ ავადმყოფებს, ძე კაცისა მოვიდა დაღუპულთა მოსაძებნად და გადასარჩენადო – ბრძანებდა უფალი.

ასე მოიძია და გადაარჩინა იესომ ცოდვებით დაღუპული მეზვერეთა (მებაჟეთა) უფროსი ზაქე, გადასახადების ამკრეფი, თანამეტომეთა ყვლეფით გამდიდრებული. რომაელთა სამსახურში მომუშავე ყველა მებაჟეს ისრაელიანები ცოდვილებად თვლიდნენ და ვითარცა ცოდვილთ არ ეკარებოდნენ არავითარ საქმეში. იესო კი მივიდა ზაქეს სახლში - ,,ვინც კი დაინახა, ყველანი მოჰყვნენ ბუზღუნს და ამბობდნენ: ცოდვილ კაცთან შევიდა. ზაქე წამოდგა და უთხრა უფალს: აჰა უფალო ჩემი ქონების ნახევარს ღარიბებს მივცემ და თუ ვინმესთვის რამე გამომიძალვია, ოთხმაგად მივაგებ. იესომ უთხრა მას: დღეს მოხდა ამ სახლის გადარჩენა, იმიტომ რომ ისიც აბრაამის ძეა. ვინაიდან ძე კაცისა მოვიდა დაკარგულის მოსაძებნად და გადასარჩენად" (ლუკა, 19:7-10).

ასევე გამართლდა უფლის თვალში ტაძარში მლოცველი მებაჟე, რომელმაც შეიგნო თავისი ცოდვები, ის ცისკენ თვალის მიპყრობასაც ვერ ბედავდა, მკერდში ხელს იცემდა და ამბობდა ორიოდე სიტყვას ,,ღმერთო შემიწყალე". იქვე კი, მის წინ იდგა ფარისეველი, რომელიც უფლის წინაშე თავის სარწმუნოებრივ დამსახურებას თვლიდა და მეზვერეს განიკითხავდა. იესომ თქვა ამის გამო – მეზვერე უფრო გამართლებული წავიდა თავის სახლში, ვიდრე ფარისეველი, ვინაიდან ,,ყოველი ვინც თავს აიმაღლებს, დამდაბლდება, და ვინც თავს დაიმდაბლებს – ამაღლდება" (იოანე, 18:14).

დიდად გააკვირვა და დააეჭვა ფარისეველი სიმონი იესოს ქმედებამ, როცა მის სახლში სადილის დროს შემოვიდა მრუშად ცნობილი ქალი. ძვირფასი ნელსაცხებელი სცხო იესოს ფეხებს და ცრემლმდინარმა თავისი თმით გაუმშრალა. უფალმა სიმონს უთხრა - ,,შენს სახლში შემოვედი და წყალი არ მომეცი ფეხებისთვის, ამან კი ცრემლით დამისველა ფეხები და თავისი თმებით წარმხოცა, შენ ამბორი არ მომეც, ამას კი რაც შემოვიდა არ შეუწყვეტია ჩემი ფეხების კოცნა, შენ ზეთი არ მომაცხე თავზე, ამან კი ნელსაცხებელი მოსცხო ჩემს ფეხებს. ამის გამო გეუბნები: მიეტევა მაგას მრავალი თავის ცოდვა, რამეთუ ფრიად შეიყვარა, ხოლო ვისაც ცოტა მიეტევება, მცირედ უყვარს. და უთხრა მას, მიგეტევა შენი ცოდვანი. და მასთან მსხდომებმა იწყეს ლაპარაკი თავისთვის: ვინ არის ეს ცოდვებს რომ მიუტევებს? მან კი უთხრა დედაკაცს: შენმა რწმენამ გადაგარჩინა შენ, წადი მშვიდობით" (ლუკა 8:45-50).

ასევე მრუშ დედაკაცს შეეხება მომდევნო ამბავიც. ერთხელ იერუსალიმში ყოფნისას იესოსთან მიიყვანეს ქალი, მხილებული ქმრის ღალატში, რისთვისაც კანონის თანახმად უნდა ჩაქოლილიყო.

თუ იესო არ ინებებდა ქალის ჩაქოლვას, ამით ის კანონს დაარღვევდა. ხოლო თუ კანონის აღსრულების ნებას დართავდა, მაშინ მის მიერ ქადაგებულ მიმტევებლობასა და გულმოწყალებას ფორმალობად ჩათვლიდნენ და აითვალისწუნებდნენ. სწორედ ამიტომ მიუყვანეს იესოს მტრებმა მრუში. იესომ ქალის ჩასაქოლად მომზადებულ ბრბოს უთხრა: ,,ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველად მან ესროლოს ქვა" (იოანე, 8:7). ბრბო, რომლის თითოეულ წევრს შეგნებული ჰქონდა თავისი ცოდვები და უცოდველად თავს არ თვლიდა, შედრკა, შემდეგ კი დაიშალა. მარტო დარჩენილ ქალს იესომ უთხრა: 'წადი, ამიერიდან აღარ შესცოდო".

იესოს მოწყალებათაგან ავადმყოფთა მკურნალობა ერთერთი უმთავრესია. განკურნების აუცილებელ პირობად მაცხოვარი თვლიდა ავადმყოფის სარწმუნოებას. ,,შენმა სარწმუნოებამ გადაგარჩინა შენ" - უთხრა იესომ გამოჯანმრთელებულ ქალს. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ავადმყოფის მახლობელი ადამიანის რწმენაც ასრულებს მთავარ როლს. როგორც ამას უჩვენებს მაგალითი, როცა მამამ ავადმყოფი შვილი

მიიყვანა იესოსთან. იესოს კითხვაზე სჯეროდა თუ არა მას შვილის გამოჯანმრთელება, მამამ უპასუხა - „მწამს უფალო, შეეწიე ჩემს ურწმუნოებას“. ქრისტემ განკურნა ვაჟი.

ხშირად უფალი ორგანიზმს აკავშირებდა სულის მდგომარეობასთან. „შენ გამოჯანმრთელებული ხარ, ნუღარ შესცოდავ“ - ამბობდა ის განკურნების შემდეგ. ხოლო ზოგჯერ ავადმყოფს პირდაპირ მიუტევებდა ცოდვებს. ერთხელ მასთან საწოლით მიყვანილ კაცს, იმის გამო, რომ მისი მომყვანების რწმენა იხილა, უთხრა - „ადამიანო, მოგეტევა შენი ცოდვები“. მწიგნობრებმა და ფარისევლებმა იწყეს მსჯელობა და ამბობდნენ: ვინ არის ეს, ღმერთს რომ გმობს, ვის ძალუძს ცოდვების მიტევება ღმერთის გარდა. იესომ იცოდა რა მათი ზრახვები, უთხრა პასუხად: რა განიზრახეთ თქვენს გულში? რა უფრო ადვილია, თქმა: შენი ცოდვები მოგეტევა, თუ თქმა ადექ და გაიარე? ხოლო რათა იცოდეთ რომ ძე კაცისას დედამიწაზე ცოდვების მიტევების ძალაუფლება აქვს ეუბნება დავრდომილს: შენ გეუბნები: ადექ, აიღე შენი საწოლი და წადი შენს სახლში. მყისვე წამოდგა მათ წინაშე, აიღო რაზეც იწვა და წავიდა თავის სახლში და ადიდებდა ღმერთს. და ადიდებდნენ ღმერთს და შეშინებულები ამბობდნენ: საოცრებანი ვნახეთ დღეს“ (ლუკა 5:22-26).

საქადაგებლად გაგზავნილ თავის მოციქულებს იესომ პირველ რიგში ავადმყოფთა განკურნება დაავალა და მისცა მკურნალობის ძალა.

მაცხოვარი ხალხის წინაშე ზოგჯერ, საჭიროების მიხედვით ავლენდა თავის ზეადამიანურ ძალას, ახდენდა სასწაულს, თუმცა კი სასწაულების მოსურნეთ არ უწონებდა თავიანთ სურვილს. გალილეის კანაში მომხდარი პირველი სასწაულის შემდეგ აჩვენა თავისი ძალა. ერთხელ ტბის პირას ქადაგების დროს იესო ნავში ავიდა და იქიდან ასწავლიდა ხალხს, რის შემდეგაც მოციქულებთან ერთად შეცურდა წყლის სიღრმეში, უფლის სიტყვების თანახმად სიმონ-პეტრემ, რომელმაც წინა ღამით ვერაფრის დაჭერა შესძლო, ბადე მოისროლა. ბადეს იმდენი თევზი ამოჰყვა, რომ ორი ნავი გაივსო და სიმძიმისაგან ჩაძირვა დაიწყო. ამ სასწაულის ხილვისას მოციქულები და პეტრე შიშმა შეიპყრო. იესომ უთხრა: „ნუ გეშინინ სვიმონ, ამიერიდან იყო კაცთა მონადირე“ (ლუკა, 5:10).

ერთხელ იესომ მკვდრეთით აღადგინა ნაინელი ქვრივის დედისერთა ძე. მკვდარი წამოდგა და დაიწყო ლაპარაკი. რის შესახებაც შეიტყო მთელმა იუდეამ. ხოლო იესოს მიერ აბობოქრებულ ტბაში ნავით ცურვისას ქარიშხლის დაცხრომამ თვით მოციქულები გააოცა. „მაშინ უთხრა მათ, სად არის თქვენი რწმენა? ისინი შიშით და გაოცებით ეუბნებოდნენ ერთიმეორეს: ვინ არის ეს, ქარებსაც რომ უბრძანებს და წყალსაც და ემორჩილებიან მას?“ (ლუკა 8:25).

მახარებელი მარკოზი გადმოგვცემს ერთ სასწაულებრივ ამბავს: „მოვიდა სინაგოგის ერთი უფროსთაგანი, სახელად იაიროსი. დაინახა თუ არ იგი მის მუხლებთან დაეცა. და ძალიან ევედრებოდა მას და ეუბნებოდა: ჩემი გოგონა სიკვდილის პირზეა. მოდი და დაადე ხელები, რომ გამოჯანმრთელდეს და იცოცხლოს. წაჰყვა მას. დიდძალი ხალხი აედევნა და ავიწროებდა. და ერთი დედაკაციც, რომელსაც თორმეტ წელიწადს ჰქონდა სისხლის დენა. მრავალი ტანჯვა გადაიტანა, რაც გააჩნდა ყველაფერი დახარჯა, მაგრამ ვერაფერმა არგო, არამედ უარეს მდგომარეობაში ჩავარდა. მოისმინა იესოზე, ზურგიდან მივიდა და შეეხო მის სამოსელს. ამბობდა: მარტო მის სამოსელს რომ შევეხო განვიკურნებიო. და იმწამსვე დაშრა მისი სისხლის წყარო და სხეულში იგრძნო, რომ განიკურნა სატკივარისაგან... მან კი უთხრა: ასულო, შენმა რწმენამ გადაგარჩინა, წადი მშვიდობით და გამოჯანსაღდი შენი სენისგან“.

როცა იესო ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, მოდიან სინაგოგის უფროსთან და ეუბნებიან, შენი ასული მოკვდა, რატომღა აწუხებ მოძღვარს? იესომ კი ამ სიტყვების მოსმენისთანავე უთხრა სინაგოგის უფროსს: ნუ გეშინია, მხოლოდ ირწმუნე... მივიდნენ სინაგოგის უფროსის სახლში და ხედავს არეულობას და მტირალთ, და ხმამაღლა მთქმელთ. შევიდა და ეუბნება: ტალითა კუმი რაც ნიშნავს: „შენ გეუბნები გოგონა ადექ“ და მყისვე წამოდგა გოგონა და გაიარა... (მარკ, 6: 21-42).

იესოს ყველაზე სახელგანთქმული სასწაულია ხუთი პურით და ორი თევზით ხუთი ათასი კაცის დაპურება. ჭამის შემდეგ მოაგროვეს ნარჩენი ნატეხები „და აავსეს თორმეტი გოდორი იმ ხუთი ქერის პურის ნატეხებით, რომლებიც ჭამის შემდეგ დარჩა. მაშინ იესოს მიერ მოხდენილი სასწაულის მხილველმა ხალხმა თქვა: ესაა ჭეშმარიტად ის წინასწარმეტყველი, რომელიც ქვეყანაზე უნდა მოსულიყო“ (იოანე, 6:15).

ასევე ცნობილია იესოს წყალზე სიარული. ზღვაზე მავალი მაცხოვრის ხილვამ შეაძრწუნა ნავში მჯდომი მოციქულები. და მოჩვენება ეგონათ. ‘მაგრამ იესო მყისვე გამოელაპარაკა მათ და უთხრა: „გამხნევდით მე ვარ ნუ გეშინიათ!“ პეტრემ უთხრა მას პასუხად: „უფალო თუ ეს შენა ხარ, მიბრძანე მოვიდე შენთან წყალდაწყალ“. მან კი უთხრა: „მოდი!“ პეტრე გადმოვიდა ნავიდან და წყალდაწყალ მიდიოდა, რომ იესოსთან მისულიყო. მაგრამ, ქარი რომ შენიშნა, შეეშინდა, ჩაძირვა იწყო და დაიყვირა, უფალო, მიხსენი მე! იესომ იმწამსვე გაუწოდა ხელი, მოჰკიდა მას და უთხრა: რატომ დაეჭვდი, მცირედ მორწმუნევ? და როცა ისინი ნავში ავიდნენ ქარი ჩადგა. ხოლო ნავში მყოფებმა თაყვანი სცეს მას და უთხრეს ჭეშმარიტად ხარ შენ ძე ღმრთისა“ (მათე, 14: 27-33).

სასწაულთა შემდგომ იესოს ღვთაებრიობის აღიარება აცოფებდა ფარისევლებსა და მწიგნობრებს. ერთხელ ბრმისათვის თვალთა ახელის შემდგომ იესოს შესახებ ‘ზოგმა ფარისეველმა თქვა: ეს კაცი არაა ღმერთისგან, რაკი შაბათს არ იცავს. სხვებმა კი თქვეს: როგორ შეძლებს ცოდვილი კაცი ასეთი სასწაულების მოხდენას? და იყო მათ შორის განხეთქილება. კვლავ ეუბნებიან ბრმას: შენ რას იტყვი მის შესახებ? მან თქვა: წინასწარმეტყველია იგი” (იოანე, 9:16-17). კვლავ შეეკითხნენ ბრმას, შემდეგ კი გაუწყრნენ - „მათ კი გალანძღეს იგი და უთხრეს: შენ ხარ მისი მოწაფე, ჩვენ კი მოსეს მოწაფეები ვართ. ჩვენ ვიცით, რომ მოსეს ელაპარაკებოდა ღმერთი, ეს კი არ ვიცით, საიდანაა იგი. კაცმა პასუხად უთხრა მათ: საკვირველი სწორედ ისაა, რომ თქვენ არ იცით, საიდანაა იგი, მან კი თვალები ამიხილა. ჩვენ ვიცით, რომ ცოდვილებს არ უსმენს ღმერთი. არამედ თუ ვინმე ღმერთის მოშიშია და მის ნებას ასრულებს, იმას უსმენს იგი. საუკუნიდან არ გაგონილა, რომ ვინმეს ბრმად დაბადებულს თვალები აეხილოს. ეს რომ ღმერთისგან არ ყოფილიყო, ვერაფერს გააკეთებდა“ (იოანე, 9:28-33). ბრმა გააგდეს, ის ნახა იესომ და შეეკითხა: ‘შენ გწამს ძე კაცისა?“ მან უთხრა პასუხად: ვინაა იგი, უფალო, რომ ვიწამო? იესომ უთხრა: შენ გინახავს იგი და შენ გელაპარაკება! ისაა!.. და უთხრა იესომ: სასამართლოდ მოვედი ამ ქვეყნიერებაზე, რათა ვერ მხედველთ დაინახონ, მხედველნი კი დაბრმავდნენ“. ფარისეველნი შეეკითხნენ: „ნუთუ ჩვენც ბრმები ვართ?“ „ბრმები რომ ყოფილიყავით ცოდვა არ გექნებოდათ. ახლა კი ამბობთ თვალხილულნი ვართო. თქვენი ცოდვა რჩება“. – მიუგო იესომ. ‘მე ვარ კარი - ვინც ჩემით შედის გადარჩება“...

მზადება გამოსყიდვისათვის

იესო ქრისტეს სასწაულთა, კურნებათა და სწავლებათა ამბავი მოედო მთელს პალესტინას. ხალხი ყველგან ელოდა და თან დაჰყვებოდა მას.

მოციქული მათე წერს: „იმ ხანად ჰეროდე მეოთხედ მთავრამდე მიაღწია იესოს ამბავმა და უთხრა თავის მსახურთ: ეს არის იოანე ნათლისმცემელი, მკვდრეთით ამღდგარა და ამიტომ ძალნი მოქმედებენ მასში” (მათე,14:12).

იოანე ჰეროდემ მოაკვლევინა. ეს ჰეროდე ანტიპა იყო შვილი ჰეროდე დიდისა, რომელსაც მამისგან გამოჰყოლია ამორალური წესი ცხოვრებისა. ჰეროდე დიდის სიკვდილის შემდეგ, რომაელებმა მის მემკვიდრეს არქელაოსს მეფის ტიტული არ დაუმტკიცეს და ის ქვეყანას ეთნარქის წოდებით

მართავდა. იმის შემდეგ რაც ჰეროდეანთა დინასტიის წინააღმდეგ ხალხი ამხედრდა, არქელაოსი ქვეყნიდან გადაასახლეს და იუდეამ საერთოდ დაკარგა დამოუკიდებლობა, იგი ოთხ ნაწილად დაყვეს რომაელებმა (იუდეა, სამარია, გალილეა და ჰერეია). ჰეროდე ანტიპა მეოთხედმთავრის წოდებით მართავდა გალილეას. იგი მორწმუნე იყო იუდეველთა რჯულისა, ამიტომაც იოანე ნათლისმცემელი, მის მიერ ციხეში ჩაკეტილი, თითქოსდა საპატიო პატიმრობაში ჰყავდა, უსმენდა მას და პატივისცემით იმსჭვალებოდა მის მიმართ. იოანე კი შეუპოვრად ამხელდა მის უზნეობას. დაპატიმრებამდე საქვეყნოდ ქადაგებდა, რომ ანტიპას მიერ მისი ძმის ცოლის შერთვა უკანონობას წარმოადგენდა, ამის გამო დაიჭირეს კიდეც ნათლისმცემელი.

ჰეროდეამ - ანტიპას უკანონო ცოლმა იპოვა მარჯვე დღე იოანე ნათლისმცემლის დასაღუპად – ეს იყო ტეტრარქის დაბადების დღისათვის მოწყობილი ზეიმი.

„შევიდა ჰეროდიას ასული, ცეკვავდა და ასიამოვნებდა ჰეროდესა და თანამეინახეებს. და მეფემ უთხრა ქალწულს; რაც გნებავს მთხოვე და მოგცემ“ (მარკ.,6:22). დედამისის თხოვნით ქალიშვილმა მოითხოვა იოანე ნათლისმცემლის თავის მირთმევა ლანგრით. სურვილი უმალ შეუსრულეს.

იოანე ნათლისმცემელი წინ უსწრებდა მაცხოვარს, მისი წინამორბედი იყო და მოწამეობრივი სიკვდილითაც თითქოსდა მიანიშნა იესოს სიკვდილის ტანჯული სახე.

იოანემ ციხეშიც შეიტყო იესოს საქმეთა შესახებ და გაუგზავნა ორი მოწაფე შეკითხვით: „შენა ხარ მომავალი თუ სხვა ვინმეს უნდა ველოდეთ?“, მართალია, იესოს ნათლობის ჟამს იოანემ იხილა მასზე გარდმომავალი სული წმიდა, გაიგონა ზეციური ხმა, რომელიც ამოწმებდა, რომ ის იყო ძე ღვთისა, მაგრამ რადგანაც მის შემდეგ თითქმის ერთი წელი გავიდა და იესო აყოვნებდა თავისი მესიობის განცხადებას და უფრო მეტიც, უკრძალავდა თავის მოწაფეებს ამის შესახებ სხვებთან საუბარს, ნათლისმცემელს დაებადა ზემოაღნიშნული კითხვა.

„ხოლო იესომ მიუგი მათ: მიდით და უთხარით იოანეს რასაც ისმენთ და ხედავთ: ბრმანი ხედავენ, კოჭლნი დადიან, კეთროვანნი იწმინდებიან და ყრუნი ისმენენ, მკვდარნი აღდგებიან და გლახაკნი სიხარულით ხარობენ. ნეტარ არს ვინც არ შემცდარა ჩემში. ხოლო მათი წასვლის შემდეგ იესომ იოანეზე ჩამოუგდო სიტყვა ხალხს:

რისთვის დადიოდით უდაბნოში?
ქარისგან რხეული ლერწმის ხილვად?
რისთვის დადიოდით უდაბნოში?
ლბილი სამოსით მოსილი კაცის ხილვად?
ლბილი სამოსლით მოსილნი მეფეთა დარბაზებში არიან.
რისთვის დადიოდით უდაბნოში?
წინასწარმეტყველის ხილვად?

დიახ, გეტყვით თქვენ, წინასწარმეტყველისა და უფრო მეტისაც. რადგან ეს არის იგი, ვისთვისაც დაიწერა: აჰა, მე ვგზავნი ჩემს ანგელოსს შენს წინაშე, რომელიც განამზადებს შენს გზას შენს წინაშე. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: დედისაგან შობილნი არავინ აღმდგარა იოანე ნათლისმცემელზე უფროსი, ხოლო ცათა სასუფეველში უმცირესიც მასზე უმეტესია'' (მათე, 11:4-11).

იოანეს მოკვლით შეწუხებული იესო წავიდა ერთ უდაბურ ადგილას განმარტოებით. ხოლო ხალხს რომ ესმა ეს, ფეხით გაჰყვა მას ქალაქებიდან (იესო ტბის სხვა ადგილას ნავით გადაადგილდა). „გამოვიდა და უამრავი ხალხი რომ დაინახა, შეეცოდა ისინი და განკურნა მათი სნეულებანი“ (მათე, 14:14).

თანახმად იოანეს ბოლო მოწმობისა იესოს სახელი იზრდებოდა „ის უნდა იზრდებოდესო – ამბობდა იოანე – მე კი ვპატარავდებოდე... რამეთუ ის ვინც ღმერთმა წარმოგზავნა, ღმერთის სიტყვებს ლაპარაკობს, ვინაიდან ღმერთი ზომით არ იძლევა სულს. მამას უყვარს ძე და ყველაფერი მას მისცა

ხელთ. ვისაც ძე სწამს, საუკუნო სიცოცხლე აქვს, ხოლო ურჩი ძისა ვერ იხილავს სიცოცხლეს, არამედ ღმერთის რისხვა დარჩება მასზე“ (იოანე, 4:34–36).

თავისი მშობლიური ქალაქიდან ნაზარეთიდან განდევნეს შემდეგ, როცა თქვა „არცერთი წინასწარმეტყველი შეუწყნარებიათ თავის მამულში“. იესო ქალაქ კაპერნაუმში დაემკვიდრა. თითქმის ორი წლის მანძილზე ამ ქალაქიდან მიემგზავრებოდა იესო გალილეაში სამოღვაწოდ, აქედან გაემგზავრა ფინიკიაში, სამჯერ იერუსალიმში, რომელშიც მეოთხედ შესვლის შემდგომ ის გალილეას მხოლოდ მკვდრეთით აღდგომის შემდგომ დაუბრუნდა, ფინიკიისაკენ მოგზაურობის დროს იესომ განკურნა – ქანანელი ქალის გოგონა, ამ არაებრაელის სარწმუნოების სიღრმემ გააოცა მოციქულები. ტირისა და სიდონის მხარის საზღვართან იესოს შეხვდა ეს დედაკაცი, “მიყვიროდა მას და ამბობდა: შემიწყალე მე, უფალო, დავითის ძეო, ჩემი ასული სასტიკად იტანჯება ეშმაკისაგან, ხოლო მან ხმა არ გასცა. და მიადგნენ მისი მოწაფეები და სთხოვენ: გაუშვი ეგ, რადგანაც ჩვენ მოგვყვირის. ხოლო მან პასუხად თქვა: სხვას როდი მოვვლენივარ, არამედ მხოლოდ ისრაელის სახლის დაღუპულ ცხვრებს. ამასობაში ქალიც მოვიდა, თაყვანი სცა და უთხრა: უფალო, შემეწიე მე! ხოლო მან პასუხად თქვა: არ ვარგა, შვილებს წაართვვა და ძაღლებს მიუგდო პური. ქალმა კი უთხრა: დიახ, უფალო, მაგრამ, ძაღლებიც ხომ ჭამენ პატრონის ტაბლიდან დაცვენილ ნასუფრალს. მაშინ იესომ პასუხად მიუგო: აჰა, ქალო! დიდია შენი რწმენა, და შენი სურვილსამებრ მოგეგოს შენ! და განიკურნა მისი ასული იმავე წამს!“ (მათე, 15 :23-28)

ებრაელები თავიანთ თავს აბრაამის შვილებს, ღვთის შვილებსა და ზეციური სამეფოს (ზეცათა სასუფევლის) ძეებს უწოდებდნენ, ხოლო წარმართებს უყურებდნენ, როგორც ძაღლებს, ამიტომაც მაცხოვარმა თითქოსდა ამ შემთხვევისას საგანგებოდ მიუთითა ებრაელებს თავიანთი შეხედულების უმართებულობის შესახებ. წარმართთა შორის ის ხედავდა ძლიერ სარწმუნოებას, რომელიც მსგავსს „ისრაელის სახლის დაღუპულ შვილებს“ - ებრაელთა შორისაც ვერ ჰპოვებდა.

ხორცის შესხმის შემდეგ მაცხოვარი იქცა ჭეშმარიტ კაცად, და ვითარცა ყოველ ადამიანს, მასაც ჰქონდა სამშობლო, გააჩნდა თავისი ერი, რომლის მსახურება და გადარჩენა უპირველეს საქმედ მიაჩნდა, ხოლო მკვდრეთით ადგომის შემდეგ ამაღლების წინ ის საგანგებოდ ავალებს მოციქულებს ყველა ტომსა და ყველა ერს ამცნონ სახარება, აჩვენონ გზა და გაუღონ კარი. - სულიწმიდის მოფენის შემდგომ კი მსოფლიოს ყველა ერს თანაბარი უფლება მიეცა და ქრისტეს ყოველის მორწმუნე ეროვნების მიუხედავად, ქრისტეს რჩეული ერის შვილია.

ქანანელი ასულის განკურნების შემდგომ იესო დაბრუნდა გალილეის ზღვის პირას, სადაც განკურნა კოჭლნი, ბრმანი, ყრუნი, საპყარნი. აქვე სასწაულებრივად შვიდი პურითა და ცოტაოდენი თევზით, ოთხიათასი კაცი გამოკვება. შემდგომ გაუმხილა თავის მოწაფეებს, რომ იერუსალიმში უნდა მიეღოთ ტანჯვა, სასიკვდილოდ უნდა მიეცა თავი და აღმდგარიყო მესამე დღეს. პეტრე, რომელმაც ვერ გაიგო თუ რას ნიშნავდა ეს, კიცხავდა იესოს, ‘ხოლო ის მიუბრუნდა პეტრეს და უთხრა: გამშორდი სატანა, ჩემი საცდური ხარ, რადგან ღმერთისას კი არ ფიქრობ, არამედ კაცისას. მაშინ უთხრა იესომ თავის მოწაფეებს: რომელსაც ნებავს შედგომად ჩემდა უარყოს თავისი თავი, აღიღოს თავისი ჯვარი და შემომიდგეს მე.

ვისაც თავისი სულის გადარჩენა სურს, მას დაჰკარგავს, ხოლო ვინც ჩემი გულისათვის დაჰკარგავს სულს, ის მას გადაარჩენს. რა სარგებელი იქნება კაცისათვის, თუ მთელ ქვეყანას მოიპოვებს და თავის სულს კი დაჰკარგავს? ანდა რას მისცემს კაცი თავისი სულის სანაცვლოდ? რადგან მოვა ძე კაცისა თავისი მამის დიდებითა და თავისი ანგელოზების თანხლებით და თავისი საქმეების მიხედვით მიაგებს თითოეულს“ (მათე, 16:24-27).

რამდენიმე დღის შემდეგ წაიყვანა იესომ პეტრე, იაკობი და იოანე მაღალ მთაზე და იცვალა მათ წინაშე ფერი. მზესავით გაბრწყინდა მისი სახე და გასპეტაკდა მისი სამოსი. გამოჩნდნენ მოსე და ელია, რომლებიც იესოსთან საუბრობდნენ. ნათელმა ღრუბელმა დაჩრდილა მოციქულები და გაისმა ხმა

ღრუბლიდან: ,,ეს არის ჩემი საყვარელი, რომელშიც კეთილად გამოვჩნდი მე. მას უსმინეთ.“ ეს რომ გაიგონეს მოწაფეები თავზარდაცემულნი პირქვე ჩაემხვნენ. მაგრამ მოვიდა იესო, ხელი შეახო და უთხრა მათ ადექით, ნუ გეშინიათ.

იესოს ფერისცვალებით სურდა განემტკიცებინა თავისი მოწაფეები, რომელთაც მალე მისი ვნება უნდა ეხილათ, ამიტომაც აჩვენა თავისი ღვთაებრივი ძალა. ფერიცვალების შემდეგ იესომ გააფრთხილა მოწაფეები, არავისათვის ეთქვათ ამის შესახებ.

იესოს მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილი ფარისევლები და სჯულის მასწავლებლები. ისინი ითხოვდნენ ნიშანს ზეციდან, რომელიც დაამტკიცებდა მის ღვთაებრივ წარმომავლობას, ღვთის სამეფოს დასაწყისის ნიშანს. იესო კი თავის მოციქულებს უკრძალავდა მისი ღვთაებრიობის აღიარებას. შაბათის დარღვევად მიიჩნევდნენ იესოს მიერ ავადმყოფთა განკურნებას, ხოლო მოციქულთა ,,შრომამ“ შაბათ დღეს, როცა მათ პურის ყანაში თავთავები მოწყვიტეს და ნაყოფი ჭამეს – აღაშფოთა ისინი. იესომ უთხრა ფარისევლებს – ,,ძე კაცისა შაბათის უფალიც არის“. (ლუკა, 6.5), რომ შაბათი კაცისათვისაა და არა კაცი შაბათისთვის. უფრო ადრეც უთხრეს ფარისევლებმა საყვედური იესოს, რომ მისი მოწაფეები არღვევდნენ უხუცესთა გადმოცემებს. მაგალითად, ხელს არ იბანდნენ ჭამის წინ. იესომ მოუხმო ხალხს და უთხრა – პირში შემავალი კი არ შებილწავს კაცს, არამედ პირიდან გამომავალია ის, რაც შებილწავს კაცს. რადგანაც ყველაფერი რაც პირიდან შევა, მუცელს გაივლის და გარეთ გამოვა, ხოლო პირით გამომავალი გულიდან გამოდის და სწორედ ის ბილწავს კაცს, ვინაიდან გულიდან გამოდის უკეთური ზრახვანი, კაცის კვალნი, მრუშობანი, სიძვანი, პარვანი, ცილისწამება, გმობანი, ესენი არიან კაცის შემბილწველნი, ხოლო ხელდაუბანელი ჭამა არ ბილწავს კაცს.

ფარისეველთა მიერ სარწმუნოების მოჩვენებითად მტკიცედ დაცვაზე იესომ თქვა ისაიას სიტყვები – ,,მიახლოვდება ეს ხალხი თავისი ენით და მადიდებს თავისი ბაგით, მაგრამ მისი გული შორსაა ჩემგან. ამაოდ მადიდებენ, რადგან ასწავლიან ადამიანურ მოძღვრებასა და მცნებებს“ (მათე, 15: 8.9).

მწიგნობართა და ფარისეველთა ბოროტება მით უფრო იზრდებოდა, რაც მეტად ხვდებოდნენ თავიანთ უსწორობას.

იერუსალიმში მოახლოებული იყო კარვობის დღესასწაულის დღეები და იესო მოემზადა იქ წასასვლელად. გაგზავნა მაცნე, ისინი მივიდნენ სამარიელთა სოფლებში, რათა სადგომი მოემზადებინათ მისთვის. მაგრამ არ მიიღეს (ჩანს ფარისევლებს ეზრუნათ ხალხში იესოს გავლენის შესამცირებლად). ეს რომ იხილეს მოწაფეებმა – თქვეს ,,უფალო თუ გნებავს ვიტყვით, რომ ცეცხლი გარდამოხდეს ზეცით და მოსრას ისინი, როგორც მოიქცა ელია. მიუბრუნდა იესო, შერისხა ისინი და თქვა: არ იცით, რომელი სილისანი ხართ. რადგან ძე კაცისა ადამიანთა სულების წარსაწყმედად კი არ მოვიდა, არამედ სახსნელად. და სხვა სოფელში წავიდნენ. მოხდა ისე, რომ გზაში ვიღაცამ უთხრა მას: სადაც უნდა მიდიოდე, თან გეახლები უფალო და უთხრა მას იესომ: მელიებს სოროები აქვთ და ცის ფრინველებს - ბუდეები, ძე კაცისას კი არა აქვს სად მიიდრიკოს თავი'' (ლუკა, 9:54-58).

ამის შემდეგ უფალმა აირჩია სხვა სამოცდაათი მოწაფე, წინასწარ გაგზავნა ისინი წყვილ-წყვილად იმ ქალაქებსა და სოფლებში, სადაც თვითონ აპირებდა მისვლას. უთხრა მათ: სამკალი ბევრია, მუშაკნი კი ცოტანი არიან, აჰა, გაგზავნით თქვენ, როგორც კრავებს მგლებს შორის. განკურნეთ სნეულნი, ახარეთ ღმერთის სასუფევლის მოახლოება. რამდენიმე ხნის შემდეგ მოციქულები სიხარულით დაბრუნდნენ, რადგან მათ ეშმაკნიც კი ემორჩილებოდნენ იესო ქრისტეს სახელით. გაიხარა იესომ და თქვა: გაღიარებ მამაო, ცისა და მიწის უფალო, ვინაიდან ბრძენთა და გამგეთ დაუმალე ეს და გაუცხადე ჩვილ ბალღებს. ყველაფერი მამისაგან მომეცა მე და არავინ იცის ვინ არის ძე, გარდა მამისა და არც ის ვინ არის მამა გარდა ძისა, გარდა იმისა ვისთვისაც ძე ინებებს გამოცხადებას, და უთხრა იესომ მოციქულებს: ,,ვხედავდი სატანას ელვასავით რომ ვარდებოდა ციდან“. და მისცა მათ ხელმწიფება მტრის ყოველი ძალის დათრგუნვისა. ასწავლა საუფლო ლოცვა და უთხრა: ითხოვეთ და მოგეცემათ, ეძებეთ და ჰპოვებთ,

დააკაკუნეთ და გაგეღებათ, რადგან ყველა მთხოვნელს მიეცემა, მძებნელი ჰპოვებს და ვინც აკაკუნებს გაუღებენ. წმიდა სულს მისცემს მამა თქვენი ზეციერი იმათ, ვინც სთხოვს.

ვინც იხილა იესოს მიერ ეშმაკის განდევნა დამუნჯებული კაციდან, თქვა: ეს ბელზებელის, ეშმაკთა მთავრის, შეწევნით აძევებს ეშმაკთაო. იესო მიხვდა რას ფიქრობდნენ ისინი და უთხრა: ყოველი სამეფო თავისი თავის წინააღმდეგ გაყოფილი, გაპარტახდება და ყოველი სახლი, თავისი თავის წინააღმდეგ გაყოფილი – დაიქცევა, და თუ სატანა თავის თავს განეყოფა, როგორღა გაძლებს მისი სამეფო? თქვენ კი ამბობთ, რომ მე ბელზებელის შეწევნით ვაძევებ ეშმაკთ, ხოლო თუ მე ღმერთის თითით ვაძევებ ეშმაკთ, მოუწევია კიდეც თქვენამდე ღმერთის სასუფეველს.

ზოგი სასწაულს ითხოვდა მისგან, იესომ თქვა: უკეთურია ეს მოდგმა და სასწაულს ეძებს, მაგრამ სასწაული არ მიეცემა მას, გარდა იონა წინასწარმეტყველის სასწაულისა. ვინაიდან როგორც იონა იყო სასწაული ნინეველთათვის, ასევე იქნება ძე კაცისა ამ მოდგმისათვის.

იერუსალიმში როგორც კარვების, ისე განახლების დღესასწაულის დღეებში იესოს დაჭერა და ჩაქოლვა უნდოდათ. კარვების დღესასწაულზე, მოსავლის აღების საზეიმო დღეებში იერუსალიმში ქვეყნის კუთხეებიდან იკრიბებოდა მლოცველთა დიდი რიცხვი. მათ იერუსალიმში ელოდათ მხიარულება, ცხოვრობდნენ ღია ცის ქვეშ, რტოებისაგან აგებულ კარვებში, ძველი ტრადიციის შესაბამისად. ყველგან გაისმოდა იესოს სახელი, თუმცა კი ჩურჩულით, რადგანაც იესოს სახელგანთქმულობით შეშინებულმა ქალაქის ხელისუფლებმა იზრუნეს აეკრძალათ მის შესახებ საუბარი. მათ ეშინოდათ ხალხი არ გაჰყოლოდა იესოს, მეფედ არ გამოეცხადებინათ და რომაელების წინააღმდეგ არ აჯანყებულიყვნენ. დღესასწაულის ბოლო დღეებში იესოს შესაპყრობად მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა გაგზავნეს მსახურნი. მათ არ შეიპყრეს იესო. შეკითხვაზე თუ რატომ? უპასუხეს – „არასოდეს კაცს ისე არ ულაპარაკნია, როგორც ეს კაცი ლაპარაკობს. ფარისევლებმა უპასუხეს: ნუთუ თქვენც გაცდუნათ?“ (იოანე, 7:46-47). მეორე დღეს იესო კვლავ მივიდა ტაძარში, ხალხს უთხრა – „მე ვარ ნათელი სოფლისა, რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისა.“ ფარისევლებმა უთხრეს: შენ თვითონ მოწმობ შენს თავს, შენი მოწმობა არა ჭეშმარიტია. იესომ უთხრა მათ: მე თუ ჩემს თავს ვმოწმობ, ჩემი მოწმობა ჭეშმარიტია, რადგან ვიცი, საიდან მოვედი და სად მივდივარ. თქვენ კი არ იცით, საიდან მოვედი და სად მივდივარ. თქვენ ხორცის მიხედვით ასამართლებთ, მე კი არ ვასამართლებ არავის. მე თუ ვასამართლებ, ჩემი სასამართლო ჭეშმარიტია, რადგან მე მარტო არა ვარ, არამედ მე და მამა ვართ ერთად რომელმაც მე წარმომაგზავნა.

იესოს ეკითხებოდნენ ისრაელის გათავისუფლების შესახებ. იესო ამბობდა: „უკუეთუ თქვენ დაადგეთ სიტყვათა ჩემთა, ჭეშმარიტად მოწაფენი ჩემნი ხართ. და სცნათ ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქვენ“ (იოანე, 8-32). იუდეველებმა უპასუხეს – ჩვენ აბრაამის შვილები ვართ და არასოდეს ვყოფილვართ მონები. რაზედაც იესომ მიუგო - „ყველა ცოდვის ჩამდენი ცოდვის მონაა, თუ ძე გაგათავისუფლებთ ნამდვილად თავისუუფლები იქნებით. თქვენ რომ აბრაამის შვილები იყოთ აბრაამის საქმეებს გააკეთებდით. ახლა კი ჩემს მოკლას ეძიებთ, კაცისას რომელმაც გითხრათ ჭეშმარიტება, რაც ღმერთისაგან მოვისმინე. აბრაამის ასეთი რა გაუკეთებია. მე გამოვედი და მოვედი ღმერთისაგან, ვინაიდან მე ჩემით კი არ მოვსულვარ, არამედ მან წარმომაგზავნა. ვინც ჩემს სიტყვას იცავს, იგი არ იხილავს სიკვდილის უკუნისამდე. მე განმადიდებს მამაჩემი, რომლის შესახებ ამბობთ: ჩვენი ღმერთი არისო. თქვენ ის ვერ შეიცანით, მე კი ვიცნობ მას. სანამ აბრაამი იქნებოდა, მე ვარ” მაშინ აიღეს ქვები, რომ ჩაექოლათ იესო, მაგრამ ის მოეფარა და გამოვიდა ტაძრიდან (იოანე, 8).

ასევე უნდოდათ იესოს შეპყრობა იერუსალიმში ტაძრის კურთხევის (განახლების) დღეებში, რომელიც ღვთისმეტყველთა აზრით, მომხდარა ახალი ერის 29 წლის დეკემბრის მეორე დეკადაში. ტაძრის სოლომონისად სახელდებულ დერეფანში იესოს გარს შემოეხვივნენ იუდეველნი და მოითხოვეს მისგან საჯაროდ გამოეცხადებინა თავი ქრისტედ, თუ კი ასე მიაჩნდა თავისი თავი. ისრაელიანები

მესიის მოსვლას უკავშირებდნენ თავისი სახელმწიფოს აღდგენას და იუდეველთა მსოფლიოს მპყრობელ ერად გადაქცევას. ასე ესმოდათ მათ ქვეყანაზე ღვთის სასუფევლის დადგომა. ამიტომაც მზად იყვნენ მესიას, ღვთის ძალით უძლეველს, გაჰყოლოდნენ და მეფედ გამოეცხადებინათ.

იუდეველებმა უთხრეს იესოს – „როდემდე გეჭირება ჩვენი სული გაუგებრობაში? თუ ქრისტე ხარ, გვითხარი გარკვევით". იესომ უპასუხა: „გითხარით თქვენ და არ ირწმუნეთ ჩემი. საქმენი რომელთაც მე ვაკეთებ მამაჩემის სახელით, მოწმობენ ჩემს შესახებ. მე და მამა ერთი ვართ". ამ სიტყვებისათვის იესოს ჩაქოლვა უნდოდათ, ეუბნებოდნენ: „კაცი ხარ და ღმერთად ხდი შენს თავს". იესომ კვლავ თქვა განმარტებათა შემდეგ - „ჩემშია მამა, მე კი – მამაში". უნდოდათ მისი მოკვლა მაგრამ მიეფარა მათ თვალთაგან.

იესო მის მიმართ მტრულად განწყობილ იუდეიდან წავიდა იორდანის გადაღმა იმ ადგილას, სადაც წინათ ნათლავდა იოანე, სადაც მოხდა მისი განცხადება. ჭეშმარიტია ყველაფერი რაც იოანემ თქვა მის შესახებ – ასე ამბობდნენ მასთან მრავლად მიმავალი ადამიანები. ბევრმა ირწმუნა ქრისტე იქ (იოანე, 10).

აქ შეატყო იესომ ლაზარეს, თავისი მეგობრის ავადმყოფობის შესახებ და გამოხატა სურვილი იუდეაში წასვლისა, სადაც ლაზარე ცხოვრობდა მოციქულებს კი შეეშინდათ, რადგანაც იუდეაში იესოს მოსაკლავად ეძებდნენ და უთხრეს - „რაბი, იუდეველები ახლახან ჩასაქოლად გეძებდნენ და კვლავ იქ მიდიხარ?"

- „ლაზარემ, ჩვენმა მეგობარმა დაიძინა და მის გასაღვიძებლად მივდივარ". იესო მის სიკვდილზე ლაპარაკობდა. მაშინ იესომ პირდაპირ უთხრა: ლაზარე მოკვდა. – ჩვენ წავიდეთ რათა მასთან დავიხოცოთ – იუდეველების მრისხანებით შეშინებული თომა იუდეაში სიკვდილს ელოდა.

იერუსალიმთან ახლოს სოფელ ბეთანიაში ცხოვრობდა ლაზარე, მისი დები მარიამი და მართა უყვარდა იესოს. მათ ტკბილ ოჯახში ხშირად ისვენებდა იერუსალიმის შფოთიანი დღეების შემდეგ.

ბევრი იუდეველი მოვიდა მარიამთან და მართასთან ნუგეშინისსაცემად, მათი ძმის გარდაცვალების გამო.

იესოს მისვლის ამბავი რომ შეიტყო, მართა შეეგება მას, მარიამი კი შინ იჯდა. მართამ უთხრა იესოს: უფალო, აქ რომ ყოფილიყავი ჩემი ძმა არ მოკვდებოდა. იესომ უპასუხა – აღდგება შენი ძმა. მართამ უთხრა: ვიცი რომ აღდგება აღდგომისას, უკანასკნელ დღეს. იესომ კი უთხრა: მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, ჩემი მორწმუნე, რომ მოკვდეს კიდეც, გაცოცხლდება და ყოველი ცოცხალი და ჩემი მორწმუნე არ მოკვდება საუკუნოდ. გწამს ეს? – დიახ, უფალო, მე მწამს, რომ შენ ქრისტე ხარ, ძე ღმერთისა, რომელიც ქვეყნიერებაზე მოდის – ამის თქმის შემდეგ მართა გაემართა სახლისაკენ და მოუხმო მარიამს იესოსთან შესახვედრად.

მარიამს თან უამრავი ხალხი გაჰყვა, მივიდა იესოსთან, დაეცა მის ფეხებთან და უთხრა: უფალო აქ რომ ყოფილიყავი ჩემი ძმა არ მოკვდებოდა, როცა იესომ იხილა მტირალი მარიამი და იუდეველები, ამოიოხრა სულით და დაღონდა „და ცრემლოოდა იესო" – მაცხოვარი ატირდა. მაშინ იუდეველებმა თქვეს – ნახე, როგორ ჰყვარებია.

იესო კვლავ აღელდა შინაგანად, მივიდა სამარხთან, რომელიც გამოქვაბულში იყო მოთავსებული და ზედ ლოდი ჰქონდა მიყუდებული.

იესომ მოითხოვა ლოდის გადაგორება. მართა წინააღმდეგი იყო, რადგანაც მიცვალებული, ოთხი დღის წინათ გარდაცვლილი, გახრწნის გამო აყროლებული იქნებოდა. იესომ ქვა გადააწევინა და შეუდგა ლოცვას:

- „მამაო გმადლობ შენ რომ მისმინე. მე ვიცი, რომ ყოველთვის მისმენ. მე მხოლოდ გარშემოკრებილი ხალხის გასაგონად ვთქვი, რათა ირწმუნონ რომ შენ წარმომგზავნე".

ეს რომ თქვა, დიდი ხმით დაიძახა: ლაზარე გამოდი გარეთ.

გამოვიდა მიცვალებული. ხელ-ფეხი სახვევებით ჰქონდა შეკრული და სახეც სუდარით ჰქონდა შეხვეული, იესომ გაახსნევინა სახვევები, ლაზარემ გაიარა. ამის მხილველმა და გამგონე მრავალმა ადამიანმა იწამა იესო.

ლაზარეს გაცოცხლება იესომ, როგორც თვითონ უთხრა მოციქულებსა და მართას, ინება ღმერთის სადიდებლად, და ამით აჩვენა მოწაფეებს, თავისი ძალაუფლება სიკვდილსა და სიცოცხლეზე.

იუდეველები გაოცებული იყვნენ იესოს სასწაულმოქმედებით. არაჩვეულებრივმა ამბავმა სწრაფად ჩააღწია იერუსალიმში. ფარისევლები და იუდეველი სამღვდლოება წრმუნდებოდა, რომ იესოს სიყვარული ხალხში იზრდებოდა.

სასწრაფოდ მოიწვიეს მღვდელმთავართა და ფარისეველთა სინედრიონი და განიხილეს იესოს საკითხი და თქვეს: „რა ვქნათ, რამეთუ ეს კაცი ბევრ სასწაულებს ახდენს? თუ მივუშვებთ თავისთვის, ყველა ირწმუნებს მას,მოვლენ რომაელები და დაიპყრობენ ჩვენს ადგილსაც და ერსაც“ (იოანე 11:48).

სამღვდელოებას ეშინოდა, რომ თუ ხალხი აჯანყდებოდა თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და თავისუფლების აღსადგენად, რომის უზარმარზარი იმპერია უთუოდ უსასტიკესად ჩაახშობდა მას, ქვეყანას კი საერთოდ მოსპობდა, ერი აღიგვებოდა მიწისგან პირისა ამიტომაც თქვა იმ წლის მღვდელმთავარმა კაიაფამ ცნობილი სიტყვა - „ვერ მოგვიფიქრებია, რომ ჩვენთვის უმჯობესია მოკვდეს ერთი ადამიანი ხალხისათვის, ვიდრე მთელი ერი დაიღუპოს“.

იესო ხალხისათვის მოკვდა „და არა მარტო ერისთვის, არამედ იმისათვის, რომ ღმერთის შვილები შეეკრიბა ერთად” (იოანე, 11:52).

მღვდელმთავარმა იწინასწარმეტყველა, სინედრიონმა დაადგინა იესოს მოკვლა, ამიტომაც იესო აღარ გადიოდა ხალხში ცხადად, გაეცალა იქაურობას და უდაბნოს ახლოს მდებარე ქალაქ **ეფრაიმში** დარჩა მოწაფეებთან, პასექის დღესასწაულამდე.

ფარისეველთა და მღვდელმთავართა წუხილი იმისა, რომ იესო ხალხს აჯანყებდა რომაელთა წინააღმდეგ, სრულიად უსაფუძვლო იყო. მახარებლები ხშირად გადმოგვცემენ ამის დამადასტურებელ ცნობებს. როგორც ითქვა, ეს წუხილი გამოწვეული იყო იმით, რომ ხალხს ვერ წარმოედგინა მესია, რომელიც არ აღუდგენდა ისრაელის ერს სამეფოს. პასექამდე რამდენიმე დღით ადრე იესო დაბრუნდა ბეთანიაში, თავის საყვარელ ოჯახში. აქ იყვნენ მისთვის ძვირფასი ადამიანები: ლაზარე, მკვდრეთით აღდგენილი, მარიამი და მართა. მართა, როგორც ყოველთვის ახლაც მრავალს ზრუნავდა სათაყვანებელი სტუმრის პატივსაცემად. ერთხელ, წინა სტუმრობისას უთხრა კიდეც იესომ მოფუსფუსე მართას: „მართა, მართა, ბევრს ზრუნავ და შფოთავ, მაგრამ საჭიროა მხოლოდ ერთი რამ. მარიამმა კი უკეთესი წილი აირჩია, რომელიც არ წაერთმევა მას (ლუკა, 10:41-2). უკეთესი, რომელიც მარიამმა აირჩია იყო ის, რომ უსმენდა მაცხოვარს. ახლაც უკეთესი აირჩია მარიამმა - ვახშმობის ნადიმისას აიღო ერთი ლიტრი სუფთა და ძვირფასი ნელსაცხებელი, სცხო იესოს და საკუთარი თმით შეუმშრალა. სახლი ნელსაცხებლის სურნელებით აივსო.

ეს მოუთმენელი გახდა იუდა ისკარიოტელისათვის, რომელიც ქრისტეს საძმოს „მეგვადრუცე“ ანუ მოლარე იყო. თავის უკმაყოფილებაც ამას დაუკავშირა - „რატომ არ გაიყიდოს ეს ნელსაცხებელი სამას დინარად და არ დაურიგდება ღარიბებს?“ (იოანე, 12:5). მარიამს ჯერ კიდევ მთლიანად არ ჰქონდა დახარჯული ძვირფასი ზეთი და კვლავ სცხებდა იესოს. ამ პროცესის შეწყვეტა სურდა იუდას. „ეს ღარიბებისათვის ზრუნვის გამო კი არ თქვა, არამედ იმიტომ რომ ქურდი იყო. ყულაბა მას ჰქონდა რასაც ჩააგდებდნენ ის იღებდა“ ამბობს იოანე ღვთის-მეტყველი.

იესომ უთხრა: დაანებე თავი, ჩემი დამარხვის დღისათვის გადაინახა იგი. რადგან ღარიბნი ყოველთვის თქვენთანა გყავთ მე კი არ გყავართ ყოველთვის“ (იოანე.12:7-8).

ამ სიტყვებით მან კიდევ ერთხელ მიუთითა თავის სიკვდილის მოახლოების შესახებ.

იესოს ბეთანიაში ყოფნის შეტყობისთანავე უამრავმა ადამიანმა იწყო დენა. არა მარტო მის, არამედ მკვდრეთით აღმდგარი ლაზარეს სანახავადაც, ამიტომ მღვდელმთავრებმა ლაზარეს მოკვლაც გადაწყვიტეს. ლაზარეს ამბავი ხალხს არწმუნებდა, რომ იესო ღვთისაგან იყო მოსული, სწორედ ის იყო, რომელსაც ელოდა იუდეველი ხალხი.

ვნების შვიდეული

(ბზობის კვირა – 30 წლის 2 აპრილი)

ჭეშმარიტი რწმენის მცველად ღვთის მიერ გამორჩეული ებრაელი ხალხი მსხმოიარე ვენახს შეადარა უფალმა იესომ, რომლის ნაყოფის სახილველადაც ინება იერუსალიმში შესვლა ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების შემდეგ. მის მისაღებად ხალხის მომზადება ანუ ვენახის პატრონობა ევალებოდა ერის მეთაურებს – მღვდელმთავრებს, მწიგნობრებს, სჯულის განმმარტებლებს, მაგრამ მათ მხოლოდ თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს მიცემული ძალაუფლება. ხალხს კი ჩაუნერგეს აზრი, თითქოსდა მესია თავისი ღვთაებრივი ძალით შექმნიდა მსოფლიო იმპერიას ისრაელი ხალხის მეთაურობით. ასეთი მცდარი თვალსაზრისის გამო, მოსვლის ჟამს ვერ იცნო თავისი მაცხოვარი იერუსალიმმა და ისრაელმა. საშინელი იყო ის, რომ მათ არა მარტო უარყვეს თავისი მხსნელი, ის ქალაქიდან გაიყვანეს და ჯვარს აცვეს. მაცხოვრის მისაღებად, სწორედ ამ დღისათვის კი იყო ვენახი დარგული და გახარებული „ამ შენს დღეს მაინც რომ შეგეცნო, რა მოგანიჭებს მშვიდობას!“ – ეუბნება იერუსალიმს მაცხოვარი, რომელიც ატირდა ქალაქის დანახვისას. თავისი დიდების დღე ვერ შეიცნო აღთქმულმა ქვეყანამ, გამორჩეულმა ერმა, სჯულის კიდობნის ქალაქმა – „მაგრამ ამჟამად დაფარულია ეს შენს თვალთაგან“ თვალცრემლიანი გაჰყურებდა ულამაზეს, კეთილად ნაშენ დედაქალაქს იესო. და შენ ქალაქო, სწორედ ამ დღის შეუცნობლობის გამო – „მოგივლენ დღენი, როცა მტრები თხრილს შემოგვავლებენ, შემოგერტყმიან და შეგავიწროვებენ ყოველი მხრიდან. მიწასთან გაგასწორებენ და შენს შვილებს მუსრს გაავლებენ შენში და ქვას ქვაზედაც აღარ დატოვებენ შენში, ვინაიდან ვერ შეიტყვე შენი მოხილვის ჟამი“ (ლუკა, 19 43-45).

იერუსალიმის მომავლით შეწუხებულმა ერთმა მოწაფემ შეშფოთებით უთხრა იესოს – „შეხედე მოძღვარო, რანაირი ქვებია და რანაირი შენობები!”.

იერუსალიმის ტაძარი მსოფლიოში უმშვენიერესი ნაგებობა იყო.

„მიუგო იესომ: ხედავ ამ დიდ შენობებს? ქვა ქვაზე არ დარჩება აქ, რომელიც არ გადაყირავდება“ (მარკ., 13:1-2). სულ ერთი თაობის მანძილზე ასრულდა იესოს წინასწარმეტყველება – იერუსალიმი დაინგრა, ამოწყდა იუდეველთა შვილები, რომელნიც ასე განუსჯელად გაიმეტეს თავიანთმა მშობლებმა პილეტეს სამსჯავროს დროს, როცა იესოს სიკვდილის ითხოვდნენ სიტყვებით – „ჩვენზე და ჩვენს შვილებზე მაგის სისხლი“ (მათე, 27:25). აი, ამ დღიდან სულ 40 წელის გასვლის შემდეგ ახალი ერის 70 წელს, რომელებმა დაანგრიეს იერუსალიმი. 10 ათასი აჯანყებული ტყვედ ჩავარდა, 70 ათასი რომში ტრიუმფის დასამშვენებლად წაიყვანეს. რომის იმპერიასთან ომში სულ 70 წლის 1 მაისიდან 20 ივლისამდე ასიათასზე მეტი იუდეველი დაღუპულა, სულ კი ომში რამდენიმე წლის მანძილზე ორ მილიონამდე კაცი დაუკარგავთ იუდეველებს აქედან 240.000 შიმშილით ამომწყდარ, მილიონ 200 ათასი ხმლით მოუსრავთ, განადგურდა იუდეველთა სახელმწიფო, გაქრა ებრაელი ერის პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

მოხდა ის, რისიც ეშინოდათ ერის მეთაურებსა და მღვდელმთავრებს – რომაელთა წინააღმდეგ ავჯანყება, მაგრამ სწორედ მათ ჩათესეს ერში ილუზიური წარმოდგენები.

იესოს დასწამეს რომაელთა წინააღმდეგ ხალხის ავჯანყების მცდელობა, ნამდვილი მოჯანყეების ზრახვები კი აულაგმავი დარჩა. იესოს მოკვლის შემდეგ რომის იმპერატორმა კლავიდიუსმა, ჰეროდე I-ის შვილიშვილი აგრიპა (არისტობულის ძე) იუდეის ტახტზე დასვა. მას შეუერთდა გალილეა, პერია, სამარია, მისი გარდაცვალების შემდეგ (44 წ.) იუდეის ტახტი არ მისცეს მის შვილს. იუდეა კვლავ პროკურატორთა ხელქვეშ აღმოჩნდა. ხალხის უმრავლესობა მიემხრო თავდაუზოგავ ზელოტებს (დამცველებს) მათ უნდოდათ მოეწყოთ რომაელთა წინააღმდეგ საყოველთაო ავჯანყება. არსებობდა მშვიდობის მოყვარეთა პარტიაც, რომელიც ხალხისაგან რომაელთა დამორჩილებას მოითხოვდა და ასევე ტერორისტების (მოკლე ხანჯლიანთა) პარტია, მათ ნაკლები მიმდევრები ჰყავდათ. 67-70 წლებში ავჯანყებულთა წინააღმდეგ რომის არმიები მოქმედებდნენ. 70 წლის გაზაფხულზე ტიტუს ფლავიუსის მეთაურობით იერუსალიმისაკენ უზარმაზარი ლაშქარი დაიძრა 80 ათასი მეომრით. სასტიკი ომებისა და ალყის შემდეგ მტერი დედაქალაქში შეიჭრა, ხალხი ტაძარს მიაწყდა. ტიტუსი ისე მოიხიბლა ტაძრის დიდებულებით, რომ კარიბჭეს მოდებული ცეცხლი ჩააქრობინა. მაგრამ რომელიღაც ლეგიონერმა ფანჯრიდან მუგუზალი შეაგდო. ცეცხლი მოედო სვეტებს, თვალის დახამხამებაში მთელ ტაძარს. დიდებული ტაძარი, ხუროთმოძღვრების საოცრება, ერის დიდება, სარწმუნოების ცენტრი – ფერფლად იქცა. დაინგრა ტაძარი, სასახლე, ქალაქი.

სწორედ ამიტომ ტიროდა იესო 40 წლით ადრე იერუსალიმის დაქცევას.

იერუსალიმში, ღვთის ვენახში, მისვლის დღეს მოწაფეებმა და იმ ხახლმა, რომელმაც იცნო იესო, წარმოთქვეს სადიდებელი სიტყვები – „კურთხეულია მეუფე, მომავალი უფლის სახელით, მშვიდობა ზეცას და დიდება მაღალთა შინა“ კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა. ტრადიციული წესით მეფე უხედნელ ვირზე შემჯდარი შედიოდა ქალაქში და ნაწინასწარმეტყველებიც იყო, მესიის შესახებ – „უთხარით სიონის ასულს: „აჰა, გიახლოვდება შენ მშვიდი მეუფე, ვირსა და ჩოჩორზე, სახედრის ნაშობზე მჯდარი“ (მათე, 21:5).

იესომ ინება იერუსალიმში შესვლა, ვითარცა მესიას ეკადრებოდა. ხალხიც პატივისცემით შეხვდა, როგორც ტრიუმფატორ მეფეთა დახვედრისას, ხელში რტოებით – „უმრავლესი იგი ერი დაუფენდა სამოსელისა მათსა გზასა ზედა, და სხვანი მოჰკაფდეს რტოებსა ხეთაგან და დაუფენდეს გზასა ზედა. და ერი იგი, რომელი წინა უვიდოდა და რომელი უკანა შეუდგა, ღაღადებდეს და იტყოდეს ოსანა ძესა დავითისსა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა“ (მათე, 21:8-9).

შეიძრა ქალაქი, ყველა კითხულობდა იესოს შესახებ, მაგრამ ხალხის აღტაცება მალე დააცხრეს ფარისევლებმა. მათ პირდაპირ მოუწოდეს იესოს, რომ აეკძალა მის მესიად გამოცხადება, - ‘მოძღვარო შერისხე შენი მოწაფეები. ხოლო იესომ მიუგო: გეუბნებით ესენი რომ დადუმდნენ, ქვები დაიწყებენ ღაღადს“ (მათე, 19:40). შევიდა იესო იერუსალიმში და ტაძარში, და დაათვალიერა ყოველივე. უკვე გვიანი იყო და იმ თორმეტთან ერთად გაემართა ბეთანიისაკენ (მარკ. 11:11)

დიდი ორშაბათი. 30 წლის 3 აპრილი

მეორე დღესო; წერს მარკოზ მახარებელი, ბეთანიიდან რომ გამოვიდნენ იერუსალიმის გზაზე, იესოს მოშივდა, შორიდან დაინახა ფოთლებით დაფარული ლეღვის ხე. წავიდა, იქნებ ზედ რამე ეპოვა. რომ მივიდა ვერაფერი ნახა გარდა ფოთლებისა, ვინაიდან არ იყო ლეღვობის დრო. და უთხრა მას: ნუღარავინ ჭამოს უკუნისამდე ნაყოფი შენი. და ესმოდათ ეს მის მოწაფეებს(მარკ.11:14).

ქალაქში შესვლისთანავე იესო ტაძრისაკენ გაემართა. იქ, როგორც ორი წლის წინ, გამალებული ყიდვა-გაყიდვა იყო გაჩაღებული. ამიტომაც იესომ ტაძრიდან გამოყარა ყველა მყიდველი და გამყიდველი, ააყირავა ფულის გადამცვლელთა მაგიდები და მტრედებით მოვაჭრეთა მერხები. გაოცებულ ხალხს იესომ უთხრა: - ჩემი სახლი სალოცავ სახლად იწოდება. თქვენ კი ყაჩაღთა ბუნაგად გიქცევიათ იგი. მთელი ხალხი მონუსხულივით უსმენდა მას, ტაძარშივე განკურნა კოჭლები და ბრმები, ყველა გახარებული იყო, ამიტომაც ვერაფერს უხერხებდნენ მღვდელმთავრები, მწიგნობრები და ერისმთავრები, რომელთაც მისი დაღუპვა სურდათ. ვერ ბედავდნენ იესოს საწინააღმდეგო აშკარა ქმედებას, რადგანაც ეშინოდათ იმის გამო, რომ მთელი ხალხი გაოცებული იყო მისი მოძღვრებით (მათე, 21:12-13), (მარკ. 11:15-19: ლუკა, 19:45-48). და მოუშორებლად უსმენდა მას.

მაინც ვერ მოითმინეს მღვდელმთავრებმა და მწიგნობრებმა, როდესაც იხილეს მის მიერ ქმნილი სასწაულები და ტაძარში მოყიჟინე ბალღები, რომლებიც ამბობდნენ: ოსანა ძესა დავითისასა - განრისხდნენ და უთხრეს იესოს. გესმის, რას ამბობენ ისინი? ხოლო იესომ მიუგო მათ: დიახ! არასოდეს წაგიკითხავთ: ჩვილთა და მეძუძურთა პირით დაიმკვიდრე დიდება, (მათე, 21:14-17).

იესო კვლავ ბეთანიაში გაემართა ღამის გასათევად.

დიდი სამშაბათი. 30 წლის 4 აპრილი

დილით იერუსალიმისაკენ მიმავალ გზაზე იესომ და მოციქულებმა დაინახეს წინადღით ფოთლებით სავსე ლეღვის ხე, რომელიც ფესვებამდე გამხმარიყო. ეს რომ იხილეს, გაუკვირდათ მოწაფეებს. პეტრემ უთხრა იესოს: რაბი, აი ის ლეღვი შენ რომ დაწყევლე, გამხმარა. პასუხად უთხრა მათ იესომ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ გექნებათ რწმენა და არ შეეჭვდებით, არა მარტო იმის ქმნას შესძლებთ, რაც დაემართა ლეღვის ხეს, არამედ ამ მთას უბრძანოთ აიწიე და ზღვაში ჩავარდიო – მოხდება ეგრე, თქვენი სიტყვისამებრ. და ყველაფერი, რასაც ლოცვაში ითხოვთ რწმენით, მოგეცემათ. როცა დგახართ და ლოცულობთ, მიუტევეთ, თუ რაიმე გაქვთ ვინმეს წინააღმდეგ, რათა თქვენმა მამამაც მოგიტევოთ თქვენი შეცოდებანი. ხოლო თუ თქვენ არ მიუტევებთ, არც თქვენი მამა ზეცაში მოგიტევებთ თქვენს შეცოდებებს (მარკ. 11:20-26. მათე., 21:20-22).

იესო შევიდა ტაძარში საქადაგებლად, ასწავლიდა გარს შემოხვეულ ადამიანებს, ახარებდა მათ სასუფევლის შესახებ, მიადგნენ შეშფოთებული მღვდელმთავრები, მწიგნობრები და უხუცესები. და უთხრეს მას - „რომელი ძალაუფლებით აკეთებ ამას ან ვინ მოგცა შენ ეს ძალაუფლება?“

ხოლო იესომ მიუგო მათ პასუხად: მეც გკითხავთ ერთ სიტყვას, მეც მიპასუხეთ და გეტყვით რომელი ძალაუფლებით ვაკეთებ ამას – იოანეს ნათლობა საიდან იყო: ზეციდან თუ კაცთაგან? აბა მიპასუხეთ.

ისინი ერთმანეთში მსჯელობდნენ: თუ ვიტყვით რომ ზეციდანო, ის გვეტყვის: - მაშინ რატომ არ ერწმუნებით მას? ხოლო თუ ვიტყვით კაცთაგანო – ხალხისა გვეშინია, ვინაიდან ყველა წინასწარმეტყველად თვლის იოანეს, და პასუხად უთხრეს იესოს: არ ვიცით. იესომაც უთხრა მათ: მაშინ არც მე გეტყვით რომელი ძალაუფლებით ვაკეთებ ამას (მარკ.11:27-32, მათე., 21:23-27, ლუკა., 20:1-8).

სწორედ იოანე ნათლისმცემელს ჰქონდა გაცემული პასუხი კითხვაზე იესოს ძალაუფლების შესახებ. რომ ის იყო მამის საყვარელი ძე, რომელშიც გაცხადდა მისი სათნოება. იესომაც უთხრა ფარისევლებს კაცის ორი ძის შესახებ, რომელთაგანაც ერთს დაავალა წასულიყო მის ვენახში სამუშაოდ, ხოლო შვილმა მიუგო არ მინდა (ბოლოს კი ინანა და წავიდა). მაშინ მივიდა მეორესთან და იგივე უთხრა, ხოლო მან მიუგო: წავალ ბატონო და არ წავიდა. ამ ორთაგან რომელმა შეასრულა მამის ნება? რაღას იტყვით ამაზე? – შეეეკითხა იესო მათ, მიუგეს: პირველმა.

უთხრა მათ იესომ – ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, მებაჟენი და მეძავნი თქვენზე წინ შევლენ ღმერთის სასუფეველში. ვინაიდან მოვიდა იოანე თქვენთან სიმართლის გზით და არ ირწმუნეთ მისი, ხოლო მებაჟენი და მეძავნი ერწმუნენ მას. თქვენ კი იხილეთ, და მაინც არ მოინანიეთ რომ გერწმუნათ მისი (მათე, 21:28.32).

მონანიე ცოდვილები, რომლებმაც გვიან, მაგრამ მაინც აღასრულეს მამის ნება, ფარისევლებზე წინ დააყენა იესომ. ფარისეველნი სიტყვით თანახმანი იყვნენ, საქმეს კი არ ასრულებდნენ. სხვა იგავიც უთხრა იესომ მამის ვენახზე.

,,იყო ერთი სახლის პატრონი, რომელმაც ჩაყარა ვაზი, ღობე შემოავლო შიგ საწნახელი ამოკვეთა, ააგო კოშკი და იჯარით მისცა მევენახეებს. თვითონ კი გაემგზავრა.

და როცა რთველმა მოაწია, გაგზავნა თავისი მონები მევენახეებთან, რათა მოსავალი ჩაებარებინათ მათგან. ხოლო მევენახეებმა დაიჭირეს მისი მონები,ზოგი სცემეს, ზოგი დახოცეს, ზოგიც კიდევ ქვებით ჩაქოლეს ახლა სხვა მონები გაგზავნა, უწინდელზე მეტნი, მათაც იგივე დამართეს.

ბოლოს თავისი ძე გაგზავნა და თქვა: ჩემი ძის მაინც მოერიდებათო. მაგრამ მევენახეებმა მისი ძე რომ დაინახეს, ერთმანეთს უთხრეს: აგერ იგი, ვენახიდან გაიყვანეს და მოკლეს.

მერედა, როცა მოვა ვენახის პატრონი, რას უზამს ამ მევენახეებს? მოვა და დახოცავს ამ მევენახეებს, ხოლო ვენახს სხვებს მისცემს?

და ამის მსმენელებმა თქვეს: ღმერთმა ნუ ქნას! იესომ კი შეხედა მათ და თქვა: ნუთუ არასოდეს ამოგიკითხავთ წერილში: ქვა, რომელიც დაიწუნეს მშენებლებმა, კუთხის თავად დაიდვა? უფლის მიერ იქნა ეს, და ეს საოცრებად უჩანს ჩვენს თვალს.

ამიტომაც გეუბნებით თქვენ: წაგერთმევათ ღმერთის სასუფეველი და მიეცემა სხვა ხალხს, რომელიც გამოიღებს მის ნაყოფს. ვინც ამ ქვაზე დაეცემა დაიმტვრევა, ხოლო ვისაც ის დაეცემა – გასრესს.

და როცა მღვდელმთავარმა და ფარისევლებმა მოისმინეს მისი იგავნი, მიხვდნენ რომ მათზე ამბობდა ამას.

და უნდოდათ მისი შეპყრობა, მაგრამ ხალხის შეეშინდათ, ვინაიდან, წინასწარმეტყველად მიაჩნდათ იგი“ (მათე, 21:33-46, ლუკა, 20:9-19).

უფალმა იესო ქრისტემ გააგრძელა ტაძარში სწავლება, ხოლო იუდეველთა უხუცესები ამ დროს ერთმანეთში თათბირობდნენ, როგორ დაეჭირათ სიტყვაზე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი დადანაშაულება ან ხალხის წინ, ანდა რომაელ ხელისუფალთა წინაშე.

და აი, მოიფიქრეს მზაკვრული კითხვა და მაცხოვართან გაგზავნეს ფარისევლები და ჰეროდიანები (ე.ი. რომელნიც რომაელთა ხელისუფლების კანონიერებას აღიარებდნენ). მათ მიიღეს კეთილმორწმუნის სახე და შეეკითხნენ: ,,მოძღვარო, ვიცით რომ მართალი ხარ, და სიმართლით გვასწავლი ღმერთის გზასაც, და არც არავის არჩევ, ვინაიდან არ უყურებ სახეს კაცისას. მაშ, გვითხარი: როგორ გგონია, გვმართებს თუ არა ხარკი ვაძლიოთ კეისარს?“

ქრისტეს მტრები, მომფიქრებლები ამ ბოროტი კითხვისა, ასე საზღვრავდნენ: თუ იესო ქრისტე უპასუხებს, რომ ხარკის გადახდა საჭიროა, ამით თავის წინააღმდეგ აიმხედრებს ხალხს (რადგანაც ებრაელები თავიანთ მეფედ მხოლოდ ღმერთს აღიარებდნენ, ხოლო თავიანთი თავის ჩათვლა უცხო, თანაც წარმართი მეფის მოხარკეებად მიაჩნდათ უკანონო, ღვთის საგმობ საქმედ და მხოლოდ იძულებით აძლევდნენ ხარკს კეისარს).

ხოლო თუ იესო ქრისტე უპასუხებს, რომ კეისრისათვის ხარკის გადახდა არაა საჭიროო, ამ შემთხვევაში რომაელ ხელისუფლებთან დავადანაშაულებთ, როგორც კეისრის მოწინააღმდეგესო – ფიქრობდნენ ისინი.

იესომ შეიცნო მისი მზაკვრობა და უთხრა: რატომ მაცდუნებთ?

მაჩვენეთ დინარი: ვისი ხატია ზედ და ვისი წარწერა? მიუგეს კეისრისა.

და უთხრა მათ: მიეცით კეისრისა კეისარს და ღმერთისა – ღმერთს.

რაც ნიშნავს, მიეცით კეისარს ის, რაც მიიღეთ მისგან. კანონიერი მოვალეობა და აუცილებლობა უნდა შესრულდეს მორჩილებით, ამავე დროს, უთუოდ შესრულდეს ყველაფერი, რასაც ითხოვს ღმერთი თქვენგან თავის აღთქმებში. სიყვარულით ემსახურეთ მას, თქვენთვის სიცოცხლის მომნიჭებელს.

მაცხოვრის პასუხის სიბრძნემ და უბრალობამ ყველა გააოცა ისე, რომ გაჩუმდნენ და შერცხვენილები გაშორდნენ მას.

ფარისეველთა შემდეგ წინასწარშემუშავებული მზაკვრული გეგმის შესაბამისად, იესოსთან სადუკეველები მივიდნენ, რომლებსაც არ სწამდათ მკვდრეთით აღდგომა. მათ უნდოდათ დაებნიათ იესო თავიანთი კითხვით, რომელიც იმავე დროს დაცინვას წარმოადგენდა იმ ქვეყნიური ცხოვრების რწმენისა, და უთხრეს: „მოძღვარო მოსემ თქვა: „თუ კაცი უშვილოდ გადაეგება (მოკვდება), დაე, მისმა ძმამ მოიყვანოს მისი ცოლი, რათა თესლი (ოჯახი) აღუდგინოს თავის ძმას.“ იყო ჩვენს შორის შვიდი ძმა: პირველმა ცოლი შეირთო და უშვილოდ მოკვდა, ხოლო ცოლი თავის ძმას დაუტოვა. ასევე მეორემაც და მესამემაც, თვით მეშვიდემდე. ყველაზე ბოლოს კი ქალიც მოკვდა. მერედა აღდგომისას, ამ შვიდიდან ვისი ცოლი იქნება იგი? ვინაიდან შვიდივეს ცოლად ესვა.

იესომ პასუხად მიუგო მათ: სცდებით, რადგან არც წერილს იცნობთ და არც ღმერთის ძალას. ვინაიდან აღდგომისას არც ცოლს ირთავენ და არც თხოვდებიან, არამედ არიან როგორც ღვთის ანგელოზები ცაში, ხოლო მკვდართა აღდგომისათვის არ წაგიკითხავთ, რა გითხრათ ღმერთმა, რომელიც ამბობს:

„მე ვარ ღმერთი აბრაამისა და ღმერთი ისააკისა და ღმერთი იაკობისა. ღმერთი მკვდრებისა კი არ არის, არამედ ცოცხლებისა.“

(აბრაამი, ისააკი და იაკობი დიდი ხნის გარდაცვლილები იყვნენ, შესაბამისად თუ ღმერთი ამის მიუხედავად თავის თავს ღმერთს უწოდებს, ეს ნიშნავს, რომ მისთვის ისინი ცოცხლები არიან, რადგანაც მას არ შეუძლია თავის თავს არარსებულის ღმერთი უწოდოს).

აბრაამის წიაღს, იმქვეყნიურ სიცოცხლეს, შეეხება ერთი იგავი, რომელიც იესომ ადრე თქვა: იყო ერთი მდიდარი კაცი, ყოველდღე შლიდა ბრწყინვალე სუფრას. იყო ერთი გლახაკიც, სახელად ლაზარე, რომელიც მის ჭიშკართან ეგდო, მთლად დაწყლულებული. და სურდა მდიდრის ნასუფრალით მოეკლა შიმშილი, ძაღლები მოდიოდნენ და ლოკავდნენ მის წყლულებს.

მოკვდა გლახაკი და აბრაამის წიაღში აიტაცეს ანგელოზებმა. მოკვდა მდიდარი და დამარხეს.

და ჯოჯოხეთში, წამებულმა, აღაპყრო თვალნი, და იხილა შორს აბრაამი და ლაზარე მის წიაღში.

და შესძახა და თქვა: მამაო აბრაამ! მოწყალება მოიღე და მომივლინე ლაზარე, რათა თითის წვერი ჩააწოს წყალში და ენა გამიგრილოს, რადგან ვიდაგები ამ ცეცხლის ალში. მაგრამ აბრამმა უთხრა მას: შვილო, გაიხსენე რომ შენსავე სიცოცხლეში მიიღე შენი სიკეთე, ლაზარეს კი – მხოლოდ ბოროტი.

ამიტომ ახლა ის ინუგეშება, შენ კი იტანჯები. ეგეც არ იყოს, ჩვენსა და თქვენს შორის განმტკიცებულია დიდი უფსკრული, ასე რომ, გადმოსვლის მსურველი ვერც ჩვენგან თქვენსკენ გადმოვა და ვერც თქვენგან ჩვენსკენ.

ხოლო მან თქვა: გევედრები, მამაო, მამაჩემის სახლში მაინც გაგზავნე ეგ. ვინაიდან ხუთი ძმა მყავს, მივიდეს და აუწყოს მათ, რათა ისინიც არ ჩაცვივდნენ სატანჯველში. უთხრა მას აბრაამმა: მოსე და წინასწარმეტყველნი ჰყავთ, მათ უსმინონ.

ხოლო მან თქვა: არა, მამაო აბრაამ, მაგრამ თუ მკვდართაგან მივა მათთან ვინმე, შეინანებენ. და უთხრა მას აბრამმა: თუ კი მოსეს და წინასწარმეტყველთ არ უსმინეს, მკვდრეთითაც რომ აღდგეს ვინმე, არც მას ერწმუნებიან (ლუკა., 16:20-31)

იმქვეყნიურ ცხოვრებას და მკვდრეთით აღდგომის შემდგომ საუკუნო სიცოცხლეს იესო შემდგომაც შეეხო, როცა ძე კაცისას დიდებით მოსვლის შესახებ საუბრობდა (იხ. მათე., 25:31-46).

სადუკეველები, რომლებიც თავიანთი შეკითხვებით დასცინოდნენ მიცვალებულთა მკვდრით აღდგომის შესაძლებლობას რწმენას, იესოს პასუხმა რომელიც წარმოთქვა შვიდი ძმის ერთი ცოლის შესახებ - შეარცხვინა ისინი, ხოლო ხალხი გააოცა იესოს სიბრძნემ, მწიგნობრებიც გაახარა მათი მტრების – სადუკეველების მარცხმა და მოწონების სიტყვაც კი გაიმეტეს იესოსათვის - „მოძღვარო შენ კარგად თქვი," მაგრამ იმავდროულად კიდევ უფრო შეშინდნენ ხალხზე იესოს გავლენის ზრდით. როდესაც ფარისევლებმა გაიგეს, სადუკეველებს ხმა ჩააკმედინაო, ერთად შეიკრიბნენ. და ერთმა მათგანმა, სჯულის მცოდნემ საცდუნებლად ჰკითხა მას: მოძღვარო რომელია სჯულის მთავარი მცნება? ხოლო იესომ მიუგო მას: გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი სულით და მთელი შენი გულით და მთელი შენი გონებით.

ეს არის პირველი და მთავარი მცნება.

და მეორე ამისი მსგავსი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.

ამ ორ მცნებაზეა დამოკიდებული მთელი რჯული და წინასწარმეტყველებანი (მათე., 22:36-40).

ფარისევლები, რომელნიც აქამდე მოშორებით იდგნენ იესოსაგან, მოწაფეთა დარად ერთად შეგროვილნი მიუახლოვდნენ იესოს, მაგრამ ვეღარ გაუბედეს რაიმეს შეკითხვა. თვით იესომ მისცა მათ კითხვა: „რას იტყვით ქრისტეს შესახებ, ვისი ძე არის იგი?", ფარისევლებმა მყისვე მიუგეს – „დავითისა".

სიტყვა „ძე" ებრაელებისათვის ნიშნავდა არა მარტო შვილს, ძეს პირდაპირი გაგებით, არამედ შთამომავალსაც ამიტომ გამოთქმა „ძე დავითისა" ნიშნავდა – მეფესა და წინასწარმეტყველის დავითის შთამომავალს.

მაშინ იესო კვლავ შეეკითხა: „მაშ, სულით შთაგონებული დავითი როგორღა უწოდებს „უფალს", როდესაც ამბობს - „უთხრა უფალმა ჩემს უფალს, დაჯექი ჩემს მარჯვნივ, ვიდრე ფერხთით დაგიმხობ შემს მტრებს." ამრიგად, თუ დავითი უფალს უწოდებს მას, როგორღა ეკუთვნის ძედ?"

ნაცვლად იმისა, რომ სჯულის მასწავლებლებსა და სარწმუნოებრივი ვალდებულებების თავდაუზოგავ აღმსრულებლებს, რომლებიც, ფარისეველთა და მწიგნობართა სახელით იყვნენ ცნობილნი, ეცნოთ და მიეღოთ მათ წინ, ტაძარში მდგარი მესია, ძე ღვთისა, გამოცდა მოუწყეს მას და თავიანთ დამარცხების შემდგომ დადუმდნენ. თავიანთი დუმილით ხალხს, რომელიც თითქმის მზად იყო ეცნო იესო როგორც ქრისტე, თავგზა დაუბნიეს.

მამისგან დანერგილ, გახარებულ ვენახში მოვიდა ძე მამის მიერ გაგზავნილი, მევენახეებმა კი ის არ მიიღეს, როგორც აღინიშნა.

„მაშინ იესომ მიმართა ხალხს და თავის მოწაფებს: მოსეს სავარძელზე მწიგნობარნი და ფარისეველნი სხედან. მაშ, ყველაფერი, რის დაცვასაც გირჩევენ დაიცავით და აღასრულეთ, მაგრამ მათ საქმეს ნუ მიბაძავთ ვინაიდან ამბობენ და არ ასრულებენ. რადგან, მძიმე ტვირთს ჰკრავენ და ძნელად სატვირთველს, და ხალხს მხრებზე ადებენ, თვითონ კი თითის განძრევაც არ სურთ მის დასაძრავად. და

ყველა თავიანთ საქმეს აკეთებენ კაცთა დასანახავად. აგანიერებენ თავიანთ სალოცავ თასმებს და აგრძელებენ თავიანთი სამოსის კალთებს (კაბებზე წმინდა ფოჩების (ფილაქტერიების) რიცხვის გადიდებით ფარისევლები სხვათა ყურადღების მიპყრობას ცდილობდნენ). უყვართ, აგრეთვე, წვეულებებზე სუფრის თავში ჯდომა და წინა რიგები სინაგოგაში. და მისალმება მოედნებზე, რათა ხალხი მიმართავდეს მათ: რაბი! რაბი!“ შემდეგ მოსწავლეებს უთხრა, თქვენ კი ნუ იწოდებით ასე! ვინაიდან ერთია მოძღვარი - ქრისტე, ხოლო თქვენ ყველანი ძმები ხართ. ნურც მამას თქვენსას უწოდებთ ვინმეს ამ ქვეყნად, ვინაიდან ერთია მამა თქვენი ზეციერი. და ნურც წინამძღვრებად იწოდებით, ვინაიდან ერთია თქვენი წინამძღვარი – ქრისტე, ხოლო თქვენს შორის უდიდესი მსახური იყოს. რადგან ვინც აიმაღლებს თავის თავს, დამდაბლდება. და ვინც დაიმდაბლებს თავის თავს - ამაღლდება“. – შემდეგ კვლავ მიმართა ფარისევლებს - „ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, ცათა სასუფეველს რომ უხშობთ ხალხს, ვინაიდან არც თქვენ შედიხართ და არც შემსვლელთ ანებებთ შესვლას. ვაი, თქვენდა მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, ვინაიდან ნთქავთ ქვრივთა სახლებს და თანაც პირმოთნედ ლოცულობთ დიდხანს, მით უფრო მძიმე იქნება თქვენი სასჯელი.

ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, ვიაიდან დაძრწიხართ ზღვასა და ხმელზე, რათა მოაქციოთ თუნდაც ერთი კაცი, და როცა მოაქცევთ, გეენიის კერძათ აქცევთ მას, თვით თქვენზე ორჯერ მეტად.

ვაი თქვენდა მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომლებიც იხდით მეათედს პიტნისას, კამისას და კვლიავისას, და დაგიტევებიათ ის, რაც უმთავრესია რჯულში: სამართალი, წყალობა და რწმენა. ეს უნდა გექნათ და არ მიგეტოვებინათ (ყოველი მორწმუნე ებრაელი ვალდებული იყო შემოსავლის მეათედი გაეღო ტაძრის სასარგებლოდ საღვთო გადასახადის სახით. ამ წესს ფარისეველნი იმდენად ბეჯითად იცავდნენ რომ თავიანთი მამულში მოწეული კამის თუ რაიმე მწვანილეულის მეათედსაც კი იხდიდნენ, ხოლო რჯულის უმთავრესი საქმე – სამართალი, წყალობა და სარწმუნოება გამოტოვებული ჰქონდათ).

ბრმა წინამძღვარნო, რომელნიც სწურავთ ქინქლს და აქლემს კი შთანთქავთ (მცირე არაუმთავრეს სარწმუნოებრივ მოთხოვნას – პედანტურად ასრულებდნენ („კოღოს წურავდნენ“) მაგრამ უმთავრესს კი არ ასრულებდნენ (შთანთქავდნენ აქლემს“).

ვაი, თქვენდა მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო რომელნიც გარედან წმენდთ სასმისსა თუ ჯამს, შიგნით კი სავსენი არიან ნაძარცვითა და ნაოხრებით. თვალდავსილნო ფარისეველნო, ჯერ შიგნიდან გაწმინდეთ სასმისი თუ ჯამი, რათა წმინდა იყოს გარედანაც“.

გარეგნულად მართალნი ჰგონიხართ ხალხს, შიგნიდან კი სავსენი ხართ თვალთმაქცობითა და ურჯულოებით, იქედნეს ნაშობნო, როგორ გაექეცით გეენიის სასჯელს?

„ამიტომ, აჰა, გიგზავნით წინასარმეტყველთ, ბრძენთა და მწიგნობართ, ზოგს მოჰკლავთ და ჯვარს აცვამთ, ზოგს მათრახით სცემთ სინაგოგებში და ზოგსაც ქალაქიდან ქალაქად დაუწყებთ დევნას. რათა მოიწიოს თქვენზე ამქვეყნად დათხეული ყოველი მართალი სისხლი, აბელ მართლის სისხლიდან ვიდრე სისხლამდე ბარაქიას ძისა, ზაქარიასი, რომელიც მოჰკალით ტაძარსა და საკურთხეველს შორის.

ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ ყოველივე ეს მოიწევა ამ მოდგმაზე“.

იესოს პირიდან ამოსული სიმართლის სიტყვების მოსმენით თავზარდაცემული ფარისევლები ხმას ვერ იღებდნენ. წინასწარ იცოდა მაცხოვარმა, რომ იერუსალიმი მას არ მიიღებდა და კიდევ ერთხელ სინანულით თქვა: „იერუსალიმ, იერუსალიმ, წინასწარმეტყველთა მკვლელო და შენდამი მოვლინებულთა ქვებით ჩამქოლველო! რამდენჯერ ვცადე შემეკრიბა შენი შვილები, როგორც ფრინველები კრებს ბარტყებს თავის ფრთებქვეშ და არ ისურვე და აჰა, გრჩებათ თქვენი სახლი ოხრად, რადგან გეუბნებით თქვენ: ვეღარ მიხილავთ, ამიერიდან, სანამ არ მეტყვით კურთხეულია მომავალი უფლის სახელით“ (მათე, 23).

ფარისევლებზე არა ნაკლებ იყვნენ თავზარდაცემულნი იესოს მოწაფეები. თითქმის ორი წლის მანძილზე ელოდნენ ისინი ამ დღეს, როცა იესო ვითარც მესია შევიდოდა ტაძარში, საზეიმო დიდებულებითა და საყვირის ხმებით გამოაცხადებდნენ მის მოსვლას, შესახვედრად გამოვიდნენ ილია წინასწარმეტყველი და პირველმღვდელმთავარი და წმინდა მირონს დაასხამდნენ თავზე. ქვეყნად დამყარდებოდა ღვთის სამეფო ანუ ცათა სასუფეველი. ქრისტე, ვითარცა ძე ღვთისა დაჯდებოდა სამეფო ტახტზე და მას დაემორჩილებოდა მსოფლიოს ყველა ხალხი. ნაცვლად ამისა კი იესო, მათ თვალში გაწბილებული ტოვებს ტაძარს, რას ნიშნავს ეს, მან გადადო თავის გამოცხადება ქრისტედ? მაშ ღვთის სამეფო როდისღა დამყარდება ქვეყანად?

იესომ კი მიატოვა ტაძარი და ზეთისხილის მთისკენ გაემართა. უკან გაყოლილმა შეშფოთებულმა მოწაფეებმა ცადეს კიდევ ერთხელ მიეხედებინათ ტაძრისაკენ, იესომ კი ღვთის სახლს, სადაც ძე ღვთისა არ მიიღეს დანგრევა უწინასწარმეტყველა, „ქვა ქვაზე არ დარჩება აქ, არამედ ყველაფერი დაინგრევა, ელეონის ანუ ზეთისხილის მთაზე იესო დიდხანს იჯდა დაფიქრებული მწუხარე განმარტოებით. ბოლოს მიუახლოვდნენ მოწაფეები. მათ ტაძარში მოისმინეს ქრისტეს საბოლოო ნათქვამი „ვეღარ მიხილავთ ამიერიდან, სანამ არ იტყვით კურთხეულია მომავალი უფლის სახელით“. მაშასადამე იესო კვლავ მოვა ქვეყნად, ოღონდ უკვე თავისი დიდებით, ამიტომაც ხალხი შეხვდება მას ვითარცა უფლის სახელით მოსულს და კურთხეულს. ამ დროს ქვეყანა და ტაძარი დაინგრევა, როგორც მან თქვა, „გვითხარი როდის მოხდება ეს? ან რა იქნება ნიშანი შენი მოსვლისა და საუკუნის დასასრულისა?“ (მათე., 23:3 ბოლო).

- შეეკითხნენ მოწაფეები იესოს.

საპასუხოდ იესომ დაადასტურა, რომ მეორედ მოსვლა მოხდება ქვეყნის ნგრევით, მანამდე კი „ფხიზლად იყავით, რათა არავინ გაცდუნოთ „ვინაიდან მრავალნი მოვლენ ჩემი სახელით და იტყვიან: მე ვარ ქრისტე, და მრავალს აცდუნებენ“ (მათე, 24:4-5)

იესომ მიანიშნა იმ დევნაზე, რომელიც ქრისტიანებს უნდა განეცადათ. მაგრამ ეს არ იქნება დასასრული. დედამიწაზე კაცობრიობის ისტორია დასრულდება ქრისტეს მოსვლით. ეს იქნება საშინელი დრო. მსოფლიო კატასტროფა. მსოფლიო ომებით, ხალხებისა და სამეფოების ერთმანეთთან ბრძოლებით. ცრუსწავლების გავრცელებით. ცრუწინასწარმეტყველნი აცდუნებენ მრავალთ. დაეცემა ზნეობა. ურჯულოების მომრავლების გამო მრავალში განელდება სიყვარული. ხოლო ვინც შესძლებს ბოლომდე მოთმენას, იგი ცხონდება. საბოლოოდ ყველა ხალხში იქადაგება სასუფევლის სახარება, მთელს ქვეყანაზე. და სწრაფად, ამ დღეთა ჭირის შემდეგ დაბნელდება მზე, და მთვარე აღარ გამოსცემს ნათელს, და ვარსკვლავები ჩამოცვივდებიან ციდან, და შეიძრებიან ციური ძალები.

„და მაშინ გამოჩნდება კაცის ძის ნიშანი ცაზე და მაშინ მოთქმას მოჰყვება დედამიწის ყოველი ტომი, და იხილავენ ძეს კაცისას მომავალს ზეცის ღრუბელზე ძალითა და დიდებით მრავლით. და მოავლინებს თავის ანგელოზებს მგრგვინავი საყვირით და შეკრებენ მის რჩეულთ ოთხთავე ქართაგან ზეცათა კიდიდან მათ კიდემდე“ (მათე, 24:30-32).

როდის, რომელ წელს, რომელ საუკუნეში მოხდება ეს?

„ის დღე და ის საათი არავინ იცის, არც ციურმა ანგელოზებმა, არამედ მხოლოდ მამამ“ (მათე, 24-36). ამიტომ თქვენ მზად იყავით, ვინაიდან როცა არ ელით, სწორედ იმ საათს მოვა ძე კაცისა. მეორედ მოსვლის ჟამს ყველა ადამიანი ცოცხალი თუ გარდაცვლილი, ვალდებული იქნება პასუხი აგოს ქრისტეს წინაშე. ძე კაცისა მოულოდნელი მოსვლისას თავს წაადგება ადამიანებს თავიანთი საქმეების კეთების ჟამს. ამიტომაც ყველანი უნდა იყონ მზად და ხელში ეჭიროთ თავიანთი ლამპარი. გონიერები მუდამ მზად არიან ამისათვის, როგორც წინდახედული ქალწულები, რომლებმაც წინასწარ მოიმარაგეს ზეთი თავიანთი ლამპრებისა - თავის სიძის მისაღებად. უგუნურებმა კი, რომლებმაც ზეთი არ მოიმზადეს, შუა ღამისას, სიძის მოულოდნელი მოსვლის ჟამს, ზეთი ითხოვეს, მაგრამ ვერ მიიღეს და გარეთ, სიბნელეში აღმოჩნდნენ სახლის დაკეტილი კარის წინ, რომელშიც სიძესთან მზადმყოფი ქალწულები ზეიმობდნენ. უგუნურებს კარი არ გაუღო უფალმა,

და უთხრა: „ჭეშმარიტად გეუბნებით არ გიცნობთ თქვენ - მაშ, იფხიზლეთ, ვინაიდან არც დღე იცით და არც საათი, როდის მოვა ძე კაცისა“.

მეორედ მოსვლის ჟამს ქრისტე მკაცრად განიკითხავს და დასჯის იმ ადამიანებს, რომელთაც ღმერთმა უბოძა ნიჭი და უნარი, მათ კი ნაცვლად იმისა, რომ გაემრავლებინათ ეს ძვირფასი ნიჭი ღვთის სადიდებლად, უქმად, გამოუყენებლად და უსარგებლოდ გაფანტეს. თანახმად იგავისა მინდობილ ტალანტთა შესახებ თქმულზე: ერთმა მეპატრონემ, სახლიდან გამგზავრების წინ თავიანთ მსახურებს ჩააბარა გარკვეული რაოდენობის თანხა (ტალანტები). ორმა, ბატონის არყოფნისას, გაამრავლა ისინი, ერთმა კი მიწაში ჩაფლა. მოსვლის ჟამს ბატონმა შესაბამისად დააფასა ორის შრომა, ხოლო მესამე დასაჯა.

„და როდესაც მოვა ძე კაცისა თავისი დიდებით და ყველა წმიდა ანგელოზი მასთან ერთად, მაშინ დაჯდება იგი თავისი დიდების ტახტზე. და შეიყრება მის წინაშე ყველა ხალხი, და გაარჩევს მათ ერთმანეთისაგან, როგორც მწყემსი გამოარჩევს ცხვრებს თხებისაგან და დააყენებს ცხვრებს თავის მარჯვნივ, ხოლო თხებს - მარცხნივ. მაშინ ეტყვის მეუფე მის მარჯვნივ მდგომთ: მოდით, კურთხეულნო მამის ჩემის მიერ, და დაიმკვიდრეთ სასუფეველი, თქვენთვის გამზადებული ქვეყნის დასაბამიდან.

რადგან მშიოდა და მომეცით საჭმელი, მწყუროდა და მასვით, უცხო ვიყავი და შემიწყნარეთ.

შიშველი ვიყავი და შემმოსეთ, სნეული ვიყავი და მომხედეთ, საპყრობილეში ვიყავი და მინახულეთ.

მაშინ მართალნი პასუხად ეტყვიან მას: უფალო, როდის გიხილეთ შენ მშიერი და დაგაპურეთ? ანდა მწყურვალი და გასვით შენ? როდის გიხილეთ შენ უცხოდ და შეგიწყნარეთ? ანდა შიშველი და შეგმოსეთ შენ? როდის გიხილეთ შენ სნეული, ანდა საპყრობილეში, და გინახულეთ?

და მიუგებს მეუფე და ეტყვის მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რითაც შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით მე შემეწიეთ.

მაშინ ეტყვის მარცხნივ მდგომთაც: წადით ჩემგან წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც ეშმაკისა და მისი ანგელოზებისათვისაა გამზადებული. რადგან მშიოდა და არ მომეცით საჭმელი, მწყუროდა და არ მასვით, უცხო ვიყავი და არ შემიწყნარეთ, შიშველი ვიყავი და არ შემმოსეთ, სნეული ვიყავი და საპყრობილეში და არ მინახულეთ... რითაც არ შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით არც მე შემეწიეთ. და წავლენ ესენი საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი - საუკუნო სიცოცხლეში“.

მოციქულებთან ერთად იესომ ღამე გაათია ელეონის (ზეთისხილის) მთაზე, სადაც საერთოდ, ისევე როგორც ბეთანიაში, ღამეს ათევდა ტაძარში ქადაგებათა შემდგომ (იხ. ლუკა, 2:37-38).

დიდი ოთხშაბათი. 30 წლის 5 აპრილი

ზეთისხილის მთაზე, წინა დღის ქადაგების შემდგომ, რომელიც ჩანს გვიან ღამით ანდა გამთენიისას დასრულდა, იესომ უთხრა თავის მოწაფეებს - „თქვენ იცით – რომ ერთი დღის შემდეგ იქნება პასექი, ძე კაცისა მიეცემა ჯვარზე საცმელად“ (მათე 26:1-2)

როგორც ჩანს მოციქულებმა ეს სიტყვები ვერ აღიქვეს პირდაპირი მნიშვნელობით, მათ ბოლომდე არ სჯეროდათ ქრისტეს დასჯა, და უჭირდათ ამის გაგება, ხოლო ერთი მოციქული დაეჭვდა კიდეც, ეს იყო იუდა. სიყრმიდანვე ებრაელები იღებდნენ სწავლას ქრისტეს დიდებით მოსვლის, მეფედ დაჯდომის და არა მისი ჯვარცმის შესახებ (ჯვარზე ხომ ავაზაკებს აკრავენ, იმ დროინდელი ჩვეულების მიხედვით). ასევე, სიყრმიდანვე მათ ესმოდათ თვითმარქვიათა ამბები, რომლებიც ქრისტეს სახელს ირქმევდნენ, ხალხს აცდენდნენ და აჯანყებდნენ. ვინ არის იესო, თუ ქრისტეა, სადაა მისი დიდება, რატომ არ ზის მეფის ტახტზე, მართალია იერუსალიმში დიდებით შევიდა, ხალხი ხელში რტოებით შეეგება, როგორც მეფესა და უფლის სახელით კურთხეულ მესიას შეეფერებოდა (წინასწარმეტყველებათა თანახმად)

უხედნელ ვირზე ეჯდა, მაგრამ ტაძარში მისვლისას არ გაისმა ანგელოზთა საყვირის მგრგვინავი ხმა, არ გამოჩნდა ილია, პირველმღვდელმთავარმა მირონი არ სცხო თავზე! ახლა იესო ქრისტეს მეორე დიდებით მოსვლის შესახებ ლაპარაკობს, მაგრამ ჯერ ხომ პირველად მოსვლის დიდება უნდა განცხადებულიყო! რატომ არ დადგა ქვეყნად ცათა სასუფეველი, არ დამყარდა ღმერთის სამეფო, როგორც მესიის მოსვლის შემდგომ უნდა ყოფილიყო თანახმად წინასწარმეტყველებათა?! ყველა ამ კითხვას, იმას თუ რატომ ინება ძე ღმერთმა განკაცება, უპასუხა იესომ მეორე დღეს თავის საბოლოო სიტყვით (იხ. იოანე თავი 14,15,16). მაგრამ იუდა ისკარიოტელისათვის უკვე გვიან იყო. მან ამავე დღეს გასცა იესო.

ან იქნებ ასე არ ფიქრობდა და თავიდანვე იყო, „ძე წარწყმედილის“, როგორც მისი საქმიდან გამოჩნდა: წავიდა მღვდელმთავრებთან და უთხრა მათ: რის მოცემას ინებებთ ჩემთვის, თუკი მას მოგცემთ? ხოლო მათ მიუწონეს ოცდაათი ვერცხლი“ (მათე, 26:14).

მღვდელმთავრებმა უზომოდ გაიხარეს იუდას მისვლით. სწორედ მის მისვლამდე თათბირობდნენ როგორ შეეპყროთ იესო მზაკვრობით და მოეკლათ. უნდოდათ ამ ბოროტების გაკეთება პასექის დღესასწაულამდე, სანამ იერუსალიმში ერთად შეიკრიბებოდა მლოცველთა უზომო რიცხვი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან და მთელი პალესტინიდან და ეშინოდათ ხალხი არ აჯანყებულიყო იესოს დასჯის გამო (იხ. მათე, 26:4-5).

მღვდელმთავრებს იუდა შეჰპირდა, როგორც კი ხელსაყრელ დროს მოძებნიდა, იესოს მათ გადასცემდა (მათე, 26:16), ხალხის დაუსწრებლად (ლუკა, 22:6). მართალია ბევრმა გამოჩენილმა და მთავარმა ადამიანმა ირწმუნა იესო, მაგრამ ვერ აღიარებდნენ ფარისეველთა გამო, რათა კრებულიდან (სალოცავიდან) არ მოეკვეთათ. „რადგან ადამიანთა დიდება უფრო უყვარდათ, ვიდრე ღმერთის დიდება“ (იოანე, 12:43). ხალხშიც უამრავი სასწაული მოახდინა და მაინც არ იწამეს იგი. რათა ასრულებულიყო ესაია წინასწარმეტყველის სიტყვა: რომელმაც თქვა თვალთა დაბრმავებისა და გულთა გაქვავების შესახებ, თუმცა კი მკლავი უფლისა გამოეცხადათ. ამის მიუხედავად იესომ თქვა: „თუ ვინმე მოისმენს ჩემს სიტყვას და არ დაიცავს, მე არ ვასამართლებ მას, რადგან მე ქვეყნის გასასამართლებლად კი არა ქვეყნიერების გადასარჩენად მოვედი. მას ვინც მე უარმყოფს და არ მიიღებს ჩემს სიტყვებს, ჰყავს მოსამართლე. სიტყვა, რომელიც წარმოვთქვი ის გაასამართლებს მას უკანასკნელ დღეს. რადგან მე ჩემით კი არ ვილაპარაკე, არამედ მამამ, რომელმაც წარმომგზავნა, მომცა მცნება რა უნდა ვთქვა და რა ვილაპარაკო. მე ვიცი, რომ მისი მცნება საუკუნო სიცოცხლეა, ამიტომ რასაც ვლაპარაკობ, როგორც მამამ მითხრა, ისე ვლაპარაკობ“ (იოანე, 12:37-50).

დიდი ხუთშაბათი, 30 წლის 6 აპრილი

ახლოვდებოდა ებრაელთა უდიდესი დღესასწაული – პასექი (ძველქართულად ზატიკი). ეს დღე ეგვიპტელთა მონობისაგან ერის განთავისუფლების აღსანიშნავად დააწესა თვით უფალმა: „უთხრა უფალმა მოსეს და აარონს ეგვიპტის ქვეყანაში: თვეთა დასაბამი იყოს თქვენთვის ეს თვე, პირველი თვე იყოს იგი თქვენთვის წელიწადის თვეებში. ასე უთხრა ისრაელის მთელ საზოგადოებას: ამ თვის მეათე დღეს მამის სახლზე თითოეულმა თითო კრავი ან თიკანი დაიგულოს. ერთი კრავი ან თიკანი სახლზე. თუ კრავის შესაჭმელად მცირეა სახლი, შეუამხანაგდნენ ერთმანეთს კარის მეზობლები და სულადობის მიხედვით აიყვანონ კრავი. ვარაუდი იქონიეთ, ვის რამდენი ჭამა შეუძლია. საღი, მამალი, ერთწლიანი უნდა იყოს კრავი ან თიკანი. ამ თვის მეთოთხმეტე დღემდე შეინახონ. მერე დაკლას ისრაელის მთელმა საზოგადოებამ საღამოხანს. აიღონ მისი სისხლი და სცხონ იმ სახლის ორივე

წირთხლსა და კარისთავს სადაც შეუდგებიან ჭამას. იმავე ღამეს შეჭამონ ცეცხლზე შემწვარი ხორცი და ხმიადი. მწარე ბალახი შეატანონ“ (გამ, 12:1-8).

მაშასადამე, პასექი იდღესასწაულებოდა ანუ „მზადდებოდა“ პირველი თვის მეთოთხმეტე დღეს, დაღამებისას (რიცხვთა 9:3). ებრაული კალენდრის პირველ თვეს აპრილი წარმოადგენდა. მას „ნიზანი“ ერქვა. ნიზანის 14 უწევდა 30 წლის 7 აპრილს, პარასკევს, დაღამების შემდეგ. მაგრამ ებრაელთა ჩვეულებისამებრ ახალი დღე სწორედ დაღამებისას იწყებოდა ანუ პარასკევის საღამო იმავდროულად შაბათი დღის დასაწყისსაც წარმოადგენდა. შაბათი კი საუფლო დღე იყო, ხოლო უფუარობის ანუ ხმიადთა დღესასწაულის შაბათი დიდ დღედ მიიჩნეოდა. (უფუარობის დღესასწაული 7 დღეს გრძელდებოდა და იწყებოდა პასექის მეორე დღეს), სავარაუდოა, რომ სწორედ ამ მიზეზის (დიდი შაბათის) გამო პასექი „მოამზადეს“ ერთი დღით ადრე 30 წლის 6 აპრილს, ხუთშაბათს, ანუ 13 ნისანსა და 14 ნისანს შორის ღამით. (ქრისტეს ბოლო საპასექო საღამოს შესახებ არსებობს უვრცელესი ლიტერატურა და ღვთისმეტყველთა ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებული თვალსაზრისი იხ. „ტოლკოვაია ბიბლია“ ტომი III, პეტ. 1911-1913 გვ. 407, შენ 17).

მღვდელმთავრებსა და ფარისევლებს იესოს მოკვლა სურდათ დღესასწაულამდე, როგორც ვიცით მათ აღასრულეს წადილი და ის მოკლეს პარასკევს. აქედან ჩანს, რომ დღესასწაულის მთავარ დღედ ისინი შაბათს (ე.ი. 15 ნიზანს) მიიჩნევდნენ, რომელიც პარასკევის საღამოდან იწყებოდა.

როგორც აღინიშნა საზოგადოებამ, ამ წელს პასექი ოდნავ ადრე იდღესასწაულა და ტარიგი ანუ კრავი 14 ნისანს უკვე დაკლული და შეჭმული ოყო, მაგრამ ჭეშმარიტი შესაწირი, სწორედ თავის დროს იქნა დაკლული – პარასკევს – 14-ში.

„ახალი აღქმის საღვთოწერილის განმარტებით, ძველი აღქმის კრავი ზატიკისა მოასწავებდა იესო ქრისტეს, აი მსგავსებაც – საზატიკო კრავი უნდა გამოერჩიათ მთელი ცხვრის ფარიდან, იესოც საუკუნითგანვე წინაგამზადებული იყო, რათა ვნებულიყო კაცთა ნათესავისათვის, და როგორც ტარიგი დაკლულ იქნა დასაბამითგანვე სოფლისა (გამოცხ., 13:8). საზატიკო მსხვერპლისათვის საჭირო იყო ვერძი, მამალი კრავი, აგრეთვე ქვეყნისათვის მსხვერპლად უნდა შეწირულიყო ღმერთკაცი, ძე ღვთისა, რომელმაც მიიღო ბუნება მამაკაცისა. კრავი უნდა ამოერჩიათ უმანკო, უზადო, რომ მას არ ჰქონოდა რაიმე ხორციელი ნაკლი. აგრეთვე იესო ქრისტესაც საღვთო წერილი უწოდებს წმიდად, უმანკოდ, შეუგინებლად, ცოდვილთაგან განშორებულად, უბიწოდ (I პეტრე 1,19 ებრ., 7,26) და მიაწერს მას სისრულეს ღვთაებრივი კაცობრივი ბუნებისა. საზატიკო კრავი იკვლებოდა საღამოს. იესო ქრისტემაც ხორცითა სიკვდილისა გემო იხილა საღამოთი. ჭამის დროს კრავის ძვლები არ უნდა შეემუსრათ, არც ქრისტეს ძვალი შემუსვრილა ჯვარცმის ჟამს. დაკლული კრავის სისხლის მეოხებით ურიანი უვნებლად და უზარალოდ გადაურჩნენ მმუსვრელ ანგელოზს, მორწმუნენიც ქრისტეს სისხლით გამოიხსნენ ღვთის რისხვისაგან. კრავის ხორცის ჭამა აკავშირებდა და აერთებდა ებრაელებს ღმერთთან, აგრეთვე მორწმუნენიც იესოს სისხლის და ხორცის მიღებით მჭიდროდ უკავშირდებიან მას“ (იხ. სახელმძღვანელო ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა შესასწავლად შედგენილი ა.პ.-სის მიერ, 1909, გვ. 50).

ლუკა ამბობს: - “და დადგა დღე უფუარობისა, როცა უნდა დაეკლათ საპასექე კრავი. და გაგზავნა პეტრე და იოვანე და უთხრა მათ: წადით და მოგვიმზადეთ პასექი, რათა ვჭამოთ. ხოლო მათ თქვეს: სად გნებავს, რომ მოგიმზადოთ?“ (ლუკა 22:7-9). იესომ უთხრა მათ თუ სად უნდა ეჭამათ პასექი. მოწაფეები წავიდნენ, მათ დახვდათ ვრცელი, გაწყობილი დარბაზი. აქ მოამზადეს პასექი.

ამ დღის საღამოს (ხუთშაბათს) თორმეტ მოწაფესთან ერთად იესო დაჯდა სუფრასთან. პასექი (ანუ შემწვარი კრავის ხორცი, უფუებელი პურითა (ხმიადით) და მწარე ბალახით) ფეხზე მდგომთ უნდა ეჭამათ თავდაპირველი წესის თანახმად. მაგრამ შემდგომ წესად შემოუღიათ ჯდომა, ვითარცა უკვე თავისუფალი ერის შვილებს, რადგანაც ფეხზე დგომით ჭამდს მონები ჭამდნენ.

ბერძნულ-აღმოსავლური ჩვეულების თანახმად ნადიმს თითქმის წამოწოლილები შეექცეოდნენ – რასაც ინახით ჯდომა ერქვა. დაბალ ტახტზე (ორ-ორნი თავსდებოდნენ). მათ თანამეინახენი ერქვათ.

სერობის წინ მოწაფეებმა დავის საგნად აქციეს, თუ რომელი უნდა დამჯდარიყო ინახით იესოსთან, ან მის ახლოს. ეს საკითხი საერთოდ მათ მომავალ ყოფასაც შეეხებოდა თუ ცათა სასუფეველში ვინ უნდა მჯდარიყო ქრისტეს გვერდით. ლუკა წერს - "დაობდნენ იმაზეც, თუ ვინ უფრო დიდად უნდა შერაცხილიყო მათში" (ლუკა, 22-24). უფალმა უთხრა, რომ კამათი პირველობაზე მოციქულთა შორის არ უნდა წარმოიშვას. ეს ახასიათებთ წარმართ მეფეებს – ეძებენ სხვებზე ამაღლებას – ხოლო "თქვენ ნუ იქნებით ეგრე, არამედ უდიდესი თქვენს შორის როგორც უმცირესი და წინამძღვარი – როგორც მსახურია რადგან ვინ უფრო დიდია: ვინც სუფრას უზის თუ ვინც სუფრას ემსახურება? რა თქმა უნდა, ვინც სუფრას უზის. ხოლო მე ვარ თქვენს შორის, როგორც მსახური. თქვენ კი ხართ ჩემს განსაცდელში ჩემს გვერდით მყოფი. და მე აღგითქვამთ თქვენ, როგორც მე აღმითქვა მამამ ჩემმა სასუფეველი, რათა ჭამდეთ და სვამდეთ ჩემს ტაბლაზე ჩემსავ სასუფეველში და დასხდებით ტახტებზე, რათა განსაჯოთ ისრაელის თორმეტი ტომი" (ლუკა 22:26-30).

ჩვეულების თანახმად, სერობის წინ მომსახურე ფეხებს ბანდა მოტრაპეზეებს. პირველობისათვის ერთმანეთთან მოდავე მოწაფეებს არ უზრუნიათ ამ წესის შესრულებისათვის, ანუ სხვების ფეხების დაბანისათვის, დარბაზში მხოლოდ იესო და თორმეტი მოციქული იმყოფებოდა. ჩანს აქ მსახური არ იყო. უფალმა ინება თვითონვე ეჩვენებინა თავმდაბლობის მაგალითი, რომ მოციქულები განდიდებას კი არ უნდა ცდილობდნენ, არამედ იმას როგორ მოემსახურონ ერთმანეთს.

იესო წამოდგა და მოემზადა ფეხთბანის წესის შესასრულებლად: გაიხადა ზედა სამოსელი, წელზე შემოირტყა პირსახოცი. „შემდეგ ჩაასხა წყალი საბანელში და დაიწყო მოწაფეების ფეხების ბანა და შემშრალება პირსახოცით, რომელიც წელზე ჰქონდა შემორტყმული. მივიდა სიმონ-პეტრესთან, მან კი უთხრა: უფალო შენ უნდა დამბანო ფეხები? იესომ უთხრა პასუხად: რასაც ვაკეთებ ახლა არ იცი, შემდეგ გაიგებ. პეტრემ უთხრა: არასოდეს არ დამბან, ფეხებს. იესომ უთხრა: თუ არ დაგბან, ჩემთან არ გექნება წილი, სიმონ პეტრემ უთხრა: უფალო, მარტო ჩემი ფეხები კი არა, არამედ ხელებიც და თავიც. იესომ უთხრა: განბანილს აღარ სჭირდება დაბანა. გარდა ფეხებისა, რადგან ის მთლად წმინდაა და თქვენც წმინდა ხართ, მხოლოდ ყველა არა. რადგან იცოდა ვინ გასცემდა. ამიტომ თქვა: ყველანი არა ხართ წმინდანი. ფეხები რომ დაბანა მათ და თავისი სამოსელი აიღო და კვლავ დაჯდა, უთხრა მათ: იცით რა გაგიკეთეთ? თქვენ მე მიწოდებთ მოძღვარს და უფალს. სწორად ამბობთ, რადგან მე ვარ. ამიტომ თუკი მე, მოძღვარმა და უფალმა დაგბანეთ ფეხები, თქვენც ერთმანეთს უნდა დაბანოთ ფეხები, რადგან მე მაგალითი მოგეცით, რათა, როგორც მე გაგიკეთეთ, თქვენც გააკეთოთ". (იოანე, 13:5-15). იესომ განაგრძო სწავლება, რომლის შემდეგაც, ჩანს მოწაფეებმა იესოს გარშემო ადგილები დაინაწილეს. ყველაზე ახალგაზრდა და ამ მხრივ „პატარა" იოანე იესოსთან ინახით დაჯდა ხოლო მათთან ყველაზე ახლო ტახტზე ჩანს იუდა ისკარიოტელი, რომელიც „ერთგულების" გამოჩენას ცდილობდა, და პეტრე მოთავსდნენ (მოციქულთა განაწილების თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს), ასევე ინახით. ასე რომ იესოს გვერდით ადგილი ერგო არა ყველაზე „დიდს" არამედ „პატარა"- იოანეს

იესომ მოციქულებთან მიმართვისას ასეთი ფრაზაც წარმოთქვა - „ყველა თქვენგანზე არ ვლაპარაკობ, მე ვიცი ვინც ამოვირჩიე, ოღონდ რათა აღსრულდეს წერილი: ჩემი პურისმჭამელმა ქუსლი აღმართა ჩემზე“ (იოანე, 13:18).

შემდეგ იესო დაღონდა და თქვა: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ერთი თქვენგანი გამცემს მე. მოწაფეებმა ერთმანეთს შეხედეს უაზროდ - ვის შესახებ ლაპარაკობდა. იესოს მკერდზე მიეყრდნო ერთი მოწაფეთაგანი, რომელიც უყვარდა იესოს. სიმონ პეტრე ანიშნებს მას და ეუბნება: უთხარი ვინაა, ვისზე ლაპარაკობს. იგი მკერდზე მიეკრა იესოს და უთხრა: უფალო ვინაა იგი? იესომ უპასუხა: ეს ისაა, ვისაც ამოვუწებ ლუკმას და მივცემ. აწებს ლუკმას და აძლევს იუდა სიმონისას ისკარიოტელს. ამ ლუკმის შემდეგ სატანა შევიდა მასში. მაშინ უთხრა მას იესომ: რასაც აკეთებ, მალე გააკეთე. მაგრამ მოინახეთაგან ვერავინ გაიგო, რისთვის უთხრა ის მას. რაკი ყულაბა იუდას ჰქონდა, ზოგმა იფიქრა, რომ იესო ეუბნება მას: სადღესასწაულოდ გვიყიდე რაც გვჭირდება – ან კიდევ, რომ რაიმე მიეცა ღარიბებისათვის, ის კი როგორც კი ლუკმა აიღო, დაუყოვნებლივ გავიდა და იყო ღამე“ (იოანე, 13:21-30).

იესოს იუდა შეეკითხა კიდეც „მე ხომ არა ვარ რაბი შენი გამცემი?“ იესომ უპასუხა - „შენ სთქვი“. მარილში ჩაწებული ლუკმის მიღების შემდეგ იუდა გაეშურა ბოროტი საქმის შესასრულებლად.

საპასექო საღამოს ცერემონიალი თავდაპირველად, სხვაგვარი იყო. იესო ქრისტეს დროისათვის ასეთი სახით მომდინარეობდა: შეკრებილი საზოგადოება პირველად იღებდა ერთ ჯამ ღვინოს და ადღეგრძელებდა სახლის უფროსს, ხელების დაბანის შემდეგ დღესასწაული იწყებოდა იმით, რომ თითოეული იღებდა მწარე ბალახს და ჭამდა. შემდეგ იკითხებოდა კანონიდან წინასწარ არჩეული ადგილი. შემდეგ ჩამოატარებდნენ მეორე ჯამ ღვინოს, რომლის დროსაც სახლის პატრონი (თანახმად, გამ. 12:26) უხსნიდა თავის ვაჟს, მისი შეკითხვის შემდეგ, დღესასწაულის მიზანსა და დანიშნულებას.

რასაც მოსდევდა - გალელი (ალილუია ფს. 112-113), რომლის დროსაც შეისმებოდა აღნიშნული სასმისი. მხოლოდ შემდგომ შეუდგებოდნენ შემწვარი კრავისა და უფუარი პურის ჟამას. (კერძოდ ჯერ აკურთხებდნენ და გატეხდნენ პურს) სწორედ ეს იყო დღესასწაული. ჭამის დამთავრების შემდეგ პატრონი კვლავ დაიბანდა ხელებს, მადლობდა ღმერთს დღესასწაულის მონიჭებისთვის და იკურთხებდა მესამე ჯამს, რომელსაც მადლის შესაწირი (ღვთისადმი სამადლობელო) ერქვა. და სვამდა მას ამხანაგებთან ერთად. შემდეგ მეოთხე ჯამსაც ჩამოატარებდნენ. იგალობებოდა გალელი (ფსალმუნი 114-117), რომლის დროსაც ჯამით ილოცებოდა სახლის პატრონი ფსალმუნის სიტყვებით, (ფს. 117). ეს ოთხი სასმისი უნდა შესმულიყო ამ დღესასწაულის დღეს, როგორც მდიდრის, ისე ღარიბის მიერ. (იხ. „ტოლკოვაია ბიბლია“, ტ.III, გვ 418, შენ. 27).

საფიქრებელია, რომ ლუკას მიერ გადმოცემული სიტყვები „და აიღო სასმისი, მადლი შესწირა და თქვა: მიიღეთ და გაიყავით ერთმანეთს შორის, რადგან გეუბნებით თქვენ, რომ აღარ დავლევ ყურძნის ნაყოფისაგან, ვიდრე არ მოიწევა ღმერთის სასუფეველი“ - იესომ თქვა პირველი სასმისის შემდეგ. მან ასევე შეასრულა პურის კურთხევისა და გატეხის და სასმისის შესმის დადგენილი წესი, მაგრამ თქვა სიტყვები, რომელიც იქცა მომავალი ეკლესიის გამაერთიანებელ ნიშნად. სათავე დაუდო ევქარისტიას, წმინდა ზიარებას. ლუკა გადმოსცემს სერობის მსვლელობის სურათს - „და აიღო პური, მადლი შესწირა, გატეხა მისცა მათ და თქვა: ეს არის ჩემი ხორცი, რომელიც მოგეცით თქვენ. ეს ჰყავით ჩემს მოსახსენებლად.

აგრეთვე სასმისიც აიღო სერობის შემდეგ და თქვა: ეს სასმისი ახალი აღთქმაა ჩემი სისხლის მიერ, რომელიც დაითხევა თქვენთვის“ (ლუკა, 22:19-20).

მათეც ადასტურებს, რომ ქრისტეს სისხლით დაიდო ახალი აღთქმა ღმერთსა და კაცობრიობას შორის:

„და როცა ჭამდნენ ისინი, აიღო პური იესომ და აკურთხა, გატეხა, მისცა მოწაფეებს და უთხრა: მიიღეთ, ჭამეთ, ეს არის ჩემი ხორცი.

და აიღო სასმისი და აკურთხა, მისცა მათ და თქვა: ამით სვით ყველამ. ეს არის ჩემი სისხლი ახლისა აღთქმისა მრავალთათვის დათხეული ცოდვათა მისატევებლად“ (მათე, 26:26-27). ეს იყო მინიშნება, რომ ღმერთს თავი უნდა შეეწირა კაცობრიობისათვის. მისი სისხლი ადამიანთა ცოდვათა მისატევებლად დაითხეოდა. სწორედ მის ხორცთან და სისხლთან ზიარებით მიენიჭებოდა ადამიანს თავის თავდაპირველ (ადამის ცოდვამდელ) ბუნებასთან დაახლოების, დაბრუნების უფლება. გარდა ამისა ქრისტეს მორწმუნეებს საუკუნეთა მანძილზე აერთიანებს ეს სასმისი, რომელიც ნიშანია ქრისტეს მათ შორის ყოფნისა, ერთ ეკლესიად გაერთიანებისა. ქრისტეს გამოსყიდვით სისხლი – ევქარისტიის საიდუმლო ახალი აღთქმისა დაწესდა მესამე სასმისის დროს, სერობის დასასრულს, როგორც პავლე წერს „სერობის შემდეგ“ (I კორ. 11:25).

იესომ ასე მიმართა მოციქულებს საბოლოოდ:

„ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ: რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი. ჩემი მოწაფეები რომ ხართ, იმით გაიგებენ ყველანი, თუ სიყვარული გექნებათ ერთმანეთს შორის“ (იოანე, 13:33-35).

ახალი აღთქმის უპირველესი მცნებაა, ‘გიყვარდეთ ერთმანეთი“ ეს მცნება უფალმა იესო ქრისტემ მოწაფეთა მიმართ წარმოთქვა, როგორც ანდერძი, რადგანაც მანამდე თქვა “შვილებო, კიდევ მცირედსღა ვარ თქვენთან. მომძებნით და, როგორც იუდეველებს ვუთხარი, რომ სადაც მივდივარ, თქვენ ვერ შეძლებთ მოსვლას, ასევე გეუბნებით თქვენც ახლა“ - რის გამოც სიმონ-პეტრე შეეკითხა უფალს - „უფალო, საით მიდიხარ?“

იესომ უპასუხა: ახლა ვერ შესძლებ რომ გამომყვე იქ, სადაც მივდივარ, შემდეგ კი გამომყვები“.

- უფალო რატომ არ შემიძლია, რომ ახლა გამოგყვე? ჩემს სიცოცხლეს დავდებ შენთვის.

- სიცოცხლეს დადებ ჩემთვის? ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: მამალი არ იყივლებს, სანამ სამჯერ არ უარმყოფ – უთხრა იესომ პეტრეს.

- ამის შემდეგ, როცა იესომ იხილა დაღონებული მოწაფეები, რომლებმაც არ იცოდნენ საით მიდიოდა მათი უფალი, გაამხნევა ისინი და მიმართა საბოლოო სიტყვით.

„ნუ შეკრთება თქვენი გული, იწამეთ ღმერთი და მიწამეთ მე. მამაჩემის სახლში ბევრი სავანეა. ეს რომ ასე არ იყოს, გეტყოდით, მე მივდივარ, რათა ადგილი მოგიმზადოთ. როდესაც წავალ და ადგილს მოგიმზადებთ, ისევ მოვალ და ჩემთან წაგიყვანთ, რათა სადაც მე მივდივარ, იყოთ თქვენც, სადაც მე მივდივარ, გზა იცით.

თომამ უთხრა - უფალო, არ ვიცით, სად მიდიხარ და გზა როგორღა გვეცოდინება?

იესომ უთხრა - მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე. მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემს მიერ. მე რომ მიცნობდეთ, მამაჩემიც გეცოდინებათ. ამიერიდან იცნობთ მას და გინახავთ იგი.

ფილიპემ უთხრა: - უფალო გვაჩვენე მამა და საკმარისია ჩვენთვის.

იესომ უთხრა მას – რახანია თქვენთან ვარ, ვერ მიცნობ მე ფილიპე? ვინც მე მიხილა, იხილა მამა. როგორღა ამბობ გვაჩვენე მამაო? განა არ გწამს რომ მე მამაში ვარ და მამა ჩემში".

შემდეგ კი უთხრა მათ – თუ მე გიყვარვართ, ჩემი მცნებანი დაიცავით და მე მამას შევევედრები და ის ნუგეშინისმცემელს მოგცემთ, რათა თქვენთან იყოს საუკუნოდ. – ჭეშმარიტების სულს, რის მიღებაც არ შეუძლია ქვეყნიერებას, რადგან არ ხედავს და არ იცნობს მას. თქვენ კი იცნობთ მას, რადგან თქვენთან რჩება და თქვენთან იქნება ...

ვისაც ჩემი მცნებანი აქვს და იცავს მათ, მას ვუყვარვარ მე და ვისაც მე ვუყვარვარ, შეყვარებული იქნება მამაჩემის მიერ და მეც შევიყვარებ მას და თვითონ გამოვეცხადები...

ნუგეშინისმცემელი კი, სული წმინდა, რომელსაც ჩემი სახელით წარმოაგზავნის მამა, ყველაფერს გასწავლით და ყველაფერს გაგახსენებთ, რაც თქვენთვის მითქვამს...

მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი – მევენახე ...

მე ვაზი ვარ, თქვენ კი ლერწმები. ვინც ჩემში რჩება და მე მასში, იგი ბევრ ნაყოფს გამოიღებს, რადგან უჩემოდ არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ...

ესაა ჩემი მცნება: რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ. იმაზე მეტი სიყვარული არავის გააჩნია, ვიდრე ვინც სულს დასდებს თავის მეგობრისათვის. თქვენ კი ჩემი მეგობრები ხართ, თუ გააკეთებთ რასაც მცნებად გიდებთ, აღარ გიწოდებთ მონებს, ვინაიდან მონამ არ იცის რას აკეთებს მისი ბატონი, არამედ მეგობრებს გიწოდებთ, რადგან ყველაფერი გამცნეთ რაც მამაჩემისაგან მოვისმინე ...

ამას გიდებთ მცნებად თქვენ, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი. თუ თქვენ ქვეყნიერებას სძულხართ, იცოდეთ, რომ თქვენზე უწინ მე მომიძულა. თქვენ რომ ქვეყნიერებისაგან იყოთ, ქვეყნიერებას ეყვარებოდა თავისი. და რაკი არა ხართ ქვეყნიერებისაგან, არამედ მე გამოგარჩიეთ ქვეყნიერებიდან, ამიტომაც სძულხართ ქვეყნიერებას. . .

ჩემს მოძულეს მამაჩემიც სძულს ...

როცა მოვა ნუგეშინისმცემელი – რომელსაც მე წარმოგიგზავნით მამისგან – ჭეშმარიტების სული, რომელიც მამისგან მომდინარეობს, ის დაამოწმებს ჩემს შესახებ ...

მაგრამ ჭეშმარიტებას გეუბნებით თქვენ: თქვენთვის უკეთესია, მე რომ წავიდე, რამეთუ თუ არ წავალ, ნუგეშინისმცემელი ვერ მოვა თქვენგან. და თუ წავალ მე წარმოვგზავნი მას თქვენთან, და როცა მოვა ის, ამხილებს ქვეყნიერებას ცოდვის შესახებ. სიმართლისა და სასამართლოს შესახებ ცოდვაზე, მე რომ არ მიწამეს. სიმართლეზე, მე რომ მამასთან მივდივარ და უკვე ვეღარ მიხილავთ. სამართალზე, რომ მთავარი ამ ქვეყნიერებისა გასამართლდება. კიდევ ბევრი მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ვეღარ იტვირთავთ. როცა მოვა ის სული ჭეშმარიტებისა, შეგიძღვებათ ყოველ ჭეშმარიტებაში, რადგან თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ იმას ილაპარაკებს, რასაც ისმენს და მომავალს გამოგიცხადებთ თქვენ. იგი განმადიდებს მე, რადგან ჩემგან მიიღებს და თქვენ გამოგიცხადებთ. ყველაფერი რაც მამას გააჩნია ჩემია. ამიტომ გითხარით: ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ ... (იოანე, თავი 15-16).

იესომ კვლავ განაგრძო თავისი სიტყვა. ბოლოს თქვა „ეს იმიტომ გითხარით, რათა მშვიდობა იქონიოთ ჩემში. ქვეყნიერებაზე ჭირი გექნებათ. მაგრამ გამაგრდით. მე ვძლიე ქვეყნიერება" შემდეგ კი ილოცა მოწაფეთათვის და ყველასათვის, ვინც კი მას ირწმუნებს. ამ ლოცვას მღვდელთმთავრულსაც უწოდებენ.

„იესომ ცას მაპყრო თვალები და თქვა:

მამაო, დადგა ჟამი, განადიდე შენი ძე, რათა ძემ განგადიდოს შენ. ისევე, როგორც მიეცი ძალაუფლება მას ყველა ხორციელზე, რათა ყველას, რომლებიც მას მიეცი, მისცეს საუკუნო სიცოცხლე, ესაა საუკუნო სიცოცხლე, რომ გიცნობდნენ შენ, ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს და ვინც შენ წარმოგზავნე – იესო ქრისტეს.

მე განგადიდე დედამიწაზე, შევასრულე შენი საქმე, რაც მომეცი, რომ გამეკეთებინა. ახლა კი შენ, მამაო განმადიდე იმავე დიდებით რაც გამაჩნდა შენთან ქვეყნიერების გაჩენის წინ. შენი სახელი ვაცნობე ადამიანებს, რომლებიც შენ მომეცი ქვეყნიერებისაგან. შენი იყვნენ ისინი და მე მომეცი და შენი სიტყვა დაიცვეს მათ ...

მე აღარ ვარ ქვეყნიერებაზე, მაგრამ ისინი არიან ქვეყნიერებაზე. მე კი შენთან მოვდივარ. მამაო წმიდაო, დაიცავი ისინი შენი სახელით, რომლებიც შენ მომეცი რათა ჩვენებრ ერთი იყვნენ!...

მე მხოლოდ მათთვის არ გევედრები, არამედ იმათზეც, ვისაც ჩემი სწამს მათი სიტყვით. რათა ყველა ერთი იყოს, როგორც შენ ჩემში მამაო, მე კი – შენში, რათა ისინიც იყვნენ ჩემში, რათა ირწმუნოს ქვეყნიერებამ, რომ შენ წარმომგზავნე" (იო. 17).

საპასექო სერობის დასრულების შემდეგ, როგორც აღნიშნული იყო, იგალობებოდა ფსალმუნები. მოციქულებმაც იგალობეს და წავიდნენ ზეთისხილის მთაზე (მათე, 26:30).

მაშინ უთხრა მათ იესომ: თქვენ ყველანი შეცდებით ამაღამ ჩემს გამო, ვინაიდან დაწერილია: დავცემ მწყემსს, და განიბნევიან ფარის ცხვრები. ხოლო ჩემი აღდგომის შემდეგ წაგიძღვებით თქვენ გალილეისაკენ" (მათე: 28: 31-32).

იუდას გარდა ყველა მოციქული გალილეიდან იყო, სადაც წლების მანძილზე მოღვაწეობდა იესო. თავის თავში დაჯერებულმა პეტრემ მაცხოვარს უთხრა: „ყველა რომ შეცდეს შენს გამო, მე არასოდეს შევცდები. უთხრა იესომ: ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ამაღამ მამლის ყივილამდე სამჯერ უარმყოფ მე. მიუგო მას პეტრემ: შენთან ერთად რომ მიწიოს სიკვდილმა, არასოდეს უარგყოფ შენ. და ასევე ამბობდა ყველა მოწაფე" (მათე, 26: 34-35).

იესომ შეახსენა მოციქულებს:

- როცა მე წარგზავნეთ უფუთოდ, უაბგოდ და ფეხშიშველად თუ დაგაკლდათ რამე?
- არაფერი – მიუგეს მათ.
- ამჟამად კი, ვისაც აქვს ფუთა, წაიღოს, აგრეთვე აბგაც ხოლო უნდა აღსრულდეს ჩემზე ეს წერილი – ბოროტმოქმედთა შორის შეირაცხაო. რადგან ის, რაც დაიწერა ჩემზე, დასასრულს უახლოვდება -
- უფალო, აჰა ორი მახვილი! – თქვეს მოციქულებმა.

მათ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს იესოს ნათქვამი, ბრძოლის დაწყების დროის დადგომის შესახებ, ამიტომაც ჩანს გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით თქვა იესომ - „საკმარისია".

იესო ჩვეულებისამებრ ავიდა ზეთისხილის მთაზე, კერძოდ კი ადგილზე, რომელსაც ერქვა გეთსიმანია. აქ უთხრა მოწაფეებს - „ - ილოცეთ, რათა არ შეხვიდეთ საცდუნებელში". ხოლო თვითონ თან წაიყვანა პეტრე და ზებედეს ორი ძე. და დაიწყო ურვა და მწუხარება. მაშინ უთხრა იესომ: მწუხარეა ჩემი სული, ვიდრე სიკვდილამდე. იყავით აქ და იფხიზლეთ ჩემთან ერთად. და ცოტაზე გაშორდა მათ, პირქვე დაემხო, ლოცულობდა და ამბობდა: მამაო ჩემო! თუკი შესაძლოა ამცდეს ეს სასმისი თუმცა არა როგორც მე მნებავს, არამედ როგორც შენ.

და მოევლინა ანგელოზი ზეცით, და განამტკიცებდა მას. ურვით შეპყრობილი, უფრო გულმხურვალე ლოცულობდა და მისი ოფლი სისხლის წვეთებად ეპკურებოდა მიწას.

ილოცა, ადგა და მოვიდა თავის მოწაფეებთან და მწუხარებისაგან ძილად მივარდნილი ჰპოვა ისინი. და უთხრა: რად გძინავთ? ადექით და ილოცეთ რათა არ შეხვიდეთ საცდუნებელში. სული მხნეა, მაგრამ ხორცია უძლური.

მეორადაც გაშორდა მათ: ლოცულობდა და ამბობდა: „მამაო ჩემო! თუკი შესაძლებალია ამცდეს ეს სასმისი, რათა არ შევსვა იგი, დე, იყოს ნება შენი". და მოვიდა და კვლავ მძინარენი ჰპოვა ისინი, რადგან თვალები დამძიმებოდათ.

მიატოვა ისინი, მესამედაც გაშორდა მათ, და კვლავ იგივე სიტყვები წარმოთქვა. მერე მოვიდა თავის მოწაფეებთან და უთხრა მათ: 'კვლავინდებურად გძინავთ და განისვენებით? აჰა მოაწია დრომ, და ძე კაცისა მიეცა ცოდვილთა ხელში. ადექით, წავედით: აჰა, მოგვიახლოვდა ჩემი გამცემი" (მათე., 26:36-46, ლუკა., 22:39-46).

დიდი პარასკევი 30 წლის 7 აპრილი (14 ნიზანი)

ღამის 6-სა და 7 აპრილს შორის მარტოდ-მარტო ყველასგან მიტევებული ლოცულობდა იესო გეთსიმანიის ბაღში. ისე ძლიერ, რომ მისი პირის ოფლი ვითარცა სისხლის წვეთები ეცემოდა მიწას. მარტო ივნებოდა და მარტომ დაამარცხა ცდუნება – ინება სასმისის შესმა და, აჰა, ღამის სიბნელეში უცებ გამოჩნდა ბრბო. ლამპრების შუქზე ჩანდა ტაძრის მცველთა რაზმის, ფარისეველთა და მღვდელთმთავართა მსახურების მახვილები, კეტები და წათები. ხალხს წინ მოუძღოდა იუდა ისკარიოტელი. ღამის სიბნელეში რაზმელებს რომ გაერკვიათ თუ ბაღში მყოფთა შორის რომელი იყო იესო ქრისტე, იუდა ეამბორა თავის მოძღვარს. ეს იყო ნიშანი 'ხოლო იესომ უთხარ მას: იუდა, მაშ, ამბორით გასცემ კაცის ძეს?" (ლუკა 22-48).

გამცემის ნიშანზე ხალხი უცებ შემოეხვია იესოს.

იესო შეეკითხა შემოხვეულ ხალხს – ვის ეძებთ?

უპასუხეს – იესო ნაზარეველს!

,,როდესაც უთხრა: მე ვარ, დაიხიეს უკან და მიწაზე დაეცნენ.

კვლავ ჰკითხა მათ: ვის ეძებთ? მათ უთხრეს: იესო ნაზარეველს.

იესომ უთხრა: გითხარით რომ მე ვარ, მე თუ მეძებთ, გაუშვით ისინი წავიდნენ" (იო. 18:5-8).

იესო გულისხმობდა მოციქულებს, მათი გაშვება თხოვა ბრბოს. როცა ახლადგაღვიძებულმა და გაოცებულმა პეტრემ იხილა რომ ხალხი სამტროდ იყო მოსული, იშიშვლა მახვილი, დასცხო მღვდელთმთავრის მონას და მარჯვენა ყური ჩამოათალა. მონას მალქოზი ერქვა.

იესომ უთხრა პეტრეს:

- ჩააგე მახვილი ქარქაშში, რადგან ყველა ვინც აიღებს მახვილს, მახვილითვე დაიღუპება, ან იქნებ გგონია, რომ არ შემიძლია შევევედრო მამას ჩემსას და წარმოგზავნის ანგელოზთა თორმეტ ლეგიონს და უფრო მეტსაც, როგორღა აღსრულდება წერილი, რომ ასე უნდა მოხდეს? (მათე., 26:52-54). განა არ შევსვა სასმისი, რომელიც მამამ მომცა? (იო., 18-10). მოეშვით (ბრბოს), კმარა! (ლუკა., 22-51).

შემდეგ შეეხო მალქოზის ყურს და განიკურნა იგი. მის შესაპყრობად მოსულ მღვდელმთავრებს, ტაძრის წინამძღვრებსა და უხუცესებს იესომ უთხრა:

როგორც ავაზაკს, მახვილებითა და წათებით მომიხტით, დღენიადაგ თქვენთან ვიყავი ტაძარში და ხელი არ აღგიმართავთ ჩემზე, მაგრამ ახლა თქვენი დროა და ბნელის მეუფება (ლუკა – 22:52). ხოლო ყოველივე ეს იქმნა, რათა აღსრულდეს დაწერილი წინასწარმეტყველთა მიერ (მათე., 26:56).

ამის შემდეგ ყველა მოწაფემ მიატოვა მოძღვარი და შეშინებული გაიქცა. ერთი ჭაბუკი მოწაფე, რომელსაც შიშველ სხეულზე მოესხა საბურველი, შეიპყრეს რაზმელებმა, შეატოვა ხელში საბურველი და შიშველი გაიქცა (მარკ,. 14:52).

შეპყრობილი იესო ქრისტე წაიყვანეს მღვდელმთავრის სახლში, იერუსალიმში. ჯერ კიდევ ღამე იყო.

იმ წლის მღვდელმთავარი იყო კაიაფა (მკაცრი, მაგრამ უნებისყოფო კაცი), მასზე უფრო მომეტებული გავლენითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ყოფილი მღვდელმთავარი ანნა (ხანნა). ის სინედრიონის წევრების პატივისცემით სარგებლობდა, მაგრამ რომაელ ხელისუფალთა მიერ გადაყენებულ

იქნა. მის ნაცვლად დანიშნულ იქნა მისი სიძე, როგორც აღინიშნა იოსებ კაიაფა. სწორედ დიდი გავლენის გამო იესო პირველად ანნასთან მიიყვანეს. საფიქრებელია, რომ მღვდელმთავრის სახლში მას თავისი სამყოფელი გააჩნდა. იქ შეიყვანეს იესო. უპირველეს ყოვლისა ანნა იესოს შეეკითხა მისი მოწაფეებისა და მისი სწავლების შესახებ. ყველას, განსაკუთრებით კი სადუკეველებს, აშინებდათ რომაელთა საწინააღმდეგოდ ხალხის აჯანყებანი იმათ მიერ, რომელნიც თავიანთ თავს უწოდებდნენ იუდეველთა მეფესა და მესიას, ასეთნი ქვეყანაში გამოჩნდებოდნენ ხოლმე დრო და დრო.

იესომ კითხვაზე უპასუხა:

- მე აშკარად ვესაუბრებოდი ქვეყნიერებას და მუდამ ვასწავლიდი სინაგოგაში და ტაძარში, სადაც ყველა იუდეველი იკრიბება. ფარულად არაფერი მილაპარაკია. მე რას მეკითხები? ჰკითხე მსმენელებს, რას ველაპარაკებოდი მათ. აი, მათ იციან რას ვამბობდი". (იო., 18:19-22).

პასუხის კილო ჩანს, არ მოეწონა ერთ იქ მდგომ მსახურს და გაარტყა იესოს, სიტყვებით:

- ასე პასუხობ მღვდელმთავარს?
- თუ ცუდი ვთქვი დაამოწმე ცუდის შესახებ და თუ კარგი - რად მცემ? –უპასუხა იესომ.

ამის შემდეგ ანნამ ბრძანა ხელები შეეკრათ იესოსათვის და გაუგზავნა მღვდელმთავარ კაიაფას. ეს ის კაიაფა იყო, რომელმაც იუდეველებს ურჩია ჯობია ერთი კაცი მოკვდეს ხალხისათვისო.

მღვდელმთავრის სახლის ეზოს გალავანი ერტყა. გაბნეულ მოწაფეთაგან მხოლოდ პეტრემ და იოანემ გაბედეს მალულად გაჰყოლოდნენ ბაღიდან იერუსალიმში მიმავალ ბრბოს. იოანე – მღვდელმთავრის ნაცნობი იყო და ვითარცა ერთი სეირის მაყურებელთაგანი შეჰყვა იესოს მღვდელმთავრის ეზოში. პეტრე კი გარეთ დარჩა, შემდეგ მან პეტრეს შეყვანაც შეძლო. ცივი ღამის გამო ეზოში ცეცხლი ენთოთ. პეტრე ცეცხლთან იდგა და თბებოდა. სინათლეზე ჩანს იგი იცნეს და უთხრეს: „შენც მისი მოწაფეთაგანი არა ხარ?", პეტრემ უარყო: „არა ვარ" - უთხრა მხევალ ქალს.

შემდგომ მეორე კაცმა, მღვდელმთავრის მონამ, ყურმოჭრილის ნათესავმა იცონ პეტრე და თქვა: „განა მასთან არ გნახე ბაღში?" - პეტრემ კვლავ უარყო.

კაიაფასთან მწიგნობრები და უხუცესები იყვნენ შეკრებილნი. აქვე, საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის, შეკრებილიყო მთელი სინედრიონი. იმ ღამით სინედრიონი იესოს საქმის, როგორც განსაკუთრებულის, განსახილველად ორჯერ შეკრებილა (გვიან ღამით და გამთენიისას. სინედრიონის სხდომას ასე აღწერენ: წევრები სხდებოდნენ რკალისებურად, ისე, რომ თითოეული მოსამართლე ხედავდა ყველას. მათ წინ მწერალი იდგა. ერთი მარცხნივ, მეორე მარჯვნივ და იწერდნენ გამამართლებელ სიტყვებსა და გამამტყუნებელ სიტყვებს, მათ წინ მოწაფეთა სამი მწკრივი ისხდა. ყველამ იცოდა თავის ადგილი. იმ შემთხვევაში, როცა საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს ეხებოდა პროცედურას საგანგებო მსვლელობა ჰქონდა, მოსამართლეებს ცოტა უნდა ეჭამათ, ღვინო მთელ დღეს არ უნდა დაელიათ, საქმე მთელი ღამის მანძილზე უნდა გაერჩიათ, დილით ადრე უნდა ამდგარიყვნენ და მოსულიყვნენ სასამართლოში, თუ თორმეტი მოსამართლე (მსაჯული) გაამართლებდა ხოლო თერთმეტი გაამტყუნებდა, მაშინ განსასჯელი გამართლებულად ითვლებოდა. მაგრამ თუ თერთმეტი გაამართლებდა და თორმეტი გაამტყუნებდა, ეს არ იყო საკმარისი გასამტყუნებელი სასჯელის მისაცემად. ამისათვის საჭირო იყო კიდევ ორი გასამტყუნებელი ხმა. სულ სინედრიონში 71 წევრი იყო, ამიტომ გამართლებისათვის საჭირო იყო უმრავლესობის ხმის მიღება, მაგრამ გამტყუნებისათვის უმრავლესობის ხმა – საკმარისი არ იყო. საჭირო იყო 'მამტყუვნებელთა" რიცხვი გამმართლებელთა რიცხვზე ორი კაცით მეტი ყოფილიყო. დღესასწაულისა და შაბათის დღეებში არავითარი სასამართლო არ შედგებოდა. ყველა ეს წესები ჰუმანურობით გამოირჩეოდნენ, მაგრამ ისინი დავიწყებული იქნენ იესო ქრისტეს გასამართლების დროს. საერთოდ სინედრიონის შეკრება ტაძარში იმართებოდა, მაგრამ ჩვენი მაცხოვრის საქმის განსახილველად ასე არ მოიქცნენ, ალბათ იმ მიზეზის გამო, რომ ღამით ტაძრის კარები იკეტებოდა (იხ. „ტოლკოვაია ბიბლია", ტ I გვ. 440).

სინედრიონი ამ შემთხვევაში მღვდელმთავარ კაიაფასთან იყო შეკრებილი, და იესო, როგორც განსასჯელი იდგა მათ წინ.

„მღვდელმთავარნი, უხუცესნი და მთელი სინედრიონი ეძებდნენ ცრუმოწმეობას იესოს წინააღმდეგ, რათა მოეკლათ იგი,მაგრამ ვერ იპოვეს. და თუმცა ბევრი ცრუმოწმე იყო მისული, ვერ მიაგნეს. ბოლოს მოვიდა ორი ცრუმოწმე. რომლებმაც თქვეს: ეს ამბობდა: შემიძლია დავანგრიო ღმერთის ტაძარი და სამ დღეში კვლავ ავაშენო. მაშინ წამოდგა მღვდელმთავარი და უთხრა მას: რატომ არაფერს იტყვი იმის პასუხად, რასაც ესენი შენს წინააღმდეგ მოწმობენ? ხოლო იესო დუმდა“ (მათე, 26:59-62).

თავისი მოწაფეობის უარყოფიდან დაახლოებით ერთი სათის შემდეგ პეტრე ლაპარაკის შემდეგ კილოთი იცნო ვიღაცამ და ეზოში მყოფთ უთხრა - ‘ნამდვილად ესეც მას ახლდა, ვინაიდან გალილეველია“. ხოლო პეტრემ მიუგო მას: „არ ვიცი რას ამბობ, კაცო“. ამის თქმა იყო და იყივლა მამალმა. მაშინ უფალი შემობრუნდა და მიხედა პეტრეს. და გაახსენდა პეტრეს უფლის სიტყვა რომელიც უთხრა მას: მამლის ყივილამდე სამჯერ უარმყოფო. და გამოვიდა პეტრე გარეთ და მწარედ ატირდა“ (ლუკა, 22:54-62).

მღვდელმთავარსა და სინედრიონს იესო არაფერს პასუხობდა. ის დუმდა შემდეგ ისევ ჰკითხა მას მთვდელთავარმა: - გაფიცებ ცოცხალ ღმერთს, გვითხარი შენ ხარ თუ არა ქრისტე ძე ღმერთისა?

- მე ვარ. ამასაც გეუბნებით თქვენ ამიერიდან მალე იხილავთ ძე კაცისას, მჯდომარეს ძალის მარჯვნივ და მომავალს ზეცის ღრუბლებით – მიუგო იესომ (მარკ. 14-62).

ამის გაგონებისთანავე მღვდელმთავარმა შემოიხია თავის სამოსი (ღვთისგმობის მოსმენისას წესის შესაბამისად ასე იქცეოდნენ) და თქვა: - “მან ღმერთი ჰგმო, მაშ რაღად გვინდა მოწმეები? ხომ მოისმინეთ ღვთისგმობა მისი? რას იტყვით?“ (მათე, 26:65).

მაშინ ყველამ დაადო მსჯავრი მას, რომ სიკვდილს იმსახურებდა – სიკვდილის ღირსია – მიუგეს მღვდელმთავარს.

ზოგიერთებმა დაუწყეს ნერწყვა, მუშტებს ურტყამდნენ და ეუბნებოდნენ გვიწინასწარმეტყველე ქრისტე ვინ გადარტყა? ასე გაგრძელდა დილამდე.

როდესაც ინათა მღვდელმთავრებმა და უხუცესებმა კვლავ გამართეს ბჭობა, როგორ აღესრულებინათ ღამის დადგენილება.

რომაელთა მიერ დაპყრობილ ებრაელებს ჩამორთმეული ჰქონდათ სხვადასხვა მოქალაქეობრივი უფლებანი, მათ შორის მახვილის (ანუ იარაღის) ტარების უფლება და ადამიანის სიკვდილით დასჯის უფლება. ამიტომ, მართალია იესოს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მაგრამ ამ განაჩენის აღსრულება ებრაელებს არ შეეძლოთ. ამის უფლება ჰქონდა რომაელ მმართველს, იმდროისათვის პონტოელ პილატეს. ის იმპერატორმა ტიბერიუსმა დანიშნა 26 წელს. ფიქრობენ, რომ მისის სახელი პონტიუს მომდინარეობდა ერთერთი რომაული გვარისაგან, თუმცა შეიძლება გეოგრაფიულ სახელ „პონტოსაც“ უკავშირდებოდეს, პილატე იყო პროკურატორი იუდეისა, სამარიისა და იდუმეისა. ხოლო გალილეას მართავდა რომაელთა მიერ დანიშნული ჰეროდე დიდის შთამომავალი. იერუსალიმში მდებარე სახელგანთქმული სასახლე ჰეროდე დიდისა პროკურატორის სამყოფელს წარმოადგენდა. სწორედ აქ პილატესთან წაიყვანეს მღვდელმთავრებმა იესო. მათთან ბრბო მისდევდა.

იესოს მოწაფემ – იუდა ისკარიოტელმა, როცა იხილა მისი გაცემის შედეგად იესოს უსასტიკესი დასჯა, დაცინვა და სასიკვდილოდ გამეტება ‘შეინანა და დაუბრუნა ოცდაათი ვერცხლი მღვდელმთავრებსა და უხუცესთ. და თქვა: შევცოდე, რომ მოგეცით მართალი სისხლი. ხოლო მას უთხრეს: ჩვენ რა? შენ იკითხე. და დაყარა ვერცხლი ტაძარში და გაეცალა. წავიდა და თავი ჩამოიხრჩო. ხოლო მღვდელმთავრებმა აკრიფეს ვერცხლი და თქვეს: არ ეგება ტაძრის საგანძურში ამის დადება, ვინაიდან სისხლის საფასურია“ (მათე 27:4-6). ფულით იყიდეს სასაფლაო უცხოელებისათვის, რომელსაც ხალხმა სისხლის მიწა უწოდა. ამით აღსრულდა იერემიას წინასწარმეტყველება.

ამასობაში ბრბო, რომელსაც იესო მიჰყავდა ხმამაღალი ყვირილით გარს შემოერტყა პილატეს ციხე-დარბაზს. იესო რომაელმა ჯარისკაცებმა, როგორც დამნაშავედ სახელდებული, შეიყვანეს შიგნით, მაგრამ ებრაელებს არ სურდათ შეყოლა, ისინი, როგორც ცნობილია წარმართების სახლში არ შედიოდნენ

გაუწმინდურების შიშით, მით უმეტეს პასექის დღეებში, მათ წმინდად სურდათ თავის დაცვა. ამის გამო პილატე იძულებული გახდა თვითონ გამოსულიყო გარეთ მყვირალი ბრბოს წინაშე და შეეკითხა თუ რაში დებდნენ ბრალს იესოს. ებრაელებმა უთხრეს – ბოროტმოქმედების გამო გადმოგეცით. პილატემ ჩანს იცოდა, რომ იესო არ იყო დამნაშავე, და მას ბრალს დებდნენ სარწმუნოებრივ საკითხებში. ამიტომაც უთხრა შეკრებილთ - „წაიყვანეთ თქვენთან და გაასამართლეთ თქვენი სჯულის მიხედვით“ (იო. 18:31).

ებრაელებს იესოს მოკვლა სურდათ, ამის ნება კი, როგორც ვიცით მათ არ ჰქონდათ და უთხრეს პილატეს – ჩვენთვის ნებადართული არაა ვინმეს მოკვლა.

ხალხმა იცოდა, რომ ხელისუფლება სიკვდილით სჯიდა რომაელთა წინააღმდეგ მოჯანყეებსა და წამქეზებლებს, განსაკუთრებით კი აჯანყებულთა მეთაურებს. ამიტომაც იესოს სიკვდილით დასჯის მისაღწევად პროკურატორს განუცხადეს - „ეგ გვიკრძალავს კეისრისათვის ხარკის მიცემას, თავის თავს მეფეს უწოდებს“.

სარწმუნოებრივის ნაცვლად საკითხის პოლიტიკურ პლანში გადატანამ პილატე იძულებული გახდა ყური მიეგდო ბრბოსათვის. ის შეტრიალდა, შევიდა შენობაში და შეეკითხა იესოს:

- შენ ხარ იუდეველთა მეფე?

- შენ ამბობ ამას, თუ სხვებმა გითხრეს ჩემს შესახებ?

- განა მე იუდეველი ვარ? შენმა ერმა და მღვდელმთავრებმა გადმომცეს შენი თავი, რა გააკეთე? – კვლავ შეეკითხა იესოს.

იესო მხოლოდ სიმართლის ორიოდე სიტყვით პასუხობს თავის განმსჯელებს, ანდა დუმს. იუდეველებს მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან კითხვაზე იყო თუ არა ძე ღვთისა – თანხმობით უპასუხა, ასევე დაეთანხმა პილატეს მისთვის ყველაზე საინტერესო კითხვაზე იყო თუ არა ის მეფე.

- ჩემი სამეფო არაამქვეყნიურია, ჩემი სამეფო რომ ამქვეყნიური ყოფილიყო, მაშინ ჩემი მსახურები იბრძოლებდნენ, რომ იუდეველებს არ გადავცემოდი, ახლა ჩემი სამეფო არაა აქედან – მიუგო იესომ.

პილატემ შვებით ამოისუნთქა, რადგან დადასტურდა მისი ფიქრი, რომ განსჯა არა პოლიტიკურს, არამედ სულიერ-სარწმუნოებრივ სფეროს შეეხებოდა და კვლავ მიმართა იესოს, უკვე ირონიით.

- ესე იგი მეფე ხარ.

- შენ ამბობ, რომ მეფე ვარ. მე ამიტომ დავიბადე და ამიტომ მოვედი ქვეყნიერებაზე, რომ ჭეშმარიტება დამემოწმებინა, ყოველი, ვინც ჭეშმარიტებიდანაა ისმენს ჩემს ხმას.

- რა არის ჭეშმარიტება? - დაცინვით იკითხა პილატემ, მაგრამ იესოს გარეგნობამ, მისგან გამონაშუქმა სიმართლემ და სიწმინდემ შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, ის, მკაცრი სისხლისმღვრელი ჯარისკაცი მიხვდა, რომ მის წინ უდანაშაულო კაცი იდგა და გადაწყვიტა კიდეც სიმართლე ეთქვა ბრბოსათვის, კვლავ გავიდა გარეთ და თქვა:

- ვერავითარ დანაშაულს ვერ ვპოულობ მასში.

ამ სიტყვებს მღვდელმთავრებისაგან წაქეზებული ბრბო მუქარით სავსე ყვირილით შეხვდა. პილატეს ახსოვდა თუ იერუსალიმელთა ბრბოს როგორ ჰქონდა გარშემორტყმული მისი რეზიდენცია რამდენიმე ხნის წინ და ისინი გარდუვალი სიკვდილის შიშითაც კი ვერ დააშლევინა თავის ჯარისკაცებს. მსგავსი ბრბო იდგა ახლა მის წინაშე, ამიტომაც გაიხარა, როცა შეიტყო, რომ იესო გალილეველი იყო, ესე იგი იმ პროვინციიდან, რომელსაც სხვა პიროვნება მართავდა - ჰეროდე ანტიპა.

განსასჯელად იესო პილატემ ჰეროდესთან გაგზავნა. ის იმ დროს იერუსალიმში იმყოფებოდა, რადგანაც ხალხი ყვიროდა - „ის აშფოთებს ხალხს და ასწავლის მთელ იუდეაში, გალილეიდან მოყოლებული ვიდრე აქამდე.“ იმდროინდელი წესით, წარმოშობით გალილეველი ადამიანი გალილეის მფლობელს უნდა განესაჯა. ჰეროდე მისი წინაპრების მსგავსად იუდეველთა სარწმუნოების მიმდევარი იყო, სჯულის კანონის დამცველი (მაგრამ არა აღმსრულებელი), ამიტომაც ძალიან გაიხარა იესოს ლდა მწიგნობრები დაუცხრომლად ბრალს დებდნენ მას, იესო მაინც არაფერს ამბობდა თავს არ იცავდა. ამით

ჰეროდემ თავი გაწბილებულად იგრძნო, თუმცა მიხვდა იესოს უდანაშაულობას. არც მან ინება იესოს დასჯა, მაგრამ დასცინა მას. თავის მეომრებთან ერთად შეურაცხყო და მასხრად აიგდო. შემდეგ შემოსა ბრწყინვალე სამოსით და უკანვე გაუგზავნა პილატეს (იხ.ლუკა. 23:8-10).

პილატემ კვლავ იხილა მღვდელმთავარნი და ბრბო, რომელთაც იესო მიუყვანეს მას და უთხრა მათ:

- თქვენ მომიყვანეთ ეს კაცი, როგორც ხალხის წამქეზებელი, და აჰა, მე თქვენთან ერთად გამოვიძიე, და ვერ ვპოვე ამ კაცის ვერცერთი დანაშაული, რაშიც ბრალს დებთ და ვერც ჰეროდემ ვინაიდან მასთან გავგზავნე იგი, და აჰა სიკვდილის ღირსი არაფერი უქნია მას. მაშ დავსჯი და გავუშვებ.

პილატეს არ უნდოდა იესოს სიკვდილით დასჯა და ამიტომაც იფიქრა, რომ თუ იესოს ძლიერი ფიზიკური საშუალებებით დასჯიდა (აწამებდა) ამით შეამცირებდა ბრბოს მრისხანებას და ისინი განსასჯელის სიკვდილით დასჯას აღარ მოითხოვდნენ.

- ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი იგი – კიდევ უფრო გააღიზიანა ბრბო პილატეს მონდომებამ.

- კი მაგრამ რა დააშავა მან? მე ვერაფერი ვუპოვე მას, სიკვდილით დასჯის ღირსი, მაშ დავსჯი და გავუშვებ – თხოვა ბრბოს პილატემ უკვე მესამედ.

- ჯვარს აცვი – ყვიროდა მღვდელმთავრების და უხუცესების მიერ წაქეზებული ბრბო.

პილატემ იესოს ცემა ბრძანა. ის ფიქრობდა, რომ სასჯელის ეს საშინელი ზომა დააკმაყოფილებდა ბრბოს და სიკვდილით დასჯას აღარ მოითხოვდა.

მაშინ მთავრის ჯარისკაცებმა სასახლის შიდა ეზოში პრეტორიუმში წაიყვანეს იესო. გარს შემოერტყა მთელი რაზმი. იესო გაამათრახეს. შემდეგ დაწნეს ეკლის გვირგვინი და თავს დაადგეს, მხრებზე კი ძოწისფერი სამეფო შესამოსლის ფერი ქლამიდი მოასხეს. მარჯვენა ხელში ლერწამი, ვითომდა სამეფო სკიპტრა, დააჭერინეს, მუხლს იყრიდნენ მის წინაშე, დასცინოდნენ და ეუბნებოდნენ „გიხაროდენ (ე.ი. სალამი), მეფეო იუდეველთა“ პილატე გამოვიდა გარეთ, ბრბოს წინაშე, ფიქრობდა, რომ ნაცემ-ნაგვემი და დამცირებული იესოს ნახვა ბრბოს მრისხანებას დააცხრობდა და უთხრა – აი, მე გამომყავს იგი თქვენთან, რათა იცოდეთ, რომ ვერავითარ დანაშაულს ვერ ვპოულობ მასში.

ამასობაში ჯარისკაცებმა ხელებშეკრული იესოც გამოიყვანეს – ძოწისფერი მოსასხამით შემოსილი, თავზე დადგმული ეკლის გვირგვინითა და ხელში სკიპტრით – ლერწმის ჯოხით. მისი დანახვისას პილატე კიდევ ერთხელ გააოცა იესოს დიდებულებამ, ის, მიუხედავად გამათრახებისას მიღებული უდიდესი წამებისა, შემდგომ კი დაცინვა-დამცირებისა, მშვიდად იდგა, არა თუ ითხოვდა რაიმე შეწყალებას, ხმასაც არ იღებდა, თუმც კი სურდათ მისგან სიტყვის მოსმენა. იესოს იერითა და მოთმინებით აღტაცებულმა პილატემ თქვა – აი, კაცი!

- დავსჯი და გავუშვებ – უთხრა ხალხს გამათრახებამდე პილატემ, ახლაც, დასჯის შემდეგ, იგივე ისურვა.

- ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი – ყვიროდნენ მღვდელმთავრები და მსახურები.

- თქვენ წაიყვანეთ და ჯვარს აცვით. ვინაიდან მე ვერ ვპოულობ მასში დანაშაულს.

- ჩვენ გვაქვს სჯული და ამ სჯულის მიხედვით იგი უნდა მოკვდეს, ვინაიდან თავი ძე ღმერთად გამოაცხადა – პილატემ ხალხისგან ეს რომ მოისმინა, უფრო შეეშინდა, შეეკითხა იესოს: -

- საიდან ხარ? მაგრამ იესომ პასუხი არ მისცა.

- მე არ მელაპარაკები? განა არ იცი, რომ ძალაუფლება მაქვს გაგათავისუფლო და ძალაუფლება მაქვს ჯვარს გაცვა?

- შენ არ გექნებოდა ჩემზე არავითარი ძალაუფლება, მაღლიდან რომ არ მოგცემოდა. ამიტომ მას, ვინც ჩემი თავი გადმოგცა შენ უფრო დიდი ცოდვა აქვს – უთხრა იესომ.

ამასობაში პილატეს სახლეულიდან მოვიდა კაცი, რომელმაც სამსჯავრო სავარძელში მჯდარ პილატეს გადასცა ცოლის შემონათვალი - „ნურაფერს დაუშავებ მაგ მართალს, ვინაიდან წუხელ სიზმარში ბევრი ვიტანჯე მაგის გამო“ (მათე, 27:19).

ამიტომაც პილატემ კიდევ ერთხელ სცადა ბრბოს გული მოლბობა, დღესასწაულის დღეებში ჩვეულებად ჰქონდა ხალხისთვის გაეთავისუფლებინა ერთი პატიმარი, რომელსაც მოისურვებდნენ. იმხანად ჰყავდათ ერთი პატიმარი ბარაბა, რომელიც საპყრობილეში იჯდა არეულობისა და ქალაქში მომხდარი მკვლელობის გამო.

სამსჯავრო სავარძელი გარეთ იდგა, ადგილზე, რომელსაც ქვაფენილი ეწოდება, ებრაულად კი – გაბბეთა. აქედან პილატემ მიმართა ხალხს

- აი, თქვენი მეფე.

- შორს, შორს, ჯვარს აცვი!

- ხომ გაქვთ ჩვეულება, რომ პასექში ერთი გაგითავისუფლოთ. გსურთ, რომ გაგითავისუფლოთ იუდეველთა მეფე?

- ჩვენ არ გვყავს მეფე კეისრის გარდა!

- მოკალი ეგ და გაგვითავისუფლე ბარაბა!

- თუ ამას გაათავისუფლებ, არ ხარ მეგობარი კეისრისა, რადგან მეფედ ხდის თავს, კეისარს ეწინააღმდეგება. იუდეველები რომში იმპერატორის წინაშე ხშირად აგზავნიდნენ საჩივრებს პილატეს საწინააღმდეგოდ, ზოგჯერ კი დელეგაციებსაც გზავნიდნენ მის გასამტყუნებლად და დასასჯელად, ახლა კეისროს მტრობას აბრალებდნენ იესოს გამო.

„და რაკი იხილა პილატემ, რომ ვერაფერს შველის, არამედ უფრო იზრდება შფოთი, მოითხოვა წყალი, ხალხის წინაშე დაიბანა ხელები და თქვა: მე უბრალო ვარ ამ მართლის სისხლში. თქვენ იკითხეთ. და მიუგო მთელმა ხალხმა და უთხრა: ჩვენზე იყოს და ჩვენ შვილებზე მაგისი სისხლი“ (მათე, 27:24). ხალხის თხოვნის შესაბამისად პილატემ ბრძანა ბარაბას გათავისუფლება და იესოს დასჯა.

იესოს ჯარისკაცებმა შემოახიეს „სამეფო სამოსი“ - ქლამიდი, გამოართვეს „სკიპტრა“ - ლერწამი და თავზე დაამტვრიეს, დაიწყეს ფურთხება და კვლავ თავისი სამოსი ჩააცვეს და ჯვარზე საცმელად წაიყვანეს – იესო მიეცა მათ ნებას. ჯვარცმის ადგილი ქალაქგარეთ, დასავლეთის მხარეს მდებარეობდა – მას თხემის ადგილი, გოლგოთა ერქვა, არცთუ შორს მდებარეობდა მთავრის სასახლიდან. იესოს ზურგზე აჰკიდეს ჯვარი, მძიმე ძელი და მხიარული ბრბოს თანხლებით ჯარისკაცებმა წაიყვანეს გოლგოთისაკენ. ამ გზას იერუსალიმში დღესაც – გოდების გზას უწოდებენ. იყო 30 წლის 14 ნისანი, ადრე დილა. უხუცესები აჩქარებდნენ ჯალათებს. პარასკევი იყო; მაგრამ ნაშუადღევის შემდეგ დრო უკვე შაბათის დამდეგად ითვლებოდა. პასექის შაბათი კი უდიდესი დღესასწაული იყო. ამიტომაც მოძრაობის ასაჩქარებლად ჯარისკაცებმა დაიჭირეს მინდვრიდან მიმავალი ვინმე გლეხი სიმონ კირინელი და აიძულეს იგი ჯვარი ეზიდა. და წამოიღო იესოს კვალდაკვალ. მისდევდა მას უკან ურიცხვი სიმრავლე ხალხისა და ქალებისა, რომლებიც სტიროდნენ და გლოვობდნენ მას. იესო შემობრუნდა და უთხრა მათ: - იერუსალიმის ასულნო, მე კი ნუ დამტირით არამედ დაიტირეთ თქვენი თავი და თქვენი შვილები, რადგან აჰა, მოვლენ დღენი, როცა იტყვიან: ნეტარ არიან უნაყოფონი, და მუცელნი, რომელთაც არ უშობიათ და ძუძუნი, რომელთაც არ უწოვებიათ. მაშინ ეტყვიან მთებს: თავზე დაგვემხეთ და ბორცვებს დაგვმარხეთ ჩვენ. რადგან თუ ნედლ ხეს ასე ექცევან, რაღას უზამენ ხმელს?

მასთან ერთად კიდევ ორი ავაზაკიც მიჰყავდათ ჯვარზე საცმელად.

როცა მიაღწიეს გოლგოთას, იესოს მიაწოდეს ნაღველით შეზავებული ძმარი დასალევად. ამ სასმელს ქალები ამზადებენ ჯვარცმულის ტანჯვის შესამცირებლად, რადგანაც ის მის მსმენელს ათაყვანებდა. ჯვარცმა ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული სასჯელი იყო. განსასჯელს მიაჭედავდნენ ანდა მიაბამდნენ ძელს: ხელებს მის ფრთებზე, ფეხების დასამაგრებლად არსებობდა ე.წ. „ფერხთა ფიცარი“, რომელსაც ეყრდნობოდა ფეხები, ურომლისოდაც ჯვარცმული ძირს ჩამოცოცდებოდა და მიწაზე დავარდებოდა. ასევე ტოვებდნენ მას მზის გულზე ნელი მტანჯველი სიკვდილისათვის. ზოგჯერ ჯვარზე ეკიდნენ დღეების განმავლობაში და ფრინველები ცოცხლადვე კორტნიდნენ თვალებს. განსაკუთრებით

მტანჯველი იყო წყურვილი. ჭრილობები იხსნებოდა და ჩირქდებოდა, სისხლი ძარღვებში აღარ მოძრაობდა, უხმობდნენ სიკვდილს, ის კი არ ჩანდა. ამ ტანჯვის შეგრძნების ასაცილებლად ასმევდნენ ძმარში გახსნილ ნაღველს. იესომ ისურვა სრული განცდა სატანჯველისა.

ჯვარცმულის ზემოთ ძელზე აკრავდნენ წარწერას, თუ რომელი დანაშაულის ჩადენისთვის ისჯებოდა ის. იესოს ჯვარზე გააკრეს წარწერა ლათინურ, ბერძნულ და ებრაულ ენებზე - „იესო ნაზარეველი – იუდეველთა მეფე“. აღმართეს მისი ჯვარი და მის გვერდით მარცხნივ და მარჯვნივ ორი ავაზაკის ჯვრები აღმართეს.

გამვლელნი აგინებდნენ მას, თავებს აქნევდნენ და ამბობდნენ – ტაძრის დამრღვევო და სამ დღეში აღმშენებელო, იხსენი შენი თავი, თუ ღმერთის ძე ხარ, ჩამოდი ჯვრიდან. ასევე მღვდელმთავრები, მწიგნობრები უხუცესებთან და ფარისევლებთან ერთად დასცინოდნენ და ამბობდნენ: - სხვები იხსნა და თავის ხსნა კი არ შეუძლია. თუ ისრაელის მეფეა, დე, ჩამოვიდეს ჯვარიდან, და ვიწამებთ მას. ღმერთს იყო მინდობილი და თუ ნებავს იხსნას ახლა ღმერთმა, ვინაიდან მან თქვა: მე ვარ ძე ღმრთისა.

რომაელი ჯარისკაცები კი, მისი ჯალათები, ამ დროს საქმით იყვნენ დაკავებული, ჩვეულების თანახმად მათ გასამრჯელოდ ეკუთვნოდათ ჯვარცმულის ტანსაცმელი. რომელსაც ერთმანეთს შორის წილისყრით იყოფდნენ. ახლაც, როცა იესო ჯვარს აცვეს წილი ყარეს და გაიყვეს მისი სამოსი, ამით აღსრულდა თქმული წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: გაიყვეს ჩემი სამოსი ერთმანეთში და ჩემს კვართზე იყარეს წილი. იესოს სამოსი ოთხ ნაწილად გაყვეს, თითოეულ ჯარისკაცს თითო ნაწილი შეხვდა. მოსასხამი კვართი ერთიანი იყო, თავიდან ბოლომდე მოქსოვილი. შეკერილი არ იყო. ის წილისყრით ერთ ჯარისკაცს ერგო. ამ დროს ჯვარცმაში მონაწილეობის მისაღებად იერუსალიმელ უხუცესების მოწვევით იმყოფებოდნენ ქართველი ებრაელები ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. მათ ჩანს შეუსყიდიათ ჯარისკაცისაგან წილისყრით მიღებული კვართი. რომელიც მცხეთაში წამოიღეს და დღემდე იქვეა დაკრძალული, სვეტიცხოველში (იხ.ქ.ც. გვ.19).

მღვდელმთავრები და ფარისევლები, რომელნიც შესცქეროდნენ იესოს უკმაყოფილონი იყვნენ წარწერის ტექსტით „იესო ნაზარეველი, მეფე იუდეველებისა“, უთხრეს კიდეც პილატეს ნუ დაწერ „იუდეველთა მეფე“, არამედ რაც მან თქვა „მე ვარ იუდეველთა მეფე“, პილატემ უპასუხა; რაც დავწერე – დავწერე“ (იო., 19:21).

ყველა ყაყანებდა, თავის აზრს გამოთქვამდნენ, დასცინოდნენ იესოს მთელი ქალაქისა და ბრბოს ყურადღება იესოსკენ იყო მიპყრობილი დავობდნენ მაცხოვრის ჯვარცმის გამო.

„მამაო, მიუტევე ამათ, რადგან არ იციან, რას სჩადიან“ - მიტევებისა და შენდობის ეს სიტყვები პირველნი იყვნენ იმ „შვიდ სიტყვას“ შორის, რომელიც იესომ ჯვარცმისას წარმოთქვა.

მეორე სიტყვა უთხრა მის გვერდით ჯვარზე გაკრულ მონანიე ავაზაკს: - „ჭეშმარიტად გეუბნები შენ: დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში“ (ლუკა, 23:24). თქმა ამ სიტყვისა, გამოწვეული იყო იმით, რომ ავაზაკების მთელი ყურადღება, ისევე როგორც ხალხისა, იესოსკენ იყო მიპყრობილი, იმდენად რომ თავიანთი ჯვარცმა აღარ ახსოვდათ, მასზე მსჯელობდნენ: ერთი ჯვარცმული ბოროტმოქმედი აგინებდა მას და ამბობდა: თუ შენ ხარ ქრისტე, იხსენი შენი თავი და ჩვენც. მეორე კი რისხავდა მას და ეუბნებოდა: ღმერთის მაინც არ გეშინია? რადგანაც მისებრ დასჯილი ხარ? ჩვენზე ახია, რაც დავთესეთ, იმასვე ვიმკით, ხოლო მას არაფერი ცუდი არ ჩაუდენია. და უთხრა იესოს: მომიხსენე მე, უფალო, როცა მიხვალ შენს სასუფეველში“ (ლუკა, 23:40-42), და მიიღო კიდეც მიტევება უფლისაგან.

მოგროვილ ხალხში მაცხოვარმა გაარჩია დედამისი – მარიამი და საყვარელი მოწაფე იოანე. ერთ დროს, როცა დედა ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იყო, მასზე თქვა, - „ვინ არის დედა ჩემი ან ვინ არიან ძმები ჩემი?“ და თავის მოწაფეები მიიჩნია „დედად და ძმებად“ (მათე 12:49). ახლა დაღონებული, უმწეო დედა, უპატრონოდ რჩებოდა. გული მასზე ზრუნვით აევსო, მიუბრუნდა ჯვართან მდგარ დედამისს

მარიამს, მის გვერდით მდგარ თავისი „ძმების“ დედას – დეიდამისს, რომელსაც ასევე მარიამი ერქვა, შემდეგ შეხედა იოვანეს და დედას უთხრა: დედაკაცო, აი შენი ძე. შემდეგ მოწაფეს უთხრა: აი დედაშენი. და იმ საათიდან მოწაფემ თავისთან წაიყვანა მარიამი.

დღის თორმეტ საათზე, რომელსაც ძველად „მეექვსე ჟამს“ უწოდებდნენ წყვდიადმა მოიცვა მთელი ქვეყანა და ასე გაგრძელდა სამ საათამდე (მეცხრე ჟამამდე) დაბნელდა მზე.

სამ საათზე ხმამაღლა შეჰღაღადა იესომ –

- ელი, ელი, ლამა საბათქანი (ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე).

შემდეგ კი თქვა - მწყურია (წინასწარმეტყველების აღსასრულებლად).

იქ მდგომმა გაიგო ეს და თქვა: ელიას უხმობს. ერთმა მხედარმა აიღო ღრუბელი, ძმრით გაჟღინთა და ლერწამზე წამოაგო და ასმევდა მას, სხვები კი ამბობდნენ: მოიცათ, ვნახოთ, მოვა თუ არა ელია მის დასახსნელად (მათე, 27:49).

როცა იესომ მიიღო ძმარი, თქვა:

- აღსრულდა!

ხოლო შემდეგ ხმამაღლა შეღაღადა და თქვა:

- მამაო შენს ხელს ვაბარებ ჩემს სულს – დახარა თავი და ამ სიტყვებით განუტევა სული.

ამის თქმა იყო და იძრა მიწა, დასკდნენ კლდეები, შეირყა ტაძარი და ზემოდან ქვემომდე, შუა ჩაიხა ტაძრის ფარდა, ეს იყო კრეტსაბმელი, რომელიც მნახველის თვალიდან ფარავდა წმინდათა წმინდას, და აი, პირველად ყველას თვალწინ გამოჩნდა იქამდე ყველასთვის დაფარული ადგილი ტაძრისა.

განიხვნენ საფლავნი და წმიდა განსვენებულთა გვამები აღდგნენ. ხოლო როდესაც იხილეს მიწისძვრა და ყოველი ის, რაც მოხდა, ასისთავი და მასთან ერთად იესოს მოდარაჯენი ძლიან შეშინდნენ და თქვეს:

- ჭეშმარიტად ღმერთის ძე იყო იგი.
- ჭეშმარიტად ეს კაცი მართალი იყო. ხალხი, რომელმაც იხილა ყველაფერი მჯიღისცემით ბრუნდებოდნენ უკან.

აქ იყვნენ დედაკაცები, რომლებიც შორიდან უმზერდნენ, მათ შორის მარიამ მაგდალინელი, იაკობ მცირის დედა მარიამი და სალომე ზებედეს ძეთა დედა, ისინი გალილეადანვე მისი მიმდევრები იყვნენ და ემსახურებოდნენ მას, მრავალი სხვაც იყო მათთან ერთად იერუსალიმიდან ამოსულები.

საღამოვდებოდა, მალე შაბათი პასექისა დადგებოდა – დიდი დღე – ამასთან დაკავშირებით, შაბათს რომ გვამები ჯვარზე არ დარჩენილიყო იუდეველებმა სთხოვეს პილატეს, მათთვის წვივები დაემტვრიათ და ჩამოეღოთ.

მოვიდნენ ჯარისკაცები და იესოს გვერდით ჯვარცმულებს წვივები დაუმტვრიეს, ერთსაც და მეორესაც, როცა იესოსთან მივიდნენ, დაინახეს, რომ უკვე მომკვდარიყო არ დაუმტვრიეს წვივები. მაგრამ ერთმა ჯარისკაცმა მას შუბით გაუგმირა გვერდი და მაშინვე წამოუვიდა სისხლი და წყალი. ეს მოხდა რათა აღსრულებულიყო წერილი: მისი ძვალი არ დაიმტვრევა (იო, 19:36).

მწუხრის ჟამს მოვიდა მდიდარი არიმათიელი კაცი, სახელად იოსები, რომელიც აგრეთვე იესოს მოწაფე იყო. მივიდა იგი პილატესთან და გამოითხოვა იესოს სხეული.

პილატეს გაუკვირდა, რომ უკვე მოკვდა, დაუძახა ასისთავს და ჰკითხა: დიდი ხანია მოკვდა? პასუხის მოსმენის შემდეგ გვამი აჩუქა იოსებს – წარჩინებულ მრჩეველს, კეთილსა და სამართლიანს. ის სინედრიონის წევრი იყო, მაგრამ არ მონაწილეობდა მათ თათბირსა და მათს საქმეში. თავადაც მოელოდა ღმერთის სასუფეველს.

იოსებმა იყიდა ტილო და ავიდა გოლგოთაზე. მოვიდა ნიკოდიმოსიც, წინათ რომ ღამით მივიდა იესოსთან და მიუტანა ას ლიტრამდე სმირნისა და ალოეს ნარევი.

აიღეს და შეახვიეს იესოს გვამი ტილოში სურნელთან ერთად, როგორც მიღებულია იუდეველთა შორის დამარხვისას.

დასვენეს ის იოსების ახალ სამარხში, რომელიც კლდეში გამოეკვეთა მას. იქვე ჯვარცმის ადგილთან ახლოს ბაღში. ამ ახალ სამარხში არავინ ყოფილა ჩასვენებული. იქ ჩასვენეს იესო იუდეველთა პარასკევის გამო, რადგან ახლო იყო სამარხი. აქ იყო მარიამ მაგდალინელი და მეორე მარიამი. ისინი სამარხის წინ ჩამოჯდნენ.

დიდი შაბათი – 8 აპრილი 30 წლის

მახარებელი მათე წერს: 'მეორე დღე, რომელიც მოსდევს პარასკევს, შეიკრიბნენ მღვდელმთავარნი პილატეს კარზე და თქვეს: ბატონო, გაგვახსენდა, რომ მაცდურმა სიცოცხლეში თქვა: სამი დღის შემდეგ აღვსდგებიო, მაშ ბრძანე მესამე დღემდე უდარაჯონ სამარხს, რათა მისი მოწაფეები არ მივიდნენ ღამით არ მოიპარონ იგი და უთხრან ხალხს: მკვდრეთით აღსდგაო. და უკანასკნელი სიცრუე პირველზე უარესი იქნება.

უთხრა მათ პილატემ: დარაჯნი თქვენა გყავთ, წადით და უდარაჯეთ როგორც იცით.

ისინიც წავიდნენ. სამარხის დასაცავად დაბეჭდეს ლოდი და დარაჯი დაუყენეს" (მათე 27:62-66).

უნდა ვიფიქროთ, რომ იუდეველები პილატესთან მივიდნენ შაბათს დილით, შემდეგ წავიდნენ და დაბეჭდეს საფლავი, ე.ი. საფლავში ნახეს სხეული იესოსი, შემდეგ კი დარაჯი მიუყენეს დაბეჭდილ კარებს. დარაჯს სამი დღის მანძილზე უნდა დაეცვა ის. შაბათის ჩათვლით, კიდევ ორი დღე, ანუ სამშაბათამდე. უნდა ვიფიქროთ რომ შაბათსა და კვირას ახლად დაყენებული მოდარაჯენი განსაკუთრებით ფხიზლად დარაჯობდნენ საფლავს. აღსანიშნავია ისიც, რომ მღვდელმთავარნი და ფარისეველნი არ მოერიდნენ შაბათის უქმის დარღვევას, როცა მათ ეს დასჭირდათ, და ამ დღეს იესოს საფლავის ირგვლივ საქმიანობდნენ - მაცხოვრის სხეულის დასაცავად.

აღდგომა (30 წლის 9 აპრილი) და ამაღლება

პასექის შაბათი, დიდად მიჩნეული იუდეველთა შორის, არავის დაურღვევია, იესოს საფლავთან არავინ მისულა. 'ხოლო შაბათის დამლევს, კვირის პირველი დღის განთიადისას, მოვიდა მარიამ მაგდალელი და მეორე მარიამიც, სამარხის სანახავად" (მათე, 28:1) მათთან ერთად სალომეც ყოფილა, სამივენი პარასკევს გულმკვდარნი უმზერდნენ შორიდან იესოს ჯვარცმას. და, აი, შაბათი გავიდა თუ არა იყიდეს მათ სურნელებანი, რათა ეცხოთ იესოს სხეულისათვის, როგორც ამას ებრაელთა პატივით დაკრძალვის წესი ითხოვდა.

სამარხთან მზის ამოსვლისას მივიდნენ, მხოლოდ ის აღონებდათ, რომ ვერ შეძლებდნენ კლდეში გამოკვეთილ საფლავზე მიყუდებული ლოდის გადაგორებას, სამარხში შესვლას და სურნელოვანი ზეთის ცხებას საყვარელი მასწავლებლის სხეულისათვის, მართალია საფლავთან იდგნენ დარაჯები, მაგრამ მათგან ქვის გადაგორების იმედი არ ჰქონდათ. მათ არც ჰქონდათ ამის უფლება, პირიქით დარაჯების სურვილი საფლავის კარების გამაგრება და იესოს სხეულის დაცვა იყო.

ამ დროს რაღაც მოულოდნელი და გასაოცარი რაღაც მოხდა: ,,საშინლად იძრა მიწა, ვინაიდან უფლის ანგელოზი ჩამოეშვა ზეცით, მივიდა და გადააგორა სამარხის კარიდან ლოდი და ზედ დაჯდა. მისი სახე იყო როგორც ელვა და სამოსი მისი სპეტაკი, როგორც თოვლი. მისი შიშით შეძრწუნდნენ საფლავის მცველნი და მკვდრებს დაემსგავსნენ" (მათე., 28:2-4).

ქალებმა, რომლებიც იქამდე ურთიერთშორის ლაპარაკობდნენ თუ ვინ გადაუგორებდათ ლოდს სამარხის კარიდან, მიიხედეს და დაინახეს, რომ ლოდი გადაგორებულია, იგი იყო ძალიან დიდი (მარკ., 16:4). საფლავი ცარიელი დახვდათ.

ამის შემხედვარე მარიამ მაგდალელი გაიქცა ქალაქში პეტრესა და იოანესთან. გამოქვაბულის სიღრმეში შესულმა სხვა ქალებმა სამარხში იხილეს მარჯვნივ მჯდომარე ანგელოზი ჭაბუკის სახით, სპეტაკი სამოსლით მოსილი. მან შეშინებულ ქალებს უთხრა - „ნუ კრთებით! ნუ ეძებთ იესო ნაზარეველს, ჯვარცმულს, იგი აღდგა, აქ არ არის, აი, ადგილი სადაც ის დაასვენეს. მაგრამ წადით, უთხარით მის მოწაფეებს და პეტრეს. ის თქვენს წინ მიდის გალილეისაკენ. იქ ნახავთ მას, როგორც გითხარით თქვენ (მარკ., 16:5-7).

ნანახით აცახცახებული და შეშინებული ქალები გამოვიდნენ სამარხიდან და ქალაქისაკენ გაიქცნენ. შეძრწუნებულმა არავის არაფერი უთხრეს.

ლუკას აღწერით სამარხში შესულ ქალებს ელვარე სამოსლით მოსილი ორი კაცი დახვდათ, რომლებმაც თქვეს: „რად ეძებთ ცოცხალს მკვდრებში? აქ აღარ არის, არამედ აღდგა. გაიხსენეთ რას გეუბნებოდათ თქვენ, როცა ჯერ კიდევ გალილეაში იყო: რომ ძე კაცისა უნდა მიეცეს ცოდვილ კაცთა ხელში და ჯვარს ეცვას და მესამე დღეს აღდგეს.“ (ლუკა, 24:6-7).

საფლავიდან გამობრუნებულმა ქალებმა, რომელთა შორის აღნიშნულთა გარდა იოანაც და სხვებიც ყოფილან ქრისტეს აღდგომა თერთმეტ მოციქულს აუწყეს, მაგრამ მათ ფუჭად მოეჩვენათ ეს სიტყვები და არ ერწმუნნენ მათ (როგორც ეს ქვემოთაც ჩანს).

ამასობაში პეტრე და იოანე, რომელთაც მარიამ მაგდალელმა შესტირა „უფალი წაუღიათო“ გაიქცნენ საფლავისაკენ. მოხუც პეტრეს გაასწრო ახალგაზრდა იოანემ და პირველი მივიდა სამარხთან „დაიხარა და დაინახა დადებული ტილოები, მაგრამ არ შევიდა. მის შემდეგ მოვიდა სიმონ პეტრეც. შევიდა სამარხში და დაინახა დადებული ტილოები. სუდარა თავზე რომ ჰქონდა შემოხვეული, იმ ტილოებთან კი არ იდო, არამედ ცალკე იდო ერთ ადგილას დახვეული“ (იო., 20: 5-7).

პეტრე, იოანე და ქალებიც გაოცებულები იყვნენ იმით, რომ ვერ ნახეს სხეული. აქამდე ფიქრადაც არ მოსვლიათ იესოს აღდგომა, „აქამდე არ იცოდნენ წერილიდან, რომ იგი უნდა აღმდგარიყო“. ნანახით გაოგნებულნი უკანვე დაბრუნდნენ, საფლავთან ბაღში მხოლოდ მარიამ მაგდალელი დარჩა, ის ფიქრობდა, რომ იესოს სხეული მოიპარეს, ანდა საფლავიდან გაიტანეს.

დარაჯები კი ძალზე შეშინდნენ. ამ რომაელებს იესოს სხეულის დაცვა ჰქონდათ დავალებული, ცარიელი საფლავის ხილვისთანავე ზოგიერთი მათგანი ქალაქში წავიდა და ყველაფერი მოახსენეს მღვდელმთავრებს. სასწრაფოდ შეიკრიბა უხუცესებისა და მღვდელმთავრების საბჭო. გადაწყვიტეს დიდძალი ფული მიეცათ ჯარისკაცებისათვის, სანაცვლოდ მათ უნდა ეთქვათ, რომ იესოს მოწაფეები მოვიდნენ ღამით მოიპარეს იგი. თუ ეს ხმა მიაღწევს მთავრამდე, არწმუნებდნენ ისინი ჯარისკაცებს, ჩვენ დავაჯერებთ მას და უსიამოვნებისაგან გიხსნითო. მათ აიღეს ფული და გაავრცელეს ეს ხმა.

მაგრამ ქალაქში სასწაულები ხდებოდა. აღდგნენ მიცვალებულთა გვამები და გამოვიდნენ საფლავიდან მისი აღდგომის შემდეგ შევიდნენ წმიდა ქალაქში და გამოეცხადნენ მრავალთ“ (მათე., 27:53). ამიტომაც ქრისტეს აღდგომის დასაჯერებლად მრავალი განეწყო.

საფლავის კართან ბაღში მდგომი მარიამ მაგდალელი კი ტიროდა. მისი საყვარელი მოძღვარი ტანჯეს, მოკლეს, ახლა კი საფლავიდანაც გაიტანეს და მარიამმა სურნელოვანი ზეთი ვერ სცხო მის წმინდა სხეულს, ვერ აღასრულა წესი, რომელიც ყოველი მიცვალებული ებრაელის გასაპატიოსნებლად იყო დაწესებული, მასწავლებელი ამის ღირსიც კი არ გახადეს. გულმდუღარე „როცა ტიროდა, სამარხთან დიხარა და ხედავს თეთრებში შემოსილ ორ ანგელოზს, მსხდომარეს ერთს თავით, მეორეს ფერხთით, სადაც იესოს გვამი ესვენა. უთხრეს მას: დედაკაცო რატომ სტირი? მან მიუგო: ჩემი უფალი წაიღეს და არ ვიცი სად დაასვენეს. ამის თქმისას მობრუნდა უკან და იხილა მდგომარე იესო, მაგრამ ვერ იცნო,

რომ ეს იესო იყო. უთხრა მან იესოს: ბატონო შენ წაიღე იგი მითხარი სად დაასვენე იგი და მე წავიღებ. იესო ეუბნება მას: მარიამ! მოუბრუნდა და ებრაულად ეუბნება: რაბუნი! რაც ნიშნავს: მოძღვარო! იესომ უთხრა მას: არ შემეხო, რადგან ჯერ არ ავსულვარ მამასთან. წადი ჩემს ძმებთან და უთხარი მე ავდივარ მამაჩემთან და მამათქვენთან ჩემს ღმერთთან და თქვენს ღმერთთან. მარიამ მაგდალელი მივიდა და აუწყა მოწაფეებს, რომ იხილა ეს და უთხრა მათ“ (იოანე, 20: 11-18). მაგრამ არ ერწმუნნენ. სულ ცოტა ხნით ადრე კი მოწაფეებთან მივიდნენ სხვა ქალებიც, ახარეს აღდგომა და თვით იესოსგან დანაბარები სიტყვებიც კი გადასცეს. მათე წერს - „მოწაფეების საუწყებლად მიმავალთ, აჰა, შემოხვდა იესო და უთხრა მათ: გიხაროდეთ! ხოლო ისინი მივიდნენ, მუხლებზე მოეხვივნენ და თაყვანი სცეს მას. მაშინ უთხრა მათ იესომ: ნუ გეშინიათ, წადით აუწყეთ ჩემს ძმებს, რომ გალილეას წავიდნენ, იქ მიხილავენ მე“ (მათე, 28:9-10).

კვირა დღეს ქრისტეს მოწაფე – კლეოპა და მეორე, რომლის სახელი უცნობია მიდიოდნენ იერუსალიმის მახლობლად მდებარე დაბა ემაუსში, მწუხარენი ქრისტეს ვნებასა და სიკვდილზე დიდხანს მსჯელობდნენ. ამ საუბრისას მათ მიუახლოვდათ თვით იესო და დაემგზავრა, მაგრამ მათ თვალები დასდგომოდათ, ასე რომ ვერ იცნეს იგი. მარკოზი წერს, რომ „რომ სხვა სახით ეჩვენა“ მათ მაცხოვარი. იესომ ჰკითხა მათ მწუხარების მიზეზი. ისინი სწუხდნენ თავიანთი საყვარელი მოძღვრის ტანჯვისა და სიკვდილის გამო, მაგრამ მათ სულს უფრო მეტად ტანჯავდა იმედგაცრუება, რომ მათი მოძღვარი არ აღმოჩნდა მესია, მხსნელი, რომელიც თავისი თავის გამოცხადების შემდეგ შეცვლიდა დედამიწის სახეს და გათავისუფლებულ ისრაელს მსოფლიოში კუთვნილ ადგილს დააჭერინებდა. ამის ნაცვლად ის ჯვარზე აცვეს - „ჩვენ კი იმედი გვქონდა, რომ სწორედ ის იყო ვისაც უნდა ეხსნა ისრაელი, მაგრამ, აი, უკვე მესამე დღეა, რაც ეს ამბავი მოხდა“ (ლუკა, 24:21).

იესომ უთხრა მათ: „ეჰა, უგუნურნო და გულმძიმენო ყოველგვარი რწმენის მიმართ, რასაც ამბობენ წინასწარმეტყველნი! განა ასე არ უნდა ვნებულიყო ქრისტე და შესულიყო თავის დიდებაში?

და მოსედან და ყველა წინასწარმეტყველიდან მოყოლებული უხსნიდა მათ რაც ითქვა მისთვის მთელ წერილში“ (ლუკა, 24-25-27).

გვიანი იყო, ღამდებოდა მაგრამ ეს უცნობი არ გაუშვეს, თხოვეს მათთან დარჩენილიყო და ერთად ევახშმათ. როცა დასხდნენ, იესომ აიღო პური, აკურთხა, გატეხა და მისცა მათ. სწორედ ამ დროს აეხილათ თვალი ორივეს და იცნეს იესო, მაგრამ მაცხოვარი მაშინვე გაუჩინარდა – უჩინარ შეიქმნა მათთვის. მაშინვე ადგნენ და იერუსალიმში გაბრუნდნენ. ნახეს ერთად შეკრებილი თორმეტი მოწაფე და სხვებიც მათთან ერთად. მოწაფეებს იუდეველებისა ეშინოდათ და კარჩაკეტილები იყვნენ. ისინი ქრისტეს აღდგომაზე ლაპარაკობდნენ რომელსაც უკვე მოწმეები ჰყავდა, სიმონ პეტრეც კი. ემაუსის გზიდან მობრუნებული ორი მოწაფე კი მოჰყვა თუ რა შეემთხვათ გზაში, როგორ იცნეს იგი პურის გატეხისას. ამ დროს იესო ჩადგა მათ შორის და თქვა:

- მშვიდობა თქვენდა. ისინი შეკრთნენ და შეძრწუნდნენ, ეგონათ სულსა ვხედავთო, მაგრამ იესომ აჩვენა ხელებიც და ფეხებიც. "შეხედეთ ჩემს ხელებსა და ფეხებს, ეს მე ვარ თვითონ, შემეხეთ და დარწმუნდით, რადგანაც სულს არც ხორცი აქვს და არც ძვლები მე კი როგორც ხედავთ, მაქვს“ გაოგნებული მოწაფეების თვალწინ შეჭამა შემწვარი თევზის ნაჭერი და ფიჭის თაფლი, რომ დაეჯერებინა ისინი და უთხრა მათ:

- აი, სიტყვები, რომელთაც ჯერ კიდევ თქვენთან მყოფი გეუბნებით, რომ უნდა აღსრულდეს ყველაფერი, რაც დაწერილია ჩემთვის მოსეს რჯულში და წინასწარმეტყველთა მიერ ფსალმუნში (ლუკა 24:44).

ამის მოსმენის შემდგომ მოწაფეებს გონება გაეხსნათ, რომ შეემეცნოთ წერილი და კვლავ უთხრა: ასე დაიწერა და ასე უნდა ვნებულიყო ქრისტე და მესამე დღეს აღმდგარიყო მკვდრეთით და ქადაგებულიყო მისი სახელით სინანული ცოდვათა მოსატევებლად ყველა ხალხში იერუსალიმიდან მოყოლებული.

ხოლო თქვენ ხართ ყოველივე ამის მოწმენი. და აჰა, მე მოგივლენთ მამის ჩემის აღთქმას, ხოლო თქვენ დარჩით ქალაქ იერუსალიმში, ვიდრე არ შეიმოსავთ ძალას მაღლით (ლ. 24-49). კვლავ მისცა მშვიდობა და უთხრა:

- როგორც მე წარმომგზავნა მამამ, მე გგზავნით თქვენ. ეს რომ თქვა, შთაბერა და უთხრა:

- მიიღეთ სულიწმინდა, ვისაც მიუტევებთ ცოდვებს, მიეტევებათ, ვისაც დაუკავებთ, დაეკავებათ (იოანე, 20:23).

გავიდა რამდენიმე ხანი, იოანეს მიხედვით რვა დღე. უფლის აღდგომით გახარებული მოწაფეები მხოლოდ იესოზე საუბრობდნენ, თომასაც ახარეს: „ჩვენ ვიხილეთ უფალი", ერთად შეკრებილ მოწაფეებთან აღდგომილი უფლის გამოცხადების დროს მათთან არ იყო თომა, ამიტომაც მიუხედავად მოწაფეების აღიარებისა, ის არ იზიარებდა მათ აღფრთოვანებას არ სწამდა ეს ამბავი და ამბობდა: „თუ მის ხელებზე ნალურსმებს არ ვიხილავ და ნალურსმებში ჩემს თითს არ ჩავდებ და მის ფერდში ჩემს ხელს – არ ვიწამებ" (იოანე, 20:25).

და აი, ერთხელ, როცა ხელისუფალთაგან შეშინებული მოწაფეები (ელოდათ დაპატიმრება და დასჯა, როგორც მათ მეთაურს) კვლავ შინ იყვნენ შეკრებილები და კარჩაკეტილში მსჯელობდნენ – მოვიდა იესო, დადგა შუაში და თქვა - „მშვიდობა თქვენდა" შემდეგ თომას უთხრა: „მოიტანე აქ შენი თითი და იხილე ხელები. მოიტანე შენი ხელი და ჩადე ჩემს ფერდში. ურწმუნო კი არა, არამედ მორწმუნე იყავ". თომამ უთხრა მას პასუხად:

- უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო!

- შენ მირწმუნე, იმიტომ რომ მიხილე, ნეტარ არიან არამხილველნი და მორწმუნენი" - მიუგო იესომ. შემდეგ უსაყვედურა ურწმუნოება და გულქვაობა მათ, რომელთაც არ ირწმუნეს და არ დაიჯერეს მათი, ვინც იგი იხილა აღმდგარი.

და უთხრა მოწაფეებს – წადით მთელს ქვეყნიერებაზე და ყოველ ქმნილებას უქადაგეთ სახარება. ვინც ირწმუნებს და მოინათლება გადარჩება, ხოლო ვინც არ ირწმუნებს მსჯავრდებული იქნება. მორწმუნეებს კი თან ახლდება ასეთი ნიშნები: ჩემი სახელით ეშმაკებს განდევნიან, ახალი ენებით ილაპარაკებენ, გველებს აიყვანენ და თუნდაც რამე სასიკვდილო შესვან, არ ავნებთ. ავადმყოფებს ხელებს დაადებენ და ისინი განიკურნებიან (მარკ. 16:14-18).

მალევე ამის შემდეგ თერთმეტივე მოწაფე გალილეას წავიდა, მთაზე, სადაც უბრძანა მათ იესომ (მათე 28:16).

ტიბერიის ტბაზე, რომელსაც ზღვას უწოდებდნენ, როგორც ჩვეულება ჰქონდათ თევზაობდნენ. აქ იყვნენ სიმონ-პეტრე, თომა-ტყუბად წოდებული გალილეის ქალაქ კანადან გამოსული ნათანაელი, ზებედეს ძეები და კიდევ ორი სხვა მოწაფე. ერთ დღეს ერთად გაჰყვნენ სათევზაოდ სიმონ-პეტრეს. ჩასხდნენ ნავში. იმ ღამეს ვერაფერი დაიჭირეს. გამთენიისას სანაპიროზე დაინახეს კაცი, ეს იყო იესო, მაგრამ ვერ იცნეს. იესომ უთხრა მათ - „შვილებო, გაქვთ რაიმე საჭმელი? მიუგეს - „არა". კვლავ უთხრა: - „ისროლეთ ბადე ნავის მარჯვენა მხარეს და იპოვით". მართლაც ისროლეს და ვეღარ გამოათრიეს თევზის სიმრავლის გამო: იოანემ უთხრა პეტრეს - „ეს უფალია". სიმონ-პეტრემ რომ გაიგონა, უფალიაო, მოსასხამი მოიხვია, რადგან შიშველი იყო და ზღვაში გადაეშვა. სხვები ნავით გავიდნენ ნაპირზე და თევზებიანი ბადე გაათრიეს. მაგრამ მათ ნაპირზე უკვე დახვდათ დაწყობილი ნაკვერჩხლები, მასზე დადებული შემწვარი თევზი და პური. იესომ მიიწვია ისინი სასაუზმოდ. ვერც ერთმა ვერ გაბედა შეკითხვა: ვინ ხარო, რადგან იცოდნენ, რომ ეს უფალი იყო. იესომ მიაწოდა მათ პური და თევზი. ეს უკვე მესამედ გამოეცხადა იესო მოწაფეებს მას შემდეგ, რაც მკვდრეთით აღსდგა. მოწაფეებმა თაყვანი სცეს მას, ხოლო ზოგი შეეჭვდა. მიუხლოვდა მათ იესო, დაელაპარაკა და უთხრა:

- მომეცა მე მთელი ხელმწიფება ცაზედაც და მიწაზედაც. წადით და ასწავლეთ ყველა ხალხს და ნათელი ეცით მამის, ძის და სული წმიდის სახელით. ასწავლეთ მათ დაიცვან ყველაფერი, რაც მე გიბრძანეთ და აჰა, მე თქვენთანა ვარ დღემუდამ, ვიდრე ქვეყნის დასასრულამდე (მათე, 28:19-20).

იმის შემდეგ, რაც მათ ისაუზმეს იესომ უთხრა სიმონ-პეტრეს

- სიმონ იონესავ, ამათზე მეტად გიყვარვარ?

- დიახ უფალო, შენ იცი, რომ მიყვარხარ – მიუგო პეტრემ.

- აძოვე ჩემი კრავები.

სიმონ იონეს ძევ, გიყვარვარ? – კვლავ მეორედ შეეკითხა იესო

- დიახ უფალო, შენი იცი, რომ მიყვარხარ – უთხრა პეტრემ.

- დამწყსე ცხვარი ჩემი.

- სიმონ იონესავ, გიყვარვარ? – მესამედ შეეკითხა იესო

- შენ ყველაფერი იცი, იცი, რომ მიყვარხარ – უპასუხა მესამე შეკითხვით ნაღვლიანმა პეტრემ.

- აძოვე ჩემი ცხვარი. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ სანამ ახალგაზრდა იყავი შენ თვითონ შემოირტყამდი ხოლმე ქამარს და წახვიდოდი სადაც გსურდა, როდესაც მოხუცდები გაშლი ხელებს და სხვა შემოგარტყამს ქამარს და წაგიყვანს იქ, სადაც არ გსურს. ამ სიტყვებით მიანიშნა პეტრეს, თუ როგორი სიკვდილით განადიდებდა ღმერთს.

- შემომიდეგ მე (მომყევი) – უთხრა შემდეგ პეტრეს

- უფალო ხოლო ეს რა? – შეეკითხა პეტრე იოანეზე

- მე მსურს, რომ დარჩეს, სანამ მე მოვალ, შენ რა? შენ მე მომყევი მიუგო იესომ (იოანე, 21:22).

ამის შემდეგ იესო გამოეცხადა ხუთასზე მეტ ძმას ერთდროულად, რომელთა უმრავლესობა ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, როცა მოციქული პავლე თავის ეპისტოლეებს წერდა (I კორ. 15:6).

შემდეგ გამოეცხადა იაკობს, შემდეგ ყველა მოციქულს (I კორ. 15:7). ორმოც დღეს ეჩვენებოდა მათ ცოცხლად, თავისი ტანჯვის შემდეგ და მოუთხრობდა მათ ღმერთის სასუფეველზე, შეკრიბა მოციქულები, რომლებიც მან ამოირჩია და უბრძანა – ნუ განშორდებით იერუსალიმს, არამედ დაელოდეთ მამის აღთქმას, ვიდრე არ შეიმოსავთ ძალას მაღლით, რის შესახებაც ჩემგან მოისმენთ. ვინაიდან იოანე ნათლავდა წყლით, თქვენ კი არამრავალი დღის შემდეგ მოინათლებით სულიწმინდით.

მოწაფეები, რომლებიც ბავშვობიდანვე აღზრდილნი იყვნენ სულისკვეთებით, რომ მესია აღადგენდა ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, ეკითხებოდ-ნენ იესოს:

- ამ დროს ხომ არ აღუდგენ, უფალო, ისრაელის სამეფოს?

- თქვენი საქმე არ არის იცოდეთ დროები ან ვადები, რომელიც მამამ დაადგინა თავის ძალაუფლებაში, არამედ თქვენ მიიღებთ ძალას, როდესაც მოვა სულიწმინდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმიდან, მთელ იუდეას, სამარიასა და მთელი დედამიწის კიდემდე (საქმე, 1.8-9).

- ეს რომ თქვა, გამოიყვანა ისინი ბეთანიამდე და აღაპყრო ხელნი და აკურთხა ისინი. და კურთხევისას დასცილდა მათ და ამაღლდა ზეცად (ლუკა 24:51).

სანამ ისინი უყურებდნენ, ის იქნა აყვანილი და ღრუბელმა მათ თვალს მიაფარა. როცა ისინი შესცქეროდნენ ზეცაში მის აღმავლობას, აი, წარუდგა მათ ორი კაცი სამოსით და უთხრეს: გალილეველო კაცებო, რას დგახართ და შეჰყურებთ ზეცას? ეს იესო, რომელიც თქვენგან ამაღლდა ზეცად, ისევე მოვა, როგორც ზეცად აღმავალი იხილეთ (საქმე, 1:10:11) ხოლო მათ თაყვანი სცეს და დიდი სიხარულით დაბრუნდნენ იერუსალიმში ზეთისხილად წოდებული მთიდან (რომელიც იერუსალიმიდან ახლოს ბეთანიასთანაა) მუდამ ტაძარში იყვნენ და ადიდებდნენ უფალს.

იერუსალიმის სახლის ზედა ოთახში ერთად იკრიბებოდნენ ხოლმე პეტრე და იოანე, იაკობი და ანდრია, ფილიპე და თომა, ბართლომე და მათე, იაკობ ალფეს ძე, სიმონ მოშურნე და იუდა იაკობისა, აქვე იყო იესოს დედა მარიამი, სხვა ქალები და იესოს ძმები. აქვე წილის ყრით მოციქულად იუდა

ისკარიოტელის ნაცვლად ამოირჩიეს მატათია, ჩარიცხეს ის თერთმეტ მოციქულთან. ორმოცდამეათე დღეს კვლავ ერთად იყვნენ ყველანი. მოულოდნელად ზეციდან ხმაური მოისმა თითქოს ძლიერმა ქარმა დაჰბერაო და აავსო მთელი სახლი და მოევლინათ მათ გაყოფილი ენები, როგორც ცეცხლოვანნი და თითო თითოდ დაედგათ ყოველ მათგანს.

და ყველანი აღივსნენ სულიწმინდით და იწყეს ლაპარაკი სხვა ენებზე, როგორც სული აძლევდა მათ ამეტყველებისას.

ზეთისხილის მთაზე ამაღლებამდე იესო, როგორც ითქვა 40 დღის განმავლობაში ეჩვენებოდა თავის მოციქულებს და სხვა მოწაფეებს, ამტკიცებდა მათ სარწმუნოებას. ისინიც იესოს აღდგომას ახარებდნენ ადამიანებს, ეს იყო სწორედ „სახარება“ ანუ გასახარებელი ამბავი, რომელმაც საფუძველი დაუდო ახალ მსოფლიო სარწმუნოებას, რომ არ მომხდარიყო ქრისტეს აღდგომა მისი ჯვარცმით და მოკვლით შეშინებული მოსწავლეები გაიფანტებოდნენ და მათ გულში ჩაქრებოდა რწმენა იესოსი, როგორც მესიისა და მხსნელის მიმართ. აღდგომამ კვლავ შეჰკრა ეჭვმორეული მოწაფეები, პირიქით, მათი ეჭვი იქცა სარწმუნოებად, უძლეველ რწმენად, რომლისთვისაც თავს დებდნენ და სიცოცხლეს სწირავდნენ, აღდგომის შემდგომ დაფუძნდა ქრისტეს ეკლესია, რომელსაც ვერ ერევიან ჯოჯოხეთის ბჭენი, რამეთუ სალ კლდეზე, მტკიცე რწმენაზე დგას.

აღდგომის შემდგომ მაცხოვარი ცდილობდა შეშინებული მოსწავლეებისათვის ეჩვენებინა, რომ ის არ არის სული, რომ აღსდგა თავისი სხეულით, მაგრამ არა მშვინვიერი სახით, არამედ სულიერ საფეხურზე ასული. ეს იყო სრული გარდასახვა სხეულისა და არა ძველ ცხოვრებასთან დაბრუნება. ის ჭამდა თავის მოწაფეებთან, აჩვენებდა ნაჭრილობევს, მაგრამ შეეძლო დახურულ ოთახში შესვლა და გაუჩინარება, მან უკვე არ იცოდა წინააღდგომა და შეზღუდვა, რომელიც ახასიათებს უხეშ მატერიას. მისი სახე (გამოსახულება) ზოგჯერ ისე იცვლებოდა, რომ მოსწავლეები უცებ ვერ ცნობდნენ. მხოლოდ ხმითა და ნაცნობი ჟესტით აქარვებდა მათ ეჭვს. ქრისტეს აღდგომა მოასწავებს, რომ სიკვდილის შემდგომ აღსდგება ყოველი ადამიანი, მოხდება საყოველთაო აღდგომა, ამიტომაც წერია მრწამსში - „მოველი აღდგომას მკვდრეთით“.

მკვდრეთით აღდგომა მოხდება სხეულით, ისევე როგორც სხეულით აღსდგა ქრისტე. ეს იმას ნიშნავს, რომ მკვდრეთით აღდგომისას სხეული იქნება ისეთივე, როგორიც ახლა არის, მაგრამ ექნება ახალი თვისებანი: სხეული იქნება განუხრწნელი, უკვდავი ე.ი. სხეული შეიმოსება უხრწნელობითა და უკვდავებით, არ ეცოდინება სნეულება, ტკივილი, უძლურება, არ ენდომება კვება, არ იგრძნობს დაღლას, არ დასჭირდება ძილი, დასვენება.

მკვდრეთით აღდგომილი სხეულები იქნებიან სულიერნი და არა მშვინვიერნი, როგორც ახლა. სხეული შეიქმნება სულის მორჩილ იარაღად, ახლა კი პირიქითაა, სხეული, ანუ ხორცი იმორჩილებს სულს და ბატონობს მასზე. დიდების სასუფეველში სული იბატონებს უკვე დიდების გვირგვინით შემოსილ სხეულზე მაგრამ ასეთ სახეს ადამიანი მიიღებს მხოლოდ ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ საყოველთაო აღდგომის ჟამს, როცა მართალნიც და ცოდვილნიც, მორწმუნენიც და ურწმუნონიც ერთსა და იმავე დროს აღსდგებიან. ამავე დროს, როგორც ცნობილია განახლდება ქვეყნიერება, ბუნებაც განთავისუფლდება ადამიანის პირველქმნილი ცოდვის შედეგის გავლენისაგან, განახლდება, შეიქმნება უხრწნელი და ცოდვისა აღარა შერჩება რა.

აი, რას ამბობს მოციქული ამის შესახებ:

„თუ ქრისტეზე იქადაგება, რომ ის აღსდგა მკვდრეთით, როგორღა ამბობს ზოგიერთი თქვენგანი, რომ არ არის მკვდრეთით აღდგომა? მკვდრეთით აღდგომა თუ არ არის, ქრისტეც არ აღმდგარა, ხოლო ქრისტე თუ არ აღმდგარა ჩვენი ქადაგებაც ფუჭია და ფუჭია თქვენი რწმენაც. მაშინ ჩვენ ვიქნებით ღმერთზე ცრუ მოწმენი, რადგან დავამოწმებდით ღმერთზე, რომ მან აღადგინა ქრისტე, რომელიც არ აღუდგენია, თუ მართლაც არ აღდგებიან მკვდრები. ვინაიდან თუ მკვდრები არ აღდგებიან, არც ქრისტე

აღმდგარა, ხოლო თუ ქრისტე არ აღდგა თქვენი რწმენა ფუჭია და კვლავ თქვენს ცოდვებში ხართ, მაშინ ისინიც დაღუპულან, ვინც ქრისტეში განისვენა და თუ ჩვენ მხოლოდ ამ ცხოვრებაში ვართ ქრისტეს მოიმედენი, ყველა ადამიანზე საცოდავი ვართ, მაგრამ მკვდრეთით აღსდგა ქრისტე, განსვენებულთა პირმშო, ვინაიდან, როგორც კაცის მიერ მოვიდა სიკვდილი, ასევე კაცის მიერ მკვდრეთით აღდგომა, ვინაიდან, როგორც ადამიანში კვდება ყველა, ასევე გაცოცხლდებიან ქრისტეში . . . მაგრამ იტყვის ვინმე, როგორ აღსდგებიან მკვდრები და რომელ სხეულში მოვლენ? უგუნურნო! რასაც დათესავ, არ გაცოცხლდება, თუ არ მოკვდა და როცა დათესავ იმ სხეულს კი არ თესავ, რომელიც იქნება, არამედ შიშველ მარცვალს - ხორბლისას, არა რომელიმე სხვას. ხოლო ღმერთი აძლევს მას სხეულს, როგორც ნებავს – თითოეულ თესლს თავის სხეულს... ასევე მკვდრეთით აღდგომაც, ითესება ხრწნით და აღსდგება უხრწნელობით. ითესება დამცირებით და აღსდგება დიდებით, ითესება უძლურებით და აღსდგება ძალით, ითესება მშვინვიერი სხეული და აღსდგება სულიერი სხეული, არის მშვინვიერი სხეული და არის სულიერი სხეული, ასეც წერია: პირველი ადამიანი გახდა ცოცხალ მშვინვიერად, ხოლო უკანასკნელი ადამი – მაცოცხლებელ სულად. პირველი ადამიანი მიწისგანაა, მიწიერი, ხოლო მეორე ადამიანი - ცისაგან“ (I კორ. 15: 12-49).

ციური ადამიანი – მხოლოდ ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ მოევლინება სამყაროს, მანამდე კი ადამიანთა გარდაცვალების შემდეგ სული განშორდება ხორცს, ხორცი იქცევა მიწად, სული კი განაგრძობს სიცოცხლეს. მაგრამ სულის ეს სიცოცხლე სხვადასხვანაირია. მართალთა სულნი გრძნობენ ნეტარების გარკვეულ რაოდენობას, ცოდვილთა სულები კი ტანჯვის გარკვეულ რაოდენობას მათ ამქვეყნიური ცხოვრების შესაბამისად. ანუ სულის ეს მდგომარეობა არ არის საბოლოო, ამიტომაც ის არც სრულ ნეტარებას განიცდის და არც სრულ ტანჯვას. სულისათვის რომელიმე მდგომარეობის მიცემა ხდება ,,კერძო განკითხვისას“.

როგორც ცნობილია ,,საზოგადო განკითხვა“ მოხდება სოფლის აღსასრულის ჟამს, ქრისტეს მეორედ მოსვლისას. მანამდე კი მიცვალებული ადამიანის სულს ელოდება კერძო განკითხვა, სიკვდილისთანავე ზოგს სამოთხე და აბრაამის წიაღი ელის, სხვებს კი, რომელთაც ვერ მოასწრეს მონანიება ცოდვებისა, შესაბამისი სასჯელი, მაგრამ ამ უკანასკნელთა გათავისუფლება შეიძლება ცოდვებისაგან ეკლესიის ლოცვით, ქრისტეს საშინელი განსჯის შემდეგ სული უკვე მიიღებს საბოლოო მდგომარეობას. მართალნი – საუკუნო ნეტარებას, ცოდვილნი საუკუნო ტანჯვას. არც საუკუნო ნეტარება იქნება ყველასათვის ერთნაირი და არც საუკუნო ტანჯვა, არამედ შესაბამისი მათი საქმეებისადმი. (საქმეთა მისთაებრ).

ნეტარებას სული ღმერთთან სიახლოვით მიაღწევს. რისგანაც განუვითარდებათ ყოველგვარი ნიჭი, მართალნი დაუახლოვდებიან წმინდანებს, ანგელოზებს. განახლებული ბუნება ადამიანისა ნეტარების წყაროდ იქცევა. განსხვავებულ მდგომარეობათა მიუხედავად მართალნი კმაყოფილნი იქნებიან თავიანთი საუკუნო ხვედრისა. სწორედ ეს იქნება ,,ცხოვრება მერმისა მის საუკუნესსა“, რომელიც წამს ყველა მორწმუნეს ,,მრწამსის“ თანახმად.

აღსანიშნავია ისიც, რომ სიკვდილის შემდგომი სასამართლო, წარდგომა წინაშე ღვთისა და ამქვეყნიური ცხოვრების შესაბამისად იმქვეყნიური მდგომარეობის მოპოვება, სწამდა კაცობრიობის ყველა ტომსა და ხალხს ყოველთვის ყოველ დროში, განვითარების ყოველ საფეხურზე, ველურ ტომთა სახით ცხოვრებისას თუ ცივილიზებულთ.

,,ხოლო მკვდრები რომ აღდგებიან, ამის შესახებ მოსემაც მიუთითა, მაყვლის ბუჩქზე, როდესაც უფალს უწოდა ღმერთი აბრაჰამისა, და ღმერთი ისააკისა და ღმერთი იაკობისა, ხოლო ღმერთი მკვდრებისა კი არა, არამედ ცოცხლებისაა, ვინაიდან მისთვის ყველა ცოცხალია“ - ამბობდა მაცხოვარი (ლუკა 20: 37-38).

„თუ თქვენში იმყოფება მისი სული, ვინც მკვდრეთით აღადგინა იესო, მაშინ ის, ვინც ქრისტე იესო აღადგინა მკვდრეთით თქვენს მოკვდავ სხეულებსაც გააცოცხლებს თავისი სულით, რომელიც თქვენშია დამკვიდრებული“ (რომ. 8-11).

სიკვდილი დამარცხდა, მესიამ თავისი აღდგომით სძლია მას. ის სიცოცხლეა.

ბოლოსიტყვა

პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო,

ქრისტესმიერ საყვარელო შვილნო, უკვე ორი ათასამდე წელია ჩვენი წინაპრები თაყვანს სცემენ ყოვლადწმიდა სამებას, ძეს ღვთისას იესო ქრისტეს. ჩვენი მამები იესოსადმი სიყვარულს გამოხატავდნენ პალესტინასა და იერუსალიმში იმ წმინდა ადგილების განსაკუთრებული პატივისცემით, სადაც ფეხი დაუდგამს ჩვენს მაცხოვარს, სადაც იშვა იესო ქრისტე, გაიზარდა, ასწავლიდა, კურნავდა, მკვდრეთით აღადგენდა, სადაც ჩვენი ცოდვებისათვის ინება ჯვარცმა ხოლო შემდეგ ჩვენი ხსნისათვის აღდგომა და ამაღლება. ამის გამოც ამ წიგნში საგანგებოდ წარმოვაჩინე იესოს მოღვაწეობის ყოველი ადგილი სახელდებითა და მინიშნებით. განსაკუთრებული ყურადღებით კი შევეცადე აღმეწერა ვნების კვირის ყოველი დღე, ამ დროს იერუსალიმში იესოს მიერ განვლილი გზები. ყოველი ეს წმინდა ადგილი საქართველოში ძველ დროსვე იყო ცნობილი. იქ ქართველები აგებდნენ მონასტრებს ბერებისათვის, სასტუმროებს საქართველოდან ჩასული მლოცველთათვის. ასე იყო უკვე IV–V საუკუნიდან თუ უფრო ადრიდან არა. დღესდღეობით ჩვენთა ცოდვათა გამო ყოველივე დაკარგულია და განვლილია. დავკარგეთ თუ არა მონასტრები, გრძნობაც კი პალესტინა იერუსალიმის სიწმინდეთა სიყვარულისა.

იერუსალიმში ყველა ქრისტიან ერს აქვს მონასტრები, სასტუმროები, მოხუც პილიგრიმთა (მლოცველთა) სახლები.

ამჟამად, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდგომ, კვლავ ჩვენი დრო მოდის, კვლავ უნდა შეიძრას ქრისტიანული სული ქართველობისა, იერუსალიმში უნდა აღორძინდეს ქართული კერები, კვლავ უნდა ილოცონ ქართველებმა წმინდა მიწასთან „ერთობილი“ საქართველოსათვის.

ამისთვის სასურველია ჩვენი პირადი წვლილით შევეწიოთ ამ წმინდა საქმეს, დავაარსოთ „იერუსალიმის საძმო“, ანუ ბერების, მონაზვნების, მორჩილების, მორწმუნეების, ინტელექტუალების, მამულიშვილების საკრებულო, რომლის საბოლოო მიზანი იქნება პალესტინა – იერუსალიმში ქართული კერების აღორძინება, მანამდე კი იერუსალიმში ქართველთა სახლის დაარსება, იქ სალოცავად ჩასული ქართველების დახმარება, (რუსეთის „პალესტინის საზოგადოება“ გასული საუკუნიდან არსებობს. ეს მძლავრი ორგანიზაცია ეხმარება რუსეთიდან წმინდა მიწაზე მისულ პილიგრიმებს, აქვს მთელს პალესტინაში ცენტრები).

მალე გაიხსნება ჩვენი ქვეყნის საზღვრები, მრავალი ქართველი გავა უცხოეთში, მათ სულიერი მზრუნველი დასჭირდებათ, ასევე მრავალი გაემგზავრება წმინდა ადგილების მოსალოცად, მათაც დახმარება დასჭირდებათ.

ჯვრის მონასტერსა და უცხოეთში არსებულ სხვა ქართულ ცენტრებს საქართველოში ჰქონდათ მამულები, სახლები, დუქნები. ამ მონასტრების აღორძინებამდე ხსენებულმა „იერუსალიმის საძმომ“ საქართველოში უნდა შეიძინოს ან სახელმწიფოსაგან მიიღოს ქონება, ამრავლოს სახსრები, რომელსაც შემდგომ მოახმარს ქართველ მლოცველებს უცხოეთში.

მე პირადად სიამოვნებით შევალ „იერუსალიმის საძმოში“ ვითარცა ერთი რიგითი მორჩილი ძმა – ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე.

ARCHBISHOP ANANIA JAFARIDZE

Lazeti-Trialeti

Georgians' Hellenization

I. Introduction
II. Urums living in Ottoman Empire
III. Increase of rights of Greek Church in Turkey
IV. Georgians' Hellenization in Ottoman Empire
V. Grecian-Urums exile on the modern territory of Georgia
VI. Georgians' Hellenization on the modern territory of Georgia
VII. Surnames

Georgians' Hellenization

Introduction

There was the process of different tribes' Hellenization in Old Greece and Byzantium between them was Georgian. After the fall of Byzantine Empire the process continued even in Ottoman Empire. Furthermore, Georgians' process of assimilation with Greeks continued even on modern territory of Georgia in XIX century, concretely in province of Tbilisi. A lot of scientists write about the Hellenism in Ottoman Empire, especially have to be mentioned work of Tcate Batcashi but on the modern territory of Georgia the process is described by Jacob Akhuashvili and other researchers.

Georgians' Hellenism was conditioned by the different reasons. It could be political, economical and especially religious factors. It has to be mentioned that the major reason of Georgians' assimilation with the other nations was low level of national self-knowledge in XVI-XIX centuries.

I.Akhuashvili writes: "what had taken our ancestor to this kind of existence? The answer partly can be found in work of F.Bodenshtet (1847) who writes: ''Georgian is careless and they do not think for tomorrow…they are faithful as their sword, fast and quick as their horses…" but only this kind of positive characteristics were not enough for the national-knowledge solidity. Following the thought of N.Nikoladze "Consciousness is the way which makes you able to differ evil from kind also mastering science which requires mental exercises, work and some more solid will. The same author emphasized the importance of social awareness and care of knowledge. I.Akhuashvili continues in the above mentioned work about the Georgians' denationalization: "I think it is time to call everything its name although as great ilia says: "evil does not like disclosure, but it not the reason to blame

ourselves, become deaf, cut tongue when this evil beat us in ourselves and gives a cry all around the world about our nonentity to our shame. consequently, it is necessary to reveal the reasonable evil…as the true reasonable revealing even of a whole nation is taken into consideration as a kind deed and a clever nation is grateful for it and not angry.

In case of the same occasion, I mean repeat of the history our people have to meet this with the high level of self-knowledge. The fact that the danger of national degeneration is real, even nowadays, is seen from the example that the descendents of the inhabited Georgians in Russia cannot keep their nationality after two or three generations and are assimilated within the nations. And this kind of problem can become more and more dangerous if lots of young Georgians leave looking for some jobs out of borders. Consequently, research of the past is necessary for us.

But what was that which made Georgians to become Greek? It was the Ecclesiastical jurisdiction, concretely that Georgians who were becoming perish of Orthodox Patriarchate of Constantinople for some reason –were becoming Grecians.

As it is known Meskheti or Samckhe Saatabago was wide stretched densely populated country. At least one-third of Georgians lived there and following the notification of XV century Georgians were numerous people at that time.

By the Caucasus and near east scale Georgian people were really numerous and it can be seen even after the century wars in the beginning of XIX century when Georgians were 44% of the whole Transcaucasia population. Their number greatly exceeded Azerbaijanis' and Armenians' number. There were impressive number of Georgians In XVI-XVIII centuries in Meskheti. Unfortunately as far as it is known Georgians from Meskheti degenerated at all. Part of them became Muslim, Gregorian or Catholic and the remaining Georgians under Patriarchate of Constantinople jurisdiction became Grecians.

About the created conditions in order to spread jurisdiction in Meskheti is written by Vakhushti as he describes Patriarchate of Constantinople was religiously obliged to pay attention on the abandoned Orthodox Georgians and take care of them.

By 1659 year there was established Mohammedanism in Meskheti, consequently there was built mosques which made the population to be without churches and church-services. So the population of Meskheti was divided in two parts. High stratum-became Mohammedan, but the peasants being without leaders kept the faith of Christianity but Georgian churches were not serving peasants any more having no financial resources for some reasons and with this high stratum did not care about it anymore. As for the high stratum they did not take care of Georgian churches. So Georgian peasants left without Georgian churches or shepherd because of low level of self-knowledge were divided between Greek and Armenian Catholics churches and the part of the peasants which had no influence of non-Georgian churches imitating the high stratums became Mohammedan. As for the high stratums, Ottoman Empire made the financial trap for them which gave them the alternative between property and religion. Unfortunately high stratums preferred Muslim religion to poverty and a bit later their families and servants became Muslim too. Surly it caused the loss of the self-consciousness and made the Georgians to become Tatars. This kind of condition was the reason of the abandoned churches in Qartli, Odishi and in Kakheti, nevertheless they were the saint places for the population who were not Mohammedans and tried to visit them, although there were not bishops or monks.

As we have mentioned part of the peasants remained Christians although for the necessity of these people priests had not been sanctified any more as there were not Georgian bishops consequently Constantinople sent Grecian priests for the peasants. There are protected notifications about deeds of the Greek priests. Eqvtime Takaishvili describes the action of the priests although in another historical epoch. Eqvtime writes: "The Greek priests

tried a lot to rule the villages although the entire village spoke in Georgian, they also tried to set up Greek church-service. For the mentioned purpose one of the priests with insidiousness got the old Georgian Ecclesiastical books…"

Generally, the whole numerous Georgians in Meskheti did not become Mohammedan. Especially their quantities were more in East. There were Orthodox Georgians whose care was up to Patriarchate of Constantinople given by Ottoman Empire like the other linguistically different orthodox living on the Balkan Peninsula. The result was quick without delay as Georgian orthodox population learned Turkish and ecclesiastically became the flock of the Constantinople. Soon some may say about them that "they lost the language but kept the religion not betraying it." Christian Turkish orthodox Georgians became perish of the foreign, Greek church.

Urums living in Ottoman Empire

Border of Georgians' ethnical exiles were up to Euphrates and even further away consisting river's head and its ravines, concretely the river named Karasud. There were Georgian villages even in Erzurum in XVII century and Georgian bishop of Erzurum seems to be the last Georgian bishop in Meskheti.

The territories along the Erzurum till the black sea were also inhabited by Georgians concretely population of Meskheti was changing by the population of Lazeti. Lazistan or Trapizon's Vilaieti was the country of Lazs and Tchans. Above mentioned wide stretched land with the head of Mtkvari and Chorokhi ravines were also Georgians' one of the Ethno genesis territory. Here were formed Georgian nation; some say that here was "Arian Qartli". Lately here was formed "Georgians' kingdom" (Tao-Klarjeti) which had been the heart of the strong Georgian culture till it became mohammedan.

By the Turkish historian thought "To the north from the river Arezi and Zangi there was Dagestan and Georgia in the 40 days of journey till the sea of Khazars." Its east side reaches Erzurum. Antioch Patriarch Makar (XVII) who travelled round the whole Meskheti proves that the border of Georgia to the south was up to the river Euphrate's. This kind of information is even proved by Chelebi. For a long time these territories were considered as Georgia and nearby the river Arezi and Erzurum lived Georgians. Arqangelo Lamberti travelled on the territories of Erzurum and found several Georgian villages which had its own Erzrumian leader. In the middle of the XVIII century T. Gabashvili proved not only Georgian churches existence in Gurmishkhani and but also the memories of population that the territory was called as Georgia.

As it was mentioned there were Georgian villages in Erzurum and the territories of Gumishkani had been counted as Georgian by the population. Nowadays by the mentioned information we can definitely say that Urums or the old Greek population was exiled by the Russian government from Erzurum and Gumishkhani to Trialeti and Qvemo qartli. Orthodox population of Gumishkhane and Erzurum were allowed by Ottomans and Russian authorities to move to Greece but orthodox inhabitants refused to exile requiring the territory of province of Tbilisi for dwell. As it seems in XIX century the population calling Gumishkhane as Georgian Territory in XVIII century wanted to stay in Georgia refusing Greek land for living. As scientist I.korelov says the origin of Urums is unknown.

Urums are that very Greeks living in Georgia whose native language is Turkish and are exiled by the Russian authority from Erzurum-Gumishkhane territories as orthodox population. They don't know Greek and with the signs of ethno geography are closer to Georgian-Caucasus's-ottomans' than to Greeks'. There was the thought about Urums' that they are Turkish population who became orthodox. This kind of thought was presented

by Greek Orthodox Church leader Panas Eftim who thinks that Urums are that Turks who have become Christian by force. As it is know they have changed the religion but preserved the language. This kind of thought existed about Anatolian Greeks but Greeks who lived on Balkan Peninsula were considered as Slavs by the scientists of XIX century. In the article of 1853 year"British politics-Turkey" F. Engel writes: "Greeks in Turkey mostly are of Slav origin but their language became Greek"

Why the Greek population of Ottoman Empire was taken as non-Greeks we will discuss it later but now we have to turn back to the thought of I.korelov about Urums. He thinks that Urums from Trialeti lived in Erzurum Vilaieti, mainly to the south-west of it.

As we have mentioned Patriarch Makar found the Georgian villages near Erzurum in XVII century which population was still orthodox having bishop. As it was mentioned even population of Gumishkhani considered themselves as Georgians. Following Korolov, Nowadays a part of Urums left Gumishkhan's territory. Here is the reason why Urums who have left Qaldea and Basiani still have Georgian culture. Nowadays they live in Qvemo Qartli and Trialeti. Even I. Korolov writes that: In Empire of Trabzon there was Chaldea which was lightly colonized by Elins. Here in the mass of foreigners population was not in the habit of keeping them under the influence of its language and habits- to helinizate.

It is possible that the population of Gumishkhani is Georgians. Generally, word "Urums" means Romanians in Turkish. As it is known Byzantium is a scientific term but The Empire of Byzantium is called as Rome by the population. After Selchuks conquest of the Byzantium Empire even osmals were called by the name of the country-Urums. Georgian historians Vakhushti and Papuna Orbelians call Osmals Urums too and even exiled Turkish Orthodox population was called so. Consequently, Minor Asian is called Urum nevertheless its religion or ethnic.

There are Urums inhabited in Georgia who consists of Kiliss, Kanetes, Pasenss and Lazs. All of them have Greek self-knowledge. Even Lazs who are part of the polulation of Tsalka are Greek inhabitants of Trialeti.

Increase of rights of Greek Church in Turkey

After the fall of Constantinople Greek-orthodox Patriarchate was not abolished by Turks, on the contrary, it was given some state functions. By the sultan's thought it has to be the balance and justice between Christians. It was unacceptable to force such a big country to become Muslim at that time. It was even unthinkable to force the country with huge quantity of population and culture become Muslim. The sultan Mehmed II who cared for the justice and justice between Christians created the second patriarchate for Armenians next to the Greek's one. At that time rights of Monophysite people were restricted in the former Byzantium Empire while the governor restored them for the oppressed people.

After this Turks divided Christians in two main fractions that were living on the Turkish territory and declared above mentioned patriarchate as their spiritual leaders. After such kinds of separation of Christian perish Greeks, Bulgarians, Serbs, Albans, Valakhs, Moldavians, Croatians, Carrageen, Syrians, orthodox Arabs, Melkhits, Lazs were under the rule of Greek patriarchate. There are not Meskhs in this list as at that time Meskheti was not conquered by Turks. But in the XVII-XVIII centuries vanishing Georgian patriarchate Greeks fulfilled their rights up to Georgian orthodox perish.

Lazs or Laz-Tchans were the majority of Trabzon population with Qarts. After the Cesarean Trabzon conquest by Turks gradually started the process of changing the religion. The second part of the people who remained orthodox called themselves Greeks and thus gradually forgetting native language got accustomed to Turk-Georgian language but we have to mention that this people reached XIX century not losing its roots at all.

G.Atchariani writes: "There are orthodox Lazs who are under the control of the Greek patriarchate in Istanbul. They speak Greek and call themselves Greeks. Nevertheless they can be recognized by their accent" They live on the territory of Lazistan concretely on the west side from Platiny to the east till Trabzon and the south of Trabzon till Gumishkhane. Platana, Trabzon, Gumishkhane are the main towns where we can meet them. In the beginning of 1830 years according the treatment of Adrianople a group of Christians from Gumishkhan were inhabited in Qvemo Qartli. These were Turkish Christians who were officially Greeks or Urums by official papers. We should mention that orthodox non-Greek population in Turkey or Europe is also known as Greeks. Frequently in many papers, when there is a talk about religion even Georgian perishes and Georgian churches are called as Greek. Nobody paid any attention that among the exiled Greek population from Gumishkhane were Georgian-Lazs. On the contrary tsarism backed it up to spread knowledge about Greek origin as it was considered as the best way for the Russification. Nowadays there are not Christian Lazs officially they are called Greeks although they still remember about their origin-that they are Lazs.

I.Korelov writes that after the depriving of political rights by Turks Christians were allowed to create independent communities. Mehmed II allowed greeks free religion faith and solved the question of dispersed Greeks inhabiting them in Constantinople. Christians were also given the charter of freedom and safety.

All the things were done to court Greek Church as politically deprived churches were needful to keep order in the country and to neutralize non-orthodox states' power. In any way Greek churches were under the control of Turks.

Tc.Batcashi writes: "According to "Kamun-name" which was established by Mehmed II in 1476 year non-Muslims got its status in Constantinople. They were Orthodox and Armenian patriarchates and chief of Jews' Rabin." After all orthodox population (Greeks, Bulgarians, Serbs, Albans, Valakhs, Moldavians, Georgians) were considered as one Greek community. Patriarch having ecclesiastical or court power had an influence on them and could even condemn to panel servitude. Patriarchate or bishops owned the control of schools and books of orthodox population. They also had the private privilege.

As far as it is known term "nation" has the religious definition, consequently, every Muslim was Turkish and every orthodox was Greek.

"Between Christians not only Porte (the government of Turkey) but even patriarchate of Constantinople did not recognize any other nation except Greek and generally Balkan Peninsula's whole orthodox population was under the control of jurisdiction of Constantinople patriarchate. This jurisdiction was not only the religious but it also had the secular meaning. Greek patriarchate, his metropolitans and bishops had the rights of court and taxes toward the orthodox Christians- Greeks, Bulgarians, Serbs, Albans, Valakhs, Moldavians, Georgians…Every school where children of orthodox population were studying was under the control of Constantinople's patriarchate. As usual the process of study was in Greek. Even religious rites were held in Greek and after all these processes in scientific, economic or religious spheres Greek language become popularized. So the guard of Greek language was the patriarchate of Constantinople refusing other national cultural developing."

Romania which was historically called as Vlakheti or Moldavia became depended on Turkish forces in XVI century. In 1716 year Romania was given by Turks to a wise community called "Fanariots". Fanar was called a district in Constantinople which was inhabited by Greeks who worked on Turks helping them to rule

orthodox population. Here was also inhabited Constantinopolitan patriarch. After paying lots of money Fanariots got the right to rule Romania.

"Buying the right to rule the country Fanariots owned unlimited power consequently they started to cover the cost of paid money which brought country to pauperization." Greek Fanariots' last purpose was to create "Greek court".

A.Skurati writes : "Trying to achieve creating Greek court from Balkans, Greek Fanarians inculcated Greek language and culture by force. In this case Greek hierarchy backed it up. Greeks were nominated as bishops and even church-service was in Greek in towns. "

Here can easily be seen that Romanians, Georgians, Balkans were made to become Greeks in Ottoman Empire. More or less they did it.

Greeks from Fanari took themselves as premium caste of aristocracy, although great part of them were consisted of merchants, sellers and people like these. Gradually, Fanarian Greeks could hold higher and higher posts in Ottoman Empire. Concretly, In 1716 year post of chief of Vlakheti was given to one of these Fanarian. Since then big territory of Vlakheti was ruled by Greeks for century.

Holding higher posts in Vlakheti Greeks have become "Grammarians" so called bibliophile in Georegian, who was private secretary of chief. Also private reporter which was no less than other posts. Groom, keeper of chief's seal and document keeper were also the posts which were held by Greeks.

In XVI century Greek elements began to invade Vlakheti and by Fanarians government it reached its culmination. Greek Fanariots tried to fill ecclesiastical hierarchy with ethnical Greeks in Vlakheti and Danube. This kind of politics conditioned that among 12 metropolitan there were 7 of Greeks and even in case of national membership of bishops circumstance was the same.

After all churches of Vlakheti were changed on Greek manner and gradually even Romanian language was lost which caused closing of schools. Romanian language like shameful slang was changed by Greek which already presented administrative and instructive language. There were allowed only Greeks to be teachers in ecclesiastic academy in Romania. Subsidies were given only to those churches where Greeks were the head of public worship.

As O.Gvinchadze thinks Greek bishops of Vlakheti did not like Antimoz Iverieli consequently the rebelion against Greek chief of Vlakheti was discussed by world patriarchate Ieremia III who established the deed which made Antiomoz as man of revolution and rebel against the Ottoman Empire and Vlakheti. After all Antimoz was deprived all kind of ecclesiastical deeds in 1716.

As it seems after falling of Byzantium Empire Greek church lost its political influence on the whole country although instead of it got the new rights, concretely, if Bulgarian, Georgian or other churches had autonomy which shortened Constantinople's rights on non-Greek perish, now all the Christians were under the control of Greek centre. Definitely, this kind of behavior made churches to lose their rights and even autonomous - autocephalous independence which caused disorder of ecclesiastical laws. To say long story shortly invaders preserved the Empire although they used Constantinople in this work.

Fortunately Turks had never been able to conquer the whole Georgia. They only got the part of South Georgia and Meskheti placing its perish under the command of Constantinople.

Georgians' Hellenization in Ottoman Empire

As it was mentioned Georgians ethnical exile was up to Euphrates, there was Georgian bishop in Erzurum in XVII century though in XVIII century population of Gumishkhan could remind that not so long time ago their territory was called Georgia. During the centuries Osmals gradually occupied large territories of Georgia, consequently, the border instead of Erzurum was near Borjomi and Qobuleti. Turks were greatly opposed by Georgians as in XVI century it can be seen that Georgians from Erzurum and Euphrates held partisan wars against them harming quite well. This is proved by the war in 1514 where Ottomans were struggling against Persians and during the war even Georgians were drawn into the war against Ottomans. At the beginning of the war Ottomans started attack Persians although they retreated. Catherino Dzeno writes: "retreated commander in chief went toward Euphrates" but Georgians put obstacle in their way robbing them with light armies. Anyone who dare to leave the army even with a little distance Georgians broke them down. Their strikes were so frequent that even Akinjs who were got accustomed to travel 40 or more miles a day did not dare to leave their army as furious Georgians were ready to kill them all. They were killed not only by swords but even by starvation as they could not manage to supply the army with necessary product because of unprofitable environment. They were ready to be killed by a horrible death instead of the other one.

This note is proved by other authors adding even some details. Although neither Georgian nor foreigner authors gives us information about Georgians who were struggling against Ottomans. We do not know even their court they were from. They were not from Qartl-Khakheti as at that time the court could not manage to struggle against Ottoman's army. M.Rekhviashvili wonders that it could be army of Imereti against Turks in 1514 but whoever it was it is more possible that it were Georgians from Euphrates and Erzurum as they struggled in partisan way laying siege and not giving possibilities them to provide army with products from near villages. So Georgians who are indicated by foreign authors are inhabited population who were struggling against the enemy with other Georgians. Even after a century there were Georgian villages with its Georgian bishop from Erzurum. Here had also been living Georgians till immigration from Traileti and Qvemo Qartli in XIX century. Although they had already forgot their language and were counted as Turks at that time.

After the conquer of Meskheti and Lazeti orthodox inhabitants had to obey patriarchate of Constantinople who sent the new perish to Greek priests. Following the orders of Constantinople Greek priests owned indefinite right on their people. At that time a priest was not only a man of ecclesiastic but he also owned the right of national man, concretely, he was even a judge who could send a man to penitentiary. This fact is also known to European scientists. They write: "Greek orthodox clergy has made a decision to have a despotic authority on orthodoxy in Ottoman Empire… A priest is like a judge, a foreman, a teacher and a head of all kind of work. He is not an ecclesiastical man but a master who takes care of everything… This kind of guardianship and despotic control of churches obeyed all kind of spheres in human life. " This kind of circumstance was not adapted by non-Greek orthodox followers as in every successful public movement they banished Greek ecclesiastic servants nominating servants of local inhabitant. A good example of it was in Vlakheti and Serbia. The same situation was in provinces of Ponto… "I cannot hide that kind of horrible clashes between perish and Greek servants in Unie… we have to mention women who banished clergy out of churches and locked themselves in church… By the instant demand of Patriarchate Porta has sent pasha to punish them his own… " This was not a single case as local orthodox populations massively were becoming Mohammedans trying to secure themselves from Greek Patriarchate.

I think that existence of Georgian bishop in Erzurum in XVII century can be described by their opposing against Greek clergy but as it seems even toward them was accomplished the order which took them under the control of Greek clergy.

"Local inhabitants who were subordinated to Greek Church gradually were becoming Greeks. For example Christian lazs had Greek name and surname and had to study and listen pray in Greek."

Georgian language with its Lazic dialects was even banished from families as a language of irreligious people. National language was maintained by Lazs who where under the patronage of Georgian church once upon a time. Territorial proximity and economical relationship supported to maintain national language.

There could be a question whether Urums living in Erzurum knew Greek or not? We should think that they had never known Greek. As in XVII-XVIII centuries it can easily be seen that their native language was Georgian with its dialects. Although Turks intervention in XV-XVI centuries made the things to change as Georgian language was banished and Turkish was inculcated upon the country. In XVII century there was Georgian bishop which indicates that at these periods Greek prays were not legitimated yet. Being exiled in Trialeti in XIX century they could not learn Greek in time although there could be excepting of course.

It has to be noticed that local Georgians had its own dependence toward Grecians. The point is that Greeks are also invaders and Byzantium is predatory country for Asia Minor Georgians. Although the invaders managed to make a part of Georgians become Greeks (we mean till Turks' invade). After collapse of Byzantium Empire a part of Greeks changed their language and religion on Turkish with surprise but the rest of them consolidated their Greek self-knowledge.

Tsate Batsashi analyzed Lazs' becoming Greek in Trabzon Empire (till Turks appearance) It is indisputable that there were living Georgian tribes at this territory from the ancient time. Uspensky writes: "Armenians or Greeks were the minorities on this territory and were lost among masses of other tribes as they were not able to place them under the control of their culture and language at that time" and analyses that we cannot even say that there were a lot of Greeks on the territory of the Empire, consequently, local inhabitants and the king were counted as Lazs, definitely, having the sympathy of Georgia. Although existence under the control of Byzantium Empire had its influence on the country but inhabitants did not lose their native language.

After Turks' conquest a part of Lazs became Mohammedan and the others stayed on their religion-orthodoxy. Lazs who were under the control of Constantinople soon lost their language and self-knowledge as they became Greeks and learned Grecian although native language was preserved by Lazs who had become Mohammedans but estrangement was even in this case as they learned Turkish. Orthodox Lazs who became Greek spoke in Grecian with dialect of Ponto which itself preserves every typical affricates of Iberian-Caucasian words' basis.

Nowadays orthodox Lazs are counted as Greeks but instead of it Turkish historians know that till Turkmens' conquest there were a lot of Georgians and Lazs in North-East of Turkey in the beginning of XI century and the majority of the population were speaking in their language. Lazian language is similar to Georgian and presents tone of Megrelian.

One of researcher of Minor Asia in XIX century writes: "So it has to be mentioned that inhabitants of this place so called Greeks are Lazs who became Christians during Byzantium Empire and had been keeping it by their own".

There were Kromols except Greeks and Turks, consequently, it means that not only Georgians were inhabited on the strange territory with strange population. Kroloms officially followed the customs of Muslims although in secret they were Christians. They also were called as Cryptochristians. Khemshins who are degenerated are also Georgians with their origin. "A part of Khemshins' population consists of Lazs and the remaining are the

mixture of people. The main role in their ethno genesis played Armenian church because as it seems a part of Lazs joined them. The same thing happens in the north-east of Anatoly". Their language is the mixture of Georgian, Armenian and Turkish… In Izmir they were called as "Somekhve". Children were given names of official Turkish origin and with this they were also given domestic names which are definitely Lazians with its sonority or content. For example: Tuta- Moon, Burba- Bat, Mutika- Dolphin, Tuni-bear, Mutskhi-Star, and so on. During the travel across Lazeti N.Mari enumerates surnames of Khemshins which are also Georgian.

Georgians becoming Armenians is not astonishing as even this country like Greek gave a lot of privileges to Armenian patriarchate of Constantinople. Armenian priests like the Greek ones' owned the whole kind of rights- "all the spheres of government about Armenians in Turkey are in hands of patriarchate of Constantinople."

Different kind of methods were used by Georgians to prevent changing their religion, the rest of population or priests were becoming Gregorian, Catholics or were under the control of Constantinople, consequently, they were counted as Armenians, French or Greeks. That was the reason why Georgians called Muslim Georgians Tatars or Turks. Georgian with Gregorian religion was called as Armenian, Georgian catholic- French, Jew- Jewish.

Being under the control of Grecian church Orthodox Lazs became Greeks in Trabzon, Giumishkhane, Platana and in other places. The rest of them inhabited in Tsalka, Borjomi, Donetski and in Krasnodar.

Grecian-Urums exile on the modern territory of Georgia

Entering Transcaucasia Russian government tried to strengthen its positions settling orthodox people in borderlands; consequently, they had made a decision to exile Christian orthodox and Gregorian from Turkey.

Korelov writes: "There was created a committee in Tbilisi taking control on migration from Turkey in 1810 year. So in 1813 this committee could expel 120 of household of Urums from Antalya to Tetritskaro-Tsintskaro which were conquered by Aga Mahmud Han but the main decision about the banishment was made during the war between Russia and Turkey in 1828-1829."

There were a lot of advantages for exiled population, concretely; they were free from fiscal payment during 6 years. Urums' banishment on the modern territory of Georgia continued during the whole XIX century.

During the period of wars (1853-1856 The Crimea and 1877-1878 Russia vs. Turkey) migration continued. Their arrival on the modern territory of Georgia continued not only till XIX century but also till XX century. Modern history of Greece starts with ruins of Constantinople conquered by Ottoman Empire. Turks stopped the development of social, economic and political spheres in Greece. Although the wars between Russia and Turkey made Ottoman Empire weak in XVIII century. After, that Russian government tries to expel Greeks and Armenians from Turkey and settle them in Caucasia near the borderland of Turkey. They also wanted to have advanced detachment in this region. Greek expel was guided by the "committee of Christians' banishment from Turkey to Caucasia" created in 1810 which used ecclesiastic persons to achieve their goals in Minor Asia… There were Greeks serving Russian army and it should be noticed that there was even a special detachment called "Greek detachment." By the force of peace treaty Russian army unloaded its army from Erzurum-Baiburt-Giumishkhane, consequently, Greeks were able to return to their native land-Greece, on the contrary, Turks required to free their people and migration into their native country. So according the agreement there had to be the exchange but it has to be mentioned that Greeks who were living in Turkey preferred to stay in Caucasia than to go to Greece.

It is not insignificant or casual fact that Urums have not gone to Greece and made their way toward Georgia. This fact should not be explained by Russian promises. As it was mentioned before they could remember that once Guimishkhane was a part of Georgia in XVII century, the same should be emphasized about the population of Erzurum consequently it can easily be seen that at that time they counted themselves as "children of Georgia" in XIX century. Greece was strange side for them but Georgia was seen as native. By 1829 year 100 Greek families moved from Giumishkhane and mediana region toward Trialeti. They should go to Tsintskaro and move from there to devastated territories of Tsalka.

By 15 October of 1829 year Greeks had already arrived in Tsintskaro… By 1830 year they are already in Tsintskaro. It can be found in correspondence between Teodore Zemenpulo and governor Zeveleiski. "It is necessary for them to be given arable land, grassland and financial resources to build houses."

A group of Greeks had chosen Georgian village Beshqashen (nowadays it is Beshtasheni, region of Tsalka) and dwelt there. Soon it caused the next wave of Greek colonizers and Russian generosity allowed 1025 Greek families to move toward Tsalka. The majority of them were husbandman or cattle-breeder. The migrants are coming with the paved way I mean Erzurum-Karsi-Gumbri-Tfilisi-Koda-Ekatherinefield-Shindlara-Tsalka. This group of Greeks made 18 Georgian villages to revive. Greeks called them the names of old Turkish villages were they had lived before. To the south from Tsalka near the village Gomareti (nowadays it is region of Dmanisi) they founded three villages…In 1855 banished Greeks founded several villages in Adjara (near Batumi). There were also founded villages in South Georgia, Tetritskaro's region. The first world war caused the new migration of Greeks in Caucasus but the conference of Lizan made the special decision for Greek inhabitants about the exchange on Turks. But even in this case great part of Greeks preferred to stay not in their country but in the Soviet Union, concretely in Caucasia.

Here we should pay attention on the scientist's expression which was involuntary but right –"even this time Greeks preferred to return not in their native country but in Caucasia." "To return" is possible there where you had come from, so Urums has returned to their real country –Caucasia. They believed that their country was not Greece but Georgia. In this case should be noticed research of the famous expert in Turkish- Otar Gigineishvili. He writes that Urums who expelled in Greece were called Georgians (concretely in Tesalonick) by the inhabitants and even villages were created by Urums there. Urums willing of being in Georgia can also be seen by their act which was against the conference of Lozana as they had to go to Greece but instead of this they arrived in Goergia. This was the time of 1917 rebel in Russia were was established severe atheistic regime which struggled much against church. This kind of fact can only be describes by the love toward the native country and land.

Some wonder that there are Lazs' roles in ethno genesis of Giumishkhan's and Pasen's as there are kept real Georgian traditions in their existence.

Georgians' Hellenization the modern territory of Georgia

Urums who were exiled from Turkey inhabited on the territories of landowners by Russian government. The lands of Garis and Trialeti were owned by: Baratashvili,Kaplanishvili, orbeliani, Abashishvili, Abulfatashvili, Afxazishvili, Takaishvili, Tumanishvili, Iotamishvili, Varazishvili, Gilaqishvili, Eliozashvili, Zazunashvili, Tarkhnishvili, Tulashvili, Magalashvili, Merabishvili, Saginashvili, Sachinoshvili, Sologashvili, Zurabishvili, Aslanishvili, Urufbegashvili, Korganashvili, Shalikashvili, Cicishvili, Sharashidze, Javakhishvili which is confirmed by "migrations'

committee" and was even annunciated to the Russian emperor. It was also presented in statistical description of Georgia in XVIII century.

Urums inhabited a lot of Georgian villages and even founded some villages on the territories of old Georgian villages where still lived Georgian households. For example S.Makalatia writes "25 of household who had come from Trabzon were inhabited by the government of the king in Cikhisjvari by 1861although it should be mentioned that there had already been few Georgian households as: Kasitashvili, Bliadze and Miqeladze."

Greek population had been met by Georgians even in Tsintskaro and the same can be emphasized about other villages.

It should be mentioned that before the migration of Greeks Trialeti and Qvemo Kartli had just become empty. The reason of this were Lezghins and the fear which made the population to move to Kartl-Kakheti, although when these kind of families knew that the government took care of the inhabitants of Traileti a part of them went back to their native lands.

There were Urums with Georgian self knowledge between Turkish migrants who had changed their surnames like Grecians. Nearly every inhabitant who joined the population of Georgian Urums became Grecians which meant changes of their surnames although there still remained some Georgians who had not changed surnames and kept their old Georgian surnames but soon they had become Grecians by their self knowledge.(Their surnames will be noticed at the end of the book) The created social, economical or political conditions were the main reason of Georgians' becoming Greek in province of Tbilisi. For example nearly ten hectare of lands were given to the migrants but not to the inhabitants except this migrants were given financial sources by Russian government. They were also free from taxes during the years and were given some more privileges for example who would like to get food had to become Grecian.

After Russian government helped Grecian migrants in Tsintskaro soon economically weak or decayed Georgians found themselves under the influence of the migrants and became Greeks. By 1812 year we meet surnames like: Azarashvili, Ioanidze, Besalashvili, Lazarashvili, Abramashvili, Elefterishvili, Iosebashvili, Amiranashvili, Nikolashvili, Vasilisshvili, Petriashvili, Mikheilisshvili, Tevdoreshvili, Estatesshvili, Tomsashvili, Pavlishvili, Svimonashvili, Giorgishvili, Martvelishvili, Stefanesshvili.

By 1822-1855 years we meet surnames like: Kaladze, Arishvili, Bosanashvili, Baratovi, Naniashvili, Feriashvili, Gogolashvili, Sepiashvili, Aslanishvili, Alamazashvili and others.

By 1873 Georgian surnames are changed and the owners of them are becoming Greeks for example since 1886 Tevdorashvili is Tevdorogli but nowadays they are Fedorov…Kartvelishvili is Gurjievi… Having archives we are able to see how Georgian population lost their surnames and language on their own land.

There were only four of Georgian families by 1873 but they were counted as Grecians in the portray of 1886 year. There is peasant origin in the column of origin and tribe as they tried to lose their trace. There are Georgian Families who live with Georgian surnames although they count themselves as Grecians. These surnames are: Baratashvili (baratovi), Sakalidze, Kekelashvili, Tofuridze.

A part of Georgians met the migrants on their own territory but the most of them recognized themselves as Grecians. Above mentioned surnames know that their ancestors are Georgians. Ilia the son of George Damoev told us that they are Georgians as their first surname was Petriashvili although when it started the period of changing surnames they became Damoevs. Mate the son of Vlas Gurjiev says: "Nowadays there are living Damoevs in the village of Tsintskaro also they can be found in the region of Tsalka." They are the same Georgians with the same origin. I remember ancestors, grandfathers and grandmothers who were becoming Georgians…There are Georgians like: Maisuradze, Jamelashvili and Furceladze. A part of Furceladze are Georgians but the others have become Grecians and are Ergishev. Once upon a time Velispiri was named as Erkushaant village so the

surname comes from it like Erkushevi, Ergushevi. There can even be such a condition that one brother might be Georgian and another Grecian. How could it be? The question is answered by our respondent. He says: "Grecians who were exiled in Georgia were helped by the government of King giving some economical resources, sugar, flour, soap, match, salt and other kind of required subject." In case to receive the help Furceladze and others changed their surnames and nationality. Beruashvili is Georgian surname although there are Berovs with Grecian Naitonality in Velispireti. Everything was clear after the talk with them as they told us that they had changed their surname and nationality at the beginning of XX century…There was also another Georgian surname like Tetradze who had come from the village Gomareti although after they had been mixed with Grecians they were called "Gurjs" which means Georgian in Turkish. So the story of Gurjievs' surname starts from here but the second story is connected to the surname of Kartvelishvili…There is also a thought that surname Gurjiev comes from Berdzenishvili… How should it happen that Georgians on their own land became the member of the other ethnic group. The banishment was provided by Russian government with the special conditions…The exiled population were given lands and made them free from taxes…By Fedia Kilingarova's story his grandfather accidently killed a man…Chedilashvils who are from Ofreti did not changed their surnames but are counted as Grecians…There are 4 families of Zazashvili who are Zazavs and are counted as Greeks although they have still kept their native language. Kaladzes'(Kaliachovs) had the second surname like Garibadze. Kaliachevs are also counted as Greeks. There are a part of Georgians and a part of Greeks among Lazarishvils. There could also be found Lazarovs who had changed the surname but remained Georgian. The main reason of changing the surnames and becoming Grecian was the given food-stuffs.

There were Georgian priests for a long time in the church of Rekhels (which was reconstructed in 1877year). In the XX century Georgian priest Darchia was changed by the Grecian priest who himself started to multiply the perish. Grecian priest promised the perish that in case of changing the nationality or surname he would give them the best life providing them with rice, soap and other food-stuffs.

Georgians were counted as politically unreliable people by Russian government consequently they tried to have faithful people on the frontier border like Armenians or Grecians. This was also the reason of becoming Grecian or Gregorian but nevertheless the main reason of Georgians denationalization was the lack of national self-knowledge and self-consciousness in XIX century.

Changed Surnames

As it was mentioned before the main part of Georgians became Grecians in Ottoman Empire concretely they were orthodox population who had been under the control of Constantinople patriarchate by the rule of Ottoman Empire. Conquering Meskheti a lot of perish became under the control of Constantinople as Meskheti (with Guria) was a big country. Except this Georgians ethnical banishment border was up to Euphrates. The same can be mentioned about Lazistan which was also inhabited by Georgian tribes. The surnames which were changed on the territory of Ottoman Empire are unknown although Georgians who became Grecian on the territory of Province Tbilisi are known better. A part of the surnames are well studied concretely population of Tsintskaro, Rekha and others. In fact these materials are crude and unstudied but by way of an exception can be mentioned works of Akhuashvili: "Ethnic of Kvemo Kartli in historian aspect", "Grecian settlements in Kvemo Kartli". Using these works we extracted the surnames of Georgians who had become Grecians. (At first we wrote the old surnames and then the new ones.)

- Aridashvili-Aridashvili-Ardaogli-Arudovi
- Aslanishvili-Aslanovi
- Aslamazashvili-Aslamazovi
- Aivazashvili-Aivazovi
- Anesishvili-Amosovi
- Amanatashvili-Amanatovi-Trapuntovi
- Baratashvili-Danachievi-Baratovi
- Balabanishvili-Balabanovi
- Berdzenishvili-Gurjievi
- Bostanashvili-Bostanchogli-Bostanjievi
- Beruashvili- Berovi
- Bichiashvili-Bidjoevi
- Gabashvili-Gabaogli
- Giorgashvili-Giorgiogli
- Gigolashvili-Gigolovi
- Vakhtangishvili(Has not changed the surname. Nationality-Grecian)
- Zazashvili-Zazovi
- Tevdorashvili-Tevdorogli-Fedorovi-Anozovi
- Tofuridze- (Has not changed the surname. Nationality-Grecian)
- Tomashvili-Tomazovi
- Tetradze-Gurjievi (II)
- Tatarashvili-Tatarogli-Tatarovi
- Iordanashvili-Chulfaevi
- Isanamishvili-Simonovi
- Isakidze-Fakhorovi
- Kaladze-Kalaichogli-Kalaichevi
- Kostanashvili-Kostanovi
- Kekelishvili (Has not changed the surname. Nationality-Grecian)
- Lazarishvili-Lazarogli-Lazaridi
- Mazmanishvili-Mazminogli-Mazmudovi
- Murmanishvili-Murmanovi
- Muradashvili-Muradogli-Muradovi
- Mirzashvili-Mirzaogli-Mirzoevi
- Merabishvili-Marabogli-Marabovi
- Nikolasshvili-Nikolaogli
- Nikoladze-Nikodmovi
- Petriashvili-Petreogli-Dimoevi
- Sakalidze (Has not changed the surname. Nationality- Grecian)
- Sefiashvili-Sefianovi
- Sabadze (Has not changed the surname)
- Uflisashvili-Uflaogli-Plizologli
- Farajanashvili-Faraogli-Farajanovi
- Feriashvili-Feriogli-Karaqlevi

- Furceladze-Ergishevi
- Falavandishvili-Falavandogli-Paflenovi
- Kartvelishvili-Gurjievi (III)
- Gviniashvili-Khristoforov
- Karajashvili-Karajaogli-Karjievi
- Chedilashvili (Has not changed the surname)
- Kechinashvili-Khechinovi
- Khamajagashvili-Khamajagovi-Chilfievi
- Jaliashvili-Kilinkarovi
- Javarashvili-Javaraogli

The list is incomplete.

As it was mentioned before Urums who were living in Erzurum and Gumishkhane and who were exiled in Georgia had never known Greek as they were not ethnically Grecians. Their native language had always been Georgian although during Ottoman Empire control they gradually lost it and got accustomed to Turkish. It should be mentioned that they tried to teach them Grecian giving them some lessons in Greek language by the initiative of Tbilisi University in 1980 years.

We should say much more about Georgian Orthodox perish as it is interesting why they were called as Greeks by Mohammedans and not only by them even Europeans called them in this way. Mohammedans frequently differed people not by the ethnic way but by the religion.

All the Christians I mean perish of "Grecian" religion were counted as Greeks by them, consequently, till the creation of Ottoman Empire Georgian Kings were officially called as "Descendent of Grecians" by Egyptian sultans. This kind of title can also be translated as "son of Grecians and sword of Greeks"

After the ecclesiastical split Georgians supported Greeks and were solid protectors of Grecian orthodox traditions, consequently, Europeans called them "Greeks" and the members of the Grecian church. The same can be emphasized about Ottoman Empire as all the orthodox perish, Georgian and even not Georgian was called as Grecians there.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

დიპტიხის საკითხები

დიპტიხის შესახებ

დიპტიხი არის მართლმადიდებელთა ღვთისმსახურების დროს ადგილობრივ ეკლესიათა მეთაურების მოხსენების რიგითობა, ანუ მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურების მოხსენების რიგი. ის წარმოადგენს გამოხატვას სულიერი და კანონიკური ერთობისა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის. მართალია, მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიას არ გააჩნია ერთიანი ადმინისტრაციული ცენტრი, მაგრამ ყოველი დამოუკიდებელი, ავტოკეფალური ადგილობრივი ეკლესიის მეთაური და მისი დიაკონი ღვთისმსახურების დროს მოიხსენებს სხვა ადგილობრივი ეკლესიების მეთაურებს, ამით ის გამოხატავს, რომ ყველა მართლმადიდებელი ეკლესია, ეროვნებისაგან დამოუკიდებლად, შეადგენს ერთ, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიას. ყველა ადგილობრივი ეკლესია ერთმანეთის მიმართ თანაბარია და თანასწორი. არ არსებობს პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი, უპირატესი და უმცირესი ეკლესია. მრავალრიცხოვნება, ან ტერიტორიის სიდიდე არ ანიჭებს უპირატესობას რომელიმე ეკლესიას მეორე მცირე ეკლესიის წინაშე. მამათა კანონების თანახმად, ყოველი ეკლესიის თავისუფლება მოპოვებულია უფალ იესო ქრისტეს სისხლით. III მსოფლიო კრება მე-8 კანონში წერდა, რომ ყოველი ეკლესიის დამოუკიდებლობა და თავისუფლება „თვისითა სისხლითა მოგუანიჭა ჩუენ უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, განმათავისუფლებელმან ყოველთა კაცთამან“ (დიდი სჯულის კანონი, 1975, გვ. 267). ღვთის სიტყვის თანახმად, ქრისტეს ეკლესიაში არ არის არც ელინი, არც იუდეველი, არც ბარბაროსი, არც სკვითი. მოციქულთა 34-ე კანონი ყველა ეთნიკური ოლქის ეკლესიას თავისთავადობას ანიჭებს. ის არ აძლევს რომელიმე ეკლესიას უპირატესობას, ამიტომაც თანამედროვე დიპტიხში ეკლესიათა მეთაურების მოხსენიების დროს, ერთი ეკლესიის მეთაურის სხვა ეკლესიის მეთაურის წინ თუ უკან დაყენება, გარკვეული თვალსაზრისით ერთისათვის „უპირატესობის“ მინიჭება მეორესთან შედარებით, არ შეესაბამება ქრისტიანობის არსს, თუმცა თავისი ტრადიცია აქვს. ისტორია ნათელყოფს და მოციქულთა 34-ე კანონი უჩვენებს, რომ იმ დიპტიხის წინასახე, რომელსაც ჩვენ დღესდღეობით ვიყენებთ, ჩამოყალიბდა ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარების შემდეგ და არ არსებობდა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში (იმპერატორთა გაქრისტიანებამდე). დიპტიხი არსებობდა მხოლოდ აღმოსავლეთ რომის იმპერიის შიგნით მყოფი ეკლესიების საჭიროებისათვის. დიპტიხი ბიზანტიურ ეკლესიაში იხმარებოდა. ბიზანტიის გარეთ, დასავლეთ რომის იმპერიის ეკლესიაში კი ღვთისმსახურების დროს არ იხმარებოდა დიპტიხი. იბერიის სახელმწიფო არსებობდა ბიზანტიისაგან დამოუკიდებლად, ამიტომ ქართული ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური ბიზანტიურ დიპტიხებში შეტანილი არ ყოფილა. დიპტიხი სჭირდებოდათ ბიზანტიის იმპერიის შიგნით, იმპერიაში შემავალ ეკლესიებს თავიანთი საჭიროებისათვის. დიპტიხი იყო განსაზღვრული წესრიგი კათედრების მეთაურების რანგების მიხედვით განაწილებისას. დიპტიხი საზღვრავდა ბიზანტიის სახელმწიფოში ეკლესიათა შორის ურთიერთ დამოკიდებულებას. დიპტიხის შექმნა მოითხოვა იმპერიის ერთიანობისა და დაუშლელობის საჭიროებამ, რათა იმპერიის ფარგლებში მყოფ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ეკლესიათა შორის, ასევე ეპისკოპოსთა შორის არ დაწყებულიყო დაუსრულებელი კამათი, წინააღმდეგობა ეკლესიათა და კათედრათა ღირსებისა და პატივის ხარისხის განსაზღვრისას. დიპტიხის შექმნის შემდეგაც კი ერთი ეკლესიის, ან კათედრის მეთაურის მიერ მეორის დაწყევლის ან ანათემაზე გადაცემის

დროს ერთი ეკლესია მეორე ეკლესიას ამოშლიდა ხოლმე თავისი დიპტიხიდან. იმპერიაში მოთავსებულ ავტოკეფალურ ეკლესიათა და კათედრათა მეთაურებს სახელმწიფოში ეჭირათ დიდი ადმინისტრაციული თანამდებობები. დიპტიხის შექმნა უპირველესად ამ ეკლესიათა სურვილით იყო გამოწვეული, რათა განესაზღვრათ პატივის ხარისხი ეკლესიათა მეთაურ მღვდელმთავართა შორის, თუ რომელი ეკლესიის მეთაური, ანუ სახელმწიფოს მოხელე იდგა პატივით სხვა მღვდელმთავარ-მოხელეზე მაღლა. ამიტომაც, რადგანაც იბერიის ეკლესიის მეთაური არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ბიზანტიის სახელმწიფოს მოხელე. აქედან გამომდინარე, ცხადია, იბერიის ეკლესიის მეთაურის იმპერიაში შემავალ სხვა მღვდელმთავრებთან პატივის განსაზღვრის არავითარი საჭიროება არ არსებობდა. ამიტომაც იბერიის ეკლესია ბიზანტიურ დიპტიხში არ შედიოდა.

უძველეს დროს სხვადასხვა ეკლესიებს სხვადასხვა დიპტიხები ჰქონდათ. დიპტიხის შედგენას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა IV საუკუნის შემდეგ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის ადგილის განსაზღვრისას. ტრულის კრებაზე განისაზღვრა უკვე V-VI საუკუნეებში არსებული ურთიერთდამოკიდებულება იმპერიის ეკლესიათა შორის – პირველი იყო რომის საყდარი, მეორე – კოსტანტინოპოლისა, მესამე – ალექსანდრიისა, მეოთხე – ანტიოქიისა, მეხუთე – იერუსალიმისა (დიდი სჯულის კანონი, 1975 წ., გვ. 386). ამ ხუთი პატრიარქისაგან დამოუკიდებელი იყო კვიპროსის ეკლესია.

პირველ ათასწლეულში, საეკლესიო წესების თანახმად, რომის პაპი ყოველთვის პირველი იყო ყველა მღვდელმთავართა შორის (იგულისხმება VI ს-დან). ქალკედონის კრების 28-ე კანონის თანახმად, კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს მეორე ადგილი მიენიჭა რომის პაპის შემდეგ, რაც გაიმეორა ტრულის კრებამ 36-ე კანონში (იქვე, გვ. 386). ქართული ეკლესიის დიპტიხი ეყრდნობოდა მსოფლიო კრებათა კანონებს, ამიტომაც პირველ ადგილზე რომის საყდარს აყენებდა XIII საუკუნემდეც კი, თუმცა, ცხადია, მართლმადიდებლობის ცენტრად „ბერძნულ“ ეკლესიას თვლიდა (ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 86).

VI-VII საუკუნეებში დიპტიხები იქცნენ ოფიციალურ დოკუმენტებად რომის იმპერიის მთავარი ქალაქების ეპისკოპოსთა შორის უპირატესობის განსაზღვრისას. იბერიის ავტოკეფალური ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი ქალაქები არ შედიოდნენ იმპერიაში, ამიტომაც იბერიის ქალაქთა ეპისკოპოსები არ იყვნენ დიპტიხში შეყვანილნი VII საუკუნემდე. VII საუკუნის დასაწყისში ჰერაკლე კეისარმა ქვემო იბერიის, ანუ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა მიწები ჩამოართვა იბერიის სახელმწიფოს და შეუერთა ბიზანტიის იმპერიას. ამის შემდეგ VII საუკუნეში საქართველოს დაპყრობილი შავიზღვისპირა ქალაქების ფასისისა და პეტრონის ეპისკოპოსები შეყვანილ იქნენ ბიზანტიურ დიპტიხში. V ტრულის კრების კანონებს ხელს აწერენ ფასისისა და პეტრონის ეპისკოპოსები – „თეოდორე უღირსმან ეპისკოპოსმან ფასოისამან სოფელსა შინა მეგრელთასა განვასაზღვრენ და წარვწერენ“... (დიდი სჯულის-კანონი, გვ. 407) ასევე ხელს აწერს – „იოანე უღირსმან ეპისკოპოსმან ქალაქისა პეტრონისამან ქუეყანასაგან მეგრელთაისა განვასაზღვრე და წარვწერე“ (იქვე, გვ. 418).

მთაწმიდელი მამები და ძველი ქართველი საეკლესიო ისტორიკოსები „სამეგრელოს“ უწოდებდნენ იმ ვრცელ ქართულ მიწა-წყალს, რომელიც ტრაპეზუნტის რეგიონში მდებარეობდა, მას ერქვა ასევე „სოფელი მეგრელთა“, სადაც თავდაპირველად იქადაგა ანდრია პირველწოდებულმა. ამ რეგიონში მდებარეობდა ფასისისა და პეტრონის კათედრები.

აღსანიშნავია, რომ ტრულის კრების კანონებს ხელს არ აწერს, ამჟამად იმპერიის საზღვრებს გარეთ მდებარე იბერიის დედაქალაქის ეპისკოპოსი და არც იბერიის ეკლესიის წარმომადგენელი, ხოლო იბერიის ის აღნიშნული ქალაქების ეპისკოპოსები კი, რომელნიც ბიზანტიის იმპერიაში შედიოდნენ, ამ კრების კანონებს ხელს აწერენ.

იერუსალიმელი პატრიარქები დოსითეოსი და ხრისანფი წერენ – ლაზიკის ეპარქიაში შემავალი ტრაპეზუნტთან მდებარე ფასისისა სამიტროპოლიტოს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დიპტიხში ეჭირა 27-ე ადგილი, ხოლო ტრულის კრებას ლაზების ქვეყნიდან (ე.ი. ქვემო იბერიიდან) ესწრებოდნენ თეოდორე

ფაზისელი და იოანე პეტრონის ეპისკოპოსიო (მიტროპოლიტი მაქსიმე, ქართული ეკლესია..., გვ. 47-48).

აქედან აშკარად ჩანს, რომ დიპტიხში შეტანილი იყო ბიზანტიის ქართული ქალაქების ეპისკოპოსები, ხოლო ბიზანტიის გარეთ მყოფი ქართული ქალაქების ეპისკოპოსები კი – არა. ე.ი. ამჟამად, დიპტიხი ბიზანტიური სახელმწიფოს საჭიროებისთვისაა შედგენილი, ამიტომაც იბერიის ავტოკეფალური ეკლესიის წარმომადგენელთა მოუხსენებლობა ძველ დიპტიხში იმის ნიშანი კი არაა, რომ ასეთი ავტოკეფალური ეკლესია არ არსებობდა, არამედ პირიქით, არსებობდა და არ ექვემდებარებოდა იმპერიაში შემავალ საპატრიარქოებს.

აღმოსავლური (ბიზანტიური) დიპტიხის ხელახალი გახსენებაა პარიზის კოდექსი XV საუკუნისა, სადაც იხსენიება მსოფლიო (კონსტანტინოპოლის) პატრიარქი, ალექსანდრიელი, ანტიოქიელი და იერუსალიმელი პატრიარქები, დიპტიხის საკითხის მკვლევართა მიერ, ამ კოდექსზე უფრო მნიშვნელოვანად მიიჩნევა, XV საუკუნის 30-იან წლებში შემდგარი ე.წ. „მსოფლიო“ საეკლესიო (ფერარა-ფლორენციის) კრებაზე დაცული დიპტიხი, რადგანაც ამ კრებას ესწრებოდნენ მსოფლიოს ხუთივე საპატრიარქოსა და იმ დროს არსებული ყველა ავტოკეფალური ეკლესიის წარმომადგენლები. ამ კრების ოქმებს პატრიარქებმა და მათმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს. მართალია, ეს კრება არაკანონიკური იყო და მის ოქმებს იბერიის ეკლესიის წარმომადგენელმა ხელი არ მოაწერა. ამ „მსოფლიო“ კრებაზე დაცული იყო წინა მსოფლიო კრებათა კანონები ეკლესიათა განლაგების შესახებ. XV საუკუნის ამ კრების დიპტიხი ასეთი იყო: – რომის ეკლესია, კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის საპატრიარქოები, იერუსალიმის შემდეგ VI ადგილზე იდგა იბერიის ეკლესია. აქედან ჩანს, რომ ძველ დიპტიხში იბერიის ეკლესიას ეჭირა VI ადგილი, მაგრამ ასეთი სახის დიპტიხი მხოლოდ მთელი მსოფლიოს ეკლესიას შეეხებოდა. კონსტანტინოპოლის და ბიზანტიურ დიპტიხებში XVI საუკუნემდე შეტანის უფლება მხოლოდ ოთხი აღმოსავლელი პატრიარქის პრივილეგია იყო (Вклад Вселенского Патриархата по разработку темы “Диптихи”, 1981). მართალია, XVI საუკუნეში რუსეთის საპატრიარქოს დაარსების შემდეგ მოსკოვის პატრიარქს ნება მიეცა დიპტიხში და თათბირებზე მდგარიყო იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ, მაგრამ მალევე, როცა რუსეთში დაარსდა წმიდა სინოდის მმართველობა, ყველა აღმოსავლეთის საპატრიარქოს დიპტიხებში მხოლოდ ოთხი აღმოსავლეთის პატრიარქი მოიხსენებოდა (Исследование Святеишей Церкви Элладской - “Диптихи в праваславной церкви”, 1982).

ბიზანტიურ (აღმოსავლეთის საპატრიარქოების) დიპტიხებში შეტანილი არ იყო ბულგარეთის არქიეპისკოპოსი, როცა მას 1234 წელს კონსტანტინოპოლმა პატრიარქის ტიტული მიანიჭა, დიპტიხში არ იყვნენ შეტანილნი, აგრეთვე, ავტოკეფალური არქიეპისკოპოსები არქიდისა, კვიპროსისა, იბერიისა (ორი – იბერიაში „ზემო“ და „ქვემო“) და პეკიისა (1693 წლის აპრილში მსოფლიო პატრიარქი კალინიკოს II წერდა: “Кроме пяти Патриархов не сушествует и не упоминается никакой другой патриарх. Что касается автономных Архиепископов, т. е. Архидского, Кипрского, Иверииского (согласно другому написанию: два в Иверии в нижней и верхней) и Пекииского, то в разние периоды их просто поставили и назвали архиепископами... не имея никакого права именоватся Патриаршими, поэтому им нет места ни в диптихах, ни патриарщих каталогах” (Вклад Вселенского Патриархата в разработку темы “Диптихи”, 1981, стр.7). როგორც აღნიშნული იყო, უცხოელები „ზემო იბერიის საარქიეპისკოპოსოს“ უწოდებდნენ ქართლის საკათალიკოსოს, ხოლო „ქვემო იბერიის საარქიეპისკოპოსოს“ - აფხაზეთის საკათალიკოსოს).

XIX საუკუნის შუა წლებამდე წმიდა დიპტიხში იხსენიებოდა მხოლოდ აღმოსავლეთის ოთხი პატრიარქი, მხოლოდ ამ საუკუნეში და შემდგომ ახალი ავტოკეფალური ეკლესიების (ელადის, სერბეთის, რუმინეთის, პოლონეთის და ალბანეთის) დაარსების შემდეგ მსოფლიო კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ისინი დაავალდებულა, დიპტიხში მოეხსენიებინათ ოთხი პატრიარქის გარდა სხვა ეპისკოპოსები და ეკლესიები.

საქართველოს საპატრიარქოს ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიხში

X და XI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველო გაერთიანდა, რისთვისაც საუკუნეთა მანძილზე იღწვოდა იბერიის ეკლესია. სხვადასხვა ქართული პოლიტიკური ერთეულების გაერთიანებამ ერთიან მძლავრ სახელმწიფოდ გამოიწვია საქართველოს ჰეგემონობა მთელ კავკასიაში. აღმოსავლეთის ეკლესია განსაკუთრებით სავალდებულოდ ხდიდა სამოქალაქო-საერო დაყოფის გადაღებას საეკლესიოში, ასე რომ, ყოველ ცვლილებას საეროში შესაბამისი ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა საეკლესიოში. ამიტომაც, სახელმწიფოს გაერთიანებამ შექმნა საფუძველი, რათა აღდგენილიყო მთლიანობა საქართველოს ეკლესიისა, ასულიყო ახალ სიმაღლეზე. აქამდე აფხაზეთის სამეფოში არსებობდა ქართულენოვანი საეკლესიო ერთეული „აფხაზეთის საკათალიკოსო". ქართლის სამეფოში კი – „ქართლის საკათალიკოსო". სამეფოთა გაერთიანების შემდეგ ერთ საპატრიარქოში გაერთიანდა ეკლესიებიც და ერთიან ქართულ სახელმწიფოში წარმოიქმნა ერთიანი ეკლესია საქართველოს საპატრიარქოს სახელწოდებით. საქართველოს საპატრიარქო, გარდა აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოებისა, შეიცავდა აგრეთვე საქართველოს სახელმწიფოს გავლენის სფეროში შემავალ ჩრდილო კავკასიის ქრისტიანებს, აგრეთვე სომხეთისა და ყოფილი ალბანეთის მართლმადიდებელ მოსახლეობას. ჩრდილო კავკასიის ქრისტიანები უშუალოდ საქართველოს პატრიარქს ექვემდებარებოდნენ, რასაც მოწმობს ეპიგრაფიკული მასალა, ხოლო XV საუკუნისათვის ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთით შექმნილი იყო ხუნძეთის საკათალიკოსო, რომელიც იბერიის საპატრიარქოში შედიოდა. საქართველოს საპატრიარქოში შევიდა სომხეთის ქართული სამიტროპოლიტო, რომელიც ისტორიული საქართველოს საზღვრებს გარეთ მდებარეობდა – სომხეთის (ანისის) ყოფილ სამეფოში. საქართველოს საპატრიარქოს შექმნის შემდეგ საკათალიკოსოები არ გაუქმებულან, ისინი არსებობას განაგრძობდნენ ისე, როგორც ბიზანტიურ საპატრიარქოში არსებობდნენ სამიტროპოლიტოები. როგორც წესი, პატრიარქი იმავე დროს მცხეთის, ანუ ქართლის კათალიკოსიც იყო, მას სვეტიცხოვლის პატრიარქიც ეწოდებოდა სასაყდრო ტაძრის მიხედვით.

საქართველოს საპატრიარქო კავკასიის მასშტაბით ძალზე დიდი ეკლესია იყო. ის მოიცავდა არა მარტო კავკასიის მართლმადიდებლობას, არამედ ძალზე სცილდებოდა კავკასიის საზღვრებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებით. სამხრეთით საქართველოს საპატრიარქოს ესაზღვრებოდა ვანის ტბა და ტერიტორიები, რომელიც დავით კურაპალატმა შეიყვანა ქართველთა სამეფოში.

საქართველოს საპატრიარქოს წარმოშობამდე არ არსებობდა ქართული ეკლესიის მეთაურის ღირსების ბიზანტიელ იერარქების ღირსებასთან შედარების საჭიროება, ამიტომაც, ალბათ, ქართულ ეკლესიაში დიპტიხი არ გამოიყენებოდა. ვითარება შეიცვალა საპატრიარქოს შექმნის შემდეგ. ახალმა მდგომარეობამ წარმოშვა საკითხი, თუ პატრიარქთა რიგში რომელ ადგილზე უნდა დაეყენებინათ, ანდა რომელი პატრიარქის შემდეგ უნდა ეხსენებინათ ახალი პატრიარქი – ქართული ეკლესიის მეთაური. მართალია, იმ დროს ზოგიერთ არამართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურს ჰქონდა პატრიარქის ტიტული, მაგრამ მსოფლიო მართლმადიდებლურ ეკლესიაში მხოლოდ ხუთი პატრიარქი იხსენიებოდა, რასაც მსოფლიო საეკლესიო კრებებიც ადასტურებდა. იმ დროს გადახედეს არსებულ პატრიარქების რიგს და დაადგინეს, რომ ახალი ქართველი პატრიარქი იყო მეექვსე პატრიარქი – რომის პაპის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის პატრიარქების შემდეგ. ასე შედგა ქართული ეკლესიის დიპტიხი. ქართული ეკლესიის დიპტიხი უკვე არსებობდა საეკლესიო გაყოფამდე რომსა და კონსტანტინოპოლს შორის, და ამიტომაც ამ განყოფამდე უკვე არსებული ქართული დიპტიხი საუკუნეების მანძილზე უცვლელად გადადიოდა საბუთიდან საბუთში. XIII საუკუნის დოკუმენტშიც ასეთი დიპტიხია დაცული: „...ჩუენცა, გლახაკი, ქრისტეს მიერ, შემდგომად ხუთთა პატრიარქთა და უპირველეს მათსა... სუეტისცხოვლის მეექუსისა პატრიარქის და ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოს კათა-

ლიკოზი ნიკოლოზ ვამტკიცებ და წარვსწერ“... (ქ.ს.ძ., II, გვ. 66).

აქედან ჩანს, რომ ქართული ეკლესიის მეთაურს დიპტიხის პატრიარქთა რიგში VI ადგილი უჭირავს, მაგრამ მას თავისი ღირსება არც ერთი პატრიარქის ღირსებაზე ნაკლებად არ მიაჩნია.

დიპტიხში ქართველ პატრიარქს VI ადგილზე XI საუკუნის დასაწყისშივე რომ აყენებდნენ, ეს შემდეგიდან ჩანს: საქართველოს საპატრიარქო შეიქმნა მსოფლიო ქრისტიანობის კათოლიკებად და მართლმადიდებლებად გაყოფამდე, რაც 1054 წელს მოხდა. ამის შემდეგ ქართული ეკლესია მარად მართლმადიდებელთა დიდი ოჯახის წევრი იყო, ამიტომაც გაყოფის შემდგომ შედგენილ ქართულ საბუთებში რომის პაპი აღარ იხსენიებოდა მართლმადიდებლობასთან და მართლმადიდებელ პატრიარქებთან კავშირში. ქართული ეკლესიის ძველ დიპტიხში რომის პაპის სხვა აღმოსავლელი პატრიარქების გვერდით დაყენება მიუთითებს იმაზე, რომ ქართული ეკლესიის დიპტიხი შედგენილია საეკლესიო განხეთქილებამდე, ხოლო შემდგომი საუკუნეების საბუთებში დიპტიხის შეუცვლელად გადატანა მიუთითებს საეკლესიო ტრადიციულობაზე, რომელიც განსაკუთრებით იყო დაცული ქართულ ეკლესიაში. გარდა ამისა, ქართული ეკლესია მუდამჟამს ერთგული იყო საეკლესიო კრებათა კანონებისა, განსაკუთრებით კი ქალკედონის კრებისა, ქალკედონის კრებამ კი თავის 28-ე კანონში დაადგინა, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი უნდა მდგარიყო არა პირველ ადგილზე, არამედ მეორეზე. პირველი ადგილი რომის პატრიარქს უნდა დაეკავებინა. კონსტანტინოპოლი „მეორე იყო შემდგომად მისსა“... (დიდი სჯულის კანონი, გვ. 275). იგივე დაადასტურა იუსტინიანემ თავის 131-ე ნოველაში, კერძოდ, „საეკლესიო კანონების განსაზღვრების თანახმად, უწმიდესი პაპი ძველი რომისა იყო პირველი ყველა მღვდელმთავართა შორის. ახალი რომისას კი ექნება მეორე ადგილი ძველი რომის წმიდა სამოციქულო საყდრის შემდეგ, მაგრამ ადგილს დაიჭერს სხვა საყდრების მაღლა“ (საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, 1984 წ., გვ. 280). ტრულის საეკლესიო კრების 36-ე კანონმაც გაიმეორა ძველი კანონები და საპატრიარქოთა ადგილები ასე განსაზღვრა – „...განვასაზღვრებთ, რაითა საყდარსა კონსტანტინეპოლისასა სწორი პატივი აქუნდეს ჰრომისა საყდრისა და ვითარცა იგი განდიდნების საეკლესიოთა შინა საქმეთა, მეორე იყოს ესე შემდგომად მისსა, რომლისა შემდგომად იყავნ ალექსანდრიელთა დიდისა ქალაქისა და შემდგომად მისსა იერუსალემელთა ქალაქისა“ (დიდი სჯულის ჯანონი, 1975 წ., გვ. 386). ტრულის კრებამ, გაიმეორა რა კონსტანტინოპოლის საყდართან დაკავშირებით II მსოფლიო კრების მე-3 კანონი და 28-ე კანონი IV მსოფლიო კრებისა, განსაზღვრა, რომ პირველი ყოფილიყო რომის საყდარი, მეორე – კონსტანტინოპოლისა, მესამე – ალექსანდრიისა, მეოთხე – ანტიოქიისა და მეხუთე – იერუსალიმისა.

მცხეთის (საქართველოს) საპატრიარქო საყდარი დადგა იერუსალიმის საყდრის შემდეგ, რადგანაც ქართული დიპტიხის შედგენისას გათვალისწინებული იქნა II მსოფლიო კრების მე-3, ქალკედონის 28-ე, ტრულის 36-ე კანონები და მიიღო ასეთი სახე:

1. რომის საყდარი; 2. კონსტანტინოპოლის საყდარი; 3. ალექსანდრიის საყდარი; 4. ანტიოქიის საყდარი; 5. იერუსალიმის საყდარი; 6. მცხეთის (სვეტიცხოვლის) საყდარი.

ქართული დიპტიხის მიხედვით, საქართველოს ეკლესიის მეთაურს სხვა ავტოკეფალური ეკლესიების მეთაურთა რიგში ეჭირა მე-6 ადგილი.

ქართული ეკლესიის მეთაურის მე-6 ადგილზე მოხსენიებას ქართულ ეკლესიაში საუკუნეების მანძილზე ჰქონდა ისტორიულ-ტრადიციული მნიშვნელობა და ისევე შეუცვლელად ითვლებოდა, როგორც საეკლესიო კრებათა და მამათა კანონები.

დიპტიხის ზემოთ მოყვანილი სახე მიუთითებს იმაზე, რომ ის შედგენილია საეკლესიო განყოფამდე.

VI-VII საუკუნეების შემდეგ, ბიზანტიის იმპერიაში გაბატონებული იყო „პენტარხიის თეორია“, მსოფლიოში ხუთი ავტოკეფალური ეკლესიის არსებობის შესახებ. თანამედროვე რუსი კანონისტების (საეკლესიო კანონების მცოდნეთა) განმარტებით, ეს თეორია იყო გამონაგონი ბიზანტიის საიმპერატორო და საპატრიარქო კარისა. თვით იმპერიაშივე არსებობდა მეექვსე ავტოკეფალური ეკლესია კვიპროსისა, ხოლო იუსტინიანემ დააარსა ახალი ავტოკეფალური ეკლესია „პირველი იუსტინიანეს“

სახელწოდებით, იმპერიის გარეთ ძველთაგანვე იბერიის (საქართველოს) ავტოკეფალური ეკლესია არსებობდა, მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთის ეკლესიებში და მათ შორის საქართველოშიც, იცნობდნენ პენტარხიის თეორიას და მასში კორექტივებიც შეჰქონდათ.

საქართველოში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ხუთი მსოფლიო პატრიარქის შემდგომ იდგა საქართველოს, ანუ მცხეთის კათალიკოს-პატრიარქი. საქართველოს საპატრიარქოს დაარსებიდან მცირე ხნის შემდეგ, 1057 წელს მეფე ბაგრატ IV-ის შეწირულების სიგელს შიომღვიმისადმი აქვს ქართული ეკლესიის მეთაურის მინაწერი, რომლის თანახმადაც ის დგას მეექვსე ადგილზე მსოფლიოს ხუთი პატრიარქის შემდეგ. ვინც ეს სიგელი დაარღვიოსო, წერს ის – „...კრულმცა არს... ხუთთა პატრიარქთა ჯუარითა... და ჩემ გლახაკისაცა ჯუარითა“ (სამართლის ძეგლები, II, გვ. 28).

1245-1250 წლების დაწერილს შიომღვიმისადმი აქვს მინაწერი: „...ხუთთა პატრიარქთა ჯუარითა, წმიდისა სამოციქულოისა კათოლიკე ეკლესიისა მადლითა და რაოდენნი მას შინა წმიდანი ქართლისა კათალიკოზნი სხდომილ არიან და დასხდებიან მათ ყოველთა ჯუარითა“ (იქვე, გვ. 40-41). წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესია იყო ქართული ეკლესიის სახელწოდება და ყოველთვის ამ ფორმულით მოიხსენიებოდა ის. ეს სიგელიც ხუთი მსოფლიო საპატრიარქო საყდრის შემდეგ ქართულ ეკლესიას ასახელებს (იქვე, გვ. 66).

1259 წლის შეწირულების დაწერილს რკონის მონასტრისადმი ამტკიცებს საქართველოს ეკლესიის მეთაური – „...ჩუენცა, შემდგომად ხუთთა პატრიარქთა... მეექუსისა პატრიარქის... ვამტკიცებ“... (სამართლის ძეგლები, II, გვ. 66).

ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, რომ უკვე XI საუკუნეშივე, საქართველოს საპატრიარქოს ჩამოყალიბებისთანავე, საქართველოს პატრიარქს მართლმადიდებლურ დიპტიხში ეჭირა მეექვსე ადგილი ხუთი პატრიარქის შემდეგ.

საქართველოს ეკლესიის ადგილი მსოფლიო დიპტიხში

ქართული ეკლესიის საკუთარ დიპტიხში ქართველ პატრიარქს ეჭირა მე-6 ადგილი, მაგრამ ცნობდნენ თუ არა ამას მსოფლიოს სხვა საპატრიარქოები, აღიარებდნენ თუ არა ისინი ქართველი მამამთავრის საყდარს მეექვსე ადგილზე? ჩვენ დაბეჯითებით უნდა ვთქვათ, რომ როგორც რომის პაპები, ისე აღმოსავლეთის ოთხი პატრიარქი ცნობდა იბერიის ეკლესიას მეექვსე ადგილზე იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ. ამას მიუთითებს ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების დიპტიხი. ამ კრებაზე ქართულ ეკლესიას ეჭირა VI ადგილი რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის საყდრების შემდეგ. ეს რომ შემთხვევით არ იყო და ეკლესიათა ადგილების განაწილებას ამ კრებაზე, ისე როგორც ე.წ. „XII მსოფლიო“ კრებაზე, საგანგებო ყურადღება ექცეოდა, იქიდანაც ჩანს, რომ ფლორენციის კრებამ 1438 წელს უნიის შესახებ დეკრეტში დაადგინა: „კონსტანტინოპოლის პატრიარქი იქნება მეორე წმიდა რომის პაპის შემდეგ ალექსანდრიელი მესამე, შემდეგ მეოთხე ანტიოქიელი და მეხუთე – იერუსალიმელი“... (ა. კარტაშევი, მსოფლიო კრებები, 1963 წ., გვ. 425). მართალია, ამ კრებას არ გამოუცია დოკუმენტი, თუ როგორ უნდა განაწილებულიყო შემდეგი ადგილები, რადგანაც კრება ეხებოდა არა დიპტიხის საკითხს, არამედ სხვა საკითხს, მაგრამ საერთოდ ეკლესიათა (კათედრათა) ადგილების განაწილებას ძალზე დიდი ყურადღება რომ ექცეოდა, ზემოთ მოყვანილი დადგენილებიდანაც ჩანს.

ქართული, ანუ იბერიის ეკლესიის წარმომადგენელს ამ კრებაზე ეჭირა VI ადგილი. 1438 წლის 5 თებერვალს ფერარაში გახსნილ და ფლორენციაში გაგრძელებულ „მსოფლიო“ საეკლესიო კრებას,

სადაც ერთმანეთს შეხვდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის წარმომადგენლები და რომლის აქტებსაც აღმოსავლეთის საპატრიარქოებმა ხელი მოაწერეს, – „თანაბარი უფლებით ესწრებოდა იბერიის მიტროპოლიტი“ (ი. ტაბაღუა, საქ. ევროპის წიგნსაცავებსა და არქივებში, ტ. I, გვ. 101).

„იბერიის მიტროპოლიტი იჯდა მართლმადიდებელთა მხარეს მეხუთე ადგილზე კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის წარმომადგენლების შემდეგ. – „პირველი კარდინალის პირდაპირ იდგა პატრიარქის სავარძელი... პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებულნი იყვნენ... იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი მენზიის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგენელი იბერიის მიტროპოლიტი“ (ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის წიგნსაცავებსა და არქივებში, წ. I, გვ. 101-102).

კრების მონაწილენი ისხდნენ შემდეგი რიგის მიხედვით: ცენტრიდან თანაბარ მანძილზე იდგა ორი ტახტი – რომის იმპერატორისა და ბერძენთა იმპერატორისა. სასულიერო პირები განლაგებულნი იყვნენ შემდეგი რიგის მიხედვით: ერთ მხარეს ისხდნენ ლათინთა წარმომადგენლები, მეორე მხარეს ისხდნენ მართლმადიდებელთა წარმომადგენლები. ჩვენთვის საინტერესო მართლმადიდებელთა რიგი იყო შემდეგი სახისაა: მართლმადიდებელთა რიგში პირველად იდგა:

1. კონსტანტინოპოლის პატრიარქის სავარძელი (პატრიარქი ამ სხდომას არ ესწრებოდა);

პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებულნი იყვნენ:

2. ალექსანდრიის პატრიარქის წარმომადგენელი – არქიეპისკოპოსი;
3. ანტიოქიის პატრიარქის წარმომადგენელი – არქიეპისკოპოსი;
4. იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი – არქიეპისკოპოსი;
5. იბერიის პატრიარქის (დოკუმენტშია – „მეფის“) წარმომადგენელი მიტროპოლიტი. ამის შემდეგ დიპტიხის მიხედვით ისხდნენ სხვა მართლმადიდებელი ეპისკოპოსები.

„ნაწყვეტი ფლორენციის წმიდა მსოფლიო საეკლესიო კრების ოქმიდან... სასულიერო პირების განლაგების შესახებ... პირველი კარდინალის პირდაპირ იდგა პატრიარქის სავარძელი (პატრიარქი, შეუძლოდ ყოფნის გამო, იმ დღეს კრებას ვერ ესწრებოდა)... პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებულნი იყვნენ – ჰერაკლიის არქიეპისკოპოსი, რომელსაც ალექსანდრიის პატრიარქის კანონიერი მანდატი ჰქონდა და მისი ადგილი ეკავა; ანტიოქიის პატრიარქის მიერ გამოგზავნილი – ეფესიის არქიეპისკოპოსი; იერუსალიმის პატრიარქის წარმოგზავნილი – მენეზიის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგენელი – იბერიის მიტროპოლიტი; ამათ შემდეგ ისხდნენ ტრაპეზუნტის, რიზეს, ნიკეის... არქიეპისკოპოსები... მიტროპოლიტები... ბერები, თავიანთი წესის მიხედვით“ (იქვე, გვ. 214).

ფლორენციის კრებაზე არა მარტო ეკლესიათა წარმომადგენელი სასულიერო პირები ისხდნენ „წესის“, ანუ დიპტიხის მიხედვით, არამედ საერო პირებიც ასევე (წესის მიხედვით) ისხდნენ.

ფერარა-ფლორენციის „მსოფლიო“ საეკლესიო კრებიდან ჩანს, რომ ქართული ეკლესიის მეექვსე ადგილი მსოფლიო ეკლესიათა რიგში, ხოლო V ადგილი მართლმადიდებელთა რიგში აღიარებული და ცნობილი იყო როგორც რომის პაპის, ასევე მსოფლიო (კონსტანტინოპოლის) პატრიარქის და სხვა აღმოსავლეთის პატრიარქების მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთ, თავისი დროისათვის ძალზე მნიშვნელოვან კრებაზე, რომელიც მსოფლიო ეკლესიის გაერთიანებას ისახავდა მიზნად, რომისა და აღმოსავლეთის ქრისტიანები ერთმანეთთან უთანხმოებაში არ შევიდოდნენ იბერიის ეკლესიის ადგილის ძიებისათვის. იბერიის ეკლესიის ადგილი დიპტიხში ძველთაგანვე ცნობილი იყო, ამიტომაც მან ამ „მსოფლიო“ კრებაზე ყოველგვარი დავის გარეშე თავისი ადგილი დაიკავა.

XV საუკუნის პირველი ნახევრის დიპტიხი, დაცული ფერარა-ფლორენციის კრებაზე, ასეთია:

1. რომის პაპი;
2. მსოფლიო (კონსტანტინოპოლის) პატრიარქი;
3. ალექსანდრიის;
4. ანტიოქიის;

5. იერუსალიმის;
6. იბერიის;
7. ტრაპეზუნტის;
8. რიზეს;
9. ნიკეის;
10. ლაკედემონიის;
11. ნიკომედიის;
12. ტრივონიის;
13. ამასიის;
14. მიტილენის;
15. ტოლოზინოს;
16. სტავროპოლის;
17. ტუსტრიცის;
18. გარინის;
19. მელენტინის;
20. აქილის;
21. მულდულის პატრიარქები და არქიეპისკოპოსები (ი. ტაბაღუა – საქართველო ევროპის წიგნსაცავებსა და არქივებში, წ. I, გვ. 214-215).

მართალია, ამ კრებაზე ასე ისხდნენ ეკლესიის იერარქები, მაგრამ მათგან ავტოკეფალურ ეკლესიად მიიჩნეოდა მხოლოდ ხუთი ეკლესია: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და იბერიისა, ამიტომაც ამ ავტოკეფალურ ეკლესიათა წარმომადგენლებს ამ კრებაზე ეჭირათ განსაკუთრებული, სხვებისაგან განსხვავებული სკამები კრების მონაწილეთა პირველ რიგში, ხოლო იბერიის მეფის ელჩი, რომელსაც აგრეთვე ტრაპეზუნტის იმპერატორის მანდატი ჰქონდა, პაპის თანმხლები პირის პირდაპირ იჯდა (იქვე, გვ. 215).

ასეთი სახის იყო „მსოფლიო“ ეკლესიის დიპტიხი. მართლმადიდებლური დიპტიხიდან კი ამოიღეს რომის პაპის მოხსენიება, მაგრამ ამას არავითარი გავლენა არ მოუხდენია ქართული ეკლესიისათვის კანონიკურად მიჩნეულ მეექვსე ადგილზე. კერძოდ, მართალია, მართლმადიდებლური დიპტიხიდან გავიდა რომის პაპის მოხსენიება, რამაც ვაკანტური ადგილი წარმოშვა ადგილობრივი ეკლესიების მეთაურთა ექვსეულში, მაგრამ მალე ვაკანტური ადგილი დაიჭირა რუსეთის ეკლესიამ მსოფლიო საპატრიარქოსა და სხვა საპატრიარქოთა გადაწყვეტილებით, რაც ცნო ქართულმა ეკლესიამ.

„კონსტანტინოპოლის პატრიარქმა გენადი სხოლარიმ (1453-1460) სხვა აღმოსავლელ პატრიარქებთან ერთად ცნო რუსული ეკლესიის დამოუკიდებელი არსებობა და განსაზღვრა ჩათვლილიყო ავტოკეფალური რუსული მიტროპოლია თავისი ღირსებით იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ, ე.ი. მეხუთე ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიხში“ (Православный церковный календарь, 1985).

აქამდე ქართულ ეკლესიას დიპტიხში ადგილი იერუსალიმის პატრიარქის შემდეგ ეჭირა, ამის შემდეგ კი მან თავისი ტრადიციული მეექვსე ადგილი დაიჭირა (რუსეთის ეკლესიის შემდეგ).

1589 წელს რუსეთის საპატრიარქოს დაარსების შემდეგ მისმა პატრიარქმა დიპტიხში მაღალი ადგილი დაიკავა. „როცა დიდმა კრებამ 1593 წელს განსაზღვრა მოსკოვის საპატრიარქოს მდგომარეობა, მას გამოეყო უფრო მაღალი ადგილი, ვიდრე მაშინ არსებულ არქიეპისკოპოსებს ავტოკეფალურ და თვითმმართველ ეკლესიებისა – ახრიდიისას, კვიპროსისას, ივერიისას და პეკიისას, მაგრამ არა ალექსანდრიის პატრიარქის შემდეგ, როგორც სურდა რუსეთის მეფეს, არამედ მხოლოდ იერუსალიმის პატრიარქის შემდეგ, იმასთან დაკავშირებით, რომ კრების მამებმა შესაბამის მიმართვაში განაცხადეს წმიდა მამათა კანონების შეუცვლელობა“ (Вклад Вселенского Патриархата в разработку темы “Диптихи” с. 11).

რუსეთის მეფეს სურდა და აღმოსავლეთის საპატრიარქოებიც არ იყვნენ წინააღმდეგნი რუსეთის პატრიარქს დიპტიხში დაეჭირა ადგილი ალექსანდრიის პატრიარქის შემდეგ, მაგრამ რადგანაც წინა საუკუნეებში წმიდა მამათა მიერ დადგენილი იყო დიპტიხში ალექსანდრიის საპატრიარქოს შემდეგ ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქთა ხსენება, რაც დადასტურებული იყო ტრულის კრების კანონით, ამიტომაც აღმოსავლეთის პატრიარქებმა გადაწყვიტეს რუსეთის პატრიარქის ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიხში ყოფილიყო იერუსალიმის პატრიარქის შემდეგ. ეს ადგილი რუსეთის საპატრიარქომ მიიღო თავისი არა მარტო სიდიდისა და ეკონომიკური სიძლიერის გამო, არამედ იმიტომაც, რომ იმ დროს მაჰმადიანურ ქვეყნებში არსებული აღმოსავლეთის ყველა პატრიარქი რუსეთის ქრისტიანულ სახელმწიფოს იმედის თვალით შესცქეროდა. ასევე იყო საქართველოშიც. ამიტომაც ქართულმა ეკლესიამ ცნო და აღიარა რუსეთის საპატრიარქოს ადგილი იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ, მაგრამ დიპტიხში VI ადგილზე კვლავ ქართული ეკლესია უნდა ყოფილიყო.

ქართულმა ეკლესიამ რუსეთის პატრიარქის ადგილი იერუსალიმის პატრიარქის შემდეგ რომ აღიარა, ამას მიუთითებს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ანტონის მიმართვა რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედისადმი. 1757 წელს ანტონ I, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი წერდა: – „...ყოველსა, რასაცა აღიარებს და დაამტკიცებს, შეიწყნარებს და მიიღებს დღეს წმ. ეკლესია აღმოსავლეთისა, რომელ არს კონსტანტინეპოლისა, ალექსანდრიისა, ანტიოქიისა და იერუსალიმისა და ყოვლისა რუსეთისა – მეცა აღვიარებ“... (ევ. ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, 1918 წ., გვ. 188). აქედან ჩანს, რომ უკვე XVII საუკუნის შემდგომ, ქართული ეკლესიის დიპტიხი ასეთი იყო:

1. კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო;
2. ალექსანდრიის;
3. ანტიოქიის;
4. იერუსალიმის;
5. რუსეთის საპატრიარქოები;
6. საქართველოს საპატრიარქო.

ამჟამადაც, მართლმადიდებლურ დიპტიხში ქართულ ეკლესიას უჭირავს ისტორიულ-ტრადიციული მეექვსე ადგილი, რაც სავსებით კანონიერია.

ქართული ეკლესიის VI ადგილი ფერარა-ფლორენციის ე.წ. საეკლესიო კრებაზე

საეკლესიო კრებებმა დასავლეთში XV საუკუნის პირველ ნახევარში თავისი განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწიეს. ისინი საერთაშორისო კანონმდებლობის ორგანოებს წარმოადგენდნენ და განიხილავდნენ არა მხოლოდ სასულიერო, არამედ საერო და პოლიტიკურ საკითხებსაც. მაგალითად, საეკლესიო კრების კომპეტენციაში შედიოდა საიმპერატორო ტახტზე კანდიდატურების შერჩევა, იმპერატორების გადაყენება, გერმანელ მთავართა ურთიერთობის მოწესრიგება, სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების თურქეთის აგრესიისაგან დაცვა და ა.შ. – წერს ისტორიკოსი

XV საუკუნის საეკლესიო კრებები არ წარმოადგენდნენ უბრალო იარაღს პაპების ხელში, როგორც ეს XII-XIII საუკუნეებში იყო. ეს საეკლესიო კრებები დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდნენ და აცხადებდნენ პრეტენზიებს უმაღლეს ავტორიტეტზე საეკლესიო და საერო საქმეების გადაწყვეტის დროს. ისინი ითვისებდნენ აგრეთვე პაპების კონტროლისა და გასამართლების უფლებას" (ო. ჟუჟუნაძე, XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, კრებული – „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან", წ. I, 1970 წ., გვ. 10).

1389 წელს თურქებმა კოსოვოს ველზე ევროპული ქვეყნების კოალიცია დაამარცხეს და სერბეთი დაიპყრეს, ხოლო 1393 წელს – ბულგარეთი. 1430 წელს სულთანმა მურად II-მ თესალონიკე დაიკავა, ამიერიდან ბიზანტია შედგებოდა თვით კონსტანტინოპოლისაგან. იმპერიის დღეები დათვლილი იყო. ბიზანტიის იმპერატორები აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების გაერთიანების ფასად რომისაგან ელოდნენ დახმარების მიღებას. მძიმე მდგომარეობამ აიძულა ბიზანტიის იმპერატორები მანუილ II და იოანე VIII მიემართათ რომის პაპისადმი წინადადებით კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების შეერთების თაობაზე. ასეთი ძალზე მნიშვნელოვანი საქმის გადაწყვეტა მიანდეს ე.წ. მსოფლიო საეკლესიო კრებას. ეს კრება უნდა ყოფილიყო ძალზე წარმომადგენლობითი და მოეცვა მსოფლიოს ყველა ქრისტიანული ეკლესია. 1436 წელს იმპერატორმა დაგზავნა თავისი ელჩები მართლმადიდებელ ქვეყნებში და მოიწვია მათი ეკლესიების მეთაურები საეკლესიო კრებაზე ბაზელში. ბიზანტიის იმპერატორთან და პატრიარქთან ერთად იტალიაში აღმოსავლეთის ეკლესიის 22 წარმომადგენელი გაემგზავრა, მათ შორის ორი ქართველი. 1436 წელს იმპერატორმა იოანემ საქართველოსა და ტრაპიზონში საეკლესიო კრებაზე ელჩების ჩამოსაყვანად გაგზავნა ანდრონიკე იაგრინი. სიროპულოსი წერს, რომ „მან იბერიიდან წაიყვანა ორი ეპისკოპოსი, ერთი ელჩი და იბერიის მეფეთა განსაკუთრებული სენატორები". ისინი კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ და აქედან პატრიარქის ამალასთან ერთად იტალიაში გაემგზავრნენ (ო. ჟუჟუნაძე, XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, დასახელებული კრებული, 1970 წ., გვ. 12-15).

„ლათინურ ენაზე შექმნილ ერთ თხზულებაში, რომელიც ამ ეპოქას შეეხება, სხვა ქვეყნებს შორის მოხსენებულია იბერიაც. იგი აქ დახასიათებულია, როგორც უზარმაზარი ქვეყანა, რომელსაც თავისი ენა და მწერლობა გააჩნია, მიმდევარია ბერძნული ეკლესიისა, მაგრამ ამავე დროს აღმასრულებელია საკუთარი ჩვეულებისა და ჰყავს ეროვნული სამღვდელოება. 1438 წლის 10 თებერვლით დათარიღებული ერთ-ერთი საისტორიო წყაროდან ირკვევა, რომ ვენეციის ნავსადგურში შემოსულან რომის პაპის გალერები. ერთ მათგანს ჩამოუყვანია საბერძნეთის იმპერატორი თავისი ამალით, მეორეს კი – ამავე ქვეყნის პატრიარქი და მრავალი წარჩინებული პირი... სომხეთიდან, საქართველოდან და რუსეთიდან" (ლ. ტარდი, – უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI ს-ში, 1980 წ., გვ. 17).

წყაროებიდან ჩანს, რომ საქართველოს ეკლესია სხვა მართლმადიდებელ ეკლესიათა გვერდით ამ საეკლესიო კრებაზე პატივისცემით სარგებლობდა. ეს გამოწვეული იყო, როგორც ეკონომიკური

ძლიერებით, ასევე მის მიერ მართლმადიდებლობის მტკიცე დაცვით.

1437-1439 წლების ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების აქტები მოღწეულია ორი რედაქციით. პირველი მათგანი წარმოადგენს საეკლესიო კრების კათოლიკურ ვერსიას. პირობითად მას უწოდებენ „აქტა ლატინას". აქტების მეორე რედაქცია გადმოგვცემს ბერძენთა დელეგაციის პროლათინურად განწყობილი ნაწილის თვალსაზრისს. მას უწოდებენ „აკტა გრაეკას". მესამე და ძირითად წყაროს წარმოადგენს დიაკვნისა და დიდი ეკლესიარხის სილვესტეროს სიროპულოსის მემუარები. ჩვენთვის საინტერესოა კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიის ეკლესიარხის სიროპულოსის ცნობა იბერიის ეკლესიის მეთაურის შესახებ. ის მას „აღმოსავლეთის პატრიარქს" უწოდებს. სიროპულოსი გადმოგვცემს ასეთ ამბავს: კრებისათვის საჭირო იყო თანხების გამოძებნა, იმპერატორმა იბერიის ეკლესიის მეთაურს მოსთხოვა 30 000 – „იბერიის არქიეპისკოპოსმა გულმოდგინედ იზრუნა და იმპერატორს შეაცვლევინა 30 ათასი ფული 20 ათასზე. მას უხვად აქვს სიმდიდრე. მასთან მღვდელმთავარი მივიდა და მისგან მხოლოდ ოცი მიიღო, რადგან იგი მთელი აღმოსავლეთის პატრიარქია და მაჰმადიანთა მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა. ის სულთანს აძლევს ათას ფლორინს იმისათვის, რომ პატრიარქად ეკურთხოს. მისთვის ფულის გადახდა მძიმე არ არის" (ო. ჟუჟუნაძე, XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, დასახელებული კრებული, 1970 წ., გვ. 16).

სიროპულოსის შრომა გამოხატავს მართლმადიდებლური მიმართულების თვალსაზრისს. სიროპულოსი იტალიაში ჩავიდა პატრიარქ იოსებ II-ის ანტურაჟში. ის იყო თვითმხილველი და მრავალი ამბის მონაწილე, რომელიც კრებაზე ხდებოდა. მან თვითვე მოაწერა კრების აქტებს ხელი. ამიტომაც, მისი თვალსაზრისი ქართული ეკლესიის საპატრიარქო წოდების (ღირსების) შესახებ არის კონსტანტინოპოლის ეკლესიის თვალსაზრისი, რადგანაც სიროპულოსი პატრიარქთან დაახლოებული პირი იყო, კონსტანტინოპოლის მთავარი ეკლესიის ეკლესიარხი. ის ქართული ეკლესიის მეთაურს „აღმოსავლეთის პატრიარქს" უწოდებს ისე, როგორც საქართველოს საზღვრებს გარეთ ტყობაიერდში აღმოჩენილი წარწერა XI საუკუნისა. სიროპულოსის მიხედვით, იბერიის ეკლესია სულთანს გარკვეულ თანხას აძლევდა, რომ მისი მამათმთავარი პატრიარქად კურთხეულიყო.

ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, რომ ქართული ეკლესია ფერარა-ფლორენციის კრებაზე მონაწილეობდა როგორც საპატრიარქო ეკლესია. სწორედ ამითაა გამოწვეული ის, რომ იბერიის ეკლესიის წარმომადგენელი დიპტიხში დააყენეს საპატრიარქოთა რიგში იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ.

კრებაზე კონსტანტინოპოლის პატრიარქის სავარძლის შემდეგ ოთხ სკამზე ისხდნენ საპატრიარქოთა წარმომადგენლები, ხოლო მათ შემდეგ რაიმე განსაკუთრებული გამოყოფის გარეშე ისხდნენ სხვა არქიეპისკოპოსები. კონსტანტინოპოლის პატრიარქის შემდეგ ოთხ განსაკუთრებულ სკამზე ისხდნენ ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და იბერიის საპატრიარქოთა წარმომადგენლები, ესენი იყვნენ: – ჰერაკლიის არქიეპისკოპოსი, რომელსაც ალექსანდრიის პატრიარქის კანონიერი მანდატი ჰქონდა და მისი ადგილი ეკავა, ანტიოქიის პატრიარქის მიერ გამოზავნილი ეფესიის არქიეპიკოპოსი, იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი – მენზიის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგენელი – იბერიის მიტროპოლიტი (ი. ტაბაღუა, საქ. ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, გვ. 241).

პაპის პროტონოტარიუსი ანდრეა დი სანტა კროჩე თავის შრომაში ფლორენციის კრების შესახებ (რომელიც შემდეგ ვატიკანის ბიბილიოთეკარმა ჰორაციო ჯუსტინიანომ შეავსო) მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქების ჩამოთვლის დროს საქართველოს წარმომადგენელს V საფეხურზე აყენებდა (იქვე, გვ. 72). (ო. ჟუჟუნაძე თავის წყაროდ მიუთითებს ე.წ. „აქტა ლატინა"-ს, გვ. 72) კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის პატრიარქების შემდეგ, რომლებიც მსოფლიო პატრიარქებად ითვლებოდნენ.

ეს მაღალი ადგილი საეკლესიო იერარქიაში მაჩვენებელია იმისა, რომ საქართველოს ეკლესია ამ დროს ერთ-ერთ ძლიერ და გავლენიან ორგანიზაციას წარმოადგენდა, ამასვე მიუთითებს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურებისადმი გაგზავნილი პაპი ევგენის წერილი, რომელშიც 4 მსოფლიო პატრიარქის შემდეგ მოხსენებულია საქართველოს მეფე და ტრაპიზონის მიტროპოლიტი და მხოლოდ შემდეგაა დასახელებული რუსეთის, მოლდო-ვლახეთისა და სხვა მიტროპოლიტები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ელჩებს ჩაბარებული ჰქონდათ ტრაპიზონის იმპერატორის მანდატი და მათი სახელით მოქმედების უფლება ჰქონდათ (ო. ჟუჟუნაძე, XV საუკუნის I ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, დასახელებული კრებული, 1970 წ., გვ. 16; „აქტა ლატინა“, გვ. 333).

სხვა ბულაში, აღმოსავლეთის ეკლესიებისადმი მიმართვის დროს, მიმართავენ „აღმოსავლეთის რჩეულ ხალხებს – ბერძნებს, რუსებს, ქართველებს და ვალახებს“ (ო. ჟუჟუნაძე, გვ. 51; „აქტა ლატინა“, გვ. 89).

უფრო მეტიც, ამ კრების ლათინი მწერლები საქართველოს არათუ მე-6 ადგილზე, არამედ ხანდახან მე-3 ადგილზე მოიხსენიებენ, მე-5 ადგილზე კი ამ კრების დიპტიხში ლათინი ისტორიკოსები მუდამ იხსენიებენ ქართულ ეკლესიას.

ამ კრების პროლათინურად განწყობილი ბერძენი სამღვდელოება თავიანთ „აქტა გრაეკაში“ ყველა წარმომადგენლის ჩამოთვლის შემდეგ მოიხსენიებენ საქართველოს და დასძენენ – „იყვნენ აგრეთვე იბერიიდანაც მიტროპოლიტი და ერთი ეპისკოპოსი“. საქმე ისაა, რომ ამ პროლათინ ბერძენ ავტორებს არ მოსწონდათ იბერიის ეკლესიის მიერ მართლმადიდებლობის მტკიცე დაცვა. 1439 წლის ივლისს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა უმრავლესობამ ხელი მოაწერა ეკლესიების გაერთიანების აქტს, **ქართულმა ეკლესიამ ხელი არ მოაწერა კრების დადგენილებას ეკლესიათა გაერთიანების შესახებ.** ამით მან პროლათინურად განწყობილი ბერძენი სამღვდელოების უკმაყოფილება გამოიწვია, რაც აისახა კიდეც „აქტა გრაეკაში“.

უნიის მოწინააღმდეგე საქართველოს ელჩი თავისთან მიიწვია მოლაპარაკებისათვის რომის პაპმა. პაპი მის მიმართ იჩენდა პატივისცემას, რადგანაც ის განათლებული ყოფილა და მართლმადიდებლური სარწმუნოების საკითხებში შეურყეველი. იბერიის ელჩმა პაპს უპასუხა: „ჩვენი ეკლესია მოსაწონია და ჩვენს საკუთარ დოგმებს ვემორჩილებით, ჩვენი ეკლესია ძალიან მტკიცედ იცავს თითოეულ ცნებას ჩვენი უფლის იესო ქრისტესი, ასევე წმიდა მოციქულთა ტრადიციებს... ეკლესიის სახელგანთქმული მასწავლებლების სწავლას მაშინვე გადმოვიღებთ ხოლმე ჩვენს ენაზე. ამისგან არასოდეს არ გადაგვიხვევია, არაფერი არ დაგვიმატებია. რომის ეკლესიამ კი მრავალი რამ დაუმატა და საბოლოოდ წმიდა მამების სწავლების საზღვრები გადალახა. ამის გამო თქვენს ეკლესიას ჩვენ ჩამოვშორდით და ორივე გაყრის გზით წავედით“... ამის შემდეგ იბერმა პაპს ურჩია ხელი არ ეხლო ბარბაროსულ ენებზე არსებული დოგმებისათვის, რომელთა ძალით წართმევა და მათ ნაცვლად თავისის დანერგვა სურს. პაპმა პასუხი ფარული სიმწარით მოისმინა და განცვიფრებული გაჩუმდა“ (ო. ჟუჟუნაძე, XV საკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, დასახელებული კრებული, 1970 წ., გვ. 20). **სწორედ ამიტომ ქართულმა დელეგაციამ უარყო უნიის მიღება.**

იბერიიდან კრებაზე გაგზავნილი ყოფილა სამი წარმომადგენელი: ორი სასულიერო პირი – თბილელი ეპისკოპოსები გრიგოლი და იოანე, აგრეთვე გამოჩენილი სამოქალაქო პირი (იქვე, გვ. 72). მათი სახელების შესახებ არსებობს სხვა ცნობებიც.

აღსანიშნავია, რომ კრებაზე წარმოდგენილი მართლმადიდებელი ეკლესიების უმრავლესობამ ცნო უნია და ხელი მოაწერა კრების აქტებს გაერთიანების შესახებ. დეკრეტს გაერთიანების შესახებ ხელი მოაწერეს ბერძენთა იმპერატორმა, პატრიარქმა და ბერძნული ეკლესიის წევრებმა (იქვე, გვ. 54).

ევროპელი მეცნიერები, მაგ. დ. ჯილა, ამ კრებას მსოფლიო კრებას უწოდებენ. ჯილა, კერძოდ, წერდა – „რაც არ უნდა ითქვას, ეს იყო მსოფლიო კრება, რომელმაც შეაფასა და გადაწყვიტა დოქტრინის საკითხები“ (იქვე, გვ. 32).

მართალია, რუსული თანადროული წყაროები უარყოფითად აფასებენ ამ კრებას, მაგრამ მაინც მას „მერვე კრებას“ უწოდებენ. აგრეთვე „მსოფლიო კრების“ სახელითაც მოიხსენიებენ (ერთი რუსული წყარო „ყაჩაღურს“ უწოდებს) (იქვე. გვ. 57).

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა, რომ ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დიპტიხის საკითხს. კრებამ უნიის შესახებ დეკრეტში,რომელსაც ხელი მოაწერეს ბერძენთა იმპერატორმა და აღმოსავლეთის საპატრიარქოებმა, დადგინა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო რიგითობა მსოფლიო პატრიარქებისა საეკლესიო დიპტიხში (А. Карташев, Вселенские соборы, 1963 г., стр. 425).

როგორც ვთქვით, ფერარა-ფლორენციის „მსოფლიო“ საეკლესიო კრებაზე ქართულ ეკლესიას დიპტიხში მუდამ VI ადგილი ეჭირა, რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის საპატრიარქოების შემდეგ, ამიტომაც დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ XV საუკუნისათვის ბიზანტიის იმპერატორი, რომის პაპი, კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი, ალექსანდრიისა, ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოები აღიარებდნენ და ცნობდნენ ქართული ეკლესიის VI ადგილს დიპტიხში.

ქართველი ეპისკოპოსები ფერარა-ფლორენციის კრებაზე (1438)

XI საუკუნეში, საქართველოს საპატრიარქოს ჩამოყალიბებისთანავე, საქართველოს პატრიარქს მსოფლიო დიპტიხში ეჭირა VI ადგილი 5 პატრიარქის შემდეგ.

მართალია, ქართულ ეკლესიაში მიღებულ დიპტიხში ქართველ პატრიარქს ეჭირა VI ადგილი, მაგრამ სცნობდნენ თუ არა ამას მსოფლიოს სხვა საპატრიარქოები, აღიარებდნენ თუ არა ისინი ქართველი მამამთავრის საყდარს VI ადგილზე? ჩვენ დაბეჯითებით უნდა ვთქვათ, რომ როგორც რომის პაპები, ისე აღმოსავლეთის 4 პატრიარქი სცნობდნენ იბერიის ეკლესიას VI ადგილზე იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ. ამას მიუთითებს ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების დიპტიხი. ამ კრებაზე ქართულ ეკლესიას ეჭირა VI ადგილი რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის საყდრების შემდეგ. ეს რომ შემთხვევით არ იყო და ეკლესიათა ადგილების განაწილებას ამ კრებაზე საგანგებო ყურადღება ექცეოდა, იქიდანაც ჩანს, რომ ცნობილი რუსი კანონისტების ცნობით, ფლორენციის კრებამ 1438 წელს უნიის შესახებ დეკრეტში დაადგინა: „კონსტანტინოპოლის პატრიარქი იქნება მეორე რომის პაპის შემდეგ, ალექსანდრიელი მესამე. შემდეგ მეოთხე ანტიოქიელი და მეხუთე – იერუსალიმელი“... (ა. კარტაშევი, მსოფლიო კრებები, პარიზი, 1963, გვ. 425; რუსულ ენაზე).

მართალია, ამ კრებას არ გამოუცია დოკუმენტი, თუ როგორ უნდა განაწილებულიყო შემდეგი ადგილები, რადგანაც კრება ეხებოდა არა დიპტიხის, არამედ სხვა საკითხს, მაგრამ, საერთოდ, ეკლესიათა (კათედრათა) ადგილების განაწილებას ძალზე დიდი ყურადღება რომ ექცეოდა, ზემოთ მოყვანილი დადგენილებითაც ჩანს.

ქართული, ანუ იბერიის ეკლესიის წარმომადგენელს ამ წარმომადგენლობით კრებაზე ეჭირა VI ადგილი. 1438 წლის 5 თებერვალს ფერარაში გახსნილ და ფლორენციაში გაგრძელებულ „მსოფლიო“ საეკლესიო კრებას, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის წარმომადგენლები და რომლის აქტებსაც აღმოსავლეთის საპატრიარქოებმა ხელი მოაწერეს, „თანაბარი უფლებით ესწრებოდა იბერიის მიტროპოლიტი“ (ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის წიგნსაცავებსა და არქივებში, I, გვ. 101).

„იბერიის მიტროპოლიტი იჯდა მართლმადიდებელთა მხარეს V ადგილზე კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის წარმომადგენლების შემდეგ. „პირველი კარდინალის პირდაპირ იდგა პატრიარქის სავარძელი. პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებულნი იყვნენ... იერუსალიმის პატრიარქის მსოფლიო წარმომადგენელი მენზიის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგენელი იბერიის მიტროპოლიტი“ (იქვე, გვ. 101-102).

კრების მონაწილენი ისხდნენ შემდეგი რიგის მიხედვით: ცენტრიდან თანაბარ მანძილზე იდგა ორი ტახტი – რომის იმპერატორისა და ბერძენთა იმპერატორისა. სასულიერო პირები განლაგებულნი იყვნენ შემდეგი რიგის მიხედვით: ერთ მხარეს ისხდნენ ლათინთა წარმომადგენლები, მეორე მხარეს ისხდნენ მართლმადიდებელთა წარმომადგენლები. ჩვენთვის საინტერესო მართლმადიდებელთა რიგი იყო შემდეგი სახისა: მართლმადიდებელთა რიგში პირველად იდგა:

1. კონსტანტინოპოლის პატრიარქის სავარძელი (პატრიარქი ამ სხდომას არ ესწრებოდა);
2. ალექსანდრიის პატრიარქის წარმომადგენელი – არქიეპისკოპოსი;
3. ანტიოქიის პატრიარქის წარმომადგენელი – არქიეპისკოპოსი;
4. იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი – არქიეპისკოპოსი;
5. იბერიის პატრიარქის (დოკუმენტშია – „მეფის“) წარმომადგენელი – მიტროპოლიტი. ამის შემდეგ დიპტიხის მიხედვით ისხდნენ სხვა მართლმადიდებელი ეპისკოპოსები.

„ნაწყვეტი ფლორენციის საეკლესიო კრების ოქმიდან ... სასულიერო პირების განლაგების შესახებ ... პირველი კარდინალის პირდაპირ იდგა პატრიარქის სავარძელი (პატრიარქი შეუძლოდ ყოფნის გამო იმ დღეს კრებას ვერ ესწრებოდა) ... პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებული იყვნენ – ჰერაკლიის არქიეპისკოპოსი, რომელსაც ალექსანდრიის პატრიარქის კანონიერი მანდატი ჰქონდა და მისი ადგილი ეკავა; ანტიოქიის პატრიარ-

ქის მიერ გამოგზავნილი ეფესოს არქიეპისკოპოსი; იერუსალიმის პატრიარქის წარმოგზავნილი მენზი-ის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგენელი – იბერიის მიტროპოლიტი; ამათ შემდეგ ისხდნენ ტრაპეზუნტის, რიზეს, ნიკეის ... არქიეპისკოპოსები ... მიტროპოლიტები ... ბერები, თავიანთი წესის მიხედვით" (იქვე, გვ. 214-215).

ფლორენციის კრებაზე არა მარტო ეკლესიათა წარმომადგენელი სასულიერო პირები ისხდნენ „წესის", ანუ დიპტიხის მიხედვით, არამედ საერო პირებიც ასევე „წესის" მიხედვით ისხდნენ.

ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებიდან ჩანს, რომ ქართული ეკლესიის VI ადგილი მსოფლიო ეკლესიათა რიგში, ხოლო V ადგილი მართლმადიდებელთა რიგში აღიარებული და ცნობილი იყო როგორც რომის პაპის, ასევე მსოფლიო (კონსტანტინოპოლის) პატრიარქის და სხვა აღმოსავლეთის პატრიარქების მიერ, ამიტომაც ისინი ერთმანეთს არ დაუპირისპირდნენ და უპირობოდ დასვეს იბერიის წარმომადგენელი აღნიშნულ ადგილზე. იბერიის ეკლესიის ადგილი დიპტიხში ძველთაგანვე ცნობილი იყო, ამიტომ მან ამ „მსოფლიო" კრებაზე ყოველგვარი დავის გარეშე თავისი ადგილი დაიჭირა.

XV ს-ის პირველი ნახევრის დიპტიხი, დაცული ფერარა-ფლორენციის კრებაზე, ასეთია:

1. რომის პაპი;
2. მსოფლიო (კონსტანტინოპოლის) პატრიარქი;
3. ალექსანდრიის;
4. ანტიოქიის;
5. იერუსალიმის;
6. იბერიის;
7. ტრაპეზუნტის;
8. რიზეს;
9. ნიკეის;
10. ლაკედემონიის;
11. ნიკომედიის;
12. ტრივონიის;
13. ამასიის;
14. მიტილენის;
15. ტოლოზინის;
16. სტავროპოლის;
17. ტუნისის;
18. გარინის;
19. მელენტინის;
20. აქილის;
21. მულდულის – პატრიარქები და არქიეპისკოპოსები (იქვე, გვ. 214).

მართალია, ამ კრებაზე აღნიშნული რიგით ისხდნენ ეკლესიის იერარქები, მაგრამ მათგან ავტოკეფალურ ეკლე-სიად მიიჩეოდა მხოლოდ 5 ეკლესია: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და იბერიისა, ამიტომ ამ ავტოკეფალურ ეკლესიათა წარმომადგენლებს ამ კრებაზე ეჭირათ განსაკუთრებული, სხვებისაგან განსხვავებული სკამები კრების მონაწილეთა პირველ რიგში; ხოლო იბერიის მეფის ელჩი, რომელსაც აგრეთვე ტრაპეზუნტის იმპერატორის მანდატი ჰქონდა, პაპის თანმხლები პირის პირდაპირ იჯდა (იქვე, გვ. 215).

ასეთი სახის იყო ამჟამად „მსოფლიო" ეკლესიის დიპტიხი. როგორც ცნობილია, საზოგადოდ იქამდე და შემდგომშიც მართლმადიდებლური დიპტიხიდან ამოიღეს რომის პაპის მოხსენიება, მაგრამ ამას არავი-თარი გავლენა არ მოუხდენია ქართული ეკლესიისათვის კანონიკურად მიჩნეულ VI ადგილზე. კერძოდ, მართალია, მართლმადიდებლური დიპტიხიდან გავიდა რომის პაპის მოხსენიება, რამაც ვაკანტური ადგილი

წარმოშვა ადგილობრივი ეკლესიების მეთაურთა ექვსეულში, მაგრამ მალე ვაკანტური ადგილი დაიჭირა რუსეთის ეკლესიამ მსოფლიო საპატრიარქოსა და სხვა საპატრიარქოთა გადაწყვეტილებით.

ფერარა-ფლორენციის კრების შემდეგ ,,კონსტანტინოპოლის პატრიარქმა გენადი სხოლარიმ (1453-1460) სხვა აღმოსავლელ პატრიარქებთან ერთად სცნო რუსული ეკლესიის დამოუკიდებელი არსებობა და განსაზღვრა ჩათვლილიყო ავტოკეფალური რუსული მიტროპოლია თავისი ღირსებით იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ, ე.ი. V ადგილობრივ მართლმადიდებლურ ეკლესიათა დიპტიხში'' (православный церковный календарь, 1985, с.3)

აქამდე ქართულ ეკლესიას დიპტიხში ადგილი იერუსალიმის პატრიარქის შემდეგ ეჭირა, ამის შემდეგ კი მან VI ადგილი დაიჭირა (რუსეთის ეკლესიის შემდეგ).

1589 წელს, რუსეთის საპატრიარქოს დაარსების შემდეგ, მისმა პატრიარქმა დიპტიხში მაღალი ადგილი დაიკავა. ,,როცა დიდმა კრებამ 1593 წელს განსაზღვრა მოსკოვის საპატრიარქოს მდგომარეობა, მას მიეცა უფრო მაღალი ადგილი, ვიდრე მაშინ არსებულ არქიეპისკოპოსებს ავტოკეფალური და თვითმმართველი ეკლესიებისა – არხიდიისას, კვიპროსისას, ივერიისას და პეკიისას, მაგრამ არა ალექსანდრიის პატრიარქის შემდეგ, როგორც სურდა რუსეთის მეფეს, არამედ მხოლოდ იერუსალიმის პატრიარქის შემდეგ, იმასთან დაკავშირებით, რომ კრების მამებმა შესაბამის მიმართვაში განაცხადეს წმიდა მამათა კანონების შეუცვლელობა'' (Вклад Вселенского Патриарха в разработку темы "Диптихи", с.11).

იოანე ბაგრატიონს თავის თხზულებაში ,,კალმასობა'' დაცული აქვს ცნობები ფერარა-ფლორენციის კრებაზე დამსწრე ქართველ ეპისკოპოსთა შესახებ. მისი ცნობით, საქართველოდან კრებაზე დამსწრე ახტალელ ეპისკოპოს დანიელსა და თავად ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს ხელი არ მოუწერიათ კრების დადგენილებაზე, ,,ხოლო იმერეთის ეპისკოპოსმან იაკობ შემოქმედელმან მოაწერა ხელი'' (იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა, ტ. II, 1991, გვ. 350). საერთოდ, იოანე ბატონიშვილის აზრით, საბერძნეთიდან და რუსეთიდან ჩასულ სამღვდელოებას ხელი მოუწერია კრების აქტებისათვის: ,,მოაწერეს ხელი ბერძენთა და რუსთა, გარნა ანტიოხიისა პატრიარხმან არა მოაწერა ხელი, არცა ქართველმა ეპისკოპოსმან ახტალისამან დანიელმან''... ახტალის საეპისკოპოსო კათედრა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო ქართლის საკათალიკოსოში, მდებარეობდა ქვემო ქართლში (ამჟამად სომხეთის საზღვრებშია), ხოლო ,,იმერთა ეპისკოპოსი იაკობი'', ალბათ, შემოქმედელი ეპისკოპოსი აფხაზეთის (,,ქვემო ივერიის'') საკათალიკოსოდან იყო გაგზავნილი ფერარ-ფლორენციის კრებაზე. იბერიის მეფეს თავის სახელმწიფოში შემავალი ორივე საეკლესიო ერთეულის წარმომადგენლები მიუვლენია კრებაზე.

ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება ცხადია, არ იყო ,,მსოფლიო საეკლესიო კრება'', მაგრამ ამ კრებას გააჩნდა საერთაშორისო მნიშვნელობა, იმით, რომ მას ესწრებოდნენ თვით მსოფლიო (კონსტანტინოპოლის) პატრიარქი, ბიზანტიის საიმპერატორო კარის უპირველესი პირები, ყველა მართლმადიდებელი საპატრიარქოს წარმომადგენელი მღვდელმთავრები, მსოფლიოს სხვა მართლმადიდებელი, მათ შორის, რუსული ეკლესიის დელეგატები. საქართველოს ეკლესია ამ კრებაზე დააყენეს საპატრიარქო ეკლესიათა რიგში. მართლმადიდებელ ეკლესიათა რიგში (დიპტიხში) მისი წარმომადგენელი დააყენეს V ადგილზე, მხოლოდ ამ მხრივ არის ეს, ანუ ფერარა-ფლორენციის კრება ჩვენთვის საინტერესო და არავითარ შემთხვევაში მას ,,მსოფლიო კრება'' არ ეწოდება.

აღსანიშნავია, რომ სხვა წყაროთა მითითებით, კრებაზე წარგზავნილი იყვნენ ეპისკოპოსები საქართველოს სხვა კათედრებიდან (ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. II, 1989, გვ. 232-250). კერძოდ, ვახუშტის ცნობით, ამ კრებაზე დამსწრე ქართველი ეპისკოპოსის სახელი სოფრონი ყოფილა, ხოლო თვით კრება საქართველოს მეფე ალექსანდრე დიდის დროს ჩატარებულა (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 281).

დამტება:

საქართველო ფერარა-ფლორენციის კრების ეპოქაში

მეფეთ მეფე მონაზონი ალექსანდრე დიდი

ცნობილია, რომ სწორედ მისი მეფობისას შედგა კრება ფერარა-ფლორენციისა. ეს კრება ვითომდა საეკლესიო გაერთიანებას (ერთიანობის აღდგენას) ისახავდა მიზნად. ამ კრებაზე, როგორც წესი, დაცული იქნა დიპტიხი. სხდომის დარბაზში ერთ მხარეს თანმიმდევრობით დასხეს ჯერ საპატრიარქო ღირსების მქონე მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენლები, მათ შემდეგ კი მათზე დაბალი რანგით მდგომი სხვა მართლმადიდებლური ეკლესიები. საპატრიარქო ეკლესიების რიგში კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის პატრიარქების წარმომადგენლების შემდეგ დასვეს საქართველოს საპატრიარქო ეკლესიის (საბუთებშია „საქართველოს მეფის“) წარმომადგენლებიც. ეს ყოფილა მიტროპოლიტი სოფრონი, როგორც ეს ვახუშტის შრომის შესაბამისი ადგილის შენიშვნიდან ჩანს: „სწერენ ხრონოლოგებისა შინა, რამეთუ ფლორენციის კრებასა ზედა იყო ერთი მიტროპოლიტი სოფრონ და ეპისკოპოზი ერთი, წელსა ქრისტესა 1433, ქართველნი, რომელნი იქნების ალექსანდრეს მეფობის წელი 19“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 281, შენიშვნები).

სწორედ საპატრიარქო ღირსების მქონედ რომ მიაჩნდათ ქართული ეკლესია, ეს ჩანს იმ წლების სიგელებიდანაც. მაგალითად, მეფე ალექსანდრე ხაზგასმით უწოდებს თავის დროის კათალიკოსებს „პატრიარქებს“, ხოლო მცხეთას – „საპატრიარქო“ საყდარს. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმის შესახებ, რომ დიპტიხში საქართველოს ეკლესიის ადგილის განსაზღვრასა და მსოფლიოს სხვა ეკლესიათა შორის საქართველოს ეკლესიის „საპატრიარქო“ ღირსების აღიარებას იმ დროს ჩვენში მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

მაგალითად: 1420 წლის მცხეთის სიგელში ნათქვამია: „ამავე ჟამსა დადგინდა პატრიარქად კათალიკოზი მიქაელ“ (თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, 1897, გვ. 226).

1424 წლის სიგელშია: „ღვთისა საყდრისა დედაქალაქისა მცხეთისა პატრიარქად განმზადებულმან მონაზონმან დავით“... (იქვე, გვ. 228). 1428 წლის სიგელში მცხეთას - „საპატრიარქო საყდარი“ ეწოდება („საყდარი“ უდრის ევროპულ „კათედრას“, რუსულ „პრესტოლს“). „...გვემსახურა ჩვენსა საპატრიარქოსა საყდარსა დედა-ქალაქის მცხეთისათვის“... (იქვე, გვ. 321).

ეს საბუთები სწორედ ფერერა-ფლორენციის კრების სამზადისის პერიოდშია გამოცემული. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ქართული ეკლესიის საერთაშორისო ღირსების გრძნობა ამ დროისათვის ისევე მაღალია, როგორც XI-XII საუკუნეებში.

მსჯელობანი დიპტიხის საკითხზე

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ეკლესიამ 1943 წელს ცნო არა მხოლოდ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი უფლებანი ქართული ეკლესიისა, კერძოდ აღიარა მისი საპატრიარქო ღირსება და VI ადგილი მსოფლიო ეკლესიის მართლმადიდებლურ დიპტიქში. მაშასადამე, მართლმადიდებელთა ოჯახში რუსეთის ეკლესიამ ქართული ეკლესია და მისი მეთაური დააყენა ისეთი უდიდესი ეკლესიების წინ, როგორებიც არიან სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ელადის და სხვა ეკლესიები. აღსანიშნავია, რომ ქართული ეკლესიის VI ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიქში ჯერაც არ უცვნია მსოფლიოს მრავალ ეკლესიას და ისინი უფრო უკანა ადგილზე აყენებენ მას.

1943 წელს რუსეთის ეკლესიის მიერ ქართული ეკლესიის სამი უფლების (ავტოკეფალია, საპატრიარქო ღირსება, ადგილი დიპტიქში) აღიარება გვაფიქრებინებს, რომ ეს მოხდა საბჭოთა სახელმწიფოს ქართველი მეთაურის ნებართვით (იგულისხმება ი. სტალინი), რომელმაც სწორედ იმ დროს ცნო რუსეთის ეკლესიის უფლებები, მისცა პატრიარქის არჩევის ნება. რუსეთის ეკლესიამ ცნო ქართული ეკლესიის იურისდიქცია საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე, გარდა ამისა, დროებით იურისდიქციაში გადასცა სომხეთის სსრ-ს მართლმადიდებელი მოსახლეობა.

ამის შემდეგ თითქმის კიდევ 50 წელი დასჭირდა იმას, რომ მსოფლიო მართლმადიდებლურ ცენტრებს, კონსტანტინოპოლსა და სხვებს ეცნოთ ქართული ეკლესიის უფლებანი. კერძოდ, 1990 წლის 25 იანვარს კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქმა გამოსცა სიგელი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის შესახებ, იმავე წლის 3 მარტს კი მანვე გამოსცა განჩინება საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ღირსების ცნობის შესახებ, საიდანაც გამომდინარეობდა ეკლესიის მეთაურის (პატრიარქის) ტიტულის ცნობა.

* * *

აღსაყდრების შემდეგ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში ოფიციალური ვიზიტისას, 1979 წლის მაისში, წმიდა სინოდის წინაშე ილია II-მ დააყენა სამი საკითხი: აღიარებული ყოფილიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, აღიარებული ყოფილიყო მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტული, მიკუთვნებოდა ქართულ ეკლესიას კუთვნილი VI ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიქში. „ჩემი აზრით – განაცხადა ილია II-მ, – კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ არ უნდა დაუშვას, რომ უძველესი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია დააყენოს ახალი ეკლესიების გვერდით, ჩვენ გვინდა აღვადგინოთ წინანდელი მდგომარეობა, რომელიც სამწუხაროდ, დავკარგეთ 1811 წელს“.

კონსტანტინოპოლის ეკლესიამ ისტორიული დოკუმენტები მოითხოვა საამისოდ. ქალკედონის მიტროპოლიტმა მელიტონმა განაცხადა: „ჩვენი ეკლესიის სინოდი ამ საკითხს დადებითად გადაჭრის, მხოლოდ ჩვენ გვჭირდება დასაბუთებული ისტორიული მასალები საქართველოს ეკლესიის შესახებ, რომ ეს საკითხი გადაიჭრას უმოკლეს ხანში“ („ჯვარი ვაზისა“, 1979, №2, გვ. 11). უწმიდესმა საქართველოში ჩამოსვლის შემდგომ წლების მანძილზე გააჩაღა მუშაობა ქართული ეკლესიის ისტორიული საბუთების მოსაპოვებლად, დაგვავალა ჩვენ, წმიდა სინოდის წევრებს, ქართველ მეცნიერებს, მოღვაწეებს, მუშაკებს, ყველას, ვისაც კი შეხება ჰქონდა აღნიშნულ საკითხთან, წვლილი შეეტანა ამ საქმეში. შეიკრიბა დოკუმენტები, ითარგმნა უცხო ენებზე. 1982 წლის 3 ივლისს მისმა უწმიდესობამ ოფიციალური წერილებით მიმართა ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს წმიდა სინოდის სახელით: მათში გადმოცემული იყო ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია, დოკუმენტების დართვით,

რომლიდანაც აშკარად დასტურდებოდა ქართული ეკლესიის უძველესი ავტოკეფალია, მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტული და VI ადგილი დიპტიქში.

* * *

სამწუხაროდ, ამ დროისათვის არ იქნა განხილული ქართული ეკლესიის ადგილის საკითხი მართლმადიდებლურ დიპტიქში. დიპტიქის საკითხი არის ურთულესი და ეხება ეკლესიათა ღირსებას. მაგალითად, სერბეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის ეკლესიებს კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ ოფიციალურად უფრო ადრე მიანიჭა ავტოკეფალია და საპატრიარქო ღირსება ვიდრე საქართველოს ეკლესიას, ამიტომ კონსტანტინოპოლის დიპტიქში ისინი იხსენიებიან საპატრიარქო ეკლესიათა რიგში რუსეთის ეკლესიის შემდეგ, შესაბამისად VI, VII და VIII ადგილებზე. რადგანაც ქართული ეკლესიის უფლება შემდეგში იქნა ცნობილი, მათი თვალსაზრისით იგი უნდა ჩადგეს მათ უკან, ე.ი. IX ადგილზე, რაც ცხადია, მიუღებელია ჩვენთვის. ასე, რომ საკითხი სადავოა. ამ საკითხის გადაჭრას საეკლესიო საბუთების მოშველიებით ცდილობენ მსოფლიოს ეკლესიები.

მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიები ემზადებიან ახალი მსოფლიო საეკლესიო კრების ჩასატარებლად. ცნობილია, რომ ბოლო მსოფლიო კრება ჩატარდა ათასზე მეტი წლის წინ. ამის შემდეგ მსოფლიო მართლმადიდებლობას დაუგროვდა მრავალი საკითხი, რომელთა გადაჭრაცაა საჭირო. გადაწყდა, მსოფლიო კრების წინ ჩატარდეს წინა მოსამზადებელი თათბირები. უკვე ჩატარდა რამდენიმე თათბირი, რომლებზეც დადგინდა, რომ მომავალი მსოფლიო კრების დღის წესრიგში შეიტანონ სულ 10 საკითხი, მათ შორის ისეთებისა, როგორიცაა მარხვის, კალენდრის, აღდგომის ერთ დღეს დღესასწაულის, დიპტიქის, ავტოკეფალიის, დიასპორისა და სხვა საკითხები. მსოფლიო მართლმადიდებლურ ეკლესიებს სურთ, კრებამდე განიხილონ და შეისწავლონ ყველა საკითხი, მიაღწიონ სრულ თანხმობას ყველა საკითხზე, რადგანაც თუ შეუთანხმებელ საკითხებს გაიტანენ მსოფლიო კრებაზე განსახილველად, შეიძლება ამან გამოიწვიოს კამათი და უთანხმოება, მსოფლიო კრება იქცევა არა ერთობის, არამედ განყოფის კრებად, რაც დაუშვებელია. ამიტომ საკითხს დიპტიქისა, რომელიც დაუდგენელია ქართული ეკლესიის მიმართ, მსოფლიო ეკლესიები სწავლობენ. ამ საკითხზე თავიანთი აზრი გამოთქვეს რუსეთის, ელადის, კონსტანტინოპოლის და სხვა ეკლესიებმა თავიანთ „თემებში დიპტიქის შესახებ". მათზე დაყრდნობითა და სხვა წყაროების მონაცემებით ჩემს მიერ მომზადებული თემა „მართლმადიდებლურ დიპტიქში ქართული ეკლესიის ადგილის შესახებ" უკვე გამოქვეყნებულია.

ქართული ეკლესიის შინაგანი დიპტიხი

(ჯდომისა და დგომის წესი)

ქართულ ეკლესიაში ეპისკოპოსები წირვა-ლოცვის თუ დარბაზობის დროს ისხდნენ საეპისკოპოსოების ღირსების მიხედვით. ამის შესახებ დაცულია ცნობები უძველესი დროიდან ვიდრე XVIII საუკუნის ჩათვლით.

დარბაზობის თუ რომელიმე ცერემონიალის დროს მღვდელმთავრები – „არიან მდგომარენი: ...თვისთა ხარისხთა შინა... ვითარცა-იგი განწესებულ არს სამღვდელოთა დასთათვის“.

სამღვდელო დასს ჰქონია თავისი „განწესება“, რომლის თანახმად, თავისი ხარისხის შესაბამისად უნდა დადგეს მღვდელმთავარი, და არა მარტო მღვდელმთავარი, არამედ თავიანთი განწესება აქვთ სამღვდელოებას – „დეკანოზებს, კანდელაკებს და კრებულს“.

დიპტიხს ძველქართულად ეწოდებოდა – „სამღვდელოთა დასთა წყობილება“, ან „წესდება და გარიგება“ და ასევე „ზევით და ქვევით დგომის წესი“.

„სამღვდელოთა დასთა წყობილება“ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს არსებობის დროს სხვაგვარი ყოფილა, ხოლო სამეფოს დაშლის შემდეგ „სამღვდელოთა დასთა წესდება და გარიგება“ შეცვლილა. დიპტიხში ძველი წესების შეცვლა გამოუწვევია იმასაც, რომ ახალი საეპისკოპოსოები გაჩენილა, ხოლო ზოგიერთი ძველი გამქრალა. ამ მდგომარეობას გამოუწვევია დიპტიხის აშლა და ამის გამო – „ზევით და ქვემოთ დგომაზე მრავალი ცილება და განხეთქილება არს მღვდელმთავართა, არხიმანდრიტთა, პროტოპაპთა და სამღუდელოთა დასთა შორის“ (სამართლის ძეგლები, ტ. II. გვ. 537).

ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს არსებობის დროს დიპტიხის რიგი მტკიცედ ყოფილა განსაზღვრული და აღწერილია როგორც სამეფო მატიანეებში, ასევე საეკლესიო საბუთებში – „...ოდეს საქართუელო იყო სრულიად ერთსამეფო, მაშინ სამღუდელოთა დასთა წყობილება და ხარისხნი იყუნენ სრულიად მის-მისსა ხარისხსა შინა წესდგომით, ვითა იხილვების ქართლის აღწერისა მატიანესა შინა და ეგრეთვე მცხეთისა წერილსა შინა ხუცურსა“ (იქვე, გვ. 537).

საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდგომ დიპტიხის, ანუ წესდგომის რიგიც შეიცვალა – „ხოლო ოდეს საქართველო განიყო და სამ სამეუფოდ განსქდა: ქართლად, კახეთად და იმერეთად და აგრეთვე ხუთ სამთავროდ, ე.ი. საათაბაგოდ, სადადიანოდ, საგურიელოდ, სააფხაზოდ და სასვანეთოდ, მაშინ ყოველთავე მეფეთაცა და მთავართაცა თვის თვისად სარდრები განიწესეს... ეგრეთვე დიდებისმოყუარებისათვის რომელთამე ახალნი ეპისკოპოსნი დასხეს, რომელიმე საეპისკოპოსო ავის დროსაგან მოიშალა, რომელიმე დამდაბლდა, რომელიმე ამაღლდა და არღარა არს ადრინდელი წესდება და გარიგება“... (იქვე, გვ. 537).

სამღვდელოთა დასთა ძველი წესდებისა და გარიგების მოშლის გამო, როგორც აღვნიშნეთ, ეკლესიაში არევ-დარევა შექმნილა.

ქართლ-კახეთის სამეფოში ერთ-ერთი სამგლოვიარო ცერემონიის დროს, XVIII საუკუნეში, „სამღვდელო დასთათვის განწესება და დაწყობილება“ ასე ყოფილა განსაზღვრული ცერემონმაისტრის მიერ – „უწმიდესი კათალიკოს-პატრიარხი, პირუელნი მიტროპოლიტნი, არხიეპისკოპოსნი, ეპისკოპოსნი, პირველნი არხიმანდრიტნი... ხოლო შემდგომად სხვანი მღუდელნი, ვითა მათნი მღუდელმთავარნი იყუნენ მდგომარენი, ეგრეთ მათნი დეკანოსნი, კანდელაკნი და კრებულნი იყუნენ მდგომნი თვისთა ხარისხთა შინა. ეგრეთ ჰსდგენ ვითა იგი განწესებულ არს წერილთა შინა სამღუდელოთა დასთათვის“ (იქვე, გვ. 536-537).

დოკუმენტში, რომელსაც ეწოდება „კურთხევა მირონისა“ და რომელსაც XIII საუკუნით ათარიღებენ, საქართველოს (ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს) მღვდელმთავრები დარბაზობის დროს სხდებოდნენ შემდეგი სახით – „განგება დარბაზობისა – რაჟამს იკურთხოს მეფე და დაჯდეს ტახტსა ზედა, ეფისკოპოსნი ამ წესითა დასხდენ:

1. ბრძანოს ქართლისა კათალიკოზმან და დაჯდეს მარჯუენით მეფისა, ტახტსა ზედა მოკიდებით, ნატითა და ბალიშითა;
2. შემოვიდეს ჭყონდიდელი და დაჯდეს მარცხენით მეფისა, ნატითა და ბალიშითა;
3. შემოვიდეს დიდისა სომხეთისა მიტროპოლიტი და დაჯდეს კათალიკოზისა ქუემოთ, ნატითა და ბალიშითა;
4. შემოვიდეს მთავარეფისკოპოზი და დაჯდეს მიტროპოლიტსა ქუემოთ, ნატითა, უბალიშოდ;
5. შემოვიდეს მაწყუერელი და დაჯდეს მთავარეფისკოპოზსა ქუემოთ, ნატითა, უბალიშოდ;
6. შემოვიდეს ამბა ალავერდელი და დაჯდეს ჭყონდიდელსა ქუემოთ ნატითა, უბალიშოდ;
7. შემოვიდეს ქისიყელი და დაჯდეს ამბა ალავერდელსა ქუემოთ უნატოდ;
8. შემოვიდეს კუმურდოელი და დაჯდეს ქისიყელსა ქუემოთ;
9. შემოვიდეს ნინოწმიდელი არქიმანდრიტი და დაჯდეს ქისიყელსა ქუემოთ;
10. შემოვიდეს იშხნელი და დაჯდეს კუმურდოელსა ქუემოთ;
11. შემოვიდეს ანჩელი არქიმანდრიტი და დაჯდეს ნინოწმიდელსა ქუემოთ;
12. შემოვიდეს მტბევარი და დაჯდეს ანჩელსა ქუემოთ;
13. შემოვიდეს წურწყაბელი და დაჯდეს მტბევარსა ქუემოთ;
14. შემოვიდეს წყაროსთველი და დაჯდეს წურწყაბელსა ქუემოთ;
15. შემოვიდეს ერუშნელი და დაჯდეს წყაროსთველსა ქუემოთ;
16. შემოვიდეს მანგლელი და დაჯდეს ერუშნელსა ქუემოთ;
17. შემოვიდეს წინწყაროელი და დაჯდეს მანგლელსა ქუემოთ;
18. შემოვიდეს რუსთველი და დაჯდეს წინწყაროელსა ქუემოთ;
19. შემოვიდეს წილკნელი და დაჯდეს რუსთველსა ქუემოთ;
20. შემოვიდეს კაწარელი და დაჯდეს წილკნელსა ქუემოთ;
21. შემოვიდეს ურბნელი და დაჯდეს კაწარელსა ქუემოთ;
22. შემოვიდეს მრუელი და დაჯდეს ურბნელსა ქუემოთ;
23. შემოვიდეს სამთავნელი და დაჯდეს მრუელსა ქუემოთ;
24. შემოვიდეს ნიქოზელი და დაჯდეს სამთავნელსა ქუემოთ;
25. შემოვიდეს ვალაშკერტელი და დაჯდეს ნიქოზელსა ქუემოთ;
26. შემოვიდეს ბოლნელი მამათმთავარი და დაჯდეს ვალაშკერტელსა ქუემოთ;
27. შემოვიდეს კარელი მამამთავარი და დაჯდეს ბოლნელსა ქუემოთ;
28. შემოვიდეს ხარჭაშნელი და დაჯდეს კარელსა ქუემოთ;
29. შემოვიდეს ტფილელი და დაჯდეს ხარჭაშნელსა ქუემოთ;
30. შემოვიდეს წალკელი და დაჯდეს ტფილილსა ქუემოთ;
31. შემოვიდეს ბანელი და დაჯდეს წალკელსა ქუემოთ;
32. შემოვიდეს ჭერემ-ქალაქელი და დაჯდეს ბანელსა ქუემოთ;
33. შემოვიდეს დმანელი და დაჯდეს ჭერემ-ქალაქელსა ქუემოთ;
34. შემოვიდეს დადაშნელი და დაჯდეს დმანელსა ქუემოთ;
35. შემოვიდეს გიშელი და დაჯდეს დადაშნელსა ქუემოთ. მოდგნენ ყოველთა მონასტერთა მოძღუარნი და წინამძღუარნი და მათითა წესითა წინამოისხდნენ ეფისკოპოსთა“ (სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 47-49).

აქედან ჩანს, რომ დარბაზობისა და სხვა ოფიციალური შეკრების დროს ეპისკოპოსები სხდებოდნენ

საგანგებო წესით, მათი კათედრების ღირსების მიხედვით. იმავე შეკრების დროს სამღვდელოებაც საგანგებო წესის მიხედვით სხდებოდა თავ-თავისი ეპისკოპოსების წინ – თავიანთი წოდებისა და ღირსების მიხედვით.

ეს დოკუმენტი, როგორც სხვაგან გვქონდა აღნიშნული, ხელთ ჰქონიათ ერეკლე II-სა და კათალიკოს ანტონს და ამის მიხედვით განუსაზღვრავთ ნინოწმიდელის პატივი და ადგილი. ეს დოკუმენტი ერეკლესა და ანტონს მიაჩნდათ იმ ძველ დროს შედგენილად, როცა ქალაქი ტფილისი არ იყო სამეფო, ანუ სატახტო ქალაქი, არამედ – ნისანი და ქუთათისი, ამის გამოო, – წერენ ისინი, – თბილელი ეპისკოპოსის პატივი და ღირსება შედარებით მცირეა და ის დგას ეპისკოპოსთა რიგის ბოლოშიო" (სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 401).

ამ დოკუმენტის გადამწერს ერთ-ერთ მთავარ ნუსხაში ამბა ალავერდელის გასწვრივ მარცხენა კიდეზე მიუწერია – „შემოვიდეს ციხე-გოჯელი და დაჯდეს ბედიელს ქუემოთ" (იქვე, გვ. 48). ბოლნელი მამამთავრის გასწვრივ მარჯვენა კიდეზე გადამწერს მიუწერია – „შემოვიდეს ანელი და დაჯდეს ბოლნელსა ქუემოთ" (იქვე, გვ. 49).

მინაწერიდან – „შემოვიდეს ციხე-გოჯელი და დაჯდეს ბედიელს ქუემოთ," ჩანს, რომ არსებულა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთა პატივისა და ღირსების ადგილის განწესება, არამედ დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს „წესდგომა".

მოტანილი ნაწყვეტიდან ჩანს, რომ პატივით ციხე-გოჯელი უფრო ქვემოთ დგას ბედიელზე.

საერთოდ, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს არსებობისას დარბაზობის დროს მეფის მარჯვნივ ისხდნენ, ანდა იდგნენ ქართლის საკათალიკოსოს ეპისკოპოსები, ხოლო მეფის მარცხნივ აფხაზეთის საკათალიკოსოს ეპისკოპოსები. ამაზე მიგვითითებს საბუთი – „წესი და განგება მეფედ კურთხევისა", რომელსაც XIII საუკუნით ათარიღებენ. აქ აღნიშნულია – „მარჯუენე ხელი კათალიკოზთა ეჭიროს, ხოლო მარცხენე ხელი აფხაზეთისა კათალიკოზსა"... (იქვე, გვ. 53). ე.ი. მეფის მარჯვნივ ქართლის კათალიკოსი დგას, ხოლო მარცხნივ – აფხაზეთის კათალიკოსი. იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის კათალიკოსი არ ესწრებოდა მეფის კურთხევას, მისი ადგილი მეფის მარცხნივ შეეძლო დაეჭირა ჭყონდიდელს მთავარეპისკოპოსს ანდა იშხნელს, ცერემონიის მოთხოვნილებათა მიხედვით. მეფის დაბურვის ღირსება მეფის კურთხვის დროს ჰქონია აფხაზეთის კათალიკოსს, ან მთავარეპისკოპოსს. ხოლო ქართლ-კახეთის სამეფოს ბოლო წლებში სამღვდელოება ცერემონიის დროს ორად იყოფოდა – მარჯვნივ მცხეთის სამღვდელოება დგებოდა, ხოლო მარცხნივ ალავერდის სამღვდელოება. ე.ი. ქართლისა და კახეთისა. – „...მარჯუენით მცხეთისა, ხოლო მარცხენით ალავერდისა"... (სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 536).

მეფის მარცხნივ ადგილი ძველი ერთიანობის დროს აფხაზეთის საკათალიკოსოს ეპისკოპოსებს უნდა დაეჭირათ, მაგრამ სამეფოს დაშლის შემდეგ მარცხენა ადგილი ალავერდელმა ეპისკოპოსმა დაიჭირა.

1745 წელს თეიმურაზის მეფედ კურთხევის დროს, დარბაზობისას, მეფის მარჯვნივ დაჯდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი – „ხოლო ვინაითგან არცა სამეგრელოისა და იმერითისა ეპისკოპოზნი არცაღა მესხნი იყუნეს მუნ, სხვადასხვათა მიერ მიზეზთა, და საყდარიცა სომხითისა მიტროპოლიტისა მოშლილ იყო ძველადვე, და განეჩინათ ყოველი პატივი სომხითის მიტროპოლიტისა ამბა-ალავერდელისად, დაჯდა მარცხენით მეფისა ამბა ალავერდელი... სომხითისა მიტროპოლიტისა პატივისა ღირსქმნილი მეფისა ლეონ I-ის მიერ, ადგილსა ჭყონდიდელისასა, მარცხენით მეფისა" (იქვე, გვ. 400).

ე.ი. ლეონ I-ის დროს ამბა ალავერდელმა მიიღო სომხეთის მიტროპოლიტის პატივი, ხოლო დარბაზობის დროს მიენიჭა ღირსება ჭყონდიდელის ადგილზე ჯდომისა – მეფის მარცხნივ.

სანამ განვიხილავდეთ მეფის მარცხნივ „აფხაზეთის საკათალიკოსოს" ეპისკოპოსების „წესდგომას", მანამდე უნდა ითქვას, რომ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს შექმნის შემდგომ, XI საუკუნიდან, საქართველოს პატრიარქი (ანუ რაც იგივეა – ქართლის კათალიკოსი), აფხაზეთის კათალიკოსი, ჭყონდიდელი და

მოძღვართ-მოძღვარი ხდებიან სახელმწიფოს მოხელეები, ისინი შედიან უმაღლეს საკანონმდებლო საბჭოში, რომელშიც მეფესთან ერთად შედიოდა აგრეთვე სამი ვეზირი.

„დარბაზის კარი“ შედგებოდა „ოთხი ბერისაგან“ და „სამი ვეზირისაგან“. „ოთხი ბერი“ არიან:

1. მოძღვართ-მოძღვარი;
2. პატრიარქი;
3. აფხაზეთის კათალიკოსი;
4. ჭყონდიდელი.

„სამი ვეზირი“ არიან:

1. ათაბაგი (მოგვიანებით, მანამდე, ალბათ, სხვა სახელი იყო);
2. ამირსპასალარი;
3. მანდატურთ-უხუცესი.

„...დარბაზით ათქს ოთხთავე: მოძღვართ-მოძღვარსა, კათალიკოზთა, ჭყონდიდელსა და სამთავე ვეზირთა: ათაბაგსა, ამირ-სპასალარსა და მანდატურთ-უხუცესსა“ (იქვე, გვ. 90).

„ამირეჯიბი – კათალიკოზთა, მოძღვართ-მოძღვარსა, ჭყონდიდელსა – ამათ წინ ტაბლას დასდგამენ... ეს ოთხივე ადგებიან... ათაბაგსა, ამირ-სპასალარსა და მანდატურთ-უხუცესსა ტაბაკს ეჯიბი დაუდგამს, ადგებიან. გამგეთ-უხუცესი მონაზონთ ოთხთავე სამ-სამის ჯამით, ეგრეთვე სამთა ვეზირთა ითვალავს“... (სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 93).

დარბაზის კარი – უმაღლესი სახელმწიფო ორგანო – შედგება ოთხი მონაზონისაგან, ანუ ოთხი ბერისაგან და სამი ვეზირისაგან.

„ოთხი ბერისაგან“ შექმნილი საბჭო, რომელიც არსებობდა მეფესთან, ჩანს, წარმოადგენდა ქართული ეკლესიის სინოდს, რადგანაც დარბაზის კარს უფლება ჰქონდა მიეცა კანონი ეკლესიებისათვის – „კანონს დარბაზის კარით მიიღებდნენ“ ეკლესია-მონასტრებიო, – წერია ერთ დოკუმენტში. შემდეგ საუკუნეთა დოკუმენტებშიც ეს ოთხი ბერი, ანუ ოთხი მონაზონი მოჩანს.

დარბაზობის დროს მოძღვართ-მოძღვარი მეფის მარჯვნივ დგებოდა, ან ჯდებოდა. მოძღვართ-მოძღვარი ძალზე საპატიო მონაზონია. მას მეფე დარბაზობის დროს უფრო მეტი პატივით ხვდებოდა, ვიდრე კათალიკოსებსა და ჭყონდიდელს. მეფე ნოხისპირზე მიეგებებოდა მოძღვართ-მოძღვარს, ე.ი. მის წინ დაფენილ ნოხს მეფე მთლიანად გაივლიდა, ხოლო კათალიკოსებისა და ჭყონდიდელის მისალმების დროს მეფეს სურვილისამებრ შეეძლო გაევლო ნოხის მესამედი, ანდა საერთოდ არ გაევლო, ადგილზევე დარჩენილიყო. ასეთივე წესით ეგებებოდა მეფე სამივე ვეზირსაც, ე.ი. მოძღვართ-მოძღვრის პატივი აღემატებოდა, როგორც დარჩენილი მონაზვნების, ასევე სამივე ვეზირის პატივსაც.

„მოძღვართ-მოძღვარი შევიდეს და ეთაყვანოს მეფესა და მერმე მეფეცა ეთაყვანოს... მეფე ნოხთა პირსა მოეგებეის და მოესალმოს: „მოახსნე“, ბრძანოსო. წავიდეს [მოძღვართ-მოძღვარი] და მარჯვენით გარდადგეს ახლო... კათალიკოზი, რომელიც მოვიდეს ეგრეთვე ეთაყვანოს... გინა ნოხსა ზედა მესამედი წარმოიაროს და მითვე წესითა ჭყონდიდელსა და სამთა ვეზირთა აწვიოს“ (იქვე, გვ. 90).

მეფესთან დარბაზის კარის შეკრების დროს მეფის მარჯვნივ ადგილს იჭერენ მწიგნობართუხუცესი და ქართლის კათალიკოსი, ხოლო მეფის მარცხნივ – ჭყონდიდელი და აფხაზეთის კათალიკოსი. ხოლო დარბაზობის დროს მეფის მარჯვნივ ქართლის კათალიკოსის ქვემოთ სხდებიან აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები თავისი წესის მიხედვით, ხოლო მეფის მარცხნივ აფხაზეთის კათალიკოსის ქვემოთ სხდებიან დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები.

მოძღვართ-მოძღვრის პატივის გადიდებით ოდნავ შემცირებულია საქართველოს პატრიარქის (ქართლის კათალიკოსის) პატივი, ხოლო ჭყონდიდელის პატივის გადიდებით შემცირებულია აფხაზეთის კათალიკოსის პატივი, ანუ ეკლესიის თვითმმართველობა შეზღუდულია სახელმწიფოს მიერ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საეკლესიო კანონმდებელია არა პატრიარქი, არამედ ოთხი ბერისაგან შექმნილი საბჭო, რომელიც დარბაზის კარზე არსებობს.

დასავლეთ საქართველოს კათედრათა შორის ერთ-ერთი საპატიო ყოფილა ქუთათელის კათედრა. ქუთათელის პატივი ისეთივე ყოფილა, როგორიც იშხნელისა. თუ რა დიდი იყო იშხნელის პატივი, იქიდანაც ჩანს, რომ დარბაზობის დროს იშხნელის მისალმებისას მეფე ორ-სამ ნაბიჯს გადადგამდა, ხოლო სხვა ეპისკოპოსთა მისალმებისას ადგილიდანაც არ დაიძვროდა – „რა სწორად ეპისკოპოსნი მივიდნენ იმიერით: იშხნელი, მაწყვერელი, ანჩელი, მტბევარი და გოლგოთელი, მათ რაი ეთაყვანენ... იშხნელისათვის უფრო მდაბლად და ორი ანუ სამი ბიჯი წარმოიაროს და მიესალმოს; და ამ სხუათათვის სწორად ნუ დაიძვრის“ (იქვე, გვ. 91).

იშხნელისა და ქუთათელის პატივი თანაბარი ყოფილა – „და მით ერთობ საბატიო არის [ქუთათელი] და იშხნელის სწორი პატივი მართებს“ (იქვე, გვ. 91), ე.ი. ქუთათელის მისალმების დროსაც მეფე ორ-სამ ნაბიჯს წარმოდგამდა.

დიდი პატივი ჰქონია აგრეთვე ბედიის ეპისკოპოსსაც, რადგანაც „...ბედიელი მოსაფლავეა [მეფისა] და ქუთათელი [მაკურთხეველიცა] და მესაფლავეც არის“ (იქვე, გვ. 91).

აქედან ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსების „წესდგომა“ იქნებოდა ასეთი სახისა:

1. მეფის მარცხნივ დგებოდა აფხაზეთის, ანუ ბიჭვინთის კათალიკოსი;

2. მეფის მარცხნითვე იყო ადგილი ჭყონდიდელისა, მაგრამ არა აფხაზეთის კათალიკოსის ქვემოთ, არამედ მის გვერდით. მათი პატივი თანაბარი იქნებოდა, რადგანაც ჭყონდიდელი მეფის მოხელეა – „ჭყონდიდელი მამა არს მეფისა“ (იქვე, გვ. 95);

3. აფხაზეთის კათალიკოსის ქვემოთ ადგილი ეკუთვნოდა ქუთათელ ეპისკოპოსს, რადგანაც დასავლეთ საქართველოს კათედრათა შორის მხოლოდ ქუთაისის ტაძარში აკურთხებდნენ მეფეს. ქუთაისის ტაძარში ინახებოდა მეფის სკიპტრა და გვირგვინი. „...[ქუთათელის საყდარსა შინა] მეფენი დაილოცვიან... ქუთათელმან ასე თქუა, თუ: „აწ, ორჯერ-სამჯერ ჩემს საყდარსა შიგან ორნი მეფენი დალოცვილან და არ მემართლები, გვირგვინი ანუ სკიპტრა ჩემს საყდარსა შიგან არ დასდვა“. და მერმე ვეზირთ და ერთობილთ ლაშქართა თქვეს თუ „ქუთათელი უმართლეა“ და სკიპტრა ქუთათელს გაუჩინეს“... (იქვე, გვ. 91).

4. ქუთათელი ეპისკოპოსის ქვემოთ ადგილი ეკუთვნოდა ბედიელ ეპისკოპოსს, რადგანაც „...ბედიელი მოსაფლავეა [მეფისა]... დიდი გიორგი, რომელმან ბასილი ბერძენთა მეფე გააქცია მისისა [ბედიელის] საყდარსა შიგან არს“... (იქვე, გვ. 91).

5. ჩანს, ერთ დროს ბედიელის ქვემოთ ადგილი ეჭირა ციხე-გოჯელ ეპისკოპოსს, ამაზე გვაქვს პირდაპირი მითითება – „შემოვიდეს ციხე-გოჯელი და დაჯდეს ბედიელს ქუემოთ“ (იქვე, გვ. 48. შენიშვნა I). დანარჩენი დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსების ადგილის განსაზღვრა დარბაზობის დროს ძნელია.

მაშასადამე, აფხაზეთის საკათალიკოსოში „წესდგომა“ ასეთი უნდა ყოფილიყო:

1. აფხაზეთის კათალიკოსი;
2. ჭყონდიდელი;
3. ქუთათელი;
4. ბედიელი;
5. ციხე-გოჯელი...

ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდგომ დიდი პატივი მიეცა ალავერდის საეპისკოპოსო კათედრას, განსაკუთრებით ერეკლე II-ის დროს.

„ქ. ჩუენ, სრულიად საქართველოს მეფემან ირაკლიმ ესე განაჩენი დავდევით ამ რიგათ: ძველადგანვე ჩვენთა ჩამომავლობათა მიერ მათი ყოვლად სამღვდელოობა არხიეპიზკოპოზი ალავერდისა დიდად გაპატიოსნებული არის სხვათა საქართველოთა ყოვლად სამღვდელოთა ზედა და უმეტესი პატივი მისცემიეს“ (იქვე, გვ. 415).

ერეკლე II-მ გაზარდა ასევე ნინოწმიდელი ეპისკოპოსის ადგილი და პატივი.

ერეკლე II-ის დროს საქართველოს ეკლესიის შინა დიპტიხი ასეთი იყო (აღმოსავლეთ საქართველოში):

1. „ზემოისა საქართველოისა მამათმთავარი კათალიკოს-პატრიარხი“;

2. არქიეპისკოპოსი ამბა-ალავერდელი – სომხითისა მიტროპოლიტი;
3. მიტროპოლიტი ქისიყელი;
4. მიტროპოლიტი თბილელი;
5. მიტროპოლიტი ნინოწმიდელი;
6. მანგლელი;
7. რუსთველი;
8. წილკნელი;
9. კაწარელი, ურბნელი, მროველი, ნეკრესელი, სამთავნელი, ნიქოზელი, ბოლნელი, ხარჭაშნელი, წალკელი, დმანელი, გიშელი – მოშლილი საეპისკოპოსოები.

ერეკლე II ნინოწმიდელის ადგილს 1749 წლის დოკუმენტით საზღვრავს თბილელის ქვემოთ – „ამისათვის, შემდგომად ქისიყელისა და ტფილელისა მიტროპოლიტთა აქვნდეს ადგილი მიტროპოლიტობით მიერითაგან ყოველთა ყოვლად-სამღუდელოთა ნინოწმიდელთა“... (სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 401).

„...მივეცით ნინოწმიდელსა მღუდელმთავარსა ადგილი კრებასა შინა დგომისა ანუ ჯდომისა, უზემოეს მანგლელისა, რუსთველისა და წალკელისა და თუ სამე იქმნეს განახლება კაწარელისა... ურბნელისა და მროველისა, ნეკრესელისა, სამთავნელისა, ნიქოზელისა... ბოლნელისა... ხარჭაშნელისაცა... წალკელისაცა და დმანელისა... გიშელისაცა... თვით თბილელისაცა უზემოეს აქუნდა ადგილი კრებასა შინა ყოვლად-სამღუდელოსა ნინოწმიდელსა, ვითარ იგი წერილ არს განჩინებასა შინა მეფეთა გვირგვინოსან-ყოფითა და დარბაზობისათა... სამეფო ქალაქი არა იყო თბილისი დროთა მას შინა, არამედ ნისანი და ქუთათისი... პაპამან ჩუენმან ირაკლი პირველმან... ტფილელი ეპისკოპოზი... მიტროპოლიტ ჰყო... ესევე საყდარი სამიტროპოლიტო ტფილელისა ღირსად... ქვემო ქისიყელის მიტროპოლიტისა საყდრისა, ვქმენით არა უგანგებოდ. ამისთვის, შემდგომად ქისიყელისა და ტფილელისა მიტროპოლიტთა აქვნდეს ადგილი მიტროპოლიტობით... ნინოწმიდელთა“... (იქვე, გვ. 401).

აქედან ჩანს, რომ ერეკლესა და ანტონის განჩინებით, ერთ დროს ნინოწმიდელის ადგილი თვით თბილელის მაღლა ყოფილა, რაც იმით ყოფილა გამოწვეული, რომ თბილისი ძველი დარბაზობის განჩინების დროს სამეფო ქალაქი არ ყოფილა. შემდგომ, როცა ტფილისი დედაქალაქი გამხდარა, თეიმურაზ II-ს თბილელისათვის მიუნიჭებია მიტროპოლიტობის პატივი და დარბაზობის დროს თბილელისათვის განუჩენიათ ადგილი – „ქვემო ქისიყელისა“, ე.ი. ქისიყელის ქვემოთ დაჯდებოდა თბილელი, ხოლო ნინოწმიდელს ადგილი განუსაზღვრეს ქისიყელისა და თბილელის ქვემოთ.

დოკუმენტური მასალები
დიპტიხში VI ადგილის შესახებ

უცხოური წყაროები

ACTA SACRA OECUMENICI CONCILII
FLORENTINI[1]

Disputationes, seu Collationes inter Latinos, et Graecos. Ingenerali Concilio Florentino habitae, et ab Andrea de S. Cruce Patricio Romano, et Apostolici Consistorij Advocato conscriptae in modum Dialogicum Ludovico Pontano.

Ludovico: Quis locus fuerat Graecorum Imperatoris?

Andreas: Insinistra parte de directo Cathedrae Imperatoris Romanorum pariformiter constituta sedes est, ad eius dexteram scabello quodam posito erat Demetrius eiusdem Imperatoris germanus, Despotus Moreae.

Ludovico: Prosequere Clericorum ordinem?

Andreas: In oppositum primi Cardinalis sedes Patriarchae fuerat constituta, qui infirmitate detentus non, adfuit illo die, et speciale misit mandatum, quod publice lectum extitit, ut inferius de verbo ad verbum interseram; in quatuor scabellis post Patriarcham dispositis sequebantur Archiepiscopus Heracleensis, Alexandrini Patriarchae legitimum mandatum habens, eiuque locum tenens, Archiepiscopus Ephesinus Patriarchae Antiocheni Legatus, Archiepiscopus Menesiensis Ierosolymitani Patriarchae personam repraesentans **et Metropolita Yberius Regis Yberiae Apocrisarius,** Archiepiscopus Trapesuntae, Archiepiscopus Risicu, Archiepiscopus Nicaenus, Archiepiscopus Lacedemoniesnsis, Archiepiscopus Nicomediensis, Archiepiscopus Triuoniensis, Amasiensis, Mitilenensis, Toloson, Stauropol, Tustricensis, Garinensis, Mellentenensis, Achiliensis, Muldulanus Archiepiscopi. Post quorum consessum erant sex, Presbyterorum habitum gerentes, Metropolitae Ecclesiae Constantinopolitanae, Cruciseri appellati eo, quod Crucem supra pileum, ultra communem Presbyterorum habitum, gestabant; et Monachorum venerabilis comitiua suo ordine saquebatur.

Ludovico: Quis habitus Patriarchae, aliorumve Archiepiscoporum fuerat?

. . . . . .

Ludovico: Sed Imperatori non aderant aliqui ex secularibus?

Andreas: Seculares quidam Graecorum propre Imperatoris tribunal in scamno quodam propre terram consederant, in oppositum assistentium summo Pontifici; primus Despotus Serviae, et Nobilis quidam Imperatoris Trapezundae mandatum habens; Quidamve Regis Iberiae Orator, habitu ab alijs differens, bireto rotundo lapidibus pluribus exornato, aurove contexto, ac duo Apocrisarij Principis Valachiae.

Ludovico: Sed quis erat secularium apparatus?

. . . . . .

_ _ _ _ _ _ _ _ _

1 A c t a Sacri Oecumenici Concilii Florentini ab Horatio Iustiniano. Bibliothecae Vaticanae Custode Primario, Collecta, Disposita, Illustrata, Romae, MDCXXXVIII.

ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წინგსაცავებში, გვ. 280-281.

ნაწყვეტი ფლორენციის წმინდა მსოფლიო
საეკლესიო კრების ოქმიდან[1]

„საუბარი და კამათი ლათინელებსა და ბერძნებს შორის ფლორენციის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. სამოციქულო კონსისტორიის რომის პატრიციასა და ადვოკატს ანდრეა დი სანტა კროჩეს საუბარი ლუდოვიკო პონტანოსთან, ჩანაწერი დიალოგის სახით.

ლუდოვიკო: კრების დროს სად იჯდა ბერძენთა იმპერატორი?

ანდრეა: ცენტრიდან მარცხნივ იდგა ტახტი ისეთივე, როგორიც რომის იმპერატორის კათედრა იყო. მისგან მარჯვნივ სკამზე იჯდა იმპერატორის ძმა დიმიტრი – მორეის[2] მთავარი.

ლუდოვიკო: განაგრძე საუბარი სასულიერო პირების განლაგების შესახებ.

ანდრეა: პირველი კარდინალის პირდაპირ იდგა პატრიარქის სავარძელი. პატრიარქი შეუძლოდ ყოფნის გამო იმ დღეს კრებას ვერ ესწრებოდა. მან გამოგზავნა სპეციალური მიმართვა, რომელიც საჯაროდ წაიკითხეს. ქვემოთ სიტყვასიტყვით მოგახსენებთ ამ მიმართვის შინაარსს.

პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებული იყვნენ: ჰერაკლიის არქიეპისკოპოსი (რომელსაც ალექსანდრიის პატრიარქის კანონიერი მანდატი ჰქონდა და მისი ადგილი ეკავა), ანტიოქიის პატრიარქის მიერ გამოგზავნილი – ეფესიის არქიეპისკოპოსი, იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი – მენეზიის არქიეპისკოპოსი **და იბერიის მეფის წარმომადგენელი – იბერიის მიტროპოლიტი**[3].

ამათ შემდეგ ისხდნენ ტრაპეზუნტის, რიზეს, ნიკეის, ლაკედემონიის, ნიკომედიის, ტრივონიის, ამასიის, მიტილენის, ტოლოზინოს, სტავროპოლის[4], ტუსტრიცის, გარინის, მელენტენის, აქილის, მულდულის არქიეპისკოპოსები.

შემდეგ მოდიოდნენ: ექვსი პრესვიტერიანული წოდების მქონე პიროვნება, კონსტანტინოპოლის ეკლესიის მიტროპოლიტები – ჯვაროსნებად წოდებულნი, ვინაიდან მათ თავსამკაულზე ჩვეულებრივი მღვდლებისაგან განსხვავებით ჯვრის ნიშანი ჰქონდათ. მათ შემდეგ განლაგებულნი იყვნენ ღირსშესანიშნავი ბერები, თავიანთი წესის მიხედვით“.

ლუდოვიკოს შემდეგი შეკითხვა ეხება პატრიარქებისა და არქიეპისკოპოსების ჩაცმულობას. ანდრეა აღუწერს მას ამ ჩაცმულობას.

„ლუდოვიკო: იმპერატორს არ ახლდნენ საერო პირები?

ანდრეა: იმპერატორის სავარძლის გვერდით სკამზე იჯდა რამდენიმე საერო პირი. პაპის[5] თანმხლები პირების პირდაპირ ისხდნენ: სერბიის მთავარი, ტრაპეზუნტის იმპერატორის მანდატის მქონე, იბერიის მეფის ელჩი[6] (რომელიც ყველასაგან განსხვავდებოდა თავისი ჩაცმულობით, მრავალი ძვირფასი ქვით შემკული მრგვალი ოქროქსოვილი ქუდით) და ვალახიის ბატონის ორი წარმომადგენელი“.

შემდეგ ლუდოვიკო ეკითხება საერო პირთა ჩაცმულობის შესახებ და ანდრეა სათანადო პასუხს აძლევს[7].

– – – – – – – – – –

1 Acta Sacri Oecumenici Concilii Florentini ab Horatio Iustiniano. Bibliothecae Vaticanae Custode Primario. Collecta, Disposita, Illustrata, Romae, MDCXXXVIII, pp. 68-73.

2 მორეი – ლათინელებმა დაპყრობის შემდეგ (1205 წ.) მას დაარქვეს პელოპონესი. მორეის სამთავრომ იარსება 1430 წლამდე.

3 ხაზი ჩემია. ამ დროს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იყო დავით III გობელაძე (1435-1439 წწ.).

4 დღეს ყარა-სუ თურქეთში.

5 ამ დროს რომის პაპი იყო ევგენიუს IV (1431-1447 წწ.).

6 ხაზი ჩემია.

7 ამ „აქტებში“ საქართველო (იბერია) სამ ადგილასაა მოხსენიებული.

ი. ტაბაღუა, საქ. ევროპის არქივებსა და წინგსაცავებში, გვ. 214-215.

დეკანოზი ლევან მათეშვილი
ისტორიის დოქტორი

საჯარო სკოლებში რელიგიური განათლების საკითხისთვის

მსოფლიო სკოლებში დაწყებული თურქეთიდან აშშ-ს ჩათვლით, დასავლეთ ევროპიდან - ისრაელით დამთავრებული, მოსწავლეებს უტარდებათ რელიგიის გაკვეთილები. დემოკრატიაზე აპელირება, თითქოსდა სახელმწიფო სკოლებში რელიგიური განათლება დემოკრატიულობის პრინციპების დარღვევაა, არასწორია და დემოკრატიული სახელმწიფოს არსის დამახინჯებული გაგებაა.

ბავშვთა აღზრდის ურთულეს პროცესში, რომლის მიზანიც ეკლესიის, სახელმწიფოსა და რიგითი მოქალაქეებისათვის ერთია - ბავშვთა და საზოგადოების კეთილდღეობა - გადამწყვეტი მნიშვნელობა ორ ფაქტორს - ცოდნასა და ნდობას ენიჭება. ყველას, არა მხოლოდ მშობლის, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესშია დარწმუნდეს, რომ სკოლაში ბავშვი დაცულია, არ არის რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაციის ან ინდოქტრინაციის მსხვერპლი. ამ პროცესში ჩართულ ყველა მხარეს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული, თუ რა ადგილი აქვს რელიგიას სახელმწიფო სკოლაში ან მის კურიკულუმში. ბოლო დროს რწმენის თავისუფლების კონტექსტში მიმდინარე საზოგადოებრივი დებატების მიზეზი სწორედ ეს საკითხებია. რწმენის თავისუფლება კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო დოკუმენტებით დაცული ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. თუმცა ამ უფლების სრული რეალიზაცია არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით, კონსტიტუციებსა და დეკლარაციებში მარტივად ფორმულირებულმა წინადადებებმა შეიძლება გვაფიქრებინოს. რელიგიის თავისუფლება, როგორც უფლება და მისი დაცვა პრობლემათა რთულ კომპლექსს მოიცავს. ერთ-ერთი პრობლემატური საკითხი რელიგიის განათლების სფეროსთან მიმართებაა, განსაკუთრებით კი სახელმწიფო სკოლებში რელიგიის სწავლება და სკოლაში რელიგიის გამოხატვის დასაშვებ და მიუღებელ ფორმებს შორის მკაფიო ზღვარის გავლება. საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას საქართველოში მიმიდინარე განათლების რეფორმის ფონზე იძენს. ცხარე საზოგადოებრივი დებატების საგანი გახდა 2005 წლის 22 იანვარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის გაფორმებული მემორანდუმი, რომლის დეკლარირებული მიზანი საპატრიარქოსა და განათლების სამინისტროს შორის კონსტიტუციური შეთანხმების (კონკორდატის) საფუძველზე განათლების სფეროში ეკლესიისა და საშუალო სკოლების თანამშრომლობის ხელშეწყობა. ამ დოკუმენტის თანახმად, საპატრიარქოსა და განათლების სამინისტროს შორის თანამშრომლობა გულისხმობს: «ა) მართლმადიდებლური ქრისტიანული სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროგრამების შედგენის, ბ) პედაგოგიური კადრების შერჩევის, მომზადების და დანიშვნა – გათავისუფლების პროცედურის ერთობლივად შემუშავებას; გ) მართლმადიდებელი სარწმუნოების შემცველი საგნების და შესაბამისი სახელმძღვანელოების განხილვის პროცესში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა მონაწილეობის პროცედურის შემუშავებას; დ) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსებისა და ქონებრივი საკითხების სამართლებრივ უზრუნველყოფას; ე) მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თანამშრომლობის ფორმებისა და პირობების დადგენას.» შეთანხმებაში, რომელსაც, როგორც ჩანს, ხელისუფლებისა და განათლების სამინისტროს მხრიდან ეკლესიასთან მიმართებით კეთილგანწყობის ჟესტის დატვირთვა ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ამ ხელშკრულებას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ.

ჯერ კიდევ 2005 წელს სახალხო დამცველმა გააკრიტიკა ეს დოკუმენტი.” საქართველოს სახალხო დამცველის ანგარისში ნათქვამია, რომ ‘მემორანდუმი არღვევს სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის კონსტიტუციით აღიარებულ პრინციპს და სხვა კონფესიების მიმდევართა დისკრიმინაციას გულისხმობს. სახალხო დამცველის მსგავსად სხვა ოპონენტებიც ამგვარად ფორმულირებენ რომ აუცილებელია, ყურადღების გამახვილება იმ საშიშროებაზე, რომელსაც ხელმოწერილი დოკუმენტი შეიცავს. თუ მის შინაარსს ჩავულრმავდებით, ნათელი ხდება, რომ შეთანხმება წინააღმდეგობაში მოდის რწმენის თავისუფლების, ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის კონსტიტუციურ პრინციპებთან. ეკლესიასა და სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმი აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის საფრთხის მატარებელიცაა, რადგან ეკლესია იტოვებს უფლებას, განსაზღვროს, თუ ვის მიერ და როგორ უნდა ისწავლებოდეს სკოლაში რელიგია. ის ასევე ეწინააღმდეგება მშობლების უფლებას, საკუთარი რელიგიური რწმენის შესაბამისად აღზარდოს შვილი. მემორანდუმი, რომელიც სასწავლო პროცესების დაგეგმვასა და სასწავლო პროგრამების შემუშავებაში მართლმადიდებელი ეკლესიის ჩართვას ითვალისწინებს, ორმხრივი შეთანხმებაა, რაც გამორიცხავს ამ პროცესში სხვა, საქართველოსთვის არატრადიციული რელიგიური მიმდინარეობების მონაწილეობას. შედეგად, იგი მართლმადიდებელ ეკლესიას სხვა კონფესიებთან მიმართებით უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. იმავე საკითხებზე სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების აზრი სრულიად უგულებელყოფილია და საერთოდ, დასაშვებია თუ არა რელიგიის სწავლება საშუალო სკოლაში? მიუხედავად ხელმოწერილი მემორანდუმისა, დღეისთვის ოპონენტთა აზრი გამარჯვებულია და საქართველოს საჯარო სკოლები არათუ რელიგიური საგნებისგან, არამედ რელიგიური ატრიბუტიკის ნიშნებისგანაც სრულიად გაწმენდილია. არადა ევროპული გამოცდილება სრულიად სხვა გზას გვთავაზობს.

ევროკავშირის ქვეყნებში განასხვავებენ სამოქალაქო-საეკლესიო სამართლებრივი სისტემის სამ ძირითად ტიპს. პირველი ძირითადი ტიპისთვის დამახასიათებელია სახელმწიფო ეკლესია, ანუ დომინანტი ეკლესია. ასეთი სისტემის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია სახელმწიფო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის არსებული მტკიცე კავშირი და ამ სისტემებს მიეკუთვნება ინგლისის, დანიის, საბერძნეთის, მალტისა და ფინეთის ეკლესიები. ასევე არსებობს სახელმწიფოსგან ეკლესიის მკვეთრი გამოყოფის იდეაზე დაფუძნებული სისტემა, რომლის მაგალითია საფრანგეთი, თავისი სამი აღმოსავლური ტერიტორიული ერთეულის გამოკლებით, აგრეთვე ნიდერლანდები. მნიშვნელოვან სამართლებრივ გამოყოფას ვხვდებით აგრეთვე ირლანდიაში. მესამე ტიპს განეკუთვნება სახელმწიფოსა და ეკლესიის გამოყოფა იმავდროულად ისეთი ამოცანების დასახვით, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია სახელმწიფოსა და ეკლესიის მჭიდრო თანამშრომლობით. ამ ჯგუფში შედის: ბელგია, პოლონეთი, ესპანეთი, იტალია, უნგრეთი, ავსტრია, ბალტიისპირეთის ქვეყნები და პორტუგალია. ზოგიერთ ასეთ სახელმწიფოში მნიშვნელოვან როლს სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის ასრულებს არსებული შეთანხმებები და აქედან გამომდინარე, ბევრს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს და ეკლესიის ასეთი ურთიერთობა შეთანხმებითი ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეთანხმებები მნიშვნელოვანია, ამ მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება არ იქნებოდა მიზანშეწონილი. როგორც ჩანს, ისინი კი არ ადგენს, არამედ ასახავს სინამდვილეში არსებულ თანამშრომლობის სისტემას. მიუხედავად სხვადასხვა სამართლებრივი სისიტემების არსებობისა ევროკავშირში

არსებობს რელიგიის განსაკუთრებული ასპექტების არსებობის აღიარების გაბატონებული ტენდენცია. ეს განსაკუთრებულად ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ეს პრინციპი გარკვეული იდეოლოგიისაკენ მიდრეკილი ორგანიზაციებისთვის მოქმედებს და მის თანახმად, ამ ორგანიზაციის იდეოლოგიური ტენდენცია, იქნება ეს პოლიტიკური, სოციალური თუ რელიგიური, გავლენას ახდენს თანამშრომლის ამ ორგანიზაციის ერთგულებაზე ან ამ დაწესებულების შიდა საორგანიზაციო სტრუქტურაზე. ასეთი მოთხოვნების ერთიანობას უფრო საფუძვლიანად მოიცავს რელიგიის თავისუფლების იდეა, რომელიც უფრო უშუალოდ და ზუსტად გამოხატავს ეკლესიებისა და რელიგიური თემების

განსაკუთრებულ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები კი ითვალისწინებს, მათ შორის, რელიგიური განათლების უზრუნველყოფას სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან.

სახელმწიფო და ეკლესია დანიაში.

,,ქრისტიანული სწავლების'' პრაქტიკა დაწყებით სკოლებში 1975 წლიდან შეიცვალა ,,რელიგიათმცოდნეობის'' სწავლებით. მიუხედავად ამისა, ,,დაწყებითი განათლების შესახებ'' აქტი (730/2000) ეხება სწორედ ,,ქრისტიანობის შესახებ მოძღვრების'' სწავლებას. ეს საგანი სასკოლო პროგრამის სავალდებულო ნაწილია სწავლების ყველა საფეხურზე, პირველიდან მეათე კლასის ჩათვლით. თუმცა, ბავშვებს მირონცხებისთვის მომზადების საშუალება ეძლევათ მეშვიდე და მერვე კლასებში. მაღალ კლასებში ბავშვები ეცნობიან სხვა რელიგიებსა და ფილოსოფიის მიმდინარეობებს. ქრისტიანობის სწავლება მოიცავს ევროპისა და დანიის ქრისტიანობის ისტორიას , რეფორმაციას და დანიის სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობას. ამ საგნის სწავლების მიზანია აგრეთვე მოსწავლეებისთვის ბიბლიაზე დაუძნებული, დანიური კულტურის ძირეული ფასეულობების გაცნობა. გიმნაზიასა და საშუალო სკოლაში რელიგია სავალდებულო საგანია მხოლოდ სწავლების ბოლო სამი წლის განმავლობაში. ეს სწავლება ეხება არა მხოლოდ ქრისტიანობას, არამედ ზოგადად რელიგიას.

ბავშვები, რომელთაც არ სურთ მირონცხება, ვალდებულნი არ არიან გაიარონ ჩვეულებრივი ქრისტიანული განათლება მრევლის მოძღვართან მისვლის მაგივრად. მშობლების მოთხოვნის საფუძველზე ბავშვი შეიძლება გაანთავისუფლონ ქრისტიანობის სწავლებისგან, თუმცა, როცა ბავშვი თხუთმეტი წლის ხდება, იგი მშობლების ამ მოთხოვნას თვითონაც უნდა დაეთანხმოს. მასწავლებელს შეუძლია მოითხოვოს, რომ ბავშვი გაანთავისუფლონ ქრისტიანობის სწავლებისგან.

სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში.

დაწყებით და საშუალო სკოლებში რელიგიური განათლების კურსს ასწავლიან აღმოსავლური მართლმადიდებლური ეკლესიის სარწმუნოებრივი მოძღვრებისა და ტრადიციების შესაბამისად. დაწყებით სკოლებში ასწავლიან მასწავლებლები, საშუალო სკოლებში – თეოლოგის კურსდამთავრებულები. ორივე კატეგორია მიეკუთვნება საჯარო მოსამსახურეებს. ისინი იღებენ ხელფასს სახელმწიფოსგან, ხოლო მათი დანიშვნის და სწავლების პროგრამის საკითხებს აკონტროლებს ეკლესია. რელიგიის თავისუფლების პრიციპებიდან გამომდინარე,არამართლმადიდებლური მოწაფეები არ არიან ვალდებულნი, დაესწრონ კურსებს. მშობლები ზრდიან თავიანთ შვილებს საკუთარი რელიგიური რწმენის შესაბამისად.

სახელმწიფო და ეკლესია მალტაში.

სახელმწიფოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის განსაკუთრებული შეთანხმებები არსებობს იმ დოტაციების თაობაზე, რომლებსაც სახელმწიფო აძლევს რელიგიურ სკოლებს მათ მიერ უფასო სწავლების გასაგრძელებლად, ასევე კათოლიკური რელიგიური საფუძვლების სწავლების თაობაზე სახელმწიფო სკოლებს. თეოლოგიური ფაკულტეტი დაბრუნდა უნივერსიტეტში. ეპისკოპოსის ხელისუფლებასთან კონსულტაციით შეთანხმებას მიაღწიეს აგრეთვე საეკლესიო ''ანიმატორების'', როგორც სახელმწიფო სკოლების სულიერი დირექტორების, დანიშვნის თაობაზე.

სახელმწიფო და ეკლესია გაერთიანებულ სამეფოში.

ყველა სახელმწიფო სკოლაში ''ძირითადი სასწავლო პროგრამა'' მოიცავს რელიგიურ განათლებას ყველა მოსწავლისათვის [საგანმანათლებლო აქტი, 2002 წელი, პარაგრაფი მე-80 (1)] და სახელმწიფო სასწავლო პროგრამას, რომელიც შედგება მთელი რიგი სხვა საგნებისგან; ამრიგად, რელიგიური განათლება სარგებლობს განსაკუთრებული სტატუსით. 1870 წლიდან ინგლისის სახელმწიფო სკოლებში რელიგიური განათლება არადენომინაციური ხასიათისაა. ადგილობრივი ''შეთანხმებული სასწავლო პროგრამების'' შედგენა ექვემდებარება საკმაოდ რთულ პროცედურას, რომელიც პირველად 1944 წელს წარმოადგინეს. ამ დროს იწვევენ კონფერენციას, რომელიც ოთხი კომისიისგან შედგება. ყველა კომისიამ უნდა მოიწონოს წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა. ეს კომისიები წარმოადგენს:

ა) ინგლისის ეკლესიას (რომელიც არ წარმოადგენს უელსის გარკვეულ ნაწილს);
ბ) ისეთ ქრისტიანულ და სხვა აღმსარებლობებს, რომლებიც ასახავს მოცემული ოლქის ძირითად რელიგიურ ტრადიციებს;
გ) მასწავლებელთა კავშირებს;
ე) ადგილობრივ საგანმანათლებლო ხელისუფლების ორგანოს [საგანმანათლებლო აქტი, 1996 წელი, ცხრილი 31]

ამ პროცედურით ინგლისის ეკლესიის წარმომადგენლებს ეძლევათ ვეტოს უფლება, მაგრამ მათ არ შეუძლიათ, დაჟინებით მოითხოვონ სასწავლო პროგრამაში ისეთი ელემენტების შეტანა, რომლებიც სხვა ჯგუფებისათვის მიუღებელი იქნებოდა, აგრეთვე – კონფესიური ხასიათის სასწავლო მასალის შეტანა. ნებისმიერი შეთანხმებული სასწავლო პროგრამა უნდა ასახავდეს იმ გარემოებას, რომ დიდი ბრიტანთის რელიგიური ტრადიციები ძიირითადად ქრისტიანულია, თუმცა აგრეთვე ითვალისწინებს სხვა ძირითად რელიგიებს, რომლებიც გავრცელებულია დიდ ბრიტანეთში [საგანმანათლებლო აქტი, 1996 წელი, პარაგრაფი 375(3)-ე].

1998 წლის განათლების რეფორმის აქტი შეიცავს აგრეთვე სახელმწიფო სკოლებში რელიგიური ღვთისმსახურების დებულებებს. თითოეულ სასწავლო დღეს ყველა მოსწავლე ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს კოლექტიური ღვთისმსახურების აქტში [იქვე, პარ. 70-ე]. მას უნდა ჰქონდეს "მთლიანად, ან ძირითადად ფართო ქრისტიანული ხასიათი", მაგრამ არ უნდა იყოს დამახასიათებელი რომელიმე განსაზღვრული დენომინაციისთვის. არ არის აუცილებელი ღვთისმსახურება მხოლოდ ქრისტიანული იყოს, რადგან ზოგიერთი ადგილის სოციალური ვითარება ისეთია, რომ მოსწავლეთა უმეტესობა შეიძლება ეკუთვნოდეს სხვა რწმენას; მაგრამ აუცილებელია ნებისმიერ შემთხვევაში ღვთისმსახურება შესრულდეს მოსწავლეთა უმრავლესობის რწმენის შესაბამისად [იქვე, სქემა 20, პარ. მე-3.].

ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობის შესწავლისას, ძალიან იოლია იმის დანახვა, რომ აბსოლუტურად ყველა ქვეყანაში ისტორიულად ტრადიციულ ადგილობრივ ეკლესიებს მეტნაკლებად გააჩნია უპირატესი უფლებრივი მდგომარეობა სხვა რელიგიებთან შედარებით. ეს ფაქტი ბუნებრივია იმდენად, რამდენადაც დემოკრატიული საზოგადოებისა და სახელმწიფოს პრინციპები არ უარყოფენ ისტორიულ სამართლიანობასა და ერის სოციალურ, კულტურულ და სულიერ საგანძურს, რომელიც განუყოფელია ეროვნული ეკლესიისაგან. ევროპაში არ ივიწყებენ, რომ ეროვნული ცნობიერება და ფასეულობები საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა ზუსტად ქრისტიანული ეკლესიის წიაღში, ხოლო რაც შეეხება ევროპის მართლმადიდებელ ქვეყნებს, უნდა აღინიშნოს, რომ, კათოლიკური ქვეყნებისგან განსხვავებით, ისტორიულად აქ არასდროს არსებობდა ოპოზიცია საერო და საეკლესიო ხელისუფლებებს შორის, არ არსებობდა დაპირისპირება ამ ორგანიზმებს შორის. პირიქით, ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიები ყოველთვის იყვნენ ეროვნული სახელმწიფოებრივი ცნობიერების სულის ჩამდგმელები, რამაც ბევრწილად განაპირობა დამოუკიდებელი, ეროვნული სახელმწიფოების შექმნა. ჩვენ, მართალია, მხოლოდ განვიხილეთ სამოქალაქო-საეკლესიო სამართლებრივი სისტემის სამ ძირითად ტიპიდან მხოლოდ ერთი, მაგრამ როგორც წესი ყველა ტიპის (საფრანგეთის ზოგიერთი პროვინციის ჩათვლით) სისტემაში

ადამიანთა უფლებების დაცვის შესახებ ყველა საერთაშორისო დოკუმენტი ადასტურებს რელიგიის შესწავლის აუცილებლობას ზოგადსაგანმანათლებლო სახელმწიფო სკოლებში. საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკა არ კრძალავს რელიგიური სიმბოლოების განთავსებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ბიბლიოგრაფია

1. Inger Dubeck, in: European Consortium for State-Church Research (ed.), Marriage and Religion in Europe, Milano, 1993.

2. Inger Dubeck, in: Gerhard Robbers (ed.), State and Church in the European Union. Baden-Baden, 1996.
3. Mavrakis A., The Law of Marriage and Divorce in the Church of England and the Church of Greece in Recent Times, 1850-1980, Athens 1992.
4. A. V. Laferia, British Malta, 2 tomi, Aguiline& co., malta 1938. s
5. N. Doe, Canon Law in the Anglican Communion, Oxford University Pres, 1998;
6. M. Hill, Ecciesiastical Law (2 ed), , Oxford University Pres, 2001;
7. E. G. Moore, Introduction to English Canon Law (ed T Briden and B J T Hanson), 3 rd edn, Mowbray 1992;
8. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2005 წლის პირველ ნახევარი. გამოქვეყნებული საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალურ საიტზე: წწწ.ომბუდსმან.გე 15/07/2008.
9. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო, ავტოკეფალურ, მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, გამოქვეყნებული: 'საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კალენდარი 2006", საქართველოს ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზიის დეპარტამენტი, გვ. 206.
10. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობლივი კომისიის ურთიერთგაგების მემორანდუმი.. გამოქვეყნებული საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალურ საიტზე: www.patriarchate.ge/ne/xronika.htm 6/17/2005..

Archpriest Levan Mateshvili, PhD in History

Confessional Education in Public Schools

Religion is a part of school curricular throughout the world – from Turkey to the USA, from Western Europe to Israel. It is not correct to consider religious education in state schools as violation of democratic principles, moreover, such attitude is misinterpretation of the nature and essence of a true democratic state.
We have considered here only one of the three basic types of civil and church legal systems but as a rule, in all types of systems all international documents (including some French provinces) prove the necessity of religious study in state secondary schools. International legal practice does not ban placement of religious symbols in secondary education institutions.

დეკანოზი კახაბერ შურღაია
დოქტორანტი

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნის "საეპისკოპოსოები ლაზიკაში" აქტუალობისათვის

უწმინდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ თავის რამდენიმე ეპისტოლესა და ქადაგებაში დასვა და განიხილა ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემატიკური საკითხები, რომლებიც მის უწმინდესობას მიაჩნია პრიორიტეტულად საზოგადოების სულიერი შემობრუნების გზაზე.

ქართული თანამედროვე ისტორიოგრაფიის პრობლემატიკური საკითხების რკვევას მისმა უწმიდესობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია 2006 წლიდან. ამ წლის საშობაო ეპისტოლეში მან აღნიშნა, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია სამწუხაროდ ვერ ასცდა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ საისტორიო მეცნიერებაში დანერგილ თეორიას, რომლის მიხედვითაც ქართველი ერის მთლიანობა და მისი უფლებები საქართველოს მიწა-წყალზე საეჭვოდ ჩანდა.

საქმე ისაა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამჟამად მკვიდრად დანერგილი თეორიით დასავლეთ საქართველო 600 წლის მანძილზე იმყოფებოდა არა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, არამედ უცხო (კონსტანტინოპოლის) საპატრიარქოში. ამ თეორიის თანახმად, რომელიც ასახულია ყველა ცნობარსა, სასკოლო სახელმძღვანელოსა და საენციკლოპედიო სტატიაში თითქოს ქართლის (მცხეთის) საკათალიკოსო IX-X ს-ში „შეიჭრა" დასავლეთ საქართველოს (კონსტანტინოპოლის) საპარტიარქოს იურისდიქციაში და ბერძნული ეპარქიების გაუქმების შემდგომ დასავლეთ საქართველოში თვითონ გაბატონდა - „IX საუკუნიდან მთელ დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესია გაბატონდა" (ქსე, ტ. 10, გვ. 460). საბჭოთა ეპოქაში გავრცელდა ასეთი უმართებულო თვალსაზრისი – „დასავლეთ საქართველოში ბერძნული კათედრების მოშლა და მათ საპირისპიროდ ქართული საეპისკოპოსო ცენტრების დაარსება საბოლოოდ X საუკუნეში სრულდება" (ნარკვევები, ტ. II, 1973, გვ. 427). თუ როგორი „რეაქციული იყო ქართული ეკლესიის პროზელიტიზმი - კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შეჭრა" - ამის შესახებ ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფია წერს: ქართველები დასავლეთ საქართველოდან სდევნიან ბერძნულ ენას, ბერძნულ ვიწრო ეროვნულ კულტურას, შემოაქვთ და ავრცელებენ საკუთარ, ქართულ ენას, ქართულ ღვთისმსახურებას და ქართულ საეკლესიო სამონასტრო წესებს. ქართულ 1

კულტურას თან მოჰქონდა ქართული პოლიტიკური შეგნება და იდეალი, ასე რომ „მცხეთა ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ელემენტზე დაყრდნობით) შეიჭრა ლიხთ-იმერეთში, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, ფორმულა წამოაყენა თავისი ორგანიზაციული გაბატონების დასასაფუძნებლად - ცხადია, მცხეთის საკათალიკოსოს მხრივ, ეს არის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით" (იქვე, ნარკვ. II. 1973, გვ. 586).

ქართველ ავტორებზე დაყრდნობით საეკლესიო სეპარატისტი დ. დბარი ეჭვმიუტანელ ფაქტად მიიჩნევს თვალსაზრისს, რომ დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა და იქ ღვთისმსახურებისათვის ეკლესიებში არა მხოლოდ ბერძნული, არამედ აფხაზური ენაც გამოიყენებოდა, ხოლო შემდეგ თითქოსდა დასავლეთ საქართველოს ეკლესია და აფხაზური სახელმწიფო ქართველმა აგრესორებმა ქართული ეკლესიის წინამძღოლობით დაიპყრეს და აფხაზური ეკლესია ჩაკლეს (იხ. წიგნში Иеромонах Дорофей «Дбар» 'Краткий очерк истории Абхазской Православной Церкви~ Новый Афон).

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში დანერგილი ამ თვალსაზრისის გამო ქართველ ავტორებს ძალზე ხშირად უთითებენ სეპარატისტები თავიანთ შრომებში. ამ ნაშრომებით მათ საერთაშორისო საეკლესიო წრეებიც კი დააინტერესეს. ამის გამო 2011 წლის 20 დეკემბერს წმ. სინოდმა თავისი სხდომაზე მიიღო შემდეგი დადგენილება „საბჭოთა პერიოდში ხდებოდა საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის გაყალბება. შეცდომების გამოსასწორებლად შეიქმნას ისტორიკოსთა ჯგუფი მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ხელმძღვანელობით." ხოლო წმ. სინოდის მეორე სხდომა, რომელმაც მიიღო საგანგებო დადგენილება საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემატიკასთან დაკავშირებით შედგა 2012 წლის 5 ივლისს.

წმ. სინოდის 2012 წლის 5 ივლისის დადგენილებაში ნათქვამია - „XIX საუკუნის მეორე ნახევარში და განსაკუთრებით XX ს. კომუნისტების მმართველობის ხანაში მიზანმიმართულად შეიცვალა და გაყალბდა შეხედულება საქართველოს ეკლესიის საზღვრების შესახებ"…. დადგენილების თემატიკას ეხმიანება მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ფუნდამენტური ნაშრომი "საეპისკოპოსოები ლაზიკაში" (გამ-ბა "ტექნიკური უნივერსიტეტი, 2011). აღნიშნული ნაშრომი უმნიშვნელოვანეს კვლევას წარმოადგენს თანამედროვე ქართულ საისტორიო მეცნიერებაში. ამ ფაქტმა განაპირობა მისი შესწავლა.

წიგნის აქტუალობა: ზოგადად ლაზიკის ეპარქიის კვლევა – მისი მდებარეობის ძიება, იურისდიქციის საზღვრების კვლევა, და დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევა უაღრესად საშური და აქტუალურია დღევანდელ ქართულ თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ამ საკითხებზე გაბატონებული მცდარი შეხედულებების გამო. აუცილებელია მათი დამსხვრევა და მართებული თვალსაზრისის, რომელიც დამტკიცებულია მრავალი წყაროს შეჯერების საფუძველზე, მიღება.

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ნაშრომის მიზანია:

საქართველოს წმიდა ეკლესიის იურიდიქციის საზღვრების კვლევა მისი დაარსებისთანავე;

ლაზიკისა და ლაზიკაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიების ადგილმდე-ბარეობის განსაზღვრა, თუ სად მდებარეობდა ლაზიკა VI საუკუნეში, ანუ პროკოფი კესარიელის ეპოქაში.

დავადგინოთ არის თუ არა ქალაქი ფაზისი, დღევანდელი ქალაქი ფოთი თუ ქალაქი ფადისა, მდ. ფაზისი კი მდ. რიონი თუ მდ. ჭოროხი.

დავაზუსტოთ სარაპანასა და სკანდას მდებარეობა, პალიასტომის ტბის გაჩენის დრო.

გავარკვიოთ, შედიოდა თუ არა დღევანდელი დას. საქართველოს ტერიტორია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში.

აღნიშნული კვლევა აქტუალურია, რადგან იგი წარმოადგენს ფაქტებზე (მათ შორის არქეოლოგიურ, ნუმიზმატიკურ და სხვა, მათ შორის გეოლოგიურზე), ასევე ძველ წყაროებზე დაყრდნობით კვლევა იმისა, რომ სინამდვილეში გაქრისტიანებისთანავე, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა იმყოფებოდა ქართული ეკლესიის იურიდისქციაში, კერძოდ კი მტკიცება იმისა, რომ წმ.ნინოს ეპოქაში ქართლის ეკლესიის იურისდიქცია მოიცავდა ქართლის სამეფოს ტერიტორიას, რომელიც წყაროების მიხედვით განრვცობილი იყო მდ.ეგრისწყლიდან ვიდრე ჰერეთამდე ანუ იორ-ალაზნის შესართავამდე.

ასევე ძველი ქართული წყაროების ცნობები, რომლებიც დასტურდება და მთლიანად შეესაბამება ბერძენ-ლათინ მწერალთა ცნობებს.

თემის შინაარსიდან, მისი სპეციფიკიდან და კვლევის ობიექტიდან გამომდინარე გამოყენებული უნდა იყოს კვლევის შემდეგი მეთოდები: ისტორიულ შედარებითი, სისტემური, აღწერილობითი და შეფასებითი.

ლაზიკის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის განსაზღვრას უპირველესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლისათვის, ლაზიკის ზუსტი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის განსაზღვრის გარეშე შეუძლებელია პირველი ათასწლეულის საქართველოს ეკლესიის ისტორიის დაწერა.

ლიტერატურა

1. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. "საეპისკოპოსოები ლაზიკაში", ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2011, 863 გვ.

SUMMARY

Kakhaber Shurgaia

In the decree of the Holy Synod of July 5, 2012 it is said – "In the second half of the XIX century and especially in the XX century, in the period of the Communist ruling the view about boards of the Georgian Church was intentionally falsified"… A fundamental work of the Mitropolitan Anania Japaridze "Episcopates in Lazika"(Technical University, 2011) deals with the issue mentioned in the decree. This work is the most important research in the modern Georgian historical science. This fact has caused a studying of this work.

ლაშა ცაიშვილი
დოქტორანტი

ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელი"

გველის-მჭამელი ერთ-ერთი გამორჩეული მოკაშკაშე მნათობია ვაჟას ლიტერატურულ სამყაროში, მისტიკა, სიმბოლიკა, ალეგორიები, წარმართული თუ ქრისტიანული სიბრძნის სინთეზი ისეა დალექილი ამ ნაწარმოებში, როგორც ზღვის ფსკერზე ძვირფასი. მარგალიტები, რომელთა წვდომაც ერთობ მარჯვე გამოცდილი აკვალანგის ცოდნას მოითხოვს. როგორც ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს, გველის მჭამელის საძერწ მასალას ძველი წარმართული ლეგენდა წარმოადგენს, მინდიას შესახებ სადაც მინდია ხდება რა გასაოცარი ნიჭის პატრონი დიალოგში შედის ბუნებასთან, სამყაროსთან ღვთაებრივი ნიჭის დაკარგვის შემდეგ კი დრამატულად ასრულებს ცხოვრებას. შეიძლება ვივარაუდოთ რომ ვაჟამ ამ ლეგენდაში შეიგრძნო გამოგლოვება ბუნებასა და ადამიანს შორის შეწყვეტილი მეგობრული ურთიერთობისა; და თავად გველის მჭამელი დატირებაა ადამიანში გარდაცვლილი ადამიანისა (ადამიანურობისა). ამ ნაწარმოებში მოკლედ არის აღწერილი ადამიანის წუთისოფელში არსებობის ისტორია დასაბამიდან დღემდე, მასში აღწერილია ადამიანის სულიერი ზეობა, აპოთეოზი და დაცემა. მინდიას ადამიანურ სუბსტანციაში ეკლექტურად ზავდება პირველი და დღევანდელი ადამიანი. ამჯერად საინტერესოა მოძიება ამ საფუძვლებისა ვაჟას მისტეოგრაფიულ გველის-მჭამელში.

შესაძლოა ლეგენდა თავის თავში ენიგმურად ფლობდა ადამის მისტერიას, თუმცა ამის მტკიცება ფრიად რთულ საკითხს წარმოადგენს, ზ. გამსახურდია წიგნში „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება" აღნიშნავს „რელიგიურ მითოსური სიმბოლოებისა და ალეგორიების შედარებითი შესწავლა გვარწმუნებს რომ მათი გავრცელების მასშტაბი არ შემოიფარგლება ამა თუ იმ ერის და რელიგიის კონკრეტული კულტებით თუ რელიგიური და მითოლოგიური ძეგლებით, მათი მრავალგვარი მეტამორფოზები გვხვდება სხვადასხვა ერების და ეპოქების საკრალურ ქმნილებებში, აგრეთვე ხალხურ ეპოსში, ლეგენდებში, საგებში და ჯადოსნურ ზღაპრებში."...[ზვიად გამსახურდიას ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება" ს.უ.კავშირის აუდიო ბიბლიოთეკა].

უნდა ითქვას, რომ ვიდრე მოსე წინასწარმეტყველი პირველად წერილობით დაწერდა სამყაროს შექმნისა და პირველი ადამიანების ისტორიებს, მანამდე ეს ამბები მითებად გადაეცემოდა თაობებს. საინტერესოა რას გადმოგვცემენ ეს სახალხო ცნობები ყოველივე ზემოთხსენებულზე, ამ საკითხს ეხება ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე თავის წიგნში „ადამიდან იესომდე": „ცნობები ქვეყნისა და ადამიანის შექმნაზე, ადამისა და ევას ცხოვრებაზე, წარღვნასა და ყოველივე სხვაზე, რაც მოსემდე მოხდა, დედამიწის ხალხთა შორის ვრცელდებოდა ზეპირი გადმოცემებითა და თქმულებებით. რადგან მოსემდე საღვთო წერილის წიგნები არ არსებობდა, ქვეყნიერების ამბები გადაეცემოდა თაობიდან თაობას, მამიდან-შვილს, წინაპართაგან-შთამომავლებს. ამიტომაც, ცხადია, დედამიწის თავდაპირველ ხალხებს, მოსემდე მცხოვრებთ, შემონახული უნდა ჰქონოდათ ქვეყნის გაჩენის ამბები. ეს შეეხება განსაკუთრებით შუამდინარეთში მცხოვრებ ხალხებს, რადგანაც სწორედ იქ შეიქმნა ადამიანთა პირველი საზოგადოება შემდგომად წარღვნისა, ჩამოყალიბდა პირველი ენები და ხალხები". [ეპისკოპოსი ანანია „ადამიდან იესომდე" გამომც. „საქართველო" თბ.1994წ.გვ10-11]

ეპისკოპოსი ანანია თავის წიგნში „ადამიდან იესომდე" დეტალურად გვთავაზობს ამ თქმულებათა შინაარსს „თავდაპირველი სამყარო შესაქმემდე შუამდინარელთა გადმოცემით ასეთია-". . . „მაღლა ცა არ იყო ხმობილი, დაბლა-მყარს სახელი არ ერქვა". „მთელი ქვეყანა ზღვა იყო ოდენ" (ძველი შუამდინარული პოეზია,1 987წ.გვ.100). შუმერთა რწმენით დურქნი („ჭიპლარი ცისა და მიწისა")

არის ის ადგილი, საიდანაც უნდა დაწყებულიყო ცისა და მიწის (ერთდროს გა-ნუცალკევებელის) დაშორიშორება ანუ სივრცის წარმოქმნა" (ზ.კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი, 1984, გვ.23). უფალმა შექმნა მნათობებიც-,,ზეცის შუაგულში აზიდა ზენადი, მთვარე ამოანთო, მფლობელად ღამისა" (პოეზია, გვ. 116). შექმნა პირველი კაცი - ,,ჩამოდის დედამიწაზე, აკეთებს ადამიანს თიხისაგან . . . გააცოცხლებს თავის შექმნილ ადამიანს და ასწავლის მას მიწიერი არსების ქცევებს: ჭამას, სმას, სიარულს, ლაპარაკს და აზროვნებას. ამის შემდეგ ენქი გააჩენს მცენარეულ და ცხოველთა სამყაროს" (ჯ. შარაშენიძე, ძველი შუამდინარეთის კულტურა, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, 1988,გვ.101). ,,შეიქმნა ,,ანუ", პირმშო მათი. . . რადგან ანშარმა თავის ხატად შექმნა. ანუმ თავის ხატად შექმნა ნუდიმუდ" (პოეზია გვ.101) ბაბილონურ ლურსმნურ ტაქსტებში იხსენიება –,,ხე ცხოვრებისა, წარღვნის შემდეგ" მარდუქი ამბობს: ,,ქარვის ხეს, მესს, ადგილი შევუცვალე, რომ ვერავის ეპოვნა" (ლექსიკონი, გვ.38). ნაპოვნია ერთი ასურულ–ბაბილონური ბარელიეფი, რომელზეც გამოსახულია ტოტებგაშლილი ხე, ქვედა ტოტზე ორი დიდი ნაყოფი ჰკიდია, ხის აქეთ-იქით მოთავსებულია ადამიანის ორი ფიგურა, ქალი და კაცი, ხელი ნაყოფისკენ აქვთ გაწვდილი, მათ უკან გველი მოჩანს." [ეპისკოპოსი ანანია ,,ადამიდან იესომდე" გამომც. ,,საქართველო" თბ.1994წ.გვ.11-12].

ამდენად შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ მინდიას ისტორია არის ქართულ რეალობაში ასახული მცირედი ანასხლეტი ამ უძველესი მითებისა; და თუ ეს ასე არ არის, მაშინ ვაჟამ ინტუიტურად თუ მწერლური ხელოვნებით თავად მიანიჭა მინდიას ისტორიას მსგავსი შინაარსის დატვირთვა. ერთი, რამ უთუოდ ცხადია, რომ მინდიასა და ადამის პერსონაჟები და ბედისწერა საოცრად ჰგვანან ერთმანეთს. ორივე ზებუნებრივი ნიჭების მატარებელნი არიან, ფლობენ ქმნილებათა ენას და განსაკუთრებული მისია აკისრიათ. თუმცა ორივენი აღმოჩნდებიან ბოროტ ძალთა ტყვეობაში. მინდია-ფიზიკურად, ადამი-სულიერად; ორივე ეწაფება შემეცნებას გველის მონაწილეობით, საბოლოოდ კი ცოლები ხდებიან მათი დაცემის მიზეზნი და ორივე ხდება თვითმკვლელი. მინდია პირდაპირი გაგებით, ადამი კი სულიერი თვალსაზრისით, რადგან სიკვდილი ცოდვით დაცემის შემდეგ შემოვიდა ადამში და იგი შეიქმნა მოკვდავი. მინდია და ადამი აღმოჩნდნენ სიკეთისა და ბოროტების, სულიერისა და ამქვეყნიურის, ჭეშმარიტი ადამიანობისა და ადამიანის დაცემულობის ზღვარზე, მაგრამ გამოცდის ჩაბარება ვერცერთმა მათგანმა ვერ შეძლო.

ლიტერატურა

1. გამსახურდია ზ. ,,ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება" (ს.უ. კავშირის აუდიო ბიბლიოთეკა)
2. ეპისკოპოსი ანანია ,,ადამიდან იესომდე" გამომც. ,,საქართველო" თბ., 1994წ.

რეზიუმე

ვაჟა-ფშაველას ,,გველის-მჭამელი"

ლაშა ცაიშვილი

სტატიაში საუბარია ვაჟა-ფშაველას უკვდავი პოემის ,,გველის-მჭამელისა" და პირველ ადამიანთა ბიბლიური ისტორიის ონტოლოგიურ პარალელებზე. კერძოდ, ადამისა და მინდიას პიროვნულ თუ ცხოვრებისეულ მსგავსებასთან დაკავშირებით. და ასევე იმის შესახებ, თუ როგორ ტრანსფორმირდებოდა კაცობრიობის უძველესი ისტორიები სხვადასხვა ისტორიებსა თუ მითებში, ზეპირ გადმოცემებსა და საკრალურ ქმნილებებში.

ლელა ბოქოლიშვილი
დოქტორანტი

წმიდა ეპისკოპოსის, გაბრიელ ქიქოძის ქადაგების მიხედვით შექმნილი ღვთისმშობლის ხატის სიმბოლური გააზრებისათვის

ღვთისმშობლის წილხვედრ ერს იბერიისას მუდამ გამოარჩევდა დედა ღვთისას განსაკუთრებული სასოება და სიყვარული. ქალწულ მარიამისადმი ამგვარი დამოკიდებულების ასახვა ყველაზე ნათლად ქართული საეკლესიო ხელოვნების დარგებში მოხდა, როგორც სატაძრო არქიტექტურაში, (იგულისხმება ღვთისმშობლის სხვადასხვა დღესასწაულის სახელზე აგებული ტაძრები) – ასევე მონუმენტურ ფერწერაში, ხატწერაში, ლითონმქანდაკებლობაში, ნაქარგობაში, მინანქარსა და ხელოვნების ნებისმიერ სხვა დარგში.

ამ ვითარებამ განაპირობა მრავალი იკონოგრაფიული სახესხვაობის ფორმირება. შეიქმნა ღვთისმშობლის ცალკეული გამოსახულებები, რომელიც ჩამოყალიბდა: ოდიგიტრიის, ელეოსას, ორანტას, ნიკოპეას, კიპრიოტისას და ა.შ. ტიპებად გვხვდება უშუალოდ ქართული იკონოგრაფიის მატარებელი გამოსახულებებიც, რომლებიც აგრეთვე ვლინდება სიუჟეტურ კომპოზიციებში და დაკავშირებულია - სახარებისეულ („მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა“, „ხარება“, „შობა“, „მირქმა“, „კანას სასწაული“) თუ აპოკრიფულ სცენებთან („ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება“, „ხარება ჭასთან“, ‘ღვთისმშობლის გამოცდა წყლით“ და ა.შ), მათ ემატება ღვთისმშობლის დაუჯდომლის და მის მიერ აღსრულებული სასწაულების გამოსახვა.

ღვთისმშობლის იკონოგრაფიული სახეების შესწავლას წლების განმავლობაში მიეძღვნა მრავალრიცხოვანი ნაშრომი და მონოგრაფიები.

ამჟამად ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთ განსაკუთრებულ შემთხვევაზე და მოვიხმოთ მცირე ამონარიდი წმინდა ეპისკოპოსის, გაბრიელ ქიქოძის ხარების დრესასწაულის ქადაგებიდან, იგი ბრძანებს: „მე თვითონ არ მინახავს და გამიგონია სარწმუნოთა კაცთაგან, რომელ ერთ ძველად-ძველ ეკლესიასა შინა კედელზედ არის დახატული ყოვლადწმიდა ღვთისმსობელი და მის წინ ძევს მატყლი. ხელში უჭირავს მატყლი და ქსოვს მატყლსა. ნეტამც ჩემი თვალით მენახა ეს ხატი, მაშინ მე გავიცნობდი მეორესა კერძოისა საღმრთოთაისა მისის ხასიათისასა და უდიდესსა პატივსა და კრძალვასა მისადმი იგრძნობდა გული ჩემი. კარგი რამ იქნებოდა, რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ესრეთ ხატი ყოვლადწმიდისა, რომ ერთ კერძო მისა იდგეს და შესცქეროდეს მას სიყვარულისა ღიმილითა ღვთაებრივი ყრმა, ხოლო თვით მას ხელში ეპყრას მატყლი და ტარი სახესა ზედა მისსა ღვთაებრივითა კარგითა ხელოვნებითა იყოს გამოყვანილი ის ღვთაებრივი სიწმინდე, სიშვიდე და სიყვარული თვალთა შინა მისთა ბრწყინვიდეს, რომელი წარიტაცებენ კაცის გულსა. ესრეთ ხატი იქმნებოდა ჭეშმარიტი დროშა ანუ სიმვოლო, ე.ი ნიშანი ყოველი ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისა, ამინ!“

ამ ქადაგების მიხედვით, 2011 წლის გაზაფხულზე, მიტროპოლიტ ანანიას ლოცვა-კურთხევითა და პროფესორ ივანე გორგიძის ძალისხმევით შეიქმნა (ხატმწერი თავდაპირველად ლაშა მათიაშვილი, მოგვიანებით მაია ყარყარაშვილი) წმინდა გაბრიელ ქიქოძის ნანატრი ღვთისმშობლის ხატი. სადაც სადა, ორ ნაწილად გაყოფილ ფონზე წარმოდგენილია აღსაყდრებული ღვთისმშობელი მუქი ლურჯი სტოლათი და ძოწისფერი მაფორიუმით მოსილი, რომელზეც ტრადიციისამებრ სამი ვარსკვლავია გამოსახული – დასტური სამგზის ქალწულებისა: შობამდე, შობისას და შობის შემდგომ. ძოწისფერი სამოსით გამოსახვა დედაღვთისას განადიდებს, როგორც სამყაროს დედოფალს, და უკავშირდება ბიზანტიურ ტრადიციას, სადაც ძოწისფერი საიმპერატორო ფერი გახლდათ.

ქადაგების თანახმად ხატზე ღვთისმშობელს ხელთ უპყრია თითისტარი და ართავს კალთაში დაგროვილ მატყლს. ღვთისმშობელი თითისტარით ხელში რიგ შემთხვევაში გამოსახული არის ხარების კომპოზიციებში

სადაც მისი სიმბოლური დატვირთვა უნდა უკავშირდებოდეს მაცხოვრის განკაცების დოგმატს და ამ შემთხვევაშიც შეგვიძლია მსგავსად გავიზიაროთ. როგორც ღვთისმშობლის ცხოვრებიდან ვგებულობთ მღვდელთმთავრის კურთხევით იერუსალიმელ წმინდა ქალწულებს უნდა მოექსოვათ იერუსალიმის ტაძრის კრეტსაბმელი, რომელთა შორისაც იყო წმინდა მარიამი. მას წილად ხვდა კრეტსაბმელისთვის მატყლის დართვა. ისტორიული წყაროებით ვგებულობთ, რომ ეს კრეტსაბმელი იყო ძოწისფერი. წმინდა მამები ამ ფაქტს ღრმა სიმბოლურ შინაარსს ანიჭებენ და ამბობენ, რომ როგორც ღვთისმშობელი ართავდა ძაფს და მისგან უნდა მოქსოვილიყო კრეტსაბმელი, მსგავსადვე, ღვთისმშობლის წიაღში დაირთო და მოიქსოვა მაცხოვრის კაცობრივი სხეული. მაცხოვრის სხეულისა და კრეტსაბმელის კიდევ ერთი კავშირი ჯვარცმისას ვლინდება, როდესაც ჯვარზე აღსრულების წამს კრეტსაბმელი განიპო შუაზე. სიმბოლურია ისიც რომ ძაფი, რომელიც ღვთისმშობლის ხელიდან თითისტარზე ეხვევა სისხლისფერია. რაც ამ შემთხვევაში აქცენტს აკეთებს ქრისტეზე, როგორც მსხვერპლზე.

მის მარცხნივ ფეხზე მგდომი ყრმა ქრისტეა გამოსახული, დედისკენ მიბრუნებული, მაკურთხეველი მარჯვენით და დედისგან მზრუნველ, სიყვარულით აღსავსე მზერას იღებს. მცირეწლოვანი ქრისტე მოსილია ძოწისფერი კვართით. მაცხოვრის კურთხევა უშუალოდ მიემართება ხელსაქმისაკენ, რაც სავარაუდოდ ხატმწერმა დაუკავშირა გაბრიელ ქიქოძის სურვილს, რადგან ყოველი ქალი უნდა მიებაძოს ღვთისმშობელს ერთის მხრივ მორჩილებასა და საქმიანობაში, ყველა ქალისთვის დედაღვთისა უდიდესი და სპეტაკი მაგალითი უნდა იყოს. მეორეს მხრივ დედაღვთისას თუ გავიაზრებთ როგორც სიმბოლოს დედა ეკლესიისას, დავინახავთ რომ უფალი აკურთხებს ეკლესიის წმიდა საქმეს და წმიდა ნაყოფს.

,,კარგი რამ იქნებოდა, რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ესრეთ ხატი ყოვლადწმიდისა'' - ამბობს ქადაგებაში გაბრიელ ქიქოძე, რამეთუ იგი წარმოაჩენს ქალის ჭეშმარიტ სათნოებასა და მოვალეობას. იგი ერთგვარ ოჯახის მფარველადაც შეიძლება მივიჩნიოთ, და ვუწოდოთ ,,კერის მფარველი ღვთისმშობელი''. ყოველ დედას შეუძლია განსაკუთრებით ამ ხატს შესთხოვოს თავისი შვილის მფარველობა და სიკეთე. ხატი დაბრძანებულია სამების საპატრიარქო ტაძრის საკურთხეველში და იმედს გამოვთქვამთ, რომ ის ჭეშმარიტად იქნება ,,ნიშანი ყოველი ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისა.''

ლიტერატურა

1. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. – თბილისი, საბჭოთა საქართველო. 1989წ. ტ №1
2. ბიბლია – საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989წ.
3. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ცხოვრება – თბილისი, ფერისცვალების დედათა მონასტერი, 2008წ.

SUMMARY

LELA BOKOLISHVILI
SYMBOLIC COMPREHENSION OF THE ICON OF OUR LADY PAINTED ACCORDING TO ST. BISHOP GABRIEL KIKODZE'S SERMON

In the spring of 2011 they painted the Icon of Our Lady with the blessing of Metropolitan Anania and owing to Prof. Ivane Gorgidze's efforts. The Icon was painted (icon painter Lasha Matiashvili and Maia Karkarashvili) by according to St. Bishop Gabriel Kikodze's sermon dedicated to the Annunciation. This Icon represents novel, unique iconography. It is deemed to be the representation of every woman's duty, honor and significance.

ბადრი ცხადაძე
პროფესორი

სომეხი მეცნიერები და ქართული მემკვიდრეობის (ეკლესიების...) ე. წ. სომხურობის პრობლემა

მსოფლიოში, ყოველწლიურად, როგორც სპეციალისტები გვამცნობენ, 3-5 ენა იღუპება. ენის დაღუპვა (მკვდარ ენად გადაქცევა) არაიშვიათად ერის დაღუპვასაც მოასწავებს (შუმერები, რომაელები, უბიხები და სხვ.). ერთადერთი და სამაგალითო ხალხი, ვინც სარწმუნოებრივ ნიადაგზე თავისი ერი და მამული აღადგინა, აღაზევა, ააღორძინა, ებრაელებია. აი, ვის უნდა მივბაძოთ, აი, რა შეუძლია სარწმუნოებას. მართალია, ქართველები დღემდე ენას, მამულს, სარწმუნოებას მეტ-ნაკლებად ვინარჩუნებთ, თუმცა იქვე, იმავდროულად, ყოველ საუკუნეში, ვკარგავთ ბევრ რამე ნიშნეულს – საკუთარს, ძირეულს, ძირძველს.., მათ შორის ქართულ ტერიტორიებს, აქ მათი სათითოოდ ჩამოთვლა დიდ ადგილს წაგვართმევს; ჩვენთვის ახლაც საშიში და თავსატეხია თუნდაც XX საუკუნის I მეოთხედის თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის „პიკის'' ამსახველი დოკუმენტი – „ყარსის ხელშეკრულებაც'' – წინდაუხედავი შეთანხმების შედეგი (ასევე ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მე-4 სპეციალური მუხლი) იმდროინდელი საქართველოსა („ეროვნული საბჭო'') და ამიერკავკასიის ქვეყნების (სეიმის) მართვა-გამგებლობა, რომელიც „დამოკლეს მახვილივით'' აღგვმართვია თავზე [1, 12].

რა გვჭირს ქართველებს? აკი ყოველთვის თავს და მამულსაც ვიცავდით?

ცნობილ ქართველ პროზაიკოსს მ. ჯავახიშვილს 1935 წელს, ერთგან, რამდენიმეგზის, თავის უბის წიგნაკში ჩაუნიშნავს:

1. „ქვემო იმერელი, გურული და მეგრელი ანალიტიკოსია, ჩვენ კი სინტეტიკოსები ვართ. ეს არის უმთავრესი ძალა ამერელისა და ნაკლი იმერელისა“ [2, 183]. მწერალი ამ შენიშვნით არ კმაყოფილდება და იქვე დასძენს: 2. „ჩვენ, ქართველებს, უფრო კი იმერლებს, ბუნებრივი ენერგია არა გვაქვს. მის ნაცვლად ძალას ნერვიულ ფორიაქში ვეძებთ. შედეგი საშინელია: მალე ვილევით. არ გვყოფნის მიმდევრობა, მუდმივი შრომა, მხნეობა, ჟინიანობა“ [2, 181]; 3. „*საქართველოს რელიგიური ძიება არა აქვს, რადგან შინაგანი თავისუფლებაც არა აქვს*“ [გვ. 181]. 4. „*ღმერთმა რომ საქართველოს გადმოხედოს, ატირდება [2, 183]; 5. „სამი რამ აკლია ქართველს: ეროვნული შეგნება, რეალობის ალღო და შრომის უნარი.*

– ძალიან ცოტა ჰკლებია. არ ვიცი, რაღა შერჩა.

– მადა. ზარმაცობა, ოცნება“ [2, 182].

მწერლის ირონია გასაგებია: 'მართლაც კაი რამე გვკლებია!“ დიდი ქართველის ამ მწარე შენიშვნებს მხოლოდ მის კომუნისტურ ხანაში ყოფას ნუ დავაბრალებთ. ეს ჩვენი ისტორიული თანამდევი სიმართლეა, ჩვენი „აქილევსის ქუსლი“!

ქართველი კლასიკოსის ეს დაკვირვება მრავლისმთქმელია, თითოეული აზრი ღრმად განსაჩხრეკი. განსაკუთრებით მწერლისეული მესამე, მეოთხე და მეხუთე პუნქტები.

ქართველი ბუნებით არა მარტო მცონარა და მეოცნებეა, არამედ მოჩვენებითად საქმიანი და ღალატიანიც. ქართველისთვის მარადიული „ერთგულების'' ცნება არ არსებობს. ერთგულება და პასუხისმგებლობა მისთვის წამიერია, მომენტისეული! ამრიგად, ქართველი ბუნებით ორგული და ღალატიანია. მართალია, ეს უკანასკნელი სიტყვა წარმოშობით არაბულია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი ფარდი, სინონიმი ქართველებს ძველად არ გვქონდა (შდრ. ძველი ქართული (იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ მოხსენიებული) გარდაგულარძნება „გადადრეკა“, გადახრა“ –> „ღალატი, მუხთლობა“).

ჩვენს საკუთარ ბედუკულმართობასა თუ უნიათობას არაიშვიათად და არაერთხელ დროს ან მტერს ვაბრალებთ, თითქოს თავს ვიმართლებთ კიდეც. მაგალითად, ერთ-ერთი ქართველი ისტორიკოსი წერს: „...რუსეთს მიზნად ჰქონდა საქართველო თავის განუყოფელ ნაწილად ექცია – ადგილობრივი მოსახლეობა „ენით, გონებითა და გრძნობით გაერუსებინა", ოსმალეთი და ირანი მიისწრაფოდა ქართველთა „გაუცხოების გზით" საქართველოში „გურჯის" სახსენებელი ამოეგდო, ხოლო სომეხი ვარაუდობდა ამღვრეულ წყალში თევზი დაეჭირა" [3, 518].

აქ გასაკვირი არაფერია – ყველას – ადამიანთა თუ ცხოველთა კრებულს, მაგალითად, მგლის ხროვას, სურს ნადავლი სათავისოდ დაისაკუთროს. აქ უფრო ისაა საინტერესო, კრიტიკულ სიტუაციაში როგორ ვიქცეოდით ჩვენ, როგორ ვწყვეტდით ჩვენს ბედს. საამისოდ „საქართველო-სომხეთის კონფლიქტის" (ანუ სხვაგვარი მოხსენიებით: „სომეხ-ქართველთა ომი") დამოწმებაც გამოდგება, რომლის შესახებ ქართველ მეცნიერთა ერთი (თუ ყველა არა....) აზრი, რეზიუმებული სახით, ასეთია: „ეს კონფლიქტი „წარმოიშვა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სომხეთის დაშნაკურ მთავრობას შორის, ამ უკანასკნელის უსაფუძვლო პრეტენზიების გამო ისტორიული ქართული მიწა-წლის მიმართ (ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს მაზრები). საქართველოს მთავრობამ პრობლემის მოსაგვარებლად წამოაყენა სამშვიდობო კონფერენციის ჩატარების იდეა 1918 წლის ნოემბრისათვის. სომხეთის მხარე წინადადებას მხოლოდ 13 ნოემბერს დათანხმდა და კონფერენციაც 30 ნოემბრისათვის გადაიდო. 6 დეკემბერს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტიგრანიანმა ულტიმატუმი წაუყენა საქართველოს საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს და მოითხოვა ლორე-ახალქალაქის რაიონის დაცლა ქართული ჯარისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში კონფერენციის ჩაშლით დაემუქრა. 9 დეკემბერს სომხურმა რეგულარულმა არმიამ სანაინში დაიწყო სამხედრო ოპერაციები. საქართველოს მთავრობამ ვითარების შეფასების შემდგომ გამოაცხადა სამხედრო მობილიზაცია და 19 დეკემბერს ელჩ ჯამალიანს დიპლომატიურ ურთიერთობათა გაწყვეტის ნოტა გაუგზავნა. ორი კვირის მანძილზე ქართულმა არმიამ ბრწყინვალე სამხედრო წარმატებას მიაღწია და მტერი მთლიანად გააძევა თავისი ტერიტორიიდან. ქართული ჯარის ძლევამოსილი წინსვლა შეაჩერა ანტანტის სამხედრო დიპლომატიის ჩარევამ (ინგლისელი გენერალი რაიკროფტი და ფრანგი პოლკოვნიკი შარდენი). ნოე ჟორდანიასთან შეთანხმებით, 25 დეკემბერს მიიღეს ზავის დოკუმენტი, რომელიც არსებულ სიტუაციას აფიქსირებდა და ლორეს ნეიტრალურ ზონას ქმნიდა მოკავშირეთა ჯარის პიკეტით. სომხებმა თანხმობა მხოლოდ 30 დეკემბერს განაცხადეს, როდესაც ვითარება ფრონტზე მათთვის კიდევ უფრო გაუარესდა. ამ სიტუაციაში ყარაყალისის ზავს უკმაყოფილებით შეხვდნენ საქართველოს პარლამენტში (სპირიდონ კედიას პროტესტი). 1919 წლის 9-17 იანვარს ტფილისის სამშვიდობო კონფერენციაზე საბოლოოდ დაკანონდა ბორჩალოს მაზრაში ლორეს ნეიტრალური ზონის შექმნა. 1920 წლის სექტემბერში ოსმალეთმა ომი გამოუცხადა სომხეთს. ვინაიდან ლორეს ნეიტრალური ზონისთვის სომხეთს რეგულარული ჯარი აღარ ჰყოფნიდა, 13 ნოემბერს დაიდო შეთანხმება ქართულ მხარესთან, რომ საქრთველოს ჯარი სამი თვით დაიკავებდა ლორეს. 1920 წლის დეკემბერში გასაბჭოებული სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ბეკზადიანმა კატეგორიული ნოტით მოითხოვა ქართული ჯარისგან ბორჩალოს მაზრის დაცლა, რასაც საქართველოს მთავრობამ უარით უპასუხა. 1921 წლის თებერვალში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა ქართველმა ბოლშევიკებმა ლორე მთლიანად სომხეთს გადასცეს" [4, 208-209].

როგორ მართლდება მ. ჯავახიშვილის ზემორე დაკვირვება ქართველებისა და ქართველობის შესახებ! მიუხედავად იმისა, რომ ეს კონფლიქტი თუ ომი არაერთგზის შეფასებულია მკვლევართაგან, ჩვენი მხრიდან აქ მაინც დავძენთ, რომ ქართველების უსუსური პოლიტიკის თუ უნირო, უნდილი, უგვანო და უდღეური დიპლომატიის წყალობით, კონფლიქტი დასაწყისშივე წაგებული ჩანს – ქართველი და საქართველო დამარცხებულია სომხების „დიდებული" და გამჭრიახი და წინმსწრები პოლიტიკურ-დიპლომატიური ნაბიჯებით და არა ოდენ ინგლისელი გენერლისა და ფრანგი პოლკოვნიკის ჩარევით

(ანტანტის სახელით); ქართველების მოქმედება ისეთია, რომ მათი პოლიტიკური და დიპლომატიური ნაბიჯები იმთავითვე განწირულია, „წყლის ნაყვაა", „უშედეგო შედეგია", მათი პოლიტიკურ-დიპლომატიური თუ სამხედრო აზროვნება – ნულის ტოლი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა დროებით, აქაოდა თურქებმა არ დაიკავონ პოზიციები ლორეში, სომხების ნაცვლად დროებით ჩადგნენ ერთ-ერთი მტრის – სომხების სასარგებლოდ. ასეთი გაუგონარი და „გაუაზრებელი უაზრობა" იშვიათად ახსოვს მსოფლიო პოლიტიკას თუ დიპლომატიას. რას ვერჩით სომხებს? ისინი დიდებულად მოიქცნენ!. რას ვერჩით ქართველებს? – ყველაფერს, რაც მათ ჩაიდინეს და მოიმოქმედეს. სამწუხაროდ, ქართველმა მეთაურებმა, პოლიტიკოსებმა არაერთხელ განცდილი მარცხით მაინც ვერაფერი ისწავლეს და კვლავ, არა მხოლოდ რუსებისა და სომხების, ან სეპარატისტულად განწყობილი აფხაზებისა და ოსების ერთობლივი მოქმედებით, არამედ საკუთრივ პოლიტიკურად უმწიფარი ჩვენი უსუსური ნაბიჯებით დღესაც, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, ნაადრევ „სამარეში ვწვებით" – თანდათან ვკარგავთ ქართველობას – დედაენას, ეროვნებას, საკუთარს – მიწას, წყალს, ჰაერს, საზღვრებს, მართლმადიდებლურ ეკლესიებსაც კი, ჩვენსავე ტერიტორიაზე.

და მაინც, რა უნდათ ნიჭიერ, გამრჯე, შრომისმოყვარე, ერთმანეთის გამტან სომხებს ქართველებისგან? რა უნდათ და....

1. სომეხი ისტორიკოსი სამველ კარაპეტიანის აზრით [5, 28], ქართველ-თურქთა მოლაპარაკებებიდან სომხეთის ამოგდება ამორალურია, რადგან ეს ტაძრები (ტაო-კლარჯეთის ქართული ეკლესიები) ქართული კი არა, სომხურია (მაგრამ, როგორც ცნობილია, მის კედლებზე დღესაც რომ ამოტვიფრულია, ტაძრის ამგების ივანე მორჩაიძის სახელი, ტბეთის ხუროთმოძღვრის ვინაობაც ხომ ამ ტაძრის კედელზეა დატანილი – მისი ავტორია შახბუშ თათუხისძე, ხოლო შატბერდის ხუროთმოძღვარი გახლავთ აბესალამა კლდელი).

2. სამველ კარაპეტიანი (რუსი მეცნიერის ტოკარსკის მოსაზრებას დაყრდნობით) 1946 წელს გამოცემულ წიგნში – „ძველი სომხეთის არქიტექტურა", წერს: რომ ტაოს ტაძრები ქალკედონიკმა სომხებმა ააშენესო. ეს მოსაზრებაა და არა ჭეშმარიტება და რეალობა-უტყუარობა. ბ. არველაძის შენიშვნით, ტოკარსკის თავის დროზე სათანადო პასუხი გასცა აკად. ს. ჯანაშიამ ნაშრომით – „ისტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ". ბატონი სიმონი მისთვის ჩვეული არგუმენტირებული მტკიცებით, გვამცნობს და გვარწმუნებს, რომ ეს ტაძრები ქართული წარმოშობისაა. სავსებით მართალია ბატონი ბ. არველაძეც, როცა დასძენს: „ჩვენში ზოგს ეცინება სომეხ ვაი-მეცნიერთა უსაფუძვლო პრეტენზიებზე, მაგრამ მათი უპასუხოდ დატოვებაც არ შეიძლება, რადგან გავა წლები და ეს პრეტენზიები ცუდად შემოგვიბრუნდება". გულისტკივილნარევი გაჯერებული პასუხით ბ. არველაძე ს. კარაპეტიანის შესახებ იმასაც შენიშნავს, რომ ამ უკანასკნელმა 1995 წელს სომხურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოსცა რუკა-ცნობარი – „სომხური ეკლესიები საქართველოში", სადაც ამტკიცებს, რომ თითქოს აღმოსავლეთ საქართველოში, არც მეტი, არც ნაკლები, 653 ეკლესია სომხურიაო. ბ. არველაძემ მის საპასუხოდ 1996 წელს გამოაქვეყნა საპასუხო ნაშრომი (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე) – „სომხური ეკლესიები საქართველოში" [6], სადაც ისტორიული წყაროების მოშველიებით, არგუმენტებით, გააქარწყლა და გააცამტვერა ს. კარაპეტიანის ქართული ეკლესიების სომხურად გამოცხადების „მტკიცებულობა". გაირკვა ისიც, რომ ს. კარაპეტიანის მიერ სომხურად მიჩნეული ეკლესიების 95 პროცენტი ქართულია. ს. კარაპეტიანი სომხურად აცხადებს ..თელეთის წმინდა გიორგის ეკლესიას", მეტიც – ზუგდიდის ეკლესიასაც კი. სომხების სიყალბეს, როგორც იტყვიან, საზღვარი არ აქვს. მაგ., 1919 წელს დაშნაკებმა გამოსცეს ე. წ. „ველიკაია არმენიას" რუკები, სადაც ჩვენი მიწები ლამის იმერეთამდე სომხურად არის გამოცხადებული! ცნობილი ფაქტია ისიც, რომ სომხეთ-საქართველოს ომის წინ დაშნაკურმა მთავრობამ საქართველოს ოფიციალურად წაუყენა პრეტენზია – თბილისი სომხური ქალაქია და დედაქალაქი ქუთაისში გადაიტანეთო!

3. ვინმე ართუშ სანოსიანი ამტკიცებს, რომ აწყური სომხური ტოპონიმია! როგორია მაინც ამ „მკვლევრის'' ეტიმოლოგიური ძიება? მისი „ახსნით'', „აწ'' სომხური ენის ზმნის ნაწილია: „აწელ'' (=„აშენება''), ხოლო ყური „კურის ანუ მტკვრის დამახინჯებული ფორმაა!. მისი „დასკვნით'', *აწყური* თურმე არის „მშენებლობა მტკვრის პირასო''!. ამ ავტორს უნდა შევახსენოთ, რომ ქართულად *აწყურს* ძველად აწყვერი, აწყუერი ერქვა (აქედან ქართული ზეწოდება *მაწყვერელი*). „ყვერ'' სომეხი მეცნიერის ხედვა „ყვერულიდან'' მომდინარეა, თუ „ყურულიდან''? ანუ აწყვერ'ის მეორე ნაწილს როგორ ახსნის ყვერ <– ყურად თუ??? სომხურად *მტკვარ* „ქურ''-ად გამოითქმის: შდრ. ქურა // <–კურა <- მტკურა <– ძვ. ქართ. *მტკუარი* (მ-ტკუ-არ-ი). ქართველური ტოპონიმიისა და ჰიდრონიმიის მკვლევრის პროფ. მ. ბერიძის დასკვნით, კურა'ში ყ ბგერა არასოდეს ყოფილა და ამიტომაც იწერებოდა უცხოურ წყაროებში Ацкур, Аскур, Азгур *აწყურ*ისგან წარმომდგარი მეორეული და ვარიაციული ფორმები. მისივე ახსნით, აწყური იშლება ა და წყურ ელემენტებად: ა-წყურ, ეს უკანასკნელი კი დაკავშირებულია წყალთან. ამრიგად, *აწყურ* წყლიანი ადგილის აღმნიშვნელი სიტყვაა [7, 108]. მართლაც, წყურ ფუძე გვაქვს *წყურია, წყურვილ*, ძვ. ქართ. *წყურავს....* ზმნურ და ნაზმნარ ფორმებში. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, რა პროფესიისა ა. სანოსიანი, თუმცა მისი ეტიმოლოგიური „აღმოჩენები'' მიუთითებენ ლინგვისტურ-ქართველოლოგიური მეცნიერების უკმარისობა-არცოდნაზე.

სომეხი „მეცნიერები'' ასეთივე „წარმატებით'' ამტკიცებენ, რომ ჩვენი კულინარიული სიამაყე *ხაჭაპური*ც თურმე სომხური წარმომავლობისაა: ცხადია, აქ არ ვგულისხმობთ „ახალ სომხურ ეტიმოლოგიას'', რომლის თანახმად ქართული ხაჭაპური ევროპაში მოღვაწე სომხებმა „ხაჩატრიანად'' რომ მონათლეს. ბ. არველაძის თქმით, ჯერ კიდევ საბჭოურ პერიოდში, ერევანში მივლინებისას, სომეხ მეცნიერებს მისთვის უთქვამთ: „ხაჩ'' სომხურად „ჯვარს'' ნიშნავს (ეს მართალაც ასეა!) და აქედან წარმოიშვა ხაჭაპურის სახელდებაო!. თუ ეს ასეა, ხაჭაპური „ქვის პური'' (ან „ქვასავით პური'') ყოფილა, მაგრამ ქვის ანუ ქვაზე გამომცხარ პურში ხაჭო რომ არ ფიგურირებს? ქართველმა ენათმეცნიერმა, პროფ. ზ. სარჯველაძემ X საუკუნის ტექსტში მიაკვლია ხაჭო // ხაჭუა პარალელური ფორმების არსებობას [8, 115]. ღირსსაცნობია, რომ *ხაჭვა* სიტყვაფორმა, მოსალოდნელი *ხაჭო*'ს ნაცვლად, გვხვდება ქართული ენის რაჭულ დიალექტშიც [9], იგი „ხაჭაპურ'' კომპოზიტურ ლექსემაში ვ ბგერის გაუჩინარებითაა მიღებული: *ხაჭაპურ-ი* <– *ხაჭვაპურ*-ი, ასე რომ სომხურ ხაჩ ამ შემთხვევაში გამორიცხულია. აი, ასე იწონებენ თავს ცრუ, ანტიმეცნიერული ეტიმოლოგიებით სომეხი „მეცნიერები''.

აი, მათი კიდევ ერთი „მეცნიერული აზროვნების'' სიღრმე და დონე: აგარონ ადიბეკიანის, დამოუკიდებელი სოციოლოგიური ცენტრის, „სოციომეტრის'' დირექტორის თქმით [10, 28], „ღვინო „*საფერავს*'' სომხეთი საბჭოთა დროს უშვებდა, ის უფრო პოპულარული იყო, ვიდრე თქვენი „საფერავიო'', არაფრის მთქმელია, ბევრს არაფერს ნიშნავს (მაშინ ლენინგრადის ღვინის ქარხანაც კი ასხმადა ქართული დასახელების სამარკო ღვინოებს....); ეს შეიძლება ასეც რომ იყოს, ტერმინი „საფერავი'' წარმოშობითა და ენობრივი აგებულებითაც ქართულია, ისე როგორც „ხაჭაპური'' და „ჩურჩხელა'' (ეს უკანასკნელიც ძველ ქართულ წერილობით ძეგლებშიცაა ასახული -ა სუფიქსის გარეშე (*ჩურჩხელ* ფორმით. შდრ. ინგილ. ჩურჩა – ქლიავის ჯიში ერთგვარი [11, 139].

დ. ქობალია ვ. ველიჩკოს გადმოქართულებულ წიგნთან დაკავშირებით „რედაქტორის წინასიტყვაობაში'' აღნიშნავს, „სამწუხაროდ, ქართველების მიმართ ჩადენილ მრავალ მზაკვრულ, ვირეშმაკულ სიგლახესთან ერთად, ჩვენს წინააღმდეგ მუდმივად მტრულად განწყობილ სომეხთა არცთუ მცირერიცხოვანი წრე, ხშირად ისეთ სისულელეებს ამტკიცებს, რასაც საღად მოაზროვნე სომხები მაინც არ უნდა ეთანხმებოდნენ, რადგან დიდი მიამიტობა იქნებოდა იმის გაფიქრებაც კი, რომ ქართულ ისტორიულ რელიქვიათა უტიფარი მითვისებისას სომეხ მეცნიერთა და მკვლევართა უნებლიე შეცდომასთან გვაქვს საქმე.... ხომ ფაქტია, რომ ზოგიერთი ვაიმეცნიერისა და ვაისომხის მტკიცება, თითქოს თმოგვი და ხერთვისი ყოფილი სომხური ტერიტორიებია, ჯვრის მონასტერი კი სომხური კულტურის ძეგლია, იმ მცდარი

საზოგადოებრივი აზრის დამკვიდრებას ემსახურება, თითქოს სომხები ქართველების მიერ ისტორიულად დაჩაგრული ერია. ამიტომაც მოვალედ მიიჩნევენ თავს, რომ აღადგინონ „ისტორიული სამართლიანობა". აი, რაოდენ საშიში გახლავთ ამგვარი „გულუბრყვილო" ცრუისტორიული ექსკურსები და სრულიად უსაფუძვლო, უსუსური მტკიცებები, რასაც „დაშნაკცუტუნის", მხარდამჭერები ამკვიდრებენ. ამასთანავე ფაქტია, რომ არსებობს სხვა სომხეთი, რომელსაც არ სჯერა ამ ნაბოდვარის ისევე, როგორც არსებობს სხვა რუსეთი, რომელიც კეთილმეზობლური ზრახვებით მოქმედებს და კავკასიაში მშვიდობის დამყარებისათვის ზრუნავს" [12, 3-4].

სამწუხაროდ, ჩვენივე წაჯექ-უკუჯექობით, ლამის „ყოველ დღესა და საათს" იკარგება ქართული ტერიტორიები, გამკითხავი კი არავინაა (ერთ-ერთი ჩვენი სტუდენტის, ქართველი სომეხის თქმით, „ჩემს ბავშვობაში ჩვენს სოფელს ერთი მინერალური წყარო ჰქონდა, ბავშვები იქ დავდიოდით, ვერთობოდით, ვთამაშობდით, ვბურთაობდით, ვჭიდაობდით, დღეს კი ეს ადგილი სომხეთისაა (სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეების), ჩვენ, ამ სოფლელები, ველარ დავდივართ, წყაროს ვერ ვეკარებით, რადგან იგი მათ საზღვრებშია მოქცეული").

დაისმის არცთუ რიტორიკული და თანამედროვე ქართველი პოეტის ჩვენ მიერ პერიფრაზირებული კითხვა: „სად არიან ქართველნი, ქართველნი სად არიან?" ეს ისეთი კითხვაა, რომელიც პასუხს არ საჭიროებს! მაგრამ მაინც ვიტყვით: ქართველებს საღათას ძილით ძინავთ.

მკითხველს კი შევახსენებთ: „სიფხიზლეს თავი არ სტკივა", რადგან, როგორც 2011 წლის 20 მაისს ტელეკომპანია „კავკასიის" ეთერიდან ფსიქოლოგმა დავით ამირეჯიბმა გვაცნობა, „1989 წელს ევგენი პრიმაკოვისა და ბორის ელცინის ხელმძღვანელობით შედგენილი გეგმა მიზნად ისახავდა საქართველოს, კერძოდ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიის ჩამოშორებას და სომხეთისათვის გადაცემა-მიერთებას". ვფიქრობთ, დედაეკლესიის ფხიზელმა მსახურებმა – ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობლებმა – უნდა იკისრონ ის, რაც „ქართველ კონფორმისტებს" არ შეუძლიათ, თუ არ ვთქვით ის, რაც ეგების, ასეთი პოლიტიკით ნაირგვარი მტრის მახვილზე წამოვეგებით. რას ვერჩით სომხებს, თუ ჩვენ თავს ვერ ვიცავთ?

ლექსად და სიმღერად თქმული „დრო ყველაფრის მკურნალია, იცოდე" – უკურნებელ სენს ვერ განკურნავს: მტერს მტრულად უნდა დავუხვდეთ, მით უმეტეს მტრად მოსულ მოყვარეს. მწარე სიმართლეს თვალის გასწორება უნდა..., მას დაბინდული გონი და თვალი ვერ დაინახავს.

ამრიგად, არაერთი სომეხი ისტორიკოსი თუ მკვლევარი არაიშვიათად და არაერთგზის ისტორიული სინამდვილის გამყალბებლის როლში გვევლინება. ისინი არად დაგიდევენ ქართველ-სომეხთა ისტორიულ და ნათესაურ ერთობას. ქართველებისადმი განსაკუთრებულ და გამორჩეულ სიავეს სომხები ქართველების ეთნოყოფითი და ლინგვოკულტუროლოგიური ფაქტების მიმართაც ავლენენ. გვეცილებიან ყველას და ყველაფერს, რაც ჩვენია ისტორიულად თუ ეთნიკურად. მათთვის რუსთაველი სომეხია, სტალინი სომეხია, თბილისი სომხების ქალაქია, აღმოსავლეთ საქართველო სომხების ტერიტორიაა, თვით ზუგდიდის ეკლესიაც კი სომხური ყოფილა, საფერავი, ხაჭაპური, მაწონი...., ძველი ქართული ანბანიც სომხის შექმნილია....

ჩვენ კი მათ მხოლოდ თავდაცვითი, წყნარი შეგონებით – „ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები ქართულია, რასაც თვით მე-7 საუკუნის სომხური წყაროებიც ადასტურებენ, რომ ეს არის ქართველებით დასახლებული ქართული მიწა" და ა. შ. ვერას გავხდებით, ძახილი ძახილად დარჩება.... იქნებ ამ კუთხით ქართულმა მართლმადიდებელმა დედაეკლესიამ თქვას თავისი გადამწყვეტი სეფე სიტყვა.

ლიტერატურა

1. ლ. ურუშაძე, XX საუკუნის I მეოთხედის თურქეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიიდან. გაზ. „საქართველოს სამრეკლო", 1993, 17 თებერვალი.
2. მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკებიდან. დაბეჭდ. კრებ. ლელვარი. ეძღვნება დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის დაბადებიდან 125-ე წლისთავს, *ი. ორჯონიკიძის* რედაქციით. თბ., 2005.
3. ი. ახუაშვილი, ქართული გვარსახელები. 2. თბ., 1999.
4. ქართული დიპლომატიური ლექსიკონი. ტ. 2. *რ. მეტრეველის* რედაქციით, თსუ გამომცემლობა, თბ., 1999.
5. ინტერვიუ არმენოლოგ ბონდო არველაძესთან: „სომეხი ვაი-მეცნიერები ზუგდიდის ეკლესიასაც კი სომხურად აცხადებენ" – გაზეთ „ასავალ-დასავალი" (№4(851), 2011 წლის 24-30 იანვარი.
6. ბ. არველაძე, სომხური ეკლესიები საქართველოში, თბ., 1996.
7. მ. ბერიძე, მორიელის სინდრომი, „ცისკარი" (ქართული სიტყვიერებითი ჟურნალი), 2011, №10.
8. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.
9. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია. I. დიალექტთა განხილვა, ლექსიკონი, თბ., 1961.
10. გაზეთ „ასავალ-დასავალი" (№4(851), 2011 წლის 24-30 იანვარი.
11. ა. ასრათოვი (ომარაშვილი), მასალები ინგილოური დიალექტის ლექსიკონისათვის. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1978, №2.
12. ვ. ველიჩკო, კავკასია (რუსული საქმე და ტომთაშორისი საკითხები), თარგმნა *რ. ჯალაღანიამ*, ფონდ „ელიზაბეტტალის" გამოცემა, თბ., 2009.

რეზიუმე

სომეხი მეცნიერები და ქართული მემკვიდრეობის (ეკლესიების....) ე. წ. სომხურობის პრობლემა

პროფ. ბადრი ცხადაძე

სტატიაში განხილულია სომეხ მეცნიერთა ერთი ნაწილის ქართული მემკვიდრეობისადმი (ეკლესიები და სხვ.) ფსევდომეცნიერული მიდგომა და ისტორიული და ლინგვისტური ფაქტებისადმი უნდილი დამოკიდებულება, რაც საფრთხეს უქმნის ორი ერის ძირძველ მეზობლურ და ნათესაურ ურთიერთობას. ავტორის დასკვნით, ამ მხრივ განსაკუთრებული სიტყვა უნდა თქვას ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ.

გიორგი გრძელიძე
ეთნოგრაფი

სოფელი სოღანლუღი

სოფელი სოღანლუღი მდებარეობს თბილისის აღმოსავლეთით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ქვემო ფონიჭალის მოსაზღვრეთ, ტოპონიმი სოღანლუღი არა ქართულია და მომდინარეობს სიტყვა სოღანიდან, რაც თურქულ-აზერბაიჯანულად ნიშნავს ხახვს, (სოღან-ხახვი), სოღანლუღი კი სახახვეს, ხახვიან ადგილს, რაც მიანიშნებს ბოსტნეულის დასახელებული სახეობის ფართო გავრცელებას, როგორც წარსულში ისე დღევანდელ დღეს [6].

პირველად სოღანლუღი მისი ადრეული სახელით „ყურყუთა" სპარსეთში გიორგი სააკაძის წასვლასთან დაკავშირებით გვხვდება 1612 წელს [7, 338].

ძველი სოღანლუღის საზღვრები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დღევანდელისაგან, იგი მოიცავდა დღევანდელ ზემო და ქვემო ფონიჭალას. ასევე უბან „გიგანტისა" და თელეთის (ყოფილი სარვანის მინდორი), მინდორს [6].

სოღანლუღი ორი იყო დიდი და პატარა, მათ ერთმანეთისაგან შულავრის გზა ჰყოფდა, იგი მეტად სტრატეგიულ ადგილას მდებარეობდა, სოღანლუღს გარს ერტყა ლეღვის ხევი ტაშხარყარა, მტკვარი, შულავრისა და ყაზახის გზები, ყოჩის გზა, სანგრის გორა, ხანლუხდარეს მეორეს ხევი, ამილახვარების თელეთი, ტალის (თალის) ქვა და ლეღვის ხევი, ამგვარად სოღანლუღს ეკავა წყლისპირეთი, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ჭალები და თელეთის (ამილახვრების) მახლობელი ველ-მინდვრები. [7, 338].

სოღანლუღის საზღვრებს ვადგენთ 1848 წლის რუკით, აღნიშნულ რუკაზე ორი სოღანლუღია, - პატარა და დიდი, რომელთაც ერთმანეთისაგან შულავრის გზა ჰყოფს. [4, 109].

1796 წლის ქალაქის პირა ბეგარის გამოსაღებ სოფლებში, სოღანლუღიც არის მოხსენიებული. საიდანაც ვიგებთ, რომ მას სამი ურემი შეშა უნდა გამოეღო. [4, 119].

1797-1799 წლებში ერეკლე მეორისა და გიორგი XII ნებართვითა და სურვილით, იოანე ბატონიშვილმა ქართლის სოფლები აღწერა, დავთარში სოფლების გარდა შეტანილია - „ქ. საძოვარნი ადგილნი და სათიბნი, მინდორნი და თებნი და სანადირო ადგილნი სამეფო). ამ ადგილთა სიაში შეტანილია „სოღანლუღის ჭალა" [3, 79].

სოფლის შესახებ, მეტად ზოგად ცნობებს გვაწვდის ვახუშტი, სადაც აღნიშნავს: „მტკურის კიდეზედ არს ჭალა ყურყუთა და აწ სოღანლუღი წოდვილი, ნაყოფიერი ყოველითავე" [1, 328].

ვახუშტის რუკაზე სოღანლუღს ასეთი განმარტება აქვს: „ო-ობი, თათრის ობა", რადგანაც დამოწმებულ რუკებზე მსგავსი აღნიშვნები წყვილადაა სოღანლუღში ორი თათრული დასახლება ყოფილა [4, 115].

სოღანლუღი სამეფო მამული იყო. XVIII-ს მიწურულს იგი ქართველი ბატონიშვილების ხელში გადავიდა, სოღანლუღი ხან იულონ, ხან კიდევ ფარნაოზ ბატონიშვილების კუთვნილი გახდა. ყმა მამულები იქ ამილახვრებსაც ჰქონდათ [7, 338].

XVIII სოღანლუღი ქალაქის სანახებში იმ გარეუბანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც თბილისის ბაზარს ამარაგებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. სოღანლუღში სოფლის მეურნეობის დაწინაურებაზე მეტყველებს სოფლის ზვრების, ხოდაბუნებისა და ბაღჩა-ბაღების მოსარწყავად მტკვირდან გამოყვანილი ორი – დიდი და პატარა სარწყავი არხი [7, 338].

1781 წლის თბილისის შემოგარენის სოფლების აღწერის დავთრების მიხედვით სოღანლუღში სახლობდნენ: ქართველები, სომხები და მაჰმადიანები [4, 117].

დღევანდელი სურათი განსხვავდება ძველი ცნობებისაგან, დღეს სოღანლუღში გვხვდება ძირითადად სამი ეროვნების მოსახლეობა, ესენია: ქართველები, აზერბაიჯანელები და ბერძნები, რომელთა გადმოსახლებაც მოხდა XX საუკუნის 50-იან წლებში, ქვემო ქართლის რეგიონიდან [6].

ტერიტორია, სადაც ბერძენი მოსახლეობა დასახლდა დღეს მდებარეობს ზემო და ქვემო ფონიჭალის მოსაზღვრედ და ეწოდება ბერძნების უბანი, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბერძნების ჩამოსახლების პერიოდში, ქართული ენის მცოდნეთა რაოდენობა მეტად უმნიშვნელო იყო, მათი ყოველდღიური ურთიერთობის ენას წარმოადგენდა თურქული ენა [6].

როგორც ცნობილია, საქართველოში ბერძნული მოსახლეობა ძირითადად დასახლდა XX საუკუნის დასაწყისში. ოსმალეთის იმპერიიდან დევნა-შევიწროების შემდგომ.

დღეს საქართველოში ორენოვანი ბერძნებია, ესენია: 1) ბერძნულ-ენოვანი -ელინოფილები. 2) თურქულ-ენოვანი - ურუმები. [6]. აღსანიშნავია, რომ ბოლო თხუთმეტი - ოცი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად იკლო ბერძნული მოსახლეობის რაოდენობამ ფონიჭალის ტერიტორიაზე. რადგან იმატა მათ ისტორიულ სამშობლოში, საბერძნეთში წამსვლელთა რაოდენობა. მათ ადგილს თანდათან იკავებს ქართული და აზერბაიჯანული მოსახლეობა [6].

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან სოღანლუღში ერთ დროს მდგარა ციხე-სიმაგრე და ეკლესია, დღეს მათგან არაფერია შემორჩენილი, 1674 წ. სოღანლუღში გზად მიმავალი გამოჩენილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი. [9, 358]. ხოლო ზოგადად ეხება სოფელს და აღარ იხსენიებს არცერთ ისტორიულ ძეგლს, ასევე ისტორიულ ძეგლებს არ ეხება სოღანლუღში მეოფი 1837 წელს მყოფი ინგლისელი მოგზაური რიჩარდ უილბრაჰიმი [8, 16].

სოფლის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი იეო სოღანლუღის ციხე, იგი მეტად სტრატეგიულ ადგილას იდგა, ციხე აგებულ იქნა ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის მიერ 1765 წელს. სავარაუდოდ როგორც თბილისის უახლესი ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი, თეიმურაზ ბერიძე აღნიშნავს შესაძლოა ციხე ერეკლემდეც უნდა არსებულიყო. 1765 წელს კი მოხდა მისი აღდგენა [4, 121].

ციხე-სიმაგრე 1765 წელს მოინახულა გამოჩენილმა გერმანელმა მოგზაურმა ი. ა. გიულდენშდეტმა, რომელიც ერეკლე მეორეს ახლდა კახეთში გამგზავრების დროს, მოგზაური აღნიშნავს: „მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დგას სოფელი სოღანლუღი, გამაგრებული ასევე კოშკით, რომელიც ეკუთვნის თავად ყაფლანიშვილს [5, 17]. მოგზაური ცდება კოშკის მეპატრონის გვარის დასახელებისას, რადგან მეფე ერეკლე II-ის მიერ გაცემული სიგელის თანახმად, მეფემ დასახლებული ციხე თავად ამილახორს გადასცა და არა თავად ყაფლანიშვილს [4, 121].

ციხე-სიმაგრე აღნიშნულია გიულდენშტედტის 1772 წის რუკაზე, სოფელს უზის გეომეტრიული ნიშანი რაც აღნიშნავს ციხე-სიმაგრეს [4, 121].

ციხე-სიმაგრე მეტად სტრატეგიულ ადგილას იდგა, იგი კონტროლს უწევდა სამხრეთისა და აღმოსავლეთისაკენ განჯისაკენ მიმავალ გზას, გენერალ ციციანოვის (ციციშვილის) თბილისიდან განჯაში ლაშქრობის მარშრუტის 1803 წლის რუკაზე ციხე-სიმაგრე მდებარეობს მდინარე მტკვარსა და გზას შორის [4, 122].

1795 წლის სექტემბრის თვეში თბილისზე წამოსული აღა-მაჰმად ხანი სოღანლუღს გაჩერდა, ამის შესახებ ცნობას გვაწვდის დავით ბატონიშვილი: „წარმომართებული აღა-მაჰმად ხან მოვიდა და დაიბანაკა 30 000 კაცითა სოღანლუღსა შინა" [2, 65]. ირაკლის ძე ვახტანგ ბატონიშვილის მიერ გაცემულ წყალობის სიგელში ვკითხულობთ: „სოღანლუღს მდგარი აღა-მაჰმად ხანს თბილისზე წამოსასვლელი ჯარი ორად გაუყვია, ერთი სოღანლუღის გზით წამოსულა, ხოლო მეორე ზემოთის კლდეებზედ" [4,122].

1803 წელს ციხეში მყოფ რუსულ გარნიზონს თავს დაესხნენ ლეკები, „კვალად მოვიდნენ სოღანლუღს და წარტყვნეს უმეტეს ორასისა რუსნი", აღნიშნავს დავიტ ბატონიშვილი [2. 70].

დღეს ციხესიმაგრის აღარაფერი აღარ შემორჩენილა, არ ჩანს არავითარი კვალი იმისა თუ კონკრეტულად სად შეიძლება იგი ყოფილიყო. არავითარი ძველი გადმოცემა ციხის შესახებ ადგილობრივებში აღარაა შემორჩენილი. სავარაუდოდ ციხე-სიმაგრე მდებარეობდა იმ ადგილას, სადაც ქვემო ფონიჭალაში ორად იყოფა საავტომობილო მაგისტრალი, ერთი მხრივ მიემართება მარჯვნივ მარნეულისაკენ, მარცხენა კი რუსთ ვის მიმართულებით, რკინიგზის ხიდის სიახლოვეს, მდინარესა და მთას შორის [6].

სოღანლუღში იდგა ასევე შუა საუკუნეების დროინდელი ეკლესია, რომლის შესახებაც ცნობების არარსებობის გამო, დღეს რაიმეს თქმა ძნელია, ეკლესიას მხოლოდ 1848 წლის რუკზე ვხვდებით, იგი ჯვრით არის აღნიშნული,რუკაზე დატანილია რუსული თავასოები. Р. Ц. რაც იმაზე მიგვანიშნებს რომ, ნაგებობა ამ ღროს დანგრეული იყო [4. 120].

როგორც ადგილობრივები ზემო ფონიჭალაში მიანიშნებენ ძველი ნაეკლესიარი მდებარეობდა II-III-ა კორპუსებს "შორის, მის სიახლოვეს ყოფილა სასაფლაო, ნაეკლესიარის ადგილას შეიმჩნევა ეკლესიის არსებობის კვალი, იგი არსებობდა შემაღლებულ ადგილას, სადაც დღეს გაშენებული არის კვრძო მცირე ზომის ბაღი. ზემოთ დასახელებული სასაფლაოს ადგილას, დღეს აგებული არის საცხოვრებელი კორპუსი, არავითარი გადმოცემა ადგილობრივებში თუ რა ბედი ეწია ეკლესიასა და ამი სიწმინდეებს ერთ დროს, ან ვინ იეყნენ სასულიერო პირები დღეს აღარ არის შემორჩენილი, არავითარ მოლოცვას სხვადასხვა ქრისტიანულ დღესასწაულებზე ადგილი არა აქვს ადგილობრივების მხრიდან [6].

მეორე ქრისტიანული მცირე ზომის სამლოცველო გვხვდება ზემო ფონიჭალაში შემაღლებულ გორაზე, რომელსაც ეწოდება ღვთისმშობლის სახ. სამლოცველო, ხშირად მას წმინდა გიორგის სამლოცველოდაც მოიხსენიებენ, რაც იმაზე მიანიშნებს რომ, დასახელებული სამლოცველო ცნობილია ორი სახელით, დასახელებული სამლოცველო XX საუკუნის 50-იან წლებში ძველი ღვთისმშობლის სახელობის მცირე სამლოცველოს ნანაგრევებზე ხელახლა იქნა აგებული, ადგილობრივი ბერძნების მიერ, სხვადასხვა ქრისტიანულ დღესასწაულებზე, ძირითადად კი მაინც გიორგობაზე ადგილობრივები ადიან სალოცავზე და თან მიაქვთ საკლავი, ზოგი მათგანი კი მიდის უბრალოდ სანთლების ასანთებად. სამლოცველოში არავითარი წირვა-ლოცვა სამღვდელოების მიერ არ აღევლინება [6].

შემდგომი მატერიალური კულტურის ძეგლი მდებარეობს ქვემო ფონიჭალაში. აზერბაიჯანელების უბანში. ეს არის აჰლი ბეითის სახ. მეჩეთი. აგებული 2008 წლის 15 მაისს, მეჩეთის მშენებლობა დაფინანსებული იქნა ერაყის არაბთა რესპუბლიკის მოქალაქის აიათოლა-უზმა სეიდ მუჰამადის მიერ, მეჩეთის აგებამდე ადგილობრივი მუსულმანები სალოცავად დადიოდნენ თბილისში მეიდნის მეჩეთმი, მაგრამ ზოგიერთებს სოფელში ორ ოჯახში მოწყობილი ჰქონდათ სალოცავი კუთხე, სადაც ლოცულობდნენ სურვილის შემთხვევაში.

არავითარი გადმოცემა ადგილობრივებში იმასთან დაკავშირებით იყო თუ არა ძველ სოღანლუღში მეჩეთის მაგვარი რაიმე სამლოცველო დღეს აღარ არის შემორჩენილი [6].

ლიტერატურა

1. ვ. ბატონიშვილი. „ქართლის ცხოვრება", ტ. IV აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით - ს. ყაუხჩიშვილის მიერ. 1973.
2. დ. ბაგრატიონი. „ახალი ისტორია", 1983
3. ი. ბაგრატიონი - „ქართლ-კახეთის აღწერა", 1986.
4. თ. ბერიძე. „ძვ. თბ. გარეუბნების ისტორია", 1977.
5. ი. ა. გიულდენშტედტი. „მოგზაურობა საქართველოში" ტ. I 1962.
6. გ. გრძელიძე. „საველე ეთნოგრაფიული დღიური", 2012

7. „თბილისის ისტორია" ტ. 1. 1990.
8. რ. უილბრაჰიმი. „მოგზაურობა საქართველოში", 1990.
9. ჟ. შარდენი. „მოგზაურობა სპარსეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში", 1975.

SUMMARY
VILLAGE SOGHANLUGHI
George Grdzelidze
Village Soghanlughi is located in the east of Tbilisi, on the left bank of the river Mtkvari. The name of Soghanlughi comes from Turkish that means the place of onions (soghan-onion).
From Materialculture of the movement is known Soghanlughi's church, Prison and irrigation channels, which aren't survives now.
In the old Soghanlughi are settled: Georgians, Armenians and Muslims.
This Article is an attempt to determine if where was located different movements in village Soghanlughi.

გამოსაცემი მასალის გაფორმების წესი

სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი „სვეტიცხოველი" არის რეფერირებადი პერიოდული გამოცემა. ჟურნალის დანიშნულებაა საისტორიო და ასევე მეცნიერების სხვადასხვა დარგების (საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ეთნოლოგიის, კულტურული მემკვიდრეობის, ენათმეცნიერების, მართვის პრობლემების, რწმენისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების) განვითარების ხელშეწყობა, სწავლულთა მიერ მოპოვებული ახალი მიღწევებისა და უმნიშვნელოვანეს გამოკვლევათა მასალების საზოგადოებისათვის გაცნობა.

სტატიების მიღება შესაძლებელია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, ნაშრომი გამოქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გამოქვეყნება უფასოა.

სამეცნიერო ნაშრომის გაფორმების წესი:

1. ნაშრომის სრულდება A4 ფორმატის ქაღალდის 1,5 ინტერვალით ნაბეჭდი ტექსტით (მინდვრები 2 სმ.), რუკების ნახაზების, გრაფიკების, ცხრილების და ლიტერატურის ჩამონათვალით;

2. სტატია შესრულებული უნდა იყოს DOC ფაილის სახით (MS -Word) ჩაწერილი ნებისმიერ მაგნიტურ მატარებელზე;

3. ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ Acadnusx შრიფტი, ზომა 11;

4. ინგლისური და რუსული ტექსტის შრიფტი კი უნდა იყოს: Times New Roman, ზომა 11;

5. სტატია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: uak-ს (UDC); ავტორის/ავტორების სახელს, მამის სახელს, გვარს;

6. ფოტოების და სხვა გრაფიკული გამოსახულების კომპიუტერული ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს JPG ფორმატში;

7. სტატიის შინაარსსა და ხარისხზე პასუხისმგებელია ავტორი.